საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

თეიმურაზ მიქელაძე

ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან

(ძვ. წ. II—I ათასწლეულები)

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1974

902.6+9 (С 41)
930.26+9 (47.922)
ბ 745

ნაშრომი ეძღვნება კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ეთნოგენეზისა და სოციალურ-ეკონომიური პრობლემების შესწავლას. ნაშრომში განხილულია კოლხეთის არქეოლოგიური კულტურების გენეზისის საკითხი, ამ კულტურათა მიმართების საკითხი კოლხეთის უძველეს მოსახლეობასთან, ჩრდილო-აღმოსავლეთი მცირე აზიის უძველესი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობისა და ამ მოსახლეობის მნიშვნელობის საკითხი ძველ საზოგადოებათა ტექნიკური პროგრესის საქმეში, კოლხეთის სახელმწიფოებრიობის გენეზისისა და რაობის საკითხი.

ბ $\frac{10602}{М\ 607\ (03)—74}$ 129—74 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1974 წ.

«... the archaeologis is digging up, not things, but p e o p l e».
(„...არქეოლოგი ეძიებს არა ნივთებს, არამედ ხალხს").
Mortimer Wheeler

შესავალი

ამ ბოლო ხანებში აშკარად შეიმჩნევა ინტერესის ზრდა კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიის პრობლემების მიმართ. სპეციალური წერილების გარდა, გამოიცა რამდენიმე მონოგრაფია, რომელიც ამ ორი მხარის ძველი ისტორიის ცალკეული საკითხების დამუშავებას მიეძღვნა[1].

წინამდებარე ნაშრომში გაშუქებულია კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ეთნოგონიის, არქეოლოგიის, საზოგადოებრივი წყობისა და ისტორიის სხვა პრობლემები.

კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ისტორიის პრობლემათა ერთობლივი კვლევა, ცხადია, არ შეიძლება ემყარებოდეს ამ ორი მხარის გეოგრაფიული სიახლოვის პრინციპს. კვლევა-ძიებისათვის ასეთი საფუძველი ფორმალური ხასიათისა იქნებოდა და, მაშასადამე, მეცნიერული თვალსაზრისით მიუღებელი.

კვლევა-ძიების ამ მიმართულებით წარმართვისათვის ამოსავალი შეიძლება იყოს კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის მოსახლეობის მეცნიერებაში არაერთგზის აღნიშნული ენობრივი ერთგვარობა, რომელიც ჩვენი დროის ჩათვლით მრავალი საუკუნის მანძილზე შეინიშნება, და სრულიად აშკარა კავშირი ამ მხარეთა არქეოლოგიურ მასალებს შორის. მაგრამ პრობლემის აქტუალობა, რა თქმა უნდა, მარტოოდენ ხსენებულით არ შეიძლება განისაზღვროს.

კოლხეთს, კოლხურ მოსახლეობას სრულიად განსაკუთრებული როლი აქვს შესრულებული საქართველოს ისტორიაში. იგი ადრევე აღმოჩნდა ძველი მსოფლიოს ისტორიის სარბიელზე და თუ ამის გამო მას ბევრი რამ აქვს შეთვისებული ძველი ცივილიზებული ხალხებისაგან, სრულიად გარკვეული წვლილიცა აქვს გაღებული ამ ხალხების სულიერი კულტურის ჩამოყალიბებისა თუ ტექნოლოგიური პროგრესის საქმეში. როდესაც ლაპარაკია ქართველი ხალხის კულტურულ კონტაქტებზე უძველეს პერიოდში, მის წვლილზე მეზობელი ხალხების კულტურულ ცხოვრებაში, მის როლზე მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკაში გარკვეული პერიოდის მიმართ, კონკრეტულად კოლხეთი და მისი ისტორიული მოსახლეობა შეიძლება ვიგულისხმოთ. ამის გამოძახილი მკვეთ-

---

[1] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, I, 1949; II, 1950; М. И. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья. М.-Л., 1956; ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966; М. П. Инадзе, Причерноморские города древней Колхиды, Тбилиси, 1968.

რად მოისმის უძველეს მითებსა და თქმულებებში, რომ არაფერი ვთქვათ წერილობითი წყაროების ცნობებსა და არქეოლოგიურ მასალაზე.

მაგრამ ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით კოლხეთი სხვა მხრივაც იქცევს ყურადღებას. საქმე ისაა, რომ იგი არქეოლოგიურად იზოლირებულია, ცალკე დგას ისეთი საერთო-კავკასიური არქეოლოგიური კულტურისაგან, როგორიცაა, მაგალითად, მტკვარ-არაქსის კულტურა, რომლის წარმოშობა-გავრცელების ცენტრალურ სფეროდ აღმოსავლეთ საქართველოს, სახელდობრ კი ისტორიულ ქვემო ქართლს მიიჩნევენ[2]. კოლხეთი ასევე მიღმა რჩება მტკვარ-არაქსის კულტურის მომდევნო თრიალეთური კულტურისაგან, რომელიც დღითი დღე სულ უფრო გავრცელებულ კულტურად გვევლინება საქართველოში.

ამავე დროს, კოლხეთში დასტურდება სრულიად თავისებური მატერიალური კულტურა, რომელიც არსებითად განსხვავდება მეზობელი კულტურებისაგან და რომელიც საუკუნეთა მანძილზე ინარჩუნებს პრინციპულ ერთგვარობას. მართალია, ყოველი ახალი პერიოდი ამ კულტურის ფართო გაგებით მეურნეობისა და ტექნიკის განვითარების თვალსაზრისით წარმოადგენს დამოუკიდებელ, მხოლოდ ამ პერიოდისათვის დამახასიათებელ კულტურას, მაგრამ ამ ცალკეული პერიოდების კულტურათა შორის იგრძნობა მჭიდრო კავშირები ლითონის ნაწარმის, განსაკუთრებით კი კერამიკის ფორმებისა და ორნამენტის, დასახლებათა საერთო ხასიათისა და საცხოვრებელ ნაგებობათა პრინციპული ერთგვარობის მხრივ, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ყოველი აღნიშნული პერიოდის მატერიალური კულტურა იმანენტური განვითარების შედეგია და საერთო კოლხური კულტურის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და რომ კოლხეთში, ყოველ შემთხვევაში, III ათასწლეულის დასასრულიდან ერთგვაროვან მოსახლეობასთან გვაქვს საქმე. აქედან ნათელია, თუ რატომ უნდა ეწოდოს ამ კულტურას „კოლხური" და არა „კოლხეთის". აღარას ვამბობთ იმის შესახებ, რომ ტერმინი „კოლხეთის კულტურა" არქეოლოგიური კულტურის ცნებას აცლის ეთნიკურ მნიშვნელობას, ე. ი. მის უმთავრეს ისტორიულ შინაარსს და ამ კულტურის ეთნიზაციის შესაძლებლობას აბათილებს. მართალია, გარკვეული პერიოდიდან, ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან მაინც, კოლხური კულტურის საყოველთაო გავრცელების ქამს მთელ დასავლეთ საქართველოში, მას შეიძლება ეწოდოს კოლხეთის კულტურა, მაგრამ ამ მოვლენაში უკვე ირეკლება კოლხების ეთნო-პოლიტიკური განვითარების სხვა ასპექტი.

ამგვარად, თუ რეტროსპექტულად შეიძლება თვალი გაედევნოს გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის შემკვიდრეობით კავშირებს წინამორბედი ხანის კულტურასთან, თუ იქ, სადაც ამ კულტურის უძველესი კერა ვლინდება, იმავე პერიოდისათვის წერილობითი ძეგლები გვიდასტურებენ კოლხებს და უძველეს კოლხურ პოლიტიკურ ერთეულებს, მაშინ, ბუნებრივია, აღნიშნული ორი მოვლენა ერთიმეორეს დავუკავშიროთ და გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის წინამორბედი კულტურა კოლხური ეთნოსის ეთნიკური განვითარების ერთ-ერთ საფეხურად მივიჩნიოთ.

აქ უკვე მივადექით არქეოლოგიური კულტურისა და ეთნიკური ერთობის როგორც, უპირველეს ყოვლისა, ლინგვისტური ერთობის, მიმართების პრობ-

---

[2] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1969, გვ. 224.

ლემას. თანამედროვე მეცნიერებაში, ფაქტიურად, ამ მიმართებამდეა დაყვანილი ეთნოგენეზის პრობლემა, მაგრამ ეს არ ნიშნავს საკითხის გამარტივებას; საკმარისია ვცადოთ ამ მიმართების წვდომა, რომ ნათელი გახდეს, რაოდენ რთული ამოცანაა გადასაწყვეტი, რადგან ამ მიმართებაშია მოცემული, ძირითადად, ეთნოგენეზის პრობლემის მთელი არსი.

არქეოლოგიური კულტურის ეთნიკური მნიშვნელობის დადგენის შესაძლებლობას ბევრი მომხრე ჰყავს მეცნიერებაში, მაგრამ ბევრი მოწინააღმდეგეც. პრობლემისადმი ამ უკანასკნელთა დამოკიდებულებას ამართლებს ისეთი ან მსგავსი შემთხვევები, როცა ცალკეული ეთნიკური ერთობები ენობრივად ემთხვევა ერთიმეორეს, ხოლო ნივთიერი კულტურის მიხედვით მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამ მაგალითების განზოგადება არქეოლოგიური ეპოქების მიმართ მეთოდურად გაუმართლებელი გვეჩვენება. მართალია, ყველა არქეოლოგიური კულტურის, ზოგ შემთხვევაში მკვეთრად გამოხატული კულტურის ეთნიკური მნიშვნელობაც არ განისაზღვრება ან სადაოდ განისაზღვრება და ამიტომ სხვა განსაზღვრების შესაძლებლობასაც ქმნის, მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, ყოველივე ეს მიუთითებს პრობლემის სირთულეზე, ნათელს ხდის იმას, რომ დაუშვებელია პრობლემისადმი გამარტივებული დამოკიდებულება. ამავე დროს, არქეოლოგიური კულტურისა და ეთნიკურ ერთობათა შესაბამისობის ფაქტები ემპირიულად ადასტურებენ არქეოლოგიური კულტურის ეთნიკური მნიშვნელობის განსაზღვრის შესაძლებლობას და პერსპექტიულს ხდიან ისტორიულ-არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას. ამიტომ, წინამდებარე ნაშრომში ჩვენ გამოვდივართ თეორიული წანამძღვარიდან, რომ ყოველ არქეოლოგიურ კულტურაში, რომელიც გავრცელებულია ერთ გარკვეულ ტერიტორიაზე, პასუხობს ამ მხარის გეოგრაფიულ-სამეურნეო პირობებს და წარმოადგენს არა მარტო ერთგვაროვანი ძეგლების ერთობლიობას, არამედ ამ ძეგლებს შორის არსებული კავშირების ერთობლიობასაც და რომელსაც ეძებნება სათავეები წინამორბედი ხანების არქეოლოგიურ კულტურებში, თუნდაც სხვა ტერიტორიაზე, მოცემულია სრულიად რეალური შესაძლებლობა კონკრეტულ ეთნიკურ ერთობასთან მისი გაიგივებისა.

მართლაც, არქეოლოგიური კულტურის საკითხი განცალკევებით არ შეიძლება იდგეს. არქეოლოგიური კულტურა მუდამ გულისხმობს ერთ გარკვეულ ტერიტორიულ წრეს და ამ წრის ფარგლებში მოქმედი ადამიანების ერთობლიობას. არქეოლოგიური კულტურა, ე. წ. განათხარი (ან შემთხვევით, ოღონდ არა ერთგზის მოპოვებული) ნივთიერი ძეგლების ერთმანეთთან შინაგანად დაკავშირებული ერთობლიობა, განსაზღვრული გარკვეული ეპოქითა და ტერიტორიით ისევე, როგორც ყოველივე. რაც ადამიანთა შემოქმედების ნაყოფია, არ შეიძლება განიხილოს საზოგადოებისაგან მოწყვეტით. არქეოლოგიური კულტურა უკუფენაა განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე საზოგადოების იმ სამეურნეო-ყოფითი და სულიერი თავისებურებებისა, რომლითაც მოცემული საზოგადოება განსხვავდება მეორისაგან. ეს არის უმთავრესი შინაარსი არქეოლოგიური კულტურისა, ამაშია მისი შინაარსის ისტორიული ღირებულება. მაშასადამე, არა სიახლოვე ცალკეული არქეოლოგიური კულტურებისა, არამედ

სხვაობა ხსენებულ კულტურათა შორის. ის თავისებურებანი, რომელიც აღსხვავებს მათ ერთიმეორისაგან, მათ სხვადასხვა წარმოშობაზე მეტყველებს[3] და რომელშიც ვლინდება ამა თუ იმ კულტურის შემქმნელთა და მატარებელთა ინდივიდუალობა, არქეოლოგიური კულტურის უმთავრესი ასპექტია.

დებულება არქეოლოგიური კულტურის ეთნიკური მნიშვნელობის შესახებ პირველად წამოაყენა შვედმა არქეოლოგმა ოსკარ მონტელიუსმა. ეს დებულება დღესაც არქეოლოგიის მიღწევადაა მიჩნეული. ამის შემდეგ არქეოლოგიური კულტურის ეთნიკურ ერთობასთან მიმართების საკითხი ცენტრალური პრობლემა გახდა არქეოლოგიაში, ისტორიასა და ენათმეცნიერებაში.

პრობლემის შესწავლის ისტორიაში გამოჰყოფენ სამ ეტაპს, რომელთაგან თითოეულს კვლევის თავისი მეთოდი ახასიათებს: 1. ცალმხრივი არქეოლოგიური და ცალმხრივი ლინგვისტური მეთოდებით კვლევის ეტაპი. ამ მეთოდების თავისებურება ის იყო, რომ აღნიშნული მიმართების კვლეევის დროს არ ივარაუდებოდა ამ ორი მეცნიერების მიღწევათა შეჯამება. ეს დამახასიათებელი იყო XIX ს. მეცნიერებისათვის; 2. სინთეზური მეთოდით კვლევის ეტაპი. ეს მეთოდი გულისხმობდა არქეოლოგიურ შრომებში ლინგვისტური მონაცემების გათვალისწინებას, ხოლო ლინგვისტურ შრომებში — არქეოლოგიური მასალისა. ამ მეთოდს მეცნიერება იყენებდა XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. პირველ ნახევარში; 3. კვლევის მესამე ეტაპზე შემუშავდა მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს არა მარტო არქეოლოგის ან ლინგვისტის მიერ მიღებულ საბოლოო შედეგებს, არამედ კვლევა-ძიების მთელ მანძილზე ენისა და ნივთიერი კულტურის მონაცემებს იკვლევს მუდმივ და ორგანული ურთიერთშეპირისპირების მეშვეობით. ამ მეთოდით მეცნიერება შეიარაღდა ჩვენი საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან[4].

ზემო აღნიშნული მეთოდები წმინდა სახით არც ერთ ეტაპზე არ ყოფილა წარმოდგენილი. ყველა მათგანი დღესაც გამოიყენება მეცნიერებაში, ისევე როგორც დღევანდელი კომპლექსურ-სინთეზური მეთოდის ჩანასახებს XIX ს-შიც ვხვდებით.

საქართველოში ისტორიულ-არქეოლოგიური აზრის განვითარებამ ყველა ის საფეხური გაავლო, რომელსაც, როგორც ნაჩვენები იყო, ევროპისა და რუსეთის სინამდვილისათვის გამოჰყოფენ. ოღონდ, ცალმხრივი არქეოლოგიური და ცალმხრივი ლინგვისტური მეთოდები წმინდა სახით ჩვენში, შეიძლება ითქვას, არ ყოფილა წარმოდგენილი.

ვიდრე ეთნოგენეზის ქვაკუთხედი არქეოლოგიური კულტურისა და ეთნიკური ერთობის მიმართების პრობლემა გახდებოდა, იმ მეთოდს, რომელიც გამოიყენებოდა ქართველთა ეთნოგენეზის საკვლევად, უფრო ზუსტი იქნებოდა, ცალმხრივი ლინგვისტურ-ისტორიული მეთოდი ვუწოდოთ. ამ მეთოდით კვლევა-ძიების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ ნ. მარი და ივ. ჯავახიშვილი.

---

[3] საგულისხმოა ფრიად, რომ გორდონ ჩაილდი არქეოლოგიური კულტურის მთავარ განმსაზღვრელ თავისებურებად მიიჩნევდა არა მარტო საწარმოო და საომარი იარაღის და სამკაულის ერთობლიობას, რომელიც მეორდება ერთი სახეობის საფლავებსა და ნამოსახლარებზე, არამედ, სწორედ, განსხვავებას იმ მონაპოვრისაგან, რომელიც აღმოჩენილია სხვა სახის საფლავებსა და ნამოსახლარებზე (იხ. G. Child. Changing Methods and Aims in Prehistory. Proccedings of the Prehistoric Society. 1936, გვ. 3).

[4] Г. С. Кнабэ, Вопрос о соотношении археологической культуры и этноса в современной зарубежной литературе. СА, № 3, 1959, 245.

აღსანიშნავია, რომ 50-იანი წლების ბოლოს, როდესაც ბატონდება კომპლექსურ-სინთეზური მეთოდი. საქართველოს ისტორიოგრაფიაში თავს იჩენს ცალმხრივი არქეოლოგიური მეთოდით კოლხეთის ეთნოგენეზის კვლევის ცდა. მხედველობაში გვაქვს ა. სოლოვიოვის საინტერესო, მაგრამ როგორც მეთოდის, ისე საკითხისადმი მიდგომის მხრივ აშკარად ცალმხრივი ნაშრომი[5].

სინთეზური მეთოდი ჩვენში პირველად ს. ჯანაშიამ მოიმარჯვა. მას ეკუთვნის პირველი ცდები ლინგვისტური და საისტორიო კვლევის შედეგების დაკავშირებისა არქეოლოგიურ ფაქტებთან. იმის საილუსტრაციოდ, რომ სინთეზური მეთოდი დღესაც წარმატებით გამოიყენება მეცნიერული კვლევა-ძიების დროს და კერძოდ, ჩვენში, უნდა დავასახელოთ ო. ჯაფარიძის ნაშრომი, სადაც არქეოლოგიური მონაცემების დაკავშირების საფუძველზე ლინგვისტური კვლევა-ძიების შედეგებთან, ქართველთა ეთნოგენეზის საინტერესო სურათია წარმოდგენილი[6]. ასევე სინთეზურ მეთოდზეა დამყარებული განსვენებული გ. მაჭავარიანის გამოკვლევა, ოღონდ აქ ამოსავალია ლინგვისტური მასალა, რომელსაც ავტორი უკავშირებს ისტორიული კვლევა-ძიების შედეგებს[7]. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს ისტორიოგრაფიაში განხილული მეთოდების გამოყენების ხანა ევროპასა და ევროპაში ამავე მეთოდებით მუშაობის ხანას განსხვავებაა მხოლოდ იმ მხრივ, რომ ჩვენში ამ მეთოდების შემუშავებას ადგილი არა ჰქონია; ჩვენი მეცნიერება კვლევა-ძიების ბუნებრივმა გზამ მიიყვანა აღნიშნული მეთოდების გამოყენებამდე.

იგივე უნდა ითქვას კომპლექსურ-სინთეზურ მეთოდზე, რომელიც ახლა ფართოდაა დამკვიდრებული მეცნიერებაში. ამ მეთოდის გამოყენებას, მართალია, სხვადასხვა ხასიათის მასალისათვის უპირატესობის მინიჭებით, პირველად ვხვდებით ბ. კუფტინთან[8] და განსაკუთრებით ფართოდ გ. მელიქიშვილთან[9].

როგორც ვხედავთ, არქეოლოგიური კულტურისა და ეთნიკური ერთობის მიმართების კვლევამ საქართველოს ისტორიოგრაფიაში ოცი-ოცდაათიანი წლების შემდგომ დიდი ცვლილებები განიცადა მეთოდიკის მხრივ. მიუხედავად

---

[5] Л. Н. Соловьев, Новый памятник культурных связей кавказского Причерноморья в эпоху неолита и бронзы — стоянки Воронцовской пещеры. Труды Абхазского института языка, литературы и истории, XXIX, Сухуми, 1958, გვ. 135—184; ამ ნაშრომის კრიტიკული განხილვა იხ. გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 46, 47; ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბ., 1961, გვ. 230, 231; ავრეთვე В. И. Маркович, Культура племен Северного Кавказа в эпоху бронзы (II тысячелетие до н. э.), МИА, № 93, М., 1960, 116—117.

[6] იხ. ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თბილისი, 1969, გვ. 197—237.

[7] Г. И. Мачавариани, К вопросу об индоевропейско-картвельских (южнокавказских) типологических параллелях. VII международный конгресс антропологических и этнографических наук. Москва, 1964.

[8] Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии. სსმმ, XII-B; მისივე, Материалы к археологии Колхиды, I, 1949.

[9] გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის თბ., 1965; ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას აქ უფრო დეტალურად შევეხოთ ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევის განვითარების საკითხს ჩვენში. ეს საკითხი ზემოთ განვითარებული თვალსაზრისით განხილული გვაქვს სპეციალურ ნაშრომში — „არქეოლოგიური კულტურა და ეთნიკური ერთობა (მიმართების პრობლემა)", რომელსაც ვამზადებთ გამოსაცემად.

ამისა, პრობლემისადმი დამოკიდებულების პრინციპების თვალსაზრისით მაინცადამაინც დიდი ძვრები არ მომხდარა. ამიტომ ის საერთო თავისებურება, რაც ახასიათებს ჩვენში შემუშავებულ ისტორიულ-არქეოლოგიურ კონცეფციებს, ეს არის მყარი მეთოდური წანამძღვრის უქონლობა. იგულისხმება არა მხოლოდ ის, რომ საქართველოს ისტორიოგრაფიაში არავის ჩამოუყალიბებია თეორიული დასაბუთება, რა პრინციპების საფუძველზე უნდა განიხილოს არქეოლოგიური კულტურისა და ეთნიკური ერთობის მიმართება (არაფერს ვამბობ თვით ამოსავალ ცნებათა განსაზღვრის ცდაზე), არამედ ის, რომ არც ერთი კონკრეტული დაკავშირების შემთხვევაში არ იგრძნობა, რომ ეს დაკავშირება რაღაც კანონზომიერ პრინციპებზეა დამყარებული. ამით აიხსნება ის შეუსაბამობანი, როცა არქეოლოგიური კულტურა ერთ შემთხვევაში მიჩნეულია კონკრეტული ეთნიკური ერთობის მაჩვენებლად, ხოლო მეორე შემთხვევაში კი რამდენიმე, ზოგჯერ არა მონათესავე ეთნიკური კოლექტივებისაც კი; ანდა როცა კულტურებს შორის გენეტიკური კავშირი, მართებულად, განიხილება, როგორც ერთი ეთნიკური ერთობის განვითარების სხვადასხვა საფეხურის მაჩვენებელი, მაგრამ იმავე დროს ის ეთნიკური კოლექტივი, რომელიც მიჩნეული იყო გარკვეული კულტურის მატარებლად, განვითარების მომდევნო ეტაპზე დაკავშირებულია სრულიად სხვა კულტურასთან და ა. შ. ეს ყოველივე პრობლემისადმი ნებისმიერ დამოკიდებულებაზე მიუთითებს, თუმც აღნიშნული შეუსაბამობანი შესაძლოა ძიების პროცესსაც ასახავდეს. ყოველ შემთხვევაში, ის აზრთა სხვაობა, რომელიც სუფევს ჩვენს მეცნიერებაში ცალკეულ მიმართებათა მხრივ, აშკარად ძიების პროცესის მაჩვენებელია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პრობლემა გადაწყვეტილი არ არის და ამიტომ ამ პრობლემის გადაწყვეტის ყოველმა ახალმა ცდამ, საქართველოს არქეოლოგიური კულტურების ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრის ახალი შესაძლებლობის წამოყენებამ შეიძლება სარგებლობა მოუტანოს ისტორიულ-არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას. ამ რეშენით დაიწერა წინამდებარე ნაშრომი, რომელშიც კოლხეთის არქეოლოგიური კულტურების ეთნიზაციის კიდევ ერთი შესაძლებლობაა მოცემული

თავი პირველი

კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ეთნოგენეზისა და არქეოლოგიის ზოგიერთი საკითხი

უპირველეს ყოვლისა, სვან და მესხ ტომთა შესახებ. წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ სვან და მესხ ტომთა საკითხი ურთიერთკავშირშია განსახილველი. ყოველ შემთხვევაში, ამ კავშირის შესახებ საისტორიო წყაროებში, როგორც ეს ქვემოთ იქნება ნაჩვენები, სრულიად გარკვეული მითითებები მოიპოვება და არ იქნებოდა სწორი ამ ცნობებისათვის ანგარიში არ გაგვეწია.

მესხებს, ჩვეულებრივ, იბერულ ტომებად, ე. ი. ქართებად მიიჩნევენ, თუმც ამის შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობს. კიდევ მეტი, არც იბერების ქართებად მიჩნევისათვის გვაქვს მაინცდამაინც მტკიცე საყრდენი. მიუხედავად იმისა, რომ გვიან წყაროებში მოხსენიებული იბერია აშკარად ქართლს გულისხმობს, ხოლო იბერები—ქართლის მცხოვრებთ.

იდეა იბერებისა და ქართების იდენტობისა, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, მესხების იბერ-ქართებად მიჩნევისა სულ უფრო და უფრო მკვიდრდება ჩვენს მეცნიერებაში. ამ ბოლო დროს წამოყენებული იყო დებულება, რომ ქართების ერთ-ერთ უმთავრეს ჯგუფს მესხეთის მოსახლეობა შეადგენდა. აქედან ეს მესხური, ე. ი. ქართის ტომები შემოდიან შიდა ქართლში, რაზეც მიუთითებს აქ მ ე ს ხ სახელთან დაკავშირებული მ ც ხ ე თ ა ტოპონიმის გაჩენა, ან მცირეაზიური ონომასტიკონის (ა რ მ ა ზ ი, ზ ა დ ე ნ ი, დ ი მ ნ ა, ტ ე ლ ე ფ ი ს ი) დამკვიდრება. ამ თვალსაზრისით გამახვილებულია ყურადღება პროკოპი კესარიელის ცნობის მიმართაც, რომელშიც მესხები იბერების ჩორჩილ და მათსა და ლაზებს შორის მცხოვრებ მოსახლეობად გვევლინებიან[1]. სრულიად ცხადია, რომ ახ. წ. VI საუკუნის მესხური ტომები გაქართველებული იყვნენ (და განა მარტო მესხები), მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგივეს თქმა შეიძლება ადრინდელ მესხებზე. პროკოპის ცნობაში სხვა გარემოებაც იქცევს ყურადღებას, თუ მას არეული არა აქვს მოვლენები, მაშინ მისი ცნობის თანახმად მოსხები სადღაც რაჭა-ლეჩხუმის მთებში ცხოვრობდნენ და არა იმ ქვეყანაში, რომელსაც, ჩვეულებრივ, მესხეთს უწოდებენ. ამაზე ნათლად მიუთითებს ცნობა იმის შესახებ, რომ მესხების მთებით მოედინება ფასისი, რომელსაც სათავე კავკასიის მთებში აქვს და რომ მესხების მთებიც კავკასიის მთებამდე

---

[1] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 67, 68; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, გვ. 87—92.

გრძელდება[2]. ეს ნიშანდობლივი გარემოებაა ფრიად და მას ჩვენ კიდევ ერთხელ დაუბრუნდებით.

ეს შეეხება შიდა ქართლის ზემოთ ხსენებულ ტოპონიმებს, ირკვევა, რომ ისინი მხოლოდ შიდა ქართლში არ დაილექნენ და მათ საქართველოს სხვა მხარეებშიც ვხვდებით. ეს კი შეიძლება უფრო დიდი და ადრეული პროცესის კვალზე მიუთითებდეს და არაქართების ნაკადის შეჭრაზე შიდა ქართლში. მართლაც, თუკი უდავოა, რომ მ ცხ ე თ ა სახელი მ ე ს ხ ეთნონიმს უკავშირდება, მაშინ ასევე უთუოდ შეიძლება იყოს ამ უკანასკნელის კავშირი სვანეთში დამოწმებულ ტოპონიმთან მ ც ხ ე თ ა შ[3]. მით უმეტეს, რომ სვანეთში ჩვენ ვხვდებით სხვა მცირეაზიურ-ხეთურ რეალიებსაც. გავიხსენოთ თუნდაც ხეთური ნაყოფიერების ღვთაების წარმავალი და კვლავ აღმდგარი, ამღორძინებელი ტელეფინუშის კვალი სვანურ საგალობელსა და რიტუალში „ადრეკილაჲ წაგვივიდა და მოგვივიდა“ და „მელიაჲ ტელეფიაჲ“[4]. საინტერესოა, რომ ტელეფინუშის კულტისა და სახელის კვალი ერთობ მკრთალია საშუალედო ზოლში, რაც საფიქრებელს ხდის, რომ ამ კულტურის გამოძახილიცა და ღვთაების სახელიც თვით სვანთა ტომების მიერაა მოტანილი მცირეაზიური სამყაროდან. მართალია, არის ცდები ტელეფინუში დაინახონ თრიალეთის ვერცხლის სასმისის სარიტუალო პროცესიის მთავარი ფიგურის გამოსახულებაში[5], ხოლო მეორე მხრივ ქვაცხელაზე დადასტურებულ რიტუალსა და ადგილის სახელწოდებაში ტ ვ ლ ე პ ი ა-ქ ო ხ ი[6], ანდა მისი სახელი დაუკავშირონ ლაზიკის ერთ-ერთი პუნქტის ტ ე ლ ე ფ ი ს ი ს სახელს (ტოლებს)[7], მაგრამ ეს შესატყვისობანი დამატებით დასაბუთებას საჭიროებენ. ესეც არ იყოს, ყველა ეს სახელი აღნიშნულ ადგილებში სვანური მოსახლეობის ბინადრობის კვალზე უნდა მიუთითებდეს. რადგან თვით შიდა ქართლის ზოგ ტოპონიმშიც კი მოისმის სვანურის გამოძახილი. ასეთთა რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს სახელწოდება კ ო ჯ ო რ ი, რომელშიც თავს იჩენს სვანური კლდის აღმნიშვნელი სიტყვა კ ო ჯ[8].

საერთოდ, ის მცირე ტოპონიმური მასალაც კი, რომელზეც ხელი მიგვიწვდება. სვანური ტოპონიმების გავრცელების საინტერესო სურათს გვიშლის. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მდ. რიონისა და მისი მოსახელე ქალაქის ისტორიული სახელწოდება ფ ა ს ი ს ი. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ბერძნულ წყაროებ-

---

[2] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, II, თბილისი, 1965, გვ. 127.

[3] მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, ლეჩხუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანი, ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწ. პედინსტიტუტის შრომები, XVIII, 1958, გვ. 152; შნშ. I. სვანური ტოპონიმების მაწარმოებელი შ- სუფიქსის შესახებ იხ. მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა (შ)- სუფიქსის საკითხისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი, 1963, გვ. 6.

[4] იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში, ენიმკის მოამბე, I, 1937, გვ. 7; მ ი ს ი ვ ე, ქართველი ერის ისტორია, I, 1928, გვ. 59.

[5] შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, თბ., 1944, გვ. 34.

[6] ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ღ ლ ო ნ ტ ი, ურბნისი, I, თბ., 1962, გვ. 52.

[7] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, III, 1936, გვ. 160, შნშ, 311—316; გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

[8] „კოჯ“ — სიტყვის მნიშვნელობისა და მისი მიმართების შესახებ ქართულ (კლდე) და მეგრულ (კირდა, კირდე) შესატყვისებთან იხ. თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 95, 96 შმდ.

ში დამოწმებული სახელწოდება ფ ა ს ი ს (ფასიდ) მიღებულია ფ ა თ ი (ფასთ) სახელიდან, ხოლო მერმინდელი ტოპონიმი ფ ო თ ი ქართულისა და ზანურის „ა“ და „ო“ ბგერათა კანონზომიერი შესატყვისობის საფუძველზე აღმოცენებული ფ ა თ ი სახელის ზანური ვარიანტია, რომელიც ბერძნული კოლონიზაციის შემდეგაა წარმოქმნილი[9]. მაგრამ ირკვევა, რომ ბერძნულ წყაროებში მოხსენიებული სახელი ფ ა ს ი ს, ფ ა ს ი დ დამოკიდებულია სახელწოდების სვანურ ფორმაზე ფ ა შ დ, რაც მიჩნეულია რიონ-ფოთის მხარეში ბერძნების გამოჩენამდე სვანური მოსახლეობის არსებობის მაჩვენებლად[10].

თუ გადავხედავთ დასავლეთ საქართველოს დღემდე ცოცხალ ტოპონიმებს, შესაჩჩნევი გახდება არა მარტო სვანური სახელების კვალი, რაც ერთ დროს აქ სვანურენოვანი მოსახლეობის ხანგრძლივ ბინადრობაზე მიგვითითებს, არამედ დროთა ვითარებაში ამ მოსახლეობის მოძრაობის მიმართულებაც. ამ მხრივ განსაკუთრებით ნიშანდობლივია დასავლეთ საქართველოს მთავარი საკომუნიკაციო არტერიის რიონის ხეობა. თვით რიონის სახელი ფ ა ს ი დ ი, როგორც აღვნიშნეთ, სვანური ფ ა შ ა დ ფორმიდან მომდინარეობა მიჩნეული, რიონის გაყოლებაზე ლეჩხუმის ტოპონიმების უმრავლესობას ასევე სვანურის საფუძველზე ხსნიან. ეს სახელები „იშ“//„შ“ სუფიქსით იწარმოება, ხოლო ერთ ნაწილს ეძებნება სვანური ეტიმოლოგიაც: მაგალითად, ტოპონიმში ტ ვ ი შ ი ამკარად ისმის სვანური მტვრის აღმნიშვნელი სიტყვა ტ ვ ი ს. ჭ ყ ო ი შ ი — სვანურად ჭაობიანი ადგილია, ლ ე-დ ე შ ტ ო სვანურად სადათვეს ნიშნავს, ლ ე-შ კ ე დ ა შეესაბამება სვანურ ლ ე შ გ ე დ ო ს და ჩრდილნარს აღნიშნავს[11] და ა. შ. სვანური მასალის საფუძველზე იხსნება, როგორც ცნობილია, თვით მხარის სახელწოდებაც ლ ე ჩ ხ უ მ ი, ამ ტერმინში გამოჰყოფენ „ლე“ სვანურ პრეფიქსს, ხოლო ჩ ხ უ მ სიტყვას მიიჩნევენ სვანური რცხილის აღმნიშვნელი სიტყვის ც ხ უ მ, ც ხ ვ ი მ შესატყვისად[12]. ასეთივე ვითარებასთან გვაქვს საქმე ხოხუმის სახელის ძველ ქართულ წყაროებში დამოწმებულ ც ხ უ მ ფორმასთან დაკავშირებით. ამ სახელსაც სვანური რცხილის აღმნიშვნელი სიტყვა ც ხ უ მ უნდა ედოს საფუძვლად[13]. ასე უნდა განიმარტოს, როგორც ჩანს, ლ ა ნ ჩ ხ უ თ სახელიც და აგრეთვე მდინარე ც ხ უ მ ურ-ის სახელწოდებაც[14]. არანაკლებ საინტერესოა ამ მხრივ კ ა ც ხ ი სახელიც. ასეთი ტოპონიმი დასტურდება ორგან: ზემო იმერეთში ჭიათურასთან და სვანეთში მესტიის რაიონში. სრულიად ცხადია, რომ აქ არ შეიძლება საქმე გვქონდეს სვანეთში უცხო

---

[9] H. V o g t. Remarque sur la prehistoire des Languas Kharthveliennes, BK, vol., XI—XII, № 36-37, 1961, გვ. 9.

[10] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 60—61.

[11] მ. ა ლ ა ვ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 152; მ. ქ ა ლ დ ა ნ ი. ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა -იშ (-შ) სუფიქსის საკითხისათვის. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი, 1963, გვ. 67—77.

[12] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, 1951, გვ. 422; გ. ჩ ი ტ ა ი ა, ლეჩხუმის ექსპედიციის მოკლე ანგარიში. საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე, XII, 1944, გვ. 267; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ. შრ., II, გვ. 100; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 147.

[13] Н. Я. M a p p, Термин «Скиф». Избранные работы, V, 1935, стр. 32; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა. გიორგი მერჩულე, გვ. 147; გ. მელიქიშვილის ცნობით, იგივე აზრი გამოთქვა ენათმეცნიერების ინსტიტუტში წაკითხულ მოხსენებაში მ. ქ ა ლ დ ა ნ მ ა (იხ. გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი ს დასახ. ნაშრ., გვ. 68, შშ. 41).

[14] Н. Я. M a p p. Термин «Скиф», გვ. 33; შდრ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, III, 1959, გვ. 146.

ტოპონიმის გვიანდელ ხელოვნურ გადანერგვასთან. ამ მხრივ სვანეთი შეუბღალავი ჩანს, არც პირუკუ პროცესია ლოგიკურად დასაშვები. ამიტომ არ იქნება ზოგადადელი კაცხ სიტყვას სვანური ეტიმოლოგია დაეძებნოს, რაც სვანური ტომების ბინადრობისა და მოძრაობის კიდევ ერთ ადგილსა და გზას მიგვანიშნებდა.

ამრიგად, სვან ტომთა კვალს აშკარად გაედევნება თვალი რიონის აუზში, შესართავიდან თითქმის სათავეებამდე, ენგურსა და ცხენისწყალს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე, რამდენადმე აღმოსავლეთითაც ცხენისწყალის ზაზიდან, თვით ენგურის ხეობაში, რომლის ზემო წელი დღესაც მათ უკავიათ და ჩრდილო-დასავლეთით მერმინდელ აფხაზეთში, ისტორიული ცხუმის მიდამოებში (იხ. რუკა). მაგრამ, საკითხავია, შეიძლება თუ არა აღნიშნული მიწა-წყალი ჩაითვალოს სვანურენოვანი მოსახლეობის თავდაპირველი ბინადრობის ადგილად. თუ სვანური ონომასტიკონი დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სვანურენოვანი მოსახლეობის არსებობის მაჩვენებელია, უფრო ადრეული ნიშნები, რომელიც სვანურ ენასა და ეთნოგრაფიაშია დალექილი, ნათლად მიუთითებს იმაზე, საიდანაა ეს მოსახლეობა მოსული. ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ ტ ე ლ ე ფ ი ნ უ შ ი ს კულტის კვალის არსებობა სვანურ საკულტო საგალობელსა და რიტუალში „ადრეკილაჲ წაგვივიდა და მოგვივიდა“ და „მელაჲ ტელეფიაჲ“. აღსანიშნავია, რომ ტ ე ლ ე ფ ი ნ უ შ ი ს ა და მისი მეუღლის ხ ა ტ ე პ ი ნ უ შ ი ს სახელები და ამ ღვთაებათა კულტი ხათურია[15] და მათი სათავე მცირე აზიის უძველესი მოსახლეობის რელიგიურ წარმოდგენებშია საძებარი. ირკვევა, რომ მ ე ლ ი ა-ტ ე ლ ე ფ ი ა ს პირველი ნაწილიც მ ე ლ ი ა უკავშირდება ხეთური მითის პერსონაჟს ფუტკარს (შდრ. ხეთური LAL-it, melit „თაფლი“, Nim. LAL-aš „ფუტკარი“) და რომ ეს სიტყვაც. სვანურში უშუალოდ უნდა მოხვედრილიყო ხეთური ენობრივი სამყაროდან[16]. აქვეა გასახსენებელი კარგა ხნის წინ შემჩნეული აშკარა კავშირი პროტოხეთურ სიტყვა Wor-სა (=ქვეყანას) და სვანურ ვ ო რ (=მიწას) სიტყვას შორის[17].

ამ მხრივ ყურადღება უნდა მიექცეს კიდევ ერთ გარემოებას: რკინის აღმნიშვნელი სახელები ძველ ენებში აქადური parzillu, ებრაული berzel, უგარიტული brsl სემიტურ სიტყვებად არ მიიჩნიათ. თვლიან, რომ ეს ტერმინები ანატოლიური წარმოშობისაა და მიუთითებენ ტიბარენულ სამყაროსთან მათ კავშირზე[18]. მაგრამ არ აღნიშნავენ, რა მასალის საფუძველზეა გამოთქმული ეს ვარაუდი. სვანური ამ მხრივაც გვაწვდის შესადარებელ მასალას. ეს არის რკინის აღმნიშვნელი სიტყვა ბ ე რ ე ქ, რომელიც, როგორც ვხედავთ, სემანტიკურადაც და

---

[15] A. G o e t z e. Kleinasien. München, 1957, გვ. 135. ავტორი ვარაუდობს, რომ აღნიშნული ღმერთების სახელები შეიცავს ხეთურ სიტყვას b pinu ნიშნავს „შვილი“, „ძე“ (იქვე, შნშ. 9). იგივე აზრი ჰქონდა გამოთქმული ა. გოეცეს მითითებული შრომის პირველ გამოცემაში, რომელსაც ბ. კეფტინი ემყარება. ეს უკანასკნელი საძიებელ სახელებში გამოჰყოფდა აგრეთვე le მრავლობითობის პროტოხეთურ პრეფიქსს და მოლიანად სახელს Te-le-binu თარგმნიდა — „ღმერთი შვილებისა“ (შვილიერების შინაარსით) (იხ. Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941, стр. 90, შნშ.).

[16] Н. А. Б е н д у к и д з е. Хеттский миф о Телепину и его сванские параллели. Вопросы древней истории (Кавказско-ближневосточный сборник, IV). Тб., 1973, стр. 100.

[17] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, გვ. 201.

[18] R. D u s s a u d. Prelidiens, Hittites et Achéens. Paris, 1953, გვ. 162.

ბგერობრივადაც მთლიანად ემთხვევა ზემოთ მოტანილ ასევე რკინის აღმნიშვნელ სემიტურ ტერმინებს. ეს შეხვედრა ადრე იყო შემჩნეული[19], ჩვენ გვინდა მხოლოდ ამ დაკვირვების მიმართ კვლავ გავამახვილოთ ყურადღება, რადგან ამ მოვლენას მეორე მხარეც აქვს და ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საინტერესოა ქართველი ხალხის ეთნიკური განვითარების ისტორიის თვალსაზრისით. საქმე ისაა, რომ რკინის ცნების გადმოცემაში სვანური სცილდება ქართულსა და ზანურს, რომელთაც საერთო სიტყვა აქვთ საამისოდ, და ქართველურისათვის უჩვეულო ტერმინს ხმარობს. რაკი სვანურში რკინის აღმნიშვნელი სიტყვა დანარჩენ ქართველურ ენებთან ერთად არ არის შემუშავებული, უნდა ვიფიქროთ, რომ რკინის ხმარების დაწყებისათვის სვანურენოვანი ტომები მოწყვეტილი არიან დანარჩენ ქართველურ მასას და სვანურიც დამოუკიდებლად არსებობს. მაგრამ, სპილენძ სიტყვასაც მხოლოდ საერთო ქართულ-ზანური ფუძე უდასტურდება[20]. მაშასადამე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საერთო-ქართველური დაშლილი ჩანს (სვანურად და ქართულ-ზანურად) კიდევ უფრო აღრე სპილენძ ცნების გაჩენის ხანაში, თუ კი, რა თქმა უნდა, ამ ცნებების დანერგვა ლითონთა გამოყენებისა, ისტორიაში ცნობილ, თანმიმდევრობასთანაა დაკავშირებული.

როგორც არ უნდა გადაწყდეს ბერეჟ სიტყვის წარმომავლობისა და მისი მიმართების საკითხი ზემოხსენებულ რკინის აღმნიშვნელ სემიტურ ტერმინებთან, მათი დამთხვევის ფაქტია, უპირველეს ყოვლისა, ნიშანდობლივი. ცხადია, რომ ასეთი სრული დამთხვევა არ შეიძლება შემთხვევითი იყოს. იგი, როგორც ჩანს, სვანი ტომებისა და წინა აზიის სემიტების უშუალო კონტაქტების შედეგია. სად ხორციელდებოდა ეს კონტაქტები, ამაზე ნათლად მეტყველებს სვანეთში დადასტურებული ისეთი ტოპონიმები, როგორიცაა უკვე სხენებული მცხეთაშ და განსაკუთრებით კი ხალდეშ სახელი. საგულისხმოა, რომ ხალდეშ ტოპონიმი დამოწმებულია ლეჩხუმშიაც[21], სვანი ტომების ადრინდელი ბინადრობის მხარეში, სადაც დალექილია კიდევ ერთი, ასევე აშკარად ეთნიკური სახელიდან მომდინარე ტოპონიმი ნასპერი. ეს უკანასკნელი, ერთი მხრივ, სრულიად აშკარად უკავშირდება სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ქვეყნისა და ტომის სახელს სპერი (ვარიანტები — სასპეირი. სასპერი, ჰესპერი), ხოლო, მეორე მხრივ, დამაჯერებლობას ანიჭებს ვარაუდს ხალდეშ ტოპონიმის პონტოსპირელი ხალდების ეთნიკურ სახელთან კავშირის შესახებ[22]. ამ ორი ტოპონიმის თანაარსებობა სვანთა განსახლების სფეროში სრულიად გამორიცხავს ისეთი ვარაუდის შესაძლებლობას, რომ ისინი შემთხვევით შეესატყვისებიან სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ზემოხსენებულ ეთნონიმებს.

მეორე მხრივ, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც შეიძლება თავი იჩინოს სვან ტომთა კვალმა. ადვილი შესაძლებელია, რომ ბერძნული მწერლობისათვის ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებიდან კარგად ცნობილი მოსინიკები თუ მოსინები სვანთა ერთ-ერთი ტომი იყოს; ყოველ შემთხვევაში, სავსებით დასაშვებია კავშირი მოსინიკების სატომო სახელსა μοσσύν-ი

---

[19] А. Сванидзе, Материалы из истории алародийских племен, Тбилиси, 1937, стр. 59.

[20] Г. А. Климов, ЭСКЯ, М., 1964, стр. 153.

[21] ვ. ალავიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

[22] ხალდეშ ტოპონიმს პონტოსპირელი ხალხების სახელს უკავშირებდა ნ. მარიც. ამ სახელის შემოტანას საქართველოში იგი ხსნიდა სვანი ტომების სამხრეთიდან მიგრაციით (Н. Я. Марр, Термин «Скиф», стр. 39).

და სვანების თვითსახელდების ერთ-ერთ ვარიანტს მ უ შ უ ნ ი შორის; როგორც ცნობილია, სვანთა სახელის მ უ შ ვ ა ნ ვარიანტს უკავშირებენ კოდორის ხეობისა და მისი მოსახლეობის ახ. წ. პირველი საუკუნეების წყაროებში დამოწმებულ სახელებს μισσιανή // μυσιμιανή და μισσιμιαν-οι // μισσιμιαν-οι[23]. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ამ სახელწოდებებს კავშირი ჰქონდეს μοσσυν-οι ეთნონიმთან. ყოველ შემთხვევაში, ბგერობრივი შესატყვისობა აღნიშნული ტერმინებისა სრულიად აშკარაა. ამიტომ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მისიმიანთა სახით სამხრეთიდან მოსულ მოსინებთან გვაქვს საქმე. ეს არ იქნებოდა არც პირველი და არც უკანასკნელი შემთხვევა სამხრეთული ეთნონიმიის განმეორებისა ჩრდილოეთში, რაც ნათელსა ჰფენს ეთნიკური ჯგუფების მოძრაობის მიმართულებას.

ამ მხრივ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ საისტორიო ტრადიცია, რომელიც დაცულია „ფასისელთა პოლიტიაში"[24], მდ. რიონის მოსახლეობად ჰ ე ნ ი ო ხ ე ბ ს ასახელებს[25], ე. ი. ხალხს, გ. მელიქიშვილის სამართლიანი შენიშვნის თანახმად, ანტიკური მწერლობა რომ ალბანელებთან, იბერებთან და კოლხებთან ერთად ამიერკავკასიის უმთავრეს ეთნოსად წარმოგვიდგენს[26]. აღნიშნულ ცნობას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არა მარტო თავისი შინაარსის გამო, არამედ იმიტომაც, რომ მისი შინაარსი არცერთ სხვა წყაროში არ მეორდება. მაგრამ აღნიშნულ გარემოებათა გამო განსახილველი ცნობა შეიძლება ხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საგანი გახდეს. ამ ცნობის ახლებური თარგმანისა და გაგების ცდა ჯერჯერობით თ. ყაუხჩიშვილს ეკუთვნის. მისი თარგმანია: „ფასისელთა (სახელმწიფო წყობილებიდან). ფასისში თავდაპირველად ჰენიოხები ცხოვრობდნენ. კაციჭამია და ადამიანთა ტყავისგამხდელი ტომი. შემდეგ კი მილეტელები. ხოლო ესენი სტუმართმოყვარენი არიან, ისე, რომ ამარაგებენ მათ, ვისაც გემები ეღუპებათ, 3 მნას აძლევენ (მილეტელებს ესენი) და ზღვითვე მიემგზავრებიან"[27].

ფ ა ს ი ს ე ლ ე ბ ი (φασιανοί: დედანში სათაურად ნახმარია ამ სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა φασιανῶν ე. ი. ფასისელთა — იგულისხმება სახელმწიფო წყობილება) თ. ყაუხჩიშვილს მიაჩნია არა ტომის სახელად, არამედ ქალაქის სახელიდან ნაწარმოებ ზედსართავ სახელად, თუმც თავისი შრომის მომდევნო გვერდებზე მას მოაქვს ისეთი მასალაც, რომლის მიხედვით საძიებელი სიტყვა წარმოგვიდგება სწორედ, როგორც სატომო სახელი. ამიტომაცაა, რომ უფრო ქვემოთ ასეთი ინტერპრეტაცია მას საორჭოფოდ აქვს წამოყენებული[28].

მეორე სიტყვა, რომლის შინაარსიც დასაზუსტებელია, ესაა φασιν. ამ სიტ-

---

[23] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, მისიმიანთა ტომი. თსუ შრომები, I, 1936, გვ. 277—280.

[24] ამ ნაწარმოებს ჩვეულებრივ მიაწერდნენ ძვ. წ. IV—III სს. მწერალს ჰერაკლიდე პონტელს, ზოგი კი II ს. მცხოვრებ ჰერაკლიდეს. ავტორების ერთი ნაწილი თვლის, რომ იგი ეკუთვნის არისტოტელეს, ან არისტოტელეს „პოლიტიების" კომპილაციას წარმოადგენს (იხ. А. И. Д о в а т у р. Политика и Политии Аристотеля. М. -Л., 1965, გვ. 134, 137; თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ჰერაკლიდე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ. აღმოსავლური ფილოლოგია, I, 1969).

[25] Carolus Müllerus FHG. 1876, გვ. 218.

[26] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმ. უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, გვ. 65.

[27] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 195.

[28] ი ქ ვ ე, გვ. 195—198.

ყვით იწყება ზემოთ მოტანილი ნაწყვეტი. მას თ. ყაუხჩიშვილი თარგმნის „ფასისში“ და მიაჩნია, რომ ის ქალაქს გულისხმობს[29].

როგორც ამ, ისე ზემოთ მიმოხილულ შემთხვევაში თ. ყაუხჩიშვილის მიერ წამოყენებული ვარაუდები საკვლევით დასაშვებია. ამჯერად ჩვენთვის ეს არ არის არსებითი. მთავარია თვით ცნობის შინაარსი. სრულიად ცხადია, რომ თუ საძიებელ ცნობაში არეკლილი მოვლენის თანამიმდევრობა ზოგადად სწორია, ქრონოლოგიურად ეს მოვლენები არ შეიძლება უშუალო კავშირში იყოს ერთმანეთთან. ჰერაკლიდეს ტექსტიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ როცა მილეტელები ფასისში დასახლდნენ, მათ იქ ჰენიოხები დახვდნენ. ფასისში ბერძნული ემპორიონის შექმნა, როგორც ეს ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ძვ. წ. V ს. დასასრულზე ადრე არ უნდა იყოს სავარაუდო. თუ ჰერაკლიდე ან მისი დედანი — არისტოტელეს „ფასისელთა პოლიტია“, ამ მოვლენას უფრო ადრეულად თვლიდა, მაგ. ძვ. წ. V ს. დასაწყისზე ან უკიდურეს შემთხვევაში VI ს. ბოლოზე ადრე ვერ იგულისხმებდა. ძვ. წ. V ს. მწერალს ჰელანიკეს (480 — 395 წწ.) კი ჰენიოხები ეგულება დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე და რამდენადმე უფრო ჩრდილოეთითაც. ჰელანიკეს ცნობებს ჩვენ ქვემოთ კვლავ დავუბრუნდებით.

მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ არისტოტელესა და ჰერაკლიდეს თანადროული წყაროები, მათ შორის იმ რიგისა, რომელთაც თავისი ხასიათისა და დანიშნულების გამო ზუსტი ცნობების მოწოდება ევალებოდათ, მდ. რიონის მხარეს კოლხეთად თვლიდნენ, ხოლო ქ. ფასისს კოლხეთის მიწა-წყალზე არსებულ ქალაქად, ჰენიოხები კი მათ ასევე ჩრდილოეთით ეგულებოდათ. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ძვ. წ. IV ს. ავტორის ფსევდო-სკილაქს კარიანდელის ცნობებს. ფსევდო-სკილაქსის მიხედვით, კოლხეთი არა მარტო ფასისის აუზია, არამედ ფასისზე უფრო ჩრდილოეთით მდებარე ნაირეებიც, თანამედროვე აფხაზეთის ჩათვლით, ხოლო ჰენიოხები გაცილებით უფრო ჩრდილოეთით მობინადრე ხალხია[30]. ასეთი ვითარებაა ძვ. წ. IV ს. შუახანებში, როცა არისტოტელეს „ფასისელთა პოლიტია“ და ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსი“ იწერებოდა. მაგრამ, ჩანს, ასეთივე ვითარება იყო ძვ. წ. VI ს-შიც და, შესაძლოა, უფრო ადრეც, რადგან, როგორც ირკვევა, ფსევდო-სკილაქსი ემყარება სკილაქს კარიანდელის, ჰეკატე მილეტელისა და სხვა ადრეული ავტორების ცნობებს — სწორედ აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის აღწერის დროს[31].

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე უნდა ვიფიქროთ, რომ ჰერაკლიდე პონტელის ექსცერპტში შემონახული ცნობა, თითქოს მილეტელი ბერძნების ფასისში დასახლების ჟამს იქ ჰენიოხები ცხოვრობდნენ, არ არის ზუსტი. ეს დასტურდება არა მარტო ზემოთ ხსენებული წყაროებიდან, არამედ თვით არისტოტელეს „პოლიტიის“ ერთი ადგილიდანაც, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ავტორს ისევე, როგორც სხვა მის თანამედროვე ავტორებსაც, ჰენიოხები აქეველების მეზობლად ჩრდილო-დასავლეთ ამიერკავკასიაში ეგულება[32]. როგორც

---

[29] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 199—200.

[30] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1967, გვ. 47_{76}, 48_{81}.

[31] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 23, 30; М. П. И н а д з е, Причерноморские города древней Колхиды. Тбилиси, 1968, გვ. 48—55; იქვე სათანადო ლიტერატურა.

[32] ВДИ, № 2, 1947, გვ. 330.

ჩანს, „ფასისელთა პოლიტიაში“ და მის ჰერაკლიდესეულ ექსცერპტში ორი სხვადასხვა დროის მოვლენაა დაკავშირებული.

ცნობილია, რომ არისტოტელეს პოლიტიები ორი ნაწილისაგან შედგებოდა — ისტორიულისა და სისტემატურისაგან. თუ უკანასკნელი აღწერდა ამა თუ იმ პოლისის, ქვეყნის, ხალხის ავტორის თანადროულ სახელმწიფო წყობილებას, პირველი ნაწილი შეიცავდა გადმოცემას ისევ ამ ქალაქის, ქვეყნის, ხალხის წარმოშობაზე, მათ ადრეულ ისტორიაზე, პირველსაცხოვრისზე, ადათ-წესებზე და ა. შ.[33]. არისტოტელეს პოლიტიებისათვის დამახასიათებელი სქემის მიხედვით ზოგი მკვლევარი, ჩვენი აზრით, მართებულად ასკვნის, რომ ჰერაკლიდეს ექსცერპტში არსებული ცნობა, რომლის მიხედვით ფასისში მილეტელების მოსვლამდე ჰენიოხები ბინადრობდნენ, „ფასისელთა პოლიტიის“ ისტორიულ ნაწილს ეკუთვნის, ხოლო ცნობა მილეტელების სტუმართმოყვარეობის შესახებ დაღუპული ხომალდების მგზავრთა მიმართ, ამ სტუმართმოყვარეობისათვის სათანადო გასამრჯელოს არსებობის შესახებ — სისტემატურ ნაწილს[34]. შემჩნეულია ისიც, რომ ისტორიული ნაწილის შედგენის დროს არისტოტელე ემყარებოდა ადგილობრივ გადმოცემებსა და ტრადიციებს, ყოველგვარი შემოწმებისა და განმარტების გარეშე[35]. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ არისტოტელეს „ფასისელთა პოლიტიაშიც“ და ჰერაკლიდეს ექსცერპტშიც ორი სხვადასხვა დროის მოვლენა — ქ. ფასისში, ან თუნდაც მდ. ფასისზე, ჰენიოხთა ბინადრობა და ბერძენთა ემპორიონის დაარსება, ურთიერთ კავშირშია დასახელებული. თვით ის ფაქტი, რომ ძვ. წ. VI საუკუნიდან მოყოლებული მრავალი საუკუნის მანძილზე ჰენიოხები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში და რამდენადმე უფრო ჩრდილოეთითაც დასტურდებიან, ხოლო იგივე ჰენიოხები, არისტოტელე-ჰერაკლიდეს ცნობით, მდ. ფასისის მცხოვრებნი არიან, იმაზე მეტყველებს, რომ არისტოტელე-ჰერაკლიდეს ცნობის ის ნაწილი, რომელიც ჰენიოხების ფასისზე ბინადრობას შეეხება, უფრო ადრეულ, ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. VI ს. უწინარეს ხანას გულისხმობს; როგორც აღნიშნული გვქონდა, ანტიკურ ისტორიოგრაფიაში ეს ერთადერთი ცნობაა, რომელიც ჰენიოხებს მდ. ფასისზე გვიდასტურებს. ეს კი ზემოთ მიმოხილულ მონაცემებთან ერთად გვაფიქრებინებს, რომ არისტოტელე-ჰერაკლიდეს ცნობაში ასახვა ჰპოვა რომელიღაც უძველესმა ტრადიციამ, რომლის მიხედვით თავდაპირველი ბინადარნი ფასისის მიწა-წყლისა ჰენიოხები იყვნენ.

თუ გამოვალთ იქიდან, რომ ფ ა ს ი დ — სახელი მდინარისა, შემდეგ ქალაქისაც, სვანური ფორმიდან მომდინარეობს და რომ სვანური ონომასტიკონი როგორც უძველესი, ყოველ შემთხვევაში, ზანურის წინა ფენა თავს იჩენს ფასისისა და მისი მიმდგომი მხარეების, კერძოდ, თანამედროვე აფხაზეთის ტოპონიმიაში, ე. ი. იქ, სადაც სხვადასხვა დროს ჰენიოხები დასტურდებიან (გავიხსენოთ პომპონიუს მელას ცნობა იმის შესახებ, რომ დიოსკური ჰენიოხთა მიწა-წყალზეა დაარსებულიო, Pomp. Melae, I, 111), მაშინ შესაძლებელი გახდება გარკვეული კავშირი დავინახოთ ჰენიოხებსა და ამ სვანურ სახელწოდებებს შორის. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ჰენიოხები სვანური ტომები არიან[36]. ეს მოსაზრება გაიზიარა გ. მელიქიშვილ-

[33] А. И. Доватур, დასახ. ნაშრომი, გვ. 187. 253 შმდ.

[34] М. П. Инадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 64. 65.

[35] А. И. Доватур, დასახ. ნაშრომი, გვ. 147.

[36] И. А. Орбели, Город близнецов Διοσκουριαί и племя возниц Ἡνιοχοι, ЖМНП, 1911, V, გვ. 213.

მაც: მან წამოაყენა მოსაზრება, რომ ჰ ე ნ ი ო ხ სახელის ვარიანტი შეიძლება იყოს სახელწოდება სანიგებისა, რომლებიც ახ. წ. I—II სს-დან იხსენიებიან თანამედროვე აფხაზეთში. ავტორის აზრით, ეს სახელები ბგერითი შემადგენლობის ნაწილად ახლოს დგანან ერთიმეორესთან. თავკიდურ „ჰ“ და „ს“ მონაცვლობას ის არ თვლის შეფერხებად, რადგან ასეთსავე მონაცვლეობას ხედავს ისეთი სახელების შესატყვისობის დროს, როგორიცაა: ს პ ე რ და ჰ ი ბ ე რ//ი ბ ე რ. გარდა აღნიშნულისა, სანიგ-ჰენიოხთა იგივეობის სასარგებლოდ ავტორი აქცევს ყურადღებას იმასაც, რომ არტემიდორეს (როგორც ჩანს, ეფესელის) ცნობათა თანახმად, თუ ჰენიოხები დღევანდელ სოხუმსა და სოჭს შორის თავსდებიან, არიანეს ცნობათა მიხედვით, იმავე რაიონში ცხოვრობდნენ სანიგებიც. სანიგ-ჰენიოხთა იგივეობის თვალსაზრისით მანვე მიაქცია ყურადღება, ჩვენი აზრით, ერთ მნიშვნელოვან ნიუანსსაც: მემნონი (ახ. წ. I—II სს.) პონტოს შიდა რაიონებში ასახელებს სანიგებსა და ლაზებს, რომელთა ადგილზე სტრაბონის ტექსტში (XI, 5, 6) ვხვდებით ჰენიოხებსა და კოლხებს[37]. ცხადია, რომ აქ სტრაბონის კოლხები მემნონის ლაზებს შეესაბამებიან, ხოლო ჰენიოხები — სანიგებს. ამ შესატყვისობას გვიდასტურებენ კოლხებისა და ლაზების შესაბამისობის შესახებ არსებული პირდაპირი მითითებები, რომელთაც V თავში საგანგებოდ შევეხებით.

საინტერესოა ისიც, რომ პომპონიუს მელა, როგორც აღვნიშნავდით, დიოსკურიას ასახელებს ჰენიოხების ქვეყანაში, ხოლო არიანეს მიხედვით სებასტოპოლისი (=დიოსკურია) სანიგების მიწაწყალზეა (შდრ. Arr., Peripl., 11).

გ. მელიქიშვილის მოტანილი მოსაზრებები უთუოდ ანგარიშგასაწევია. დამაჯერებლად გვეჩვენება ვარაუდი ს ა ნ ი გ სახელის მიჩნევისა ჰ ე ნ ი ო ხ ეფონიმის ვარიანტად. მართლაც, საძიებელ ტოპონიმებში თავკიდური „ჰ“-სა და „ს“-ის ვარირება გვაქვს არა მარტო ს პ ე რ და მისი სავარაუდო შესატყვისების ჰ ი ბ ე რ // ი ბ ე რ სახელებში, არამედ თვით ს პ ე რ სახელის ვარიანტებშიც: მაგალითად, σάσπειρ-ες // ἐσπερῖτ-αι, შდრ. σαννῖγ-αι (ვარიანტი σαννῖχ-αι[38]) და ἡνίοχ-οι. არ არის გამორიცხული σαν-ῖγ//σαν-ῖχ სახელთა კავშირი μο-σσυνοικοί სახელთან, ჩვენ რომ მ უ-შ უ ნ ფორმის შესატყვისად მიგვაჩნია, იმ შემთხვევაში თუ ამ სახელში μο მართლაც თავსართია, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი გამოყოფს[39], ხოლო ικοι ეთნონიმის ბერძნულად გააზრების (μοσσυν + ικοι, „მოსინებში, ხის კოშკებში მცხოვრებნი“) შედეგად ელინიზებული იგ//იხ // იკ სუფიქსია (შდრ. სომხურ წყაროებში დამოწმებული ფორმები ჭან-იკ, ხალტ-იკ). ამ ვარაუდს უნდა ამაგრებდეს წყაროებში დადასტურებული მოსინიკების სახელის ფორმები ხსენებულ დაბოლოებათა გარეშე და თავსართების სხვადასხვა გახმოვანებით: შდრ. Μόσσυνοι—ნიკოლოზ დამასკელთან (SC 1,456), Μόσσυνες—არტემიდორე დალდისელთან და ჰესიხე ალექსანდრიელთან (SC, 1,512,253), Massini—პლინიუსთან (Plin., NH, VI 28).

---

[37] Г. А. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии. Тбилиси, 1959, გვ. 91; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, გვ. 64 შდ.

[38] ეს ვარიანტი დამოწმებულია ახ. წ. V ს. ანონიმურ „პერიპლუსში“ (იხ. ფ ლ ა ვ ი უ ს ა რ ი ა ნ ე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ნ. კეკელიძის გამოცემა, თბ., 1961, გვ. 92).

[39] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, 1913, გვ. 62.

ზემოთ წარმოდგენილმა დაკავშირებამ შეიძლება სხვა მხრივაც მიიქციოს ყურადღება. როგორც ცნობილია, ჰენიოხები შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზეც არიან დადასტურებული. მათ აქ გვიმოწმებს არიანე (ახ. წ. II ს.) უშუალოდ და დიონ კასიოსი (ახ. წ. II—III ს.) არაპირდაპირ[40]. პლინიუსსა (ახ. წ. I ს.) და ახ. წ. V ს. ანონიმს ჰენიოხები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოშიც ეგულებათ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც. V ს. ანონიმი, როგორც ცნობილია, არიანეს იმეორებს ცალკეულ შემთხვევებში სიტყვა-სიტყვით. ასეთი ვითარებაა ჰენიოხებთან და სანიგებთან დაკავშირებითაც[41]. მაგრამ ანონიმი ზოგჯერ სცილდება არიანეს და ჩრდილო-დასავლეთი ამიერკავკასიის აღწერის დროს, იქ სადაც მოსალოდნელი იყო, რომ იგი თავის პირველ წყაროზე დამყარებით სანიგებს მოიხსენიებდა[42], ამ უკანასკნელთა ადგილას ჰენიოხებს გვიმოწმებს[43]. აქ, როგორც ვხედავთ, ისეთივე დამოკიდებულებასთან გვაქვს საქმე, როგორსაც არიანესა და პომპონიუს მელას ცნობებს შორის მიუთითებენ. ეს კი დამატებითი მონაცემებია სანიგთა და ჰენიოხთა გაიგივების შესაძლებლობის სასარგებლოდ.

ანონიმი სხვა მხრივაც სცილდება არა მარტო თავის პირველ წყაროს, არამედ სხვა წყაროთა ცნობებსაც, როდესაც გადმოგვცემს, რომ „ჰენიოხების ზემოთ ეგრეთწოდებული კასპიის ზღვაა, მას გარშემო ჰყავს შემოხვეული ბარბაროსთა ტომები, რომელნიც ცხენის ხორცით იკვებებიან. მის ახლოს მიდიელთა საზღვრებია"[44]. ეს ის ცნობაა, რომელიც, ჩვენი აზრით, გაამაგრებდა ვარაუდს ანტიკური წყაროების ჰ ე ნ ი ო ხ ე ბ ი ს ა და ძვ. წ. VIII ს. ურარტული წარწერების ი გ ა ნ ი ე ბ ი ს იგივეობის შესახებ[45]. ჰენიოხთა კვალი შეიძლება მოიძებნოს ძვ. წ. VIII საუკუნის სხვა აღმოსავლურ წყაროშიც, რომელსაც საფუძვლად უდევს გაცილებით უფრო ადრეული საისტორიო ტრადიცია. მხედველობაში გვაქვს „შესაქმე" და იქ მოხსენიებული ე ნ ო ხ ი (IV, 17), რომელიც, როგორც ცნობილია, ჰენიოხთა ეთნარქოსადაა მიჩნეული[46].

---

[40] იხ. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ჰერაკლიდე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 208.

[41] შდრ. ა რ ი ა ნ ე ს § 11, ანონიმის §§ 8, 10 (იხ. ფ ლ ა ვ ი უ ს ა რ ი ა ნ ე, დასახ. გამოცემა, გვ. 42—43, 88—89, 90).

[42] ფ ლ ა ვ ი უ ს ა რ ი ა ნ ე, დასახ. გამოცემა, გვ. 43.

[43] ი ქ ვ ე, გვ. 93_8.

[44] ი ქ ვ ე, გვ. 89_9.

[45] იხ. Н. П. У ш а к о в, К походам урартийцев в Закавказье в XI и VIII вв. до н. э., ВДИ, № 2, 1946, გვ. 31—44.

[46] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, 1913, გვ. 44. აქ არ ვეხებით ჰენიოხთა ზანური ტომებისადმი მიკუთვნების საკითხს. ეს აზრი გატარებულია ქართველი მკვლევრების რიგ ნაშრომებში (იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ქართველი ერის ისტორია, 1913, გვ. 31; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, თუბალ-თაბალ ტიბარენი, იბერი, შრომები, III, 1959. გვ. 11; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, გვ. 135; მ. ი ნ ა ძ ე, ანტიკური ხანის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპიროს მოსახლეობა. საქ. მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყ-ბის მოამბე. II, 1960, 150—151) და არა გვგონია, რომ იგი უფრო დამაჯერებელი იყოს, ვიდრე აზრი ჰენიოხთა სვანი ტომების წრისადმი მიკუთვნების შესახებ. დებულება ჰენიოხთა ზანურობის შესახებ არსებითად ემყარება ჰენიოხ და სანიგ ტომთა იგივეობის იდეას და ამ უკანასკნელის სახელის მსგავსებას „სან" სახელთან. ეს საბუთები კი ფორმალური ხასიათისაა დასაკმარისი არ არის. საქმეს ვერ შველის პლინიუსთან (VI, 12) ს ა ნ - ჰ ე ნ ი ო ხ თ ა ტომის მოხსენიება, რადგან ეს შერწყმული ტერმინი, მსგავსად იქვე მოხსენიებული ა რ მ ე ნ ო - ხ ა ლ ი ბ ი ს ა, სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას ასახავს და არა ეთნიკურ ნათესაობას, თუმც ამ დროს ჰენიოხებიც, მოსინიკებიც და სხვებიც გაზანებული ტომები

ამრიგად, არსებობს გარკვეული მასალა, რომელიც მდ. რიონის აუზში და რიონის ჩრდილოეთით მერმინდელ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში სვანურენოვან მოსახლეობას გვიდასტურებს. მეორე მხრივ, იგივე მასალა გვავარაუდებინებს, რომ ეს სვანურენოვანი მოსახლეობა სამხრეთიდან, როგორც ჩანს, პროტოხეთური გარემოცვიდან მოვიდა. ხეთურ და სვანურ ენათა სიახლოვის რიგი ნიშნები იქნებ იმაზე მეტყველებს, რომ სვანურენოვანი მოსახლეობა პროტოხეთური წიაღიდან გამოვიდა. მართალია, ეს სიახლოვე მცირერიცხოვან ფაქტებში იჩენს თავს, სახელდობრ იდენტობაში, აბსტრაქტული სახელების სვანური პრეფიქსისა „ლი“ და სვანური მრავლობითობის პრეფიქსისა „ლა“ ხეთურ პრეფიქსთან „ლე“[47], მაგრამ ეს და სხვა ხათურ-ქართველური შეხვედრები, სპეციალისტების აზრით, შეიძლება შედეგი იყოს არა მარტო ხათურ და ქართველურ ენათა ხანგრძლივი თანაარსებობისა, არამედ მათი გენეტიკური კავშირისაც[48]. საკითხავია, როდის უნდა ივარაუდებოდეს სვანი ტომების მოსვლა ზემოაღნიშნულ მხარეში? თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ სვანური საერთო-ქართველურ ერთობას გამოეყო ათასი წლით ადრე, ვიდრე დაიშლებოდა ქართულ-ზანური ენობრივი ერთობა, როგორც ეს მიღებულია ენათმეცნიერებაში[49], მაშინ, ცხადია, ათასი წლით ადრე, ვიდრე დასავლეთ საქართველოში ზანური ელემენტი იჩენდა თავს. ცხადია, აქ ათასი წელი სიმბოლური ოდენობაა, დიდი დროის აღმნიშვნელი და მას მხოლოდ პირობითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს.

სვანი ტომების მოსვლა დასავლეთ საქართველოში იყო სწორედ ის აუცილებელი პირობა, რომელსაც უნდა გამოეწვია საერთო-ქართველური მაჩიდან მათი ენობრივი მოწყვეტა. მაგრამ ეს არ იყო მოსულთა ერთადერთი და, როგორც ირკვევა, არც პირველი ნაკადი, რაზეც თვალნათლივ მიუთითებს, თუნდაც, სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს-ჩერქეზულ-ადიღეური ტოპონიმები[50],

---

არიან. ჩვენ არ ეჩერდებით არც ვ. ალენის შეხედულებებზე ჰენიოხთა შესახებ, მიუხედავად რიგი საინტერესო დაკვირვებისა. წარმოდგენილი მიმართებანი ვ. ალენთანაც ნებისმიერი ხასიათისაა. მაგ. იგი ჰენიოხთა სახელს უკავშირებს აიასა და ჰაიასას სახელებს. ამავე დროს მას მიაჩნია, რომ ჰ ე ნ ი ო ხ სახელში მოცემულია სამმაგი მრავლობითი რიცხვის ნიშანი: ურარტული „ხ“, ბერძ. ნული „ოი“ და ქართული „ნ“. ამრიგად, ფუძეა ჰე-ი, ჰა-ი, ხოლო მრავლობითი რიცხვია ჰე-ნ-ი მეტიც, აღნიშნულ ფუძისეულ ფორმებს უკავშირებს პირის ნაცვალსახელებს სხვადასხვა ენაში და ქართულშიც. ამ საფუძველზე პროთოხეთების სახელის ამოსავალ ფორმად იღებს Hatti სიტყვას, რომელსაც შლის Ha+ქართული სუფიქსი eti(-ეთი). მთლიანად Haeti ნიშნავს, მისი აზრით, „აქ თეითონ“, „ჩვენი მიწა“ (იხ. W. E. D. A l l e n. Ex Ponto I. BK, № 30—31; ᲛᲘᲡᲘᲔᲔ. Ex Ponto V. Heniochi-Aea-Hayasa. BK, N 34—35).

[47] იხ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, თბილისის უნივერსიტეტი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVII, თბილისი, 1970, გვ. 8, 9.

[48] დამთხვევები, როგორც ცნობილია, გამოვლინებულია არა მარტო ხათურსა და სვანურს შორის, არამედ ხათურსა და საერთო ქართველურს შორისაც: ერთნაირი ჩანს, მაგალითად, მესამე პირის ნიშანი ხათურსა და ქართველურ ენებში, ისევე როგორც კუთვნილებისა და წარმომაელობის სუფიქსი „ელ“; ადარებენ აგრეთვე ქართულ ნაცვალსახელს „ის“ ხათურს es და ა. შ. (იხ. И. М. Д ъ я к о н о в, Языки древней Передней Азии, М., 1967, გვ. 175).

[49] G. D e e t e r s. Das Khartwelische Verbum. Leipzig., 1930, გვ. 2,3;შ დრ. თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965, გვ. 5—17.

[50] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში. შრომები, III, გვ. 117—123; А р н. Ч и к о б а в а. Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик. იკე, II, 1948, გვ. 263.

თითო-ოროლაღა რომ შემორჩა სხვა ეთნიკური ნაკადების (სვანთა, ზანთა, ქართთა) აქ დამკვიდრებისა და მრავალსაუკუნოვანი არსებობის გამო.

რიგი ნიშნების მიხედვით ვარაუდობენ, რომ ქართველური და ჩერქეზულ-ადიღეური ტომები მცირე აზიის პროტოხეთურ მოსახლეობას წარმოადგენდა[51]. ამ თვალსაზრისით გამაზვილებულია ყურადღება სვანურში ბატონის, უფლის აღმნიშვნელი სიტყვის „ფ უ ს ტ“ შესაძლებელი კავშირის მიმართ ქალაქ ხატუსას მეფის სახელთან ფ ა ტ უ ს ტ, რომელიც მოხსენიებულია ანიტას (ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრული) წარწერაში. კიდევ მეტი, გ. მელიქიშვილს დასაშვებად მიაჩნია, რომ ამ დროს ქ. ხატუსას მოსახლეობა და ხელისუფალნი ქართველურ ან ჩერქეზულ-ადიღეურ წრეს მიაკუთვნოს[52]. თუ გავიხსენებთ იმას, რომ როგორც ენობრივ, ისე სხვა შეხვედრებს პროტოხეთურთან ქართველურ ენათაგან მაინცადამაინც სვანური ამჟღავნებს, მაშინ საფიქრებელია, რომ პროტოხეთებთან კონტაქტების დროს სვანური უკვე მოწყვეტილი იყო საერთო ქართველურ წრეს და დამოუკიდებლად არსებობდა.

კოლხეთში სვანთა მომდევნო ეთნიკურ ნაკადს ზანურენოვანი მოსახლეობა შეადგენდა. ეს უკანასკნელი იკავებს რიონისა და ენგურის აუზების დიდ ნაწილს. ყოველ შემთხვევაში, რიონის აუზში მათ კვალს თითქმის ზემო წელამდე გაედევნება თვალი. ენობრივი მასალების მიხედვით ასკვნიან, რომ „აწინდელი მთელი ქვემო იმერეთი ოკრიბისა და არგვეთის ჩათვლით, აგრეთვე ლეჩხუმის ქვემო ნაწილიც მეგრული მეტყველების არეს წარმოადგენდა“[53]. აღნიშნულ მხარეთა დიდ ნაწილში სვანური ტოპონიმია მრავალი საუკუნეა რელიქტს წარმოადგენს, მაშინ როდესაც მეგრულ-ჭანური ონომასტიკონი დღესაც ცოცხალია და გასაგები ადგილობრივი მოსახლეობისათვის. რა თქმა უნდა, ძნელია გაირკვეს, როდის დამკვიდრდნენ აქ ზანური ტომები. თუ პირდაპირ გავიგებთ არისტოტელე-ჰერაკლიდეს უკვე განხილულ ცნობას, მაშინ სვანური ტომები ფასისზე უნდა ვიგულვოთ ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებამდე მაინც. მაგრამ, როგორც ზემოთ შევეცადეთ გვეჩვენებინა, ამ ცნობაში ორი ისეთი მოვლენაა ურთიერთკავშირში დასახელებული, რომლებიც ერთიმეორეს ქრონოლოგიურად დიდად დაშორებული არიან. ამიტომ უფრო საფუძვლიანი იქნებოდა გვეფიქრა, რომ მეგრულ-ჭანური (კოლხური) ეთნიკური მასის საბოლოო დამკვიდრებას დასავლეთ საქართველოში ასახავს ის დიდი კომპაქტური არქეოლოგიური კულტურა, რომელსაც კოლხურს უწოდებენ და რომელიც, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ქრონოლოგიურად მხოლოდ გვიანბრინჯაოს ხანით არ იფარგლება. ჩვენი აზრით, სვან ტომთა თანდათანი გაწევა ჩრდილოეთისაკენ ამ კულტურის მატარებელთა მოწოლის შედეგი უნდა იყოს და ამ პროცესის დაწყების ქრონოლოგიურ მიჯნად აღნიშნული კულტურის გაჩენის ხანაა მისაჩნევი. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ. აქვე უნდა შევნიშნოთ მხოლოდ შემდეგი: იქნებ კოლხების (მეგრელ-ჭანების) მიერ ფასისის მოსახლეობის დამორჩილებას ასახავს არგონავტების მითის ვალერიუს ფლაკუსისეულ ვერსიაში არსებული ცნობა, რომლის მიხედვით კოლხების მეფის ასულის მედეას მსახურად (ძიძად) მოხუცი ჰენიოხი ქალი გვევლინება[54].

---

[51] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, გვ. 174—182.

[52] ი ქ ვ ე, გვ. 180—182.

[53] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 5.

[54] იხ. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ჰერაკლიდე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 216.

ამრიგად, მ ც ხ ე თ ა სახელი თუ მართლაც მესხური ნაკადის ნაკვალევი შეიძლება იყოს და ამ ნაკადის სათავე, ისევ ონომასტიკური მასალის მიხედვით, მცირეაზიური სამყაროს მეზობლადაა საგულვებელი, ასევე მესხური ნაკადის კვალს უნდა ვხედავდეთ ც ხ ე თ ა და ც ხ ე თ ა ში სახელებშიც და იმ მცირეაზიურ ონომასტიკონსა თუ რეალიებში, რომელიც. როგორც დავინახეთ, ლეჩხუმსა და სვანეთში დასტურდება. საგულისხმოა ისიც, რომ ძველბერძნულ ისტორიოგრაფიაში უკვე ძვ. წ. V ს-ში არსებობდა, მართალია, რამდენადმე ბუნდოვანი, მაგრამ პირდაპირი მითითება (ამასთან არაერთი) სვანური ტომების (ჰენიოხების) მეზობლად და უშუალოდ მათ მიწა-წყალზე მოსხთა ბინადრობის შესახებ. ჰეროდოტეს თანამედროვეს, ჰელანიკე მიტილენელს, როგორც სტეფანე ბიზანტიონელის ცნობიდან ვიგებთ, აღნიშნული ჰქონდა, რომ კერკეტებს ზემოთ ცხოვრობდნენ მოსხები და ქარიმატები და შემდეგ: ὁ ᾽Ηνίοχοι ἄνω ὀὲ κορακῆς[55], ე. ი. „ქვემოთ ჰენიოხები, ზემოთ კი კორაქსებიო“. როგორც ვხედავთ, აზრი მთლიანად ნათელი არ არის, მაგრამ აქ არსებითია ის, რომ შემდგომი ხანის ისეთ წყაროში, როგორიცაა ფსევდო-სკილაქს კარიანდელის „პერიპლუსი“, რომელიც შესაძლოა ჰელანიკეზე ადრეულ ვითარებასაც ასახავდეს, ჩრდილო-დასავლეთ ამიერკავკასიაში მოსხებსა და ქარიმატებს გარდა ასახელებს იგივე ტომებს (კერკეტებს, ჰენიოხებს, კორაქსებს)[56], რასაც ჰელანიკე. ეს კი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ჰელანიკეს ცნობაში რეალური მდგომარეობაა ასხული. ამის გამო ჰელანიკე მიტილენელის ცნობაზე უარის თქმა იმის მომიზეზებით, რომ სხვა უფრო სანდო წყაროები აღნიშნულ მხარეში მოსხებს არ იხსენიებენ[57], არ უნდა იყოს გამართლებული. უამრავი მაგალითის დასახელება შეიძლება, როცა ესა თუ ის ხალხი, ან ქალაქი მოხსენიებულია ერთ წყაროში, ხოლო სხვა წყაროები იგივე ვითარების აღწერის დროს მათ აღარ იხსენიებენ და ამის გამო პირველი წყაროს ცნობებს უნდობლობა არ ეცხადებათ. მაგრამ დავუშვათ, რომ ჰელანიკე მიტილენელის ცნობაში კონტამინაციასთან გვაქვს საქმე. როგორლა მოვეკიდოთ ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვის, პალეფატე აბიდოსელის ცნობას, რომელიც კვლავ სტეფანე ბიზანტიონელთანაა შემონახული. პალეფატე გადმოგვცემს, რომ კერკეტებს ემიჯნებიან მოსხები, აგრეთვე ქარიმატები; შემდეგ მოხსენიებულია პართენიოსი, რომელსაც ფლობენ ქარიმატები ევქსინოს პონტომდე[58]. თუ ეს კონტექსტი ისე უნდა გავიგოთ, რომ პართენიოსს ქარიმატები ფლობდნენ, მაშინ პართენიოსი ის მდინარე არ არის, რომელსაც ჰეროდოტე ასახელებს[59], რადგან ქარიმატებს ყველა წყარო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გვიმოწმებს და არა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე.

პალეფატეს ცნობაშიც, ისევე როგორც ზემოთ განხილულ წყაროებში, მთავარი ისაა, რომ მოსხები კვლავ ჩვეულ გარემოცვაში გვევლინებიან. მაგრამ დავუშვათ, რომ პალეფატეს ცნობაც არ ეარის სანდო, მაშინ უნდობლად უნდა მოვეკიდოთ სტრაბონის შრომაში დაცულ მითრიდატეს ისტორიკოსთა ცნობებსაც, რომელთაც სტრაბონი უფრო დამაჯერებლად მიიჩნევს, ვიდრე არტემიდო-

---

[55] ВДИ, 1947, № 1, გვ. 316.

[56] თ. ყ ა ვ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1967, გვ. 47.

[57] მ. ი ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 147.

[58] ВДИ, 1947, № 3, გვ. 250.

[59] H e r o d, II, 104.

რეს ცნობებს[60]. ამ ცნობათა თანახმად, „ჯერ არიან აქეელები, შემდეგ ზიგები, მერე ჰენიოხები, კელავ კერკეტები, მოსხები, კოლხები...“[61]. ძნელი გასაზიარებელია ის განმარტება მოტანილი ცნობისა, რომ მისი პირველი ნახევარი, სადაც აქეელებზე, ზიგებსა და ჰენიოხებზეა საუბარი, სწორია, ხოლო მეორე ნაწილი, სადაც კერკეტები და მოსხები მოიხსენიებიან — ნატყუარია და მომდინარეობს ჰელანიკე მიტილენელისაგან და პალეფატე აბიდოსელისაგან ან იმ წყაროდან, რომლიდანაც ეს უკანასკნელნი საზრდოობენ[62].

უნდა აღინიშნოს, რომ ჰელანიკესა და პალეფატეს ცნობათა არასრული დამთხვევის გამო მათი სათავე სხვადასხვა წყაროშია საძიებელი. კიდევ მეტი, მიუხედავად ისტორიკოსთა ცნობაში წარმოდგენილი ჩრდილო-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის მოსახლეობის შედგენილობა ნათლად მოწმობს, რომ უნდა არსებულიყო სხვა წყარო, რომელიც მოსხების ჩრდილოეთში ბინადრობას ადასტურებდა. ასე რომ, ამის შესახებ ძვ. წ. V საუკუნიდან მაინც ძვ. წ. I საუკუნეამდე რაღაც გაბმული საისტორიო ტრადიციის არსებობაა სავარაუდო. ამ ტრადიციას ეხმაურება პროკოპი კესარიელის ზემოთ ხსენებული ცნობაც. განხილულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს პროკოპის ცნობის ის ნაწილი, სადაც აღნიშნულია, რომ მდ. ფასისი მესხების მთებით მოედინება, რომ მისი სათავე კავკასიის მთებშია და რომ მესხების მთები გრძელდება კავკასიის მთებამდე[63]. ამ ცნობაში ფასისი რომ რიონს უდრის, ეს სრულიაღ უდავოა. პროკოპი პირდაპირ მიუთითებს — ფასისი „პონტოს ერთვის ნახევარმთვარა ნაპირის შუაშიო“[64]. მაშასადამე, სრულიად ცხადია, რომ მესხურ ტომებს ახ. წ. პირველ საუკუნეებში თანამედროვე რაჭა-ლეჩხუმი ეკავათ. ამიტომ ის წყაროები, რომელთაც მოსხები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ეგულებათ, ამ მხრივ სრულ ნდობას იმსახურებენ. მათ ცნობებს ფაქტობრივ ასაბუთებს ზემოთ განხილული ტოპონიმები, მათ შორის მ ც ხ ე თ ა შ სახელი, რომელიც თვალნათლივ მიუთითებს მესხური ტომების კვალზე.

ზემოთ განხილულ მასალასთან უშუალო კავშირშია სვანური ენის ერთი თავისებურება, რომელსაც სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ისტორიული თვალსაზრისით. ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში ნ. მარრმა მიაქცია ყურადღება სვანურ ენაში შიშინა, თუბალ-კაინურ (მეგრულ-ჭანურ) ფენას და სვანური ნარევ ენად მიიჩნია[65]. მანვე შენიშნა სვანურში არსებული ფენის არსებობაც, რაც გახდა საფუძველი იდეისათვის მოსხთა და სვანთა იდენტობის შესახებ[66]. სვანურს ნარევ ენად მიიჩნევდნენ სხვა სპეციალისტებიც. სვანური ენის ცნობილი მკვლევარი ვ. თოფურია სვანურში მიუთითებდა მეგრულ-ჭანურ (შიშინა წრის) ფენას, აგრეთვე სომხურის (sic), აფხაზურისა და სხვა კავკასიური ენების ელემენტებს[67]. როცა საუბარია სვა-

---

[60] იხ. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957. გვ. 120.

[61] იხ. ი ქ ვ ე. გვ. 120.

[62] ვ. ი ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

[63] გეორგიკა, II, 127.

[64] ი ქ ვ ე. აღსანიშნავია, რომ პლინიუსის მიხედვითაც ფასისს სათავე მოსხების მთებში აქვს (NH, VI, 13). იგივეს ამბობს სოლინიც (SC, II, 278).

[65] Н. Я. М а р р, Тубал-каинский вклад в сванском. ИИАН. 1912, გვ. 1092.

[66] Н. Я. М а р р, К дате эмиграции мосхов из Армении в Сванию, ИИАН, 1916, გვ. 1689—1692.

[67] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა. I, თბ., 1931, გვ. IX. აფხაზურ-ადიღეური ენების დანალექებზე სვანურში მიუთითებდა ს. ჯანაშიაც. მან სახელდობრ, მიაქცია ყურადღება სვანურში ბრუნვების ორ სისტემას, რომელთაგან მეორე მკვეთრად განსხვავდება პირველისაგან და ქართვე-

ნურში აფხაზური ენის ელემენტების არსებობაზე, ეს ფაქტი უნდა აიხსნას აფხაზურ-ადიღეური და სვანურენოვანი მოსახლეობის უშუალო და მრავალსაუკუნოვანი ურთიერთშეხებებით. იგივე შეიძლება ითქვას ზანურ ფენებზეც სვანურში. თუმც აქ ისტორიული თვალსაზრისით განსხვავებულ ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე, რადგან თვით ამ ენობრივმა ფაქტმა (ზანური ფენის დადასტურებამ სვანურში) ზოგადად შეიძლება განსაზღვროს ისტორიულ მოვლენათა თანმიმდევრობა. სვანურში შიშინა (ზანური) ფენის დალექვა, ცხადია, სავარაუდოა მას შემდეგ, როცა გავლილი იყო ქართველური გლოტოგონიის ყველა ეტაპი, ე. ი. როცა ყველა ქართველური ენა ჩამოყალიბებული იყო საბოლოოდ დამოუკიდებელ ერთეულებად. მაშასადამე, სვანურისა და ზანურის შეხება შეიძლება მომხდარიყო ზან ტომთა მოსვლის შემდეგ, რამაც, როგორც ჩანს, გამოიწვია სწორედ სვანური მოსახლეობის თანდათანი გადაადგილება ჩრდილოეთით. როდის შეიძლება მომხდარიყო ეს, რეტროსპექტულად ამის დადგენაცაა შესაძლებელი, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ზემოთ წარმოდგენილი სურათი დამყარებულია იდეაზე, რომელიც ქართველურ ენათა დიფერენციაციის გ. დეეტერსისეული სქემიდან მომდინარეობს. ამ სქემის მიხედვით თავდაპირველ ქართველურს (Urkharthwelisch) ჯერ გამოეყო სვანური, ხოლო შემდეგ ქართული და მეგრულ-ლაზური[68]. მაშასადამე, ამ სქემაში მოცემულია ქართულ-ზანური ერთობის პოსტულირების შესაძლებლობა, რაც მორფოლოგიური და ლექსიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე დღეს გაზიარებულია და განვითარებული სპეციალურ ლიტერატურაში[69]. მაგრამ არსებობს სხვა, არანაკლებ საგულისხმო, ჰიპოთეზაც, რომლის თანახმად, ზანური წინ უსწრებს სვანურს, რადგან სვანურში ზანური შიშინა ვარიანტების დალექვა შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ზანური დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდა. აფხაზურ-ადიღეური ელემენტების შეთვისება კი მოხდა უკვე სვანურის მიერ, რომელსაც ძლიერი ზანური გავლენა ჰქონდა განცდილი[70].

ხათურ-სვანური ენობრივი შეხვედრები, ხათური ღვთაებისა და რელიგიური რიტუალის მაინცადამაინც სვანურ ტომებთან შემონახვის ფაქტი, სვანურ ენაში შემორჩენა ვ ო რ, ფ უ ს ტ, ბ ე რ ე ჟ ტერმინებისა, რომლებიც ამეღავნებენ კავშირს ანალოგიურ ტერმინებთან ხათურსა და წინა აზიის ძველ ენებში, როგორც აღნიშნული იყო, უნდა მიუთითებდეს სვანურენოვანი მოსახლეობის უშუალო კონტაქტებზე მცირე აზიის უძველეს მოსახლეობასთან.

გარდა შედარებით დიდი ეთნიკური მასივების გადაადგილებისა, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა კოლხეთის უძველესი მოსახლეობის ეთნიკური სახე. ადგილი ჰქონდა ცალკეული ეთნოსების მოძრაობასაც, და ეს ხდებოდა, როგორც ჩანს, კოლხეთის მთელი ადრეული ისტორიის მანძილზე. ამით უნდა აიხ-

---

ლურისათვის დამახასიათებელი ბრუნებისაგან და შეთვისებულია ერთ-ერთი ადიღეური ენიდან. ასევე ადიღეური ენებიდანაა შემოსული მრავლობითის აღმნიშვნელი სუფიქსი „ხ“, კავშირი „ი“ და ა. შ. (იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები. შრ. III, გვ. 81—112; შდრ. Арн. Ч и к о б а в а, Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик, იკე, II, 1948, გვ. 261—264, შმდ.)

[68] G. D e e t e r s, დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

[69] Б. А. К л и м о в. ЭСКЯ, გვ. 17, შმდ., თ. ბ ა ბ უ ა ს ი ძ ე, გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 9—18.

[70] Арн. Ч и к о б а в а, დასახ. ნაშრომი, გვ. 263; შდრ.

ხნას სწორედ სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ისტორიული ეთნონიმიის თითქმის სრული განმეორების ცნობილი ფაქტი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში. და როცა საქმე ეხება არმენიზმებს სვანურ ენაში, ეს საინტერესო მოვლენა უნდა დავუკავშიროთ ჩრდილო-დასავლეთ ამიერკავკასიაში ისეთი ეთნონიმების გამეორებას, როგორიცაა ჰ ე ნ ი ო ხ ი, მ ო ს ხ ი//მ ე ს ხ ი და ა. შ. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ არმენიზმები სვანურში ამ ტომების მოტანილია; ამასთან, ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანების შემდგომ, მას შემდეგ, რაც ეს არმენიზმები არმენიელ ტომებთან უშუალო და ხანგრძლივი კონტაქტების შედეგად თვით ამ ტომთა მეტყველებაში შეიძლება დალექილიყო.

ასეთ ვითარებაში ძნელი განსაზიარებელია მოსხ-მესხების ქართების წრისადმი მიკუთვნების ცდა, რაზეც ამ თავის დასაწყისშიც მივუთითებდით. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ შიდა ქართლში ადგილი არა ჰქონია მესხური (ოღონდ არა ქართის გაგებით) ნაკადის შეღწევას. პირიქით, შეიძლება ამ ნაკადის მემკვიდრეობა იყოს სწორედ ტოპონიმი მ ც ხ ე თ ა, მაგრამ ამ უკანასკნელთან მჭიდროდ დაკავშირებული ტოპონიმიც ზ ა ნ ა ვ ი[71], რომელსაც საფუძვლად უდევს, როგორც ჩანს, ზ ა ნ ეთნონიმი და რომელიც, და ეს ამჯერად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მესხეთის ტოპონიმიაშიც იჩენს თავს არაერთგზის[72]. სრულიად უდავოა, რომ როგორც მ ც ხ ე თ ა სახელი, ისე მისგან განუყოფელი ზ ა ნ ა ვ ტოპონიმიც შიდა ქართლში მოტანილია; საიდან და ვის მიერ, ამაზე ეგების ზ ა ნ ა ვ სახელი მიუთითებდეს. ამ მხრივ საორიენტაციოდ მ ც ხ ე თ ა სახელიც შეიძლება გამოდგეს. საქმე ისაა, რომ სტეფანე ბიზანტიონელთან დაცულია ჰეკატე მილეტელის (ძვ. წ. VI ს) ცნობა, რომელიც გვაუწყებს: „მოსხები კოლხური ტომია და მატიენების შეზობლად ცხოვრობს“[73]. გ. მელიქიშვილი ცნებაში „კოლხური“ ქართულ-ზანური ერთობის შინაარსს დებს და ასძენს: „ამ დროს (ე. ი. ძვ. წ. VI ს., როცა ჰეკატე მოღვაწეობდა, თ. მ.) მილეტში კარგად უნდა სცოდნოდათ სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტომთა ვინაობა“[74], მაგრამ ეს ხომ ის დროა, როცა ქართულ-ზანური ერთობის დაშლა ორასზე მეტი წლის დაწყებულია იმ მონაცემების მიხედვითაც, რომელთაც გ. მელიქიშვილი ემყარება. ასეთ ვითარებაში მესხების ქართებად მიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ტერმინში კ ო ლ ხ უ რ ი აღმოსავლურ-ქართული ეთნიკური ერთობის აღმნიშვნელი ცნება ვიგულისხმეთ, მაგრამ საქმეც ისაა, რომ არათუ კ ო ლ ხ ი, არამედ, შეიძლება, ი ბ ე რ ეთნიკური ცნებაც არ აღმოჩნდეს ქ ა რ თ ი ს შესატყვის სახელწოდებად. წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი ასახსნელია ის თანმიმდევრული იგნორაცია, რომელსაც იჩენენ ქართული წყაროები იბერების მიმართ. რა თქმა უნდა, არ იქნებოდა დამაჯერებელი გვეფიქრა, თითქოს საშუალო საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცნობი დარჩ ი ბ ე რ, ი ბ ე რ ი ა ტერმინები, როგორც ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა და ქ ა რ თ ლ ი ს აღმნიშვნელი სახელწოდებანი. თავი რომ დავანებოთ უფრო ძველ წყაროებს, ქართველ ისტორიკოსთათვის არ შეიძლება ცნობილი არ ყოფილიყო კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებანი, მათ შორის ტრაქტატი „სახელმწიფოს მართვის შე-

---

[71] ქართლის ცხოვრება (ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, თბ., 1955), I, 16_9, 17_{21}.

[72] შდრ. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1966, გვ. 18, 30.

[73] ВДИ, № 1, 1947, 301_{122}.

[74] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, გვ. 82.

სახებ“, სადაც იგი იძლევა იბერთა გენეალოგიის იმ ვერსიას, რომელიც საქართველოში მიღებული იყო, როგორც ოფიციალური ვერსია, და რომელსაც ეროვნული წერილობითი წყაროებიც (გიორგი მერჩულე, სუმბატი, ჯუანშერი) გვიდასტურებენ[75]. ასეთივე მდგომარეობაა სხვა წყაროებშიც, სახელდობრ, XI საუკუნის მწერლების მიქელ ფსელოსის „ქრონოგრაფიაში“ და გიორგი კედრენეს „ისტორიულ მიმოხილვაში“. სადაც ქ ა რ თ ლ ი ს ა და ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს შესატყვისად კვლავ ი ბ ე რ ტერმინი იხმარება. აღსანიშნავია, რომ მიქელ ფსელოსის სხვა ნაწარმოებები ქართულადაც კია თარგმნილი: მაგალითად, ტრაქტატი „დღესასწაულთა შესახებ“, რომლის ხელნაწერი XV ს. ეკუთვნის, და „პირმშოდასთვის“, რომლის ხელნაწერი XII—XIII საუკუნეებით თარიღდება[76]. რაც შეეხება გიორგი კედრენეს „ისტორიულ მიმოხილვას“, მას, როგორც ჩანს, იყენებდნენ ქართველი ისტორიკოსები. ყოველ შემთხვევაში, ირკვევა, რომ „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი არა თუ იცნობს ამ შრომას, არამედ ემყარება კიდეც მას[77].

როგორც ვხედავთ, ქართველ მემატიანეებს კარგად უნდა სცოდნოდათ, რომ ქ ა რ თ ვ ე ლ ი, ქ ა რ თ ლ ი, შემდეგ კი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო უცხო წყაროებში ერთადერთი სახელით აღინიშნებოდა — ი ბ ე რ ი და ი ბ ე რ ი ა, მაგრამ ისინი არსად აჩვენებენ ამ ცოდნას და არც თავის დამოკიდებულებას იბერია-ქართლის იდენტობის მიმართ. ეს ძალიან საინტერესო ფაქტია და იგი ახსნას მოითხოვს. არ არის გამოსარიცხი ვარაუდი, რომ იბერები ქართების წინარე მოსახლეობას შეადგენდნენ და ქართველ მემატიანეთა მხრივ მათი თანმიმდევრული მოუხსენებლობა გამოწვეული უნდა იყოს გაბატონებული ეპოსის ტენდენციით — აღმოეფხვრათ არაქართ-იბერების კვალი. ქართულ მატეანეებში იბერთა მოუხსენიებლობის ასეთი ინტერპრეტაცია, ერთი მხრივ, აადვილებს მათ დაკავშირებას თუბალ-ტიბარენებთან, რის შესახებაც, როგორც ცნობილია, არსებობს იოსებ ფლავიოსის პირდაპირი მითითება, რომელიც გაზიარებულია ბიზანტიურ მწერლობაშიც[78] და ადვილად ხსნის მცირეაზიური რეალიების ქართლში დამკვიდრების ფაქტს, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლებელს ხდის იბერების მოსხურ ტომად გააზრებასაც, რითაც ასევე კარგად აიხსნებოდა ხსენებული რეალიების წარმომავლობა.

დავუბრუნდეთ უშუალოდ მოსხების საკითხს. სტრაბონის „გეოგრაფიის“ ერთი ადგილი (XI, 2, 17—18) ეძღვნება საკუთრივ კოლხეთის აღწერას[79] და აქ მოსხების ქვეყანა კოლხეთის განუყოფელ ნაწილადაა წარმოდგენილი როგორც გეოგრაფიული, ისე ისტორიული თვალსაზრისით. კერძოდ, ნათქვამია, რომ მოსხების ქვეყანაში არის ფრიქსეს მიერ აგებული ლევკოთეას ტაძარი, სადაც ვერძს მსხვერპლად არ სწირავენ და რომ ამ ქვეყნის ადრინდელ დიდ სახელზე მეტყველებენ მითები იაზონის, ხოლო მის წინ ფრიქსეს ღაშქრობათა შესახებ[80]. უკანასკნელი ცნობა ერთნაირად შეეხება კოლხეთსაც და მოსხე-

---

[75] გეორგიკა, IV₂, თბ., 1952, 255, შნშ.

[76] გეორგიკა, VI, გვ. 5—6, 10 შდ. გეორგიკა, V, გვ. 30 შდ.

[77] იხ. ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა), I, გვ. 037—039; შდრ. გეორგიკა, V, გვ. 49 და შდ.

[78] იხ. გეორგიკა, I, 1961, გვ. 34, შნშ. 2, გვ. 35, შნშ. I. საგულისხმოდ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ივ. ჯავახიშვილი იბერებს აიგივებდა იმერებთან და მათ მეგრულ-ჭანური ტომების წრეს აკუთვნებდა (იხ. ქართველი ერის ისტორია, I, 1913, გვ. 60—61).

[79] იხ. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 123—125.

[80] ი ქ ვ ე, გვ. 124.

ბის ქვეყანასაც. როგორც ამ უკანასკნელის განუყოფელ ნაწილს. ამიტომაა, რომ ბითითებულ კონტექსტში ძნელია გარჩევა, როდის კოლხეთზეა საუბარი და როდის მოსხიკეზე. ამის გამოჯვნას ორც ფიქრობს სტრაბონი, რადგან როგორც ეს მისი კონტექსტიდან გამომდინარეობს, მოსხიკე არა მარტო ნაწილი ჩანს კოლხეთისა. არამედ მისი ისტორიის, კულტურისა და რელიგიის მონაწილეც. ასე იყო ძველად, სტრაბონის დროს კი მოსხების ქვეყანა, რომელშიც არის საბლოკველო. ხამ ნაწილს შეიცავს: „ერთი მისი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე იბერებს და მესამე არმენიელებს“[81]. ძალიან საინტერესო ცნობაა. ის შესაძლოშნავად ასახავს ცალკეული ეთნო-პოლიტიკური ერთობების ბრძოლას თავისი გავლენის დასამკვიდრებლად. ამ ცნობაში აშკარად ჩანს ქართების მოძალება დასავლეთისაკენ, მაგრამ ქართიზაციასთან ერთად ასევე ნათლადაა არეკლილი დასავლეთ-ქართული თემების არმენიზაციის პროცესიც, მეორე მხრივ, იგივე ცნობიდან ვიგებთ, რომ მოსხიკეს გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ ძვ. წ. I საუკუნისათვის კოლხეთსაც აქვს შენარჩუნებული.

ამრიგად, ერთი მხრივ, არსებობს პირდაპირი მითითება ძვ. წ. VI საუკუნისა, რომ მოსხები კოლხური ტომია, ხოლო მეორე მხრივ, მოსხების ქვეყანა მიჩნეულია კოლხეთის განუყოფელ ნაწილად. ამავე დროს ირკვევა, რომ ძვ. წ. I საუკუნემდე მაინც მოსხების ქვეყნის ერთი ნაწილი კვლავ კოლხეთის შემადგენლობაშია მოქცეული.

ამასთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას იქცევს ონომასტიკური მასალის ერთი ჯგუფი, რომელიც გვინდა მოვიხმოთ არა მთელი ისტორიული კოლხეთის, არამედ კოლხეთის ყველაზე შესაძლებელი „ქართული“ (ქართის მნიშვნელობით) ნაწილის ეთნიკური დახასიათებისათვის. მხედველობაში გვაქვს სამხრეთ საქართველოს ზოგიერთი ტოპონიმი, რომლის წარმოშობის ახსნა გაჭირდებოდა იმ პროვინციების უძველეს მოსახლეობად მეგრულ-ჭანური ტომების აღიარების გარეშე, ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ძველ ქართულ საისტორიო ძეგლებში დამოწმებული ადგილის სახელები მტკვარსა და ჭოროხს შორის მოქცეულ მიწა-წყალზე. კლარჯეთში, მაგალითად, წყაროები ასახელებენ ე გ რ ი ს-წ ყ ა ლ ს და კ ლ ა ს უ რ ას[82]. პირველის სახელი დაკავშირებული უნდა იყოს კლარჯეთის ერთ-ერთი დასავლეთი პროვინციის შემდეგდროინდელი აჭარის სახელთან — ე გ რ ი, აჭარისა, რომელსაც ძველი ისტორიული გეოგრაფიაც ე გ რ ი ს ს უწოდებს[83], ხოლო ეს უკანასკნელი და ეგრის-წყალის სახელი—ეგრების სატომო სახელწოდებასთან. ასევე მეგრული ტოპონიმიისაკენ ლტოლვას ამჟღავნებს ჯუანშერის მიერ მოხსენიებული მეორე სახელიც კ ლ ი ს უ რ ა. აღსანიშნავია, რომ როგორც ე გ რ ი ს-წ ყ ა ლ ი, ისე კ ლ ი ს უ რ ა, ე გ რ ე ს ს უ დ და კ ლ ა ს უ რ ა დ აღნიშნულია შედარებით ახალ რუკებზეც[84]. ე გ რ ი სახელს უნდა შეესაბამებოდეს „მატიანე ქართლისაჲ“ ავტორის მიერ მოხსენიებული ადგილის სახელწოდება სამცხეში—მ ა რ გ ი ს მ ე რ ე[85], რაც მარგების მოედანს, მარგების ვაკეს უნდა ნიშნავდეს და, ივ. ჯავახიშვილის აზრით, უდრის რუკებზე აღნიშნულ სახელს მ ა რ გ ი ს ტ ა ნ[86].

---

[81] ფ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია. 1957, გვ. 125.

[82] შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1913, გვ. 276.

[83] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1913, გვ. 276. 329; შდრ. Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, СПБ, 1908, გვ. 26.

[84] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 276.

[85] ქართლის ცხოვრება, I, 270$_{19}$.

[86] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 320.

ამ ფორმაში აშკარადაა გამოვლენილი სახელწოდებაში ჩადებული შინაარსი „მარგის ქვეყნისა". ეს ტერმინი შემორჩენილია მესხეთში, დღესაც არსებულ სოფლის სახელში მ ა რ გ ი. კლარჯეთსა და შავშეთში XI საუკუნის წყაროს, ოპიზის ცნობილ სიგელს, დასახელებული აქვს მდინარე ს ა მ წ ყ რ ი ს წ ყ ა ლ ი, რომელიც სხვა წყაროებში ს ა მ ი წ ყ ა ლ ი ს სახელითაცაა დადასტურებული. საინტერესო ისაა, რომ ოპიზის სიგელმა შემოგვინახა მდ. ს ა მ ი წ ყ ა ლ ი ს სახელის მეგრული შესატყვისიც ს ა მ წ ყ ა რ ი[87].

ჩვენ აღარ ვჩერდებით ისეთ ცნობილ, ზ ა ნ ეთნიკური ტერმინის შემცველ, ტოპონიმებზე, როგორიცაა ზ ა ნ ა ვ ი, რომელიც ისტორიულ ქვაბლიანის ხეობაში, დღევანდელ ადიგენის რაიონშია დადასტურებული. ყურადღება გვინდა გავამახვილოთ მხოლოდ შემდეგი საგულისხმო ფაქტის მიმართ: X საუკუნის ლიტერატურულ ძეგლში „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა" ისტორიულად ცნობილ და ადიგენის მახლობლად დღესაც არსებულ პუნქტებთან ჩ ო რ ჩ ა ნ თ ა ნ და უკვე ხსენებულ ზ ა ნ ა ვ თ ა ნ ერთად იმავე ქვაბლიანის ხეობაში დასახელებულია ადგილი, რომელსაც ც ხ რ ო ჭ ა ეწოდება[88]. ამ სახელს და მისი მატარებელი სოფლის ლოკალიზაციის საკითხს პირველად სათანადო ყურადღება მიაქცია ს. ჯიქიამ. მან დაადგინა, რომ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების" ც ხ რ ო ჭ ა სახელის კანონზომიერი გათურქებული ფორმაა ს ი ხ რ უ ჯ ი, რომელიც მოხსენიებულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში"[89]. ს. ჯიქიამ ისიც გამოარკვია, რომ არც ც ხ რ ო ჭ ა არის თავდაპირველი ფორმა ამ სახელისა, რომ ის გადმოქართულებული ვარიანტია ზანური ფორმისა ჩ ხ ო რ ო ი ნ ჭ ა, რაც ც ხ რ ა ჭ ა ს ნიშნავს (შდრ. მეგრული ჩ ხ ო რ ო წ ყ უ და აღმოსავლეთ გურიაში მდინარის სახელი ჩ ხ ო რ ნ ჭ უ ა)[90]. ასეთივე თვალსაზრისით მკვლევართა ყურადღება მიიქცია სამცხე-საათაბაგოს ერთ-ერთი უმთავრესი და უძველესი პუნქტის ა რ ტ ა ნ უ ჯ ი ს სახელმა. აკ. შანიძემ დაადგინა, რომ ეს სახელი წარმომდგარია ორი სიტყვისაგან: ა რ ტ ა ა ნ ი შ ღ უ ჯ ი, რაც ჭანურად „არტაანის ყურეს" ნიშნავს და აღნიშნული მხარის „ჭანურ მოსახლეობაზე მიგვითითებს"[91]. ასევე მეგრული ენის საფუძველზე ხსნის აკ. შანიძე ო შ კ სახელსაც (ო შ ქ ა — შ უ ა)[92].

სამეცნიერო ლიტერატურაში გამახვილებულია ყურადღება მესხეთის ისეთი ტოპონიმების მიმართ, როგორიცაა ხ ვ ი ლ ი შ ა (მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ასპინძის აღმოსავლეთით. მეგრულად ხ ი ლ უ ა — დამწყვდევას, ო ხ ვ ი ლ ი შ ი — სამწყვდეველას ჰქვია), ჭ ი ხ ო რ ი შ ი, ვარიანტი ჩ ი ხ ო რ ი შ ი (ხევი და ნასოფლარი მტკვრის ხეობაში, შდრ. გვარისახელს ჩ ი ხ ო-

---

[87] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 277, 278.

[88] ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, II, ბასილ ზარზმელი, ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა, კორნელი კეკელიძის რედაქციით, თბილისი, 1935, გვ. 137; შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი. გვ. 320; ს ჯ ი ქ ი ა, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თბილისი, 1958, გვ. 116.

[89] ს. ჯ ი ქ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

[90] ი ქ ე ე, გვ. 118, 119.

[91] ა. შ ა ნ ი ძ ე, ეტიმოლოგიური ძიებანი. II. ყარსი. ბანა. არტანუჯი. თსუ სესიის თეზისები, 1952, გვ. 11; მ ი ს ი ვ ე, ჯ ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში. საქ. მეცნ. აკად. საზოგ. მეცნ. განყ. მოამბე, II, 1960; მ ი ს ი ვ ე. Великий доместик Запада Григорий Бакурианис-дзе и грузинский монастырь, основанный им в Болгарии. Тбилиси, 1970, გვ.30.

[92] А. Ш а н и д з е, Великий доместик. . ., გვ. 30.

რია), ოჯორჯალი, ოხომა (ნასოფლარი ანდრიაწმინდასთან). ოდუნდა (ნასოფლარი კისათიბთან), ორფოლა (ნასოფლარი), წიფორა (ნასოფლარი ურავლის ხეობაში, მეგრულ წიფურს უნდა შეესაბამებოდეს და ნიშნავდეს „წიფლნარს“)[93]. ყურადღების მიღმა არ არის დატოვებული ის უთუოდ მნიშვნელოვანი ვარემოება, რომ სამცხის რიგი ტოპონიმები შეინიშნებიან სამეგრელოს ტოპონიმიაში; მაგალითად, სოფ. ოლორი, წალენჯიხის რაიონში არის მდ. ოლორი; ახალციხეს ჩამოუდის მდ. ფოცხოვი, ცხაკაიას რაიონში კი არის სოფ. ფოცხო; უკვე ხსენებული ხვილიშა — ნასოფლარი და მცირე მდინარე (მას ტამალასაც უწოდებენ) ასპინძასთან და წალენჯიხის რაიონში ადგილისა და ღელეს სახელი ოხვილიში[94]. ამას შეიძლება დაეშატოს ჭითახევი — მესხეთში და ჭითაწყარი ზუგდიდის რაიონში.

ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს ს. ჯიქიას ცდა მდ. მტკვრის სახელის ეტიმოლოგიისა. იმ ზოგადი წანამძღვრებიდან გამომდინარე, რომ მდინარეთა სახელები ხშირად რელიეფის თუ კიდევ სხვა თავისებურებებს ასახავენ და რომ სამხრეთ საქართველოში დადასტურებულია ზანური წარმომავლობის ტოპონიმები, ავტორმა მტკვარ სახელი დაუკავშირა მეგრულ სიტყვას ტკუარუა, რაც „ღრღნას“, „ტკვერას“ ნიშნავს. ტკუარუა სიტყვიდან მიმღეობური ფორმა იქნება ტკვარ-ილი, გამოღრღნილი ადგილი, კალაპოტი. მოცემული მხარის მოსახლეობის ქართიზაციის შემდეგ, ავტორის მიხედვით, ფორმამ მტკვარ-ილ-ი განიცადა ფონეტიკური და მორფოლოგიური ცვლილებები და მივიღეთ ქართული სახელწოდება მტკვარი[95].

მაგრამ მეგრულ-ჭანურის კვალი სამხრეთ საქართველოში მხოლოდ აღნიშნულით არ ამოიწურება, სპეციალურმა კვლევა-ძიებამ არსებითი მნიშვნელობის მასალა გამოავლინა ამ მხრივ. ენათმეცნიერმა გ. თოფურიამ ყურადღება გაამახვილა, ერთი მხრივ, სამცხის ისეთი ტოპონიმების მიმართ, რომლებიც ზანურის საფუძველზე აიხსნება: ტობა, ტოლოში, ჯინჯიგორა, ხონა, კოჩანეთი, მა-ზანა-თი, ჭანკეთი, დადეში, ოხომა[96], ხოლო, მეორე მხრივ, წინ წამოსწია მესხეთში უძველესი ზანური ფენის დამადასტურებელი მეტად მნიშვნელოვანი მასალა. გ. თოფურიასათვის ამოსავალია დადგენილი შესატყვისობა: ქართულ „ა“-ს ზანურში შეესაბამება „ო“ ან ხშირად „უ“ (შდრ. ქართული — სამ-, ღამე, წაბლ-, შესაბამისად ზანურში — სუმ-, ღუმა, ჭუბურ-). სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ როცა „ო“ გარკვეულ პოზიციაში „უ“-ს იძლევა, საქმე გვაქვს გადახრასთან. ერთ-ერთ ასეთ პოზიციად არნ. ჩიქობავას „ბ“-ს მეზობლობა მიაჩნია: ქართულ წაბ-ს ზანურში უნდა მოეცა ჭობ, მაგრამ „ბ“-ს მეზობლად „ო“-მ მოგვცა

---

[93] ნ. ნორაკიძე, ზანიზმები სამცხის გეოგრაფიულ სახელებში. „მნათობი“. № 4, 1971, გვ. 139—141.

[94] იქვე, გვ. 139.

[95] С. Джикия, Ахундов, Этимология слова «Кура», თსუ შრომები, ტ. 91, 1960, გვ. 445—446, შბ., I. არსებობს მტკვარ სახელის სხვაგვარი ეტიმოლოგიაც, რომელიც ლ. შელიქსეთ-ბეგს ეკუთვნის. იგი მტკვარ ჰიდრონიმს უკავშირებს ქოლა სახელწოდებას, რომლისაგანაც მომდინარეობს ეთნონიმი ქოლხი (Л. М. Меликсет-Бек, Первые Ахемениды и названия рек Закавказья, თსუ შრომები, 1960, გვ. 250).

[96] გ. თოფურია, ერთი ჰიპოთეტური ფორმის რეალობისათვის ზანური ენის არეალიდან (სამცხის ტოპონიმიკიდან), „მაცნე“, 1968, № 6, გვ. 170.

„უ“[97]. ამრიგად, სპეციალისტების აზრით, „ო“ პირველადია, ხოლო „უ“ მეორეული და ა:უ შესატყვისობა, ფაქტიურად, ა:ო შესატყვისობას შეესაბამება[98]. ამ დებულების სინათლეზე გ. თოფურიამ განიხილა შემდეგი ტოპონიმები: ჭ ო ბ უ რ ი (სათესი სოფ. ორალში, ახალციხის რ-ნი), ჭ ო ბ ა რ ე თ ი (სოფელი ასპინძის რ-ში, იმავე სოფელში ამავე სახელწოდების ტყე, მთა, წყალი), ჭ ო ბ ი ბ ე ვ ი (ბორჯომის რაიონი), ჭ ო ბ ა უ რ ა — წყალი (ჩამოუდის ხიზაბავრას). ჭ ო ბ ა უ რ ი (სათესი ქედის რაიონში), ჭ ო ბ ა (სათესი აჭარაში) და დაასკვნა, რომ ჭ ო ბ ძირიდან ნაწარმოები ყველა ტოპონიმი გამოჰყოფს სამცხეში ზანური ენის უძველეს ფენას[99]. ამ ფენის სიძველეს მასალის ლინგვისტური ანალიზი მოწმობს. ზემოთ აღნიშნულ შესატყვისობათა მიხედვით მოსალოდნელი იყო, რომ სამცხის ტოპონიმიაში გვექნებოდა ჭ უ ბ ძირიანი ტოპონიმები, როგორც ეს ზანური გეოგრაფიული სახელების გავრცელების სხვა სფეროებში გვაქვს; მაგალითად, ჭ უ ბ-ი შ ი უბანი სოფ. ზუმში (ჩხოროწყუს რ-ნი), ო-ჭ უ ბ უ რ-ე (=საწაბლეს, სოხუმის რ-ნი), ჭ უ ბ უ რ-ხ ი ნ-ჯ ი (=წაბლის ხიდს, გალის რ-ნი) და სხვა[100]. მაგრამ საქმეც ისაა, რომ სამცხეში მხოლოდ ჭ ო ბ ძირიანი სახელებია დადასტურებული. ეს, გ. თოფურიას მართებული დასკვნით, იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ აღნიშნულ მხარეში აღარ განხორციელებულა ზანური ენისათვის კანონზომიერი პროცესი „ბ“-ს მეზობლად „ო“-ს „უ“-ში გადაზრდისა (ჭ ო ბ უ რ>ჭ უ ბ უ რ). მაშასადამე, მესხეთის ტოპონიმიკამ შემოგვინახა ზანური სიტყვის თავდაპირველი „გაქვავებული“ ფორმა, რაც აქ ზანური ელემენტის ადრეულ დამკვიდრებაზე მეტყველებს[101].

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებას: იქ, სადაც ზანური ეთნიკური მასის თავდაპირველი თუ არა, უძველესი ბინადრობის ადგილია, ვხვდებით უძველეს, გაყინულ ფორმებსაც (ჭ ო ბ ფუძიან სახელებს), რომელსაც არ შეეხო ენობრივი მასალით დამოწმებული კანონზომიერი ცვლილებები, მაშინ როდესაც ეს კანონზომიერი ცვლილებები დასტურდება ზანური ეთნიკური მასის შემდგომი გავრცელების სფეროში ხობისა და ენგურის აუზებსა და გალისა და სოხუმის მხარეებში, იქ, სადაც ზემოთ მოტანილი მასალის მიხედვით ამ ზანურ მასას წინ უსწრებდა სვანურენოვანი მოსახლეობა. ამ გარემოებას ისტორიული თვალსაზრისით მარტოოდენ ის მნიშვნელობა კი არა აქვს, რომ თვალი გაედევნება ზანური ეთნიკური მასის მოძრაობის მიმართულებას, ანდა თუნდაც სხვადასხვა ეთნიკური ნაკადების მოძრაობის თანმიმდევრობას, რაც ერთობ მნიშვნელოვანია თავისთავად, არამედ ისიც, რომ ანალოგიური ლინგვისტური ფაქტების გამრავლებით შესაძლებლობა შეიქმნება ზანურენოვანი მასის მოსვლის დათარიღებისა იმ მხარეში, რომელიც უკვე მრავალსაუკუნოვანი ბინადრობის გამო ზანურ პროვინციებად ითვლება.

---

[97] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938, გვ. 127—128; შდრ. გ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

[98] Н. А. М а р р, Яфетические названия деревьев и растений, ИАН, 1915, 825—826. Г. А. К л и м о в, Этимологический словарь картвельских языков, გვ. 247; თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, გვ. 334; 339; შდრ. გ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

[99] გ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 171.

[100] იხ. გ. თ ო ფ უ რ ი ა. დასახ. ნაშრომი, გვ. 170; იქვე სათანადო წყაროები.

[101] ი ქ ვ ე, გვ. 171.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, სამხრეთ საქართველოში თავს იჩენს ისეთი ონომასტიკური მასალა, რომელიც შეიძლება მხოლოდ ზანური ენის მეშვეობით აიხსნას. ამ სახელწოდებების ერთ ნაწილს სხვადასხვა ფორმით დაუცავს ზანური ეთნონიმები: ზ ა ნ ა ვ ი, მ ა-ზ ა ნ ა თ ი, ჭ ა ნ კ ე თ ი, ე გ რ ი, ე გ რ ი ს წ უ ა ლ ი, მ ა რ გ ი ს მ ე რ ე, მ ა რ გ ი ს ტ ა ნ, მ ა რ გ ი, ხ ო ლ ო მ ე ო რ ე ს— ზანური ლექსიკური მასალა: ც ხ რ ო ჭ ა < ჩ ხ ო რ ო ი ნ ჭ ა (=ცხრა-წყაროს), ს ა მ წ ყ ა რ ი (=სამ წყალს), ხ ვ ი ლ ი შ ა (=დამწყვდეულს), წ ი ფ ო რ ა (=წიფლნარს), ა რ ტ ა ნ უ ჯ ი < ა რ ტ ა ა ნ ი შ ც უ ჯ ი (არტაანის ყურეს), მ ტ კ ვ ა რ ი < მ ტ კ ვ ა რ ი ლ ი, ჭ ი თ ა ხ ე ვ ი (=წითელხევს), ტ ო ბ ა, ო ხ ო- მ ა, ო ძ რ ხ ე (ვარიანტი ო ც ხ ე), ტ ო ლ ო შ ი, დ ა დ ე შ ი, კ ო ჩ ა ნ ე თ ი და უძველესი გაქვავებული ფორმები, რომელთაც საფუძვლად უდევს „წაბლ“ ცნების აღმნიშვნელი ფუძე-სიტყვა ჭ ო ბ, თავდაპირველი, უცვლელი სახით (იხ. რუკა).

ასეთი მძლავრი ზანური კვალის არსებობა ამ მხარეში, რომელიც ერთი პირველთაგანი განიცდის ქართიზაციის ინტენსიურ პროცესს, ხოლო შემდეგ თვით ხდება ქართიზაციის მედროშე და ქართული ერთიანი ეროვნული სახელმწიფოებრიობის კერა, მიუთითებს იმაზე, რომ ქართების მოსვლამდე აღნიშნული მხარის მოსახლეობა, ე. ი. მესხები, თუ ამ უკანასკნელთ მესხეთის უძველეს ბინადრებად ჩავთვლით, ზანური იყო. ამიტომ მ ე ს ხ ს ა და ქ ა რ თ ს შორის ტოლობის ნიშნის დასმა არ უნდა იყოს გამართლებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მესხეთის უძველეს ტოპონიმიაში ზანური ფენის დადასტურების ფაქტი კარგად ეთანხმება ამ მხარეში აღმოჩენილ ნივთიერ ძეგლებს (ცულები, სეგმენტი, წალდი, თოხი), რომლებიც თავის ერთობლიობაში განსაზღვრავენ სწორედ დასავლურ-ქართული კოლხური კულტურის სპეციფიკას და რომელთა გავრცელების არეალი, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ზანური ტოპონიმიის გავრცელების ფარგლებს ემთხვევა. ნიშანდობლივია ისიც, რომ ზოგიერთი აღმოჩენის თავისებურებათა მიხედვით (თელოვანის ყალიბი კოლხური ცულისა, წაღვერის სახელოსნოს ნაშთები, უდეს განძი, ტანძოთის აღმოჩენები და სხვა) მესხეთში შეიძლება გამოიკვეთოს კიდევ ერთი კერა კოლხური კულტურისა.

მაგრამ ცხადია, რომ არქეოლოგიური მასალისა და ენობრივი მონაცემების უბრალო დაკავშირება საკმარისი არ არის არქეოლოგიური კულტურისა და ეთნიკური ერთობის მიმართების პრობლემის გადასაწყვეტად. საქმე ეხება არა მარტო ენობრივი მასალის დროის განსაზღვრას და ამ უკანასკნელის თანხვედრის აუცილებლობას არქეოლოგიური მასალის თარიღთან, არამედ თვით ამ პრინციპების გამოყენებას საქართველოს არქეოლოგიური მასალის მიმართ, ან სხვა პრინციპების შემუშავებას, რაზეც უნდა აიგოს კონკრეტული ეთნოსისა და კულტურის მიმართების პრობლემის შესწავლა. ნათელია, რომ ყველა არქეოლოგიური მონაპოვარი ერთნაირად საიმედო ვერ იქნება ვერც ცალკეული არქეოლოგიური კულტურის გაშაზღვრისათვის, ვერც ამ კულტურის ეთნიკური მნიშვნელობის გასარკვევად და ვერც სხვა კულტურასთან გენეტიკური კავშირის დასადგენად. ამიტომ ხშირად აღნიშნულ ამოცანათა გადასაწყვეტად ცდილობენ მატერიალური კულტურის ისეთი ელემენტების გამოყოფას, რომელშიც თითქოს უფრო მეტი სისრულით ვლინდება ამა თუ იმ ეთნიკური კოლექტივის შემოქმედებითი ინდივიდუალობა, ანდა რელიგიურ რწმენასა და წარმოდგენებში გამჟღავნებული სულიერი სამყარო. ასეთ ელემენტებად ზოგი

თიხის ჭურჭლის ან სხვა საგნების ორნამენტს მიიჩნევს, ზოგი კი კომპლექსურ მონაცემებს: ტანსაცმლის, საცხოვრებელ ნაგებობათა, საოჯახო ნივთების, შრომის იარაღების, კერამიკის, საშაულის თავისებურებებს ერთობლივ. როგორც ჩანს, უფრო სწორი იქნება ასეთი ტვირთი დავაკისროთ არქეოლოგიურ კულტურას მთლიანად, ხოლო ეს უკანასკნელი უნდა განისაზღვროს დამზადების ტექნიკის, შემკულობის, ფორმების, მასალის თავისებურებითა და სხვა, ზოგ შემთხვევაში წინასწარ განუსაზღვრებადი კავშირებით შერწყმული არქეოლოგიური ძეგლებით, რომლებიც სისტემატურად მეორდებიან გარკვეულ ტერიტორიაზე დროის გარკვეულ მონაკვეთში და წარმოადგენენ მარტოოდენ მოცემული ტერიტორიისათვის და მხოლოდ აღებული ხანისათვის დამახასიათებელი ძეგლების ერთობლიობას. შეიძლება ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში ერთი და ორი ელემენტის კლება ვერ მივიჩნიოთ შემაფერხებელ გარემოებად კულტურის განსაზღვრისათვის, მაგრამ არც ამა თუ იმ კულტურის ერთი და ორი, თუნდაც სპეციფიკური და წამყვანი, ელემენტის გავრცელება დიდ ტერიტორიაზე შეიძლება გამოდგეს ამ კულტურის მოქმედების არეალის გასაზრდელად და ხშირ შემთხვევაში არც მოცემული კულტურების მეზობლად მონათესავე კულტურის არსებობის დასადასტურებლად. ცნობილია, რომ საწარმოო და საბრძოლო იარაღი გაცილებით უფრო ფართოდ ვრცელდება, ვიდრე, დავუშვათ, კერამიკის გარკვეული ტიპი. საქართველოს არქეოლოგიური მასალიდან, შორს რომ არ წავიდეთ, ასეთი ფართო გავრცელების ნიმუშად შეიძლებოდა დაგვესახელებინა ყუამილიანი ცულები, რომლებსაც ვხვდებით დასავლეთ ამიერკავკასიაშიც, ვოლგისა და კამის აუზებში და დუნაისპირეთის ქვეყნებშიც[102]. ასეთი მაგალითების გამრავლება კიდევ შეიძლება. ცხადია, არქეოლოგია ითვალისწინებს აღნიშნული იარაღების ტიპოლოგიურ ნაირსახეობებს, რომელსაც მათი გავრცელების ესა თუ ის რაიონი იძლევა (თუმც ხშირად ეს სხვაობა ძალიან მცირეა ხოლმე), რიცხობრივ ოდენობას და გაჩენის დროს, რაც მათ წარმომავლობაზე თუ შემდგომ გავრცელებაზე შეგვიქმნის წარმოდგენას, მაგრამ თავისთავად დამაფიქრებელია, რომ ძალიან დიდ ტერიტორიაზე პრინციპულად ერთი ტიპის იარაღის დადასტურება შეიძლება ხელისშემშლელ გარემოებად იქცეს მარტოოდენ ასეთი იარაღის მეშვეობით ერთი რომელიმე კულტურის განსაზღვრისათვის. ასეთი ვითარების ასახსნელად დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ისეთ ისტორიულ მოვლენებს, როგორიცაა ხალხების მოძრაობა, ხალხთა შორის ურთიერთობის დამყარების გზით გავლენათა შეღწევა და ა. შ., რის შედეგადაც ერთი ხალხის კულტურული მონაპოვრის სწრაფი გავრცელება ხორციელდება. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში დუნაისპირეთში გავრცელებული ფორმები ცულებისა მიაჩნიათ დასავლეთში მეჯოგე ტომების მიერ მიტანილად[103].

გავრცელების მხრივ არანაკლები არეალი უკავიათ კოლხურ ცულებს. ამიტომ საკითხავია, შეიძლება თუ არა, რომ მათი გავრცელების არე ერთი ეთნიკური კოლექტივის გავრცელების ფარგლებს შეესაბამებოდეს. თუ არ შეიძლე-

---

[102] Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии. საქ. მუზეუმის მოამბე, XII-B, გვ. 305, სურ. 8; შდრ. Nandor Koligz. Die Frübronzeit in Nordost-Ungarn (Abris der Geschichte des 19—16 Iahrhunderts v. u. z.), Budapest, 1968, გვ. 163, ტაბ. I_2, Cl_2—$_3$, CXXX $_{37/8}$.

[103] Nandor Koligz, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

ბა, გამოდგება კი ასეთ ვითარებაში კოლხური ცული ერთი რომელიმე კონკრეტული ეთნოსის მატერიალურ ნიშნად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მაინც გამოდგება. მაგრამ არა თავისთავად, არამედ როგორც ნაწილი ერთი კულტურისა. კოლხეური ცული გარკვეულ ფარგლებში შეიძლება დაგვიდასტუროს ერთი ეთნიკური ერთობა, ხოლო ამ ფარგლებს გარეთ—ამ ეთნიკური ერთობის ისტორიის სხვა ასპექტები. თუ დასავლეთ საქართველოში კოლხური ცული შეიძლება ეთნიკური ნიშნის მატარებელი იყოს, ჩრდილო კავკასიაში ამ ნიშნის მატარებლად არ გამოდგება, რადგან მისი სათავეები ჩრდილოეთ კავკასიის კულტურებში არა ჩანს[104]. ამ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ მეზობელი კულტურის ელემენტების შეკრაზე ან ათვისებაზე[105], რაც თავის მხრივ, დასავლეთ საქართველოს უძველესი მოსახლეობის ისტორიის ერთ-ერთ ასპექტს ასახავს, თუ კი, რა თქმა უნდა, კოლხური ცული დასავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის ორგანულ ნაწილად შეიძლება მივიჩნიოთ. ამრიგად, არ უნდა კმაროდეს მატერიალური კულტურის ამა თუ იმ ელემენტის რომელიმე რაიონში თუნდაც ფართო გავრცელების დადასტურება იმისათვის, რომ ამ ელემენტის მიხედვით განვსაზღვროთ მოცემული მხარის თანადროული მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილება, ანდა მისი გენეტიკური კავშირი სხვა მხარის მოსახლეობასთან, სადაც ეს ელემენტები ასევე ფართოდაა ცნობილი.

ეკვე კარგა ხანია ცნობილია, რომ ცულები, რომელსაც ყობანის აღმოჩენების მიხედვით თავდაპირველად ყობანურს უწოდებდნენ, ფართოდ იყო გავრცელებული ვეება ტერიტორიაზე შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროდან ჩრდილო კავკასიამდე. დიდი ხანია ცნობილია ისიც, რომ არა მარტო რიცხობრივი უმრავლესობის მიხედვით, არამედ ტიპობრივი ვარიანტების სიმრავლის თვალსაზრისითაც ეს ცული ყველაზე სრულად მხოლოდ დასავლეთ საქართველოშია წარ-

---

[104] აღსანიშნავია, რომ ყობანში გავრცელებულ ორმხრივ მოხრილტანიან ცულებს (უვაროვას კლასიფიკაციით a ტიპს, ხოლო ფ. ჰანჩარისა და ო. ჯაფარიძის მიხედვით III ტიპს; იხ. ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, კოლხური ცული. საქ. მუზ. მოამბე, XVI-B, 1950), რომელსაც ე. კრუპნოვი საკუთრივ ყობანურ ცულებად მიიჩნევს (იხ. Е. И. К р у п н о в, О происхождении и датировке кобанской культуры, СА, 1957, № 1, გვ. 62—63), ეძებნება სათავეები დასავლეთ საქართველოს მასალაში (იხ. დ. ქ ო რ ი ძ ე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 68—74; მ ი ს ი ვ ე, ლიხნის განძი და კოლხურ-ყობანური ცულების გენეზისის საკითხისათვის. სსმ, XXV-B, 1968, გვ. 26).

[105] სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ «первоначальной базой возникновения кобанского комплекса металлических изделий является Западное Закавказье» (А. А. И е с с е н. Древнейшая металлургия Кавказа и ее роль в Передней Азии. Доклады III международного конгресса по Иранскому искусству и археологии, М.-Л., 1939, стр. 96). იგივე აზრს ა. ივანენი იმეორებს სხვა შრომაში: «В области же центрального Кавказа, при наличии в ряде моментов несомненных связей с предшествующими формами изделий и с ранее освоенной техникой, наоборот, в основном можно наблюдать разрыв преемственности в развитии металлических изделий и как бы наслоение новых, принесенных извне, главным образом из Западного Закавказья, форм и технических приемов, неизвестных в предшествующее время» (იხ. А. А. И е с с е н. Прикубанский очаг металлургии и металлообработки. МИА, № 23, 1951, გვ. 80. იხ. აგრეთვე გვ. 122). ე. კრუპნოვიც აღიარებს დასავლეთ საქართველოს კულტურის გავლენას ყობანის კულტურაზე, რომელშიც დასავლეთ საქართველოდან შესულია მატერიალური კულტურის ცალკეული ტიპები (იხ. Е. И. К р у п н о в, О происхождении и датировке кобанской культуры, СА, 1957, № 1, გვ. 70).

მოდგენილი. ამასთან, საქართველოში აღნიშნული ტიპის ცულები ქრონოლოგიურადაც უფრო ადრე დასტურდება, ვიდრე საქართველოს გარეთ. გარდა ამისა, კოლხური ცულის უძველესი I და II სახეობანი დადასტურებულია მხოლოდ საქართველოში, ან ისტორიულად ქართველი ტომებით დასახლებულ მიწაწყალზე (ორდუ, ბოღასქოი), თითქოს ეს უკვე საკმარისია იმისათვის, რომ ვამტკიცოთ აღნიშნული ცულის წარმომავლობა დასავლეთ საქართველოდან. მითუმეტეს, რომ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ნაპოვნია ამ ცულების გარკვეულ სახეობათა წარმოების ნაშთები. მაგრამ, ჩიუხედავად ამისა, აღნიშნული ცულების მიკუთვნება გარკვეული ეთნიკური გარემოსადმი მაინც გაძნელდებოდა, რომ არ ისახებოდეს როგორღაც მისი სათაველები და უძველესი თავდაპირველი ნიმუშები, რომელთა უქონლობაზე მიუთითებდა ა. იესენი ჩრდილოეთ კავკასიაში საერთოდ და კერძოდ ყობანში[106].

კოლხური ცულის სათაველთა ძიების საკითხის შესწავლა საქართველოში ქართველი ტომების ავტოქთონობის იდეის წამოჭრასთან დაკავშირებით დაიწყო. პირველი, რაც ამ მიმართულებით გაკეთდა, ეს იყო საქართველოს სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიურ მასალებს შორის კავშირების ძიება. ამ მხრივ. პირველ რიგში, სხვასთან ერთად ყურადღება გაამახვილეს კოლხური ცულის ნიშნებისადმი, რომელიც უკვე მოცემული იყო წინამორბედ არქეოლოგიურ მასალაში. ბ. კუფტინმა, წინააღმდეგ ავსტრიელი არქეოლოგის ფ. ჰანჩარის ჰიპოთეზისა, რომ ყობანური ცული უშუალოდ ჩრდილოეთ კავკასიაში განვითარებული, სამხრეთ რუსეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებული ქვის პროტოტიპებისაგან[107], მიაქცია ყურადღება არა მარტო დიდ ქრონოლოგიურ ხარვეზს ყობანის ცულებსა და აღნიშნულ ქვის ცულებს შორის, არამედ ფორმალური ხასიათის სხვაობასაც და ერთმა პირველთაგანმა წარმოაჩინა თვალნათლივ კოლხური ცულის ფესვები დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში. მან ყურადღება მიაქცია სპილენძ-ბრინჯაოს ცულების ერთ ჯგუფს. რომელიც დასავლეთ საქართველოში ორი ვარიანტის სახითაა დადასტურებული მრგვალი სატარე ნახვრეტითა და ოვალური სატარე ნახვრეტით. ამ ტიპის ცულების პირველ ვარიანტს ეკუთვნის ს.ოფ. პილენკოვოში აღმოჩენილი ორი და გაგრაში აღმოჩენილი 10 ცული[108], ხოლო მეორე ვარიანტს — მახუნცეთის ცული. ბ. კუფტინმა მიაქცია ყურადღება იმასაც, რომ ამ ტიპის ცულების გავრცელების არე გვიანბრინჯაოს ხანის კოლხურ (ავტორი ხმარობს ტერმინ „ყობანურს") ბრინჯაოს ნაწარმთან ერთად ვრცელდებოდა შორს სამხრეთით ყარს-ერზერუმის მხარეში, საიდანაც მომდინარეობს ასეთივე ცული, რომელიც ამჟამად ერმიტაჟში ინახება; და მეტიც, რომ აღნიშნული ტიპის ცულები გენეტიკურად დაკავშირებულია თბილისში, ღრმა-ღელეში აღმოჩენილ ბრინჯაოს ცულთან, რომელიც თავის მხრივ სარგონის დროით დათარიღებულ

---

[106] А. А. Иессен, Прикубанский очаг металлургии и металлообработки, стр. 80.

[107] F. Hančar. Beile aus Koban in der Wiener Sammlung kaukasischer Altertümer. Wiener Praehist. Zeitschrift, XXI, 1934, გვ. 19—21.

[108] გაგრის ცულების ოდენობის შესახებ სხვადასხვა ცნობები არსებობს. ბ. კუფტინის მიხედვით 10 ცული იყო (იხ. მისი Археологические раскопки в Триалети, გვ. 17), ა. იესენის თანახმად კი 9 ცული (იხ. მისი Прикубанский очаг, გვ. 81). ამჟამად ამ კოლექციიდან ერთადერთი ცულია დაცული სოხუმის მუზეუმში (დ. ქ ო რ ი ძ ე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, გვ. 11).

თეფე-გავრას VI ფენის ცულის[109] განვითარება უნდა იყოს. კოლხური ცულის უშუალო თუ შედარებით შორეულ პროტოტიპებთან სიახლოვე და კავშირი ვლინდება საერთო ჰაბიტუსში, კორპუსის ექვსად დაწახნაგებაში, სატარე ხვრელის დამუშავებაში და ა. შ.[110]

ამჟამად კიდევ უფრო გამრავლებულია კოლხური ცულის შესაძლებელი პროტოტიპები, რომლებთანაც მისი ტიპოლოგიური მსგავსება სრულიად აშკარაა. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ურეკის განძის ორ ცულს, ცულებს ჭოროხის აუზიდან, ერგედან, ბიქვინტის და ლიხნის განძების ცულებს. თავის მხრივ გაიზარდა კოლხური ცულის აღნიშნული უშუალო პროტოტიპების ტიპოლოგიურ წინამორბედთა რიცხვიც. ღრმა-ღელეს ცულის მსგავსი ეგზემპლარები აღმოჩნდა სოფ. ბოდორნაში (დუშეთის რაიონი) და სოფ. გუმბათთან (წალკის რაიონი)[111]. ამ მხრივ კიდევ უფრო საინტერესოა სომხეთის ნონაპოვრები: შამშადინის რაიონში სოფ. ნაურთან, მხურცის მთის ძირში აღმოჩენილია ბრინჯაოს ორი ცული, რომლებიც ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარს ეკუთვნიან და პირდაპირ ანალოგიას შეადგენენ ღრმაღელის ცულისას, მაგრამ არა ერთადერთს, როგორც ამაზე მიუთითებს ა. მარტიროსიანი[112]. ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ლენინაკანის მუზეუმის ცულსაც ბევრი რამ აქვს საერთო ღრმაღელე-შამშადინის ცულებთან[113] (შდრ. ტაბ. II_1 და $_2$). მიუხედავად იმისა, რომ მას ღრმაღელე-შამშადინის ცულებისაგან განსხვავებულად მიიჩნევს ავტორი და ფიქრობს, რომ იგი უფრო ახლო დგას თეფე-გავრას VI ფენის ცულთან, ვიდრე ღრმაღელის ცული, რომელიც ანატოლიის ქიულ-თეფეს უძველესი ცულების განვითარებულ დერივატებად შეიძლება ჩაითვალოს[114] (შდრ. ტაბ. II_1 და ტაბ. I_2).

ღრმაღელე-შამშადინის ცულების შემდგომი განვითარების რგოლად, მართებულად, მიჩნეულია კიროვოკანის ყორღანის ბრინჯაოს ექვსწახნაგა ცული, რომელიც შუაბრინჯაოს ხანის დასასრულს განეკუთვნება და თანმხლები ნივთებით (შუბისპირით, რომელიც თრიალეთის XV ყორღანის შუბის პირებთან ერთად ანალოგიურია რას-შამრა I შუბისპირებისა — 1600—1450 წწ. რომ თარიღდება, ვერცხლის ჭურჭლით და სხვა) თრიალეთისკენ მიილტვის[115].

კოლხური ცულების შესაძლებელი პროტოტიპების გენეტიკური სქემის შევსების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერზერუმის მახლობლად, სოფ. კეოპრი-კეოიში, მდ. არაქსის სანაპიროზე აღმოჩენილ ცულს, რომლის შესახებ ა. მარტიროსიანს აღნიშნული აქვს, რომ ამიერკავკასიურ მასალაში მას ახლო ანალოგები არ მოეპოვება, თუმცა მიუთითებს ლენინაკანის ცულთან (და შესაბამისად თეფე-გავრას VI ფენის ცულთანაც) მის დამთხვევაზე ფრთისა და ყელის ექვსად დაწახნაგების მხრივ[116] (შდრ. ტაბ. II_4 და $_2$

---

[109] იხ. E. A. Speiser. Excavations at Tepe-Gawra. I, Philadelphia, 1935, გვ. 179, ტაბ. XVIII ვ.

[110] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, გვ. 17— 18; შდრ. დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 58, 59.

[111] დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 57—58.

[112] А. А. Мартиросян, Армения в эпоху бронзы и раннего железа, Ереван, 1964, გვ. 60, 61, სურ. 26.

[113] შდრ. А. А. Мартиросян, დასახ. ნაშრომი, გვ. 62, სურ. 27.

[114] იქვე, გვ. 61.

[115] იქვე, გვ. 64 შმდ.

[116] იქვე, გვ. 76.

და 1_1). ჩვენ ვფიქრობთ, რომ უფრო მართალნი არიან ისინი (ბ. კუფტინი, დ. ქორიძე), რომლებმაც ერზერუმის ცული დაუკავშირეს პილენკოვო-გაგრა-მახუნცეთის ცულებს, განსაკუთრებით ურეკის ორ ექვსწახნაგა სატარე ხვრელთან ქიმიან ცულს და მათ ახლო ანალოგიად მიიჩნიეს[117]. მართლაც, ამ ცულებს შორის სხვაობის პოვნა ერთობ ძნელია. აღსანიშნავია, რომ ერზერუმთან აღმოჩენილი ცული ბრინჯაოს ნივთების კომპლექსის ნაწილია. ამ ნივთთაგან ზოგიერთი (მაგალითად, მახვილები) ამყარებს სიახლოვეს როგორც სომხეთის ტერიტორიაზე მიკვლეულ ინვენტართან, ისე სამთავრო-სამაროვანის მასალასთან. ზოგი მათგანის, მაგალითად საკინძეების, ანალოგიებს კი უძებენ ბანისხევისა და თლის სამარხთა კომპლექსებში[118]. საგულისხმოა, რომ ერზერუმის ტიპის ცულებს მიუთითებენ სივასსა და ტოპრახკალეში[119]. ეს ცული გარკვეულ მსგავსებას პოულობს ანატოლიის ქიულ-თეფეს ზედა ფენის № 10 სამარხში აღმოჩენილ საომარ ცულებთანაც, რომელსაც უგარიტის ანალოგიური ცულების მიხედვით ძვ. წ. 1450—1365 წწ. ათარიღებენ[120] (შდრ. ტაბ. II_4 და I_3).

კოლხური ცული გარკვეულ გავლენას ახდენდა, როგორც ჩანს, ცულის ფორმის ჩამოყალიბებაზე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს მესხეთ-ჯავახეთში სხვადასხვა დროს აღმოჩენილი და ბორჯომისა და ახალციხის მუზეუმებში დაცული ცულები. პუბლიკატორებმა ყველა ეს ცული ერთად ჰიბრიდულ ფორმებად მიიჩნიეს[121], მაშინ როდესაც მათ შიერ გამოქვეყნებულ ოთხ ცულში მხოლოდ ერთია ისეთი (ს. ჭობისხევის ცული), რომელშიც იგრძნობა როგორც კოლხური, ისე აღმოსავლურ-ქართული ცულების ელემენტები. დანარჩენი სამი კი, ს. გომნის, სოფ. ტანძოთის და ახალციხის მუზეუმის ცულები, თავისი ფორმებით უფრო კოლხური ცულებისაკენ მიიდტვიან.

ამრიგად, თუ წარმოვიდგენთ კოლხური ცულის (საქმე ეხება კოლხური ცულის პირველსა და მასზე დამოკიდებულ სახეობებს) გენეზისს ფორმალურ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით, შემდეგ სურათს მივიღებთ: სათავეში დგას ღრმაღელე-შამშადინის ცულები (ტაბ. II_1), რომელთა სახესხვაობას შეადგენს ლენინაკანის ცული (ტაბ. II_2) და მისი მეშვეობით ცულების ეს ჯგუფი შეიძლება უფრო მკაფიო კავშირს სახავდეს თეფე-გავრას IV ფენის ცულთან (ტაბ. I_1). კოლხური ცულების არქაულ ნიმუშებს გაცილებით უფრო მჭიდროდ უახლოვდება კიროვაკანის ყორღანის ცული (ტაბ. II_3), რომელშიც ხედავენ აღმოსავლეთ ამიერკავკასიული ცულების სათავეს[122], მაგრამ იმისათვის, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიული ცული მიგვეღო, კიროვაკანის ცულს უნდა განეცადა არსებითი ხასიათის ცვლილებები, მაშინ როდესაც მასა და ურეკ-ერგე-მახუნ-

---

[117] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, стр. 17; დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

[118] А. А. Мартиросян, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

[119] იქვე, გვ. 76, 77.

[120] Tahsin Özgüç, Excavations at Kültepe 1954 find on Levee Ib — Türk Tarih Kurumu, Belleten, 1955, XIX, 73, გვ. 69—70, სურ. 40 და 42; შდრ. А. А. Мартиросян, დასახ. ნაშრომი, გვ. 77.

[121] Т. Н. Чубинишвили, Т. И. Татишвили, О. С. Гамбашидзе, Археолог. разведки в южных районах Грузии, СА, № 4, 1957, 123, 6_3—7, 126.

[122] А. А. Мартиросян, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

ცეთის ცულებს შორის კავშირი ფორმალურ-ტიპოლოგიურადაც და დეტალების დამუშავების მხრივაც უფრო თვალსაჩინოა და უშუალო (შდრ. ტაბ. II_3, 4 და 6. 7). კიროვაკანის ცული შედარებით ტანმორჩილია მხოლოდ, ვიდრე დასახელებული არქაული კოლხური ცულები, თორემ სხვა ნიშნებით (ტანის ექვსად დაწახნაგებით, ყუის, სატარე ხვრელის და პირის მოყვანილობით, სატარე ხვრელთან ქიმით და ა. შ.) ის იმეორებს ამ ცულებს, რომლებიც, ფაქტიურად, კიროვაკანის ცულის ტანდაგრძელებულ ვარიანტებს წარმოადგენენ.

ურეკ-ერზერუმის ცულები (ტაბ. II_{4-5}), მაგი ვარიანტები—ერგე-მახუნცეთისა, პილენკოვოს, გაგრის და ბიკვინტის ცულები (შესაბამისად ტაბ. II_{6-10}), უკვე არათუ უშუალოდ ემიჯნებიან კოლხურ ცულებს, არამედ ფაქტიურად, ფორმის თითქმის დასრულებული სახის გამო ამ უკანასკნელთა უძველეს, თავდაპირველ ნიმუშებს წარმოადგენენ. ყოველ შემთხვევაში, მათ შემდეგ კოლხური ცულების I და II სახეობას გადამწყვეტი მნიშვნელობის ცვლილებები არ განუცდია.

ასე გვესახება კოლხური ცულების განვითარება ფორმალურ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით. ყველა ეს შესაძლებელი ტიპოლოგიური საფეხური სამხრეთ კავკასიაშია დადასტურებული გარკვეული ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ ამ ცულების ჩამოყალიბება და განვითარება აღნიშნულ გარემოში მიმდინარეობდა.

ღრმაღელე-შამშადინის ტიპის ცულებს ლენინაკანის ცულთან ერთად ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ მეოთხედში (XVIII—XVII სს.) ათავსებენ[123]. ზოგი მკვლევარი ღრმაღელეს ცულს უფრო ადრეულ ხანას, ძვ. წ. XIX—XVIII სს. აკუთვნებს[124]. თუ კიროვაკანის ყორღანის ცულს ღრმაღელე-შამშადინის ცულების განვითარების შემდგომ რგოლად წარმოვიდგენთ, როგორც ეს ივარაუდება კიდეც[125], და ოგი ძვ. წ. XVI—XV სს. უნდა დათარიღდეს, რადგან მისი თანმხლები ნივთები (შუბის პირი, რომლის ანალოგიური რას-შამრაში ძვ. წ. 1600—1450 წწ. თარიღდება, ვერცხლისა და ოქროს ჭურჭელი, კერამიკა), ერთი მხრივ, მიილტვის თრიალეთის XV და XVII ყორღანების ინვენტარისაკენ, ხოლო, მეორე მხრივ, მათ შორის ჩნდება ისეთი საგნები, რომლებიც ფართო გავრცელებას პოულობენ გვიანბრინჯაოს ხანაში[126], მაშინ ღრმაღელე-შამშადინისა და ლენინაკანის ცულები ძვ. წ. XVII ს. არ უნდა გადმოცდეს.

რაც შეეხება ურეკ-ერზერუმის ტიპის ცულებს, გარდა კეოპრი-კერიას კოლექციისა, ისინი (ორი ცალი) დადასტურებულია ურეკის განძში. ეს ცულები ურეკის განძის უმცირესობას შეადგენს და ეს გარემოება ჩვენ ნიშანდობლივად გვეჩვენება.

ურეკის განძის დათარიღების რამდენიმე ცდა არსებობს: ო. ჯაფარიძე მას ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით ათარიღებს[127], დ. ქორიძე კი იმის გამო, რომ ურეკის განძის ყუამილიანი და ყუადაშვებული ცულები განვითარებული ფორმები უნდა იყოს ყუადაშვებული და ყუამილიანი ცულების იმ ვარიანტია, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულის I მეოთხედს განეკუთვნება,

---

123 А. А. Мартиросян, დასახ. ნაშრომი, გვ. 60, შდ.

124 დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი.

125 А. А. Мартиросян, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

126 ი ქ ვ ე, გვ. 61, 64 შდ. იქვე სათანადო ლიტერატურა.

127 О. М. Джапаридзе, Краткий отчет об археолог. разведках в Грузии (Гурия), 1948, КСИИМК, вып. XXXIX, 1951, გვ. 101.

რომ აღნიშნული ცულების მიახლოებითი ანალოგიები (ლურისტანიდან) II ათასწლეულის I მეოთხედით თარიღდებიან და შუაბრინჯაოს ხანის დასასრულიდან აღარ გვხვდებიან, ურეკის განძის ქვედა ქრონოლოგიურ საზღვარს ძვ. წ. XVIII საუკუნეს უფარდებს, ხოლო ზედას — ძვ. წ. XVI საუკუნეს[128]. გ. გობეჯიშვილის აზრით კი, ურეკის განძი დაფლული უნდა იყოს ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში, რადგან განძად დაფლვა ბრინჯაოს ნივთებისა ამ დროისათვისაა დამახასიათებელი[129].

ურეკის მთელი განძის თარიღი იმდენად გვაინტერესებს, რამდენადაც გვინდა ორი ექვსწახნაგა ცულის შესაძლებელი ასაკის გარკვევა. ურეკის განძი, როგორც ცნობილია, უმთავრესად ცულებისაგან შედგება, მაგრამ რაკი ეს ცულები ტიპოლოგიურად ნაირსახოვანია, ურეკის კომპლექსის დასათარიღებლად გარკვეული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს აღნიშნული ცულების რიცხობრივ თანაფარდობას. ურეკის განძში 23 ცულს ითვლიან, აქედან 6 ცალი ყუამილიანი ცულია (მათ შორის ყუადაშვებულიც), 15 ცალი—ორფერდაყუიანი ცულია მილისებური სატარე ხვრელით და 2 ცალიც — ექვსწახნაგა, ოვალურ-ხვრელიანი, სატარე ხვრელთან ქიმიანი ცულები, რომელნიც ამჯერად განსაკუთრებით გვაინტერესებს. ასეთი რიცხობრივი შეფარდება ზემოთ ჩამოთვლილი ცულებისა საფუძველს უნდა უქმნიდეს ვარაუდს, რომ ურეკის კომპლექსი განძად მაშინ უნდა იყოს შედგენილი, როცა შედარებით ფართო ხმარებაშია ორფერდაყუიანი ცულები, რაზეც მეტყველებს მათი სიმრავლე დანარჩენ ცულებთან შედარებით. ყუამილიანი ცულების სიმცირე, როგორც ჩანს, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ განძის შედგენის დროს მათი გამოყენების ყავლი უკვე გასულია, ექვსწახნაგა ცულების აბსოლუტური სიმცირე კი (სულ 2 ცალი) ცულების ყველა დანარჩენ სახეობასთან შედარებით, აშკარად იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ცულების ეს სახეობა სულ ახალი შემოსულია ხმარებაში. ამაზე ნათლად მეტყველებს, ერთი მხრივ, ამ ტიპის ცულებისა და მათი ვარიაციების გამრავლება მომდევნო ხანის კომპლექსებში — მახუნცეთის, ერგეს, ჭოროხის, ქობულეთის, ბიჭვინტის, ლიხნის, გაგრის, პილენკოვოს და სხვა განძებში, ხოლო, მეორე მხრივ, იმავე კომპლექსებში ორფერდაყუიანი ცულების თითქმის სრული გაქრობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ურეკის განძში, გარდა მიმოხილული ცულებისა, დამოწმებულია ორი სატეხი და 8 ცალი სამკუთხა, წვეტიანი ბართოხი. ამ ტიპის ბართოხები გვხვდება ურეკის განძის შემდეგდროინდელ კომპლექსებში, სახელდობრ, მელექედურისა და ზენითის განძებში კოლხურ ცულებთან, წალდებთან, სეგმენტურ იარაღთან და, რაც მთავარია, თოხებთან ერთად. მართალია, ეს იარაღი უფრო გვიან კომპლექსებში აღარ ჩანს[130], მაგრამ მისი თანაარსებობა თოხთან, რომელმაც, ალბათ, განდევნა იგი ხმარებიდან, კოლხურ იარაღთან (ცულები, წალდები, სეგმენტი) საერთოდ, იმის მაჩვენებელია, რომ ბართოხიც ურეკ-ურზერუმის ტიპის ცულებთან ერთად ურეკის განძის ყველაზე გვიანი ნივთებია. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ყუამილიანი ცულები შუაბრინჯაოს ხანის შემდეგ არ გვხვდება, მაშინ ურეკის განძის თარიღი,

---

[128] დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 99—101.
[129] საქართველოს არქეოლოგია, გვ. 116.
[130] დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

როგორც ჩანს, შუაბრინჯაოს ხანის სულ დასასრულს უნდა შეეფარდოს. ასეთ ვარაუდს ანალოგიური მასალაც უპერს მხარს.

ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ ურეკის ექვსწახნაგა ცულების პირდაპირ ანალოგად, სავსებით მართებულად, ერზერუმის ცულია მიჩნეული, ეს უკანასკნელი ბოლოდროინდელი პუბლიკაციის მიხედვით წარმოდგენილია კეოპრი-კეოიას სამაროვანის სამარხეულ კომპლექსში შემავალ ნივთად. ამ კომპლექსის სხვა ნივთებს (მახვილებს, ბრინჯაოს ქინძისთავებს) სომხეთისა და საქართველოს (სამთავრო, ბანისხევი, თლი) ანალოგიების მიხედვით, ა. მარტიროსიანი შუადან გვიანბრინჯაოზე გარდამავალი ხანით (ძვ. წ. XV—XIV სს.) ათარიღებს. ხოლო რაც შეეხება ექვსწახნაგა ცულს, როგორც ჩანს, ავტორისათვის უცნობი დარჩა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მდიდარი მასალა, რადგან იგი აცხადებს, რომ ამ ცულისათვის მას ამიერკავკასიაში პირდაპირი ანალოგები არ მოეპოვება და უთითებს უფრო შორეულ პარალელებს სივასისა და თოფრახ-კალეს ცულების სახით და ქიულ-თეფეს ზედა, უგვიანეს ფენაში აღმოჩენილ № 10 სამარხის ცულს, რომელიც XV—XIV სს. თარიღდება[131].

ასეა თუ ისე, კეოპრი-კეოიას კოლექციის დანარჩენი მასალა ურეკის ტიპის ექვსწახნაგა ცულს ძვ. წ. XV—XIV სს. მიაკუთვნებს, რასაც, როგორც ნაჩვენები იყო, მხარს უპერს სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს არქეოლოგიური მონაპოვარიც. თუ გავიზიარებთ ან განსვენებული დ. ქორიძის ვარაუდს, რომ კოლხური ცულების I სახეობა ძვ. წ. XIV ს-ში, ყოველ შემთხვევაში ამ საუკუნის დასასრულისათვის, უკვე სავსებით ჩამოყალიბებულია[132] და ეს ვარაუდი, როგორც ჩანს, მისაღები იქნება, მაშინ ურეკის ტიპის ცულების არსებობა ძვ. წ. XV ს-დან უნდა ვითვალოთ. ამ ცულების მოქმედების მცირე არეალი, აგრეთვე რიცხობრივი სიმცირეც მათ ხანმოკლე არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. როგორც ჩანს, მათ თავდაპირველი რგოლის მოვალეობა შეასრულეს მხოლოდ კოლხური ცულის ჩამოყალიბების პროცესში[133].

---

131 А. А. Мартиросян, დასახ. ნაშრომი, გვ. 76; T. Özgüç, დასახ. ნაშრომი, გვ. 69—70.

132 დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 59—61.

133 აღსანიშნავია, რომ ა. იესენი, რომელიც უდავოდ მიიჩნევდა კოლხური ცულის გენეტიკურ კავშირს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილ ექვსწახნაგა სატარე ხვრელიან-ქიმინ ცულებთან, ბიბლიოგრაფიის განძს ათარიღებდა ძვ. წ. XI და იქნებ XII საუკუნით. ამოსავალი ასეთი დათარიღებისათვის იყო სპეციალისტების მიერ ყობანის კულტურის დათარიღება არა უადრეს II—I ათასწლეულთა მიჯნით (შდრ. Е. И. Крупнов, К вопросу о хронологии Кобанской культуры, Ученые записки Кабардинского НИИ, т. I, Нальчик, 1947, გვ. 158; М и с и в ц, О происхождении и датировке Кобанской культуры, გვ. 82. სულ ახლახან ე. კრუპნოვმა მოგვცა ყობანური კულტურის დათარიღების დახუსტების ცდა დამატებითი მასალებისა და რადიოკარბონულ გამოთვლათა საფუძველზე. დათარიღების ამ ცდითაც იგივე შედეგია მიღებული. იხ. Е. И. Крупнов, Об уточненной датировке и периодизации Кобанской культуры, СА, № 1, 1969, გვ. 12—16.). ა. იესენის აზრით კი, სოკისა და ბიქვინტის განძის კოლხური ცულები საგრძნობლად წინ უსწრებენ ყობანის მასალას (А. А. Иессен, Прикубанский очаг., გვ. 80, 81, 119). აქვე აღსანიშნავი, რომ ზოგიერთი მკვლევარი ყობანის კულტურას უფრო ადრეულად მიიჩნევს, ვიდრე ზემოხსენებული მკვლევრები. ასე, ყობანური კულტურის კუთვნილ ზემო რეტის სამაროვანის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი ნახევრად ოვალური ამბენიდის მიხედვით, რომლის მსგავსი სამთავროს უძველესი ფენის ორმოსამარხებშიც დასტურდება (იხ. ტ. ჩ უ ბ ი ნ შ ვ ი ლ ი, მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1957, ტაბ. XVII, № 47, 96) და მისი თანმხლები ნივთების მიხედვით ამ სამაროვნის უძველეს კომპლექსებს ძვ. წ. XIV ს. დასასრულთა და XIII საუკუნით ათარიღებენ (იხ. რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ოკრიბის ათვისების

ამრიგად, კოლხური ცულების განვითარების ზემოთ წარმოდგენილ გენეტიკურ სქემაში მოცემული ტიპოლოგიური თანმიმდევრობა ცულებისა დასაშვებია, რადგან მას ემთხვევა ამ ცულების გავრცელების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. ეს, რა თქმა უნდა, არსებითი ხასიათის ფაქტია. მაგრამ აღნიშნულ სქემაში ერთი გარემოებაც იქცევს ყურადღებას. საქმე ისაა, რომ ამ სქემის ყველა რგოლი უმრავლეს შემთხვევაში სამხრეთ კავკასიაშია დადასტურებული, ხოლო თავისი უახლოესი შესაძლებელი სათავეებით ყველა მათგანი სამხრეთის კულტურებისაკენ (თეფე-გავრა, ქიულ-თეფე) მიიღტვის. ეს შეეხება ბ. კუფტინის მიერ შემუშავებულ ტიპოლოგიურ-გენეტიკურ მწკრივსაც, რომელიც კოლხური ცულის II სახეობის განვითარების შესაძლებელ საფეხურებს წარმოგვიდგენს[134]. ესეც არანაკლები მნიშვნელობის გარემოებაა თავისთავად, განსაკუთრებით იმ, ზემოთ უკვე ხსენებული დებულების ფონზე, რომ კოლხური ცული, თუნდაც მისი სახეობა, ჩრდილოეთ კავკასიის ქვის ცულებიდან მომდინარეობს. მაგრამ თავი დავანებოთ კოლხური ცულის განვითარების სქემაში შედარებით ჰიპოტეტურ რგოლებს და ყურადღება შევაჩეროთ ამ თვალსაზრისით ურეკ-კეოპრი-კეოიას (ერზერუმის) ტიპის ცულებზე, რომელთა ტიპოლოგიურ-გენეტიკური კავშირი კოლხურ ცულებთან ყოველგვარ ეჭვს გარეშეა.

ურეკ-კეოპრი-კეოიას ტიპის ცულები, როგორც ცნობილია, ძირითადად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გვაქვს დამოწმებული (იხ. რუკა): ურეკში, ქობულეთსა და ჭოროხის მხარეში, ფართო გაგებით, დაწყებული მისი სათავეების მიმდგომი რაიონიდან (ერზერუმის მხარე) გათავებული შესართავის აუზით (ჭოროხის, ერგეს, მახუნცეთის განძები). ამ ცულის ვარიანტები (მრგვალი სატარე ხვრელით) დადასტურებულია ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, მხოლოდ უშუალოდ სანაპირო ზოლზე (ლიხნის, ბიჭვინტის, გაგრის და განთიადის — პილენკოვოს — განძები). ურეკ-კეოპრი-კეოიას ტიპის ცულებს, როგორც აღნიშნული იყო, უფრო ადრეულ თანმხლებ ინვენტართან ერთად ვხვდებით, ვიდრე მათ ჩრდილოურ ვარიანტებს, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ უძველესი თავდაპირველი სახეობა სწორედ ურეკ-კეოპრი-კეოიას ტიპის ცულებია. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ კოლხური ცულის უშუალო წინამორბედებს, ან იქნებ, უფრო ზუსტად, უადრეს ნიმუშებს ურეკ-კეოპრი-კეოიას ცულების სახით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და უშუალოდ მის მიმდგომ მხარეებში ეყრებათ საფუძველი. ჩრდილოეთით მათი შემდგომი გავრცელება უნდა აიხსნას, როგორც კულტურულ-ტექნიკური მონაპოვარის შეღწევა.

კოლხური ცულების განვითარების ციკლში ურეკ-კეოპრი-კეოიას ტიპის ცულებს სრულიად განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის არა მარტო იმის გამო, რომ ისინი საფუძველს უყრიან გვიანბრინჯაოს კოლხური კულტურის ერთ ძირითად განმსაზღვრელ იარაღს, ე. ი. ფაქტიურად თვით კულტურას, არამედ იმის გამოც, რომ მათი აღმოჩენისა და გავრცელების ადგილები ემთხვევა დასავლეთ-ქართული (ზანური) ეთნიკური ერთობის ბინადრობის ად-

---

საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სსმმ, XXII—B, 1961, გვ. 315, 316). ზემოთქმულის საფუძველზე ბიჭვინტის განძის ძეგლების ასაკი შეიძლება მართლაც უნდა გაიზარდოს, ოღონდ, როგორც ჩანს, არც იმდენად, როგორც ეს დ. ქორიძეს აქვს მოცემული.

[134] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, I, Тб., 1949. გვ. 231, სურ. 49.

გილსა და ჩრდილოეთით მათი შემდგომი გავრცელების არეებს. უფრო მეტიც, საგულისხმოა, რომ აღნიშნული ცულები ჯერჯერობით აღმოჩენილია მხოლოდ იმ მხარეებში, სადაც წერილობითი წყაროები, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მათი გაჩენის დროიდან, ე. ი. ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებიდან, ზანურ ტომებს გვიდასტურებს. ასეთი დამთხვევის გამო ძნელია მატერიალური კულტურის ნიმუშები კონკრეტულ ეთნოსს არ დაუკავშირო. მეორე მარივ, აღსანიშნავია ისიც, რომ რაკი კოლხური ცულები შემდგომი განვითარებაა ურეკ-ერზერუმის ცულებისა, ბუნებრივია მათი და შესაბამისად მთელი კოლხური ბრინჯაოს სათავეები აღნიშნულ მხარეში მოვიძიოთ. საფუძვლიანობა ასეთი ვარაუდისა თავს იჩენს იმ ფაქტში, რომ არა მარტო კოლხური ცულის უშუალო პროტოტიპების სახით წარმოდგენილი საწყისი, თავდაპირველი ელემენტები, არამედ ამ კულტურის ყველა კომპონენტი ერთად—კოლხური ცული, წალდი, თოხი, სეგმენტისებური იარაღი, მხრებიანი ბრტყელი ცული, ვერტიკალურხვრელიანი იარაღი (რიგი პრინციპული ხასიათის ნიშნებით — კორპუსის დაწახნაგებით, პირის მოყვანილობით, საერთო ჰაბიტუსით — კოლხურ ცულს რომ იმეორებს), რომელთაც სახელად „კოლხური" დაუმკვიდრდა, ამ კულტურის ჩამოყალიბების შემდეგ მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშია დადასტურებული. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ ურეკის განძში კოლხური ცულის პროტოტიპთან ერთად მოცემულია ბართოხიც, ტიპოლოგიურადაც და დანიშნულების მხრივაც სავარაუდო პროტოტიპი თოხისა, რომელიც კოლხური ბრინჯაოს კიდევ ერთი განმსაზღვრელი კომპონენტია. ნიშანდობლივია ისიც, რომ კოლხური ბრინჯაოს ჩვენთვის ცნობილი 90 განძიდან (მხედველობის გარეშე ვტოვებთ არასპეციფიკურ, ნარევ კომპლექსებს — სასირეთის, ცხინვალის, ახალქალაქის და მსგავს განძებს, რომელნიც კოლხეთის ისტორიისა და კულტურის სხვა ასპექტებს ასახავენ) თითქმის ნახევარი (41 განძი) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე, ფაქტიურად, გურია-აჭარაზე მოდის, დანარჩენი 49 განძი კი მთელ დასავლეთ საქართველოზე ერთობლივ. აღნიშნულ რაიონში კოლხური ბრინჯაო წარმოდგენილია ცალკეულ პერიოდშიც საგრძნობი რიცხობრივი უპირატესობით ან უკიდურეს შემთხვევაში, თანაბრად მაინც, შედარებით დასავლეთ საქართველოს ნებისმიერ რაიონებთან, რომელშიც კი სადღეისო მონაცემების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ კოლხური ბრინჯაოს საწარმოო და ლოკალური კერა. ეს უპირატესობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა უძველეს პერიოდში. თუ ავიღებთ, მაგალითად, კოლხური ბრინჯაოს უძველეს კომპლექსებს, რომლებიც ზოგადად ძვ. წ. XV—X სს. შეიძლება შემოიფარგლოს, 50 განძიდან 27 დადასტურებულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ხოლო 23 — დასავლეთ საქართველოში მთლიანად.

ეს რიცხობრივი მონაცემები, ზემოთ აღნიშნულ ფაქტებთან ერთად, ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მიმდგომი მხარეებითურთ კოლხური ბრინჯაოს კულტურის უმთავრესსა და უძველეს კერას წარმოადგენდა.

ეს კულტურა, როგორც ჩანს, ყალიბდებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ჭოროხის აუზში და მტკვრის სათავეებთან, ლითონის საბადოთა იმ ბაზაზე, რომელიც განსაკუთრებით უხვადაა წარმოდგენილი როგორც ჩრდილოეთი ტავრის აღმოსავლეთ ნაწილში, ისე მტკვარ-ჭოროხის მხარეში[135].

[135] იხ. St. Przeworski. Die Metallindustrie Anatoliens in der Zeit Vom 1500 bis 700 chr. Internationales Archiv für Ethnographie, XXXVI, Leiden, 1939, შდრ. М. И.

ამით უნდა აიხსნას, სწორედ, კოლხური ბრინჯაოს წამყვანი ფორმების შესაძლებელი სამხრეთული სათავეები. ცნობილია, რომ ასეთი ვარაუდი ადრეც იყო გამოთქმული: ვინ ბათუმსა და ბათუმის მხარეს მიიჩნევდა კოლხეთში გავრცელებული ბრინჯაოს კულტურის უძველეს და ემთავრეს კერად. იქ აღმოჩენილი განძების განსაკუთრებული სიმრავლისა და მადნეულით სიმდიდრის გამო[136], ვინ ჭოროხის აუზს ზოგადად[137] და ა. შ. ჩვენ მარტოოდენ შევეცადეთ კიდევ ერთხელ გაგვემახვილებინა ყურადღება ამ მიმართულებით.

კოლხური ბრინჯაო ადრეულ ეტაპებზევე იჩენს თავს, ერთი მხრივ, შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, ხოლო, მეორე მხრივ, ხანისწყალის, რიონისა და ცხენისწყალის აუზებში კავკასიონის ქედამდე. ასე რომ, ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი იყო ბუნებრივი საზღვარი კოლხური ბრინჯაოს კულტურის მოქმედების სფეროსი. ამის იქით კოლხური კულტურის ცალკეული ელემენტების დადასტურება უნდა მეტყველებდეს ამ ელემენტების შეღწევაზე კულტურათა ურთიერთშეხების მეშვეობით.

არანაკლებ საინტერესოა კოლხური ბრინჯაოს გავრცელების ფარგლები სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით. ამ მხრივ, უპირველეს ყოველისა, ყურადღებას იქცევს ქ. ყარსის მიდამოებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების კომპლექსი, რომელიც ლიტერატურაში მეხჩის ციხის განძის სახელითაა შესული[138]. ეს კომპლექსი ყურადღებას იქცევს არა მარტო აღმოჩენის ადგილის გამო, არამედ თავისი ნარევი შედგენილობითაც. ამ განძში მოცემულია როგორც კოლხური, ისე აღმოსავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს ნივთები (ტაბ. XIV): კოლხური ცულები (ორი მათგანი ორნამენტირებულია), ერთი თოხი, კოლხური სიტულის ნაშთი, აღმოსავლურ-ქართული ცულები, ერთი სატევრის ტარის დაფანჯრული თავი, შვიდი მასიური რგოლი (ზოგი მათგანი ორნამენტითაა შემკული), ერთი ლაგმის საყბეური ბრინჯაოსი და ერთიც სატეხი ბრინჯაოსი[139]. როგორც ვხედავთ, მეხჩის ციხის განძში თითქმის თანაბრადაა წარმოდგენილი კოლხური და აღმოსავლურ-ქართული ბრინჯაო. ეს თავისთავად მეტად საყურადღებო შემთხვევაა და იგი მხედველობიდან არ გამორჩენიათ სპეციალისტებს. სამეცნიერო ლიტერატურაში არის ცდა ამ ფაქტში დაინახონ დასავლეთ საქართველოში აღმოსავლურ-ქართული მოსახლეობის კულტურულ-ეთნიკური ექსპანსიისა და ამ უკანასკნელის მიერ დასავლურ-ქართული მოსახლეობის ასიმილაციის დასაწყისი[140]. თუ განძის მი-

---

М а к с и м о в а, Античные города юго-восточного Причерноморья, М.-Л., 1956, стр. 23-25, сур. 2; А. А. И е с с е н, К вопросу о древнейшей металлургии на Кавказе, ИГАИМК, вып. 120, 1935 , 157.

[136] А. А. И е с с е н, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

[137] Б. Б. К у ф т и н, Материалы к археологии Колхиды, I, გვ. 233; გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, გვ. 78.

[138] აღნიშნული განძის პუბლიკაცია იხ. А. А. И е с с е н, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, стр. 139, 140; Б. Б. К у ф т и н,. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, გვ. 327—332; ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, კოლხური ცული, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XV, 1950; მ ი ს ი ე ვ, Бронзовые топоры Западной Грузии, СА. XVIII, 1953; დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახ. შრომა , გვ. 37—38, სურ. 30.

[139] А. А. И е с с е н, К вопросу древнейшей металлургии меди на Кавказе, გვ. 139, 140.

[140] Б. А. К у ф т и н, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе, გვ. 328, 329 და შდ.

ხედვით საერთოდ დასაშვებია კიდეც ასეთ რთულ ისტორიულ პროცესზე მსჯელობა, მეხჩის ციხის განძის შედგენილობა ასეთი დასკვნის საფუძველს მაინც არ უნდა იძლეოდეს, რადგან განძში არა ჩანს აღმოსავლურ-ქართული ელემენტის უპირატესობა, რაც შეიძლება გამოგვდგომოდა აღმოსავლურ-ქართული მოსახლეობის მოძალების საილუსტრაციოდ.

მეხჩის ციხის განძის განსხვავებული შედგენილობის ახსნა უფრო ბუნებრივია ვეძებოთ ამ განძის აღმოჩენის ადგილის თავისებურებებში. ყარსის რაიონი, როგორც ჩანს, ის მხარე იყო, სადაც მოქმედებდა ორი მეზობელი კულტურის დამახასიათებელი ფორმები — და ზოგჯერ იმ პროვინციის ფორმებიც (თუ კი ასეთი არსებობდა), რომელიც ორი კულტურის შეხების ზონად გადაიქცა. ამასთან, კულტურათა ამგვარი შერევის ფაქტებში, თუ სხვა რამ დამატებითი მონაცემები არ არის, უფრო ხშირად მეზობელი ტომების მშვიდობიან თანაარსებობას ხედავენ[141]. მეხჩის ციხის განძის შედგენილობა გვაფიქრებინებს, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან ყარსის რაიონი დასავლურ-ქართული და აღმოსავლურ-ქართული კულტურების ურთიერთშეხების ზონა იყო. ეს მხარე დასავლურ-ქართული კულტურისათვის თუ გავრცელების უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარს შეადგენდა, აღმოსავლურ-ქართულისათვის ის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი უნდა ყოფილიყო[142].

სამხრეთ-დასავლეთით კოლხური ბრინჯაოს გავრცელების სფერო, როგორც ცნობილია, ჯერჯერობით ორდუში იკვეთება. ორდუ ის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი პუნქტია, სადაც კოლხური ბრინჯაოა დადასტურებული. მაგრამ ორდუს განძის შინაარსი არ უნდა ზღუდავდეს კოლხური ბრინჯაოს აღმოჩენის შესაძლებლობას როგორც უფრო დასავლეთით, ისე შედარებით სამხრეთითაც.

ორდუს განძი[143] ერთ-ერთი უძველესი კომპლექსია კოლხური ბრინჯაოსი. მას, როგორც ცნობილია, ძვ. წ. XIII—XII სს. აკუთვნებენ[144]. ის შეიძლება

---

[141] M. Jahn. Die Abgrenzung von Kulturgruppen und Völker in der Vorgeschichte. Berlin, 1953, გვ. 16, 23—24.

[142] მეხჩის ციხის განძს თავის შინაარსით უახლოდება ცხინვალის განძიც, რომელშიც აგრეთვე თითქმის თანაბრადაა (ყოველ შემთხვევაში, ცელები) წარმოდგენილი კოლხური და აღმოსავლურ-ქართული ბრინჯაო (იხ. დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 29—30, ტაბ. XIV). რა თქმა უნდა, ამ მხრივ ეს კომპლექსიც ნიშანდობლივია, რადგან ისიც ნათლად ასახავს ორი კულტურის ურთიერთ შეხვედრის ზონას. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ახალქალაქის განძიც, თუმც მასში ორჯერ მეტია აღმოსავლურ-ქართული ცული (11 ცალი), ვიდრე კოლხური — ეს უკანასკნელი 5 ცალია (იხ. დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი გვ. 30, ტაბ. 18). ახალქალაქის განძიც შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ აღმოსავლეთით მას იქით კოლხური ბრინჯაო აღარ ერცელდება, რომ აქაც, ამ მხარეში აშკარაა აღმოსავლურ-ქართულის უპირატესობა. რაც შეეხება სხვა განძებს, მაგალითად სასირეთისას, სადაც აშკარად კოლხური მხოლოდ ერთი ცულია (იხ. G. N i o r a d z e. Der Verwahrfund von Kvemo-Sasirethi. ESA, VII, Helsinki, 1932, გვ. 82—97), პერეევისას, რომელშიც ოთხი ნივთია: თავგახსნილი რგოლი, ორი კოლხური და ერთი აღმოსავლური ქართული ცული (იხ. დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 34, სურ. 26) ანდა ცაგერის განძს, რომელშიც რამდენიმე კოლხურ ნივთთან მხოლოდ ერთი აღმოსავლურ-ქართული ცულია, ისინი აშკარად განსხვავდებიან ზემოხსენებულ განძთაგან და, როგორც ჩანს, საქართველოს ცალკეულ პროვინციათა შორის ურთიერთობას ასახავენ.

[143] ამ განძის პუბლიკაცია იხ. St. P r z e w o r s k i, Der Grottenfund von Ordu. AO, 8, №1, 1936.

[144] St. P r z e w o r s k i, AO, v. 8, № 1, გვ. 58, 59 შდ. დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 109.

ამდენადმე აღრეულიც იყოს. ყოველ შემთხვევაში მისი ერთ-ერთი ცული თანაბრად განიერი ტანით, ოვალური სატარე ხვრელით და სატარეს კედლებზე ორი წიბურით (ტაბ. III_1) უფრო ადრეული (ლაილაშის განძისა და ღვედის) ცულებისაკენ ნიუტვის (შდრ. ტაბ. III_2—$_3$). ამიტომ ნაკლებ სავარაუდოა, რომ ორდუს განძის ნივთების სახით ბრინჯაოს კულტურის ესოდენ ადრეულ ნიმუშებს თავი ეჩინათ ამ კულტურის გავრცელების პერიფერიაზე.

ორდუს განძში კოლხური ბრინჯაო წარმოდგენილია ყველა განმსაზღვრელი ნივთით თოხისა და სეგმენტის გარდა. განძში თავმოყრილია (ტაბ. XV) კოლხური ცულების უძველესი ნიმუშები (5 ცალი), რომლებიც სტ. პრეეორსკიმ პირველმა დაუკავშირა ართვინის ანალოგიურ ცულებს და აღნიშნა, რომ ორდუსა და ართვინის ცულების სახით საქმე გვაქვს ყობანური ცულების განსაკუთრებულ, აღმოსავლეთ პონტოსათვის დამახასიათებელ ადგილობრივ (heimisch) სახესხვაობასთან[145], ბრტყელი ცული და წალდი. მართალია, წალდი სტ. პრეეორსკიმ, ორდუს განძის პირველმა პუბლიკატორმა, მიიჩნია ცულ-ნიჩბის (Spatenbeil) ნამტვრევად[146], მაგრამ ამ იარაღის მსგავსებამ თანამედროვე წალდთან და ანალოგიური იარაღის დადასტურებამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ცალკეულ კომპლექსებში სტ. პრეეორსკის განსაზღვრა გააბათილა[147]. სტ. პრეეორსკის შეცდომა აიხსნება ლითონის ცნობილ კულტურებში ანალოგიური იარაღის უქონლობით. და არა მარტო სხვა კულტურებში, არამედ კოლხურ კულტურაში წალდი მხოლოდ უძველესი კერისათვის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსათვისაა, დამახასიათებელი. ჩრდილო-აღმოსავლეთით ეს იარაღი სოფ. სიმონეთს აქეთ არა გვაქვს დამოწმებული. წალდი ის იარაღია, რომელიც კოლხური ბრინჯაოს კულტურას დასრულებულ სახეს აძლევს, მთლიანობაში წარმოგვიდგენს არა მარტო როგორც მისი შემადგენელი კიდეთურთი კომპონენტი. არამედ როგორც ამ კულტურის შემქმნელი ეთნიკური ერთობის სამეურნეო ყოფის სპეციფიკის ამსახველი იარაღი. ამასთან, წალდი კოლხური კულტურის უძველესი კომპონენტია, იგი კულტურის საწყისი ეტაპებიდან გვხვდება უძველეს კომპლექსში — მელექედურის განძში, რომელსაც ძვ. წ. XV—XIV სს. ათარიღებენ[148].

ორდუს განძში სპეციალისტების ცხოველი ინტერესი გამოიწვია ბრტყელმა ცულმა. სტ. პრეეორსკის აზრით, ეს ბრტყელი ცული (იგი მას მცირემხრებიან ცულს — Armchenaxt — უწოდებს) მოყვანილობით ახლოდგას არა ანატოლიურ ცულებთან, არამედ ქერჩში აღმოჩენილ ყობანიდან იმპორტირებულ ცულთან, რომელიც, ავტორის აზრით, ყობანური კულტურისა და ხელოვნების წრეს განეკუთვნება[149]. ო. ჯაფარიძის აზრით, პირიქით, ამ ტიპის ბრტყელი ცული მცირეაზიური წარმოშობისაა და ამიერკავკასიაში, კერძოდ კოლხეთში, მცირე აზიიდანაა შემოსული[150]. მხრებიანი პირმორკალული

---

[145] St. Przeworski, Der Grottenfund von Ordu, AO, 7, № 3, 1935, გვ. 396.

[146] St. Przeworski, AO, 7, 1935, № 3, გვ. 402 და AO 8, 1936, № 1, გვ. 58, 59 და შმდ.

[147] იხ. Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях..., стр. 320; А. А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, ИГАИМК, вып. 120, М.-Л., 1935, стр. 122.

[148] ლ. ჭოროძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 106, ტაბ. VI.

[149] St. Przeworski, დასახ. ნაშრომი, AO, 8, 1936, № 1, გვ. 57—58.

[150] Ю. Джапаридзе, Бронзовые топоры Западной Грузии, СА, XVIII, 1953, გვ. 297—298.

ბრტყელი ცულები სწორი თხელი ყუით ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან დასავლეთ საქართველოში ბევრგანაა დადასტურებული. განსაკუთრებით ბევრია რაჭა-ლეჩხუმში (ქვიშარში, ღარში, ონში, ცაგერში, ხურმუშში, ოყურეშში), სამეგრელოში (მახარია, ზუგდიდი), სვანეთში, სამხრეთ ოსეთში (თლი) და სხვ.[151]. ამ ცულებს მართებულად მიიჩნევენ უდავოდ ტიპიურ კოლხურ-ყობანურ ცულებად[152]. მათ ამგვარ წარმომავლობაზე მეტყველებს მხრებიანი ბრტყელი ცულების აშკარა კავშირი კოლხურ ცულებთან. მაგალითად, პირის მოყვანილობითა და ტანის დაწახნაგებით ისინი (განსაკუთრებით კი დ. ქორიძის გამოყოფილი I სახეობა მხრებიანი ბრტყელი ცულებისა) იმეორებენ კოლხური ცულების III სახეობას[153]. აღსანიშნავია, რომ კოლხური კულტურის წრეში აღმოჩენილი უძველესი მხრებიანი ბრტყელი ცული ორდუდან და მისი მსგავსი ცულები (მაგალითად, მერსინისა) ტანის დაწახნაგებისა და პირის მოყვანილობის მიხედვით ახლო დგანან ერზერუმ-ურეკის ტიპის ცულებთან, ე. ი. კოლხური ცულის უძველეს, თავდაპირველ ნიმუშებთან (შდრ. ტაბ. IV_{4-5} და ტაბ. II_{4-5}). ტანის მოყვანილობით და ზოგჯერ მხრების ფორმითაც კოლხეთის ბრტყელი ცულები განსხვავდებიან ორდუს ცულებისაგან: მათ უფრო წაგრძელებული, რამდენადმე ვიწრო და გამოყვანილი ტანი აქვთ ორდუს ცულთან შედარებით. ამ უკანასკნელთან უფრო ახლოს დგანან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ციხისძირში, შრომასა და ვაკიჯვარში, აღმოჩენილი ცულები. მართალია, ციხისძირის, შრომისა და ვაკიჯვარის ცულებს პირი მოტეხილი აქვთ (ტაბ. IV_{1-3}), მაგრამ ზედა, ყველაზე სპეციფიკური ნაწილის მიხედვით ისინი ორდუს ცულს უახლოვდებიან (შდრ. ტაბ. IV_4). თუმცა განსაკუთრებით ახლოს არიან ისინი კაისარის ცულებთან[154]. ადვილი შესაძლებელია, რომ ეს ცულები ორდუს ცულის მეშვეობით უკავშირდებიან მცირე აზიის უფრო ადრეულ მხრებიან ბრტყელ ცულებს. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ორდუს ბრტყელი ცულის ანალოგიები თუ, ერთი მხრივ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშია დამოწმებული, მეორე მხრივ, ისინი თავს იჩენენ მცირე აზიაშიც. მაგალითად, მერსინის (იუმუქ-თეფეს) IX ჰორიზონტში აღმოჩნდა მხრებიანი ბრტყელი ცული, რომელიც ორდუს ცულის სრული გამეორებაა (იხ. ტაბ. IV_5). ჯ. გარსტანგი თავისი თანამშრომლის მაქსველ ჰისლოპის მიერ ჩატარებული სპეციალური კვლევა-ძიების შედეგებზე დამყარებით აღნიშნავს, რომ ანატოლიაში აღმოჩენილი ოცდაათი თუ ცოტა მეტი ბრტყელი ცულიდან, მერსინის ცული განსაკუთრებით ახლოს დგას ალიშარ II[155] და ბოღაზქოის III ჰორიზონტში დადასტურებულ ცულებთან. რამდენადმე უფრო ნაკლებ დიფერენცირებული ჩანს ბოღაზქოის II სამშენებლო ფენაში აღმოჩენილი ანალოგიური ცული[156]. მერსინის ცული ამავე დროს ასევე ახლოს დგას ანატოლიის სხვა, ოღონდ არასტრატიფიცირებულ ცულებთან, კაისარიდან, ბო-

---

[151] დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ. ტაბ. XI, XIII, XXXVII.

[152] Б. А. К у ф т и н, Археологическая маршрутная экспедиция, 1945, г. в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, გვ. 45; О. Д ж а п а р и д з е, დასახ. ნაშრომი, გვ. 297.

[153] დ. ქ ო რ ი ძ ე, საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ბრტყელი ცულების კლასიფიკაციისა და გენეზისის საკითხისათვის, გვ. 24.

[154] St. P r z e w o r s k i, Metallindustrie. . . ტაბ. X_{3-4}.

[155] C. F. S c h a e f f e r. Stratigraphie Comparée et chronologie de l'Asie Occidentale (III et II millènaires). London, 1948, fig., 194 $_{33}$.

[156] K. B i t t e l, H. G. G ü l e r b o c k. Bogazköy. Berlin, 1935, გვ. 52, ტაბ. X_2.

ლასქოიდან, იაზილიკაიადან და ორდუდან, „ის ფაქტი, — აღნიშნავს ავტორი,— რომ ეს უკანასკნელი (ე. ი. ორდუს ბრტყელი ცული, თ. მ.) წარმოადგენს ლითონის იარაღის განძის ნაწილს და, რომ თვით ორდუ მდებარეობს ქაშქების წინანდელ ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავდა თუ ესაზღვრებოდა ხალიბების, ამ ლითონის დამუშავების პირველი ოსტატების ქვეყანას, ფართო გზას ხსნის კვლევა-ძიებისათვის"[157]. საგულისხმოა, რომ მსგავსი ცულების აღმოჩენის ფაქტს შუაგულ მცირე აზიასა და მის სამხრეთ პერიფერიაზე, რის გამოც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ორდუს ცულს მცირეაზიური წარმომაელობას მიეწერება, ხსნიან აღნიშნული ცულების სწორედ ჩრთილოეთიდან სამხრეთისაკენ გატანით[158].

მცირე აზიის არქეოლოგიურ კულტურებზე მომუშავე მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან შეიმჩნევა ანატოლიელი მეტალურგების დენა სამხრეთ პროვინციებში, სახელდობრ, სირიაში. ამ ანატოლიელ მელითონეებად ასახელებენ ტიბარენებსა და ხალდებს[159]. ისტორიული თვალსაზრისით რამდენად შესაძენარეველია ასეთი აზრი, ამის შესახებ ქვემოთ საგანგებო თავში გვექნება საუბარი. ახალა კი საჭიროდ მიგვაჩნია შევაჩერეთ ყურადღება ზოგიერთ არქეოლოგიურ ფაქტზე. როგორც ზემოთ დავინახეთ. სპეციალისტები, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის უცნობი დარჩა ციხისძირის, შრომისა და ვაკიჯვარის ცულები და საერთოდ მხრებიანი ბრტყელი ცულის სხვა სახესხვაობათა ფართო გავრცელება საქართველოში, დაბეჯითებით ფიქრობენ, რომ ხრებიანი, პირმორკალული და სწორყუიანი ბრტყელი ცულები ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირეაზიური წარმოშობისაა და უნდა დაუკავშირდეს ქაშქებს, ტიბარენებსა და ხალიბებს, რომელთაგან ეს იარაღი შეითვისეს ხეთებმა და ფართოდ გაავრცელეს მთელ მცირე აზიაში. თუ დასაშვებია ორდუ-ალიშარ-ბოღაზქოი-მერსინის ტიპის ბრტყელ ცულებთან ციხისძირის, შრომის, ვაკიჯვარის განძების ბრტყელი ცულების დაკავშირება, ეს შესაძლებლობა, ი. გარსტანგის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, მართლაც ფართო გზებს სახავს კვლევა-ძიებისათვის, რადგან ეს მცირეაზიურ-კოლხური თუ საერთოდ ამიერკავკასიური არქეოლოგიური შეხვედრის ერთადერთი შემთხვევა არ არის. ასეთივე რიგის ფაქტია ალიშარზე ისეთი სეგმენტური იარაღის აღმოჩენა, როგორიც ართვინის განძში იყო დადასტურებული. მართალია, კ. ბიტელმა, როგორც ართვინის, ისე მისი მსგავსი ალიშარის სეგმენტი შეცდომით მიიჩნია ორმხრივი ცულის, თუ წყვილცულას ერთ ნახევრად[160], მაგრამ თვით კ. ბიტელის მიერ წარმოდგენილი აღწერილობის და გამოქვეყნებული ფოტოსურათების მიხედვით სრულიად აშკარაა, რომ საქმე გვაქვს ტიპიურ კოლხურ სეგმენტისებურ იარაღთან[161].

ამრიგად, ჰალისის რკალს შიგნით ხეთურ ცენტრებში (ალიშარზე, ბოღაზქოიში, იაზილიკაიაში) თავს იჩენს მხრებიანი ბრტყელი ცული, რომლის მსგავსი ცულები დამახასიათებელია კოლხური კულტურის წრისათვის. ალიშარზე, როგორც დავინახეთ, ჩნდება აგრეთვე სეგმენტისებური იარაღიც. ეს უკვე და-

---

157 J. Garstang. Prehistoric Mersin (Yüyük Tepe in southern Turkey), Oxford, 1953, გვ. 211—212.

158 J. Garstang, დასახ. ნაშრომი, გვ. 121; ი ქ ვ ე, შნშ. 2—3.

159 R. Dussaud. Prelidiens, Hittites et Achéens, Paris, 1935, გვ. 157.

160 კ. ბ ი ტ ე ლ ი, ართვინში აღმოჩენილი ბრინჯაოსგან გაკეთებული არქეოლოგიური ნაშთები, ენიმკის მოამბე, II₂, 1938, გვ. 265.

161 შდრ. Б. А. К у ф т и н, К вопросу о древнейших корнях..., стр. 320.

საფიქრებელი გარემოებაა, რადგან სეგმენტი კოლხური ბრინჯაოს კულტურის ერთი ყველაზე ტიპიური და წამყვანი იარაღთაგანია. კიდევ უფრო საგულისხმოა ამ მხრივ ერთი აღმოჩენა ბოღასქოიში: 1934 წელს ხეთური ნაგებობის გარე კედელთან, თიხის ორ დიდ დერგს შორის აღმოჩნდა ბრინჯაოს ცული[162], რომელიც, ფაქტიურად, სხვა არაფერია, თუ არ კოლხური ცულის ერთი უძველესი სახეობათაგანი (ტაბ. III_4). მიუხედავად იმისა, რომ ეს ცული უკვე მეოთხედი საუკუნეა შესულია სამეცნიერო მიმოქცევაში, ამ თვალსაზრისით ის დღემდე არ ყოფილა განხილული. მაშინ, როდესაც, თუ უმნიშვნელო გადახრებს არ მივიღებთ მხედველობაში, ბოღასქოის ცული, ფაქტიურად, იმეორებს ორდუს, ლაილაშისა და ღვედის ცულებს მრგვალი სატარე ხვრელით, მახვილი ყუითა და ყუის კედლებზე წიბურებით (შდრ. ტაბ. III_{1-3}). ღვედისა და ლაილაშის ცულებს მეშვეული გზით ძვ. წ. XV—XIV სს. ათარიღებენ[163]. ამიტომ განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ბოღასქოის ცული დაახლოებით ძვ. წ. 1400 წლით თარიღდება იქვე ახლოს აღმოჩენილ სუპილულიუმას საბეჭდავთან მიმართების საფუძველზე[164].

ზემოთ წამოყენებულ შეპირისპირებას იმის გამო გვინდა მივანიჭოთ განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომ ბოღასქოის ცული ნივთიერად დადასტურებული ერთი მცირე ნიმუშთაგანია ხეთური შეიარაღებისა, რომლის შესახებ წარმოდგენა სპეციალისტები იქმნიან ან ნაკლებ სანდო ეგვიპტური რელიეფებიდან, ანდა შედარებით უფრო სანდო ხეთური (ბოღასქოისა და იაზილიკაიას) რელიეფების მიხედვით[165].

აღნიშნული ფაქტების ფონზე უფრო დამაჯერებლად გამოიყურება ბ. კუფტინის დაკვირვება, რომ ის ცულები, რომელიც უკავიათ ერთ სირიულ-ხეთურ ცილინდრზე გამოსახულ ქურუმებს, შეიძლება პროტოკოლხური და კოლხური ცულები იყოს[166]. ყოველ შემთხვევაში, ხსენებულ ცილინდრზე გამოსახული ერთ-ერთი ცულის მსგავსება კოლხური ცულების უძველეს ნიმუშებთან (ურეკ-ეკგე-მახუნცეთის ტიპის ცულებთან) აშკარაა[167].

არათუ ზემოთ აღნიშნული მონაცემები ერთობლივ, არამედ, როგორც ცნობილია, მარტოოდენ ორდუს განძის აღმოჩენა გახდა საფუძველი მეცნიერებაში იმ აზრის შემუშავებისა, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთი მცირე აზია უნდა განიხილოს, როგორც შუა და დასავლეთი ანატოლიის მეტალურგიული ცენტრი[168]. როგორც ჩანს, ამ მეტალურგიული ცენტრის მოქმედების ფარგლები სამხრეთით უფრო შორსაა სავარაუდო, ვიდრე ჯერჯერობით ჩვენა გვგონია. სავარაუდოა ისიც, რომ ხეთების სამეფოს ავტორიტეტი მახლობელ აღმოსავლეთში, როგორც ლითონის მწარმოებელი ქვეყნისა, დამყარებული უნდა ყო-

---

[162] K. Bittel, H. G. Güterbock. დასახ. ნაშრომი, გვ. 29, ტაბ. 10.

[163] დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 65, სურ. 59 $_{3-6}$, გვ. 106, 107.

[164] K. Bittel, H. G. Güterbock. იქვე, გვ. 29.

[165] იქვე, გვ. 22.

[166] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, I, გვ. 143—144, სურ. 26.

[167] ამავე რიგისაა კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ხეთურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიურ კონტაქტებზე უნდა მიუთითებდეს. მხედველობაში მაქვს ბოღასქოის ერთ-ერთ კარიბჭეზე გამოსახული რელიეფ მეომრისა (ძვ. წ. XIV ს.), რომელსაც ხელთ უპყრია ცული (იხ. R. Hamann. Geschichte der Kunst. Berlin, 1957, გვ. 374, სურ. 403). ეს უკანასკნელი პირისა და ფრთების დამუშავებით ძალიან მოგვაგონებს არტიკის ერთ ცულს (შდრ. Т. А. Хачатурян, დასახ. ნაშრომი, გვ. 50, ტაბ. III), განსხვავებულია მათი ყუის დამუშავება.

[168] S. Przeworski, Metallindustrie Anatoliens. . ., გვ. 71.

ფილიყო ადგილობრივი მოსახლეობის ტაბალების, ხალიბ-ყაინთა საეკუნოვან მეტალურგიულ ტრადიციებზე. ამ ტრადიციების სათავეები იძირება იმ უძველესი ქართველური და დასავლეთ ამიერკავკასიური მოსახლეობის კულტურის მიღწევებში, რომელიც მცირე აზიაში ხეთების უწინარეს ივარაუდებიან.

როგორც ცნობილია, სამეცნიერო ლიტერატურაში არქეოლოგიური კულტურის ეთნიკურ ერთობასთან მიმართების კვლევისას ლითონის ნაწარმთან შედარებით მატერიალური კულტურის სხვა ელემენტებს უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგან ამა თუ იმ ეთნიკური ერთობის ინდივიდუალობა, თითქოს ამ სხვა უპირატესად ყოფით ელემენტებში უფრო ვლინდება, მაგრამ არც ამ დებულების განზოგადება უნდა იყოს ყოველთვის გამართლებული. საქმე ისაა, რომ, როგორც ნაჩვენები იყო, ერთ გარკვეულ ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიას და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, დამოწმებულია წამყვანი იარაღის არა მარტო შორეული პროტოტიპები, არამედ უშუალო წინამორბედები და უძველესი ნიმუშები, ე. ი. თვალი გაედევნება იარაღის გენეზისს. ამასთან, როგორც აღვნიშნავდით, კოლხური ბრინჯაოს უძველესი კომპლექსების დიდი უმრავლესობა, სხვადასხვა კერებში გავრცელებული თითქმის ყველა თავისებურებით აქ არის წარმოდგენილი. გარდა ამისა, მხოლოდ აქაა დამოწმებული მთლიანობაში ის, რასაც კოლხურ ბრინჯაოს ვუწოდებთ, მისი ყველა წამყვანი ელემენტი (კოლხური ცული, მბრეგბიანი ბრტყელი ცული, წალდი, თოხი, სეგმენტისებური იარაღი და ვერტიკალურხვრელიანი — კელტისებური — იარაღი), რომლებიც მჭიდრო ფორმალურ-ტიპოლოგიური კავშირებით ერთიანდებიან. ამიტომ მივუთითებდით ზემოთ, რომ კოლხური ცული გარკვეულ ვითარებაში იქ, სადაც დადასტურებულია მისი საფეხურებრივი განვითარება და მჭიდრო ფორმალურ-ტიპოლოგიური კავშირი მატერიალური კულტურის სხვა კომპონენტებთან, შეიძლება ეთნიკური ნიშნის მატარებელი იყოს, სხვაგან კი გამოხატავდეს ამავე ეთნიკური ერთობის ისტორიის სხვა ასპექტს.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არ უარყოფს ნივთიერი კულტურის სხვა, განსაკუთრებით კი ყოფითი მხარეების შიმართ ყურადღების გამახვილების საჭიროებას, რადგან ერთი ეთნიკური ერთობის მეორისაგან გამიჯვნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნივთიერი ძეგლების იმ ნაწილს, რომელიც ყოფით თავისებურებებს გამოხატავს: დასახლებებს, სამეურნეო და საოჯახო ჭურჭელს, ამ უკანასკნელის ფორმასა და ორნამენტს და ა. შ.

დასავლეთ საქართველოს და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დასახლებათა შესახებ მეცნიერებას ძალიან ცოტა მასალა მოეპოვება. ამ მხრივ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ზოგად პრინციპულ თავისებურებებზე ვილაპარაკოთ. ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრიდან მაინც მდ. რიონის ქვემო წელზე და მის მიმდგომ მხარეებში გაბატონებული ჩანს ხის ნაგებობები ჯარგვალური ტიპისა. ასეთი შენობების ნაშთები დამოწმებული გვაქვს ნამჭედურის ბორცვზე ქობულეთთან, სოფ. ქვემო ჭალადიდში ბორცვ „ზურგაზე“, სოფ. ქვალონთან, ბორცვ „ნაოხვამუს“ ქვედა უძველეს ფენებში და ანაკლიის „დიხაგუძუბას“ მეორე და მესამე ფენებში[169].

---

[169] იხ. თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1962 წლის მეშაობის შედეგები. სამეცნიერო სესია. მიძღვნილი 1962წ. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი. თბ., 1963, გვ. 48—50; ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა, დიხა გუძუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლობა, საქ. სსრ აკად. მოამბე, ტ. V, № 2, 1944, გვ. 210; Б. А. К у ф т и н, Материалы к археологии Колхиды, II, ст. 248, 253.

ჩანს, ჯარგვალთა შენების ტრადიცია დასავლეთ საქართველოში საყოველთაოდ იყო გავრცელებული და თანაც მრავალი საუკუნის მანძილზე, ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. VI—V სს. ანაკლიის დიხა-გუძუბა II-ზე და რიონის ქვემო წელზე ბორკვ „სიმაგრეზე" არქეოლოგიურად გვაქვს დამოწმებული მრგვალი ძელებით ნაგები შენობები. აქ დადასტურდა რამდენიმე ეტაპი მშენებლობისა და ყოველ ფენაში საკმაოდ რთული ხლართი კედლის ნაშთებისა. ეს ძეგლი ბოლომდე არ არის შესწავლილი და მის ხასიათზე მსჯელობა ჯერჯერობით ძნელია. ეს არც შეადგენს ახლა ჩვენს ამოცანას. ჩვენი მსჯელობისათვის ამჟამად აუცილებლობა ის, რომ II ათასწლეულის პირველი ნახევრიდან I ათასწლეულის შუაბანებამდე მაინც კოლხეთში საცხოვრებელთა საყოველთაოდ გავრცელებული საბინაო ხის ხეროთმოძღვრებაზე იყო დაფუძნებული. ხის ნაგებობები, როგორც სამოსახლო შენობათა საყოველთაო სახეობა, კოლხეთში საშუალო საუკუნეებშიც გაბატონებული ჩანს[170].

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძვ. წ. II—I ათასწლეულებში გავრცელებული საცხოვრებელი ნაგებობების შესახებ არქეოლოგიური მასალები არ მოგვეპოვება, მაგრამ თუ ძვ. წ. V ს. ლიტერატურული წყაროების მიხედვით ვიმსჯელებთ, დავინახავთ, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, აქაც ხის სახლები იყო გაბატონებული. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ქსენოფონტის „ანაბასისში" დაცული, საკმაოდ ვრცელი აღწერილობა დრილებისა და მოსინიკების საცხოვრებელი და საფორტიფიკაციო ნაგებობებისა[171]. ერთი მხრივ ეს ცნობები, ხოლო, მეორე მხრივ, კოლხეთში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები გვაფიქრებინებს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი და კოლხეთი სამშენებლო კულტურისა და ტრადიციების ერთ წრეში იყო მოქცეული.

კოლხურ საცხოვრებელ ნაგებობათა უფრო დეტალური ანალიზისათვის სხვა მონაცემები, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება. შედარებით მეტი მასალა დაგროვდა კოლხური კერამიკის საკვლევად. მიუხედავად ამისა, კოლხური კერამიკა, როგორც ცნობილია, სპეციალური შესწავლის საგანი დღემდე არ გამხდარა. ამ მხრივ თითქმის გამონაკლისს წარმოადგენს ბ. კუფტინის ორტომეული — «Материалы к археологии Колхиды», მაგრამ რაკი ეს ნაშრომი სხვა ამოცანას ისახავდა მიზნად, კოლხეთის კერამიკა იქ განხილულია, ფაქტიურად, როგორც ცალკეული არქეოლოგიური ძეგლების შემადგენელი ნაწილი და არა როგორც კოლხეთის არქეოლოგიური კულტურის ერთ-ერთი განმსაზღვრელი კომპონენტი. კოლხური კერამიკა არ არის გაანალიზებული არც ისეთ გამოცემაში, როგორიცაა საქართველოს არქეოლოგიის სახელმძღვანელო[172]. კოლხური კერამიკის ქვემოთ წარმოდგენილი მოკლე ანალიზი ფაქტიურად პირველი ცდაა მისი პერიოდიზაციისა და ტიპოლოგიური და შედარებითი სტრატიგრაფიული კლასიფიკაციისა. ამიტომ გასაგებია, რომ წარმოდგენილი მიმოხილვა არ შეიძლება სრული და საბოლოო იყოს.

---

[170] არჩანჯელო ღამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 31—36.

[171] თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბასისი", თბ., 1967, V, 2 და V, 24. ქვემოთ მითითებული იქნება — ანაბასისი.

[172] საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.

უპირველეს ყოვლისა, კოლხური კერამიკის პერიოდიზაციის, განვითარების ეტაპებისა და ქრონოლოგიის შესახებ. კოლხური კერამიკის განვითარებაში ჩვენ გამოვყოფთ ოთხ პერიოდს: უძველესს, ძველს, შუას და გვიანს. ეს პერიოდები ცალკეულ ძეგლებზე იმიჯნება სტრატიგრაფიულადაც და კერამიკული მასალის ფორმალურ-ტიპოლოგიური თავისებურების მიხედვითაც. ამასთან კერამიკის განვითარების ჩვენს მიერ გამოყოფილი მიჯნები არსებითად დაემთხვა კოლხეთის ლითონის ინდუსტრიის განვითარების სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულ მიჯნებს. ეს კი არსებითი მნიშვნელობის გარემოებაა.

კოლხური კერამიკის განვითარების ზემოთ მითითებული თითოეული პერიოდი მოიცავს რამდენიმე საუკუნეს და, ცხადია, მხოლოდ ერთგვაროვანი მასალით არ ხასიათდება, ანდა უფრო ზუსტად—ყოველი პერიოდის მთელ მანძილზე კერამიკული მასალა და შესაბამისად სხვა ნივთიერი ძეგლები გარკვეულ ცვლილებებს განიცდიან. ეს ცვლილებები უფრო ხშირად ქრონოლოგიურად იმიჯნება და როგორც ძველი, ისე შუა და ახალი პერიოდების კოლხური კერამიკის განვითარების ცალკეული ეტაპების დათარიღების საგანს შეადგენს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ გამოყოფილი ცალკეული პერიოდების მასალა ამჟღავნებს ერთიმეორესთან გენეტიკურ კავშირს. ეს, როგორც აღვნიშნეთ, შეიმჩნევა ლითონის ნაწარმზეც, მაგრამ უფრო თვალსაჩინოდ კერამიკის მიხედვით. განსაკუთრებით საგულისხმოა კავშირები ლითონისა და კერამიკულ მასალას შორის. ეს თვალნათლივ ჩანს კოლხური ბრინჯაოსათვის დამახასიათებელი რიგი მოტივების გამეორებაში მომდევნო ხანის (ძვ. წ. VI—IV სს.) კოლხურ კერამიკაზე.

კოლხური კერამიკის განვითარების ძველი და შუა პერიოდები თავის მხრივ უნდა გაიყოს ორ-ორ ეტაპად; კოლხური კერამიკის განვითარების ძველი პერიოდის I და II და შუა პერიოდის I და II ეტაპებად. გვიან პერიოდს ეტაპებად არ ვყოფთ, რადგან ამ ხანის კერამიკა ისე არ არის დამუშავებული, რომ მისი ეტაპობრივი განვითარების წარმოდგენა იყოს შესაძლებელი. ეს არც შეადგენს ამჟამად ჩვენს ამოცანას. ნაწილობრივ იგივე უნდა ითქვას უძველეს პერიოდზეც, რომელსაც გვინდა პროტოკოლხური ვუწოდოთ. აქაც შესაძლებელია ცალკე ეტაპების გამოყოფა გახდეს აუცილებელი, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ აჭარაში, ისპანში, აღმოჩენილ კერამიკას, რომელიც აშკარად უკავშირდება პროტოკოლხურ კერამიკას, თუმცა ერთობ არქაულია.

კოლხური კერამიკა, განსაკუთრებით ძველი პერიოდისა და არა შარტო ძველისა, უჩვეულოა სამხრეთ კავკასიის კერამიკულ ნაწარმს შორის. ამიტომ მისი დათარიღებისათვის, როგორც ეს თავის დროზე სამართლიანად აღნიშნა ბ. კუფტინმა, სხვა დასაყრდენი არ არსებობს, გარდა თვით ამ კერამიკისა[173]. მართალია, დღეისათვის ამოსავალი ვითარება იგივე დარჩა, მაგრამ გაჩნდა მასალის დათარიღების ახალი, შედარებით უფრო ზუსტი საშუალებანი. მეორე მხრივ, სულ ბოლო დრომდე ერთადერთი სტრატიფიცირებული ძეგლი, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა მსჯელობა კოლხურ კერამიკაზე, ნაოზვამუს ბორცვი იყო. ახლა გაჩნდა ზოგი სხვა ძეგლიც. მათ შორის სოფ. ქვემო ჭალადიდში მიკვლეული ბორცვი „ზურგა“, რომლის მიხედვით მოწმდება, ზუსტდე-

[173] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, стр. 185.

ბა და აბსოლუტური ქრონოლოგიითაც კი ისაზღვრება ნაოხვამუზე შემუშავებული სტატიგრაფიული შკალა. იგივე უნდა ითქვას ბორცვზე ნოსირი III, რომელიც ისწავლებოდა და ისწავლება აწ განსვენებული არქეოლოგის დ. ქორიძისა და ე. გოგაძის მიერ, ნოსირი III-ის მასალა ადასტურებს პროტოკოლხური პერიოდის გამოყოფის საჭიროებას.

კოლხური კერამიკის დათარიღების პირველი ცდები ნაოხვამუზე მოპოვებული მასალის და ამ უკანასკნელის შეშვეობით თვით ძეგლის დათარიღების აუცილებლობასთანაა დაკავშირებული[174]. ამ ცდათაგან ყველაზე საფუძვლიანი ბ. კუფტინის პერიოდიზაცია აღმოჩნდა. მან ნაოხვამუზე სამი ფენა გამოჰყო: ზედა, შუა და ქვედა. ზედა ფენა მას დათარიღებული აქვს რკინის ხანის იმ პერიოდით, რომელიც შეესაბამება შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს ყველაზე ადრეულ ბერძნულ კოლონიზაციას, შუა ფენა — გვიანბრინჯაოს ხანით, ხოლო ქვედა — შუაბრინჯაოს ხანის დასასრულითა და გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისით[175].

ბ. კუფტინისეულ პერიოდიზაციას აშკარად ეტყობა ტენდენცია, ერთი მხრივ, ნაოხვამუს ქვედა ფენის ასაკის გაზრდისა, ხოლო, მეორე მხრივ, ზედა ფენის რამდენადმე „გაახალგაზრდავებისა". თუმცა ავტორი ერთგან აღნიშნავს, რომ ნაოხვამუს ზედა ფენა კოლხურ-ყობანურ ეპოქას ასახავსო[176]. ის გარემოება, რომ ნაოხვამუს ზედა ფენას ბ. კუფტინი ხან კოლხურ-ყობანურ ეპოქას აკუთვნებს, ხან კი ადრეული ბერძნული კოლონიზაციის ხანას, ავტორის მერყეობის მაჩვენებელია. ეს მერყეობა აშკარაა იმ შემთხვევაშიც, თუ გავიზიარებთ ავტორის აზრს, რომ კოლხურ-ყობანური კულტურის აყვავება ურარტულ ხანაზე მოდის, ხოლო ადრეული ბერძნული კოლონიზაციის დაწყება — ძვ. წ. VII საუკუნეზე, როგორც ეს წერილობითი ტრადიციის დაუსაბუთებელი ინტერპრეტაციიდან გამომდინარეობს. მეორე მხრივ აშკარაა ისიც, რომ თვით ბ. კუფტინის მონაცემების მიხედვით ნაოხვამუს ქვედა და ზედა ფენის მასალას შორის არ არის არსებითი ხასიათის განსხვავება.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორს შემჩნეული აქვს, რომ ნაოხვამუს ზედა ფენის მასალაში არ ჩანს ე. წ. „ადრეული ბერძნული კოლონიზაციის" პერიოდისათვის დამახასიათებელი კერამიკის წამყვანი ნიმუშები და, რაღა თქმა უნდა, არც ბერძნული იმპორტი, იგი მაინც აღნიშნული ხანით ათარიღებს ამ ფენას[177] ჰაშინ, როდესაც ამ ე. წ. „ადრეული ბერძნული კოლონიზაციის" ხანას, ე. ი. პერიოდს, როდესაც ჩნდება ყველაზე ადრეული ბერძნული ნაწარმი და ავტორის შრომის დაწერის დროს ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებით განსაზღვრავდნენ, წინ უსწრებდა ხანა, რომელიც მაშინ დაბლაგომის შუა ფენით იყო წარმოდგენილი, ხოლო ახლა სოფ. ქვემო ჭალადიდში (კორტის ნაკვეთი) და ნოსირი III (რიონის თხემზე) აღმოჩენილი მასალითაც დასტურდება.

---

[174] იხ. А. А. Иессен, Сухумская экспедиция ГАИМК, СА, III, 1937, 251; ა გ რ ე თ ი ვ, Бюллетень комиссии по изучению четвертичного периода № 6—7, М.-Л., 1940, გვ. 108. გ. ნ ი ო რ ა ძ ე, არქეოლოგიური გათხრები მრავალფენიანი. . ., ენიმკის მოამბე, ტ. X, გვ. 335—336.

[175] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, 188 და შდ. აგრეთვე, გვ. 237.

[176] Б. А. Куфтин დასახ. ნაშრომი გვ. 114.

[177] შდრ. Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი გვ. 189.

რაც შეეხება ქვედა ფენის დათარიღებას შუაბრინჯაოს ხანის დასასრულითა და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპებით, ეს ცდაც დაზუსტებას მოითხოვს. საქმე ისაა, რომ ნაოხვამუს ქვედა ფენის მასალაში არც ფორმების და არც ორნამენტის მიხედვით არაფერი ჩანს ისეთი, რაც შეიძლება გარდამავალ ხანას ახასიათებდეს და რაც შუა ფენაში, რომელსაც ავტორი გვიანბრინჯაოს ხანას აკუთვნებს, არ ჰპოვებდეს თავის გამეორებას. მეორე მხრივ, ნაოხვამუს ქვედა ფენის მასალაში თავს არ იჩენს ბრინჯაოს ინდუსტრიის უფრო ადრეული ეტაპებისათვის დამახასიათებელი კერამიკული ფორმები და ორნამენტი, რომელიც ანაკლიის დიხა-გუძუბას უძველეს პირველ, მეორე და მესამე ფენებშია წარმოდგენილი, მაშინ როდესაც ნაოხვამუს ქვედა ფენის მასალასა და დიხა-გუძუბას მეოთხე, უგვიანესი, ფენის მასალას შორის უკვე იგრძნობა ზოგი რამ საერთო. დიხა-გუძუბას მეოთხე ფენა, ავტორის აზრით, არ უნდა სცილდებოდეს გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისს და უფრო ადრეული ცხოვრების კვალს უნდა ინახავდეს, ვიდრე ნაოხვამუ. მართალია, ბ. კუფტინი ცდილობს ამ ორი ძეგლის მასალას შორის სხვაობაში დაინახოს არა მარტო ქრონოლოგიური არათანხვედრა, არამედ რაღაც ეთნიკური და სამეურნეო თავისებურებანი, რაც შესაძლოა, განასხვავებს საკუთრივ რიონის დაბლობის მოსახლეობას მისი მთისწინა ზოლისა და ზღვისპირის მოსახლეობისაგან[178]. მაგრამ ღღეს ამ ვარაუდის გაზიარება გაჭირდება, რადგან, როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, ნაოხვამუს ტიპის კერამიკა ზღვისპირა ზოლშიც გვაქვს დადასტურებული (დიხა-გუძუბა II ანაკლიაში, ყულევი, ბორცვი „ზურგა“ სოფ. ჭალადიდში, თვით ნაოხვამუ, ნამჭედური ქობულეთთან) და მთისწინა ზოლშიც სწორედ ენგურის ხეობაში (პალურის ნამოსახლარი). გარდა ამისა, ანაკლიის დიხა-გუძუბას ტიპის კერამიკა აღმოჩნდა ყულევში, ნამჭედურში, ნოსირი III დასახლებაზე. ეს საგანგებოდ აღსანიშნავი გარემოებაა, თუმც უნდა ითქვას, რომ დიხა-გუძუბას პირველი ფენის მასალა კი მართლაც სხვა მოსახლეობას უნდა ასახავდეს.

ამრიგად, უფრო დამაჯერებელი იქნება ვიფიქროთ, რომ ნაოხვამუს სამივე ფენის მასალა ისტორიის ერთ პერიოდს, გვიანბრინჯაოს ადრეულ საფეხურს განეკუთვნება და ასახავს ამ ბორცვზე ცხოვრების ცალკეულ ეტაპებს. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ბორცვ „ზურგაზე“ სტრატიფიცირებული მასალა და პირველი ცდა ამ ძეგლის აბსოლუტური ქრონოლოგიის დადგენისა რადიოკარბონული აქტივობის განსაზღვრის მეშვეობით.

ზურგაზეც სამი კულტურული ფენა დადასტურდა: სულ ქვედა გადამწვარი, დანახშირებული ფენა, რომელსაც მძლავრი ხანძრის კვალი ეტყობა; შუა — ყვითელი წმინდა თიხნარის ფენა და ზედა — ყვითელი ქვიშანარევი თიხნარის ფენა. მონაპოვარის მიხედვით ყველაზე მდიდარი იყო ქვედა ფენა, სადაც მრავალფეროვან თიხის ჭურჭელთან ერთად ფიქსირებული იყო ხის გადამწვარი ნაგებობების ნაშთებიც.

ზურგას ქვედა ფენის მასალა, როგორც აღვნიშნეთ, ძალიან ახლოს დგას ნაოხვამუს ქვედა ფენის მონაპოვართან, განმსაზღვრელი ფორმები ჭურჭლისა და ორნამენტი თითქმის სრულიად იმეორებს ნაოხვამუს ნიმუშებს. ზურგას ქვედა ფენის კერამიკული მასალა გამომწვარია როგორც შავად,

---

[178] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 257.

ისე ვარდისფრად. მართალია, ქვედა ფენაში თითქოს შავი ჭურჭელი ჭარბობს, შუა ფენაში კი თავისი სიმრავლის გამო წამყვანი ადგილი უკავია მოვარდისფროდ გამომწვარ თიხის ნაწარმს. ეს გარემოება აკავშირებს ქვედა ფენას შუა ფენასთან და ნათლად გვიჩვენებს, რომ მათ შორის დიდი ქრონოლოგიური წყვეტილი არ უნდა არსებობდეს, მასვე უნდა ადასტურებდეს შუა ფენაში დამოწმებული ქვედა ფენისათვის დაშახასიათებელი ფორმები შავი ჭურჭლისა, სახელდობრ ტოლჩებისა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ როგორც შავი, ისე მოვარდისფრო ჭურჭლის სამკაულის ანდაზის ხასიათი და შესრულების ხერხი ორივე ფენის ჭურჭელზე ერთნაირია. იარაღიც კი, დაკბილული შტამპი (იხ. ტაბ. XVI$_6$), რომლითაც შესრულებულია ორნამენტის წერტილოვანი თუ დატიხრულ-ხაზიანი ანდაზი, შუა ფენაშია ნაპოვნი. ყოველივე ეს კი მიუთითებს ზურგას ქვედა და შუა ფენის მჭიდრო კავშირზე და გვაფიქრებინებს, რომ ზურგას ქვედა და შუა ფენები არსებითად ერთ ეპოქას უნდა ასახავდნენ და შეესაბამებოდნენ ნაოხვამუს ქვედა და შუა ფენებს, რომელთა შორის მკვეთრი განსხვავება, ყოველ შემთხვევაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, თითქოს არა ჩანს[179]. თავის მხრივ ზურგასა და ნაოხვამუს შუა ფენებს აახლოვებს იქ დამოწმებული ნამგლის კაჟის ჩასართავები (ტაბ. XVI$_{1,2}$), რომლებიც ანაკლიის დიხა-გუძუბაზე მართალია უფრო ადრეულ ფენებშია დადასტურებული, მაგრამ თრიალეთში გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ სამარხებში ბრინჯაოს ნამგლებთან ერთად მათი აღმოჩენა, როგორც ეს სამართლიანადაა აღნიშნული, მათი მოქმედების ფარგლებს გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპებამდე ზრდის[180].

ამრიგად, ცხადი უნდა იყოს, რომ ზურგასა და ნაოხვამუს ქვედა და შუა ფენები შეესაბამებიან ერთმეორეს და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპებს უნდა ასახავდნენ. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ზურგას ქვედა ფენაში აღმოჩენილი ნაგებობის აბსოლუტური ასაკის დადგენის ცდა ხის დანახშირებული ძელის ნახშირბადის აქტივობის განსაზღვრის შეშვეობით. ზურგას ქვედა ფენიდან აღებულმა ხის ნახშირმა ეს ფენა დაათარიღა 3470± 190 წ.[181] როგორც ჩანს, სწორი უნდა იყოს უნივერსიტეტის ლაბორატორიის გაანგარიშებათა მინიმალური შედეგები. ეს ნათლად დასტურდება აღნიშნული ლაბორატორიის გამოთვლებით სხვა ძეგლზე აღებული, უფრო ზუსტად დათარიღებული ნიმუშებისა.

ეს რაც შეეხება ზურგას ქვედა ფენის უკიდურეს ქვედა თარიღს, მას უშუალოდ უნდა მოსდევდეს ზურგასა და ნაოხვამუს შუა ფენის მონაპოვარი. მაგრამ როდემდე გრძელდება ამ მასალის მოქმედება, როდის იცვლება ის რამდენადმე განსხვავებული კერამიკით, რომელიც სპეციფიკურია ძველი პერიოდის მეორე ეტაპისათვის, ძნელი სათქმელია, რადგან ჯერჯერობით მყარი დასაყრდენი არა გვაქვს ძველი კოლხური პერიოდის პირველი და მეორე ეტაპის ზუსტი ქრონოლოგიური მიჯნის დასადგენად. დაბლაგომის აღმოჩენების საშუალებით

---

[179] შდრ. Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 186—187, სურ. 48.

[180] Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949, стр. 59.

[181] А. А. Бурчуладзе, Определение активности радиоуглерода пропорциональным счетчиком и ее применение для решения некоторых вопросов археологии Грузии (автореферат кандидатской диссертации), Тбилиси, 1966, стр. 10. Верхний плейстоцен. Стратиграфия и абсолютная геохронология. Москва, 1966, стр. 282.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ეს მასალა უშუალოდ წინ უსწრებს მონაპოვარს, რომელიც ჩნდება ძვ. წ. VI საუკუნის შუახანებიდან. ასეთივე ვითარება დასტურდება სოფ. ქვემო ჭალადიდის ნამოსახლარებზეც და ტეხურის ფლატეზე ნოსირი III-ში. სავარაუდოა, რომ ძველი პერიოდის პირველი ეტაპის კერამიკისაგან განსხვავებული ჭურჭელი ჩნდება ქვ. წ. I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში და წყვეტს თავის არსებობას ძვ. წ. VI ს. შუახანებში. ასეთ დათარიღებას ამაზე მეტად ვერ გვიზუსტებს ვერც სხვა მონაცემები. მხედველობაში გვაქვს დაბლაგომში შუა და ზედა ფენის საზღვარზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ყუნწიანი ისრისპირი. ასეთივე ისრისპირია დადასტურებული, ო. ლორთქიფანიძის ცნობით, ბანოჯაში ისეთი თიხის ჭურჭელთან ერთად, რომელსაც ჩვენ ძვკ-II კერამიკას ვაკუთვნებდით.

ეს ისრისპირი თავისებური ნაირსახეობაა სამხრეთ კავკასიაში (და არა მარტო აქ) გავრცელებული ყუმწიანი ისრისპირებისა[182]. დაბლაგომის ცალი განსაკუთრებით ახლოს დგას, ერთი მხრივ, სომხეთში, არტიკის სამაროვანზე დამოწმებულ ისრისპირთან, მეორე მხრივ, ანალოგიურ ისრისპირთან იტალიის ტერამარებიდან[183]. ამ ტიპის ისრისპირებს ოთხ ქვეტიპად ჰყოფენ და ფიქრობენ, რომ ისინი ეგვიპტიდან და ანატოლიიდან მომდინარეობენ, თუმც არ გამორიცხავენ ამ ორი ვარიანტის ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ წარმომავლობას[184].

ქრონოლოგიური დიაპაზონი ამ ისრისპირების მოქმედებისა როგორც მცირე აზიაში, ისე ეგეოსურ სამყაროში საკმაოდ დიდია—გვიანბრინჯაოს ხანიდან VIII საუკუნემდე მაინც[185]. ასევე საქართველოში შათ ვხვდებით ძვ. წ. XII საუკუნიდან VIII საუკუნემდე[186]. ამიტომ არც ეს ისრისპირები გამოდგება ძვკ I და ძვკ II კერამიკის ზუსტი გამიჯვნისათვის მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძვკ II კერამიკასთან ერთად გვხვდებიან მხოლოდ.

ძვკ I კერამიკა ორნაირადაა გამომწვარი: შავად და მოვარდისფროდ ან ზოგჯერ მოყავისფროდ. ჭურჭელი უმეტეს შემთხვევაში ორნამენტირებულია. როგორც შავი, ისე მოვარდისფერო ჭურჭლის სამკაულთა ანდაზი და შესრულების წესი პრინციპულად ერთნაირია: ორივე ჯგუფის ჭურჭლისათვის დამახასიათებელია ღაროვანი და წერტილოვანი ან ზოგჯერ დაკბილული შტამპით დატანილი დატიხრული ხაზების შეხაზებით შესრულებული სხვადასხვა ანდაზი. როგორც წესი, შემკულია მხოლოდ ჭურჭლის ზედა ნახევარი. ამ ხანის ჭურჭელზე შემდეგნაირი სამკაული გვხვდება: ზიგზაგისებურად გავლებული ღარების რამდენიმე რიგი, ხოლო ამ ღარებს შორის დარჩენილი სივრცე წერტილოვანი ან დატიხრული ხაზებით შევსებულ ზოლებს ქმნის (ტაბ. V_1); ღარებით შესრულებულია თაღისებურად შემოვლებული შევრონები, რომლებიც ერთის

---

182 Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, стр. 75, 58; Материалы к арх. Колхиды, II стр. 118.

183 Т. С. Хачатрян, Материальная культура древнего Артика, Ереван, 1963, стр. 58, кар. 7 в; В. И. Модестов, Введение в римскую историю, С.-Петербург, 1902, таб. XVII ..

184 A. Snodgrass. Early Greek Armour and Weapons from the end of the Bronze Age to 600 b. e., Edinburg, 1964, გვ. 146, სურ. 9.

185 A. Snodgrass, დასახ. ნაშრომი, გვ. 146—147.

186 რ. აბრამიშვილი, სამთაეროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, ტაბ. I.

გამოწვევით წერტილებით თუ დატიხრული ხაზებითაა ამოვსებული, ხოლო მათ შორის მოქცეული სადა შევრონები ოვალურ ამოზიდულ სიბრტყეს იძლევა (ტაბ. V_2). ჭურჭლის შემკულობის აღწერილი ორი უკანასკნელი ნიმუშის (ტაბ. V_{1-2}) სახესხვაობას წარმოადგენს ნაოხვამუს ქვედა ფენის ჭურჭელთა შემკულობა (იხ. Б. А. Куфтин. МАК. II, ტაბ. 60_2 და სურ. 60_1). ზოგადად ასევე ორნამენტირებულ მოვარდისფრო-მოყავისფრო ჭურჭელზე წერტილოვანი ანდაზი შეცვლილია უფრო ფართოდ ამოღარული წერტილებით, ფოსოებით, ოღონდ აქ ფოსოებით შემკულსა და ცარიელ სიბრტყეებზეც დამატებით ღარქედებია დატანილი (ტაბ. V_3). ზოგი ჭურჭელი შემკულია შვეული ღარებით, ხოლო ღარებს შორის მოქცეული სიბრტყეები — მორიგეობით წერტილოვანი და ირიბი ღარების ანდაზით. ხშირად ჭურჭლის შემკულობის გამდიდრების მიზნით ქვედა ნაწილი ჭურჭლისა თუ ზემოაღნიშნული ორნამენტითაა შემკული, ზედა ნაწილზე ვხვდებით ჰორიზონტულ ღარებს შორის ირიბი ღარებით შეკეკულ სიბრტყეებს; ამასთან, ერთ მწკრივში ირიბი ღარები ერთი მიმართულებით არიან დახრილი, ხოლო მეორეში საწინააღმდეგო მიმართულებით (ტაბ. V_4). ეს ანდაზი რამდენიმე, შედარებით გამარტივებულ ვარიანტსაც იძლევა (იხ. ტაბ. V_7). შავად ან მონაცრისფროდ გამომწვარ ჭურჭელს ახასიათებს მხოლოდ ღარული ხაზებით შესრულებული ორნამენტიც. ამ შემთხვევაში ეფექტი სხვადასხვა ანდაზის შეხამებითაა მიღწეული: ჭურჭელს შემოუყვება ჰორიზონტულად ღარების რამდენიმე რიგი, მათ შორის მოთავსებულია ზოლი ირიბად დატანილი ღარებისა, ანდა ჭურჭლის ზედა ნაწილზე გვაქვს ღარებით შემოვლებული ოვალური შევრონები, რომლებიც ამოვსებულია მორკალული ღარებით (ტაბ. V_5)[187]. ამ პრინციპით გადმოცემული სხვა ანდაზიც გვაქვს: ჰორიზონტული ღარქედების ორი რიგით შემოვლებული ღია ოვალები, რომელთა ზედა ჩალრმავებული ნაწილი ამოვსებულია ირიბი ღარებით, ხოლო ქვედა ოდნავ მორკალული ღარებით, რომლებიც ქვემოდან შემოზღუდულია ზიგზაგისებურად დამუშავებული ღარების რამდენიმე რიგით (იხ. ტაბ. V_8). ეს ერთი ყველაზე სპეციფიკური ორნამენტთაგანია, რომლებითაც შემკულია ამ ხანის კოლხური კერამიკის წამყვანი ნიმუშები. ასევე სპეციფიკურია ამ წრის ჭურჭლისათვის პარკეტული ორნამენტიც, რომელიც კოლხურ ჭურჭელზე ზოგჯერ უფრო მრგვლოვანია (ტაბ. V_6).

დაკბილული შტამპით (იხ. ტაბ. V_9), რომელიც ჭალადიდის ზურგას მეორე ფენაში იქნა აღმოჩენილი და რომლის მსგავსი სამთავროს სამაროვანზედაც იყო დამოწმებული, შემკულია როგორც შავად, ისე მოვარდისფროდ გამომწვარი ჭურჭელი. ეს შტამპი იძლევა დატიხრულ ხაზებს, რომელთა მეშვეობით, როგორც აღვნიშნეთ, ან ღარებს შორის მოქცეული სიბრტყეებია შემკული, ან რელიეფურ ქედებს შორის მოქცეული სიბრტყეები; ეს უკანასკნელი მთლიანად იფარება ხოლმე ამ დატიხრული ხაზებით და საბოლოოდ დახორკლილ ზედაპირს ვიღებთ. ასეთი ზედაპირების შეხამება რელიეფური ქედებით გადმოცემულ შევრონებთან და ფესტონებთან თუ ღარებით შემოფარგლულ ზედაპირებთან ძალიან ეფექტურ ანდაზს იძლევა. მოშავოდ გამომწვარ ჭურჭელზე დატიხრული ხაზების ანდაზი უფრო წმინდა შტამპითაა ხოლმე შესრულებული, ვიდრე მოვარდისფროდ გამომწვარზე.

ამ ხანის კერამიკა მოპოვებულია კულტურულ ფენებში და ამიტომ ფრაგ-

---

[187] შდრ. Б. А. Куфтин, МАК, II, ტაბ. 61_2, სურ. 60_9.

მენტულია. ამის გამო ხშირად გვიპირს ამა თუ იმ ჭურჭლის ფორმის წარმოდგენა. მიუხედავად ამისა, მაინც ცალკე უნდა შეეჩერდეთ ზოგიერთი ჭურჭლის ტიპოლოგიურ თავისებურებაზე. ამ მხრივ უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს ჭურჭლის ყურები.

ყურების ორი ჯგუფი უნდა გამოვყოთ. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ყურები (ტაბ. V_5), რომლებიც ზედა ნაწილში ჭურჭლის კორპუსს უერთდებიან ძგიდეთი, ხოლო ამ ძგიდესთან ყურის შეერთების ადგილას აქვთ ვერტიკალური ბრტყელი ქიმი. ეს ყურები მორკალულია, ზოგჯერ ტეხილად, რის გამოც მოყვანილობით ფრინველის მკერდს მოგვაგონებს. ამიტომ მათ ფრინველის მკერდისებურ ყურებსაც უწოდებენ. ამ ტიპის ყურები, როგორც წესი, ტოლჩებს აქვთ და ძგიდე, რომლითაც ისინი ტოლჩის კორპუსს უერთდებიან, ან ჰორიზონტულია, ან მორკალული, ანდა ირიბად დაქანებული.

ყურების ეს ჯგუფი სხვა სახეობებაობასაც იძლევა. მაგალითად, ყურების ერთ ნაწილს ქიმი სწორი და ბრტყელი აქვს (ინვ. 12—65, 111—65), ზოგს წიბურად მახვილი, ზოგს შუაში უნაგირისებურად, თუ ნახევარმთვარისებურად ჩაზნექილი (შდრ. ინვ. 679—65), ზოგს ზემოდან ოდნავი ჩაზნექილობა ეტყობა, მაგრამ იმის გამო, რომ ყური ზედა ნაწილში შედარებით განიერდება, მოკლერქიანი ხარის სახეს მოგვაგონებს და ერთგვარ ტენდენციას ამჟღავნებს ე. წ. ზოომორფული ყურებისაკენ (შდრ. ინვ. 416—65, 1050—65, 28—65). შესაძლებელია, რომ სწორედ ამ ჩაზნექილობის წარმოშობა აძლევს დასაბამს ყურებს რქისებური შვერილებით[188]. ამ ტიპის ყურებს ქიმი ზოგჯერ არცა აქვთ დიფერენცირებული (შდრ. ტაბ. XIX).

ამ ჯგუფის ყურები ჭურჭლის კორპუსთან შეერთებისას ქმნიან ოვალურ ნახვრეტს, წაგრძელებულ ოვალურს, მომრგვალებულ ოთხკუთხას და ფარგლურად მრგვალს. ყურის გარე ზედაპირი უმეტეს შემთხვევაში ბრტყელია, ზოგჯერ მომრგვალებული, იშვიათად წახნაგოვანი (შდრ. მაგალითად, ინვ. 679 — 65).

პირველი ჯგუფის ყურები ყველაზე ადრეული ჩანს ძველი კოლხური პერიოდის I ეტაპის ყურებს შორის; ყოველ შემთხვევაში სტრატიფიცირებულ ძეგლზე (ნაოხვამუზე, ზურგაზე) ისინი მხოლოდ ქვედა ფენებში გვხვდება.

მეორე ჯგუფში ვაერთიანებთ ე. წ. ზოომორფულ ყურებს, რომლებსაც ზედა ნაწილში რქისებური შვერილები აქვთ. ეს რქისმაგვარი შვერილები იმდენად ფრავალნაირადაა დამუშავებული, რომ შესაძლებელია ცალკეული ქვეტიპების გამოყოფა: არის, მაგალითად, ტოლჩების ყურები კოპისებურად სტილიზებული შვერილებით (ტაბ. XIX_1, შდრ. ინვ. 1086—65). გვაქვს ყურები, რომელთაც ზედა ნაწილში აქეთ-იქით კონუსისებური შვერილები აქვთ და ყურის კორპუსთან ერთად ხარის პირისახის იმიტაციას ქმნიან (შდრ. ინვ. 167—169, 169—, 432—65), ანდა ყურები, რომელთა შვერილები ცხოველთა დაცქვეტილი ყურების შთაბეჭდილებას ტოვებენ (შდრ. ინვ. 432—64; 167-, 432-, 1032-, 1032—65; 694—64).

ყურების აღწერილი ჯგუფი უმეტეს შემთხვევაში ტოლჩებისეულია, თუმც ზოგი მათგანი შეიძლება ქოთნების კუთვნილიც იყოს. ასეთი ყურების უმრავლესობა ან მრგვალ განივკვეთიანია ან ბრტყელი-ოვალურ განივკვეთიანი. შედა-

---

[188] შდრ. Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, 226.

რებით იშვიათად ვხვდებით ასეთ ყურებს დაწახნაგებული კორპუსით. ყურების ეს ჯგუფი დამახასიათებელია ძველი კოლხური პერიოდის I ეტაპის კერამიკისათვის, მაგრამ ის თავის არსებობას განაგრძობს მეორე ეტაპზეც, ამიტომ მხოლოდ ასეთი ყურები, მცირე გამონაკლისის გარდა, ამა თუ იმ ეტაპის განმსაზღვრელად არ გამოდგება. აღნიშნულ მცირე გამონაკლისს კი შეიძლება მიეკუთვნოს ყურები კოპისებური შვერილებით, რომელიც მეორე ეტაპის ჭურჭელს არ ახასიათებს და აშკარად პირველი ეტაპის ჭურჭლის განმსაზღვრელ თავისებურებადაა მისაჩნევი, და რქისებურშვერილიანი ყურების ზოგი სახეობა, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ძველი კოლხური პერიოდის პირველი ეტაპის კერამიკისათვის დამახასიათებელია უყურო ჭურჭელიც, რომელიც ჭიქებითაა წარმოდგენილი. ჭიქები უპირატესად შავლეგაა, მათ სწორი, ცილინდრული ფორმა აქვთ, უმრავლესობა გამოირჩევა საგულდაგულო ორნამენტირებით (შდრ. ტაბ. V_2 და 7).

ძველი კოლხური პერიოდის მეორე ეტაპზე თიხის ნაწარმი განიცდის რიგი ფორმალური ხასიათის ცვლილებებს, თუმცა, როგორც აღნიშნული გვქონდა, ფორმალურ თავისებურებათა ნაწილი ამ ეტაპზეც განაგრძობს თავის არსებობას. ეს შეეხება უპირველეს ყოვლისა ე. წ. ზოომორფულ ყურებს. მართალია, ამ დროს აღარ ვხვდებით ყურებს კოპისებურად ბოლოებდახვეული შვერილებით, მაგრამ ჭურჭელი რქისებურშვერილიანი ყურებით ძალიან გავრცელებულია.

მეორე ეტაპისათვის განსაკუთრებით სპეციფიკურია ყურები, რომელთა რქისებური შვერილები ბოლოებწაკვეთილია და შუაში ჩაღრმავებული, გადაბელილი ხის ორკაპი ტოტების მსგავსად (ტაბ. $VI_{2,3,6,10,12}$). სტრატიფიცირებულ ძეგლებზე ასეთ ყურებს ვხვდებით ნაოხვამუს ზედა ფენებში, ნოსირი III-ში ტეხურის ფლატეზე და დაბლაგომის შუა ფენაში[189]. ასეთი ყურები დამახასიათებელია ლეჩხუმისა (ცხეთა) და ზემო იმერეთის (ითხვისი) მასალებისათვის. აღწერილ ყურებს ბოლოებწაკვეთილი შვერილებით აშკარად ეტყობათ ტენდენცია ამ რქისებური შვერილების სტილიზაციის ახალი ვარიანტისაკენ, როცა ჭურჭლის ყურის ზედა ნაწილში ჩნდება არა შვერილები, არამედ ლილვისებური ფორმის შუაში ჩაღრმავებული დანაძერწები. ასეთი ყურები ლილვისებური დანაძერწებით ძველი კოლხური პერიოდის მეორე ეტაპის სპეციფიკას შეადგენს. ეს ლილვისებური დანაძერწები გვხვდება როგორც სადა, ისე შემკული. შემკობა უფრო ხშირად გადმოცემულია წერტილების, ან სწორი და ირიბი ჭდეების მწკრივებით (ტაბ. $VI_{7-9,\ 13-15}$).

ამგვარი ყურები ბევრგანაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოში, მაგრამ სტრატიფიცირებულია მხოლოდ დაბლაგომში. სოფ. ქვემო ჭალადიდში მსგავსი ყურები აღმოჩნდა ისეთ ჭურჭელთან ერთად, რომელიც დამოწმებულია დაბლაგომის შუა ფენაში და ხაზს უსვამს მოცემული ეტაპისათვის ლილვისებური დანაძერწიანი ყურების სპეციფიკურობას.

მხედველობაში გვაქვს კანელირებული ჭურჭელი, რომელიც ამ ეტაპის კოლხური კერამიკის განმსაზღვრელი ჭურჭელია. ამ ხანის არქეოლოგიურ მასალაში ვხვდებით სხვადასხვა ზომის კანელირებულ ჭურჭელს. უფრო ხშირად

---

[189] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 186—187, სურ. 48 $_{78-79}$; ტაბ. 35 $_{2,\ 3,\ 5}$; დ. ქორიძე, ე. გოგაძე, ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის ძირითადი შედეგები. სსმაე, II, 1971, ტაბ. VIII $_{5,\ 8,\ 9,\ 13}$.

კი კანელურებით შემკულია საშუალო ზომის დერგები, საშუალო და მცირე ზომის თხელკედლიანი, მცირედ პირგადაშლილი ქოთნები. ეს უკანასკნელი, სწორედ განსაკუთრებით სპეციფიკური ჭურჭელია აღნიშნული ხანისათვის.

რაც შეეხება ძველი პერიოდის მეორე ეტაპის კოლხური ჭურჭლის ორნამენტს, იგი პირველი ეტაპის ჭურჭელთან შედარებით უფრო ღარიბია. უმეტესი მათგანი ჩვენ ზემოთ უკვე ვახსენეთ. მაგალითად, ამ ეტაპისათვის დამახასიათებელი ზოომორფული ყურების მიმოხილვისას აღვნიშნეთ ამ ყურების ჭდევითა და კაწვრით შესრულებული შემკულობა. აღვნიშნეთ აგრეთვე ყველაზე სპეციფიკური სამკაული ამ ხანის ჭურჭლისა — კანელურები. უნდა დავძინოთ მხოლოდ, რომ კანელურები სხვადასხვაგვარადაა დამუშავებული, ზოგ ჭურჭელზე კანელურებს თავი აქვთ მომრგვალებული (ტაბ. $VI_{18,20}$), ზოგს ზედა ნაწილში სამკუთხედები აქვს გამოსახული. ამასთან, თუ ერთ კანელურს ქიმით აზის სამკუთხედი, მომდევნოს — გვერდით და ა. შ. (ტაბ. VI_{19}). ზოგ ჭურჭელზე კანელურები მთავრდება დაუდევრად შესრულებული ნათითურებით (ტაბ. VI_1) და სხვა. ამ ხანის ჭურჭლის შემკულობაში გამოყენებულია აგრეთვე პრიალა ზაზებით შესრულებული სხვადასხვა ანდაზი (რომბული, ბადური და სხვა), რომელთაც ჩვენ ადრეც ვხვდებით და მომდევნო შუა პერიოდშიც.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ ლილვისებური დანაძერწების მქონე ყურების შემკულობა; ეს ყურები, როგორც წესი, სადაა, მაგრამ ლილვისებური დანაძერწები სხვადასხვა ფორმის ჭდეებით არის ხოლმე დამუშავებული (იხ. ტაბ. VI).

როგორც ძვკ I, ისე ძვკ II კერამიკის გავრცელების სფერო ემთხვევა კოლხური ბრინჯაოს გავრცელების ფარგლებს (იხ. რუკა). ამ გარემოებას არსებითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, რადგან კოლხური ბრინჯაო, როგორც ცნობილია, განძებადაა წარმოდგენილი და კერამიკასთან ერთად თითქმის არ არის დადასტურებული. ამ მხრივ აღსანიშნავია ჩვენს მიერ სოფ. ქვემო ჭალადიდის ერთ-ერთ ნამოსახლარზე ძვკ II კერამიკულ მასალასთან ერთად კოლხური მინიატურული ცულის ყალიბისა და მეტალურგიული ქურის საქშენი მილის აღმოჩენა (ტაბ. $XVI_{3,5}$). სრულიად აშკარაა, რომ კოლხური კერამიკა და კოლხური ბრინჯაო ერთი არქეოლოგიური კულტურის ორი შემადგენელი ნაწილია და ეს მოწმდება არა მარტო მათი გავრცელების ფარგლების თანხვედრით, არამედ ქრონოლოგიური შესაბამისობითაც (შდრ. ტაბ. XXIV).

კოლხური ბრინჯაოს მოქმედების ქრონოლოგიური საზღვრების შესახებ ერთი აზრი არ არსებობს. როცა ამ კულტურას ყობანურს უწოდებდნენ, მისი დათარიღებისათვის ამოსავალი იყო ყობანური მასალა, ხოლო როცა მივიდნენ იმ დასკვნამდე (მართალია, „კოლხურ-ყობანური" საფეხურის გავლით), რომ კოლხური ბრინჯაო კუთვნილია სრულიად დამოუკიდებელი კოლხური კულტურისა, რომელიც. როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, ავტორთა უმრავლესობის აზრით, წინ უსწრებდა ყობანურს და ამ უკანასკნელზე გავლენასაც ახდენდა (ყოველ შემთხვევაში, იქ ინერგებოდა კოლხური კულტურის წამყვანი ელემენტები, სახელდობრ ცული)[190], საფუძველი ამისი დათარიღებისა გახდა თვით კოლხური მასალა, განსაკუთრებით კი საქართველოს სხვა სტრატიფიცირებულ ძეგლებზე აღმოჩენილი კოლხური ბრინჯაოს ნიმუშები. ამიტომ ჩვენ აღარ შევეხებით იმ ავტორებს (რ. ვირხოვს, ა. უვაროვს, ე. შანტრს, ვ. გოროდ-

---

[190] Е. И. Крупнов, О происхождении и датировке кобанской культуры, СА, I, 1957, გვ. 79 შდ.

ცოვს, ა. ტალგრენს, ფ. ჰანჩარს და სხვ.), რომლებისთვისაც ამოსავალი მხოლოდ ყობანური კულტურაა.

ბ. კუფტინი ფიქრობდა, რომ კოლხური ბრინჯაოს აყვავების ხანა ურარტულ ეპოქის თანადროულია. მისი აზრით, მაშინ როდესაც ურარტელების როგორც სამეურნეო, ისე საბრძოლო იარაღის წარმოება მთლიანად გადასულია რკინაზე, საქართველოში რკინას ბრინჯაოსთან შედარებით მეორეხარისხოვანი ნივთიერებობა ჰქონდა[191]. თავის სხვა ნაშრომში მალაქლუს ურარტულ სამაროვანზე კოლხურ-ყობანური კულტურისათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს ჭურჭლის ყურის აღმოჩენის გამო კოლხური ბრინჯაოს აყვავების ხანა კვლავ ურარტულ ეპოქას შეუფარდა[192].

ამგვარი დათარიღება დღეს მეცნიერებისათვის განვლილი ეტაპია და მისი წამოყენების ხანაშიც მისი გაზიარებისათვის მრავალი ფაქტიური ხასიათის წინააღმდეგობის გადალახვა იყო საჭრო, რის გამოც ხშირად თვით ავტორი ვარდებოდა წინააღმდეგობაში[193]. გარდა ამისა, დღეს უკვე მტკიცედ ფიქრობენ, რომ საქართველოში, ყოველ შემთხვევაში მის ცალკეულ პროვინციებში, რკინის ათვისება უნდა დაწყებულიყო ჯერ კიდევ ძვ. წ. XIV—XIII საუკუნეებში[194]. თვით კოლხური ბრინჯაოს კულტურის სფეროშიც რკინის გამოყენების მაღალი დონე არქეოლოგიურად დაადასტურა უკვე ძვ. წ. XIII ს-დან მაინც უდეს განაში არსებულმა რკინის ნივთებმა და რკინის ინკრუსტაციამ[195].

რაც შეეხება კოლხური ბრინჯაოს ჭურჭლის ყურის მსგავსი ყურის აღმოჩენას მალაქლუს კოლუმბარიუმზე და ამ ერთიანობის მიხედვით მთელი კოლხური კულტურის აყვავების განსაზღვრას ურარტული ხანით, ასეთი ცდა თავისთავადაა მიუღებელი, მით უმეტეს თუ გავიხსენებთ, რომ ამგვარი ყურები, როგორც ეს სამართლიანადაა აღნიშნული, გავრცელებული ჩანს ძვ. წ. II ათასწლეულიდან ძვ. წ. IV საუკუნემდე[196].

კოლხური ბრინჯაოს ქრონოლოგიის განსაზღვრის დროს არსებითად განსხვავებულ აზრს ადგას ო. ჯაფარიძე. მისთვის ამოსავალია აღმოსავლეთ საქართველოა ის ძეგლები, რომლებშიც კოლხური ბრინჯაოს ნიმუშები დადასტურდა. ამ მონაცემებზე დამყარებით კოლხური კულტურის ქვედა ქრონოლოგიურ საზღვრად ავტორს მიაჩნია ძვ. წ. XIII საუკუნე, ხოლო ზედა საზღვრად — ძვ. წ. VIII საუკუნე[197].

აღმოსავლეთ საქართველოს იმ სტრატიფიცირებულ ძეგლებსა და ცალკეულ კომპლექსებსაც (თუკი ამ უკანასკნელთა შედგენილობა სანდო დათარიღების შესაძლებლობას იძლევა), რომლებშიც ვხვდებით კოლხური ბრინჯაოს ნივთების ნიმუშებს, მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს კოლხური კულტურის

---

[191] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 53.

[192] Б. А. Куфтин, Урартский «колумбарий» у подошвы Арарата и Куро-Араксский энеолит, საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე, XIII-B, 1944, გვ. 26—27.

[193] იხ. რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ. წ. XIV—VI სს.), საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე, XXII-B, 1961, გვ. 24.

[194] იქვე, გვ. 349—362, 374 და შმდ.

[196] იქვე, გვ. 326, 349.

[196] ო. ჯაფარიძე, კოლხური ცული, საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVI-B, 1950; გვ. 84; მისივე, Бронзовые топоры Западной Грузии, СА, XVIII, 1953, გვ. 300; რ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 323.

[197] ო. ჯაფარიძე, კოლხური ცული, გვ. 80—85.

დათარიღებისათვის; მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს აღნიშნულ ძეგლებში კოლხური ბრინჯაოს ნივთების არსებობა მიუთითებს მის საყოველთაო გავრცელებაზე, მასზე მოთხოვნილების გაზრდაზე, მის გაცვლით საგნად გადაქცევაზე და არა მარ. გაჩენაზე, წარმოშობასა და თავდაპირველ მოხმარებაზე, რაც ჩვეულებრივ წინ უსწრებს, ზოგჯერ საგრძნობლადაც, ზემოხსენებულ ვითარებას. ასე რომ, თუ აღმოსავლეთ საქართველოს კომპლექსებს (გოსტიბეს კომპლექსს, სასირეთის განძს, სურამის სამარხს), რომლებიც კოლხური ბრინჯაოს ნიმუშებს შეიცავენ, ათარიღებენ ძვ. წ. XIII—XII სს.[198], მაშინ ბუნებრივია ამ ნიმუშების და მით უფრო მათი წინამორბედების წარმოშობის დრო უფრო ადრეულ ხანაში გადავიტანოთ. მეორე მხრივ, რაკი კოლხური ბრინჯაოს კომპლექსებში მხოლოდ და მხოლოდ ბრინჯაოს ნივთები გვაქვს, რკინა კი სრულებით არ არის წარმოდგენილი, ფიქრობენ, რომ კოლხური კულტურა წინ უსწრებდა ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალ ხანას[199]. აღსანიშნავია, რომ უდეს განძი — ერთ-ერთი უძველესი კომპლექსი კოლხური ბრინჯაოსი, რომელიც ძვ. წ. XIII საუკუნის დასასრულით თარიღდება და რომელიც თავისი შედგენილობით კოლხური ბრინჯაოს კულტურის განსაკუთრებული აყვავების ამსახველია, ასზე მეტ ბრინჯაოს ნივთთან ერთად შეიცავს რკინის ნივთებსაც: ორ შუბისპირს, სატევარს, ლახტისთავს, საკინძსა და რკინის ინკრუსტირებულ ამბინდას[200]. უდეს განძში ბრინჯაოსა და რკინის ნივთების შეფარდება რიცხობრივიც და მნიშვნელობის მხრივაც ნათელს ხდის, რომ ამ დროს, ე. ი. ძვ. წ. XII საუკუნის დასაწყისისათვის მაინც, კოლხური ბრინჯაოს უძველეს საჩრდილო-დასავლეთ კერაში, მართალია, ჯერ კიდევ გაბატონებულია ბრინჯაოს ინდუსტრია, მაგრამ აშკარად იგრძნობა რკინის წარმოებაზე გადასვლაც. მაშასადამე, ამ დაკვირვების მიხედვითაც კოლხური ბრინჯაოს წარმოშობის თავდაპირველი საფეხურები, მისი ქმნადობის საწყისი ეტაპები ძვ. წ. XIII—XII საუკუნეებზე უფრო ადრეულ ხანაშია საგულვებელი. და მართლაც, როგორც ეს ზემოთ ვცადეთ გვეჩვენებინა, უახლესმა კვლევა-ძიებამ აშკარა გახადა, რომ უძველესი სახეობანი კოლხური ცულისა ძვ. წ. XIV საუკუნის დასასრულს არ უნდა გადმოსცდეს. თობის უძველესი ნიმუშიც დადასტურებულია ურეკის განძში, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებს უნდა ეკუთვნოდეს. ძვ. წ. XIV საუკუნეში დადასტურებული გვაქვს კოლხური ბრინჯაოს ერთ-ერთი ყველაზე სპეციფიკური კომპონენტი — წალდი. ასევე ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევრის დასასრულს განეკუთვნება მბრეებიანი, პირმორკალული და სწორყუიანი ბრტყელი ცულები, რომლებიც, როგორც ნაჩვენები იყო, აგრეთვე დამახასიათებელია კოლხური ბრინჯაოსათვის. სეგმენტისებური იარაღიც (ყოველ შემთხვევაში მისი არქაული ნიმუშები), კოლხური ბრინჯაოს კიდევ ერთი დამახასიათებელი კომპონენტი, თავს იჩენს ძვ. წ. XIV საუკუნიდან[201].

---

[198] იხ. რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 315, შნშ. 36; მ ი ს ი ვ ე, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანის და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 188, ტაბ. I.

[199] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, გვ. 76.

[200] Т. Н. Ч у б и н и ш в и л и, Т. И. Т а т и ш в и л и, О. С. Г а м б а ш и д з е. Археологические разведки в южных районах Грузии, გვ. 116—117; შნშ. 3; აგრეთვე, ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, უდის განძი, „საბჭოთა ხელოვნება“, № 4, 1959, გვ. 60.

[201] დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

ამრიგად, ძვ. წ. XIV საუკუნისათვის კოლხური ბრინჯაოს ყველა ძირითადი და განმსაზღვრელი ელემენტი უკვე ჩამოყალიბებულია. მაშასადამე, ის, რასაც ჩვეულებრივ კოლხურ კულტურას უწოდებენ, ამ დროისათვის მთლიანობაშია წარმოდგენილი. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც არ იქნებოდა მართებული გვიანბრონჯაოს ხანის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად ძვ. წ. XIV ს. მიჩნევა. საქმე ისაა, რომ კოლხური ბრინჯაოს ნივთების ის ფორმები, რომელნიც შეიძლება ძვ. წ. XIV ს. მიეკუთვნოს, იმდენად განვითარებულია, რომ მათი სრულყოფა უფრო ადრეულ ხანაშია გადასატანი. მართლაც, კოლხური ცულის ისეთი უშუალო წინამორბედები, როგორიცაა, მაგალითად, ურეკის ცული, რომელიც ფაქტიურად დიდად აღარ განსხვავდება ადრეული კოლხური ცულებისაგან და, როგორც აღნიშნული იყო, თანაარსებობს კიდეც მათთან, გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის სფეროში უნდა მოთავსდეს. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ ურეკის ტიპის ცულები ფორმალურ თავისებურებათა გამო არ არიან წინამორბედი ეპოქისათვის დამახასიათებელი და ახალი ხანის დასაწყისზე მიუთითებენ. აღნიშნულ მოსაზრებათა გამო, ვფიქრობთ, უფრო კანონიერი იქნება, თუ კოლხური გვიანბრინჯაოს კულტურის დასაწყისს ძვ. წ. XV საუკუნეში მაინც, ან იქნებ XVI საუკუნეშიც გადავიტანთ. ასეთ განსაზღვრას, როგორც დავინახეთ, მხარს უჭერს კოლხური ნამოსახლარების რადიოკარბონული მეთოდით მიღებული თარიღი. მეორე მხრივ, გვიანბრინჯაოს ხანის ქვედა მიჯნის ზემოთ წარმოდგენილი გადაადგილება გამართლებული იქნებოდა არა მარტო აღნიშნული ფაქტიური ვითარებით, არამედ მცირეაზიურ პერიოდიზაციასთან ჩვენი პერიოდიზაციის შეთანხმების საჭიროების გამოც, რაზეც მართებულად მიუთითებს გ. მელიქიშვილიც[202]. მცირე აზიის უნიფიცირებული პერიოდიზაციის მიხედვით გვიანბრინჯაოს ხანა ძვ. წ. 1600—1200 წწ. განისაზღვრება[203], ასე რომ, ხეთების ისტორიის ორი ძირითადი ეტაპი ე. ი. ძველი სამეფოს ხანა და იმპერიის პერიოდი თავსდება გვიანბრინჯაოს ხანაში[204]. დასავლეთ საქართველოსა და მცირე აზიის პერიოდიზაციებს შორის ასეთ შესაბამისობის შესაძლებლობა, ვფიქრობთ, ნათლად გამოჩნდა ზემოთ გაკეთებულ ისეთ ფაქტებში, როგორიცაა კოლხური სეგმენტის აღმოჩენა ალიშარზე, მბრეგიანი ბრტყელი ცულის თანადროული დადასტურება კოლხურ კომპლექსებში და მცირეაზიურ ძეგლებზე (მაგალითად, მერსინის IX ჰორიზონტში), ანდა ბოღასქოიში ლაილაშისა და ღვედის ტიპის ცულის აღმოჩენა, ლაილაშისა და ღვედის ცულების ქრონოლოგიურად შესაბამის ფენაში, რომელსაც დაახლოებით ძვ. წ. 1400 წლით კანასაზღვრავენ. ამას შეგვიძლია დავუმატოთ აღმოსავლურ-ამიერკავკასიური ტიპის ცულის გამოსახულება ხატუშაშის ერთ-ერთ კარიბჭეზე („მეომრის კარიბჭე") რელიეფურად გამოკვეთილი მეომრის ხელში. ეს კარიბჭე ძვ. წ. XIV საუკუნით თარიღდება[205]. ეს ფაქტები, გარდა თავისი დიდი ისტორიული მნიშვნელობისა, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, აშკარად მიუთითებენ საქართველოსა და მცირე აზიის გვიანბრინჯაოს

---

[202] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიის და მახ. აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, გვ. 78.

[203] S e t o n L l o y d. Early Anatolia, The archaeology of Asia Minor before the greeks. London and Tonbridge, 1956, გვ. XX, დიაგრამა.

[204] S e t o n L l o y d, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

[205] R. H a m a n n. Geschichte der Kunst. Berlin, 1957, გვ. 374, სურ. 403.

პერიოდების სინქრონულობაზე და მაშასადამე სინქრონიზაციის აუცილებლობაზეც.

ამრიგად, ზემოთ განხილული კოლხური კერამიკა და კოლხური ბრინჯაო ქრონოლოგიურადაც ემთხვევა ერთიმეორეს. ამასთან, უკვე დღეს არსებობს გარკვეული საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ძველი პერიოდის პირველი ეტაპის კოლხური კერამიკა შეესაბამება დროში კოლხური ბრინჯაოს უძველეს ფორმებსა და კომპლექსებს, ხოლო ძველი პერიოდის II ეტაპის კოლხური ჭურჭელი — ბრინჯაოს ნივთების უფრო განვითარებულ ფორმებს. ყოველ შემთხვევაში, კოლხური ცულის განვითარების იმ ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური სქემის მიხედვით, რომელიც დ. ქორიძეს აქვს მოცემული[206] (ტაბ. XXIV) და რომელიც ქრონოლოგიურად ზოგადად ემთხვევა ძველი პერიოდის კოლხური კერამიკის ჩვენს პერიოდიზაციას, ეს ვარაუდი დასტურდება, კოლხურ ბრინჯაოში კი სწორედ ცულია ფორმალური თვალსაზრისით ყველაზე რთული იარაღი, მხოლოდ მას აქვს ის მკვეთრად ჩამოყალიბებული ფორმალურ-ტიპოლოგიური თავისებურებანი, რომელთა ცვლილების საფუძველზე შეიძლება გარკვეული ქრონოლოგიური მიჯნები აღინიშნოს. ამდენად პერიოდიზაცია, რომელიც ზემოთ წარმოვადგინეთ, არამარტო კოლხური კერამიკის გენეზისს ასახავს, არამედ, საერთოდ, კოლხეთის და მასთან კავშირში მყოფი მხარეების არქეოლოგიური მასალის განვითარების მიჯნებს; მით უმეტეს, რომ შუა კოლხური პერიოდიდან არქეოლოგიურ კულტურაში განმსაზღვრელი მნიშვნელობა, არსებითად, კერამიკას ენიჭება.

თუ იმ კერამიკულ მასალას, რომელიც, როგორც ჩანს, ძვ. წ. VI ს. შუახანებიდან ვრცელდება, შევუდარებთ ზემოთ მიმოხილულ წინამორბედი ხანების კოლხეთის თიხის ნაწარმს, ძნელი არ იქნება სხვაობის შემჩნევა. თუ ჭურჭლის გამოწვის ტექნიკა, თიხის შემადგენლობა, მასალის პირველადი დამუშავება, ე. წ. „სამზარეულო“ ჭურჭლის ფორმები არსებითად იგივე დარჩა, მკვეთრად შეიცვალა თიხის ჭურჭლის წამყვანი ფორმები. მათი ზედაპირის დამუშავება, ორნამენტი, გაჩნდა სრულიად ახალი ჭურჭელი.

ახალი ჭურჭლის გაჩენა მეურნეობის ახალი დარგების განვითარებასთან და საერთოდ ეკონომიკაში მომხდარ დიდ ძვრებთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა შევაჩეროთ ქვევრებზე, რომლებიც კედლების დამუშავების მიხედვით სამ ჯგუფად განიყოფებიან. პირველ ჯგუფს (ტაბ. $VII_{1,2}$) შეადგენენ დიდი ზომის მუცელგანიერი ქვევრები, რომლებსაც ყელის გარშემო, ჩვეულებრივ, შემოუყვებათ სამი რიგი ფართო ღარებისა. ქვევრის კორპუსი ქვემოთკენ სხივისებურადაა გაშლილი. ამ ქედებს შორის ფართობი ან სადაა, ანდა ხშირად შეესებულია ნაკაწრი ღარებით. სხივურად გაშლილ ქედებს ზედა ნაწილში დაძერწილი აქვთ ნათითურები. ქვევრების პირი ზემოდან ბრტყელია და გარეთაა გაზიდული, კვეთში სამკუთხა განივკვეთიანია. პირქობი ჩვეულებრივ შემკულია რომბული ორნამენტით ან ხვიისებური სარტყლით, ეს ანდაზი ხშირად კორპუსზეც დაიტანება.

ქვევრების მეორე ჯგუფს (ტაბ. VIII_1) ზედაპირი შემკული აქვს წვრილი ერთმანეთზე მიჯრილი ზერელე ღარებით, რომლებიც გოფრირებულ ზედაპირს ქმნიან. ეს ზედაპირი ჩვეულებრივ ღარებითა და გლუვი მომრგვალებული ქედებითაა დაყოფილი. ამ ტიპის ქვევრებზე, განსაკუთრებით იმ ეგზემპლარე-

---

[206] დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

ბზე. რომლებიც ურნებადაა გამოყენებული, ზოგჯერ ვხვდებით ცხოველთა გამოსახულებებსაც[207], თუმც ურნებად იყენებდნენ ისეთ ქვევრებსაც, რომლებზეც გამოსახულებები არ იყო. მეორე ჯგუფის ქვევრები უმეტეს შემთხვევაში შავი ფერისაა და გაპრიალებულია.

ქვევრების მესამე ჯგუფი (ტაბ. VIII$_{2-3,5}$) გამოირჩევა კედლების მდიდრული რელიეფური შემკულობით. სამკაული წარმოადგენს რელიეფური თოკისებური გრეხილით შესრულებულ სხვადასხვა ანდაზს, უფრო ხშირად კონცენტრირებულ რკალებს.

მართალია, ქვევრების სათავეებს ლითონის ინდუსტრიის ადრეულ ეტაპებზე დამოწმებულ დიდი ზომის ჭურჭელში ეძებენ[208], მაგრამ მათი ჩამოყალიბება ფორმითაც და დანიშნულების მიხედვითაც ძვ. წ. VII საუკუნის დასასრულს ან რამდენადმე შემდგომ უნდა მომხდარიყო და, როგორც აღვნიშნეთ, უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მეურნეობის ახალი დარგის, კულტურული მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებასთან. ქვევრი ხდება მთავარი ჭურჭელი არა მარტო ყურძნის დამუშავების, ღვინის დაყენება-შენახვისა და ტრანსპორტირებისათვის, როგორც ტარა (ამ მხრივ ქვევრების ტევადობა ჯერ კიდევ გამოსაკვლევია), არამედ როგორც მეღვინე-მევენახეთა საძვალეც.

ამ დროის დიდი ზომის კოლხური ჭურჭელი წარმოდგენილია აგრეთვე დერგებით, რომელთა წინაპრები ადრეულ დერგებშია საძებარი. შუა პერიოდის პირველ ეტაპზე დერგები გამოირჩევიან არა მარტო დახვეწილი ფორმებით, არამედ გულდაგული დამუშავებითაც. მათთვის დამახასიათებელია გარეთ გადაკეცილი და რამდენადმე ჩახვეული პირები, განიერი მუცელი, ყელზე ორნამენტული სარტყელი და ხშირ შემთხვევაში კორპუსის შავად გაპრიალება (შდრ. ტაბ. VIII$_4$).

განსაკუთრებული სიახლე იგრძნობა სუფრის ჭურჭელში, რომელიც აგრეთვე თავისი მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა: გვაქვს, მაგალითად, მრავალგვარი სასმისები და ყურმილიანი დოქები, რომლებიც ქვევრებთან ერთად მეღვინეობის შემდგომ განვითარებასთან უნდა იყოს დაკავშირებული, სხვადასხვა ფორმის ლანგრები, ჯამები, ჭიქები, საშარილეები, მცირე კოჭები და სხვა ჭურჭელი.

ამ ხანის კოლხური კერამიკის განმსაზღვრელ ნიმუშთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ სასმისებიც. მათი ფორმალური თავისებურებანი შესაძლებლობას გვაძლევს სასმისების სამი ტიპი გამოვყოთ. სპეციალური ტიპოლოგიური შესწავლის შედეგად ადვილი შესაძლებელია თითოეულმა ტიპმა რამდენიმე ქვეტიპი მოგვცეს.

სასმისების პირველ სახეობას (ტაბ. IX$_{1-3}$) განეკუთვნება ცალები მაღალი ცილინდრული ფეხით. ამ ფეხებს სადგომი ნაწილი მრგვლად აქვთ გაფართოებული, რის გამოც ფეხის ქვედა ნაწილი კვეთში სამკუთხა ფორმას იღებს. ამ სასმისების ფეხები ღრუა და, როგორც წესი, შემკულია ტალღური ანდაზით, ზოლო შემდეგ გაპრიალებულია. სასმისის ფეხებზე დატანებული ტალღების ანდაზის რამდენიმე ვარიანტია დამოწმებული, სასმისების ამ ჯგუფს ფეხის ზედა ნაწილში სასმისის კორპუსთან შეერთების ადგილას ცალ მხარეს აქვს მრგვალგანივკვეთიანი მცირე ყური.

---

[207] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 36, 37.

[208] ა. ბოხოჩაძე, მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბილისი, 1963, გვ. 116. შდ.

სასმისების მეორე სახეობას (ტაბ. IX$_{6-7}$) შეადგენს ეგზემპლარები დაბალი გამოყვანილი ფეხით, რომელიც ჩვეულებრივ სადაა და შავადაა გაპრიალებული. კორპუსი ამ სასმისებისა შემდეგნაირადაა დამუშავებული: ერთ ნაწილს კორპუსებზე შემოუყვება რელიეფური მომრგვალებული ქედების სალტეები, მეორე ნაწილი შემკულია ტალღური ანდაზით, ხოლო მესამე რელიეფური სალტეებითაც და ტალღური ორნამენტითაც.

სასმისების მესამე სახეობას (ტაბ. IX$_{10, 12, 16}$) ეკუთვნის უფეხო ძაბრისებური ფორმის ეგზემპლარები, რომლებსაც ცალ მხარეს მცირე ყური აქვთ. ქვედა ნაწილი ამ სასმისებისა სადაა, ზედა კი რელიეფური სალტეებითაა დამუშავებული.

ამ ხანის კოლხეთის ფართოდ გავრცელებული სუფრის ჭურჭელია ყურმილიანი დოქებიც (ტაბ. IX$_{13, 14, 17}$). ძვ. წ. VII საუკუნის შემდგომი ხანის თითქმის არც ერთი ნამოსახლარი არ გვეგულება დასავლეთ საქართველოში, სადაც ყურმილიანი დოქები არ გვქონდეს დადასტურებული. აჭარაში, ნაპურვალის ბორცვზე, აღმოჩნდა რამდენიმე მთელი ყურმილიანი ჭურჭელი[209]. ყურმილიანი დოქების ფორმა, როგორც ჩანს, არსებითად, ერთნაირი იყო, ისეთი, როგორიც ნაპურვალას დოქია, ოღონდ ზომები დოქებისა სხვადასხვა უნდა ყოფილიყო, რაზეც ყურების ნაირი სიდიდე მიუთითებს. იტალიის ტერამარების კერამიკასთან პროტო- და ძველი კოლხური კერამიკის ზოომორფული ყურების მსგავსების რემინისცენციით უნდა აღვნიშნო, რომ შუა იტალიის რკინის ხანის პირველი პერიოდის არქეოლოგიურ მასალაში თავს იჩენს ისეთივე ყურმილიანი ხელადები, როგორიც ზემოთ მიმოვიხილეთ[210].

ამ ჯგუფის კერამიკის სპეციფიკური და თითქმის საყოველთაოდ გავრცელებული ნაწილია ლაჯგრები და სხვადასხვა ზომის ჯამები (ტაბ. X), რომლებსაც ერთმანეთთან აახლოვებს სამკუთხა განივკვეთის მქონე პირები კაწვრით შესრულებული რომბული, ბადისებური ან ტალღური ანდაზით შემკული ბაკოებით. ეს პირები ფორმითაც და ბაკოს შემკულობის მიხედვითაც იმეორებენ ქვევრების პირებს და ამიტომ ზოგჯერ ქვევრის პირები დიდი ლანგრის პირებადაა მიჩნეული. ასეთ შეცდომას უნდა ჰქონდეს ადგილი პანტიკაპეონში აღმოჩენილ პირებთან დაკავშირებით, როცა მათ ლანგრის პირებად მიიჩნევდნენ[211]. აღნიშნული კერამიკის შორეულ პანტიკაპეონში ექსპორტირების ფაქტი თავისთავად უნდა გამორიცხავდეს მათი ლანგრებად გააზრების შესაძლებლობას, რადგან ექსპორტის საგანი შეიძლება ყოფილიყო ან დახვეწილი კოლხური ჭურჭელი, ანდა ჭურჭელი, რომელსაც სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა. კოლხური ქვევრი, როგორც საწყაო ჭურჭელი, თვით კი არ იყო ექსპორტის საგანი, არამედ მისი შიგთავსი, უპირატესად, ღვინო. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ კოლხური ქვევრების ნაშთები აღმოჩენილია არა მარტო პანტიკაპეონში[212], არამედ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სხვა ცენტრებშიც.

---

[209] ა. კ ა ხ ი ძ ე, მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, IV, 1965, გვ. 73, სურ. 2.

[210] O. M o n t e l i u s. Die vorklassische Chronologie Italiens (Tafeln). Stokholm, 1912, ტაბ. XXVIII$_3$.

[211] В. Д. Б л а в а т с к и й, Отчет о раскопках Пантикапея, МИА, 103, 1962, გვ. 12, სურ. 5$_{4-5}$; შდრ. И. Б. З е е с т, Н. Д. М а р ч е н к о, Типы толстостенной керамики из Пантикапея, МИА, 103, გვ. 154—155.

[212] И. Б. З е е с т, И. Д. М а р ч е н к о, დასახ. ნაშრომი. გვ. 154, 155.

მაგალითად, ნიმფეუმში კოლხურ თეთრებთან, ნახევარდრაქმებთან ერთად, კოლხური ქვევრებიცაა დამოწმებული[213].

შუა პერიოდის პირველი ეტაპის კერამიკის ცალკეული წამყვანი ნიმუშები დამოწმებულია მთელ დასავლეთ საქართველოში, რაც ამ კერამიკის საყოველთაო გავრცელების მაჩვენებელია. სრული სახით იგი წარმოდგენილია მეტნაკლებად შესწავლილ ძეგლებზე, აჭარაში და რიონის ქვემო წელზე. ამ ძეგლების შესწავლის შედეგად შეიძლება განისაზღვროს განხილული კერამიკის მოქმედების ქრონოლოგიური ზღვრები. დაბლაგომის, ქვემო ჭალადიდის, ნოსირი III აღმოჩენათა მიხედვით ძველი პერიოდის მეორე ეტაპის კოლხურ ჭურჭელს უშუალოდ ენაცვლება ზემოთ განხილული კერამიკა. ეს ნათლად აისახა ს. ქვემო ჭალადიდში, სადაც ფენათა დარღვევის გამო არეული აღმოჩნდა მაინცადამაინც ძკ II და შკ I კერამიკული ნაწარმი. იგივე ვითარება, ოღონდ კიდევ უფრო თვალსაჩინოდ დამოწმებულია ნოსირი III-ში. აქ უშუალოდ იმ ფენის ქვეშ, რომელშიც ანტიკური მასალა აღმოჩნდა, გამოვლინდა ფენა იმ მასალის შემცველი, ჩვენ რომ ძკ II ვუწოდებთ[214]. ამ აღმოჩენამ დაგვიდასტურა კოლხეთის არქეოლოგიაში ძკ II ფენის გამოყოფის საჭიროება და ამავე დროს ამ ფენისა და შკ I ფენის უშუალო კავშირი. ამიტომ აღნიშნულ ფენათა კერამიკული მასალის ქრონოლოგიური გამიჯვნა შესაძლებლობას გვიქმნის მივიღოთ ძველი პერიოდის მეორე ეტაპის დასასრულის თარიღი და თარიღი იმ სიახლეთა გაჩენის დასაწყისისა, რომელიც მომდევნო, შუა პერიოდის პირველი ეტაპის კერამიკაში გვევლინება. თუმც აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შუა პერიოდის პირველი ეტაპის თიხის ნაწარმის ადრეულ ნიმუშებს ეტყობა წინამორბედი კერამიკისათვის დამახასიათებელი ტენდენციების კვალი. მაგალითად, დაბლაგომის ზედა ფენის მასალაში აშკარად იგრძნობა წინამორბედი კერამიკისათვის დამახასიათებელი ზოომორფული მოტივების მძლავრი ნაკადი (ცხოველთა გამოსახულებანი ქვევრებზე, ცხოველთა სკულპტურული გამოსახულებანი და სხვა), რაც აშკარად ძველი პერიოდის თავისებურებათა გამოძახილია.

ზოომორფულმა მოტივებმა, მართალია, შედარებით უმნიშვნელო, მაგრამ მაინც მკვეთრად ჩამოყალიბებული, კვალი დატოვეს მომდევნო ხანის კერამიკაში. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა რამდენიმე ნიმუში ჭურჭლის ყურებისა, რომლებიც აღმოჩნდა სიმაგრის ნამოსახლარის ქვედა ფენაში და რომელიც უკვე უნდა ეკუთვნოდეს ამ ნამოსახლარის სულ საწყის ეტაპებს. ყველა ეს ყური შავად გამომწვარი ჭურჭლის კუთვნილია. ერთ-ერთი მათგანი (ტაბ. XI$_2$) მრგვალგანივკვეთიანია და ზედა ნაწილში რქისებური შვერილები აქვს. თუმც ეს შვერილები უფრო ცხოველის დაცქვეტილ ყურებს მოგვაგონებს, ვიდრე რქებს. მეორე ყურიც (ტაბ. XI$_1$) ასევე მრგვალგანივკვეთიანია და მას ზედა ნაწილში უკვე რქისებური შვერილების ნაცვლად დაძერწილი აქვს ცხოველის თავის სკულპტურული გამოსახულება, რომელიც შემცირებულ ზომებში თითქმის ზუსტად იმეორებს ცნობილ სკულპტურას დაბლაგომიდან[215]. აქვეა დადასტურებული ხარის თავის სკულპტურა (ტაბ. XI$_3$), რომელიც, როგორც ჩანს, რომელიღაც ჭურჭლის ყურს წარმოადგენდა.

---

[213] В. М. Скуднова, Находки колхидских монет и пифосов в Нимфее, ВДИ, 1952, № 2, გვ. 238.

[214] დ. ქორიძე, ე. გოგაძე, ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის ძირითადი შედეგები. გვ. 52.

[215] შდრ. Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, ტაბ. 39$_1$.


XV-XII სს.
XII-X სს
X-VII სს
I
II

აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ შუა პერიოდის I ეტაპის კოლხური კერამიკის ორნამენტის შესახებ მისი განსაკუთრებული მრავალფეროვნების გამო. ვამჯობინებთ მკითხველს მივუთითოთ ამ ორნამენტის სპეციფიკური ნიმუშების ტაბულა (იხ. ტაბ. XII).

შუა პერიოდის პირველი ეტაპის კერამიკა კარგად ისაზღვრება სიმაგრის ნამოსახლარზე (სოფ. საქორქიოში). ეს მასალა სიმაგრეზე დადასტურებულია იმ ფენებში, სადაც აღმოჩნდა იმპორტული ჭურჭელიც, რომლის მოქმედების დრო ცნობილია. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია სიმაგრის II უძველეს ფენაში აღმოჩენილი არქაული, წითელი საღებავით შეღებილი, მაღალყელიანი და სქელკედლებიანი ამფორა მასიური ლილვისებური გვირგვინით (ტაბ. XIII_1). ამ ტიპის ამფორები დამოწმებულია შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში ისტრიიდან ბოსფორამდე, ძვ. წ. VI საუკუნის პირველი ნახევრის მასალასთან ერთად[216]. მაგალითად, პანტიკაპეონში ანალოგიური ამფორა აღმოჩნდა როდოსულ ოინოხოიასთან ერთად, რომელიც ძვ. წ. VII ს. დასასრულითა და VI ს. დასაწყისით თარიღდება[217].

სიმაგრეზე II ფენაში დადასტურებულია აგრეთვე როზეტიანი კილიკი და მასრიანი გვერდებაკეცილი ჭრაქები (ტაბ. $XIII_{2,3}$). როზეტიანი კილიკები, როგორც ცნობილია, თარიღდება ძვ. წ. VII საუკუნის ბოლოთი და VI ს. დასაწყისით[218], ხოლო მასრიანი ჭრაქები ძვ. წ. 600 წლისათვის უკვე ჩამოყალიბებული ჩანს, მათი მოქმედება კი ძვ. წ. VI ს. შუახანებს სცილდება[219]. სულ ახლახან სიმაგრეზე იმავე II ფენაში აღმოჩნდა მცირე ფიგურული სტილის შავლაკიანი კილიკი. ამგვარ კილიკებს ძვ. წ. VI ს. მეოთხედს აკუთვნებენ[220].

II ფენაში დადასტურებულ იმპორტულ მასალას ქრონოლოგიურად ეხმაურება ადგილობრივი ჭურჭლის ერთი ნაწილი, რომელიც სხვაგან უფრო ადრეულ მასალასთან კავშირშია დადასტურებული, ხოლო სიმაგრეზე ზედა I ფენაში არა გვაქვს და მხოლოდ უძველეს II ფენაში ვხვდებით. მხედველობაშია ქვევრები რელიეფური გრეხილი ორნამენტით (ტაბ. $VIII_{2,3}$), რომელთა მსგავსი აფხაზეთში ოსუარიუმებად იყო გამოყენებული[221].

ამრიგად, თუ აღნიშნული იმპორტული მასალის საფუძველზე ვიმსჯელებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ კოლხურ კერამიკაში ახალი ფორმების გაჩენა ძვ. წ. VI საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოს იწყება. აღსანიშნავია, რომ რადიოკარბონული მეთოდით სიმაგრის II ფენაში დადასტურებული ხის ნაგებობების ნაშთების ასაკი 2660±145 წლით განისაზღვრება[222]. როგორც „ზურგაზე", აქაც ამ რიცხვითი მონაცემების მინიმალური გადახრა გვაძლევს სწორედ იმ შესაძ-

---

[216] И. Б. Зеест, Керамическая тара Боспора, МИА, 83, გვ. 169, შდ. ტაბ. 1.

[217] В. Д. Блаватский, Отчет о раскопках Пантикапея в 1945—1949, 1952 и 1953 гг. МИА., 103, გვ. 9—10, სურ. 4; შდრ. Н. А. Сидорова, Архаическая керамика из Пантикапея, МИА, 103, გვ. 109—110. სურ. 2.

[218] Р. В. Шмидт, Греческая архаическая керамика Мирмекия и Тиритаки, МИА, 25, стр. 231, 232.

[219] Saul S. Weinberg, A cross-section of Corinthian antiquities (Eexcavations of 1940). Hesperia, vol., XVII, №3, 1948, გვ. 228—229, ტაბ., LXXXIV Д81; Mary Campbell Roebuck. Excavation at Corinth 1954. Hesperia, vol., XXIV, № 2, 1955, გვ. 152, ტაბ. 60_{17-20}.

[220] Р. В. Шмидт, დასახ. ნაშრომი, გვ. 246.

[221] შდრ. Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, I, ტაბ. XVI_4.

[222] А. А. Бурчуладзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

ლებელ მიჯნას, როდესაც, როგორც ჩანს, ამთავრებს თავის არსებობას ძველი პერიოდის კოლხური კერამიკა და საფუძველი ეყრება ახალ ფორმებს კოლხურ კერამიკაში, ე. ი. დასაბამი ეძლევა მეორე, შ უ ა კ ო ლ ხ უ რ პერიოდს.

შუა პერიოდიც, როგორც აღნიშნული გექონდა, კოლხური კერამიკის განვითარების მხრივ, ორ ეტაპად უნდა გაიყოს. პირველი ეტაპის თავისებურებანი ჩვენ ზემოთ მოკლედ მიმოვიხილეთ. მეორე ეტაპი შუა პერიოდისა იწყება ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულიდან. ამ დროს განაგრძობენ არსებობას წინა ეტაპისათვის დამახასიათებელი ჭურჭლის ზოგიერთი ფორმები, თუმც ისინი განიცდიან გარკვეულ ცვლილებებს. მაგალითად, ამ ეტაპზე უპირატესად გავრცელებულია კოლხური ქვევრების მეორე სახეობა, რომელთა ზედაპირი დაყოფილია გლუვი, მომრგვალებული ქედებით გამოყოფილი და ერთმანეთზე მიჯრილი წმინდა და ზერელე ღარებით შემკული სიბრტყეებით. ეს ქვევრები I ეტაპზე შავეკეციანია და ხშირ შემთხვევაში გაპრიალებული ზედაპირი აქვს. მეორე ეტაპზე კი ზედაპირს ზოგჯერ კვლავ შავს ინარჩუნებენ, სარჩული კი, როგორც წესი, მოწითალო უჩნდებათ. ხშირად ეს ქვევრები წარმოდგენილია გარედანაც და შიგნიდანაც აგურისფერი კეცით. ეს ქვევრები კეცითაც და ზედაპირის შემკულობითაც კავშირს აბამენ ფეოდალური ხანის ქვევრებთან, რომელიც ასევე ფართოდაა გავრცელებული მთელ კოლხეთში და რომელიც რიონის ქვემო წელზეცაა დადასტურებული[223].

შუაკოლხური პერიოდის მეორე ეტაპის საერთო თავისებურებაა იმპორტირება უკვე არა მარტო მზა პროდუქციისა, არამედ ჭურჭლის ცალკეული ფორმებისაც. ეს ფორმები ინერგება კოლხეთის კერამიკულ წარმოებაში, მაგრამ აქ მათი უბრალო რეპროდუქცია კი არ ხდება, არამედ ადგილობრივი საწარმოო ტრადიციებისა და მოთხოვნილების გავლენით იქმნება თავისებური კერამიკა, რომელიც ნედლეულის წარმოებისა და ტექნოლოგიის თავისებურებათა გამო, ფორმალურ-ტიპოლოგიური თვალსაზრისითაც სრულიად განსხვავებულ სახეს იღებს (იხ. ტაბ. XVII). ამ მხრივ, უნდა მოვიხსენიოთ ამ ხანის ერთი ყველაზე დამახასიათებელი ჭურჭელი ე. წ. კოლხური ყავისფერკეციანი ამფორები არა მარტო კოლხეთში მათი საყოველთაო გავრცელების გამო, არამედ იმიტომაც, რომ როგორც ეს მართებულადაა მიჩნეული (რ. ფუთურიძე), ისინი სათავეს უდებენ გვიანკოლხური პერიოდის წელგამოყვანილ ამფორებს[224]. ამ ფაქტს, შუაკოლხური პერიოდის II ეტაპის აგურისფერ კეციანი ქვევრების ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ქვევრებთან ზემოხსენებულ შესაძლებელ კავშირთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს კოლხური კერამიკის და საერთოდ კოლხური კულტურისა და სამეურნეო ტრადიციების გენეზისის თვალსაზრისით.

შუა პერიოდი, კოლხური კერამიკის განვითარების მხრივ, როგორც ჩანს, გრძელდება ახ. წ. პირველ საუკუნემდე. ამ დროს უნდა ეყრებოდეს საფუძველი კოლხური კერამიკის განვითარების მესამე პერიოდს, რომელსაც ჩვენ გვიანს ვუწოდებთ. ამ პერიოდის კერამიკის ცუდად შესწავლისა და მასალის შედარებითი სიმცირის გამო ძნელია ვიმსჯელოთ მისი განვითარების შესაძლებელი ეტაპებისა და სხვა თავისებურებათა შესახებ. ეს საცდება ჩვენი მსჯელობის სფეროს.

---

[223] იხ. ფ.—64—295; ფ—64—297; ფ—64—293; შდრ. MAK II, 1869, ტაბ VII $_{14-16}$ და. VIII$_{7}$.

[224] ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანტიკური სამყაროა და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 138.

ასე წარმოგვიდგება მოკლედ კოლხური კერამიკის თავისებურებანი. ისტორიული თვალსაზრისით ამ თავისებურებათაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ გარემოებას, რომ ძველი პერიოდის კოლხური კერამიკა, როგორც აღნიშნული გვქონდა, მოქცეულია კოლხური ბრინჯაოს თავდაპირველი გავრცელების ფარგლებში (იხ. რუკა). ამასთან ამ დამთხვევაში თითქოს ვლინდება უფრო არსებითი ხასიათის თანხვედრაც, რომლის კანონზომიერება ჯერ კიდევ დასაზუსტებელია. საქმე ისაა, რომ ქრონოლოგიურად ძველი პერიოდის პირველი ეტაპის კოლხურ კერამიკას, როგორც დავინახეთ, შეესაბამება კოლხური ბრინჯაოს უძველესი განძები (ურეკის, ერგეს, ზენითის რამდენიმე განძი, ვაკიჯვარის, შრომის, ართვინის, ყარადერეს, ბობოყვათის, ციხისძირის, ჰოროხის, ქობულეთის, მელექედურის და სხვა განძების), მაგრამ ტერიტორიულად ასეთ თანხვედრას ყოველთვის არა აქვს ადგილი. მართალია, უძველესი განძების უმრავლესობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ აჭარა-გურიაში და მათ მეზობელ მხარეებშია დადასტურებული, სადაც ძველი პერიოდის I ეტაპის კოლხურ კერამიკასაც ვხვდებით, მაგრამ კოლხური ბრინჯაოს უძველესი ფორმები დამოწმებულია ისეთ მხარეებშიც, სადაც ძველი პერიოდის I ეტაპის კოლხური კერამიკა არა ჩანს. ვგულისხმობთ უპირველეს ყოვლისა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს და მის მიმდგომ მხარეებს და იქ აღმოჩენილ ძეგლებს — პილენკოვოს, გაგრის, ბიჭვინტის, ლიხნის, სოხუმის მთის განძებს. საგულისხმოა, რომ ამ მხარეში აღმოჩნდა (სოხუმის მთის მონაპოვარი) ძველი პერიოდის კოლხური კერამიკის II ეტაპისათვის დამახასიათებელი თიხის ნაწარმი. ეს გარემოება როგორღაც გვაფიქრებინებს, რომ ძველი პერიოდის კოლხური კერამიკის მატარებლები აქ მხოლოდ მეორე ეტაპზე ჩნდებიან. ამას გვაფიქრებინებს აქ არა იმდენად ძველი პერიოდის II ეტაპის კერამიკის დადასტურება, რამდენადაც I ეტაპისათვის დამახასიათებელი ჭურჭლის უქონლობა, მაშინ როდესაც მათი თანადროული ბრინჯაოს ნაკეთობები აქ წარმოდგენილია. ეს შეიძლება იმის მაგალითი იყოს, რომ ლითონი უფრო ადრე არღვევს ერთი ეთნო-კულტურული წრის საზღვრებს, ვიდრე ნივთიერი კულტურის რომელიმე სხვა ნაწილი.

მაშასადამე, ძვკ I კერამიკას, ფაქტიურად, დასავლეთ საქართველოს სამხრეთ ნახევარში ვხვდებით. განსაკუთრებით საინტერესო და მრავალფეროვან მასალას რიონის ქვემო წელზე ფიქსირებული ძეგლები (ქვალონის „ნაოხვამუ“ და ქვემო ჭალადიდის „ზურგა“) გვაწვდიან. მდ. რიონის სამხრეთით ძვკ I კერამიკა გვხვდება ნამჭედურში (დ. ხახუტაიშვილის მონაპოვარი, იხ. ტაბ. XXIII), ცალკეული ნიმუშები მესხეთ-ჯავახეთში — წუნდაში, კულასა და მოლითში (ო. ღამბაშიძის ფიერ აკრეფილი მასალა). რიონის ჩრდილოეთით ძვკ I კერამიკის ცალკეული ნიმუშები ჯერჯერობით ჩანს ყულევში (მდ. ხობის შესართავთან), პალურში (ენგურის შუა წელზე), ანაკლიაში (დიხა-გუძუბა. II). ადვილი შესაძლებელია, რომ ზოგი ძველი ფორმა ან ანდაზი შემდგომ ეტაპებზეც განაგრძობდეს არსებობას. ამ მხრივ კოლხური კერამიკა შუაკოლხურ პერიოდამდე გასაოცარი კონსერვატიულობით გამოირჩევა. ეს თავისებურება განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდება, თუ ძველკოლხურ კერამიკას შევუდარებთ უძველესს, რომელსაც ჩვენ პ რ ო ტ ო კ ო ლ ხ უ რ ი ვუწოდეთ. ეს კერამიკა კოლხურია, რადგან ჭურჭლის რიგი ფორმები, ორნამენტირების პრინციპები, ორნამენტის და, საერთოდ, ჭურჭლის შემკულობის თავისებურებანი მას საერთო აქვს ძველკოლხურ კერამიკასთან. აღნიშნული ნიშნების მიხედვით

სრულიად აშკარაა კავშირი ძველკოლხურ და პროტოკოლხურ კერამიკას შორის (შდრ. ტაბ. $V_{1, 2, 3, 7}$ და ტაბ. $XVIII_{74, 13}$; V_5 და $XVIII_{59, 44, 24, 16}$; V_6 და XVIII_{77}), სრულიად აშკარაა, რომ ძველი კოლხური კერამიკის სათავეები პროტოკოლხურ კერამიკაშია მოცემული, მაგრამ ამ უკანასკნელს თავდაპირველ კოლხურს ანუ პროტოკოლხურს ვუწოდებთ არა მარტოოდენ იმის გამო, რომ ძველი კოლხური კერამიკის საწყის ვარიანტებს შეიცავს, არამედ იმიტომ, რომ მას (ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით) განვითარების წინარე საფეხური არ უჩანს.

პროტოკოლხური კერამიკა დადასტურებულია ჯერჯერობით შემდეგ ძეგლებზე; დიხა-გუძუბა I ანაკლიაში, ნამჭედურის ქვედა ფენები ქობულეთში (იხ. ტაბ. XXI-XXII), ყულევში (კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის მონაპოვარი) და სამოსახლო ბორცვზე ტეხურის შესართავთან, სოფ. ნოსირი III-ში, რომელიც უკვე რამდენიმე წელია ითხრება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჯერ დ. ქორიძის, ხოლო ამჟამად ე. გოგაძის ხელმძღვანელობით. ამ ბორცვზე გამთხრელები გამოჰყოფენ სამ კულტურულ ფენას, რომელთაგან უძველეს პირველ ფენას ანაკლიის დიხა-გუძუბას შუა ფენას უფარდებენ, ხოლო ზედა მესამე ფენას—ქვალონის ნაოხვამუს შუა და ზედა ფენებს და სოფ. ქვემო ჭალადიდის ზურგას ქვედა ფენებს. ამავე დროს, თუ ნოსირი III ქვედა ფენას შუაბრინჯაოს ხანას აკუთვნებენ და ზოგადად ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევრით ათარიღებენ, ნოსირი III ზედა ფენის შუაბრინჯაოს ხანისადმი მიკუთვნებას კატეგორიულად უარყოფენ[225].

ნოსირი III ნამოსახლარის კერამიკას, ანაკლიის დიხა-გუძუბას კერამიკასთან ერთად, ჩვენ თავის დროზე პროტოკოლხური ვუწოდეთ, შუაბრინჯაოს ხანას მივაკუთვნეთ და აღვნიშნეთ, რომ მისი ზედა ქრონოლოგიური მიჯნა ძვ. წ. XV ს. არ უნდა გადმოსცდეს[226]. ეს აზრი შეგვიმუშავდა ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის პირველი მონაპოვრის გაცნობისთანავე, პირველი მონაპოვრისა, რომელიც, ფაქტიურად, მხოლოდ კერამიკით იყო წარმოდგენილი და ანაკლიის დიხა-გუძუბას მეორე და მომდევნო ფენების მასალასთან კონკრეტულ ასოციაციებს იწვევდა. ახლა აღმოჩნდა ზოგი რამ ისეთი, რაც ამ აზრს კიდევ უფრო გვიმტკიცებს, თუმც საბოლოო სურათის დასადგენად კვლავაც ბევრია დასაზუსტებელი.

უპირველეს ყოვლისა, ნოსირი III ბორცვზე აღმოჩენილი კერამიკის შესახებ. XVIII ტაბულაზე გამოჩენილი ფენა ნოსირი III სამივე კულტურული ფენის და დამატებით ჰუმუსური ფენის ჭურჭელი[227]. მასალა განლაგებულია ქვემოდან ზემოთ — I ფენიდან ჰუმუსურ ფენამდე. თუ პირველი ფენის კერამიკას შევუდარებთ მომდევნო ფენების მასალას, ძნელი შესამჩნევი არ იქნება თითქმის სრული ერთგვაროვნება როგორც ფორმების, ისე ორნამენტაციის პრინციპებისა და ორნამენტის ხასიათის მხრივ. სამივე კულ-

---

[225] დ. ქ ო რ ი ძ ე, ე. გ ო გ ა ძ ე, ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წ. მუშაობის ძირითადი შედეგები. სსმაე, II, 1971, გვ. 31, 47—48.

[226] Т. К. М и к е л а д з е, Исследования по истории древнейшего населения Колхиды и Юго-восточного Причерноморья (XV—IV вв. до н. э.), Тбилиси. 1969, стр. 18.

[227] ნოსირი III სამოსახლო ბორცვის მონაპოვარის ფოტოები გამოსაყენებლად, ამ მონაპოვარის ფენებში განლაგების მითითებით, გადმოგვცა ისტორიის მეცნიერებათა კანდ. არქეოლოგმა ე. გოგაძემ, რისთვისაც მას გულწრფელ მადლობას მოვახსენებ.

ტურული ფენის ჭურჭელი, როგორც წესი, შემკულია მხოლოდ ზედა ნახევარში (შდრ. 72, 54, 46, 34, 27, 28). კერამიკის შემკობის ეს პრინციპი, როგორც ნაჩვენები იყო, შენარჩუნებულია მომდევნო ძველკოლხურ პერიოდშიც (შდრ. ტაბ. $V_{3, 5}$). სამივე ფენის ჭურჭლის ორნამენტი გადმოცემულია ღარიანი ანდაზის შეხამებით ღარიანთან. არის ღარიანი ანდაზის შეხამება დაყბილული შტამპით შესრულებულ ანდაზთან და ეს ორნამენტიც სამივე ფენაში გვხვდება (შდრ. 74, 66, 47, 31, 36, 22, 13). გარდა ამისა, შემკობის ეს პრინციპები მომდევნო ძვკ I ხანაშიც განაგრძობს არსებობას (შდრ. V). სამივე ფენაში ფორმით ერთნაირი ჭურჭელია დადასტურებული: კოპიანი ან ლაყუჩისებური ყურიანი, ანდა ერთ და იმავე დროს ლაყუჩისებური ყურიანი და კოპებიანი პირმოყრილი ქოთნები (შდრ. 72, 58, 55, 56, 54, 46, 34, 26, 27 და ა. შ.), ტოლჩები ფრინველის მკერდის ფორმისა და რქისმაგვარი შვერილებიანი ყურებით (შდრ. 79, 70, 64, 59, 51, 44, 30, 31, 25, 17 და ა. შ.), კოპიანი სადა ქილისმაგვარი ჭურჭელი (შდრ. 80, 71, 53, 52, 45, 39, 33, 32, 19). განსაკუთრებით სპეციფიკურია და თავისი სიმრავლითაც გამოირჩევა ლაყუჩისებური ყურებიანი, უპირატესად, პირმოყრილი ჭურჭელი, რომლის თითქმის ყველა სახესხვაობა სამივე ფენაშია დადასტურებული (შდრ. 78, 76, 69, 63, 58, 54, 48, 49, 50, 43, 42, 41, 36, 37, 28, 27, 23, 15, 14).

ნოსირი III ბორცვზე სხვადასხვა კულტურულ ფენებში დადასტურებული კერამიკის შედარება ერთიმეორესთან ნათლად გვიჩვენებს, რომ ფორმალურ-ტიპოლოგიურადაც და შემკულობის პრინციპებისა და ორნამენტის ხასიათის მხრივაც საქმე გვაქვს ერთგვაროვან მასალასთან, რომელიც აღნიშნული ნიშნების მიხედვით ერთ პერიოდს, როგორც ჩანს, შუაბრინჯაოს ხანას განეკუთვნება და ნოსირი III ბორცვზე ცხოვრების ცალკეულ ეტაპებს ასახავს. ამგვარი აზრის საფუძველი შეიძლება იყოს არა მარტო სიახლოვე ნოსირი III კერამიკისა ანაკლიის დიხა-გუჩეტას კერამიკასთან[228], რომელიც ამკარად წინ უსწრებს ნაოხვამუსა და ზურგას მონაპოვარს[229], რაც თავისთავად ნიშანდობლივი გარემოებაა, არამედ ნოსირი III ნამოსახლარის საერთო ხასიათი და მოპოვებული მასალის ერთი ნაწილის თავისებურება. აღსანიშნავია, მაგალითად, რომ ნოსირი III ნამოსახლარზე ლითონის იარაღიდან დამოწმებულია ბრინჯაოს სატევრის ნატეხი და ბრინჯაოს საკრეთელი. ორივე ეს ნივთი ზედა III ფენაში აღმოჩნდა[230]. ლითონის სხვა საომარი ანდა საწარმოო იარაღი ნოსირი III ბორცვზე არ ჩანს. ეს განსაკუთრებით ნიშანდობლივი ხდება ნოსირი III მონაპოვარის ფონზე, რადგან აქ თვალში საცემია არა იმდენად ლითონის იარაღის უქონლობა, რამდენადაც ქვის იარაღის დადასტურების ფაქტი. ნოსირი III ბორცვზე ქვედა I ფენაში აღმოჩნდა ქვის ცულის ნატეხი (ტაბ. XX_2), II ფენაში — ქვის თოხი (ტაბ. XX_1) და III ფენაში — კაჟის ფრთებწაგრძელებული ყუნწიანი ისრისპირი (ტაბ. XIV_{64})[231].

აღნიშნული ქვის იარაღებიდან ანალოგიური მასალის სიმრავლის მხრივ გამოირჩევა ქვის თოხი. იგი ეკუთვნის ე. წ. სოჭი-ადლერის ტიპის ქვის თოხებს, რომელიც ფართოდაა გავრცელებული ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთ-

---

228 შდრ. Б. А. Куфтин, МАК, II, ტაბ. 63_3; ტაბ. 67; გვ. 249, სურ. 68.

229 Б. А. Куфтин, იქვე, გვ. 238—24 .

230 დ. ქორიძე, ე. გოგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

231 ქვის მასალის ფოტოები და ცნობები მათი აღმოჩენის შესახებ მოგვაწოდა ე. გოგაძემ.

ში ძვ. წ. IV და III ათასწლეულთა სადგომებზე[232]. მაგრამ ირკვევა, რომ ამ ტიპის ქვის თოხები განაგრძობენ არსებობას ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ლითონის ხანის აღრეულ ძეგლებზე, სახელდობრ, ფსოუსა და ორაჰჩირის სადგომებზე, სადაც ისინი სხვა, უფრო გვიანი ძეგლებისათვის დამახასიათებელ თანმხლებ ინვენტართან ერთად გვხვდებიან[233]. სოუი-ადლერის ტიპის ქვის თოხები აღმოჩნდა აგრეთვე მდ. მაკარის დასახლებაზე მეორე კულტურულ ფენაში, რომელიც შუაბრინჯაოს ხანით თარიღდება[234]. ფიქრობენ, რომ ხსენებული ქვის თოხები მოქმედებენ გვიანბრინჯაოს ხანამდე[235]. მაგრამ კოლხეთში ჯერჯერობით არც ერთი გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლი არ ჩანს, სადაც აღნიშნული თოხები იყოს დადასტურებული, შუაბრინჯაოს ხანაში ისინი შეიძლება იმ ძველი სამეურნეო ტრადიციების გაგრძელებას ასახავენ, რომლის არსებობა იქნებ სავარაუდო იყოს გვიანბრინჯაოს პერიოდშიც, თუკი კოლხურ ბრინჯაოს სეგმენტისებურ იარაღსა და აღნიშნულ ქვის თოხებს შორის ნ. ხოშტარიას მიერ შემჩნეულ კავშირს[236] მხოლოდ ფორმალურ კავშირად არ მივიჩნევთ. ყოველ შემთხვევაში, მათი გამოყენება მეურნეობაში ბრინჯაოს ბართოხების. თოხების და სეგმენტისებური იარაღის არსებობის ხანაში არც არის დადასტურებული და გამოსარიცხიცაა. ბრინჯაოს ბართოხების, თოხების და სეგმენტისებური იარაღის გაჩენა კი, როგორც გვქონდა აღნიშნული, ძვ. წ. XV—XIV სს. ივარაუდება.

იგივე უნდა ითქვას ქვის ცულებზე. შუა ბრინჯაოს ხანის ლითონის ცულების წარმოების დაწყების შემდეგ ნოსირი III უძველეს პირველ ფენაში დადასტურებულ ქვის ცულს აღარ შეიძლება საწარმოო მნიშვნელობა ჰქონოდა. ის, როგორც ჩანს, უფრო ძველი ეპოქის გამოძახილია და შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ ნოსირი III დასახლების პირველი ფენა უნდა მიეკუთვნებოდეს შუა ბრინჯაოს ხანის საწყის ეტაპებს, როცა ლითონის იარაღი შინაურ ყოფაში შესაძლოა ჯერ კიდევ ისე ფართოდ არ იყო გავრცელებული. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ქვის ცული ცნობილია კრასნოდარიდან და მას ჩრდილოკავკასიური კულტურის II ეტაპს (ძვ. წ. 1700—1500 წწ.) აკუთვნებენ[237].

რაც შეეხება კაჟის ფრთებწაგრძელებულ ყუნწიან ისრისპირებს, ამგვარი ისრისპირი დადასტურებულია ანაკლიის დიხა-გუძუბაზე, ნოსირი III ნამოსახლარის შესაბამის კერამიკასთან ერთად და მისი იქ აღმოჩენა სხვა თავისებურებებთან ერთად, როგორც ცნობილია, სავსებით მართებულად მიჩნეულია იმის მაჩვენებლად, რომ ანაკლიის დიხა-გუძუბა უფრო ადრეული ძეგლია ვიდრე ნოხვამუ[238]. ამ ტიპის კაჟის ყუნწიანი ისრისპირი გვხვდება ჯერ კიდევ თრია-

---

[232] А. А. Формозов, Неолит Крыма и Черноморского Побережья Кавказа. МИА 102, 1962, გვ. 126—129. ამგვარი ქვის თოხები დამახასიათებელია წინა აზიისათვის ძვ. წ. V—IV ათასწლეულებში (იხ. Г. Чайлд, Древный Восток в свете новых открытий, М., 1956, стр. 168).

[233] А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 128—129.

[234] В. В. Бжания, Мачарское поселение эпохи энеолита и бронзы в Абхазии. СА, №1, 1966, გვ. 115, სურ. 1_2; გვ. 124, 125.

[235] В. В. Бжания, დასახელებული ნაშრომი, გვ. 125.

[236] Н. В. Хоштария, Об одном бронзовом орудии из Колхиды. КСИИМК, XXXVI, 1951, стр. 178.

[237] В. И. Марковин, Культура племен Северного Кавказа в эпоху бронзы (II тыс. до н. э.) М., 1960, გვ. 36, სურ. 7_{10}, გვ. 69.

[238] იხ. Б. А. Куфтин, МАК, II, გვ. 241.

ლეთის ციკლოპურ სიმაგრეთა ქვედა კულტურულ ფენებში[239], აგრეთვე შიდა ქართლში ნაციხვარის ბორცვზე (ქარელის რაიონი) და ნაჩერქეზევის (ყვირილის აუზი) №1 სამარხებში (1951 წ.), რომელიც ადრებრინჯაოს ხანას განეკუთვნება[240]. ზუსტად ისეთი ყუნწიანი ისრისპირი, როგორც ნოსირი III-ში აღმოჩნდა. დადასტურებულია ოჩამჩირის „ენეოლითურ" ნამოსახლარზე[241].

ზემოთ მიმოხილული მასალა ნათლად გვიჩვენებს, რომ ნოსირი III სამივე ფენის მონაპოვარი ერთ ხანას განეკუთვნება. ამაზე მიუთითებს არა მარტო კერამიკის ერთგვაროვნება, არამედ სამივე ფენის დასახლების ერთნაირი ყოფითი ხასიათი, რაც ერთგვაროვად სამივე ფენაში ქვის იარაღის დადასტურებაში აისახა. სრულიად ცხადია ისიც, რომ ნოსირი III ნამოსახლარი ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარს არ უნდა სცდებოდეს.

ამრიგად, პროტოკოლხური კერამიკა და მასთან დაკავშირებული ნამოსახლარი დამოწმებული გვაქვს რიონის ქვემო წელის აუზში ნოსირი III-ში. ანალოგიურ კერამიკასა და ნამოსახლარს ვხვდებით ენგურის შესართავთან ანაკლიაში დიხა-გუძუბას ბორცვზე. დიხა-გუძუბას მეორე ფენა, რომელშიც ნოსირი III პირველი ფენის ანალოგიური მასალები აღმოჩნდა, აგრეთვე მომდევნო ფენების მონაპოვარიც მიუთითებს იმაზე, რომ ნოსირი III ნამოსახლარის კულტურის მატარებელი მოსახლეობა ჩრდილო-დასავლეთით ენგურის შესართავამდე ვრცელდებოდა, სადაც იგი, როგორც ჩანს, უშუალოდ ეხებოდა სხვა კულტურის მატარებელ მოსახლეობას. შეიძლება ამას ასახავს ანაკლიის დიხა-გუძუბას მეორე ფენაში ნოსირი III ტიპის კერამიკასთან ერთად დადასტურებული ე. წ. ქსოვილიანი კერამიკა[242], სრულიად უცხო ნოსირი III ნამოსახლარისათვის, ისევე უცხო, როგორც ნოსირი III ტიპის კერამიკაა კულტურული ფენებისათვის ქსოვილიანი კერამიკით. ნიშანდობლივია, რომ ანაკლიის დიხა-გუძუბაზე ხის ნაგებობაც, ესოდენ დამახასიათებელი კოლხური არქიტექტურისათვის, სწორედ II ფენაში გვხვდება, იქ, სადაც ჩნდება პროტოკოლხური კერამიკა.

ქსოვილიანი კერამიკის აღმოჩენა დიხა-გუძუბა II ფენაში ნოსირი III ტიპის პროტოკოლხურ კერამიკასთან ერთად ერთგვარ საფუძველს ქმნის, პროტოკოლხური კერამიკის გაჩენა ძვ. წ. III—II ათასწლეულის მიჯნით დავათარიღოთ. ანალოგიური ქსოვილიანი კერამიკა, როგორც ცნობილია, დაბლაგომის პირველ უძველეს ფენაშია დამოწმებული მტკვარ-არაქსის გვიანი პერიოდისათვის დამახასიათებელ კერამიკასთან ერთად, რაც კიდევ ერთი დამადასტურებელი გარემოებაა პროტოკოლხური კერამიკის ზემოთ ნავარაუდევი თარიღისა[243]. მაგრამ აქ სხვა ვითარებაც იქცევს ყურადღებას. დაბლაგომში ვერ ვხვდებით უძველეს კოლხურ თიხის ჭურჭელს, ვერც პროტოკოლხურს და ვერც ძველკოლხურ I, მაშინ როდესაც დაბლაგომის II ფენაში წარმოდგენილია ძვკ II კერამიკა. თუ ეს სურათი საბოლოოა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ რიო-

---

[239] Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети, стр. 110. таб. CXIX.

[240] ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. გვ. 125, სურ. 22_{11}; ტაბ. XIII $_{6, 7}$.

[241] Л. Н. Соловьев, Энеолитическое селище у Очамчирского порта в Абхазии, Материалы по истории Абхазии, I, Сухуми, 1939, стр. 38. გვ. 49, ტაბ. IX_2. ბოლო დროს ლ. სოლოვიოვი ოჩამჩირეს უძველეს ნამოსახლარს ადრებრინჯაოს ხანას აკუთვნებდა (იხ. В. В. Бжания, დასახ. ნაშრომი, გვ. 124).

[242] Б. А. Куфтин, МАК, II, გვ. 240—241.

[243] შდრ. Б. А. Куфтин, იქვე, გვ. 140.

ნის აუზის შუა წელზე ძველი კოლხური კერამიკის მატარებლები მისი განვითარების მეორე ეტაპზე ჩნდებიან მხოლოდ, ისევე როგორც რიონ-ენგურის ზემო წელის აუზებშიც.

ამრიგად, თუ პროტოკოლხური კერამიკა კოლხებს, ე. ი. ზანურენოვან მოსახლეობას ეკუთვნის, რაც მომდევნო ხანების კერამიკასთან პროტოკოლხური კერამიკის უმჭიდროეს კავშირში ვლინდება, მაშინ ისინი (კოლხები — ზანურენოვანი ტომები) რიონის ქვემო წელზე უკვე ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულსა და II ათასწლეულის დასაწყისში უნდა ვივარაუდოთ. ამავე ხანებში, როგორც დავინახეთ, პროტოკოლხური კერამიკის მატარებელი კოლხური მოსახლეობა გზას იკვლევს ენგურის ქვემო წელისაკენ, სადაც მათ წინ უსწრებენ სხვა კულტურის მატარებლები (ანაკლიის დიხა-გუძუბას I ფენა). ანაკლიის დიხა-გუძუბას I ფენის ანალოგიურმა კერამიკამ (ღია ნაცრისფერმა პირგადაშლილმა ჭურჭელმა ბრტყელგანივკვეთიანი ყურებით, რომელთაც ხშირად სამკუთხა ფორმა აქვთ და ერთი ბოლოთი გადმოშლილ პირზე არიან დამაგრებული, ხოლო მეორეთი მუცელზე) მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი ჭურჭლის ცალკეულ ნიმუშებთან ერთად თავი იჩინა ისპანშიც (ქობულეთის მახლობლად და ინახება ბათუმის კვლევით ინსტიტუტში). თუ ეს ანალოგია დადასტურდა, მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ ძვ. წ. III ათასწლეულში ჭოროხის აუზიდან მოყოლებული ენგურის აუზამდე ერთგვაროვანი წინაკოლხური მოსახლეობის არსებობაზე, მოსახლეობისა, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა პროტოკოლხური კერამიკის მომხმარებელ ტომებს და რომელიც ამ უკანასკნელთა გაჩენის შემდეგ მათთან ერთად თანაარსებობდა დასავლეთ საქართველოს ცალკეულ მხარეებში, როგორც მატარებელი ქსოვილიანი კერამიკისა (დიხა-გუძუბას II ფენა, დაბლაგომის ქვედა ფენის ზედა ჰორიზონტი). მაშასადამე, რაკი პროტოკოლხური კერამიკა კოლხებისაა, რომელთაც დასავლეთ საქართველოში წინ უსწრებენ სვან-ჰენიოხთა ტომების პირველი, ადრეული ნაკადები, ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ პროტოკოლხურის წინამორბედი და თანადროული ნივთიერი კულტურის ძეგლები (ანაკლიის დიხა-გუძუბას I ფენა, მისი შესაძლებელი შესატყვისი — ისპანის მასალა, ქსოვილიანი კერამიკა დაბლაგომის ქვედა, დიხა-გუძუბას მეორე და ოჩამჩირეს უძველესი ფენებიდან) ამ სვან-ჰენიოხ ტომებს ეკუთვნის. ყოველივე ეს გვავარაუდებინებს, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისისათვის ქართულ-ზანური ერთობა დაშლილია, რაც ნათლად აირეკლა განსხვავებულ არქეოლოგიურ კულტურაში გამოხატულ ზანური (კოლხური) ერთობის დამოუკიდებლობაში.

თუ ზემოთ წარმოდგენილ მონაცემებს კოლხური კულტურის გავრცელების შესახებ შევუპირისპირებთ ასევე ზემოთ განხილულ ტოპონიმიკურ მასალას, დავინახავთ, რომ ტერიტორიული თვალსაზრისით კოლხური ნივთიერი კულტურის გავრცელებისა და ზანური ონომასტიკონის მოქმედების არეალისა უდავოა[244]. საკვლევია ზუსტად მათი ქრონოლოგიური შესატყვისობა. ზოგადად ნათელია, რომ იქ (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში), სადაც ადრეულ ონომასტიკურ ფორმებს ვხვდებით, დასტურდება კოლხური ბრინჯაოს და კერამიკის ადრეული ფორმებიც, მაგრამ ეს მაინც ზოგადი თანხვედრაა.

[244] საგულისხმოა, რომ სულ ახლახან სამეცნიერო ლიტერატურაში, მართალია მსჯელობისა და მასალის ანალიზის გარეშე, თავი იჩინა მოსაზრებამ, რომლის მიხედვით კოლხური კულტურა თავისი გავრცელების მთელ არეალზე, მათ შორის ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც და სამხრეთ-აღმოსავლეთთ ორდუმდე დასავლურქართულ ეთნოსს ეკუთვნის (იხ. И. М. Дьяконов, Предыстория армянского народа, Ереван, 1968, გვ. 120, 106).

მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ თუ არქეოლოგიური მასალა შედარებით მაინც კარგად ისაზღვრება, ონომასტიკონის ამა თუ იმ პერიოდისადმი მიკუთვნება გაცილებით ძნელი საქმეა. თუმცა აქაც შეიძლება დაისვას გარკვეული მიჯნა, რომლის აქეთ, ან სიღრმეში ამა თუ იმ ტოპონიმის წარმოშობა რომელიმე მოცემულ მხარეში გამორიცხულია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა გურია, აჭარა, მესხეთ-ჯავახეთი ე. ი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მხარეები, რომლებიც ყველაზე ადრე გაქართდნენ. ზემოთ ნაჩვენები იყო ისტორიულ წყაროებში დამოწმებული, თუ დღემდე ცოცხალი ტოპონიმები მესხეთ-ჯავახეთისა, რომლის მეგრულ-ჭანური ეტიმოლოგია ეჭვს არ იწვევს, ასეთი ტოპონიმები სადღეისოდ ბევრი დაგროვდა; შეიძლება უფრო მეტიც მოვიძიოთ, მაგრამ, როგორც არ უნდა გაამრავლოს კვლევა-ძიებამ მათი ოდენობა, ისინი მაინც აბსოლუტურ უმცირესობაში აღმოჩნდებიან ქართულ ტოპონიმებთან შედარებით. ვგულისხმობთ, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა ქართულ-ისტორიულ ტოპონიმიას. მაშასადამე აღნიშნულ მხარეში ის გეოგრაფიული სახელები, რომლებიც მეგრულ-ჭანურის მეშვეობით აიხსნებიან, ან მეგრულ-ჭანურ სამყაროსთან არიან დაკავშირებული, რელიქტს წარმოადგენენ, ქართული ტოპონიმები კი — მეორეულ მოვლენას და ამიტომაც ონომასტიკონის გაბატონებულ ფენას შეადგენენ. მაგრამ ეს მოვლენა ამავე დროს იმასაც უნდა ნიშნავდეს, რომ ქართულ ონომასტიკონს ამ მხარეში შრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. საკითხავია, როდის უნდა დასდებოდა სათავე საძიებელ მხარეებში ქართულ ონომასტიკონს? ცხადია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ პროვინციების გაქართება დაიწყო. ეს პროცესი კი ერთი და ორი საუკუნით არ განისაზღვრება მხოლოდ, რის გამოც მისი ქრონოლოგიური ზღვრების დადგენა ჭირს. მაგრამ კაქართების პროცესს, თუ თავდაპირველად შეიძლება სტიქიური ხასიათი ჰქონოდა, გარკვეულ დროიდან ის უნდა გადაქცეულიყო პოლიტიკურ ღონისძიებად, რომლის წარმართვას ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაცია თუ შესძლებდა. შემთხვევითი როდია, რომ, მაგალითად, ჰერულ ოლქებში გაქართების პროცესის გაინტენსიურებას ქართლის ძლიერი სამეფოს წარმოქმნას უკავშირებენ[245]. ლეონტი მროველი დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართლის გავლენის ქვეშ მოქცევას ფარნავაზის მოღვაწეობას მიაწერს. ლეონტის ტექსტებიდან ჩანს, რომ გაქართება აღნიშნული მხარეებისა პოლიტიკური ღონისძიება იყო და როგორც დიდ საგარეო პოლიტიკას შეეფერებოდა, ხორციელდებოდა შესაბამისი აქტებით: დინასტიური ქორწინებებით, თავის მოხელეთა დანიშვნით, ანდა უკვე არსებულ ადგილობრივ მოხელეთა, თუ ადგილობრივი დინასტიების დამტკიცებით, დასახლებული პუნქტებისა და სიმაგრეთა (მაგალითად, შორაპანი და დიმნა) აგებით[246], ამ ციხე-სიმაგრეებში, როგორც ჩანს, თავისი გარნიზონების ჩაყენებითა და ა. შ. მართალია, ჩვენს ხელთ არ არის არავითარი სხვა ისტორიული საბუთი, რომელიც აღნიშნულ ცნობას დაგვიდასტურებდა, მაგრამ არც საწინააღმდეგო საბუთი არსებობს, რომ ეჭვი შევიტანოთ ამ ცნობის მართებულობაში.

ამრიგად, საქართველოს დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი ნაწილების ინტენსიური გაქართების ხანად ფარნავაზის მეფობის დრო უნდა მივიჩნიოთ,

---

245 იხ. გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის..., გვ. 81.

246 ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1955, გვ. 24.

ე. ი. ძვ. წ. IV—III სს. ამ მიზანდასახულ პროცესს, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება წინ უსწრებდა ქართების სტიქიური დენა დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. საინტერესოა, რომ ლეონტი უთითებს ქართლიდან რაღაც ნაკადის შეჭრას დასავლეთ საქართველოში, ვიდრე სპერის ზღვამდე ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებში ხაზართა (resp. კიმერიელების და სკვითების) შემოსევათა უწინარეს[247]. როგორც ჩანს, ქართების დენას დასავლეთ საქართველოში უნდა ჰქონოდა ადგილი იმ ხანაში, რომელსაც შუაკოლხურ პერიოდს ვუწოდებთ. საფიქრებელია, რომ დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ქართული ისტორიული ტოპონიმიის სათავეები ამ დროიდან მოდის. ამ დროიდან უწევს იგი, ჩანს, მეტოქეობას მეგრულ-ჭანურ ონომასტიკონს იმ პროვინციებში მაინც, რომლებიც შემდგომ აბსოლუტურად გაქართდნენ. მაშასადამე, დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ მხარეში, მაგალითად. ზემო იმერეთში, შესაძლოა რაჭაში და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მეგრულ-ჭანური ტოპონიმები ძვ. წ. VI—IV სს-მდე უნდა დამკვიდრებულიყო: უფრო გვიან მათი გაჩენა, ყოველ შემთხვევაში სამცხეში სავსებით გამოსარიცხია გაქართების იმ პროცესის დაწყების გამო, რომელიც საქართველოს ეთნიკური განვითარების ყველაზე სპეციფიკური, პროგრესული და მუდმივმოქმედი პროცესია მისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე.

ეს რაც შეეხება მეგრულ-ჭანური ტოპონიმების გავრცელების შესაძლებელ ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს. გაცილებით ძნელი განსასაზღვრავია მეგრულ-ჭანური ონომასტიკონის გავრცელების დასაწყისი. მაგრამ თუ ეთნონიმების მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორც ეს ქვემოთ იქნება ნაჩვენები, საისტორიო ტექსტები მეგრულ-ჭანური ტომების სახელებს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და ნაწილობრივ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ თემებში ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებიდან გვიდასტურებენ, ე. ი. იმ დროიდან, როცა აღნიშნულ მხარეებში თავს იჩენს კოლხური ბრინჯაოს უძველესი ნიმუშები და მათი წინამორბედი ძველი პერიოდის პირველი ეტაპის კოლხური კერამიკა. ამას უნდა ასაბუთებდეს დიდი მნიშვნელობის მქონე ლინგვისტური ფაქტი, რომელიც სამხრეთ საქართველოს ტოპონიმიამ შემოგვინახა. ვგულისხმობ უკვე განხილულ ჭ ო ბ-ფუძიან სახელებს. ეს სახელები ამ ფორმით დასტურდება მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იქ, სადაც მოცემული გვაქვს კოლხური ბრინჯაოსა და კერამიკის უძველესი ნიმუშები. ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ ჭ ო ბ-ფუძიანი სახელები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არ განიცდიან კანონზომიერ (ჭ ო ბ>ჭ უ ბ) ტრანსფორმაციას, მაშინ როდესაც ეს ტრანსფორმაცია დასტურდება მეგრულ-ჭანური ეთნიკური მასის შემდგომი გავრცელების სფეროში მდ. ხობისა და ენგურის აუზებში, გალისა და სოხუმის მხარეებში, რიონის ზემოწელზე. უფრო ზუსტად, ჭ ო ბ-ფუძიდან ტრანსფორმირებული ჭ უ ბ-ფუძიანი სახელები თვალნათლივ ასახავენ მეგრულ-ჭანური ტომების შემდგომ გავრცელებას აღნიშნულ მხარეებში, სადაც ზემოთ მოტანილი მასალების მიხედვით მათ წინ უსწრებდა სვანურენოვანი მოსახლეობა. საგულისხმოა, რომ თუ ჭ ო ბ-ფუძიანი სახელების გავრცელების სფეროში დადასტურებულია კოლხური ნივთიერი კულტურის უძველესი ნიმუშები, ჭ უ ბ-ფუძიანი სახელების გავრცელების სფეროში ვხვდებით შედარებით გვიან მასალას. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, სოხუმის მხარე-

---

[247] ქართლის ცხოვრება, 9_{14}.

შიც და მდ. ენგურის, ხობისა და რიონის ზემოწელის აუზებში უფრო გავრცელებული ჩანს ძველი პერიოდის II ეტაპის და მისი მომდევნო შუა პერიოდის კოლხური კერამიკა. ამაზე მიუთითებს ლარილარის მასალა სვანეთიდან[248] და ლ. სახაროვას (1971 წელს) აღმოჩენები ლეჩხუმში. იგივე შეიძლება ითქვას ქუთაისის ნახარეზე და ზემო იმერეთზე, სადაც მხოლოდ და მხოლოდ ძველი პერიოდის II ეტაპისა და შუა პერიოდის კოლხურ კერამიკას ვხვდებით. ასე რომ, მეგრულ-ჭანური ტოპონიმები, რომლებიც აქა გვაქვს დადასტურებული (მაგალითად, ე ვ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები) ძვ. წ. პირველი ათასწლეულის პირველ საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს. უფრო გვიან აქ მეგრულ-ჭანური ტოპონიმების დამკვიდრება გამოსარიცხავია, რადგან ბემო იმერეთი ის მხარეა, რომელიც ერთი პირველთაგანი ექცევა ქართების გავლენის ქვეშ.

გვიან ჩანს გავრცელებული მეგრულ-ჭანური გეოგრაფიული სახელები მდ. ცხენისწყლისა და რიონის შუა და განსაკუთრებით ზემო წელის აუზში — ლეჩხუმსა და რაჭაში, სადაც ტოპონიმების ორი ფენა გამოირჩევა: უძველესი სვანური და მომდევნო ზანური[249]. თვით ამ ორი ფენის თანაარსებობა უნდა მოწმობდეს მეგრულ-ჭანური სახელების შედარებით გვიან გავრცელებას. ადვილი შესაძლებელია ამ დროის დანალექი იყოს ისეთი ტოპონიმები, როგორიცაა: უკვე ხსენებული ხ ა ლ დ ე, ნ ა ს პ ე რ ი, ც ხ ე თ ა, თუ ეს უკანასკნელი მაინც მოსხ ტომთა კვალზე მიუთითებს. ზანური ტოპონიმებიც რიონ-ენგურის აუზებში ნაწილ მოსვლას უნდა დაუკავშირდეს, ისევე როგორც არმენიზმების დალექვა სვანურ მეტყველებაში და ძველი კოლხური II და შუაკოლხური I კერამიკის თითქმის ერთდროული გავრცელებაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ რიონის ზემოწელზე ჯერჯერობით თავს იჩენს მხოლოდ შუა პერიოდის I ეტაპის კოლხური კერამიკა, რომელიც, როგორც ნაჩვენები იყო, ჩნდება ძვ. წ. VI ს. შუახანებიდან. ეს ის დროა, როცა წერილობითი წყაროები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში მოსხებს ასახელებენ.

ასე გვესახება ჯერჯერობით არქეოლოგიური მასალისა და დასავლეთ საქართველოს ონომასტიკონის ურთიერთმიმართება. რა თქმა უნდა, ახალმა აღმოჩენებმა შეიძლება შეცვალოს ზოგი რამ, დააზუსტოს ცალკეული მიმართებანი, მაგრამ პრინციპული ხასიათის ცვლილებანი მოსალოდნელი არ უნდა იყოს. ჩვენთვის სრულიად უდავოა, რომ ლითონის ნაწარმიცა და კერამიკული პროდუქციაც, რომელიც გამოყენებაშია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და დასავლეთ საქართველოში ძვ. წ. II—I ათასწლეულებში, ზანურ-ენოვან ეთნიკურ ერთობას ეკუთვნის და ამ კულტურის თანდათანობითი გავრცელება ამ ერთობის თანმიმდევრული გავრცელების მაჩვენებელია.

---

248 იხ. შ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, ლარილარის სამაროვანი, სკმარის, 1968, ტაბ. II.

249 საამისო მასალა იხ. მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, ლეჩხუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანი, ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XVIII, 1958, გვ. 152—154.

თავი მეორე

კოლხეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი უძველეს წერილობით ძეგლებში და კოლხურ-ეგეოსურ სამყაროთა ურთიერთობის გენეზისი

უცხოურ წყაროებში არსებულ ცნობებს ამა თუ იმ ხალხის შესახებ ასაზრდოებს ურთიერთობა იმ ხალხებთან, რომელსაც წყარო ეკუთვნის, თუკი, რა თქმა უნდა, ამ წყაროში ხსენებული ცნობები მეშვეული გზით არ არის შესული. ასეთი უშუალო ურთიერთობის შედეგად უნდა გაჩენილიყო ბერძნული ლიტერატურის უძველეს ძეგლებში ცნობები ქართულ-კავკასიურ სამყაროზე. ყოველ შემთხვევაში, შუალედი რგოლი, რომელიც შეიძლება ქართული სამყაროს შესახებ ძველ ბერძნულ ტექსტებში არსებული ცნობების მეშვეულ ხასიათზე მიუთითებდეს, არა ჩანს. ამგვარად, რაკი ამოსავალია ურთიერთობა, მის შედეგად აღმოცენებული ცნობების რაობის კვლევა ამ ურთიერთობის შესწავლასთან ერთად უნდა წარიმართოს.

პირველი ცნობები, რომელიც შეიძლება სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და კოლხეთს დავუკავშიროთ, ჰომეროსის ეპოსში აირეკლა. მათ თავისი სიძველის გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ ცნობათა შორის, საქართველოს შესახებ უცხოურმა წყაროებმა რომ შემოგვინახეს.

ამ ბოლო დროს ჰომეროსის პოემების დასათარიღებლად მკვლევართა დიდი ნაწილი ემყარება არქეოლოგიურ მონაცემებს და გამოთქვამს ვარაუდს, რომ „ილიადას“ და „ოდისეას“ ფესვები მიკენის პერიოდის სიღრმეში ძევს, ხოლო თვით პოემები ჩამოყალიბდნენ მცირე აზიაში ძვ. წ. XI—X საუკუნეთა განმავლობაში, თუმცა მათი შევსება მომდევნო საუკუნეებშიც ხდებოდა. ეს შედეგები არქეოლოგიური მონაცემების შესწავლისა ემთხვევა ტრადიციულ თარიღებს, რომელიც ანტიკურ ისტორიოგრაფიაში ჰომეროსის მიმართ შემუშავდა: თუკიდიდეს მიხედვით, ჰომეროსი ტროას ომიდან დიდი ხნის შემდეგ ცხოვრობდა, ხოლო, ჰეროდოტეს აზრით, იგი ცხოვრობდა არა უმეტეს 400 წლით მასზე ადრე, ე. ი. დაახლოებით ძვ. წ. 950 წლის ფარგლებში[1].

„ილიადასა“ და „ოდისეაში“, გარდა გარკვეული დროის საზოგადოებრივი ყოფისა და კულტურისა, ასახულია აგრეთვე მოცემული ხანის გეოგრაფიული

---

[1] Дж. Томсон, Исследования по истории древнегреческого общества, М., 1958, стр. 517; W. F. Albright-ის მიხედვით „ილიადაცა“ და „ოდისეაც“ არ შეიძლება მივიჩნიოთ ძვ. წ. 950 წ. გვიან შექმნილ ძეგლად, თვით ავტორი მათი დათარიღებისას უფრო ძვ. წ. 1000 წ. ახრება (იხ. მისი Some Oriental Glosses on the Homeric Problem, AJA, 54, № 3, 1950, 173, 176).

ცოდნა. მართალია, ზოგიერთი სპეციალისტი სკეპტიკურად უყურებს ჰომეროსის ეპოსში აღწერილი ცალკეული გეოგრაფიული ერთეულების იდენტიფიცირების, გარკვევის ან ისტორიული გაზრების ცდებს[2], მაგრამ არქეოლოგიური აღმოჩენების და განსაკუთრებით მიკენური წარწერების გაშიფვრის შედეგად აღმოჩნდა, რომ ჰომეროსის ეპოსში ასახული გეოგრაფიული ცოდნა რეალურ საფუძველზე დგას. ამასთან, საქმე ეხება ეპოსში ყველაზე გვიან ჩანართად მიჩნეულ „ხომალდთა კატალოგს".

„ხომალდთა კატალოგთან" მიკენური წარწერების შეპირისპირებამ გამოარკვია, რომ ეს უკანასკნელნი ასახელებენ პილოსის სახელმწიფოს ქალაქების დიდ ნაწილს, რომელნიც „ხომალდთა კატალოგში" მოიხსენიება. ამით დადასტურდა არა მარტო ჰომეროსის ეპოსის გეოგრაფიული წარმოდგენების რეალური საფუძველი, არამედ იმ ინტერპრეტაციის მართებულობაც, რომელსაც იძლეოდა სტრაბონი „ილიადას" და „ოდისეას" სათანადო ადგილების კომენტირების დროს[3].

საკმარისია ჩავუკვირდეთ ამ პოემების ტექსტის ცალკეულ ადგილებს, რომ დავინახოთ, თუ რამდენად ემორჩილება იდენტიფიკაციას ეპოსში აღწერილი ზოგიერთი მხარე თუ მოვლენა.

ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს უკვე ხსენებული „ხომალდთა კატალოგი" (κατάλογον τῶν νεῶν), რომლის ერთი ნაწილი (Jl II, 494—759) ნუსხაა აქეველთა ხომალდებისა, ხოლო მეორე (Jl II, 816—877) ტროელთა მოკავშირეებს აღწერს. მხედველობაში გვაქვს ამ უკანასკნელის შემდეგი ადგილი: „ოდიოსი და ეპისტროფოსი მოუძღოდნენ ალიძონებს შორეული ალიბედან, სადაც საბადოა ვერცხლისა"[4]. ჯერ კიდევ ამ ორი ათასი წლის წინ სტრაბონმა (თავის წინამორბედთა და თანამედროვეთა წინააღმდეგ) დაიწყო მტკიცება, რომ ალიბე ხალიბების ქვეყანაა, ხოლო ალ ი ძ ო ნ ე ბ ი ხალიბები არიან[5]. ს. ყაუხჩიშვილმა[6] მიაქცია ყურადღება ძველ ბერძნულ ტრადიციას, რომელიც ჰეროდოტესთანაა დაცული და რომლის მიხედვით კოლხები და ტროელები ერთი ორიენტაციის ხალხებად გვევლინებიან და პოლიტიკურად და საზოგადოებრივად უპირისპირდებიან ბერძნებს. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ „ხომალდთა კატალოგის" მიხედვით, შორეული ალიბედან მოსული ალიძონები ტროელთა მხარეზე აღმოჩნდნენ. ამიტომ, ავტორის აზრით, ალიძონები უცილობლად ხალიბები არიან[7].

ს. ყაუხჩიშვილმა ყურადღება მიაქცია აგრეთვე შემდეგ მნიშვნელოვან გარემოებას: „ხომალდთა კატალოგში" უშუალოდ ალიძონების წინ იხსენიებიან პაფლაგონელები, რომელიც მათმა წინამძღოლმა პილემენიოსმა ენეტებიდან

---

[2] Дж. О. Т о м с о н, История древней географии, Москва, 1953, стр. 43—54.

[3] С. Я. Л у р ь е, Язык и культура Микенской Греции, М.-Л., 1957, გვ. 189—203; იხ. აგრეთვე რუკა. გვ. 200. სურ. 6. არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა იმდენად გაამართლეს მითოლოგიური მონაცემები, რომ ზოგიერთმა მეცნიერმა სცადა ჰერაკლე, მინოსი, თეზეოსი და იაზონი ისტორიულ პირებად მიეჩნია (იხ. J. B. B u r y. CAH, ტ. II, გვ. 478).

[4] Jl., 11, 856—857.

[5] Strab., XII, 3, 20 შდ.

[6] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ჰეროდოტეს „ისტორიის", 1, 2, 3 თავი და ჰომეროსის „ხომალდთა კატალოგი", თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XXXIV, 1948, გვ. 365—372.

[7] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 369—370; შდრ. Б. Б. П и о т р о в с к и й, Ванское царство, М., 1959, стр. 120; И. М. Д ъ я к о н о в, Предыстория, стр. 119.

გამოიყვანა. ენეტები მდ. პართენიოსის მახლობლად ბინადრობდნენ. აღსანიშნავია, რომ მდ. პართენიოსს (παρθένιος) ჰეროდოტეც იცნობს და მას მდ. თერმოდონტთან ერთად ახსენებს[8]. ირკვევა, რომ ამ სახელწოდების მდინარე მართალაც არის ჰალისის მახლობლად და მას თურქულად Bartan-su ან უბრალოდ Bartine ეწოდება[9]. სრულიად აშკარაა, რომ თურქულ ნომენკლატურაში შემორჩენილი სახელწოდება, როგორც „ილიადასა", ისე ჰეროდოტეს პართენიოსის გათურქებული ფორმაა[10], მეორე მხრივ, შეიძლება ენეტების სახელი (γενήτης) მოიხმოდეს ხალიბთა ნავსადგურის სახელში გ ე ნ ე ტ ე ს (γενήτης), რომელსაც ასახელებს უძველესი პერიპლუსი, სკილაქს კარიანდელს რომ მიაწერენ[11]. ეს უკანასკნელი უკავშირდება სტრაბონისეულ გენეტეს კონცხს. როგორც სკილაქსის, ისე სტრაბონის მიერ დამოწმებული სახელი შემოინახა ამ მიდამოებში არსებულმა კუნძულმა, რომელსაც ახლა ხ ა ნ ე თ კ ა ლ ე ს ი ჰქვია[12]. ყოველ შემთხვევაში, ერთი მხრივ, ენეტების მიწა-წყლის, ხოლო, მეორე მხრივ, ხსენებული პუნქტების ტერიტორიული შესატყვისობა სრულიად აშკარაა.

როგორც ვხედავთ „ილიადას"ავტორმა საკმაოდ კარგად იცის არა მარტო ის, თუ რა ხდება ტროადის გარშემო, არამედ შორსაც (τηλόθην), უფრო შორეულ ქვეყნებში. აღსანიშნავია ისიც, რომ ალიძონებიცა და ალიბეც, როგორც ითქვა, დასახელებულია რეალურ გეოგრაფიულ გარემოცვაში. ხოლო ალიძონების სავარაუდო მიწა-წყალი კარგად ემთხვევა მერმინდელი ბერძენი მწერლების მიერ აღწერილ ხალიბთა ქვეყანას. რაც შეეხება ალიძონებისა და ალიბეს სახელწოდებათა მიმართებას ხალიბთა სატომო სახელთან, მათ სიახლოვეს ჯერ კიდევ სტრაბონი აღნიშნავდა.

არ არის გამორიცხული შესაძლებლობა გადამწერთ ფშვინვის ნიშანი შეშლოდათ: ჩვენამდე მოღწეული spiritus lenis (შდრ. Ἄλυζώνες) ნაცვლად, შესაძლებელია თავდაპირველად იყო spiritus asper (მაშინ იქნებოდა—Ἁλυζώνες.) ამ ნიშანთა გრაფიკული ეგივეობა დასაშვებს ხდის მათი შეცვლის შესაძლებლობას. ასეთი ვარაუდის გაზიარების შემთხვევაში აღნიშნულ სახელწოდებებს საერთო ფუძე-სიტყვა მოენახება[13].

ამ ფუძე-სიტყვით ნაწარმოებია როგორც გეოგრაფიული, ისე ეთნიკური სახელები, რომელიც დამოწმებულია ძველ აღმოსავლურ (ხეთურ, ურარტულ), ანტიკურ და სომხურ წყაროებში. აღსანიშნავია, რომ ეს ეთნიკური სახელები თავისი ვარიანტებითურთ (ḫalitu, χαλύβες, χαλδαῖοι, qaltiq) იმ ტომებს მიემართება, რომელნიც ქართველი ტომების წრეს განეკუთვნებიან[14]. ამასთან, აღნიშნული ფუძის მქონე გეოგრაფიული სახელების (მაგ. Ἅλυς, ḫaliwa) გავრცე-

---

[8] Herod., II, 104.

[9] იხ. Лоция Черного и Азовского морей, Николаев, 1892, გვ. 350—351 შდრ. თანამედროვე ხუთკილომეტრიანი რუკა.

[10] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 370, შნშ. 4.

[11] В. В. Л а т ы ш е в, SC, стр. 86.

[12] Лоция Черного и Азовского морей. стр. 376.

[13] აღსანიშნავია, რომ „ილიადას" ერთ-ერთ უახლეს გამოცემაში (იხ. Homer. The Iliad. London. MCMLIV, გვ. 123) საძიებელი სატომო სახელის თავკიდურ ბგერას აქვს spiritus asper და ამ სახელის Ἁλυζώνες ფორმაა მოცემული.

[14] შდრ. К. М. Д ъ я к о н о в, Заметки по урартской эпиграфике, II. (Припонтийские халдайцы в урартской надписи), Эпиграфика Востока, 1952 , № 6, стр. 111—112.

ლების არე ემთხვევა ხსენებული ტომების განსახლების ფარგლებს, რაც საძიებელი ფუძით ნაწარმოები როგორც ეთნიკური, ისე გეოგრაფიული სახელების ურთიერთკავშირზე მიუთითებს.

ამ საკითხებზე ქვემოთ საგანგებო თავში დაწვრილებით გვექნება საუბარი, ახლა კი წინასწარ გვინდა აღვნიშნოთ, რომ არსებობს გარკვეული საფუძველი ალიბესა და ალიძონებში ხალიბების ქვეყანა და ხალიბები ვიგულისხმოთ. ყოველ შემთხვევაში ის მაინც უდავოა, რომ „ილიადა“ — ძვ. წ. XI—X სს. ძეგლი, — კარგად იცნობს პაფლაგონიას და მის მოსაზღვრე მხარეებს.

„ილიადასთან“ შედარებით „ოდისეას“ გეოგრაფიული ცოდნის არე თითქოს უფრო ფართოა, რაც ამ პოემის ჟანრულ-სიუჟეტური თავისებურებით აიხსნება, მაგრამ ამავე თავისებურებათა გამო უფრო ბნელია და ფანტასტიკური. სპეციალისტები მართებულად აღნიშნავენ, რომ „ილიადას“ უფრო მეტად ახასიათებს ისტორიულობა, ვიდრე „ოდისეას“, რომლის უდიდესი ნაწილი შენათხზია, თუმცა ზოგიერთი საფუძველი ამ შენათხზისა შეიძლება ისტორიულიც იყოს[15]. ამ თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას „ოდისეას“ მეათე სიმღერა. აქ მოთხრობილია ოდისევსის მისვლის ამბავი კუნძულ ა ი ა ზ ე, სადაც ცხოვრობს ადამიანივით მეტყველი ქალღმერთი კირკე, ვერაგი აიეტის და (X, 133—139)[16]. ამგვარი აღწერილობის მიხედვით, ცხადია, ძნელი გასარკვევია, სად იგულისხმებოდა კუნძული აია[17]. აკი ჰომეროსის შუასაუკუნოვანი კომენტატორებიც დაიბნენ: ისინი მარჩიელობდნენ — ეს კუნძული ან ტირენიაშია (შუა იტალია), ანდა კოლხეთში[18].

მაგრამ უკვე ძველ დროს შეეცადნენ კონკრეტულად წარმოედგინათ აიეტის ქვეყანა და არგონავტების მისვლის ადგილი. საამისო საფუძველი, ცხადია, არ იყო „ოდისეაში“ არსებული აღწერილობა. ამისათვის ძველ მწერლებს, როგორც ჩანს, ჰქონდათ სხვა მონაცემები, რომელთაგან ზოგიერთით შეიძლება თვით „ოდისეაც“ საზრდოობდა.

არგონავტების მოსვლის შესახებ ჰეროდოტე გვაცნობებს: „მათ გასცურეს გრძელი ხომალდით აია-კოლხეთში და მდინარე ფასისისაკენ“ (ἐς Αἰάν τε τὴν Κολχίδα καὶ ἐπὶ φᾶσιν ποταμόν)[19]. ძვ. წ. III ს. მეცნიერი-გრამატიკოსი ლიკოფრონი გვატყობინებს, რომ იასონი ლიგისტიკის კუტაიაში (Κυταίαν τὴν λυγιεστικήν) მივიდაო[20]. როგორც ვხედავთ, აქ ორივე შემთხვევაში კონკრეტულ განსაზღვრებებთან გვაქვს საქმე. მართალია, ძნელი გასარკვევია, რაზეა დამყარებული ჰეროდოტესა და ლიკოფრონის ცნობები, მაგრამ ნათელია, რომ მათ ხელთ ჰქონდათ რომელიღაც ძველი წყარო, რომელიც ამგვარი კონკრეტიზაციის საშუალებას იძლეოდა.

---

[15] W. E. Albright. Some Oriental Glosses on Homeric Problem. AJA, 54, № 3, 1950, გვ. 173.

[16] В. В. Латышев, SC, стр. 300.

[17] აღსანიშნავია, რომ ძველი ბერძნები კუნძულს უწოდებდნენ არა იმას, რასაც დღეს ვგულისხმობთ ამ სახელის ქვეშ. მატერიის ნაწილი, რომელიც მოქცეული იყო ან მომცრო მდინარესა და ზღვას შორის, ანდა ზღვასთან, მდინარის შესართავთან არსებული პატარა ნახევარკუნძული შეიძლება კუნძულად მიეჩნიათ. მაგალითად, ტამანის ნახევარკუნძულს ბერძნული წყაროები კუნძულს უწოდებდნენ. კუნძულად იყო მიჩნეული მც. აზოის ქ. თეოსი, რომელიც ნახევარკუნძულზე მდებარეობდა (იხ. ВДИ, № 1, 1947, გვ. 282, შნშ. 6).

[18] В. В. Латышев, SC, გვ. 304.

[19] Herod., I, 23.

[20] В. В. Латышев, SC, გვ. 399.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „ოდისეაში“ არგონავტების მითთან დაკავშირებით მოხსენიებული სახელები: ა ი ა, ა ი ე ტ ი. აღსანიშნავია, რომ სხვა წყაროებშიც არგონავტების მითის თხრობის დროს მოხსენიებულია იგივე სახელები შესაბამისი მნიშვნელობით, ოღონდ ისინი კოლხეთთან არიან დაკავშირებული: ა ი ა, როგორც ქვეყნის აღმნიშვნელი სახელი, ხოლო ა ი ე ტ ი, როგორც ამ ქვეყნის მეფისა. ამ მხრივ საგულისხმოა სტრაბონის ცნობა — Αἰήτης კოლხეთში ადგილობრივი სახელია[21]. მეტიც, ახ. წ. VI ს-ში ცნობილი იყო ისტორული პიროვნება, წარჩინებული კოლხი, რომელსაც აიეტი ერქვა[22]. რა თქმა უნდა, ბერძნული გავლენით ამ სახელის კოლხეთში დამკვიდრება ძნელი წარმოსადგენია, მით უმეტეს, რომ იგი ბერძნულში ფეხმოკიდებული არ ჩანს.

ამრიგად, ჯერ კიდევ „ოდისეაში“ — ძვ. წ. XI—X სს. ძეგლში — დამოწმებულია ისეთი სახელები, რომელნიც ამ პოემაზე უფრო ძველია და რომელთა სამშობლო კოლხეთშია საძიებელი.

„ილიადასგან“ განსხვავებით „ოდისეაში“, როგორც დავინახეთ, გადმოცემულია ოდისევსის თავგადასავალზე უფრო ადრე მომხდარი ამბავი, რომელიც ქართველი ტომების სამყაროს შეეხება და „ოდისეას“ ჩამოყალიბების დროისათვის შესაძლებელია უკვე მითად იყო ქცეული. „ილიადაში“ კი აღწერილია პოემაში მოთხრობილი ამბების, ე. ი. ტროას ომის შეათე წლის თანადროული ვითარება. ეს დაკვირვება არსებითი ხასიათისაა. მაგრამ იმისათვის, რომ მას ისტორიული ღირებულება მიენიჭოს, უნდა გამოიძებნოს საშუალება „ილიადაში“ მოთხრობილი ამბებისათვის ქრონოლოგიური ფონის შექმნისა. ამასთან დაკავშირებით კი, უპირველეს ყოვლისა, ისმის ტროას ომის დათარიღების საკითხი.

ტროას ომის დროის საკითხის შესახებ ერთი აზრი არ არსებობს. ტრადიციული ქრონოლოგიის მიხედვით ტროას ომი მიმდინარეობდა ძვ. წ. XIII საუკუნის მიწურულში ან XII საუკუნის დასაწყისში. ასე, ძვ. წ. 264—263 წწ. ძეგლის, პაროსის ქრონიკის თანახმად, ტროა დაეცა 1209 წ., ხოლო ერატოსთენეს ცნობით, რომელიც პაროსის მარმარილოს თანამედროვეა, — 1183 წ. თანამედროვე მკვლევართა ერთი ნაწილი ზოგადად ემხრობა ტრადიციულ დათარიღებას, ნაწილი კი არა. მაგალითად, L. Berard-ი[23] არ იზიარებს ტრადიციულ თარიღებს; მისი აზრით, VIII ს. მეორე ნახევარში მიკენი დაცემულია. ამიტომ აქეველთა მიერ ტროას დაპყრობა მას ძვ. წ. XIV ს. პირველ მეოთხედში გადაატანს. ამის წინააღმდეგ ილაშქრებს A. J. B. Wace, რომელიც იცავს ტრადიციულ თარიღს და ტროას ომს ძვ. წ. XIII ს. დასასრულით ათარიღებს. ამის დადასტურებას ავტორი ხედავს შემდეგში: რასშამრაში შეფერის მიერ გვიანელადური III პერიოდის, ე. ი. აღმავლობის ხანის მიკენურ კერამიკასთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს მახვილი, რომელზეც ფარაონ მინეპტაჰის (ძვ. წ. XIII ს. დასასრული) კარტუშია გამოსახული[24]. ეს ფაქტი, ავტორის აზრით, მაჩვენებელია იმისა, რომ მიკენი ძვ. წ. XIII ს. მეორე ნახევარში არა თუ და-

[21] Strab., I, 2, 39.

[22] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, ტ. III, 1936, გვ. 63 და შმდ.

[23] იხ. Recherches sur la cronologie de l'epoque mycéniene. P., 1950, გვ. 40, შმდ. შდრ. R. Dussaud. Prélydiens, Hittites et Achéens. გვ. 83.

[24] იხ. C. F. C h a e s f e r. Sceaux et cylindres Hittites, épée grave du cartouch de Mineptah, tablettes chypro-minoennes. Mission de Ras Shamra, t. VIII, Ugaritica. III, Paris, 1956, გვ. 170.

ცემულია, არამედ აღმავლობას განიცდის[25]. მიკენელთა დამხობას კი ადგილი უნდა ჰქონოდა ძვ. წ. XII ს. დასასრულს[26].

ტროას ომის თავისებურ დათარიღებას იძლევა რენე დიუსო. ამ უკანასკნელის მიხედვით, რამსეს II ხანაში (1290—1224 წწ.) იწყება ეგვიპტის წინააღმდეგ აქეველების ბრძოლა, რომელიც განსაკუთრებით მწვავე ხასიათს იღებს რამსეს II მემკვიდრეთა მმართველობის დროს, მაშასადამე, მინეპტაჰის მეფობაშიც. ამრიგად, აქეველებს ძვ. წ. XIII საუკუნეში არ უნდა ჰქონოდათ საშუალება ტროას წინააღმდეგ ომის საწარმოებლად. მეორე მხრივ, დიუსოს აზრით, საამისო პირობები არც XIV ს. არსებობდა, რადგან აქეველებს მოუხდებოდათ ბრძოლა ხეთების ძლიერ მეფეებთან სუპილულიუმასა და მურშილ II-თან, რომლებისათვის ტროა იყო არა მარტო სატრანზიტო ქალაქი, არამედ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი ჰელესპონტზე. შუვატალი კი, პირიქით, ეძებდა მეგობრობას აქეველებთანო — აღნიშნავს ავტორი და ტროას აღებას აქეველთა მიერ ძვ. წ. 1300 წ. უფარდებს. აქეველები, რ. დიუსის მიხედვით, ტროაში შევიდნენ ტროა VIIA ხანაში, ხოლო ეგვიპტესთან ბრძოლის გამო სტოვებენ ტროას ტროა VIIB ეპოქაში[27].

აღსანიშნავია, რომ ვიდრე ხეთების სამეფო ჯერ კიდევ რაღაც ძალას წარმოადგენდა, აქეველებს გაუჭირდებოდათ ტროას აღება, ისინი ტროაში ფეხის მოკიდებას შეძლებდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ხეთების სამეფო სულს ღაფავდა. ამიტომ უფრო მართებულად მიგვაჩნია. A. J. B. Wace-ს თარიღი: აქეველებს ტროა უნდა აეღოთ ძვ. წ. XIII ს. მიწურულში[28].

ასეთ დათარიღებას ხელს არ უნდა უშლიდეს ბრძოლა, რომელიც მიმდინარეობდა ეგვიპტელთა და აქეველთა შორის, რადგანაც ოგი დიდ მასშტაბებს აღწევს, როგორც თვით რ. დიუსო აღნიშნავს[29], მხოლოდ ძვ. წ. XII ს. ნახევარში, როდესაც დგება საკითხი აქეველთა ყოფნა-არყოფნისა და საჭირო ხდება, მართალია ამაოდ, მთელი აქეური სამყაროს ძალების დარაზმვა.

ამრიგად, თითქოს უფრო საფიქრებელია, რომ ტროას ომი მიმდინარეობდა ძვ. წ. XIII ს. მიწურულში. მაშასადამე, ტროელთა მოკავშირეები ჰალიძონები, რომელნიც პაფლაგონელებთან ერთად იხსენიებიან „ილიადაში" ძვ. წ. XIII ს. დასასრულისათვის, ჰალისის ქვემო წელის აღმოსავლეთით ბინადრობენ. თუ ჰალიძონებში მერმინდელი ბერძენი მწერლების ხალიბებს ვიგულისხმებთ, რასაც, როგორც ნაჩვენები იქნება, გარკვეული საფუძველი აქვს, საქმე გვექნება ხალიბების ყველაზე ადრეულ მოხსენიებასთან ბერძნულ ლიტერატურაში.

როგორც ვხედავთ, „ილიადაში", მართალია რამდენადმე ბუნდოვნად, მაგრამ ერთგვარად მაინც ასახულია ძვ. წ. XIII—XII სს. სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის მოსახლეობის ერთი ნაწილის ბინადრობის ადგილი, მოცემული მხარის ეთნიკური და გეოგრაფიული ნომენკლატურა და ზოგიერთი თავისებურებაც კი.

---

[25] Gnomon, 27, 1955, Heft 7, გვ. 523—525.

[26] A. J. B. Wace. Mycenae. Princeton, 1949, გვ. 22.

[27] R. Dussaud. Prelidiens, Hittites et Achèens, Paris, 1953, გვ. 84.

[28] აღსანიშნავია, რომ W. E. Albright-საც ტროას ომის თარიღი გადააქვს ძვ. წ. XII ს. დასაწყისიდან XIII ს. მიწურულში. მისი აზრით ტროას ომს ადგილი ჰქონდა ძვ. წ. 1210—1180 წწ., ე. ი. მინეპტაჰის მეფობის (1223—1215 წწ.) შემდეგ და ზღვის ხალხების შემოსევის (ძვ. წ. 1175 წ.) წინ (იხ. დასახ. ნაშრომი, AJA, 54, № 3, 1950, გვ. 166, შმდ. და 173).

[29] R. Dussaud, იქვე, გვ. 84.

„ოდისეაში“ დაცულ გადმოცემათაგან კი, როგორც აღნიშნული იყო, ის, რაც ქართველი ტომების სამყაროს შეიძლება დავუკავშიროთ, ესაა არგონავტებისა და აიეტის მოხსენიება. ამასთან, „ოდისეა“ არგონავტების მითს მთლიანად როდი გადმოსცემს; არგონავტების ლაშქრობას გაკვრით ახსენებს კირკე ოდისეასთან დამშვიდობებისას. იგი მოუთხრობს ოდისეასს საზარელი პლანქტების შესახებ, რომელნიც შთანთქავენ ყველას, ვინც კი გაბედავს და ჩაუვლის მათ. ეს ადგილები „გასცურა მხოლოდ იმ ერთმა საზღვაო ხომალდმა — ყველასათვის ცნობილმა არგომ, რომელიც აიეტისაგან მოდიოდა“ (Ἀργὼ πᾶσι μέλουσα παρ Αἰήταο πλέουσα)[30]. აქ ყურადღებას იქცევს განსაზღვრა — „ყველასათვის ცნობილმა არგომ“, რომელიც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ „ოდისეას“ ლიტერატურულ ნაწარმოებად ჩამოყალიბების დროისათვის. ე. ი. ძვ წ. XI—X სს-ში არგონავტების ამბავი საყოველთაოდ იყო ცნობილი. მეტიც, ავტორის თხრობის მიხედვით ეს ამბავი ცნობილი იყო ტროას ომის დამთავრების მომენტშიც ოდისეასის მგზავრობის დროს. ასეთივე დასკვნა გამომდინარეობს ჰეროდოტეს შრომიდან. ჰეროდოტე გადმოგვცემს, რომ არგონავტები კაემგზავრნენ აია-კოლხეთში და მდინარე ფასისისაკენ და მოიმოქმედეს ის, რის გამოც, ისინი იქ მივიდნენ (διαπρηξάμνους καὶ τἆλλα τῶν εἵνεκεν ἀπίκατο)[31]. ცხადია, აქ ჰეროდოტეს გათვალისწინებული აქვს, რომ მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი არგონავტების ლაშქრობის მიზეზი და შედეგები. ეს გარემოება კი ფრიად მნიშვნელოვანია, რადგან „არგონავტიკის“ დღემდე დაცული ყველა მეტ-ნაკლებად სრული ვერსია ჰეროდოტეს შემდგომი ხანისაა.

ამრიგად, უკვე ჰომეროსის დროს და შემდეგაც ისეთ აზრს ადგენენ, რომ არგონავტების ლაშქრობა წინ უსწრებდა ტროას ომს. ჰეროდოტეს ცნობით, ოქროს საწმისისა და მედეას მოტაცების შემდეგ ალექსანდრე პრიამის ძემ მხოლოდ მეორე თაობაში (δευτέρῃ γενεῇ) შეძლო შურისძიება და ელენე მოიტაცა[32]. აქედან გამომდინარე არგონავტების ლაშქრობა კოლხეთში ტროას ომს წინ უსწრებს ორი თაობით. ამაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ არგონავტების ლაშქრობის მონაწილეებად გვევლინებიან „ილიადას“ გმირების მამები—პელევსი, ტელეშონი და სხვ. ალბათ, ამ მონაცემებით ხელმძღვანელობდა ერატოსთენე, როდესაც არგონავტების მოგზაურობა 1225 წ. დაათარიღა. ერატოსთენესათვის ამოსავალი ამ შემთხვევაში ტროას დაცემის მის მიერვე შემუშავებული თარიღი (1183) უნდა ყოფილიყო.

ტროას ომი, როგორც დავინახეთ, ძვ. წ. XIII ს. დასასრულით თარიღდება. ხოლო იასონის ლაშქრობა კოლხეთში რაკი ორი თაობით ადრე მოხდა, მაშინ მას ძვ. წ. XIII ს. პირველ ნახევარში უნდა ჰქონოდა ადგილი. ცხადია, ასეთი ქრონოლოგია შეტისმეტად პირობითია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „არგონავტიკის“ ჩვენამდე მოღწეულ შედარებით გვიან ვერსიებშიც კი სწორად ამ ხანის კოლხეთის ყოფა უნდა იყოს ასახული, წარმოდგენილი ქრონოლოგია შედარებით მყარ საფუძველზე დადგება.

---

[30] В. В. Латышев. SC., გვ. 302 (ხაზი ჩვენია). ყველაფრის მშთანთქავი მოძრავი კლდეები, პლანქტები, რომელთაც ძველი ავტორები სიმპლეგადებს (ფილოსტრატე უმცროსი, იხ. SC, გვ. 644) ან კიანებს (პოეტი თეოკრიტე, იხ. ВДИ, 1948, № 3, გვ. 260) უწოდებენ, აღწერილობათა მიხედვით, შავი ზღვიდან ბოსფორის სრუტეში გასვლის ადგილს ეგულებოდათ (შდრ. ВДИ 1947, № 1, გვ. 282, შნშ. 4).

[31] Herod., I, 2, 2 (ხაზი ჩვენია, თ. მ.).

[32] ი ქ ვ ე, I, 3, 1.

მიუხედავად იმისა, რომ ბუნდოვანია ჰომეროსის ეპოსში დაცული ზოგიერთი ცნობა თუ გადმოცემა, მასში მაინც ასახულია ის ურთიერთობა, რომელიც ძალიან ადრე დამყარებულა ქართველ ტომებსა და ბერძნულ სამყაროს შორის. „ილიადაში" არეკლილია ტროას ომის თანადროული ვითარება, ხოლო „ოდისეაში" არგონავტების ლაშქრობის მოხსენების სახით უფრო ადრეული ურთიერთობის გამოძახილია დაცული. „ოდისეაში" არგონავტების ლაშქრობის ობიექტი კუნძული თუ ქვეყანა აიაა, მაშინ როდესაც „არგონავტიკის" გვიანი ვერსიები ამ უკანასკნელის ნაცვლად კოლხეთს ასახელებენ. ჰეროდოტე ამ მხრივ შუალედ საფეხურს წარმოადგენს: მისთვის არგონავტების მოქმედების ასპარეზი არც აიაა და არც კოლხეთი, არამედ აია-კოლხეთი.

რით აიხსნება ის გარემოება, რომ „ოდისეა" არ იცნობს არც კოლხეთსა და არც ფასისს, ხოლო არგონავტიკის გვიანი ვერსიები იასონის ლაშქრობას კოლხეთთან და ფასისთან აკავშირებენ? ამ საკითხზე პასუხის გაცემა ძნელია, შესაძლებელია მხოლოდ ზოგიერთი მოსაზრების გამოთქმა.

ფასისი პირველად მოხსენიებულია ძვ. წ. VII ს. პირველი ნახევრის ძეგლში — ჰესიოდეს „თეოგონიაში"[33], კოლხეთი კი პოეტ ევმელოს კორინთელის მიერ, რომელიც ძვ. წ. VIII ს. მეორე ნახევრის ავტორადაა მიჩნეული[34].

რაც შეეხება ძველაღმოსავლურ წყაროებს, მათთვის სახელწოდება „ფასისი" უცნობი დარჩა, ხოლო კოლხეთს, როგორც მძლავრ სახელმწიფოს, მხოლოდ ერთი ძველაღმოსავლური წყარო იცნობს — ურარტული წარწერა მეფე სარდური II-ისა (764—735 წწ.)[35].

აქ საგულისხმო ისაა, რომ ბერძნულ და ურარტულ წყაროებში ერთდროულად ჩნდება ცნობები კოლხეთის შესახებ.

მეორე მხრივ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ჰეროდოტეს თხზულებაში არგონავტებზე საუბრისას ხაზგასმულია — ისინი აია-კოლხეთში (ἐς Αἰαν τε τὴν Κολχίδα) მოვიდნენო[36], ე. ი. არც აიაში, არც კოლხეთში, არამედ აია-კოლხეთში. ხომ არ ნიშნავს ეს განმარტება იმას, რომ ჰეროდოტეს სურს აია-კოლხეთი განასხვაოს მის დროს არსებული რიონ-ფასისის კოლხეთისაგან. ყოველ შემთხვევაში, ძნელია მოენახოს სხვა ახსნა ამგვარ განმარტებას. რაც შეეხება იმას, რომ აია-კოლხეთთან ერთად ჰეროდოტე მდ. ფასისსაც ახსენებს, ადვილი შესაძლებელია აქ ფასისში რიონი არ იგულისხმებოდეს. საერთოდ ჰეროდოტე კოლხეთის გეოგრაფიის მხრივ მყარ ცოდნას ვერ ამჟღავნებს. ერთგან, მაგალითად, იგი აღნიშნავს, რომ კოლხეთის ჩრდილოეთით კასპიის ზღვა და მდ. არაქსია[37], ხოლო მე-6 წიგნში მოგვითხრობს: მას შემდეგ, რაც დარიოსი სკვითებში შეიჭრა, მომთაბარე სკვითებმა კავშირი შესთავაზეს სპარტელებს და შეუთანხმდნენ მათ, რომ ისინი (ე. ი. სკვითები) შეეცდებიან მდინარე ფასისის გაყოლებით (παρὰ Φᾶσιν ποταμὸν) შეიჭრნენ მიდიაში და

---

[33] В. В. Латышев, SC, გვ. 317.

[34] იქვე, გვ. 320, 330.

[35] Г. А. Меликишвили, УКН, 155C[1] და შმდ.

[36] Herod., I, 2, 2; VII, 197.

[37] იქვე, IV, 40. უნდა აღინიშნოს, რომ კოლხეთთან დაკავშირებით ჰეროდოტე ფასისის მეტს არაფერს არ ახსენებს (შდრ. თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ზოგიერთი ცნობის შესახებ. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის. ნაკვ. 32, გვ. 8—9). ხომ არ მიუთითებს ეს გარემოება იმაზე, რომ იგი არ უნდა იყოს ნამყოფი რიონის კოლხეთში.

მოუწოდებდნენ სპარტელებს ეფესოდან შესულიყვნენ მცირე აზიის შუაგულში, რათა იქ სადმე შეხვედროდნენ ერთიმეორეს[38]. ცხადია, რომ რიონის გასწვრივ მგზავრობით მიდიაში მოხვედრა შეუძლებელია. ამიტომ, საფიქრებელია, რომ აქ ფასისში სხვა მდინარე, იქნებ ჭოროხი იგულისხმებოდეს. ასეთივე დასკვნა გამომდინარეობს აპოლონიოსის ცნობებიდანაც[39].

ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა გამო ჩვენს წინაშე წამოიჭრა შესაძლებლობა აიას ძიებისა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მდ. ჭოროხის აუზში ფართო გაგებით. ასეთ შესაძლებლობას სხვა მონაცემებიც უნდა ამართლებდეს.

აღსანიშნავია, რომ ყველა ანტიკური წყაროსათვის კოლხეთი და ფასისი განუყოფელია: კოლხეთი არის ქვეყანა, ხოლო ფასისი ის მდინარეა, რომელიც ამ ქვეყანას რწყავს და შავ ზღვას ერთვის. დიდი უმრავლესობა ანტიკური მწერლებისა ფასისს მდ. რიონს უწოდებს, ხოლო კოლხეთად რიონის აუზს გულისხმობს. ზოგ მწერალთან ეს ცნობა ემპირიულ ცოდნაზეა დამყარებული, ზოგან — ტრადიციულად მიღებულ აზრზე. მაგრამ უკვე ჰეროდოტესთან, როგორც დავინახეთ, აშკარად იგრძნობა, რომ ფასისი შეიძლება სხვა მდინარესაც რქმეოდა და რომ სწორედ ამ სხვა მდინარის ქვეყანა იყო აია-კოლხეთი. ქსენოფონტმა კი, ჰეროდოტეს უმცროსმა თანამედროვემ, თვალნათლივ გვიჩვენა, რომ კოლხეთი ტრაპეზუნტ-კერასუნტის მხარესაც ერქვა, ხოლო ფასისს ძვ. წ. V ს-ში მდ. არაქსსაც უწოდებენ[40]. ქვემოთ ნაჩვენები გვაქვს, რომ ფასისს ანტიკური და მათზე დამოკიდებული ქართული წყაროების მიხედვით ჭოროხსაც ეძახდნენ. როგორც ჩანს, არსებობდა რომელიღაც ძველი წყარო და ამ წყაროს მიხედვით ფასისი იყო კოლხეთის ის მდინარე, რომელსაც სათავე არმენიაში ჰქონდა, ხოლო ზღვას უერთდებოდა კოლხეთში. ეს ცნობა ასახულია ჯერ კიდევ ერატოსთენესთან[41], ხოლო გვიან პრისციანესთან[42]. ამას გვიდასტურებს სტრაბონიც[43]. ასეთ ვითარებაში ფასისი, როგორც რიონის შესატყვისი, დამოუკიდებლად არ გამოდგება ორიენტირად იმ კოლხეთის ლოკალიზაციისათვის, რომელსაც „არგონავტიკის" უძველესი ვერსიები ასახელებენ.

თუ „არგონავტიკის" გვიანდელ ვერსიებს დავემყარებით, დავინახავთ, რომ არგონავტების ლაშქრობის ადგილი აიეტის სამეფოა, რომელსაც „ოდისეასა" და ჰეროდოტეს გარდა, ყველა წყარო კოლხეთს უწოდებს. ასეთ ერთობლივ დამოწმებას არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ. საფიქრებელია, რომ აიეტის სამეფო კოლხების ქვეყანაა და იგი ტერიტორიულად იქ მდებარეობდა, სადაც საფუძველი ჩაეყარა კოლხეთის დიდ გაერთიანებას, რომელიც დამოწმებულია სარდერი II წარწერაში და რომელსაც, შეიძლება, ევმელოსის ცნობაც გულისხმობს. აქედან უნდა მომდინარეობდეს არგონავტების ლაშქრობის კოლხეთთან დაკავშირება, ხოლო ამ უკანასკნელის ცენტრის ჩრდილოეთით გადანაცვლების შემდეგ, უფრო გვიან, ფასის-რიონის მხარესთან გაიგივება. ეს გასაგებიცაა, რადგან გვიანი პერიოდის ავტორებისათვის კოლხეთი ფასის-რიონის მხარე იყო. მაგრამ აიას სამეფო, როგორც ზემოთ მიღებული პირობითი ქრონოლოგიის,

---

[38] Herod., VI, 84.

[39] იხ. Т. К. Микеладзе. К вопросу о периодизации истории древней Колхиды. Вопросы древней истории (Кавказско-ближневосточный сборник), Тбилиси, 1973, стр. 138.

[40] ანაბასისი, IV, 6, 4.

[41] ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, გვ. 325.

[42] Priscian., Perieg., V. 644—721 (SC, II_I, 439).

[43] გეოგრაფია, XI, 14, 7.

ისე ბერძნული ტრადიციის და არგონავტების მითში აღწერილი ყოფის მიხედვით, წინ უსწრებდა კულხას გაერთიანებას. ამიტომ დაგვებადა აზრი: მითში ოქროს საწმისის შესახებ აიეტის სამეფოს აიას სახით ხომ არ აირეკლა დ ა ი ა ე ნ ი ს სამეფო, რომელიც ჯერ კიდევ ძვ. წ. XII ს. მიწურულშია დამოწმებული ტიგლათფალასარ I წარწერაში[44].

კოლხების ქვეყნის სამხრეთით არსებობის კვალი ჯერ კიდევ ძვ. წ. V ს-შია დამოწმებული: ქსენოფონტის მიხედვით ტრაპეზუნტი და კერასუნტი კოლხების ქვეყანაში, კოლხეთში (ἐν τῇ κολχίδι χώρᾳ ἐν τῇ κολχίδι χώρᾳ) არსებული ბერძნული პოლისებია[45]. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქსენოფონტის მეორე ცნობას, რომელიც ძვ. წ. V ს-ში მდ. არაქსის სათავეებთან გვიდასტურებს კოლხურ ტომს ფ ა ს ი ა ნ ე ბ ს და წმინდა კოლხურ გეოგრაფიულ სახელს (ფ ა ს ი ს ს). უკანასკნელ სახელწოდებას მდ. არაქსი ატარებდა და იგი დღემდეა დაცული აღნიშნული მხარის ტოპონიმიკაში[46]. როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, ფასის-რიონის მხარე არ იყო კოლხების თავდაპირველი ბინადრობის ადგილი. ეს კარგად ჩანს თხზულებიდან „სახელმწიფოთა შესახებ" (περὶ πολιτειῶν), რომელსაც ძვ. წ. IV—III სს. ბერძენ მწერალს ჰერაკლიდე პონტოელს მიაწერენ. ამ შრომაში ნათქვამია: „ფასისზე თავდაპირველად ჰენიოხები ბინადრობდნენ..., შემდეგ კი მილეტელები" (Φᾶσιν τὸ ἐξ ἀρχῆς Ἡνίοχοι κατῴκουν... ἔπειτα μιλήσιοι)[47]. ნიშანდობლივია, რომ რომელიღაც ძველი ტრადიციის თანახმად, რომელსაც ჰერაკლიდე ემყარება, რიონ-ფასისის მხარე საკუთრივ კოლხების ქვეყანა არ არის.

ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: ურარტულ პანთეონში ქალღმერთებს შორის დასახელებულია აია (Aia)[49]. როგორც ჩანს, ამ აიას გულისხმობდა ნ. მარი, როცა ამბობდა, რომ აია ხალდური მიწის ღვთაებაა და აგრეთვე მიწას, ქვეყანასაც აღნიშნავსო[50]. საგულისხმოა, რომ კოლხების ქვეყნის სახელი ა ი ა მიწათმოქმედების ღვთაების სახელწოდებად მიაჩნიათ. ამ ღვთაების სახელს ხედავენ აგრეთვე სვანურ მეტყველებაში შემონახულ გამოთქმაში ა ი ა მ ი შ ლ ა დ ა ღ, რაც აიას კვირადღეს ნიშნავს[51]. როგორც ვხედავთ, თავს იჩენენ საგულისხმო თანხვედრები, რომელთაც საფუძველი სამხრეთში უნდა ჰაპყროდა.

ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ ჰეროდოტეს შრომაში ფასისი შეიძლება ჭოროხსაც გულისხმობდეს. ირკვევა, რომ სხვა წყაროებიც ფასისს რიონს გარდა ჭოროხსაც უწოდებენ. ძველ ქართველ მთარგმნელებს[52], თუ დედაწმი სამხრეთ საქართველოზე იყო საუბარი, ფასისის შესატყვისად ქართულ თარგმანში ჭოროხი შეჰქონდათ[53]. მაშასადამე, უკვე მათ ჰქონდათ შემჩნეული, რომ დედნის ავტორები ფასისს ხშირად ჭოროხსაც უწოდებდნენ.

---

[44] D. D. Luckenbill. Ancient Records of Assiria and Babylonia. Chicago, 1926, 1, გვ. 81 და შდ. შდრ. АВИИУ.

[45] ანაბასისი, IV, 8, 22; V, 3, 2.

[46] თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, ფასიანების სადაურობისა და ადგილსამყოფელის საკითხისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტ., ნაკვ. 32, 1955, 3, 23—35.

[47] Carolus Müllerus. Fragmenta Historicorum Grecorum. II, Paris, 1876, გვ. 216.

[49] Г. А. Меликишвили, Наири-Урарту, стр. 371.

[50] Н. Я. Марр, Избранные работы, V, стр. 220.

[51] Г. Читая, Земледельческие системы и пахотные орудия в Грузии, Вопросы этнографии Кавказа, Тбилиси, 1952, стр. 103.

[52] მაგალითად, ექვთიმე მთაწმინდელი. იხ. მისი ანდრიას მიმოსვლათა თარგმანი (ს ა ბ ი ნ ი ნ ი, საქართველოს სამოთხე, გვ. 24—47).

[53] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ფასიდი, შრომები, ტ. II, გვ. 271, 272 და შდ.

ძვ. წ. IV ს. ძეგლში, სკილაქს კარიანდელისადმი მიწერილ პერიპლუსში, დადასტურებულია მდ. ჭოროხის კიდევ ერთი უძველესი სახელწოდება ა ფ ს ა რ ი[54], რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საქმე ისაა, რომ ეს უკანასკნელი და აგრეთვე ა ფ ს ა რ ო ს ი, სახელი ქალაქისა, რომელიც, ჩვეულებრივ, თანამედროვე გონიოსთან ეგულებათ, უთუოდ უნდა უკავშირდებოდეს აიეტის შვილის მედეას ძმის აფსირტეს სახელს. წყაროების ცნობათა თანახმად აფსაროსში აფსირტეს საფლავსაც კი მიუთითებდნენ[55]. საგულისხმოა, რომ „არგონავტიკაში" დამოწმებული სახელები მჭიდრო კავშირს ამყარებენ ჭოროხის აუზთან.

არგონავტების შესახებ მითის ჰომეროსის შემდეგდროინდელ ვერსიებში დაახლოებით ძვ. წ. III საუკუნიდან (ლიკოფრონი, აპოლონიოს როდოსელი) ჩნდება ქალაქის სახელწოდება κύταια, რომელსაც ჩვეულებრივ ქუთაისთან აკავშირებენ. აღსანიშნავია, რომ ეს სახელწოდება ძვ. წ. III ს-ზე ადრე არ ჩანს და მხოლოდ იმ დროიდან ჩნდება, როდესაც ბერძნული სამყაროსათვის არ არსებობს სხვა კოლხეთი, გარდა რიონის მხარისა. მაგრამ, თუ κύταια როგორც ქალაქის სახელი III ს-ისა და შემდგომი ხანის ძეგლებში გვხვდება, „ილიადაში", ძვ. წ. XI—X სს. ძეგლში ((II, 853), მოხსენიებულია κύτωρος ბდ. პართენიოსის ახლოს, სადაც ჰალიძონები და ენეტები ბინადრობდნენ, ხოლო ჰეროდოტეს შრომაში, ძვ. წ. V ს-ის ძეგლში, დამოწმებულია საკუთარი სახელი κυτίσωρος რომელსაც ფრიქსეს შვილი ატარებს[56]. ფრიქსე კოლხეთთან დაკავშირებული მითიური გმირია, რომელმაც თავისი სამშობლოდან, ბეოტიიდან, ოქროს ვერძი მოიტაცა და კოლხეთში გადაიხვეწა. იქ მან შეირთო აიეტის ქალიშვილი ქალკიოპე. ამიტომ განსაკუთრებით საინტერესოა, რომ თ. ყაუხჩიშვილი, ეფიქრობთ, სავსებით მართებულად, კვიტისოროსში, ისევე როგორც სტრაბონის გეოგრაფიაში არა ერთგზის დამოწმებულ სახელში κύτωρος თავისი ვარიანტებით κύτωρον, κύτωρα, κοτύωρα გამოყოფს κυτ ფუძეს, რომელიც საერთოა აღნიშნული და აგრეთვე κύταια სახელებისათვის[57]. იგივე ფუძეთაა ნაწარმოები აგრეთვე „ილიადაში" მოხსენებული κύτωρος.

ამრიგად, ვიდრე კ უ ტ-ფუძიან სახელთაგან ერთ-ერთს ბერძნული წყაროები რიონის მხარეში რომელიმე ქალაქს დაუკავშირებდნენ, მას უფრო ძველი წყაროების თანახმად ადგილი და გმირი ატარებდა, ხოლო რიონისპირეთის კუტაიაზე ცნობების გაჩენამდე ორიოდე საუკუნით ადრე სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ტიბარენების ქვეყანაში ქსენოფონტს დამოწმებული აქვს ქ. კოტიორა (κοτύωρα)[58].

როგორც დავინახეთ, კუტ ფუძის მქონე სახელი რამდენიმე ყოფილა და ყველა უკავშირდება კოლხეთს ფართო გაგებით. ამიტომ საკითხავია, როცა ლიკოფრონი ამბობს — იაზონი მივიდა ლიგისტიკეს კუტაიაშიო (κυταίαν τὴν λυγιστικήν)[59], ჰეროდოტეს აია-კოლხეთისა არ იყოს, მასაც ხომ არ უნდა განასხვავოს ლიგისტიკეს კუტაია სხვა კუტაიათაგან.

---

[54] ВДИ, 1947, № 2, გვ. 242.

[55] В. В. Латышев, SC, გვ. 219; ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, II, გვ. 94.

[56] Herod., VII, 197.

[57] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ჰეროდოტეს ზოგიერთი ცნობის შესახებ, მასალები ს.ქ. ისტ-ვის, ნაკ. 32-ე, გვ. 7; მ ი ს ი ვ ე, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 19—20.

[58] Anab., V, 5, 3 და შმდ.

[59] В. В. Латышев, SC, 1890, გვ. 312.

თუ ჩვენთვის მისაწვდომ მასალას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ კუტ-ფუძით ნაწარმოები სახელები ერთნაირად არის გავრცელებული როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ისე სამეგრელოსა და იმერეთში. მაგალითად, ჭოროხისა და აჭარისწყლის აუზებში ვხვდებით შემდეგ სახელებს ქ უ თ ა უ რ ი, ქ უ თ უ რ ე თ ი, კ ვ ი ტ ა უ რ ა, კ ვ ი ტ ა უ რ ი, კ ვ ი ტ ა მ ე ‍ რ ე, კ ვ ი ტ ი ე თ ი და სხვა[60]. სამეგრელოში დამოწმებულია ძალიან საინტერესო ფორმა ამ სახელისა: ცხაკაიას რაიონში სასამნე ადგილს ეწოდება ლეკუტორა[61], რომელშიც ამკარად გამოიყოფა სამეგრელოს ტოპონიმიისათვის დამახასიათებელი „ლე" პრეფიქსი. კ უ ტ-ფუძიან სახელთა ასეთმა გავრცელებამ უნდა მოხსნას არგონავტიკის კუტაიის მხოლოდ ქუთაისთან დაკავშირების საკითხი.

კ უ ტ-ფუძიანი სახელები დამოწმებულია არა მარტო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე საერთოდ, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც. მაგალითად, ტიგლათფალასარ III ძვ. წ. 735 წელს დაპყრობილ ურარტუს ქალაქებსა და სოფლებს შორის ასახელებს სოფელ კუტას[62]. ურარტუს ტერიტორიაზე პუნქტი კ უ ტ უ დასახელებული აქვს აგრეთვე ტიგლათფალასარ III შვილს სარგონ II[63]. ფრიდ საგულისხმოა, რომ პილოსის წარწერებში ვხვდებით დასახლებული პუნქტების სახელებს, რომელნიც თითქმის არ განსხვავდებიან როგორც ანტიკური κύταια, ისე ქართული ქ უ თ ა ი ს ი ს (ისტ. ქ უ თ ა თ ი ს ი) სახელებისაგან. პილოსის წარწერებში გვაქვს შემდეგი ფორმები: Kutato, Kutajito, Kutatijo, Kutasijo, Kutatija, Kutaijo, აქედან κυταΐον ფორმა დამოწმებულია კრეტას ჩრდილო სანაპიროზე. არის ფორმა κυτα!τιος.[61]

ასე რომ, არც ისე ფრტივად შეიძლება გადაწყდეს „არგონავტიკის" კ უ ტ ა ი ა ს და ქ უ თ ა ი ს ი // ქ უ თ ა თ ი ს ი ს დაკავშირების საკითხი.

არსებობს სხვა მონაცემებიც, რომელნიც ნათელყოფენ, რომ აია-კოლხეთი უფრო სამხრეთითაა საგულეველი, ვიდრე ამას გვიანდელი ტრადიცია უთითებს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს სტრაბონის ცნობები, რომელთა თანახმად მოიპოვება როგორც ფრიქსეს, ისე იაზონის ლაშქრობათა ძეგლები. ფრიქსესას მიუთითებენ კოლხეთისა და იბერიის საზღვარზე. ხოლო იაზონისას ბევრგან: არმენიაში, მიდიასა და მათ მეზობელ ადგილებში[65]. სტრაბონისავე ცნობით, იაზონმა კოლხეთიდან ხმელეთით ილაშქრა არმენიაშდე და მიდიამდე[66]. მისივე ცნობის თანახმად, არმენიამ სახელი მიიღო იაზონის თანამოლაშქრის თესალიელი არმენოსის სახელისაგან[67]. არმენიაში — გადმოგვცემს იგი — არის იაზონის ტაძრებიო[68]. უფრო ქვემოთ მოთხრობილია არმენიოსის და მის თანმხლებთა მიერ არმენიისა და მისი მომიჯნავე მხარეების (მაგ., აკილსენეს, სისპირტისის) დასახლების შესახებ. აღნიშნულია, რომ არმენიაში იაზონის ლაშქრობას იქ იაზონის სახელზე აგებული ტაძრები მოწმობს[69].

---

60 იხ. ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წ. I, ბათუმი, 1958.

61 იხ. Д. Д. П а г и р е в, Алфавитный указатель, 1913, გვ. 159 და შესაბამისად ხუთვერსიანი რუკა.

62 Д ъ я к о н о в, АВИИУ, № 42.

63 Г. А. М е л и к и ш в и л и, Наири-Урарту, стр. 291.

64 С. Я. Л у р ь е, Язык и культура микенской Греции, М.-Л., 1957, 205.

65 Strab., I, 2, 39.

66 იქვე, 1, 3, 2.

67 იქვე, XI, 4, 8.

68 იქვე, XI, 13, 10.

69 იქვე, XI, 14, 12.

პომპეუს ტროგოსის შრომის იუსტინის (აბ. წ. III ს.) მიერ შედგენილ ეპიტომების მიხედვითაც იაზონი თავის თანამოლაშქრეებთან, საბელდობრ, არმენთან ერთად გვეკლინება სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის არმენიის დამაარსებლად[70]. თუ არმენიოსი არმენიის ეთნარქ-ეპონიმად გვეკლინება, იაზონს იბერიის ეთნარქოსად თვლის ანტიკური ტრადიცია (ტაციტუსი)[71]. ცხადია, რომ იაზონი შეიძლებოდა აია-კოლხეთის მეზობელი ქვეყნის ეთნარქოსი გამხდარიყო. ამ მხრივ საინტერესოა პლინიუსის ცნობა: მდ. აბსარის შესართავთან იმავე საბელწოდების ციხე-სიმაგრეა, ხოლო ამ ადგილებში მთებს გადალმა იბერია არისო[72]. ამრიგად, ჭოროხის (აბსარის) მხარე იბერიის მიმდგომ მხარედაა წარმოდგენილი. ამ მხრივ ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ „არგონავტიკის" იაზონი სამეცნიერო ლიტერატურაში დაკავშირებულია ქართული საისტორიო ტრადიციის აზოსთან, რომელიც არიან ქართლიდან მოვიდა მცხეთაში და დაუდო სათავე ქართლის (იბერიის) სამეფო სახლს[73].

ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ „ილიადაში" აისახა ბერძნული სამყაროს შეხების ამბავი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან ტროადის ომის მიმდინარეობის დროს, ხოლო „ოდისეაში" ბერძნულ-ქართულ სამყაროთა ურთიერთობის უფრო ადრეული ეტაპებია არეკლილი. ამ მხრივ ჰომეროსის ეპოსი განმარტოებით არ დგას ბერძნულ-ქართულ სამყაროთა ასევე ადრეულ ურთიერთობაზე მიუთითებს მითი პრომეთეს შესახებ. ეს თქმულება, როგორც ცნობილია, კავკასია-საქართველოსთანაა დაკავშირებული, და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ამჯერად არ ვეხებით პრომეთეს მითის წარმოშობისა და კეთვნილების საკითხს, ამ მხრივ მაინც უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: როგორც ცნობილია, მითი პრომეთეს შესახებ პირველად ჰესიოდესთანაა ფიქსირებული.

სპეციალურ ლიტერატურაში მოცემულია დამაჯერებელი ცდები იმის დასასაბუთებლად, რომ როგორც ჰესიოდეს „თეოგონიაში", ისე მის „სამუშაოებსა და დღეებში" დადასტურებულ თქმულებათა საწყისებს ძველი აღმოსავლური მითოლოგიისაკენ მივყავართ. მაგალითად, ჰესიოდეს „თეოგონიაში" გადმოცემული მითი სამყაროს შექმნის შესახებ, ღმერთების თაობათა ურთიერთგანდგურების გზით, თითქმის სავსებით იმეორებს ხეთურ და ხურიტულ ტექსტებში ემილ ფორერის მიერ აღმოჩენილ თქმულებას კუმარბის შესახებ[74].

აღსანიშნავია, რომ ჰესიოდეს „სამუშაოებსა და დღეებში" ფიქსირებული ოქროს საუკუნის და ლითონებით სახელდებული ეპოქების შონაცვლეობის შესახებ მითის პროტოტიპებს აგრეთვე მცირე აზიის მითოლოგიაში პოულობენ[75],

როგორც ვხედავთ, ჰესიოდეს ნაწარმოებებში არსებული თქმულებები წინააზიური (შუმერი, ბაბილონი, ხეთა) მითოლოგიით საზრდოობენ. ლოგიკუ-

---

[70] ВДИ, 1949, № 1, გვ. 255—256.

[71] ს. ჯანაშია, კავკასიელი ეთნარქ-ეპონიმების ანტიკური სქემა, შრომები, II, გვ. 242.

[72] Plin., NH, VI. 12.

[73] ს. ჯანაშია, იქვე, გვ. 245; მისივე, უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის სინათლეზე, შრომები, ტ. II, გვ. 73—100.

[74] იხ. E. O. Forrer. Eine Geschichte des Göttekönigtums dem Hatti-Reiche. Mélang Frace Cumont, 1936, გვ. 687—713; აგრეთვე N. ¡G. Güterbock. The Hittite version of the Hurrian Kumarbi Myth's Oriental Forerunners to Hesiod. AJA, 1948, გვ. 123—134.

[75] И. Тренчени-Вальдафель, Гомер и Гесиод, М., 1956, გვ. 31—33 და შმდ.

რად საკვლევია, რომ ჰესიოდეს „თეოგონიაში“ მოხსენიებული მითი პრომეთეს შესახებ ასევე წინააზიური სამყაროდან მომდინარეობდეს.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: ამირანის მითის საწყისებს მესოპოტამიურ ეპოსში — „გილგამეშიანში“ ეძებენ და ესასთან ერთად ამ მითის მეშვეობით აკვლევენ შეხების წერტილებს და მონათესაობასაც ქართულ-ელამურ სამყაროთა შორის[76]. ამ მიმართულებით კვლევა-ძიებას ჩვენი საუკუნის დასაწყისში ივ. ჯავახიშვილმა ჩაუყარა საფუძველი[77].

მაგრამ „ამირანიანი“ თუ ერთი მხრივ შეიძლება „გილგამეშიანს“ დაუკავშირდეს, მეორე მხრივ, იგი ძალიან ახლოს დგას პრომეთეს მითთან. ამიტომ შეიძლება დასმულიყო საკითხი ამ თქმულებათა საერთო სათავის შესახებ. მით უმეტეს, რომ პრომეთეს მითი პირველად ჰესიოდესთან გვხვდება, ხოლო ამ უკანასკნელთან არსებული მითების სათავეებს, როგორც აღნიშნული იყო, წინაარსებულ თქმულებებში ეძებენ. მაგრამ თუ დავუკვირდებით ამირანისა და პრომეთეს თქმულებებს, დავინახავთ, რომ ერთ-ერთი მათგანი მეორისგან უნდა საზრდოობდეს. ეს გარემოება ვლინდება არა მარტო თქმულებების დედააზრში და საერთო მიზანდასახულობაში, არამედ სიუჟეტურ დეტალებშიც.

პრომეთეს მითის უძველეს ვარიანტში, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული[78], პრომეთე იტაცებს ათინას, ქუხილის ღმერთის „ღრუბელთაგამფანტავის“ ზეკისის ასულს. ასევე ამირანიც იტაცებს კამარ // ყამარ ქალს — ქუხილის ღმერთის, ღრუბელთბატონის ასულს. ორივე თქმულებაში ასახულია ბრძოლა ცივილიზაციისათვის და ამ ბრძოლის ბედითი დასასრული: როგორც პრომეთეს, ისე ამირანს მთას მიაჯაჭვავენ და საგულისხმოც ისაა, რომ ორივე გმირის მიჯაჭვის ადგილი კავკასიონია. როგორც ვხედავთ, იდენტობა იმდენად დიდია და ისეთ დეტალებში, რომ ამ ორი თქმულების ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბება ძნელი წარმოსადგენია[79]. ამაზე მეტყველებს ორივე თქმულების მიზანდასახულობის, იდეის, დედააზრის, იდეალებისა და სიუჟეტურ ქარგის სრული იგივეობა.

რა თქმა უნდა, ძნელია იმის ძიება — ამირანის მითიდან მომდინარეობს თქმულება პრომეთეს შესახებ თუ პირიქით. ეს არც შეადგენს ამჟამად ჩვენს ამოცანას. ამასთან, როგორც არ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, ის მაინც უცვლელი დარჩება, რომ პრომეთეს მითში კარგად მოჩანს ქართველ ტომებთან ბერძნული სამყაროს ურთიერთობის კვალი, თუ ბერძენმა ზღვაოსნებმა აქედან არ წაიღეს ეს თქმულება, ყოველ შემთხვევაში ამ თქმულების გმირის ბედი ქართველი ტომების მიწა-წყალს დაუკავშირეს, რაც აღნიშნული ურთიერთობის არსებობის კარგი მაჩვენებელია.

ასეთია ის მასალა, რომელსაც გვაწვდის ძველი ბერძნული თქმულებები. თუ ამ მასალას გავნვიხილავთ იმ დიდი ისტორიული მოვლენების სინათლეზე, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ეგეოსის სამყაროში, და რომლებიც ყრუდ აისახა

---

[76] Г. А. Меликишвили, Наири-Урарту, გვ. 120, 121.

[77] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1928, ტ. I, გვ. 75, 143.

[78] იხ. И. Шенгелия, Древнейшие элементы мифа о Прометее, Тбилиси, 1950 (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი).

[79] მ. ჩიქოვანის მიერ წამოყენებულია ორეულის თეორია, რომელიც გულისხმობს ამირანის და პრომეთეს მითების ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ წარმოშობას (იხ. მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, წიგნი პირველი, თბილისი, 1959, გვ. 97, 189—206).

ჰომეროსის ეპოსში, შესაძლებელი გახდება ქართველ ტომებთან ბერძნული სამყაროს ურთიერთობის საწყისები ისტორიულ ჩარჩოებში მოვაქციოთ.

როგორც ცნობილია, ძვ. წ. 1600 წლისათვის მიკენში ბატონობდა აქეველთა ძლიერი დინასტია, რომლის წარმომადგენლები დაკრძალულნი არიან ე. წ. შახტერ სამარხებში. 1500 წ. მას ცვლის მეორე კიდევ უფრო მძლავრი ე. წ. მრავალი სამარხების — თოლოსების დინასტია. ამ დროს მიკენის სახელმწიფო გამოდის ფართო საერთაშორისო ასპარეზზე და ეგეოსის სამყაროს ევლინება, როგორც ახალი დიდი ძალა, რომელიც უპირისპირდება კრეტას. კრეტის ჰეგემონიის დამხობას მიკენელ აქეველებს მიაწერენ. ფიქრობენ, რომ ეს უნდა მომხდარიყო ძვ. წ. XV ს. შუახანებში[80], თუთმოს III მეფობის (1479—1447 წწ.) დროს. ასეთი დათარიღება დადასტურდა თუთმოს II დიდი ვეზირის სამარხის ფრესკების გაწმენდის შედეგად. გამოირკვა, რომ ნახატზე, რომელზეც ეგეოსის ელჩების მიღებაა გამოსახული, მინოსელი ელჩის სურათზე ზემოდან დაბატული იყო მიკენელი ელჩი. ამ ცვლილებას რამხერის გასასვენებლის კედლის მხატვრობაში ხსნიან მინოსელთა ჰეგემონიის შეცვლით მიკენელთა ჰეგემონიით[81].

ამის შემდეგ აქეველები თანდათან იპყრობენ ეგეოსის კუნძულებს და მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროს. სწორედ ამ დროს ჩნდება მათი სახელი ხეთურ წყაროებში (და არა მარტო სახელი, არამედ კვალიც[82]). აქეველთა მეფის ტავაგალავასადმი წერილში, რომელსაც მუვატალს (1312—1280 წწ.) მიაწერენ, ხეთების მეფე მას „დიდ მეფესა“ და „თავის სწორს“ უწოდებს[83]. ტავაგალავა უკვე აქტიური ძალაა მცირე აზიისათვის. იგი სარგებლობს ამით და ცდილობს ფები შოიკიდოს მცირე აზიის ქვეყნებში[84]. ხეთების მეფის თუთხალია IV (1260—1230 წწ.) დოკუმენტებში აქეველთა მეფე აყვანილია ეგვიპტის ფარაონს, ბაბილონისა და ასურეთის მეფეთა რანგამდე[85]. ეს გარემოება თუ, ერთი

---

[80] ასე ათარიღებს კრეტას დაცემას, მაგალითად, ჯ. პენდლბერი, რომელიც თვლის, რომ საბერძნეთის დამორჩილებელმა მოსახლეობამ კრეტას ბატონობის დამხობის მიზნით გაანადგურა კნოსი, რაც მისი აზრით, არეკლილი უნდა იყოს მითში თეზეოსის შესახებ (იხ. Дж. Пендлбери, Археология Крита, М., 1950, გვ. 241, 244, 250).

[81] R. Dussaud. დასახ. ნაშრომი გვ. 73—74.

[82] საქმე ისაა, რომ მერსინში მე-5 ჰორიზონტში, რომელიც ხეთების იმპერიას უკავშირდება, აღმოჩნდა გვიანბრონზეული ტიპის კერამიკის ნატეხები. გარსტანგი აღნიშნავს, რომ მართალია მიკენური კერამიკა მცირე აზიაში წინათაც გეხვდებოდა, მაგრამ ახლა პირველად აღმოჩნდა გარკვეულ კავშირში ხეთებთან. „ეს გარემოება — ასკვნის ავტორი, — ხომ არ უნდა ადასტურებდეს იმას, რომ არსებობდა კონტაქტი ხეთებსა და აქეველებს შორის, რომელთა სახელი, მეცნიერთა აზრით, შეიძლება გამოვიცნოთ ხეთურ ტექსტებში არსებულ სახელწოდებაში Ahhiava ?“ (იხ. J. Garstang. Prehistoric Mersin, გვ. 254—255). ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ამ ბოლო დროს გამოითქვა აზრი, თითქოს ა ხ ი ა ვ ა უნდა გულისხმობდეს არა მიკენის სამეფოს, არამედ სახელმწიფოს დასავლეთ მცირე აზიაში (იხ. В. Г. Борухович, Ахейцы в Малой Азии, ВДИ, № 3, 1964, გვ. 91—106). მაგრამ ი. დიაკონოვის სამართლიანი შენიშვნისა არ იყოს თვით ვ. ბორუხოვიჩის მითითება (გვ. 104) — «Трудно предположить, чтобы хетты в этот период распространяя свое владычество вплоть до Египта, допустили существование в непосредственной близости от себя державы, созданной пришелцами» — ლაპარაკობს მისივე ძირითადი მოსაზრების საწინააღმდეგოდ, რომ ა ხ ი ა ვ ა მცირე აზიაში მდებარეობდა (И. М. Дьяконов, Предыстория армянского народа, გვ. 108, 109).

[83] R. Dussaud, იქვე, გვ. 76.

[84] F. Bilabel. Geschichte Vorderasiens und Ägyptens.., Heidelberg. 1927, გვ. 151—152.

[85] R. Dussaud, იქვე, გვ. 76.

მხრივ, ხეთების დასუსტებაზე მიუთითებდა, მეორე მხრივ, იგი მცირე აზიაში აქეველთა მოძალების მაჩვენებელია. ამ დროს, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, აქეველები ფეხს იკიდებენ ტროაში, რითაც გზა ეხსნებათ შავი ზღვისაკენ. მაგრამ აქეველები, როგორც ჩანს, ტროას ომამდე გაეცნენ შავ ზღვას და მის აღმოსავლეთ სანაპიროსაც. ამაზე ნათლად მეტყველებს ძველი ბერძნული წყაროები[86]. ტროას ომამდე ტროასთან აქეველთა ინტენსიური ურთიერთობის მაჩვენებელია ტროაში აღმოჩენა მიკენური კერამიკისა, რომელიც იქ ძვ. წ. XVI საუკუნიდან ჩნდება[87], ხოლო უფრო შორს, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, აქეველთა მოგზაურობა ასახული უნდა იყოს ლეგენდაში ფრიქსეს მოსვლის შესახებ აია-კოლხეთში.

არგონავტების მითში, როგორც ცნობილია, აისახა ბერძენთა მიერ კოლხეთის ათვისების ორი ცდა: ვგულისხმობთ ჯერ ფრიქსეს მოსვლას კოლხეთში და შემდეგ იასონის ლაშქრობას[88]. მაშასადამე, არგონავტების მითი შესაბამისად ორი ნაწილისაგან შედგება: თქმულებისაგან ფრიქსესა და ჰელეს შესახებ და იასონისა და მედეას ამბისაგან. პირველი ნაწილი თქმულებისა ეხება ბეოტიიდან ლტოლვილთა — ფრიქსესა და მისი დის ჰელეს — ოქროს ვერძით მგზავრობის ამბავს. მგზავრობის დროს ჰელე ვარდება ზღვაში და იღუპება, რის გამოც ამ ზღვას ჰელესპონტო უწოდეს. ფრიქსემ კი მიაღწია შავ ზღვასთან მდებარე ქვეყანას აიას (ვარიანტი: კოლხეთს), სადაც მეფე აიეტი მეფობდა. იქ მან შესწირა ვერძი ლტოლვილთა მფარველ ზევსს, ხოლო ვერძის ოქროს საწმისი მიართვა აიეტს. აიეტმა ფრიქსე გულიად მიიღო, ხოლო შემდეგ შვრთომას თავისი უფროსი ქალიშვილი ქალკიოპე. ფრიქსე დარჩა კოლხეთში და იქვე გარდაიცვალა. მას ქალკიოპესაგან ჰყავდა ოთხი ვაჟი: ა რ გ ო ს ი, მ ე ლ ა ს ი, ფ რ ო ნ ტ ი ს ი და კ ი ტ ი ს ო რ ე (ვარიანტი კიტოროსი). ეს თქმულება დაცულია პინდარეს (ძვ. წ. V ს.) IV პითიურ ოდაში, აპოლონიოსის „არგონავტიკაში" და აპოლოდორე მითოლოგის „ბიბლიოთეკაში"[89]. აქ ყურადღებას იქცევს აიეტის უფროსი შვილიშვილის სახელი ა რ გ ო ს ი. უნებლიედ გვებადება კითხვა, ხომ არ შეიძლებოდა ამ სახელის მატარებლის სახით საქმე გვქონდეს არგი ქვეყნისა და მისი მოსახლეობის მ-არგ-ალ ხალხის ეთნარქ-ეპონიმთან. აქ მოულოდნელი არა არის რა, რადგან არგოსის მამა ფრიქსეცა და ძმა კიტოსორეც გვევლინებიან ეპონიმებად: პირველი კოლხეთის მეზობლად არსებული იბერიის მცირე ქალაქისა, რომელსაც ამის გამო ფრიქსოპოლისს უწოდებდნენ, უფრო გვიან კი იდესას (Strab, XI, 2, 18), ხოლო მეორე პაფლაგონიაში მდებარე ქალაქისა კიტორონი (Strab., XII, 3, 10). კოლხეთის ქალაქის ეპონიმად გვევლინება, როგორც აღნიშნული იყო, „არგონავტიკის" კიდეე ერთი გმირი აფსირტე. ამიტომ, იქნებ მართლაც შეიძლება შეესაბამებოდეს „არგონავტიკის" არგოსი ლეონტი ბროველის გენეალოგიური სქემის

---

[86] იხ. K. B i t t e l. Grundzüge der Vor — und Früh Geschichte Kleinasiens, გვ. 75; Дж. Т о м с о н, Исследования по истории древнегреческ. общества, გვ. 386—387.

[87] R. D u s s a u d, დასახ. ნაშრომი, გვ. 82; მიკენური იმპორტის შესახებ ჩრდილოდასავლეთ მცირე აზიაში იხ. F. H. S t u b l i n g s, Mycenaen pottery from the Levant. Cambridge, 1951, გვ. 24.

[88] შდრ. ო. ლ ო ლ ა თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 19, № 3, 1957, გვ. 382, შნშ. 1.

[89] იხ. ა ა. ო ე რ უ შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, გვ. 203, 216, 349, 350, 351.

ე გ ი ო ს. მაგრამ ა რ გ ო ს ი, როგორც ქვეყნის სახელწოდება, დამოწმებულია ძალიან შორსაც კოლხური სამყაროდან. როგორც ცნობილია, თესალიას. საიდანაც არგონავტების მეთაური იასონი იყო, პელასგურ არგოსს უწოდებდნენ. ეს სახელწოდება თესალიამ მისი უძველესი მოსახლეობის პელასგებისაგან მიიღო. ფიქრობენ, რომ სახელწოდება ქვეყნისა ''Ἀργος პელასგური სიტყვაა და ნიშნავს „ველს". პელასგები არა მარტო თესალიის უძველესი მოსახლეობაა, არამედ პელოპონესის აქაიისა და ბეოტიისაც, საიდანაც არიან „არგონავტიკის" პირველი თქმულებების გმირები ჰელე და ფრიქსე. მამა აიეტის შვილიშვილის არგოსისა. ასეთ ვითარებაში ძნელი გასარკვევია, აიეტის შვილიშვილის სახელი პელასგურ არგოსს უკავშირდება თუ კოლხეთის ა რ გ ქვეყნის სახელს. ერთი რამ ნათელია—„არგონავტიკა" როგორღაც იფარგლება კოლხურ და პელასგურ სამყაროთა სფეროთი. იგი, როგორც ჩანს, კოლხურ-პელასგურ თქმულებებზეა აღმოცენებული, ხოლო ამ ორი ნაკადის განმხოლოება შეუძლებელია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს კვლავ აღორძინდა ჰიპოთეზისი, რომლის მიხედვითაც პელასგები საბერძნეთში მისული არიან ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპიროებიდან და, შესაძლოა, კავკასიიდანაც[90]. ამ თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ გარემოებას, რომ ანტიკური წყაროები არგონავტებს მიიჩნევენ პელასგებადაც და მინიებადაც[91]. მინიებს უწოდებდნენ მინიური ორქომენის მცხოვრებლებს, რომლებიც თავის ეთნარქოსთან ორქომენის მითიურ მეფე მინიასთან ერთად თესალიის ორქომენედან უნდა გადმოსახლებულიყვნენ. ამასთან, როგორც ფიქრობენ, ისინი არ უნდა ყოფილიყვნენ თესალიის ადგილობრივი მკვიდრნი, არამედ შეადგენდნენ მოსულ ელემენტს. საქმე ისაა, რომ ძვ. წ. 2000 წლის შემდეგ ორქომენი განადგურდა, ხოლო სულ მალე კვლავ დაიწყო აღორძინება სრულიად ახალი ხალხის მეცადინეობით, ხალხისა, რომელიც ხმარობდა თავისებურ თიხის ჭურჭელს, ცნობილს მინიური კერამიკის სახელწოდებით. მინიურ კერამიკას უწოდებდნენ შავლეგად გამომწვარ ჭურჭელს, რომლის ერთი ნაწილი სადაა, ნაწილი კი შემკულია ჭდევა-კაწვრით შესრულებული ორნამენტით. მინიური კერამიკა უმთავრესად წარმოდგენილია ყურებიანი და მილიანი ლანგრებით, სხვადასხვა ფორმის ტოლჩებით, დერგებით, რომელთაც მუცლის შუა ნაწილში ვერტიკალურად დასმული ყურები აქვთ[92].

მინიური კერამიკა აღმოჩნდა თესალიაში, მაკედონიაში, ხალკიდიკაზე, ტროაში. უფრო გვიან მან თავი იჩინა შუა და სამხრეთ საბერძნეთში, სადაც მინიური კერამიკის ფენები უშუალოდ ადევს ადრეელადური ხანის ფენებს. ამ კერამიკის აღმოჩენის ადგილები ნათლად მიუთითებენ მათი მატარებელი ტომების მოძრაობას. მაგრამ საკითხავია, სად შეიძლება იწყებდნენ ისინი ამ მოძრაობას, ე. ფორსდაიკს, რომელიც ერთი პირველთაგანი შეეხო ამ საკითხს გასული ხუკუნის დასასრულს, გამოთქმული აქვს მოსაზრება,

---

[90] Д. Томсон, Исследования по истории древнегреческого общества, стр. 168, 169 (შდრ. 89), 170, შდ.

[91] Ovid., Melamorph., VII, 1, 115, 120, 133; Herod., IV, 145; Commin Vergilium in Bucolicon, IV, V, 34; G. Valerius Flacus Balbus, V, 165; VI, 116; S. Sollius Apolinaris Sidonis, A Felcem, 65.

[92] W. A. Haurtley. Prehistoric Macedonia. Cambridge, 1939, გვ. 171, 179, 182—184 და ა. შ.

რომ მინიური კერამიკა საბერძნეთში ტროადან გავრცელდა[93]. ეს მოსაზრება დაადასტურა ვ. ჰერტლის მიერ ჩატარებულმა გათხრებმა მაკედონიაში. ვ. ჰერტლი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მინიური კერამიკის წარმოებას თესალიაში საფუძველი ჩაუყარეს ემიგრანტებმა, რომლებიც მოვიდნენ ანატოლიიდან. ავტორის აზრით, ცენტრი ამ ტომების დისპერსიისა ტროას აღმოსავლეთით მდებარეობდა[94]. მაგრამ ვინ იყვნენ ეთნიკურად ეს ემიგრანტები. ვ. ჰერტლის მიაჩნია, რომ ისინი არიულად მოლაპარაკე ტომები იყვნენ[95]. ჯ. ტომსონი კი ბერძნული ტრადიციული გენეალოგიის ანალიზმა და მინიური კერამიკის შესაძლებელმა მცირეაზიურმა წარმომავლობამ მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მინიები უნდა იყვნენ პელაზგები[96], რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბერძნეთში მიდიან ჩრდილო-აღმოსავლეთი ანატოლიიდან თუ კავკასიიდან.

აქ უკვე წინ იწევს კოლხურ-პელაზგურ ტომთა ურთიერთმიმართების საკითხი და აქედან გამომდინარე სხვა არა ნაკლები მნიშვნელობის პრობლემები, რომელთაც ამჯერად ვერ შევეხებით; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ თუ კავკასიისა და მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთი პერიფერიიდან არა, ცენტრალური პროვინციებიდან მაინც უძველესი მოსახლეობის საბერძნეთში დენადობის მანიშნებელი სხვა ნიშნებიც არსებობს, გარდა ხსენებული მინიური კერამიკისა, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, ტროაში და მისგან აღმოსავლეთით უეჭველმანოდაა დადასტურებული. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ენობრივი ელემენტები, რომელიც ელადის ტოპონიმიაშია დალექილი. ეს შეეხება anda//unda//inda სუფიქსებს და მათ სახესხვაობებს, რომელნიც, როგორც ჯერ კიდევ პ. კრეჩმერმა აღნიშნა, სპეციფიკურია მცირეაზიური ენობრივი სამყაროსათვის და უცხოა ბერძნულისათვის. როგორც ფიქრობენ, მცირე აზიიდან უძველესი მოსახლეობის დასავლეთით დენის შედეგად მკვიდრდება საბერძნეთში ხსენებული სუფიქსებით ნაწარმოები სახელები (გავიხსენოთ —Κόρυνθος, Τίρυνθος, Πίνδος ტიპის ტოპონიმები[97]. იგივე მოვლენით, ელადაში მცირეაზიური ეთნიკური ელემენტის დამკვიდრებით, ცდილობენ ახსნან საბერძნეთის მატერიალურ კულტურაში ისეთი ფაქტის დადასტურება, როგორიცაა მიკენის ძვ. წ. XV—XIV სს. კარიბჭეზე არსებული რელიეფური გამოხატულება ორი ერთმანეთზე ამხედრებული ლომისა, რომელთა შორის წმინდა სვეტია აღმართული. ამ კომპოზიციას წმინდა ხეთურ კომპოზიციად მიიჩნევენ. ხეთური სამყაროდან აქეურში რაღაც ნაკადის თუ ნაკადების დენის დამადასტურებელია აგრეთვე შითი პელოპის შესახებ, შითი, რომელშიც აშკარად ვლინდება მიკენის დინასტიის ხეთური წარმომავლობა; როგორც ჩანს, მიკენში ადგილი ჰქონია ანატოლიელთა ექსპანსიას, რის შედეგადაც საფუძველი ჩაეყარა მმართველ დინასტიას, ხოლო თვით პელოპი გვევლინება მიკენის დინასტიის ანატოლიური წარმომავლობის სიმბოლოდ[98].

---

[93] E. J. Forsdyke. The Pottery called Minyan Ware. Journal of Hellenic Studies, London, 1880, № 34 (ციმოწმენ ჯ. ტომსონის მიხედვით).

[94] W. A. Heurtley, დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

[95] იქვე, გვ. 127, 128.

[96] Дж. Томсон. დასახ. ნაშრომი, გვ. 190, 193.

[97] Гр. Капанцян, Историко-лингвистические работы к начальной истории армян, древняя Малая Азия, Ереван, 1956, стр. 413—418; Дж. Томсон, დასახ. ნაშრომი, გვ. 173.

[98] Дж. Томсон, დასახ. ნაშრომი, გვ. 404—408.

აღსანიშნავია, რომ ყველა ამ ნიშანს — ენობრივსა თუ მატერიალური კულტურისას, რომელიც თავს იჩენს ბერძნულ სამყაროში, როგორც მცირეაზიელი ტომების მიგრაციის დამადასტურებელი, ვხვდებით საქართველოშიც. ჩვენ ამ საკითხს ქვემოთ კვლავ დავუბრუნდებით, ახლა კი ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ უძველესი დროიდან ქართველი ტომებით დასახლებული მხარეების ტოპონიმიაში დამოწმებულია anda//unda//inda სუფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები; კ ე რ ა ს უ ნ ტ ი, ტ რ ა პ ე ზ უ ნ ტ ი, გ უ რ ი ა ნ თ ა, ბ ი ზ ვ ი ნ ტ ა, დ რ ა ნ დ ა — ზღვის სანაპიროზე, კ ი ო რ ი ნ თ ა — ქვეყნის შიგნით (შიდა ქართლში) და სხვა. ასევე ქართულ სახვით ხელოვნებაშიც ვხვდებით იმ ტიპიურ ხეთურ კომპოზიციად აღიარებულ ლომებისა და სიცოცხლის ხის კომპოზიციას[99], რომელიც მიკენის კარიბჭეზეცაა დამოწმებული.

ასეთია ის საკითხები, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას ბერძნულ-კოლხურ სამყაროთა ადრეული ურთიერთობის კვლევის დროს. აქვე შეიძლება დაისვას საკითხი კოლხურ სამყაროზე იმ პირველი ინფორმაციის შესახებ, რომელიც ეგეოსურ სამყაროში, როგორც ჩანს, შეაქვთ ჰინიურ კერამიკასთან ერთად მცირეაზიელ ემიგრანტებს. ამის იქით ჩვენ ვეღარ წავალთ. ამით უნდა შემოვფარგლოთ ამჯერად ჩვენი ძიება ამ მიმართულებით და დავუბრუნდეთ შავ ზღვაზე გამოჩენის საკითხს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შავი ზღვის სანაპიროებზე აქეველები ძვ. წ. მეორე ათასწლეულის პირველ ნახევარში ჩნდებიან. ყოველ შემთხვევაში, ამ დროიდან იჩენს თავს მიკენური კერამიკული ნაწარმი მცირე აზიის ჩრდილოდასავლეთ ნაწილში.

აქეველთა ასეთი ადრეული გამოჩენა შავ ზღვაზე მრავალი ობიექტური მიზეზით იყო შეპირობებული. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ეგეოსის აუზის საკვაპრო გზებსა და ცენტრებზე გაბატონებული იყო კრეტას ძლიერი საზღვაო სამეფო. ამით აიხსნება მინოსის რეპუტაცია „ზღვის მეუფისა" (θαλαττοκράτωρ)[100]. ამიტომ ელადის უნაყოფო ნიადაგზე ძალიან მჭიდროდ დასახლებული ხალხები ცდილობდნენ ნაყოფიერი მიწების ხელში ჩაგდებას[101]. აქეველებს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო, როგორც ამას ჯერ კიდევ სტრაბონი აღნიშნავდა (I, 2, 39), იზიდავდა თავისი სიმდიდრით, ოქროს, ვერცხლის, სპილენძისა და რკინის სიუხვით, რისთვისაც, დასძენს სტრაბონი, ჯერ ფრიქსემ ილაშქრა და შემდეგ იასონმაო.

ამრიგად, აქეველთა მოძრაობას შავიზღვისპირეთში აპირობებდა, ერთი მხრივ, საშინაო ვითარება — ელადაში ნიადაგის სიმცირე და მოსახლეობის სიმჭიდროვე, მეორე მხრივ ის, რომ ეგეოსის სამყარო დაკეტილი ჰქონდათ

---

[99] იხ. გ. ჩ ი ტ ა ი ა, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, ენიმკის მოამბე, X, 1941, გვ. 309. სურ. 1. იგივე კომპოზიცია თავს იჩენს ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების უძველესი ძეგლის ბოლნისის სიონის რელიეფებში (იხ. Г. Н. Ч у б и н а ш в и л и, Болнисский сион (исследования по истории грузинской архитектуры), ენიმკის მოამბე, IX, 1940, ტაბ. I; შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1944, ტაბ. 52, სურ. 122) თუმც მისი სტილისტური თავისებურებანი შეიძლება უფრო გვიან და უფრო უშუალო კულტურულ დამოკიდებულებაზე მეტყველებდეს (იხ. შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 139).

[100] ჯ. პენდლბერი აღნიშნავს, რომ საბერძნეთის მატერიკის მოსახლეობისათვის დაკეტილი იყო ყველაზე მდიდარი ბაზრები და, შესაძლოა, ახალი ბაზრების ძიების გამოძახილია დაცული იასონის შავი ზღვისაკენ ლაშქრობის მითშიო (იხ. Дж. П е н д л б е р и, Археология Крита. М., 1950, გვ. 250).

[101] შდრ. R. D u s s a u d, დასახ. ნაშრ., 75.

კრეტელებს და, დასასრულ, სიმდიდრე შავიზღვისპირეთისა. მაშასადამე, აქეველების ლაშქრობები შავიზღვისპირეთში, თუ ზოგიერთ, შემდგომ წარმოშობილ ფაქტორს გამოვრიცხავთ, არსებითად იგივე მიზეზებით იყო გაპირობებული, რითაც ბერძნული კოლონიზაცია. რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, შეეძლოთ თუ არა აქეველებს ასეთი შორეული და რთული საზღვაო ექსპედიციების მოწყობა, მიკენური წარწერების გაშიფრვის შემდეგ ეს საკითხი ეჭვს აღარ იწვევს. ამ წარწერებიდან ირკვევა, რომ მიკენელთა ზღვაოსნობა ძალიან მაღალ დონეზე იდგა. წარწერებში აღწერილია მიკენელთა ხომალდები და ამ ხომალდებით შორეული მოგზაურობანი[102]. ამასვე უნდა ადასტურებდეს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ძვ. წ. II ათასწლეულის ძეგლებს შორის ეგეოსური კულტურის ნაწარმის აღმოჩენაც[103].

მას შემდეგ, რაც მიკენელებმა კრეტას სამეფო დაამხეს, აქეველთა ექსპანსია აღმოსავლეთშიც იწყება. ამ დროიდან აქეველები იმ ახალი მიწებისა და ბაზრების ძიებაში კი აღარ არიან, რომელიც კრეტელებს არ ჰქონდათ დაკავებული და რამაც ისინი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებთან მიიყვანა, არამედ თანდათან იკავებენ თვით კრეტელების კუთვნილ ტერიტორიებს, ხოლო შემდეგ, როგორც აღნიშნული იყო, ინტენსიურად მიიწევენ აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით: ფეხს იკიდებენ ჯერ მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე და ბოლოს იღებენ ტროასაც — შავი ზღვის კარიბჭეს. ტროას აღება აქეველთა მიერ გვაფიქრებინებს, რომ მათ მიზნად ჰქონდათ შავი ზღვის სანაპიროთა ათვისებაც. მით უმეტეს, რომ ისეთი დიდი ძალა, რომელიც შეძლებდა მათი წინსვლის შეჩერებას, ამ დროს აქ არ ჩანს. მაგრამ ტროაში მათი ბატონობა ხანმოკლე აღმოჩნდა. როგორც ფიქრობენ, ტროა მათ აიღეს ტროა VII A ხანაში (1300—1200 წწ.). თუ გავიზიარებთ ვაისის და ოლბრაიტის ზემოხსენებულ დათარიღებას, ეს უნდა მომხდარიყო ტროა VIIA პერიოდის მიწურულში. ტროა VIIB პერიოდის (1200—1100 წწ.) დასაწყისში კი აქეველებმა ტროა დატოვეს. 1162 წელს რამსეს III დროს ეგვიპტელებმა სასტიკად დაამარცხეს აქეველები, რამაც მათი გაფანტვა გამოიწვია[104].

ამრიგად, როცა შავიზღვისპირეთის ასათვისებლად გზა გაკელილი იყო, აქეველებს ბოლო მოეღოთ. მათი ურთიერთობა შორეულ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან შემოიფარგლა მხოლოდ ცალკეული მოგზაურობებით, რომელიც აისახა აქეველ ზღვაოსანთა მიერ შექმნილ მითებში შორეული აია ქვეყნის შესახებ.

აქეველთა განადგურების შემდეგ ბოლო ეღება მიკენურ ეპოქას და იწყება ახალი ე. წ. სუბმიკენური ხანა (1160—1050 წწ.)[105]. ამ დროს ეგეოსელმა ზღვაოსნებმა, როგორც ჩანს, კვლავ მიაღწიეს შავი ზღვის სამხრეთსა და აღმოსავლეთ სანაპიროებს. ამის მაუწყებელი უნდა იყოს რკალისებური ფიბულა, რომელიც გვხვდება კოლხური კულტურის ძეგლებთან ერთად. ამ ფიბულის საქართველოში აღმოჩენილ ყველა ვარიანტს მივყავართ ბერძნულ ხმელთაშუა ზღვის-

---

[102] С. Я. Лурье, Язык и культура микенской Греции. გვ. 334—338.

[103] А. А. Иессен, Греческая колонизация Северного Причерноморья, Л., 1947, стр. 18, 19.

[104] R. Dussaud, დასახ. ნაშრომი, გვ. 49, 84.

[105] იქვე, გვ. 49, 84.

პირეთის ფიბულების უძველეს ჯგუფთან, რომელსაც სუბმიკენურს უწოდებენ. აღსანიშნავია, რომ ეს ფიბულები სრულიად უცხოა მცირე აზიისათვის და ფიქრობენ, რომ კოლხეთში მათი გაჩენა ვერ აიხსნება შავი ზღვის საზღვაო გზების გათვალისწინების გარეშე[106]. ფრიად საგულისხმოა, რომ ის ცვლილებები, რომელსაც შემდგომში განიცდის სუბმიკენური ფიბულა, საქართველოში აღმოჩენილ მსგავს ფიბულებს არ განუცდიათ[107]. ეს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ეს ფიბულები შემოტანილია საქართველოში მათი გაჩენის ხანაში.

ამით წყდება ეგეოსური სამყაროს და ქართველი ტომების ურთიერთობის პირველი ეტაპი. ამ დროს აქტიურ ძალას აქეველები წარმოადგენენ და ამიტომ ურთიერთობის ამ ეტაპს, პირობით, **აქეურ პერიოდს** ვუწოდებთ. ამ ურთიერთობის უშუალო შედეგი იყო ის, რომ შეიქმნა ქართველი ტომებით დასახლებული ქვეყნებისა და მათი ყოფის შესახებ თქმულებები, გაჩნდა პირველი, ფრთალია ბუნდოვანი, მაგრამ მაინც ისტორიული ცნობები („ილიადა"), რომელთა ფიქსაცია და ლიტერატურული დამუშავება ხდება უფრო გვიან ბერძნული ლიტერატურის უძველეს ძეგლებში. ამ თქმულებათა წარმოშობის საფუძველი იყო ბუნებრივი სიმდიდრე, მიწათმოქმედების, მეტალურგიის და საერთო კულტურის მაღალი დონე, რომელიც დახვდათ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში პირველ ეგეოსელ ზღვაოსნებს და რომლის რეალურ არსებობას ადასტურებს ისტორიული კოლხეთის მატერიალური კულტურა.

აქეველთა საზღვაოსნო მოგზაურობებმა და თქმულებებმა ამ მოგზაურობათა შესახებ წარმოშვეს წინაპირობები ქართველ ტომებსა და ბერძნულ სამყაროს შორის ურთიერთობის ახალი ეტაპის დაწყებისათვის. თუ ელადაში არსებული ობიექტური ვითარება, საწარმოო ძალების არასაკმარისი განვითარების გამო (მოსახლეობის სიჭარბე, მწირი ნიადაგი და სხვ.) ქმნიდა პირობებს იძულებითი ემიგრაციისათვის, რაც კ. მარქსის სიტყვით, კოლონიების პერიოდული მოწყობის ფორმას იღებდა და შეადგენდა საზოგადოებრივი განვითარების ჯაჭვის მუდმივ რგოლს[108], აქეველთა მოგზაურობანი შავიზღვისპირეთში და ტრადიცია ამ მოგზაურობათა შესახებ ბერძნულ კოლონიზაციას გარკვეული მიმართულებით წარმართავდა. ამიტომ იყო, რომ სწორედ შავიზღვისპირეთის ათვისება გახდა შუა საბერძნეთისა და მცირე აზიის ბერძნული პოლისების სახით, საისტორიო სარბიელზე გამოსული ახალი ძალისათვის, თუ უმთავრესი არა, იმთავითვე ერთი მთავარი ამოცანათაგანი. ეს ის დროა, როდესაც ცნებები „ელინი", „ელინური" ფარავს მთელ ბერძნულ სამყაროს და უპირისპირდება არაელინურს — „ბარბაროსს", „ბარბაროსულს". ამ დროს იწყება ქართველი ტომებისა და ბერძნული სამყაროს ურთიერთობის ახალი

---

[106] Б. Б. Куфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე, XII, 1944, გვ. 316. სპეციალურ ლიტერატურაში ნაჩვენებია, რომ ფიბულები მახლობელ აღმოსავლეთში შემოდის მიკენური სამყაროდან ძვ. წ. XIII—XII სს. მაგრამ ეს ფიბულები, მათ შორის სუბმიკენურიც, ამ დროს არ გავრცელებულა მც. აზიის დასავლეთი სანაპიროს აღმოსავლეთით. მხოლოდ ძვ. წ. VIII საუკუნიდან ფინიკია-ასურეთის ურთიერთობის გაცხოველების შედეგად მახლობელ აღმოსავლეთში ფიბულა ხდება ტანსაცმლის ატრიბუტად (იხ. D. Stronach. The Dovelopoment of the Fibula in the Near East. Iraq. V. XXI, p. 2, 1959, გვ. 181 და შმდ. აგრეთვე გვ. 203—204).

[107] Б. Б. Куфтин, იქვე, გვ. 316—317.

[108] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. VIII. М., 1957, стр. 567—568.

ეტაპი, რომელსაც აქტიური ძალის მიხედვით ამ ურთიერთობის ელინურ პერიოდს ვუწოდებთ.

ამ ეტაპზე სამხრეთ-აღმოსავლეთი და აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის მოსახლეობასთან ელინური სამყაროს კონტაქტი დაკავშირებულია ბერძნების საკოლონიზაციო მოძრაობასთან.

ბერძნული კოლონიზაციის პროცესში რამდენიმე ეტაპს არჩევენ: ბერძენთა ფაქტორიების წარმოშობისა და არსებობის, ფაქტორიების კოლონიებად გარდაქმნის, კოლონიების, როგორც სავაჭრო ცენტრების და ამ უკანასკნელთა ადგილობრივ საწარმოო ცენტრებად გადაქცევის ეტაპებს[109].

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში საკოლონიზაციო მოძრაობა პირველ ეტაპზე შეჩერდა და მხოლოდ ფაქტორიათა დაარსებით აღინიშნა. ამასთან დაკავშირებით ამ ბოლო დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ ბერძენთა საკოლონიზაციო მოძრაობისა და მათი სავაჭრო ექსპანსიის გაიგივება არ იქნებოდა მართებული, რადგან თითოეულ მათგანს ორგანიზაციის საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელია ფორმა ჰქონდა: პირველს—კოლონია, დამოუკიდებელი ელინური ქალაქი-სახელმწიფო მისთვის დამახასიათებელი ყველა თავისებურებით, მეორეს კი ემპორიონი, სავაჭრო ფაქტორია[110], რომელსაც ადგილობრივ უკვე არსებულ, მოქმედ ქალაქში ეყრებოდა საფუძველი. ამ მოსაზრების თანახმად მაშინ, როდესაც შესაძლებელი იყო კოლონიზირება შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროსი, კოლხეთის მაღალი სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური კონსოლიდაციის გამო აქ ახალშენების დაარსების პირობები აღარ არსებობდა, ახალშენებისა, როგორც დამოუკიდებელი, უცხო სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ერთეულისა, რომელიც უნდა დამყარებოდა ირგვლივ მდებარე კოლხური სასოფლო თემების ექსპლოატაციას. ამიტომ კოლხეთში, უფრო ზუსტად კოლხეთის სანაპირო ქალაქებთან და ქალაქებში, დადასტურებული ბერძნული სამოსახლოები წარმოადგენდნენ ემპორიონებს, სავაჭრო ფაქტორიებს[111].

ამ მოსაზრების საფუძვლიანობა დასტურდება კოლხეთის დასახლებათა არქეოლოგიური შესწავლის შედეგებითაც. კოლხეთში, არც სანაპიროზე და არც, მით უფრო, ქვეყნის შიგნით, მართლაც არა ჩანს ძვ. წ. VI—IV სს. თითქმის არც ერთი დასახლება, სადაც კოლხური ნაწარმი არქეოლოგიური მასალის აბსოლუტურ უმრავლესობას არ შეადგენდეს. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მოცემულ ხანაში კოლხეთში სანაპირო ზოლზეცა და შიდა ქვეყანაშიც მატერიალური კულტურის ძირითადი მწარმოებელიცა და მომხმარებელიც ადგილობრივი მოსახლეობაა.

მაგრამ ამ მასალის გარეშეც რიგი მკვლევრები გრძნობდნენ, რომ ბერძნულ კოლონიზაციას კოლხეთის სანაპიროზე სრულიად განსხვავებული ხასიათი ჰქონდა. მაგალითად, ათიოდე წლის წინ გ. მელიქიშვილს სწორი სურათი ჰქონდა წარმოდგენილი კოლხეთში ბერძნული სავაჭრო ფაქტორიების დაარსებისა და ამ უკანასკნელთა მიმართებისა კოლხეთის სამეფოსთან. ოღონდ, რო-

---

[109] А. А. Иессен, Греческая колонизация Северного Причерноморья, Л., 1947, стр. 87.

[110] ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 32; იქვე, სათანადო ლიტერატურა, შნშ. 1.

[111] ოთ. ლორთქიფანიძე, იქვე, გვ. 63, 64.

გორც ჩანს, ვაბატონებული ტრადიციის გამო, ამ ფაქტორიებს იგი ბერძნულ პოლისებს უწოდებს, ხოლო ამ პოლისებად ადგილობრივ ქალაქებს მიიჩნევს[112]. ამ მხრივ ოთ. ლორთქიფანიძის მიერ მოცემული განსაზღვრება ისტორიული ვითარებისა უფრო ზუსტია; უნდა აღინიშნოს მხოლოდ, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ბერძნულ სავაჭრო ფაქტორიათა წარმოქმნა მჭიდროდ ბერძნულ საკოლონიზაციო მოძრაობასთან დაკავშირებული მოვლენაა და იგი ამ მოძრაობის სულ საწყის საფეხურს ასახავს. საქმე ისაა, რომ კოლხეთში ბერძნულმა კოლონიზაციამ სხვა სახე მიიღო, რადგან ძლიერი პოლიტიკური ერთეულის და შესაბამისად ეკონომიურად ძლიერი სანაპირო ქალაქების არსებობის პირობებში, როგორც ეს მართებულადაა აღნიშნული ლიტერატურაში (გ. მელიქიშვილი, ოთ. ლორთქიფანიძე), შეუძლებელი ხდებოდა დაარსება კოლონიებისა, რომელთაც ბერძნული პოლისის ხასიათი შეიძლებოდა ჰქონოდათ, ე. ი. ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი თვითმმართველობა, რელიგიური კულტი, როგორც წესი, მეტროპოლიიდან მოტანილი, ეკონომიკური ბაზა ადგილობრივი სასოფლო თემების შემომტკიცების მეშვეობით შექმნილი და ა. შ. მაშასადამე, არსებულ კოლხურ სახელმწიფოში უნდა შექმნილიყო სხვა სახელმწიფო ან სახელმწიფოები, თავისი შინაარსით უცხო და ამიტომ მიუღებელი ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რომელსაც ამ დროისათვის, როგორც ქვემოთ საგანგებო თავში იქნება ნაჩვენები, სახელმწიფური ორგანიზაციის თავისებური, საუკუნეთა განმავლობაში აპრობირებული ფორმები გააჩნდა.

მაგრამ, ერთი მხრივ, იმის გამო, რომ კოლხეთი ეკონომიკურად მძლავრი ქვეყანა იყო, მდიდარი ბუნებრივი რესურსებით, ამასთან ეკონომიკურად და პოლიტიკურად ცენტრალიზებული, ხელსაყრელი პირობები იქმნებოდა ვაჭრობისათვის; ამიტომ ბერძნების საკოლონიზაციო მოძრაობაც სხვა სახეს იღებს: ისინი აარსებენ ახალშენებს, ოღონდ არა ქალაქ-სახელმწიფოების, არამედ სავაჭრო ფაქტორიების სახით კოლხური ქალაქების ფარგლებში[113]. რომ ეს მართლაც ასე იყო, კარგად ჩანს არქეოლოგიურად, მაგალითად, ფიჭვნარში,

---

[112] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 244.

[113] ეს იქიდანაც ჩანს, რომ არათუ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქების სახელწოდებანია ადგილობრივი, მაგალითად ფ ა ს ი ს ი, რომლის სახელზე ზემოთ გვქონდა საუბარი, ანდა დ ი ო ს კ ო რ ი, რომლის სახელის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ, არამედ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისაც. მაგალითად, ძველი ბერძნული ტრადიციის მიხედვით, ქ. ს ი ნ ო პ მ ა თავისი სახელი მიიღო ერთ-ერთი ამორძალის ს ი ნ ო პ ე ს სახელიდან. მაშასადამე, თვით ბერძნული ტრადიცია ადასტურებს აღნიშნული სახელწოდების ადგილობრივ წარმომავლობას. უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ არსებობს ს ი ნ ო პ ე სახელის ჩრდილო-კავკასური ენების ნიადაგზე ახსნის ცდა (იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, გვ. 24, 245). ეს შესაძლებლობა მით უფრო საგულისხმოა, რომ როგორც ირკვევა, ამ მხარეებში უძველესი დროიდან ქართველ ტომებთან ერთად ბინადრობდნენ ჭაშქებიც, რომელნიც ეთნიკური კუთვნილების თვალსაზრისით, აშკარად მიიღტვიან ჩრდილო-კავკასიური სამყაროსაკენ. ასევე ყურადღებას იქცევს სინოპეს სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჭანური ტომების ხალიბების მიწა-წყალზე არსებული ველი, რომელსაც ისტორიული წყაროები თემისკირას (*Θεμίσκυρα*) უწოდებენ. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის სახე ლწოდებები ახლაც ცოცხალია ჭანებით დასახლებულ ტერიტორიაზე: შავი ზღვის სანაპიროზე რიზეს მახლობლად ბუნტს მ ე ქ ე ს კ ი რ ი ეწოდება; იქვეა სოფ. მ ე კ ა ლ ე ს კ ი რ ი თ ი (იხ. ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, ჭანეთში მოგზაურობა, ენიმკის მოამბე, 1, 1937, გვ. 167—168). აღსანიშნავია, რომ პომპონიუს მელა იქ, სადაც სხვა ავტორებს თემისკირის ველი ეგულებათ, ასახელებს ქ. თ ე მ ი ს კ უ რ ს: „თერმოდონტს იქით — ველი, იქ იყო ქალაქი თ ე მ ი ს კ უ რ ი“ (Themiscurum oppidum,

სადაც ადგილობრივ მოქალაქეთა სასაფლაოსაგან განცალკევებითაა სასაფლაო ბერძენი კოლონისტებისა, რომლებიც, როგორც გამთხრელები ფიქრობენ, ცალკე უბნად არიან გამოყოფილნი[114]. ასეთივე ვითარება შეიძლება ვიგულისხმოთ ფასისსა და დიოსკურიში, თუ ზუბოვკის ვერცხლის თასის წარწერის შინაარსისა და ცნობილი სოხუმის სტელის მიხედვით ვიმსჯელებთ.

ამრიგად, ძველ კოლხეთში ბერძნული კოლონიზაცია ისე არ წარიმართა, როგორც სხვა კლასიკურ კოლონიზებულ ქვეყნებში — იონიაში, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, სიცილიაში, ასე გასინჯეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც. ყველა ამ ქვეყანაში კოლონიზაცია ქვეყნის ერთი ნაწილის დაპყრობა-მიტაცებას ნიშნავდა. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კოლონიზაციამ ზემოაღნიშნული მიზეზების გამო ვერ ჰპოვა შემგომი განვითარება და თავისი საწყისი ფორმით — ფაქტორიით, შემოიფარგლა.

კოლონიზაციის ასეთმა თავისებურებამ განაპირობა ელინურ პერიოდში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ბერძენ მოახალშენეთა კლასობრივ-პროფესიული შედგენილობა. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ფაქტორიათა მოსახლეობა ისევე როგორც სხვა ქვეყნების პირველი ბერძენი მოახალშენეები ფაქტორიების არსებობის ეტაპზე, ვაჭრები უნდა ყოფილიყვნენ და არა ხელოსან-მრეწველნი. ეს კარგად დასტურდება იმ ცნობილი ფაქტითაც, რომ ძვ. წ. VI—IV სს. კოლხეთის იმპორტულ, არაკოლხურ მასალაში არა გვაქვს არც ერთი ისეთი ნიმუში, რომელიც ადგილობრივ, კოლხეთში დამზადებულ ნაწარმად შეგვეძლო მიგვეჩნია. მაგრამ ყოველივე ეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს შეეხება. ჩვენი დაინტერესების სფეროში კი ამჟამად მოქცეულია სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთიც, სადაც ბერძნული კოლონიზაციის პროცესი, როგორც ჩანს, კლასიკური გზით მიმდინარეობდა.

პირველ ბერძნულ ახალშენს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე სინოპში ჩაეყარა საფუძველი, სხვა კოლონიების დაარსება აქ უპირატესად სინოპის სახელთანაა დაკავშირებული. როდის დაიწყო თავისი არსებობა სინოპში ბერძნულმა ახალშენმა, დადგენილი არ არის. ამ მხრივ საინტერესოა ლიტერატურული ცნობები (ევსევის ქრონიკა, ფსევდო-სკიმნოსი), რომელნიც, როგორც ირკვევა, ემყარებიან, სრულიად სხვადასხვა უძველეს წყაროებს და, მიუხედავად ამისა, საკვირველი სიზუსტით ემთხვევიან ერთიმეორეს[115]. ამ

იხ. აღ. გამყრელიძე, პომპეონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ., ქართული წყაროთმცოდნეობა, კრებული, 1, თბ., 1965, გვ. 28, 29). განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თემისკირ სახელის მეორე ნახევარი სკირი. ეს სიტყვა მეგრულ-ჭანურად „შვილს" ნიშნავს. როგორც შემადგენელი ნაწილი, იგი გვხვდება ისეთ დამახასიათებელ გვარ-სახელებში, როგორიცაა წულეისკირი (წულიასის შესატყვისია), პაპასკირი (პაპავას შესატყვისი შეიძლება იყოს) და ა. შ. ფიქრობენ, რომ ამ სიტყვაში დაკარგულია „ჯ" და უნდა ყოფილიყო „სკჯრი" (არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938, გვ. 21). საგულისხმოა, რომ ბერძნულში ეს სიტყვა გადმოცემულია არა ε-ითი, არამედ υ-ით, რაც შეიძლება „ვი" კომპლექსს უდრიდეს. სკირი უძველესი სიტყვაა, რადგან მის მიერ შედგენილ „ტერმინებში კულტურის ისტორიის ძველისძველი მოვლენებია ჩამარხული" (არნ. ჩიქობავა, იქვე, გვ. 22).

[114] ა. კახიძე, მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის (კობულეთ-ფიჭვნარის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები). მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, IV, თბილისი, 1964, გვ. 93.

[115] ამ ცნობათა ანალიზი იხ. М. И. Максимова, Античные города юговосточного Причерноморья, 1956, стр. 36—52.

ცნობათა თანახმად, სინოპში ბერძნული კოლონია ძვ. წ. VIII ს. პირველ ნახევარში დაარსდა. ფსევდო-სკიმნოსის ცნობით (Peripl., 941—952) პირველი ელინები, რომელნიც დასახლდნენ სინოპეში, იყვნენ თესალიელები —ავტოლიკე, ფლოგიოსი და დეილეონტე. ამასთან დაკავშირებით უნებლიედ გვახსენდება, რომ უძველესი ბერძნული ტრადიციის მიხედვით სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ერთ-ერთი პირველი საზღვაოსნო ექსპედიციის მომწყობად აგრეთვე თესალიელი იაზონი გვევლინება. აქ შეიძლება საქმე გვქონდეს საკოლონიზაციო ტრადიციის გამოძახილთან.

ფიქრობენ, რომ სინოპეში პირველი ბერძნული ახალშენი ძვ. წ. VIII ს. ბოლოს გაანადგურეს კიმერიელებმა. მაგრამ ძვ. წ. VII ს. 30-იან წლებში სინოპში კვლავ ეყრება საფუძველი ახალ ახალშენს[116]. ამჯერად, კოლონისტები მილეტელები არიან. ეს ბუნებრივია, რადგან ამ დროისათვის აქეველები უკვე გასული არიან ისტორიის სარბიელიდან და მათი ადგილი ელინებს უკავიათ.

ასე გვიხატავენ წერილობითი წყაროები სინოპეს კოლონიზაციას, მაგრამ კოლონიზაციის ასე ადრე დაწყება სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ფაქტიური მონაცემებით არ დასტურდება. შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ძვ. წ. VIII ს. დასასრულისათვის არათუ მკვეთრად გამოკვეთილი ელინური ეთნიკურ-კულტურული რაიონის არსებობა, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს[117], არამედ პირველი ბერძნული ახალშენების არსებობაც კი ძნელი სამტკიცებელია. არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ იმ გარემოებას, რომ სინოპეში, სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ამ უძველესსა და უმთავრეს ცენტრში, რომელიც თავის დროზე თვით ხდება მოთავე შავ ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპიროს კოლონიზაციისა, 1951—53 წლებში მიმდინარე გათხრების დროს აღმოჩენილი ყველაზე ძველი ნიმუშები ბერძნული ნაწარმისა ძვ. წ. VI ს. დასაწყისს განეკუთვნება. ამაზე ადრეული კვალი ბერძნებისა სინოპეში ჯერჯერობით მიკვლეული არ არის. არ აღმოჩნდა არც კიმერიელების კვალი, კიმერიელებისა, რომელთაც სინოპეში პირველი ბერძნული ფაქტორიის განადგურებას მიაწერენ. ამიტომ სინოპეს ერთ-ერთი გამთხრელი ე. აკურგალი სინოპეში ბერძენთა პირველი ახალშენის დაარსებას ტრადიციულ თარიღს ძვ. წ. 630 წ. უფარდებს[118]. ეს თარიღი, როგორც ცნობილია, ევსებიოსისაგან მომდინარეობს. მისი ცნობით, სინოპე დააარსეს XXXVII ოლიმპიადის მე-4 წელს[119], ე. ი. 631—30 წლებში. ე. აკურგალი ზემოაღნიშნულ დასკვნამდე მივიდა კორინთული არიბალების, როდოსული ჭურჭლის რამდენიმე ნატეხის, ფიკელიურას სტილის ამფორისკისა და სხვა მსგავსი მასალის ანალიზის საფუძველზე. ეს მასალა შეისწავლა იუს. ბოისალმაც, რომელმაც თითქმის შეუძლებლად მიიჩნია როდოსულ-მილეტური კერამიკის დათარიღება, ხოლო მატერიკული საბერძნეთიდან მომდინარე ნაწარმი ვერ მიაკუთვნა ძვ. წ. 580 წელზე უფრო ადრეულ ხანას. ამიტომ, მისი აზრით, ჯერ-

---

[116] М. И. Максимова, იქვე, გვ. 46 და შმდ. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ არც კიმერიელებსა და არც სკვითებს არც ერთი ქალაქი არ აუღიათ და არც შეეძლოთ აეღოთ (იხ. И. М. Дьяконов, История Мидии, М.-Л., 1956, стр. 318).

[117] შდრ. K. Bittel. Grundzüge der vor — und Fruhgeschichte Kleinasienss, გვ. 88.

[118] E. Akurgal und L. Budde. Vorläufiger Bericht über die Ausgrabungen in Sinope. Turk Tarih Kurumu Yayinlarindan, V, № 14, Ankara, 1956 (ციტირებულია მ. მაქსიმოვას მიხედვით, იხ. ВДН. № 3, 1958, გვ. 255).

[119] Euseb., II, 89.

ჯერობით არავითარი საფუძველი არ არსებობს ვილაპარაკოთ არქეოლოგიური მასალისა და წერილობითი წყაროების თარიღების თანხვედრის შესახებ[120].

სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ანტიკური ქალაქებით დაინტერესდა ინგლისელი ავტორი ჯ. ხაინდიც. მან 1962 წელს მოიარა აღნიშნული მხარე, გაეცნო თურქეთის მუზეუმის ფონდებს და ამ მოგზაურობის ანგარიში დაბეჭდა საბჭოთა სამეცნიერო ორგანოში[121]. ამ ანგარიშიდან ირკვევა, რომ უძველესი ნიმუშები ბერძნული წარმოშობის იმ მასალიდან, რომელიც ჯ. ხაინდმა მოიხილა, არ შეიძლება დათარიღდეს ძვ. წ. VI საუკუნის შუახანაზე უფრო ადრეული დროით[122].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, არქეოლოგიური აღმოჩენები ჯერჯერობით არ ადასტურებენ ლიტერატურულ ტრადიციას სინოპეში ბერძენი მოახალშენეების დასახლების შესახებ ძვ. წ. VII საუკუნის უკანასკნელ მესამედშიც კი. მართალია, ზოგიერთი ელინისტი ფიქრობს, თითქოს ხსენებული არქეოლოგიური მასალა არ კმარა სინოპეში ბერძნული ახალშენის ძვ. წ. VI საუკუნეზე ადრე დაარსების შესაძლებლობის უარსაყოფად[123], მაგრამ არც ის ლიტერატურული ტრადიცია უნდა იყოს საკმარისი იმისათვის, რომ საწინააღმდეგო ვამტკიცოთ.

თუ სინოპეში ბერძენ მოახალშენეთა დამკვიდრების ისტორიას ძვ. წ. VI საუკუნეზე ადრე ვერ დავიწყებთ, მაშინ თავისთავად იხსნება საკითხი სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის სხვა ცენტრებში (კოტიორაში, კერასუნტსა და ტრაპეზუნტში) ბერძნული კოლონიების უფრო ადრე დაარსების შესაძლებლობისა, რადგან ამ ქალაქებში ბერძნულ დასახლებათა წარმოშობა სინოპეს სახელთანაა დაკავშირებული. წერილობითი წყაროების მოწმობით კოტიორა, კერასუნტი და ტრაპეზუნტი სინოპელთა დაარსებული ბერძნული ახალშენებია[124].

როგორი თანმიმდევრობით ჩაეყარა საფუძველი ახალშენებს კოტიორაში, კერასუნტსა და ტრაპეზუნტში ძნელი გასარკვევია, ცნობილია მხოლოდ, რომ ძვ. წ. V ს. მიწურულში, როდესაც ქსენოფონტმა გაიარა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო, კოტიორა, კერასუნტი და ტრაპეზუნტი სინოპეს კოლონიები იყო[125]. კერძოდ ტრაპეზუნტის შესახებ ანტიკურ წყაროებში მოიპოვება სხვა ცნობაც, რომლის მიხედვით ტრაპეზუნტში ბერძნულ ახალშენს საფუძველი ჩაეყარა ძვ. წ. 757—56 წწ.[126]. ეს ცნობა ლიტერატურაში გამოყენებულია სინოპეს, როგორც ტრაპეზუნტის მეტროპოლიის, ადრე — ძვ. წ. VIII ს. პირველ ნახევარში დაარსების დამადასტურებელ არაპირდაპირ საბუ-

---

[120] Jusuf Boysal, Uber die alteren Funde von Sinope und die Kolonisationfrage. Archäologischer Anzeiger des Deutschen Archäologischen Instituts, 1959, 1—4, გვ. 8, 9.

[121] Дж. Хайнд, Памятники античных городов южного Причерноморья, СА, № 3, 1964, გვ. 172—187.

[122] Дж. Хайнд, იქვე, გვ. 174, 175.

[123] ასეთ აზრს ადგას, მაგალითად, მ. მაკსიმოვა თავის რეცენზიაში ე. აკურგალისა და ლ. ბუდეს ზემოხსენებულ შრომაზე (იხ. ВДИ, 1958, № 3, გვ.255, 256). ადრე ჩვენც ამ აზრს ვიზიარებდით (იხ. თ. მიქელაძე, ქართველი ტომებისა და ბერძნული სამყაროს ურთიერთობის გვნეზისისათვის, სმგმ, II, 1960, გვ. 187) იმ იმედით, რომ არსებობდა შესაძლებლობა წერილობითი ცნობების არქეოლოგიური დადასტურებისა, მაგრამ ხსენებულზე უფრო ძველი მასალა არ ჩანს.

[124] ანაბასისი, V, 5, 3; V, 3, 2; IV, 8, 22.

[125] ანაბასისი, IV, 8, 22; V, 3, 2; V, 5, 3.

[126] Euseb., 11, 80.

თად[127]. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ჯერჯერობით არც ტრაპეზუნტიდან არის ცნობილი ძვ. წ. III—II სს. უწინარესი ანტიკური მასალა[128]. ჯ. ხაინდი, ერთი უკანასკნელი მკვლევართაგანი სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ბერძნული ქალაქების სიძველეებისა, მართალია, აღნიშნავს ამ ქალაქებში ადრეული ბერძნული ნაწარმის უქონლობას, მაგრამ არ გამორიცხავს მომავალში უფრო ძველი მასალის აღმოჩენის შესაძლებლობასაც. მიუხედავად ამისა, ის მაინც დასძენს, რომ სინოპეში ბერძენთა მკვიდრი დასახლება არ შეიძლება წარმოქმნილიყო ძვ. წ. VII ს. უკანასკნელ მესამედზე ადრე, ხოლო ტრაპეზუნტში ძვ. წ. VII—VI სს. მიჯნამდე[129].

რაც შეეხება კერასუნტს, ამ ქალაქს ქოირადესის (χοιράδες) სახელით ჯერ კიდევ ჰეკატე მილეტელი ახსენებს. მაშასადამე, ეს ქალაქი ძვ. წ. VI ს. უკვე არსებობდა. ამასთან, ჰეკატე არ ამბობს, რომ ქოირადესი ელინური ქალაქია. პირიქით მისი ცნობის თანახმად, ეს ქალაქი მოსინიკებს ეკუთვნის[130]. აღსანიშნავია, რომ ძვ. წ. IV ს. პერიპლუსში, რომელსაც სკილაქს კარიანდელს მიაწერენ, კერასუნტი მოხსენიებულია კვლავ ქოირადესის სახელით, ისევ მოსინიკების მიწა-წყალზე, ოღონდ უკვე როგორც ელინური ქალაქი[131]. უფრო ადრე ძვ. წ. V ს. მიწურულშიაც, როგორც აღვნიშნეთ, კერასუნტი ბერძნული კოლონიაა[132]. ამ მონაცემების თანახმად სავარაუდოა, რომ კერასუნტში ბერძნულ ახალშენს ძვ. წ. V ს. უნდა ჩაყროდა საფუძველი, ძვ. წ. V ს. დაარსდა, როგორც ჩანს, ბერძნული ახალშენი კოტიორაშიც. ამაზე უნდა მიუთითებდეს ის, რომ კოტიორას ქსენოფონტის „ანაბასისში" უფრო ძველი წყაროები არ იცნობენ. რაც შეეხება ტრაპეზუნტს, იმ სამ ელინურ ქალაქთაგან, რომელთა მეტროპოლიად ანტიკური წყაროები სინოპეს მიიჩნევენ, ქსენოფონტი მხოლოდ მას უწოდებს მჭიდროდ დასახლებულ ქალაქს (πόλις οἰκουμένη).[133] ეს გარემოება შეიძლება იმის მაჩვენებელი იყოს, რომ ტრაპეზუნტი, ხსენებულ ქალაქებთან შედარებით, უფრო ძველი ქალაქი იყო.

გაცილებით ძნელი დასადგენია, როდის ჩაეყარა საფუძველი ბერძნულ საგაპრო ფაქტორიას ქ. ფასისში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. საისტორიო ტრადიციის თანახმად, აქ ახალშენის დამაარსებელია ქ. მილეტი: პომპონიუს მელა ქ. ფასისის ოიკისტად თემისტაგორე მილეტელს ასახელებს[134],

---

[127] М. И. Маскимова, დასახ. ნაშრომი, გვ. 36, 37, 43.

[128] Дж. Хайнд, დასახ. ნაშრომი, გვ. 185.

[129] Дж. Хайнд, იქვე, გვ. 187.

[130] ს. ყაუხჩიშვილი, გეოგრაფია, ტ. III, 1936, გვ. 289.

[131] В. В. Латышев, SC, стр. 86.

[132] ანაბასისი, V, 3, 2.

[133] ანაბასისი, IV, 3, 22.

[134] ВДИ, № 1, 1949, გვ. 274. თემისტაგორე, ფასისის მილეტელი ოიკისტი აკად. ს. ყაბიელოვს აგორებს მილეტის ძვ. წ. 521—520 წლების ნუსხებში მოხსენიებულ *Θεμισταγόρης Δεμητρίου* (იხ. С. А. Жебелев, Северное Причерноморье, 1953, გვ. 71, შნშ. 1), მაგრამ ასეთი გაიგივებისათვის სახელთა დამთხვევის მეტი სხვა საფუძველი არ არსებობს. თემისტაგორეს, მელას გარდა, არც ერთი ჩვენთვის ცნობილი წყარო არ იცნობს. მაგრამ, შეუძლებელია იგი პომპონიუს მელას შეეთხზა. როგორც ჩანს, მელა რომელიღაც ძველ წყაროს ემყარება. ამას გვაფიქრებინებს სხვა მწერლების ცნობები, რომელთა მიხედვით ფასისი მილეტელების მიერ დაარსებული კოლონიაა. ძვ. წ. III ს. ბუკოლიკური პოეტის თეოკრიტეს სქოლიასტი გვატყობინებს: „ფასისი-მდინარე და მისი მოსახელე ქალაქი კოლხეთში. (ამ ქალაქში) ცხოვრობენ ელინები მილეტელი მოახალშენეები" (იხ. SC, 1, გვ. 397). მილეტელები, როგორც ზემოთ გვქონდა ნაჩვენები, ფასისის მცხოვრებლებად მიაჩნია აგრეთვე ძველი წ. მე-4 სს. მწერალს ფსევდო-ჰერაკლიდე პონტოელსაც.

როგორც ჩანს, მილეტი კვლავ ცდილობს შავიზღვისპირეთის კოლონიზაციაში არ დათმოს ინიციატივა. როდის უნდა ჰქონოდა მილეტს საამისო შესაძლებლობა? ძვ. წ. 494 წ. სპარსელებმა მილეტი გაანადგურეს და მისი საკოლონიზაციო საქმიანობა შეწყდა[135]. მაგრამ უკვე ძვ. წ. V ს. შუახანებში მილეტი ატიკა-დელოსის სიმაქიის წევრია. როგორც ჩანს, იგი ამ დროისათვის კვლავ აღორძინდა. ძნელი სათქმელია, სიმაქიაში ყოფნის დროს, სიმაქიაში, რომელიც მალე ათენის არქეში გადაიზარდა, მიეცემოდა თუ არა მილეტს კოლონიების დაარსების საშუალება. როგორც ცნობილია, ათენმა თავის მოკავშირეებზე გაბატონებისთანავე სპვასთან ერთად საკოლონიზაციო მონოპოლიაც იგდო ხელთ, რამაც გამოიწვია მოკავშირეთა (ნაქსოსი და თასოსი) აჯანყება. აჯანყების მიზეზი გახდა, სწორედ, ათენელების მიერ თრაკიაში მდ. სტრიმონის აუზის კოლონიზაცია. ამიტომ, საფიქრებელია, რომ მილეტი საკოლონიზაციო საქმიანობის განახლებას შეძლებდა მხოლოდ მაშინ, როდესაც დაიწყო რღვევა ათენის საზღვაო სახელმწიფომ და იგი (აგრეთვე ლესბოსი, ქიოსი და სხვ.) გაუდგა ათენს. ეს ხდება ძვ. წ. V ს. მიწურულში სიცილიის ცნობილი კატასტროფის შემდეგ. ასეთი ვარაუდი დასტურდება ფასისის შესახებ არსებული მონაცემებითაც.

ქ. ფასისზე უძველესი ცნობა მოიპოვება ძვ. წ. IV საუკუნის ფსევდოსკილაქს კარიანდელის პერიპლუსში, სადაც ნათქვამია: „ფასისი მდინარე და ფასისი ქალაქი ელინური“[136]. ამ ცნობის მიხედვით ძნელი გასარკვევია, როდის დაარსდა ფასისში ბერძნული ახალშენი, ე. ი. როდის იქცა ფასისი ელინურ ქალაქად. ცხადია მხოლოდ ერთი, რომ ძვ. წ. IV ს. შუახანებში იქ უკვე ბერძნული ფაქტორია არსებობს. საგულისხმოა, რომ არც ჰეკატე მილეტელი და არც ჰეროდოტე ქ. ფასისს არ ახსენებენ. თუ ეს შემთხვევითი არ არის, ძნელი წარმოსადგენია, რომ ძვ. წ. V ს. შუახანებამდე ფასისი არა თუ მილეტელების კოლონია ყოფილიყო, როგორც ეს ტრადიციულადაა მიჩნეული, არამედ იქ მილეტელთა სავაჭრო ფაქტორია არსებულიყო და ამის შესახებ არაფერი სცოდნოდათ მილეტელ ისტორიკოსს ჰეკატეს და ჰეროდოტეს, რომელიც სპეციალურ ინტერესს იჩენდა კოლხეთისადმი. ესა და ზემოთ აღნიშნული გარემოება თითქოს უფრო იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ფასისში ბერძნული ახალშენი შეიძლება დაარსებულიყო ძვ. წ. V—IV სს. მიჯნაზე, მაგრამ ამ მხრივ ანგარიში უნდა გაეწიოს უკანასკნელ წლებში მდ. ფასის-რიონის ქვემო წელზე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებსაც[137]. საქმე ისაა, რომ მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე ბორცვ „სიმაგრეზე“ დადასტურებულ, ძველ ფასისთან უშუალოდ დაკავშირებულ ნამოსახლარზე, როგორც წინა თავში აღვნიშნავდით, ადგილობრივ ნაწარმთან ერთად ბერძნული იმპორტიც აღმოჩნდა. ამ იმპორტული ჭურჭლის ყველაზე ადრეული ნიმუშებია არქაული, წითელი საღებავებით შეღებილი მაღალყელიანი და სქელკედლიანი ამფორა მასიური ლილვისებური გვირგვინით (ტაბ. XIII$_1$), როზეტიანი კილიკები და მასრიანი, შიგნითკენ გვერდგადაკეცილი ჭრაქები (ტაბ.

---

[135] შდრ. С. А. Жебелев, Северное Причерноморье, стр. 55; М. М. Кобылина, Милет, М., 1965, стр. 35, 36, შდ.

[136] В. В. Латышев, I, გვ. 86.

[137] ამ შედეგების შესახებ იხ. ჩვენი ანგარიშები, რომლებიც შემოკლებით დაბეჭდილია საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილი სესიების მოხსენებათა მოკლე შინაარსებში; იხ. ეს მოკლე შინაარსები, თბ., 1962, 1964, 1965, 1966 წ.

XIII$_2$ და $_3$). ეს მასალა შედარებით ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოებში თავსდება. ჩვენთვის ხელმისაწვდომი პარალელების მიხედვით იგი არ სცდება ძვ. წ. VII ს. სულ ბოლოსა და VI ს. პირველ ნახევარს და ამრიგად საქართველოში აღმოჩენილი ბერძნული ნაწარმის ერთ-ერთ ყველაზე ძველ ჯგუფს შეადგენს.

საკითხავია, რისი მაჩვენებელი შეიძლება იყოს ეს მასალა, ადრეული სავაჭრო ურთიერთობისა, რომელიც შეიძლება შემთხვევიდან შემთხვევამდე ხორციელდება მხოლოდ, თუ რეგულარულისა, რომელიც შეიძლება განხორციელებულიყო ქ. ფასისში არსებული ბერძნული ფაქტორიის მეშვეობით. პირველი შესაძლებლობის სასარგებლოდ მეტყველებს საძიებელი მასალის ერთიანდენობრივი სიმცირე, მეორის სასარგებლოდ კი — ის გარემოება, რომ მილეტს ფასისში, როგორც დავინახეთ, სავაჭრო ფაქტორიის დაარსება შეეძლო, მართალია, V საუკუნის დასასრულის შემდეგაც, მაგრამ ძვ. წ. VI საუკუნეშიც, როცა ის განსაკუთრებით ფართო საკოლონიზაციო მოღვაწეობას ეწევა. ამ დროისათვის ის იყო შავიზღვისპირეთის მრავალი ქალაქის მეტროპოლია[138]. მილეტს იმიტომ ვახსენებთ, რომ ზემოხსენებული ბერძნული საისტორიო ტრადიციის მიხედვით ფასისში მილეტელები ცხოვრობდნენ და ამ ტრადიციას არ შეიძლება, როგორც ჩანს, ანგარიში არ გაეწიოს. მიუხედავად იმისა, რომ ძნელია გადამეტებით შეფასება იმ დიდი მნიშვნელობისა, რომელიც არქაული იმპორტული ჭურჭლის აღმოჩენებს აქვს ჩვენი მეცნიერებისათვის, ის, რაც დღეისათვის მოგვეპოვება, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს საკმარისი ქ. ფასისში ბერძნული სავაჭრო ფაქტორიის დაარსების დროის განსაზღვრისათვის; მით უმეტეს, რომ ეს მასალა ფასისში ბერძნული ფაქტორიის არსებობის შესახებ ვერ გვაწვდის ისეთ უტყუარ მონაცემს, როგორსაც ცნობილი ზუბოვსკის თასი თავის წარწერით: „ვეკუთვნი აპოლონს, მეუფეს, ფასისში რომაა". როგორც ცნობილია, აღნიშნული ჭერცხლის თასი აღმოჩნდა ზუბოვსკის ხუტორზე ყუბანისპირეთში ძვ. წ. I საუკუნის ყორღანში, მაგრამ თასის ბერძნული წარწერის პალეოგრაფიის, ორთოგრაფიისა და იონური დიალექტის (იონური ფორმა φάσι) მიხედვით მას ძვ. წ. V საუკუნის დასასრულითა და IV ს. დასაწყისით ათარიღებენ[139]. ზუბოვსკის თასის წარწერა უტყუარი მაჩვენებელია იმისა, რომ ძვ. წ. V ს. დასასრულისათვის ფასისში აშკარად არსებობს ბერძნების ფაქტორია, ისევე როგორც ასეთივე ფაქტორიების არსებობის დამადასტურებელია ადგილობრივი მოსახლეობის სასაფლაოდან გამოჭნული ბერძნული ნეკროპოლი ფიჭვნარში და ცნობილი, აშკარად ბერძნული, საფლავის ქვა სოხუმში.

ამრიგად, ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევარი თუ არა, შუახანები მაინც უნდა ჩაითვალოს იმ მიჯნად, რომლის შემდგომაც ნაკლები რისკით შეგვიძლია ვილაპარაკოთ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის კოლონურ ქალაქებში ბერძნული მოსახლეობის არსებობის შესახებ. ასეთივე ვითარებაა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ჩრდილო ნაწილში.

ამ არსებულ ქალაქთაგან ამ ჭრიოვ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გიენოსი და დიოსკური. პირველზე ჩვენ არ შევჩერდებით, რადგან სულ ცოტა ხნის წინ გიენოსის შესწავლის ისტორიაცა და იქ მოპოვებული მასალის დე-

---

138 М. М. Кобылина, Милет, зд. 5.

139 К. Е. Думберг, Раскопки курганов на Зубовском хуторе в Кубанской области, ИАК, вып. I, 1901, зд. 98—100.

ტალური ანალიზი დაბეჭდილია[140], მეორის შესახებ კი ზოგი მოსაზრების გამოთქმა გვსურს.

ანტიკური ტრადიცია დიოსკურის დაარსების იაზონის თანამგზავრებს, ტყუპ ძმებს დიოსკურებს (კასტორსა და პოლიუქსს) უკავშირებს. როგორც ჩანს, ხსენებული ტრადიციის გავლენით ყველა, ვინც კი დიოსკურის საკითხს შეეხებია, ამ ქალაქის სახელწოდება დიოსკურებთან დაკავშირებით აქვს განხილული. ამ საკითხს ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში საგანგებო წერილი უძღვნა ი. ორბელმა. მისი აზრით, სახელწოდება Διοσκαρίας აშკარად ბერძნულია, ბოლო იდეა, რომელიც საფუძვლად უდევს ამ სახელს, შეიძლება ადგილობრივი იყოს და ამდენად ბერძნების მიერ ნასესხები[141]. ამ მოსაზრებაზე დამყარებით ავტორი წყაროებში დამოწმებულ სახელს „ცხუმი“ და მის მეგრულ-ჭანურ ვარიანტს „ჩხუმი“ უკავშირებს ქართულ სიტყვას „ტყუპი“ და ასკვნის, რომ „ცხუმი“ — „ჩხუმი“ ნიშნავს „ტყუპს“ და ზუსტად შეესაბამება ბერძნულ „დიოსკურიას“; აქედან „ლეჩხუმი ნიშნავს „ტყუპების ქვეყანას“ და ა. შ.[142]. ასეთი დაპირისპირების საფუძვლად ავტორს მიაჩნია ისიც, რომ ბერძნებს შეეძლოთ ცხენის აღმნიშვნელი ქართული სიტყვა „ჰუნე“ დაეკავშირებინათ დიოსკურიის გარშემო მცხოვრები ჰენიოხების სახელწოდებისათვის და უკანასკნელნი გაეაზრებინათ, როგორც დიოსკურების მეეტლეები[143].

პ. ინგოროყვას სახელწოდება „დიოსკურია“ მიაჩნია ადგილობრივი სახელის „ტყუბუნი“ ბერძნულ თარგმანად. ავტორი ამ სახელში (რომელიც სოხუმის ახლოს არის დამოწმებული) სდებს ტყუპის შინაარსს და უკავშირებს დიოსკურების ბერძნულ ლეგენდას[144].

ამ ბოლო დროს დიოსკურიადის ტოპონიმიის საკითხს შეეხო ი. შენგელია. ავტორი კვლავ იმეორებს ტყუპების იდეას, ოღონდ ტყუპი დიოსკურების ლეგენდა დაჰყავს ტყუპ კაბირთა კულტამდე, რომელიც გაბატონებული იყო, კერძოდ, მილეტში. ეს ავტორს ნიშანდობლივად მიაჩნია, რადგან, მისი აზრით, რაკი დიოსკურისი მილეტელების დაარსებული კოლონია იყო ჯერ კიდევ ძვ. წ. VII ს-ში ახალშენში იგივე რელიგიური კულტი უნდა არსებულიყო, რაც მეტროპოლიაში; თუმც ავტორი არ გამორიცხავს ამ კულტის ადგილობრივ წარმომავლობასაც[145].

---

140 იხ. ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 54, 55 შმდ., 81, 82.

141 И. О р б е л и, Город близнецов Διοσκουριάς и племя возниц 'Ηνιοχοί, ЖМНП, 1911, V, стр. 202.

142 ი ქ ვ ე, გვ. 202 და შმდ.; პირველ თავში ნაჩვენები იყო, რომ ტერმინი „ლეჩხუმი“ აიხსნება სვანური ლექსიკური მონაცემების საფუძველზე: „ცხვუმ“ „ცხვიმ“ სვანურად რცხილას ნიშნავს, ხოლო „ლეცხუმ“ — რცხილნარს (იხ. მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, რაჭულ-ლეჩხუმური ტოპონიმიკური მასალები, ქუთაისი, 1958, გვ. 151). სახელწოდება „სუხუმის“ შესახებ გამოთქმული აქვს თავისი მოსაზრებანი ვ. სიხოვსაც, კერძოდ იგი წერს: «Местность «Гумо» у слияния реки Гумо с Гумистой, связана с историей христианства... Весьма вероятно, что от этой местности «Гумо» происходит и самое название города Сухума в той форме, в которой это название встречается у некоторых писателей, т. е. форме «Сагума». ამ სიტყვაში „სა“ ავტორს მიაჩნია ქართულ პრეფიქსად და ასკვნის, რომ ამ სახელწოდების წარმოშობა დაკავშირებული უნდა იყოს ამ მხარეში ქართველთა დამკვიდრებასთან (იხ. МАК, II, 1889, გვ. 48—50).

143 ი ქ ვ ე, გვ. 212, 215.

144 პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 146—147.

145 ი. შ ე ნ გ ე ლ ი ა, დიოსკურიადის ტოპონიმის საკითხისათვის. საქ. მეცნ. აკად. მოამბე, XXX, № 6, 1963, გვ. 821—827.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოსაზრებანი დამკვიდრებულია ჩვენს მეცნიერებაში, ვფიქრობთ, ისინი მაინც მოითხოვენ გადასინჯვას.

ჯერ კიდევ პ. უსლარი არ გამორიცხავდა შესაძლებლობას, რომ „დიოსკურია" ადგილობრივი სახელია და რომ ბერძენი დიოსკურების სახელთან მისი ბგერითი სიახლოვის (созвучие) გამო მილეტელებმა ამ ქალაქის დაარსება დიოსკურებს მიაწერეს[146]. პ. უსლარი მართებულად ასკვნიდა, რომ საკითხი — საძიებელი სახელწოდება ადგილობრივია, თუ მილეტელების მიერაა შემოტანილი — უნდა გაირკვეს ადგილობრივ (туземных) ენათა მეშვეობით[147]. ვფიქრობთ, რომ ეს არის ერთადერთი სწორი გზა, რომლითაც უნდა წარიმართოს კვლევა-ძიება.

ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს უძველესი ფსევდოსკილაქს კარიანდელისეული პერიპლუსის შემდეგი ცნობა: „კოლხები. მათ[148] შემდეგაა კოლხები ხალხი და დიოსკურისი ქალაქი, აგრეთვე გვიენოსი ელინური ქალაქი" (...Κόλχοι. Μετὰ δε τούτος κόλκοι ἔθνος καὶ Διοσκουρίς πόλις καὶ Ὑηνός πόλις ἑλληνις).[149] როგორც ვხედავთ, ციტირებულ ცნობაში დიოსკურისზე არ არის აღნიშნული, ვისი ქალაქია იგი, მაშინ როდესაც გვიენოსზე ხაზგასმითაა მითითებული—ელინური ქალაქიაო (Ὑηνός πόλις ἑλληνίς). მსაზღვრელი ἑλληνὶς რომ დიოსკურისსაც ეკუთვნოდეს, მაშინ იქნებოდა: Διοσκουρίς καὶ Ὑηνὸς πόλεις ἑλληνίδες, ე. ი. მსაზღვრელი და საზღვრული რიცხვში იქნებოდა შეთანხმებული საერთო წესის მიხედვით და როგორც ამას ამავე პერიპლუსში სხვა ადგილას ვხედებით[150]. მეორე მხრივ, დიოსკურიაზე პერიპლუსში არც ისაა ნათქვამი, რომ იგი ადგილობრივი (resp. ბარბაროსული) ქალაქია მაშინ, როდესაც იმავე (81-ე) პარაგრაფში ავტორი მდ. ფასისზე უთითებს ქალაქს (თუმც არ იძლევა მის სახელს), საიდანაც მედია იყო და მას დიდი ბარბაროსულ ქალაქს უწოდებს[151].

ბ. ინაბენ მიაქცია ყურადღება იმას, რომ ფსევდო-სკილაქსის მიერ დიოსკურისი ელინურ ქალაქად არ არის მიჩნეული. იგი წერს: „ფსევდო-სკილაქსი ელინურს არ უწოდებს ბოლოდ ერთ ქალაქს კოლხეთის სანაპიროზე, სახელდობრ, დიოსკურიას, მაგრამ ეს სიტყვა (ელინური), ჩვენი აზრით, შემთხვევით უნდა იყოს გამორჩენილი ტექსტში"[152]. თუ ფსევდო-სკილაქსის ტექსტს ჩავეკვირდებით, გაძნელდება აღნიშნული დებულების გაზიარება: ჯერ ერთი, ფსევდო-სკილაქსი საძიებელ ქალაქს დ ი ო ს კ უ რ ი ა ს კი არ უწოდებს, არამედ დ ი ო ს კ უ რ ი ს, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს. მეორე მხრივ, ყურადღებას იქცევს ფსევდო-სკილაქსის ტექსტის 83-ე პარაგრაფი, სადაც ნათქვამია: ეკეკირიელების ქვეყანაში არის ქალაქი ლიმნე (Λίμνη πόλις) და ელინური ქალაქი ოდეინიოსი (Ὠδείνιος πόλις ἑλληνές).[153] როგორც ვხედავთ,

---

146 П. К. Услар, Древнейшие сказания о Кавказе, Сборник сведений о кавказских горцах, X, Тифлис, 1881, გვ. 390.

147 П. К. Услар, დასახ. ნაშრომი, გვ. 391.

148 იგულისხმება გელონები (γέλωνες).

149 В. В. Латышев, SC, გვ. 85—86.

150 შდრ SC, გვ. 85, § 72.

151 „...ἀνάπλους 'ανὰ τὸν ποταμὸν σταδίον ρπ' εἰς πόλιν (μέλην) μεγάλην βάρβαρον ὄθεν 'η Μήδεια ἦν" (SC. გვ. 86).

152 ბ. ინაბენ, ანტიკური ხანის კოლხეთის ზღვისპირა ქალაქების თვითმმართველობის საკითხისთვის, აკადემიის მოამბე, ტ. 21, № 2, 1958, გვ. 241, შნშ. 1.

153 В. В. Латышев, SC., ტ. 1, გვ. 86.

-აქაც ზუსტად ისეთი კონტექსტი გვაქვს, როგორც იმ პარაგრაფში, რომელშიც დიოსკურისზეა საუბარი. ცხადი უნდა იყოს, რომ მსაზღვრელი „ელინური“ არ შეიძლება ორგან იყოს შემთხვევით გამორჩენილი, უფრო საფიქრებელია, რომ პერიპლუსის ავტორი ასხვავებს ერთიმეორისაგან ელინურ და არაელინურ ქალაქებს, რაკი ერთ შემთხვევაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ რომელიმე გვიანწოსი ანდა ოდეინოსი ელინური ქალაქებია, ხოლო მათთან ერთად დასახელებული დიოსკურისი და ლიმნე უბრალოდ ქალაქებად მოიხსენებიან, ამასთან არა ერთგან, არამედ ნაწარმოების სხვადასხვა ადგილას, შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს სხვადასხვა მხარეთა აღწერის დროს, ბუნებრივი იქნება (დიოსკურისი და ლიმნე არაელინურ ქალაქებად მივიჩნიოთ.

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საძიებელი ქალაქის სახელწოდების ფსევდო-სკილაქსის პერიპლუსში დაცულ ფორმას Διοσκουρίς იმ α ფორმანტის გარეშე (შდრ. Διοσκουριάς), რომლითაც გადმოცემს ამ სახელს ყველა შემდეგდროინდელი წყარო. ფრიად საგულისხმოა, რომ ფსევდო-სკილაქსის ცნობა უძველესი ცნობაა დიოსკურის შესახებ. ამდენად Διοσκουρίς წინააღმდეგ გვიანდელ წყაროებში დამკვიდრებული ფორმისა Διοσκουριάς, უნდა იყოს პირვანდელი და ამასთან ადგილობრივი ფორმა ამ სახელწოდებისა, მით უმეტეს, რომ მას არაელინური ქალაქი ატარებდა.

სახელწოდებაში Διοσκουρ-ίς ყურადღებას იქცევს სიტყვა „სკური“[154]. ეს უკანასკნელი ძალიან უახლოვდება სოხუმთან ახლოს ჩამავალი მდინარის სახელს „სკურჩა“ და ამ მდინარის შესართავთან მდებარე კონცხის სახელს „ისკურია“. ი. ორბელის აზრით, ამ სახელწოდებაში მოისმის უძველესი ბერძნული სახელის „დიოსკურიას“ გამოძახილი, რომელიც დარჩა ხალხურ მეხსიერებაში[155]. თუ ეს მართლა ასეა, მაშინ საკითხავია, რატომ სრული სახით არ არის დაცული ადგილობრივ ნომენკლატურაში ეს სახელწოდება. მაგრამ საქმეც ისაა, რომ როგორც ადგილობრივი ტოპონიმიის ანალიზი გვიჩვენებს, სიტყვა „სკური“ ზოგადი მნიშვნელობის ტერმინი ჩანს და იგი გვხვდება როგორც დამოუკიდებლად, ისე ნაწარმოებ სახელებში. ამ ტერმინის და მისგან ნაწარმოები სახელების ფართო გავრცელება დასავლეთ საქართველოში და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ამასთან ქვეყნის შიდა რაიონებში, რომელნიც ასცდნენ ელინიზაციის პროცესს, მიუთითებს იმაზე, რომ იგი ადგილობრივი წარმოშობისაა.

ს კ უ რ-ფუძიან სახელებს ვხვდებით: ჭანეთში — რიზეს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ფორტინადერის ზემო წელზე ერთ-ერთ სოფელს მ ე ლ ე ს კ უ რ ი ეწოდება[156]; აჭარასა და გურიაში — მაჭახელას წყლის შენაკადია მდ. ს კ უ რ ი დ ი დ ი, მდ. კინტრიშის შუაწელთან მდებარე მთას ს კ უ რ დ ა

---

[154] სხვათა შორის, ს. ჯანაშია გაკვრით აღნიშნავდა: ბერძნული დიოსკურია „. . . უძველესი სახელია, იქნებ არა წმინდა ბერძნული წარმოშობისა, არამედ გაბერძნულებული: მიაქციეთ ყურადღება სახელწოდების მეორე ნახევარს, სადაც შეიძლება გვქონდეს ცნობილი მეგრული ტოპოგრაფიული ტერმინი „სკური“ (იხ. მისი, თუბალ-თაბალი, „ენიმკის მოამბე“, ტ. I, 1937, გვ. 196).

[155] И. О р б е л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 202.

[156] ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, ჭანეთში მოგზაურობა, ენიმკის მოამბე, ტ. I, 1937, გვ. 171.

ჰქვია[157], ბათუმის მიდამოებში დამოწმებულია სახელი ს კ უ რ ა და ს კ უ რ-ჩ ა[158]. მდ. ნატანების ქვედა შენაკადის სახელის ორი ვარიანტია დაცული — ს კ უ რ დ ი ბ ი[159] და ს კ უ რ დ უ ბ ი[160]; სამეგრელოში — ზუგდიდის მახლობ-ლად სასამნე ადგილს ს კ უ რ ი ეწოდება[161], ზუგდიდისა და ცხაკაიას (სენაკის) რაიონებში მდინარეთა სახელწოდებანი ასეთ ვარიაციას იძლევა: ს კ უ რ ჩ ა (ცხაკაია), ს კ უ რ ჩ ე, ს კ უ რ ჩ ე ლ ა, ს კ უ რ ჩ ა ლ ი (ზუგდიდი)[162], ხობის რაიონში არის სოფელი ხ ა მ ა ს კ უ რ ი; იმერეთში — ქუთაისის რაიონში არის მდინარე ს კ უ რ დ უ ლ ა, ქუთაისის ახლოს ჩამოდის მდინარე ო ღ ა ს კ უ რ ი, ამავე სახელს ატარებს ქუთაისის ერთი უბანიც. ქუთაისის რაიონში დამოწმე-ბულია კიდევ ერთი სახელწოდება ხ ა ლ ა კ უ რ ი[163], დასასრულ, აფხაზეთში სოხუმის მახლობლად გვაქვს ს კ უ რ ჩ ა და ი ს კ უ რ ი ა.

როგორც ვხედავთ, ს კ უ რ-ფუძიანი სახელების გავრცელების ფარგ-ლები მოიცავს — საქართველოს და საქართველოს-დასავლეთით ჭოროხის შუადინებას. და რიზეს მხარეს, ჩრდილოეთით სოხუმის რაიონს და აღმოსავლეთით სამეგ-რელოსა და იმერეთს, ვიდრე ქ. ქუთაისის მიდამოებამდე. მაშასადამე, ეს ტო-პონიმიკური ტერმინი გავრცელებულია იმ ტერიტორიაზე, სადაც იმთავითვე და-დღემდე მეგრულ-ჭანური მოსახლეობა ბინადრობდა. ხოლო (მაგ., ფურია, იმე-რეთი, სოხუმის მიდამოები), სადაც გვიან ხანებში მეგრულ-ჭანურ მოსახლეო-ბას ვერ ვხვდებით და ეს ტერმინი კი დამოწმებულია, უკანასკნელი, სხვა-ცნობილ ტოპონიმიკურ ტერმინებთან ერთად, მოცემულ მხარეებში ოდესღაც მეგრულ-ჭანური მოსახლეობის არსებობის მაჩვენებელია. მეორე მხრივ, ეს გა-რემოება ს კ უ რ—ფუძიანი სახელების დიდ სიძველეზე მიუთითებს.

ზემოთ წარმოდგენილი მასალის მიხედვით ნათელი უნდა იყოს, რომ ს კ უ რ — სიტყვა ერთ შემთხვევაში თუ დასახლებული პუნქტების სახელს აწარმოებს (მაგალითად, ხ ა მ ა ს კ უ რ ი — სამეგრელოში, მ ე ლ ა ს კ უ რ ი — ჭანეთში), იგი გვხვდება აგრეთვე ადგილის აღმნიშვნელ სახელებში (მაგალი-თად, ს კ უ რ ი — სასამნე ადგილი სამეგრელოში, ო ღ ა ს კ უ რ ი — ქუთაისში) და მდინარეთა სახელწოდებებში. ეს გარემოება აძლევს ამ სიტყვის კონკრე-ტული შინაარსის გარკვევას[164]. ცხადია მხოლოდ, რომ იგი ზოგადი მნიშვნე-ლობის ტოპოგრაფიული ტერმინია.

რაც შეეხება სახელწოდება „დიოსკურის“ პირველ ნახევარს — დ ი ო, მისი გაგება ჭირს: ძალუნებურად გვებადება აზრი — ხომ არ შეიძლება რაიმე კავშირი არსებობდეს ამ სიტყვასა და ქართველურ დ ი ა-ს შორის[165].

---

157 შდრ. Д. Д. П а г и р е в. Алфавитный указатель к пятиверстной карте Кавказского края, КОИРГО, XXX, Тифлис, 1913, стр. 226.

158 ი ქ ვ ე.

159 Лоция Черного и Азовского морей, Николаев, 1892, стр. 323.

160 Д. Д. П а г и р е в, იქვე, გვ. 226.

161 ი ქ ვ ე.

162 ი ქ ვ ე.

163 ი ქ ვ ე, გვ. 259.

164 მარის მიხედვით, „სკურ“ სიტყვა ნიშნავს „დასახლებულ ადგილს“, „სოფელს“, „ქა-ლაქს“ ან „ქვეყანას“. ავტორი ცდილობს ეს სიტყვა დააკავშიროს ტერმინთან, რომელიც შუმე-რულში „ქვეყანას“ აღნიშნავს (იხ. Н. Я. М а р р, Абхазоведение и абхазы, Избранные работы, т. V, 1935, 163).

165 ანალოგიური მოსაზრება გამოთქმული ჰქონდა ლ. სოლოვიოვს, რომლის მიხედვით დ ი ა-ს კ უ რ ი ნიშნავს „ქალაქების დედას“ ან „მდინარეების დედას“ (იხ. Ბ ი ს ი, Диоскурия, Себастополис. Цхум, Труды Абх. Гос. М у з е я, I, 1947, გვ. 104).

ეს უკანასკნელი დამოწმებულია ისეთ არქაულ ტერმინებში, როგორიცაა დ ი ა-ს ა ხ ლ ი ს ი, დ ი ა კ ე უ ლ ი. ასეთ ვარაუდს მხარს უჭერს ისტორიული მასალაც. როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, სამხრეთ-აღმოსავლეთ ზღვისპირეთში დიდად იყო გავრცელებული ღმერთთა დედის კულტი. მეორე მხრივ, კოლხეთსა და მის მიმდგომ მხარეებში გაბატონებული იყო წყლისა თუ მდინარეთა ღმერთის კულტიც, რომელშიც, როგორც ჩანს, ღმერთთა დედის იდეაც იყო განსახიერებული. ამ ღვთაების გამოსახულება, რომელსაც არიანე ქალღმერთ ფ ა ს ი ა ნ ს უწოდებს, უნახავს მას ფასისის შესართავთან. არიანეს მიხედვით, იგი ღმერთების დედას რეას გავს, მაგრამ იგი არ ამბობს, რომ ის რეაა[166].

მცირეაზიური, ან როგორც ბერძნები უწოდებენ, ფრიგიული ღმერთთა დედის კიბელას კულტის კვალი კარგად შეიმჩნევა არა მარტო ქართულ წარმართულ ზნეჩვეულებებსა და თქმულებებში[167], არამედ საქართველოსა და მისი მეზობელი მხარეების მატერიალური კულტურის ძეგლებშიც[168]. იქნებ არ იყოს გამოსარიცხი შესაძლებლობა, რომ კოლხეთში, სადაც ეს კულტი თუ მისი სახესხვაობა მდინარეთა დედის კულტი ფართოდაა გავრცელებული[169], ერთ-ერთი ქალაქი ღმერთთა დედის ან მდინარეთა დედის სახელს ატარებდეს. მით უმეტეს, რომ ასეთი ფაქტები დამოწმებულია არა მარტო მცირე აზიასა ან საბერძნეთში, არამედ ქართველ ტომებთანაც. ქსენოფონტი გადმოგვცემს, რომ მოსინიკების მთავარ ქალაქს მეტროპოლისი (Μητρόπολις) ეწოდებოდა[170]. მაშასადამე „მეტროპოლისი“ სახელია ქალაქისა და არა მისი მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვა. მაგრამ, ძნელი წარმოსადგენია, რომ მოსინიკების ქვეყნის შუაგულში მთაზე გაშენებულ ქალაქს, რომელიც ამავე დროს მათი საკულტო ცენტრი იყო, ბერძნული სახელი ჰქონოდა. ცხადია, რომ აქ საქმე გვაქვს ადგილობრივი სახელის ბერძნულ თარგმანთან, რომელიც, შეიძლება მოსინიკების პროქსენის ტრაპეზუნტელი ტიმესითეოსის ნახელავიც იყოს[171]. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობი დარჩა, როგორ ეღერდა ეს სახელწოდება მოსინიკების ენაზე, შესაძლებელია, როგორც დ ი ო ს კ უ რ ი, რადგან თარგმანი ნათლად გვიჩვენებს, რომ იგი გამოხატავდა „დედაქალაქობის“ თუ „დედის ქალაქობის“ შინაარსს. ამ მხრივ საგულისხმო განმარტება აქვს მოცემული სტეფანე ბიზანტიელს: „მეტროპოლისი, ფრიგიის (ქალაქი), დაფუძნებული ღმერთთა დედის მიერ (ὑπὸ τῆς μητρὸς τῶν θεῶν), როგორც ამბობს ალექსანდრე[172] წიგნში „ფრიგიის შესახებ“. არის ფრიგიაში მეორე ქალაქი ამავე სახელწოდებით. მესამე ლიდიაშია, მეოთხე თესალიაში, მეხუთე აკარნანიაში — ეთნიკურია „მეტროპოლიტეს“, მეექვსეა დორიებისა. მეშვიდე პონტოში მცხოვრებ მოსინიკებისა. მერვე სკვითიაში. მეცხრე ევბეაზე. მეათე ზემო თესალიაში“[173]. მაშასადამე, საისტორიო ტრადიციის მიხედვითაც ქალაქთა ამგვარი სახელწოდებანი ღმერთების დედის კულტთანაა დაკავშირებული. ამრიგად, თითქოს არის გარ-

---

166 В. В. Латышев, SC, стр. 220.

167 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ქართველი ერის ისტორია, 1913, გვ. 144.

168 Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 252 და შმდ.

169 სხვათა შორის, ძვ. წ. VI—V სს. კოლხურ თეთრებზე სპეციალისტები ცდილობენ დაინახონ ღმერთთა დედის გამოსახულება (იხ. Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 253—254).

170 ანაბასისი, V, 4, 15.

171 ტიმესითეოსის შესახებ იხ. ანაბასისი, V, 4, 2, 4.

172 იგულისხმება ძვ. წ. I ს. მწერალი ალექსანდრე პოლიჰისტორი.

173 ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, III, 1936, გვ. 282.

კვეული საფუძველი სახელწოდების დიოსკური პირველ ნახევარში „დედის“ აღმნიშვნელი სიტყვა მოვიძიოთ, მაგრამ, თუ ამ შესაძლებლობას ჩვენ მაინც ვარაუდის წესით ვაყენებთ, აღნიშნული სახელწოდების მეორე ნახევრის სკური სიტყვის მეგრულ-ჭანურ ტოპოგრაფიულ ტერმინად გააზრება კი სათუოდ არ მიგვაჩნია. ამ შემთხვევაში კოლხეთში ბერძნული სახელწოდების დამკვიდრებასთან კი არ უნდა გვქონდეს საქმე, არამედ პირუკუ პროცესთან: როგორც ჩანს, ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევრიდან ან უფრო გვიან ბერძნებმა ქალაქის ადგილობრივი სახელი, მისი დიოსკურების სახელთან შგერითი სიახლოვის გამო, დიოსკურებს დაუკავშირეს. ბერძნებისათვის ეს ლოგიკურიც იყო, რადგან ძველი ტრადიცია ბევრ არგონავტთაგანს კოლხეთში თუ მის მეზობლად სხვადასხვა ქალაქისა თუ ქვეყნის დაარსებას მიაწერდა.

ამგვარად, თუ ფსევდო-სკილაქსის ცნობებით ვიხელმძღვანელებთ, უნდა მივიღოთ, რომ იმ დროს, როდესაც ბერძენი ზღვაოსნებისათვის იწერებოდა შავი ზღვის უძველესი გზამკვლევი ფსევდო-სკილაქსის პერიპლუსის სახით, ე. ი. ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევრის დასაწყისისათვის, დიოსკური ჯერ კიდევ არ იყო „ელინური“ ქალაქი; მაშასადამე, იქ ჯერ კიდევ არ არსებობდა ბერძების კოლონია. სადღეისოდ არსებული არქეოლოგიური მასალა მაინცდამაინც არ უნდა აზუსტებდეს აღნიშნულ დასკვნას. სოხუმის ძვ. წ. V—IV სს. მასალა არსებითად ადგილობრივ ნაწარმს შეადგენს[174]. მოპოვებულია ანტიკური კერამიკაც (შავლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტები, ამფორები, ამფორისკები), რომელიც უპირატესად ადრეელინისტური ხანისაა[175]. უახლესი გამოკვლევების მიხედვითაც ოჩამჩირე-სოხუმის მიდამოებიდან ცნობილი იმპორტული მასალა, რომელიც ძირითადად ანტიკური ნაწარმოებითაა წარმოდგენილი, არსებითად ძვ. წ. IV ს. განეკუთვნება[176], მაგრამ, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, კერამიკული იმპორტი ყოველთვის ვერ გამოდგება მოცემულ მხარეში ბერძნული მოსახლეობის არსებობის დამადასტურებლად, თუმც ის, რომ აქ, ფაქტიურად, გვიანი ხანის მასალა ჭარბობს, ნიშანდობლივი გარემოებაა თავისთავად.

დიოსკურში ბერძნული ფაქტორიის არსებობის უტყუარ საბუთად მხოლოდ სოხუმის ცნობილი სტელა თუ გამოდგება, რადგან ის წარმოადგენს იმ პირის საფლავის ქვას, რომელიც დიოსკურში დაიმარხა და, როგორც ჩანს, იქ უნდა დამარხულიყო. ამიტომ ის აშკარად მიუთითებს დიოსკურში ბერძნული სასაფლაოს არსებობაზე. სოხუმის სტელა ახლახან დეტალურად შეისწავლა ოთ. ლორთქიფანიძემ და მრავალრიცხოვან პარალელთან შედარებით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ის ძვ. წ. 430—420 წწ. უნდა იყოს დამზადებული[177]. თუ ეს თარიღი რამდენადმე გაზრდილი არ არის, რადგან თვით ავტორის ცნობით, ანალოგიური სტელები, ჩვეულებრივ ძვ. წ. V ს. უკანასკნელ მეოთხედსა და IV ს. დასაწყისს შორის თავსდება, მაშინ დიოსკურში ძვ. წ. V ს. დასასრულისათვის ბერძენი მოსახლეობა უკვე სავარაუდოა.

---

[174] იხ. ა. კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1954; M. Трапш, Некоторые итоги археологического исследования в Сухуми 1951—53 гг.; CA, 23, 1955, стр. 207—277; შდრ. ოთ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 60, 61, 62.

[175] ა. კალანდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 27, 28 და შმდ.

[176] ოთ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 80, 81, 82. გასულ წელს ეშერში მიკვლეულია ეონური ჭურჭლის რამდენიმე ნატეხი, რამაც შეიძლება რამდენადმე დააძველოს ჩრდილოეთ კოლხეთში ბერძნული იმპორტის შემოტანის თარიღი.

[177] ოთ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 104.

წარმოდგენილი მასალის საფუძველზე შესაძლებელი გახდა უძველეს ხანაში ქართველი ტომების და ბერძნული სამყაროს ურთიერთობის ორი, ა ქ ე უ რ ი და ე ლ ი ნ უ რ ი პერიოდის გამოყოფა. თუ პირველ პერიოდში აქეველთა დროდადრო გამოჩენა შავიზღვისპირეთში მხოლოდ ცალკეული ეპიზოდებია მათ მიერ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ წარმართული ფართო ექსპანსიისა, მეორე პერიოდში, ბერძნული კოლონიზაციის ხანაში, ეს ურთიერთობა სულ უფრო თანმიმდევრული და მიზანდასახული ხდება. კოლონიზაციის პროცესი, ფაქტიურად აქეურ პერიოდში დაიწყო. სხვა საქმეა, რომ იგი ამ დროს ვერ მისწვდა სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს; რისი განხორციელებაც ვერ მოასწრეს აქეველებმა, ის იონელებმა გააკეთეს.

რაც შეეხება ბერძნული კოლონიზაციის თავისებურებებს. ამ მხრივ. ჩვენი ისტორიის თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ბრძოლა, რომელიც მიმდინარეობდა კოლონისტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის.

ადგილობრივმა მოსახლეობამ თავდაპირველად, როგორც ჩანს, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ბერძენ კოლონისტებს. ეს გარემოება არეკლილია თქმულებაშიც არგონავტების შესახებ. მაგრამ მოსული კოლონისტების წინააღმდეგ ადგილობრივი მოსახლეობის ბრძოლაზე უფრო ნათელ წარმოდგენას ტროას ომი გვიქმნის. ეს ომი განსაკუთრებით იმითაა საინტერესო, რომ მასში მონაწილეობას იღებენ სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ხალხები, მათ შორის ქართველი ტომები, რომელნიც ირაზმებიან ტროელთა გარშემო. ეს ინტერესთა ერთიანობა სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ხალხებისა და მათი დაპირისპირება ბერძნული სამყაროს მიმართ აისახა არა მარტო „ხომალდთა კატალოგში", არამედ ჰეროდოტეს შრომაში დაცულ ლეგენდაშიც. ამ ლეგენდის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ აზიასა და ელადას შორის მშვიდობა იყო ჩამოვარდნილი, ელინებმა მაინც არ მოისვენეს, ილაშქრეს აიაკოლხეთში, სისრულეში მოიყვანეს თავისი განზრახვა, შემდეგ მოიტაცეს მეფის ასული მედეა და დაბრუნდნენ უკან. მეორე თაობაში მეფე პრიამის ძემ ალექსანდრემ მოიტაცა ელადიდან ელენე... ელინებმა მოსთხოვეს ტროელებს ელენეს დაბრუნება და მისი მოტაცებისათვის საურავის გადახდა. ტროელებმა უპასუხეს, რომ ელინებს არც მედეას დაბრუნება უფიქრიათ და არც საურავის გადახდა მისი მოტაცებისათვის და ამიტომ ელენეს დაბრუნებაზე უარი განაცხადეს. ამის გამო ელინებმა მოაწყვეს ლაშქრობა და გაანადგურეს პრიამის სამეფო[178].

როგორც ვხედავთ, რომელიღაც ძველი ტრადიციის თუ მიღებული შეხედულების თანახმად, ჰეროდიტემ რომ შემოგვინახა, ტროელები და კოლხები ერთ ბანაკში არიან, ერთი ორიენტაციის ხალხებია, რომელნიც ბერძნებს უპირისპირდებიან[179]. ფიქრობენ, რომ ამ ლეგენდაში არეკლილია ბრძოლა მერმინდელი საბერძნეთის წინაბერძნულ მოსახლეობასა და ახალმოსულ ბერძნებს შორის[180]. მაგრამ უფრო მართებული იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ მოცემულ თქმულებაში აისახა შავიზღვისპირეთის ხალხების ბრძოლა ეგეოსელი კოლო-

---

178 Herod., I, 2—4.

179 ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ჰეროდოტეს „ისტორიის" I, 2—3 თავი და ჰომეროსის „ხომალდთა კატალოგი", უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXXIV, თბ., 1948, გვ. 370—371.

180 ი ქ ვ ე, გვ. 371.

ნისტების წინააღმდეგ. ასეთი ინტერპრეტაცია თქმულებისა ნათელს ჰფენს იმ საფუძველს, რომელზეც აღმოცენდა ტროელთა და შავიზღვისპირეთის მოსახლეობის, მათ შორის ჰალიძონ-ხალიბების, მოკავშირეობა აქეველთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

კიდევ უფრო მძაფრდება ბრძოლა კოლონისტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ელინური კოლონიზაციის დროს. ახლა უკვე აშკარად ვლინდება კოლონიური არსი ამ მოძრაობისა. ამ მხრივ შესანიშნავი ცნობაა დაცული ქსენოფონტის „ანაბასისში", რომელშიც მოყვანილია სინოპეს ელჩის ჰეკატონიმეს სიტყვა. ჰეკატონიმე მიმართავს მოქირავნეებს: „კოტიორელები ჩვენი კოლონისტები არიან: ჩვენ მათ გადავეცით ქვეყანა, რომელიც ბარბაროსებს[181] წავართვით. ამის გამო ისინი, ისევე როგორც კერასუნტელები და ტრაპეზუნტელები, ბეგარას გვიხდიან. ამიტომ მათ მიმართ ცუდის ჩადენას ქალაქი სინოპე თავის შეურაცხყოფად მიიჩნევს"[182].

საგულისხმოა, რომ სინოპელი ელჩი სინოპეს უფლებებს კოტიორას, კერასუნტისა და ტრაპეზუნტის მიმართ იმით ასაბუთებს, რომ მათ ძალით წაართვეს ეს ოლქები ადგილობრივ მოსახლეობას (შესაბამისად ტიბარენებსა და კოლხებს), ე. ი. ბრძოლით აქვთ ეს უფლებები მოპოვებული. ამასთან, ჰეკატონიმეს სიტყვიდან ისიც ჩანს, რომ აღნიშნული კოლონიების დამოკიდებული მდგომარეობა თავისი მეტროპოლიის მიმართ რეალურია და არა ნომინალური: კოტიორა, კერასუნტი და ტრაპეზუნტი სათანადო ბეგარას უხდიან სინოპეს. მეტიც, როგორც ჩანს, ისინი პოლიტიკურადაც სინოპეს ემორჩილებიან. ქსენოფონტის საპასუხო სიტყვიდან ჰეკატონიმესადმი ირკვევა, რომ მაგალითად, კოტიორას სინოპელების მიერ დანიშნული მოხელე — ჰარმოსტი (ἁρμοστής) განაგებდა[183]. ასეთი მოხელეები საგულვებელია კერასუნტსა და ტრაპეზუნტშიც. მეტროპოლიასა და კოლონიებს შორის ამგვარი დამოკიდებულება თითქმის უჩვეულოა ბერძნული საკოლონიზაციო სისტემისათვის. როგორც ვხედავთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მეტროპოლიის ნომინალური ხელისუფლება მოქმედ ხელისუფლებადაა ქცეული და შექმნილია კოლონიური შენაერთი სინოპეს მეთაურობით. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საუკუნეთა მანძილზე სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ნაწარმი ცნობილია სინოპური ნაწარმის სახელით, ხოლო აქ არსებული სხვა ცენტრები (გარდა ამისისა) ცნობილი არ არის[184].

ბერძნული კოლონიების დაარსების შემდეგ ბრძოლა მოსულ ბერძნებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის კარგავს სიმძაფრეს და თანდათან მშვიდობიანი ურთიერთობით იცვლება. საქმე ისაა, რომ ურთიერთშორის აღებმიცემობით ერთნაირად იყვნენ დაინტერესებული ადგილობრივი მოსახლეობა და ბერძენი ჭოახალშენეები. ამიტომ მათ შორის ურთიერთობის ახალი ფორმები ჩნდება. ამ მხრივ საინტერესო ცნობა მოეპოვება ქსენოფონტს. ამ ცნობის თანახმად ვინმე ტიმესითეოსი, ტრაპეზუნტელი მოქალაქე, მოსინიკების პროქსენი იყო[185]. პროქსენი იყო აგრეთვე ხსენებული სინოპელი ელჩი ჰეკატონიმეც, ოღონდ პაფლაგონელებისა[186].

---

181 იგულისხმებიან ტიბარენები.

182 ანაბასისი, V, 5, 10.

183 ანაბასისი, V, 5. 19.

184 М. И. Максимова, Города юго-восточного Причерноморья, გვ. 75—76.

185 ანაბასისი, V, 4, 1.

186 იქვე, 6, II.

პროქსენი მოვალე იყო თავის სახელმწიფოში დაეცვა იმ ქვეყნის სავაჭრო ინტერესები და ხშირად იმ ქვეყნის მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებებიც, რომლის პროქსენადაც ის ითვლებოდა. თავის მხრივ, პროქსენი თავის საპროქსენო ქვეყანაში სარგებლობდა ნდობით და რიგი პრივილეგიებით. ასეთი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად პროქსენს უნდა ცოდნოდა თავისი საპროქსენო ქვეყნის ენა, ზნე-ჩვეულებანი, ნედლეულის მარაგი, პროდუქციის წარმოების ხასიათი და სხვ. ტრაპეზუნტელი ტიმოსითეოსი და სინოპელი ჰეკატონიმე ყველა ამ მოთხოვნას აკმაყოფილებდნენ. ტიმესითეოსმა, მაგალითად, კარგად იცოდა მოსინიკების ენა და შესანიშნავად ერკვეოდა საკმაოდ რთულ საშინაო პოლიტიკურ ვითარებაში[187].

როგორც ვხედავთ, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ბერძნული კოლონიების აღმოცენების შემდეგ ადგილობრივ მოსახლეობასა და ბერძნებს შორის სავაჭრო ურთიერთობა იმდენად რეგულარული და ინტენსიური გახდა, ამასთან ურთიერთობის მასშტაბი იმდენად გაფართოვდა, რომ აუცილებელი შეიქმნა პროქსენიის საბით ამ ურთიერთობების მომწესრიგებელი და მაორგანიზებელი ინსტიტუტის შექმნა. პროქსენების არსებობა სავარაუდოა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებშიც. ჰეკატონიმე და ტიმესითეოსი, აგრეთვე კოლხეთის ქალაქებში მცხოვრები ბერძენი სოვდაგრები ადგილობრივი მოსახლეობისათვის იყვნენ ერთ-ერთი პირველი წარმომადგენლები იმ კლასისა, რომლის გაჩენა შრომის მესამე დიდი დანაწილებით აღინიშნა. ეს ხანა ამ მხრივ იმითაცაა შესანიშნავი, რომ ამ დროს ჩნდება ფული, უკვე მოჭრილი მონეტის სახით, და საფუძველი ეყრება ახალ სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობებს. მართალია, სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ასეთი გარდატეხები არსებითად შინაგანი განვითარების შედეგი იყო, მაგრამ არ არის ამ მხრივ უგულვებელსაყოფი ელინურ სამყაროსთან ურთიერთობის მნიშვნელობაც.

187 შდრ. ანაბასისი, V, 4, 1—8.

თავი მესამე

ანატოლიის ჭართველური მოსახლეობა და ტექნიკური პროგრესი

ძვ. წ. II—I ათასწლეულებში ტექნიკური პროგრესის საქმეში განსაკუთრებული როლი აქვთ შესრულებული ხალიბურ ტომებს.

კლასიკური ხანის ბერძნული წყაროები ხალიბებს მიაწერენ მელითონეობის დაწყებას. ძნელია ასეთ ცნობებს სერიოზული ანგარიში არ გავუწიოთ და არ მოვიძიოთ ამ ერთობლივი აზრის შემუშავების საფუძველი. ზოგიერთი საისტორიო წყარო ისე დაწვრილებით აგვიწერს ხალიბური ნაწარმის დამზადების პროცესს და ნაწარმის თვისებებსაც იმდენად დეტალურად ახასიათებს, რომ ამ რიგის თხზულებანი არ შეიძლება კონკრეტულ მოვლენას არ ასახავდნენ. ასეთი აღწერა დაცულია ფსევდო-არისტოტელეს ქვემოთ მოტანილ ცნობაში, რომელიც დიდი ხანია სამეცნიერო მიმოქცევაშია ჩართული: „მოგვითხრობენ ხალიბური და ამისური რკინის სრულიად განსხვავებული წარმოშობის შესახებ. ამბობენ, რომ იგი მიიღება ქვიშისაგან, რომელიც მდინარეებს მოაქვთ, ზოგის აზრით, ამ ქვიშას რეცხავენ და ადნობენ ცეცხლზე, სხვათა აზრით კი, რეცხვის შედეგად მიღებულ დანალექს კვლავ რამდენჯერმე რეცხავენ და შემდეგ ადნობენ. დნობის დროს უმატებენ რაღაც ცეცხლგამძლე ქვას, რომელიც ბევრია ამ ქვეყანაში. რკინის ეს სახეობა სხვაზე ბევრად უკეთესია და მას რომ ერთ ღუმელში არ ადნობდნენ, ალბათ არაფრით გამოირჩეოდა ვერცხლისაგან. როგორც ამბობენ, მხოლოდ ეს რკინა არ იჟანგება, მაგრამ მოიპოვებენ მას უმნიშვნელო რაოდენობით“ (SC, II, 380).

ძალიან მნიშვნელოვანი ცნობაა მთლიანად, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება გვინდა მივაქციოთ იმ ადგილს, რომელიც ხაზგასმით გამოვყავით. საქმე ისაა, რომ ეს უძველესი წერილი მაღალი ხარისხის რკინის მისაღებად რაღაც ცეცხლგამძლე ქვის მირევისა ახალ დროამდე შემორჩათ ქართველ მეტალურგებს. ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების შედეგად გამოირკვა, რომ მაღალი ხარისხის რკინის მისაღებად რაჭაში მადანს ურევდნენ ე. წ. „ფაშას“, რომელიც ქიმიურად წარმოადგენს პიროლუზიტს, ე. ი. მაღალი ხარისხის შავ ქვას[1].

ფსევდო-არისტოტელეს მიხედვით, მელითონეობას ხალიბთა მეზობელი ტომებიც ეწეოდნენ: „ამბობენ, — გადმოგვცემს იგი, — რომ მოსინიკური სპილენძი გამოირჩევა მკვეთრი ბრწყინვალებით და მეტისმეტი სითეთრით. მას ურევენ არა კალას, არამედ იქაურ განსაკუთრებულ მიწას, რომელსაც ადნობენ

[1] ნ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, ჭედური ფოლადი, საქ. მეცნ. აკად. მ. IV, № 8, გვ. 833; მ ი ს ი ვ ე, მჭედლობა რაჭაში, თბ., 1953, გვ. 56—57; შდრ. Г. С. Ч и т а я, О некоторых чертах древнеколхской культуры. VII международный конгресс антроп. и этногр. наук М., 1964, стр. 4.

სპილენძთან ერთად. ამბობენ, რომ ასეთი შენადნობის გამომგონებელმა არავის არ გაუმეღავნა თავისი საიდუმლო. ამიტომ ამ ქვეყნის ძველი სპილენძის ნაკეთობანი გამოირჩევა შესანიშნავი თვისებებით, ხოლო გვიანი ხანის ნაკეთობებს ეს აღარ ახასიათებთ"[2].

ფსევდო-არისტოტელეს ნაწარმოები არ არის ერთადერთი თხზულება, რომელიც ხალიბებს რკინისა და ფოლადის პირველ ოსტატებად წარმოგვიდგენს. ასეთი აზრი გაბატონებულია კლასიკურ ბერძნულ ლიტერატურაში საერთოდ, მხატვრულშიც და სამეცნიეროშიც.

გამონაკლისია ცნობა მოსინიკების მელითონეობის შესახებ. ეს, როგორც ჩანს, იმით უნდა აიხსნას, რომ ფსევდო-არისტოტელეს მეორე ცნობაში აირეკლა მელითონეობის უფრო ადრეული ეტაპი.

რაც შეეხება რკინის დამუშავებას, მის აღმოჩენას, ხოლო ზოგ შემთხვევაში ლითონის აღმოჩენას საერთოდ, ძველი ბერძნული ლიტერატურა ხალიბებს მიაწერს. აკი ეს გარემოება ენობრივ ფაქტშიც არის ასახული: როგორც ცნობილია, ძველბერძნულ ენაში ხალიბთა ეთნიკური სახელი ფოლადის აღმნიშვნელ სიტყვად დამკვიდრდა[3]. ამ მხრივ ძველბერძნული ენა გამონაკლისი არაა. ხალიბთა სატომო სახელი ფოლადის სახელწოდებად გააზრებულია მცირე აზიის ზოგიერთი ხალხის ენაშიც. მაგალითად, ბერძნული თხზულებების სირიულ თარგმანებში ეთნიკური χάλυβες თარგმნილია, როგორც sbvrqny, რაც ნიშნავს რკინას[4]. ძნელი შესამჩნევი არ არის დამთხვევა ამ სირიულ ტერმინსა და ქართულ „რკინა" სიტყვას შორის, ძნელია მხოლოდ იმის გარკვევა, ეს დამთხვევა შემთხვევითია თუ არა. უნდა აღვნიშნოთ აქვე, რომ თითბრის აღმნიშვნელ სიტყვებსაც ინდოევროპულ ენებში (mesinc, mästling, messing, mosiandz) მოსინიკების სატომო სახელს უკავშირებენ[5]. Messing სიტყვის ასეთ წარმომავლობაზე არც ახლა ამბობენ უარს გერმანელი ლექსიკოგრაფები.[6]

ამრიგად, ზემოთ მიმოხილული ცნობების მიხედვით, მოსინიკები სპილენძბრინჯაოს ოსტატებად გვევლინებიან, ხოლო ხალიბები — რკინა-ფოლადისა. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ხალიბებმა მელითონეობა პირდაპირ რკინის დამუშავებით დაიწყეს, მაგრამ არიანე ნიკომედიელის ცნობით, ხალიბები პირველნი არიან ადამიანთა შორის, რომელთაც მიეცათ შემთხვევა ლითონთა დამუშავებისაო[7]. მაშასადამე, ხალიბები არა მარტო რკინის დამუშავების დამწყებად გვევლინებიან, არამედ საერთოდ, მელითონეობისა. ა. იესენმა მართებულად შენიშნა, რომ არიანე ნიკომედიელი ამ კონტექსტში ხალიბთა მიმართ ხმარობს ზმნას χαλκεύειν, რომელიც მხოლოდ რკინის დამუშავებას როდი გულისხმობს. იგივე ა. იესენმა მიაქცია ყურადღება პლინიუსის ცნობასაც, რომ ხალიბები ერთ-ერთი პირველთაგანნი იყვნენ მათ შორის, ვინც საერთოდ მელითონეობას ჩაუყარა საფუძველი[8].

---

[2] В. Латышев, SC, II, გვ. 380.

[3] R. Dussaud, Prelidiens, Hittites et Achèens. Paris, 1953, გვ. 161; М. И. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья, 1956, стр. 143.

[4] F. Herzfeld, Zoroaster and his World. Princeton, 1947, გვ. 784.

[5] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1, 1928, გვ. 20, 21.

[6] H. Lien, Fremdwörterbuch, Leipzig, 1962.

[7] Fr. Müller. FHG, III, გვ. 596, 767, fr. 51.

[8] А. А. Иессен, К вопросу о древней металлургии меди на Кавказе, გვ. 199; ასეთივე თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: ბერძნულში სპილენძის აღმნიშვნელი ტერმინს χαλκός ხალიბთა ეთნიკურ სახელს უკავშირებენ (იხ. Н. Я. Марр, Астрономические и этнические значения двух племенных названий армян, Записки вост. отд. Русск.

ამრიგად, არის გარკვეული მასალა, რომელიც მელითონეობის განვითარების ადრეულ ეტაპებზეც, სხვა მეზობელ ტომებთან ერთად, ხალიბთა მელითონეობაზეც მიუთითებს; ხოლო რკინის წარმოებაზე გადასვლის შემდეგ, ყოველ შემთხვევაში, ძველბერძნულ წყაროებში მხოლოდ ხალიბები ჩანან მელითონეებად, მათ მიაწერენ მაღალი ხარისხის რკინის შექმნას და მელითონეობის დიდოსტატთა სახელსაც მათ აკუთვნებენ. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ესქილეს „ბიჭაკვეული პრომეთეს“ ერთი ადგილი, სადაც პრომეთე მიმართავს ოკეანეს — როგორ გაბედე მოსვლა რკინის დედის (σιδηρομήτωρ) ქვეყანაშიო. საგულისხმოა, რომ ესქილეს ტექსტის ყველა გამმარტებელი ამ რკინის დედის, ე. ი. რკინის წარმომშობ ქვეყნად ხალიბების მიწაწყალს მიიჩნევს[9].

ანტიკურ ლიტერატურაში ხალიბთა შესახებ ცნობების საყოველთაო გავრცელების გამო, ამ ცნობათა დიდ ნაწილს ერთი გარკვეული, კონკრეტული შინაარსი დაეკარგა. ხალიბთა მელითონეობა-მჭედლობა მოარული თემა გახდა ანტიკურ მწერლობაში, ხოლო ხალიბების ტომი ზოგიერთ თხზულებაში დროისა და სივრცის გარეშე მოგვეევლინა[10]. ცხადია, ამგვარი ცნობები არსებითად გამოუსადეგარია, თუმცა რაციონალური მარცვლის მიკვლევა იქაცაა შესაძლებელი. მაგრამ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არის ისეთი წყაროებიც, რომელნიც თავისი ხასიათის გამო სრულ ნდობას იმსახურებენ. ამ წყაროებში დაცული ცნობები ან თვითმხილველ ავტორებს ეკუთვნის, ან ემყარება ოფიციალურ მონაცემებს, გამოირჩევა თავისი კონკრეტულობით და, რაც მთავარია, სხვა მასალითაც მოწმდება.

ძველ ბერძნულ ლიტერატურაში, ჰეკატე მილეტელის შრომა პირველი საისტორიო წყაროა, რომელიც აცნობდა ტომს ხალიბთა სახელწოდებით. სტეფანე ბიზანტიელმა ერთადერთი ფრაზა შემოგვინახა ჰეკატესი: „ხალიბებს სამხრეთით არმენიელები ესაზღვრებიანო“[11]. ეს არის და ეს. მაგრამ იგივე სტეფანე ბიზანტიელი გვატყობინებს, რომ ჰეკატე ახსენებს ხალიბების ქალაქს სტამენეს[12]. როგორც ირკვევა, აქ ხალიბებად დასახელებული სხვა ტერიტორია იგულისხმება. ეს ნათლად ჩანს ძვ. წ. IV საუკუნის პერიპლუსიდან, რომელსაც სკილაქს კარიანდელის სახელს უკავშირებენ. პ ე რ ი პ ლ უ ს ში ნათქვამია: — „ტიბარენების შემდეგ არის ტომი ხალიბები, დახურული ნავსადგური გენეტესი, ელინური ქალაქი სტამენეჲა, ელინური აკროპოლისი იაზონია“[13]. ეჭვს არ იწვევს, რომ აქ მოხსენიებული სტამენეჲა და ჰეკატეს სტამენე ერთი და იგივე

археолог. о-ва, XXV; 1921, გვ. 26). R. D u s s a u d კი თვლის, რომ ბერძნულში ხალიბთა სახელისაგან ფოლდის აღმნიშვნელი სიტყვაა ნასესხები, ხოლო სიტყვა χαλκός პონტოსპირელი ხალდების სახელს უკავშირდება (იხ. R. D u s s a u d, Prelidiens. . ., 1953, გვ. 161—162).

[9] აკ. უ რ უ შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში, თბ., 1964, გვ. 226, 227.

[10] შდრ. Г. А. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, 1959, стр. 71; В и с о в, К изучению древней восточно малоазиатской этнонимики, ВДИ, 1962, № 1, стр. 57.

[11] E. J a c o b y, Fragmente der griechischcen Historiker, Berlin, 1923, fr., 103; ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბეორგიკა, ტ. III, 1936, გვ. 288. შდრ. ნ. ლ ო მ ო უ რ ი, ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, მასალები საქართველოს და კავკ. ისტორ.; ნაკვ. 35-ე, გვ. 30.

[12] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 284; შდრ. E. J a c o b y, იქვე, ფრ. 202; ნ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშრომი, 30.

[13] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, 1, თბ., 1967, გვ. 50.

ქალაქია. სად იყო ეს ქალაქი, ადგილი დასადგენია. პერიპლუსში ასეთი თანმიმდევრობაა დაცული: ჯერ აღწერილია შავი ზღვის ჩრდილოეთი სანაპირო, შემდეგ აღმოსავლეთი, ბოლოს სანმრეთი, აღმოსავლეთიდან დასავლეთით. შესაბამისად, პერიპლუსში არსებული განსაზღვრა „ტიბარენების შემდეგ“ ნიშნავს ტიბარენების დასავლეთით. მაშასადამე ცხადია, რომ ჰეკატე მილეტელის მეორე ცნობაში, სადაც საუბარია ხალიბთა ქალაქ სტამენზე, იგულისხმება ხალიბთა კიდევ ერთი ტომი, რომელიც ტიბარენების დასავლეთით შავი ზღვის სანაპიროზე ბინადრობდა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არც ჰეკატე და არც ფსევდო-სკილაქსი ხალიბთა მელითონეობაზე არაფერს ამბობენ. მაშასადამე, აქ მელითონეობის ნიშნით ხალიბებად რომელიმე ტომის სახელდებასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ტომთან, რომელსაც ნამდვილად ხ ა ლ ი ბ ი ეწოდებოდა.

ამრიგად, ირკვევა, რომ ხალიბების სახელწოდებით ორი ტომი იყო ცნობილი; ერთი მათგანი ბინადრობდა არმენიელების მეზობლად, ხოლო მეორე — ტიბარენების დასავლეთით შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე. ასეთი დასკვნა ნაკლებ დამაჯერებელი იქნებოდა, რომ ჰეკატეს ფრაგმენტულად შემორჩენილი ცნობებისა და ფსევდო-სკილაქს კარიანდელის პერიპლუსის მონაცემების შეჯერებაზე იყოს მხოლოდ დამყარებული. საქმეც ისაა, რომ ასეთივე დასკვნას ვიღებთ სხვა წყაროების ცნობათა საფუძველზეც. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქსენოფონტ ათენელის „ანაბასისს“, რომელიც ერთ-ერთი უძველესი, ამასთან, სრულად დაცული და, შავიზღვისპირეთის მოსახლეობის განსახლების აღწერის თვალსაზრისით, სრულიად უტყუარი წყაროთაგანია.

ქსენოფონტის „ანაბასისიდან“ ვიგებთ, რომ მას მოუხდა ყოფნა ორ ტომთან, რომლებიც ხალიბთა სახელს ატარებდნენ. ორივე ტომი ბინადრობდა სხვადასხვა, ერთიმეორისაგან დაშორებულ ტერიტორიაზე. ხალიბების ერთი ნაწილი ქსენოფონტის მიხედვით, არმენიელთა მეზობლად ცხოვრობდა[14], ხოლო მეორე — ტიბარენებისა და მოსინიკების მეზობლად[15]. მაშასადამე, ნათელია, რომ ჰეკატე მილეტელის ცნობაში რეალური ვითარებაა არეკლილი. ეს უკანასკნელი, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, არ შეცვლილა შემდგომშიც, საუკუნეთა მანძილზე. ქსენოფონტიც იმიტომ როდი უწოდებს არმენიელების მეზობელ ხალხს ხალიბებს, რომ ისინი რკინას ამუშავებენ: იგი სწორედ არმენიაში იგებს, რომ მეზობელ ხალხს ხალიბები ეწოდებოდა[16].

დავუბრუნდეთ კვლავ ფსევდო-სკილაქსის ცნობას. ამ უკანასკნელის მიხედვით, ხალიბები ცხოვრობენ ტიბარენების დასავლეთით, სადაც არის დახურული ნავსაყუდელი გენეტესი, ელინური ქალაქი სტამენეა და ელინური აკროპოლისი იაზონია. ქსენოფონტი ამ პუნქტებში არ ყოფილა, მაგრამ „ანაბასისში“ არსებული ჩანართის საფუძველზე ირკვევა, რომ კოტიორადან ჰერაკლიამდე სანაპიროს გასწვრივ ცურვის დროს ბერძენმა მოქირავნეებმა დაინახეს იაზონის კონცხი და შესართავები თერმოდონტისა, ირისისა, ჰალისისა, პართენიოსისა[17].

არაფერს ახალს არ იძლევა, ამ მხრივ, არც ქსენოფონტის „ანაბასისზე“

---

[14] Anab., IV, 5, 34.
[15] ანაბასისი, V, 5, 1—2.
[16] Anab., IV, 5, 34.
[17] Anab., VI, 2, 1.

და არც ქსენოფონტის ლაშქრობის სხვა მონაწილეთა (მაგალითად, სოფაინეტე სტიმფალიელის) თხზულებაზე დამყარებული წყაროები (მაგალითად, დიოდორე სიცილიელის ნაშრომი).

პონტოს სანაპიროს საძიებელი მონაკვეთის იდენტიფიცირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტრაბონის ცნობებს. სტრაბონი, განსხვავებით ფსევდო-სკილაქსისაგან, პონტოს სამხრეთი სანაპიროს აღწერას იწყებს დასავლეთიდან აღმოსავლეთით. ამისის შემდეგ ოგი ასახელებს ჰერაკლეს კონცხს, შემდეგ იაზონისა და გენეტეს კონცხებს, კიტოროსს და ა. შ.[18]. როგორც ვხედავთ, მოცემული სანაპირო ზოლის ნომენკლატურა სტრაბონის დრომდე თითქმის უცვლელი დარჩა; სტრაბონი არ ახსენებს მხოლოდ ქ. სტამენეას, რითაც სცილდება ჰეკატე მილეტელსა და ფსევდო-სკილაქსს.

ამისი დღევანდელ სამსუნს შეესაბამება. იაზონის კონცხი — კონცხ იაზონ-ბურნუს, რომელსაც ანტიკურ წყაროებში დამოწმებული სახელი შემორჩენია. ამისსა და იაზონის კონცხს შორის სტრაბონი ასახელებს ჰერაკლეს კონცხს. სამსუნსა და იაზონ-ბურნუს შორის შავი ზღვის სანაპიროზე ორი კონცხია — ჩივა-ბურნუ და ჩალდი-ბურნუ[19]. როგორც ჩანს, ერთ-ერთ მათგანს შეესაბამება სტრაბონისეული ჰერაკლეს კონცხი. ჰერაკლეს კონცხის შემდეგ სტრაბონის ტექსტში მოხსენიებულია, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, იაზონისა, ხოლო შემდეგ გენეტეს კონცხები, რომელნიც შეესაბამებიან ფსევდო-სკილაქსის იაზონის აკროპოლისს და მის აღმოსავლეთით მდებარე დახურულ ნავსადგურს გენეტესს. აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის ახალი დროის ლოციები იაზონ-ბურნუს მახლობლად, აღმოსავლეთით ასახელებენ მომცრო კუნძულს ხანეტ-კალესს, დასავლეთიდან დაცულ ნავსაყუდელს[20]. ნათელია, რომ სახელწოდებაში ხ ა ნ ე ტ-კ ა ლ ე ს ი, როგორც აღნიშნული გვქონდა, შემონახულია ფსევდო-სკილაქსთან და სტრაბონთან მოხსენიებული ნავსაყუდელისა და კონცხის სახელი გ ე ნ ე ტ ე ს (γενήτης).

ამრიგად, ჰეკატე მილეტელისა და ფსევდო-სკილაქს კარიანდელის მიხედვით, ხალიბების ერთი ტომი ცხოვრობდა ტიბარენების დასავლეთით პონტოს სანაპიროზე და ეკავა მონაკვეთი, რომელიც მოიცავდა იაზონიას, სტამენეას და გენეტესს. სტრაბონის ცნობით, უშუალოდ გენეტესის აღმოსავლეთით მდებარეობდა კიტოროსი[21]. ეს უკანასკნელი უნდა შეესაბამებოდეს კოტიორას, რომელიც ტიბარენების ქვეყანაში სინოპის დაარსებული ახალშენი იყო[22]. მაშასადამე, სადღაც გენეტესსა და კოტიორას (თანამედროვე ორდუს) შორის ესაზღვრებოდნენ ერთმანეთს ტიბარენები და ხალიბები.

დასავლეთით ხალიბების განსახლების შესახებ საინტერესო ცნობები მოეპოვება ჰეროდოტეს. ჰეროდოტე ჰალისის აქეთ, ე. ი. დასავლეთით, კრეზუს მიერ დამორჩილებულ ხალხებს შორის მარიანდინებთან და პაფლაგონელებთან ერთად ხალიბებსაც ასახელებს[23]. დიდხანს სადავოდ მიიჩნევდნენ ჰერო-

---

[18] Strab., XII, 3, 17.

[19] Лоция Черного и Азовского морей. Николаев, 1892, стр. 375.

[20] Лоция Черного и Азовского морей, Николаев, გვ. 376, შდრ. Лоция Черного и Азовского морей, СПБ, 1903, გვ. 456.

[21] Strab., XII, 3, 17.

[22] ანაბასისი, V, 5, 5.

[23] Herod., I, 28.

დოტეს ტექსტში ხალიბების მოხსენიებას, მაგრამ ამ ეპვის წინააღმდეგ ამ ბოლო დროს ანგარიშგასაწევი საბუთებია წამოყენებული[24].

ჰეროდოტე ისეთ გარემოცვაში ასახელებს ხალიბებს, რომ წარმოდგენილი კონიექტურა დასტურდება სხვა წყაროების მიხედვითაც. ლიკოფრონი, ძვ. წ. III ს. ავტორი, გადმოგვცემს: „ხალიბები პაფლაგონიის ხალხია (sic), რომელთა შორის, როგორც ჩანს, პირველად დაიწყეს რკინის მოპოვება"[25]. მართალია, პომპონიუს მელა პაფლაგონიას არ ახსენებს, მაგრამ, როცა ამბობს, რომ ხალიბებს აქვთ უმშვენიერესი (clarissima) ქალაქები ამისოსი და სინოპი, ბოლო მდინარეთაგან ჰალისი და თერმოდონტი[26], ცხადია, ხალიბთა ქვეყანა პაფლოგონიის მეზობლად გვევლინება. არ არსებობს არავითარი საფუძველი, ეპვი შევიტანოთ განხილულ წყაროთა ჩვენებებში, ამიტომ სამართლიანად მიგვაჩნია იმ მკვლევართა მტკიცებანი, რომელნიც ცდილობენ დაამტკიცონ ხალიბთა გავრცელება ჰალისის დასავლეთითაც[27]. ყოველ შემთხვევაში, თუ სინოპი არა (მიუხედავად ამ სახელწოდების კავკასიური სამყაროსაკენ ლტოლვისა). მდ. ჰალისის შესართავის აუზი რომ ხალიბებს ეკუთვნით, ეს სადავო არ უნდა იყოს.

განხილულ მონაკვეთზე ხალიბები, როგორც ჩანს, მხოლოდ ზღვის სანაპირო ზოლზე არ ცხოვრობენ. მათი მიწაწყალი გაზიდული უნდა ყოფილიყო სამხრეთითაც. სტრაბონის შრომაში დაცულია ეფორეს ცნობა, რომელსაც ამ მხრივ ნაკლებ ეთმობა ყურადღება სპეციალურ ლიტერატურაში, მაშინ როდესაც უფრო ძველ, სადავოდ მიჩნეულ, მონაცემებთან თანხვედრის თვალსაზრისით, მათ სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. ეფორეს ცნობის მიხედვით, ზღვასთან (ἐπὶ θαλάττῃ) ცხოვრობდნენ კილიკიელები, პამფილიელები, ლიკიელები, ბითვინიელები, პაფლაგონელები, მარიანდინები, ტროელები და კარიელები. შუა ქვეყანაში (ἐν τῇ μεσογαίᾳ) პისიდიელები, მისიელები, ხალიბები, ფრიგიელები და მილიები.[28] როგორც ვხედავთ, იგულისხმება არა მარტო შავი ზღვის სანაპირო, არამედ ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვისაც.

ეფორე, ძვ. წ. IV ს. მწერალი, მცირეაზიელი იყო ქ. კუმადან და, ცხადია, მისი ცნობები ამ ქვეყნის მოსახლეობის შესახებ ნდობას იმსახურებენ. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ სტრაბონი, წარმოშობით აგრეთვე მცირეაზიელი, არ უარყოფს ხალიბების ბინადრობას შიდა ქვეყანაში. იგი ეკამათება ეფორეს ხბოლოდ იმის გამო, რომ მან ხალიბები მხოლოდ შიდა ქვეყანაში მიუთითა, მაშინ როდესაც ისინი ზღვის სანაპიროზეც უნდა აღენიშნაო[29].

თუ საერთო გარემოცვის თვალსაზრისით, ეფორეს ზემოთ განხილულ ცნობას ჰომეროსის ხომალდთა ნუსხას შევუდარებთ, საოცარი დამთხვევის

---

[24] ВДИ 1947; № 4, გვ. 237, შნშ. თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ზოგიერთი ცნობის შესახებ, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 23-ე, გვ. 5—6; იხ. აგრეთვე. თ. მიქელაძე ქსენოფონტის „ანაბასისში" დაცული ერთი ცნობის შესახებ. საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XX, № 2, გვ. 250—251.

[25] SC, I, გვ. 925.

[26] SC, II, გვ. 1, 7.

[27] ВДИ, 1947, № 4, გვ. 237, შნშ.; თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 5—6; Л. Саникидзе, К вопросу о местожительстве халибов. Сообщения АН ГССР, XVII, № 6, 1956, стр. 774—775; გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, 1962, გვ. 42, და შემდგ.

[28] Strab., XIV, 5, 23.

[29] Strab., XIV, 5, 24.

ძოწმენი გავხდებით. ხომალდთა ნუსხის იმ ნაწილში, რომელიც ტროელების მოკავშირეებს შეეხება, ჩვენთვის საინტერესო ხალხები ასეთი თანმიმდევრობით არიან დასახელებულნი: პაფლაგონელები, ჰალიძონები შორეული ალიბედან, მისიელები და ფრიგიელები[30]. როგორც ვხედავთ, იმ გარემოცვაში, რომელშიც ეფორე ხალიბებს ასახელებს, ამ უკანასკნელთა ადგილი ჰომეროსთან ქვეყანა ალიბესა და მის მკვიდრთ ჰალიძონებს უკავიათ. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ეფორე არ ასახელებს პაფლაგონელებს, რადგან, როგორც ნაჩვენები იყო, მას შუა ქვეყნის მოსახლეობა აინტერესებს მხოლოდ, ხოლო „ხომალდთა კატალოგში" არ იხსენიებიან პისიდიელები და მილიელები, რადგან ეს წყარო იცნობს მხოლოდ იმ ხალხებს, რომლებმაც ტროას ომში მიიღეს მონაწილეობა.

ამრიგად, „ხომალდთა კატალოგშიც" და ეფორესთანაც დასახელებულია სრულიად რეალური, მომდევნო წყაროებით შემოწმებული და, საერთოდ, ისტორიულად ცნობილი ქვეყნები მცირე აზიისა. ეფორეს ცნობასთან შეჯერებამ დაგვანახა, რომ თუ არა ხალიბებთან, სხვა ქვეყანასა და ხალხებთან ალიბესა და ჰალიძონების გაიგივება გაძნელდებოდა.

ჰომეროსი და ეფორე ზემოთ განხილულ ცნობებში, როგორც ნაჩვენები იყო, ჩამოთვლიან მცირე აზიის ქვეყნებს. ზოგადი თანხვედრის თვალსაზრისით, ჰომეროსისა და ეფორესეული თანმიმდევრობა ქვეყნებისა შეესაბამება ისტორიულ წყაროებში დამოწმებულ ფაქტიურ თანმიმდევრობას. ამ უკანასკნელის მიხედვით, თუ ყველა ქვეყანას თავის ისტორიულად ცნობილ ადგილს მივუჩენთ, ჰომეროსის ალიბესა და ჰალიძონებისათვის, ისევე, როგორც ეფორეს ხალიბებისათვის ადგილი მდ. ჰალისის აუზში დარჩება. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა გავიხსენოთ, რომ მდ. ჰალისის სახელწოდების ხეთურ ფორმად მიჩნეულია Ḫulaijaš[31]. შესატყვისობა Ḫulaijaš — Halis ტერმინებისა დასაშვები ჩანს.

ზემოთ განხილულ შეხვედრათა თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს ის გარემოებაც, რომ წყაროები ასახელებენ აგრეთვე „მდინარე Hulaijaš-ის ქვეყანას"[32]. უფრო მეტად ნიშანდობლივია ის, რომ აღნიშნულ წყაროებს „მდინარე Ḫulaijaš-ის ქვეყნის" მეზობლად დასახელებული აქვთ ქვეყანა Pitaššа, რომელიც შეესაბამება ეგვიპტური ტექსტების Pjd',s და ანტიკური წყაროების პისიდიას (Pisidia).[33] როგორც ვხედავთ, ხეთური წყაროები „მდინარე Ḫulaijaš-ის ქვეყანას" ისეთივე გარემოცვაში ასახელებენ, როგორც ეფორე ხალიბთა ქვეყანას: „მდინარე Hulaijaš-ის ქვეყანა" პისიდიის მეზობლად გვევლინება ისევე, როგორც ხალიბების მიწა-წყალიც. ამიტომ არა გვგონია გადაულახავი დაბრკოლება არსებობდეს, რომ ხეთური ტექსტების მდინარე Hulaijaš-ის ქვეყანა, ეფორეს ხალიბების მიწა-წყალი და ჰომეროსის ჰალიძონების სამყოფელი ერთიმეორეს დავუკავშიროთ[34].

---

[30] Il., II, 851—863.

[31] Fr. Bilabel, Geschichte Vorderasiens und Ägyptens, Haidelberg, 1927, გვ. 269, შნშ. I, გვ. 277.

[32] Fr. Bilabel, იქვე, გვ. 276, 277.

[33] იქვე, გვ. 278.

[34] უნდა ვიფიქროთ, რომ პისიდიას ხეთების დროსაც და ეფორეს ხანაშიც ჩრდილოეთით უფრო ვრცელი ტერიტორია ეკავა, ვიდრე ელინისტურ და რომაულ პერიოდებში და მოიცავდა გვიანდელ ისავრიასა და ლიკაონიას. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ წყაროები პისიდიას ხალიბთა მეზობლად მიიჩნევენ.

ხალიბებს ზღვის სანაპიროდან შორს, შიდა ქვეყანაში ქსენოფონტიც გვიდასტურებს[35]: ისინი ბერძნებს მდ. ჰალისის ზემოწელზე, ტავრის მთებში, თანამედროვე სივასის ვილაიეთში უნახავთ[36]. ეს მხარე თურქეთში რკინის უმდიდრესი საბადოებითაა ცნობილი[37], ერთობ საგულისხმო გარემოებაა, რადგან ამ ხალიბებზე ქსენოფონტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მათი საარსებო საშუალება რკინის მადნის დამუშავება არისო[38].

ამრიგად, ზემოთ განხილული საისტორიო წყაროების მიხედვით ხალიბები აშკარად ჩანან ჰალისის სათავეებთან და ქვემო წელზე შუა დინებამდე. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ძვ. წ. VI საუკუნიდან მაინც ისინი ჩანან აგრეთვე ზღვის სანაპიროზეც, ორდუდან ჰალისის შესართავამდე.

რაც შეეხება ხალიბებს, რომელთაც საისტორიო წყაროები აღმოსავლეთით ახსენებენ, მათ შესახებ შედარებით ნაკლები ცნობები მოგვეპოვება. ერთი მათგანი ზემოთ იყო მოხსენიებული. ვგულისხმობთ ჰეკატე მილეტელის ცნობას — ხალიბებს სამხრეთით არმენიელები ესაზღვრებიანო. ხალიბები რომ არმენიელების მეზობლად ცხოვრობდნენ, ქსენოფონტის „ანაბასისიდან“ ნათლად ჩანს. ხალიბებს ეკავათ ჭოროხის ხეობა სათავეებიდან შესართავამდე. მათ სამხრეთით არმენია ესაზღვრებოდა, აღმოსავლეთით — ტაოხების ქვეყანა, დასავლეთით — სკვითინების მიწა-წყალი[39].

სწორედ ქსენოფონტის ცნობების შემდეგ აღარ გამოიყურება შეუსაბამოდ შედარებით მოგვიანო წყაროთა ჩვენებანი იმის შესახებ, რომ ანტიოქ დიდის სარდლებმა არტაქსიამ და ზარიადრმა ძვ. წ. II საუკუნის დამდეგს ხალიბებს კარენიტი წაართვეს[40]. ცხადია, რომ კარენიტი არტაქსიასა და ზარიადრს ჭოროხის მხარეში მცხოვრები ხალიბებისაგან უნდა მიეტაცნათ, ამ აგრესიის შედეგი უნდა იყოს, სწორედ, ჭოროხის, მტკვრისა და არაქსის სათავეებს შორის ნარევი მოსახლეობის წარმოქმნა, რაც შესანიშნავად აირეკლა ისტორიული თვალსაზრისით ძალიან საინტერესო, ახალ ეთნიკურ ცნებაში ა რ მ ე ნ ო ხ ა ლ ი ბ ე ბ ი (gens Armencchalibes)[41]. ამგვარი ისტორიული პროცესის შედეგი უნდა იყოს სომხურ ენაში ჰანურის ენობრივი ელემენტების დამკვიდრების ცნობილი ფაქტი და ანალოგიური მოვლენები ქართველურ ენებში.

ანტიკური წყაროების ВДИ-ის კომენტატორს მიაჩნია, რომ კარენიტის ოლქი მდებარეობდა მტკვრისა და ეფრატის სათავეებს შორის, ხოლო ქსერქსნე მისგან დასავლეთით, თანამედროვე ერზერუმის რაიონში[42]. ნ. ადონცის მიხედვით, კარენიტი ერზერუმის მხარეს შეესაბამება, ხოლო ქ. კარინი — ქ. ერზერუმს. ასეთივე აზრისაა გრ. ლაფანჯიანიც[43]. ქართული საისტორიო წყაროები (თუ მათი ინტერპრეტატორები) ერზერუმს კარნუ-ქალაქს უწოდებენ. ასე, დავით ალმაშნელის ისტორიკოსის თხზულების ერთ-ერთი ხელნაწერის არ-

---

35 ანაბასისი, V, 4, 1—34; V, 5, 1.

36 თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, ქსენოფონტის „ანაბასისი“, თბ. 1967, გვ. 50—52.

37 Современная Турция, АН СССР, 1958, გვ. 10.

38 ანაბასისი, V, 5, 1.

39 Anab., IV, 5, 34; IV, 6, 4—5; IV 7, 1; 15; 18.

40 Strab. XI, 14, 5.

41 Plin., NH, VI, 29.

42 ВДИ, 1949, № 4, 33, 232, შნშ. 13.

43 Н. А д о н ц, Армения в эпоху Юстиниана, გვ. 52; შდ. Гр. К а п а н ц я н, Историко-лингвистические работы, Ереван, 1956, გვ. 67, 68.

შიაზე მიწერილია: „კარნუ არზრუმია“[44]. ასეთივე განმარტება აქვს კარნუ-ქალაქს ეამთააღმწერლის თხზულების ხელნაწერთა არშიებზეც[45]. იგივე ეამთააღმწერლის ცნობით, გამრეკელ-თორელის გამგებლობაში შედიოდა „...ჯავახეთი, სამცხე და აღმართ ვიდრე კარნუ-ქალაქამდე“[46].

ამრიგად, ანტიკური წყაროების კ ა რ ე ნ ი ტ ი და კ ა რ ნ უ ქართული წყაროებისა, ორივე ერზერუმის მხარეს გულისხმობს. ეს მხარე, ვიდრე იგი ძვ. წ. II ს-ში არტაქსიამ და ზარიადრმა არ მიიტაცა, ხალიბების ქვეყნის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. ამიტომ სრულიად განსაკუთრებულ შინაარსს იაენს სუპილულიუმა-მათიავაზას ხელშეკრულების ის ადგილი, სადაც ერთადაა დასახელებული ორი მთიანი ქვეყანა Haliwa და Karna[47]. ცხადია, რომ Haliwa შეესაბამება ხალიბების ქვეყანას, ხოლო Karna ხალიბთა კუთვნილ მხარეს — კარენიტ // კ ა რ ნ უ ს. ძნელია მოიძებნოს საბუთი ამ იგივეობის საწინააღმდეგოდ, რადგან აქ სახელთა სრულ თანხვედრას კი არა აქვს მხოლოდ ადგილი, არამედ ტერიტორიათა დამთხვევასაც[48]. საქმე ისაა, რომ Haliwa-სა და Karna-ს უშუალო მეზობლების ი ბ ე ვ ა ს ა და თ ურ მ ი თ ა ს ქვეყნები ეგულებათ: პირველი, — ხარფუთის მიდამოებსა და ეფრატ-ისპირეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ხოლო მეორე — თანამედროვე ტოკატ-სივასსა და ერზინჯანს შორის[49], ე. ი. იმ მხარეებში, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ერზერუმისა და ჭოროხის სათავეთა რაიონს სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან.

როგორც დავინახეთ, ხალიბების ქვეყანა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდება ასახულია ხეთური პერიოდის წყაროებში. ერთ შემთხვევაში შესაძლოა, როგორც „მდინარე Hulaijaš-ის ქვეყანა“ — და თვით მდ. Hulaijaš-ი, ხოლო მეორეში, როგორც H aliwa და Karna. ამ უკანასკნელ ტერმინთა შესატყვისობა ანტიკური და ქართული საისტორიო წყაროების შესაბამის სახელებთან სრულიად აშკარაა.

ასე გვესახება ხალიბთა ტომების განსახლება იმ საისტორიო წყაროთა მიხედვით, რომელთა ეპვის ქვეშ დაყენება გაძნელდებოდა. ხალიბთა ტომები უძველესი დროიდან აშკარად ჩანან ჭოროხისა და ჰალისის აუზებში. ისინი, მართალია, რამდენადმე გვიან, თავს იჩენენ ორდუ-ტრაპეზუნტის ხაზის სამხრეთითაც, მაშასადამე, იმ ტერიტორიაზე, რომელიც შეიძლება ხარვეზად ჩათვლილიყო მათს განსახლებაში.

ძნელია დაბეჯითებით ვილაპარაკოთ ძვ. წ. VI საუკუნემდე ხალიბთა ტომების ზღვასთან ბინადრობის შესახებ. ხეთურ პერიოდში ჩრდილოეთით ქაშ-

---

[44] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. I, 1955, გვ. 273, 318, შნშ. 3.

[45] ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959, გვ. 208.

[46] ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 273.

[47] E. F. W e i d n e r. Politische Dokumente aus Kleinasiens. I, Leipzig, 1923, გვ. 5, 7.

[48] ასეთი გაიგივების საფუძვლიანობა ადრევე იყო შენიშნული (იხ. Fr. B i l a b e l, დასახ. ნაშრომი, გვ. 262, შნშ. 1).

[49] გრ. გ ი ო რ გ ა ძ ე, ხეთების სამეფოს აღმოსავლეთ პერიფერიის ზოგიერთი პუნქტის ლოკალიზაციისათვის, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე XXIII, № 3, 1959, გვ. 361, 364. შდრ. A. G o e t z e. Kleinasien. München, MCMLVII, გვ. 190, აგრეთვე რუკა.

ქები ჩანან; თუმცა ქაშქურ ტომებში ხალიბთა გულვებაც არ არის გამოსარიცხი.

ამრიგად, ხალიბთა ტომები განივრცობოდნენ უზარმაზარ ტერიტორიაზე ჭოროხისპირეთიდან ჰალისის აუზამდე და, როგორც ჩანს, ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ზოგიერთ ძველ წყაროში მათ მიწა-წყალს უსაზღვროს, უსასრულოს უწოდებენ. აპოლონიოს როდოსელი გადმოგვცემს: „პოლიფემეს[50] ბედმა დაუსახა კიოსის პირას მიზიაში (sic) დააარსოს ბრწყინვალე ქალაქი და აღასრულოს თავისი სიცოცხლე ხალიბთა უსასრულო ქვეყანაში“ (χαλύβων ἐν ἀπείρονι γαίῃ)[51]. აქ პოეტურ ჰიპერბოლასთან არ უნდა გვქონდეს საქმე, რადგან ხალიბების მიწა-წყლის მიზიასთან კავშირში მოხსენიების გამო ნათელია, რომ აპოლონიოს როდოსელის ეს ცნობა მთლიანად მომდინარეობს იმ წყაროებიდან, რომელთა მიხედვით, ხალიბთა ქვეყანა მიზიის მეზობლად მდებარეობდა. აკი ჰომეროსისა და ეფორეს ზემოთ განხილული ცნობების თანახმადაც ჰალიძონები და ხალიბები მიზიელების მეზობლად გვევლინებიან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხალიბთა ტომების ზემოთ წარმოდგენილი ლოკალიზაციის მიხედვით, ხეთურ პერიოდში ისინი მოქცეული უნდა ყოფილიყვნენ ხეთების სამეფოს ფარგლებში. ეს გარემოება კავშირში უნდა იყოს იმ ცნობილ ფაქტთან, რომ რკინის გამოყენება უფრო ადრე და უფრო მეტად გავრცელებული იყო ხეთების სამყაროში, ვიდრე მის თანამედროვე აღმოსავლეთში. ყოველ შემთხვევაში, ხალიბურ-ტიბარენული ტომები რომ მცირე აზიის უძველესსა და, როგორც ჩანს, ხეთების წინამორბედ მოსახლეობას შეადგენდნენ, ეს როგორლაც ასახული ჩანს „დაბადებაშიც“, რომელშიც ეს ტომები მცირე აზიის უძველეს ბინადრებად გვევლინებიან და გაცილებით უფრო ადრეულ მოვლენებთან დაკავშირებით იხსენიებიან, ვიდრე ხეთები. აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველ შემთხვევაში, ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის დასაწყისში ცენტრალური ანატოლიის ჩრდილოეთ ნაწილსა და ქ. ხატუსასის გარშემო ქართული მოსახლეობის არსებობას ვარაუდობენ[52].

ზემოთ გამახვილებული იყო ყურადღება იმ გარემოების მიმართ, რომ უძველესი მელითონე ტომები, რომლებიც ანტიკური წყაროების უმრავლესობას შავი ზღვის სამხრეთ სანაპირო ზოლზე ეგულება, გავრცელებული იყვნენ შორს, სამხრეთითაც და მდ. ჰალისის აუზის უძველეს მოსახლეობას შეადგენდნენ.

მელითონე ტომებით დასახლებული მიწა-წყალი ნაწილი იყო იმ გეოგრაფიული რაიონისა, რომელიც თავისებური ბუნებრივი პირობებით გამოირჩევა. როგორც ცნობილია, მთელს ანატოლიაში მისი მდებარეობის, რელიეფისა და სხვა თავისებურებათა გამო უძველესი დროიდან დღემდე, ე. წ. „ოაზისური მიწათმოქმედებაა“ გაბატონებული[53]. ეს იმას ნიშნავს, რომ დასამუშავებლად ვარგისი მიწის ნაკვეთების შერჩევა მხოლოდ ალაგ-ალაგ იყო

---

[50] ერთ-ერთი არგონავტთაგანი, რომელიც ჩამორჩა დანარჩენ არგონავტებს (Аргонавтика 1. 1240—1323).

[51] Аргонавтика, I, 1321—1323 (ხაზი ჩვენია).

[52] გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, გვ. 175, 182.

[53] П. М. Жуковский, Земледельческая Турция, 1933, გვ. 136, 140.

შესაძლებელი. ცხადია, მიწათმოქმედება კიდევ უფრო შეზღუდული უნდა ყოფილიყო ძველ დროში, როცა ხშირი ტყეებისაგან მიწის ნაკვეთების გამოთავისუფლებისათვის გაცილებით ნაკლები საშუალება არსებობდა. მეორე მხრივ, საკვლევი მხარე ძალიან მდიდარი იყო მადნეულითა[54] და საძოვრებით. ნათელია, რომ ასეთი ვითარების გამო მიწათმოქმედებას და მიწათმოქმედთ ხალხის ისტორიაში მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ და ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური განვითარება უპირატესად მელითონეობისა და მესაქონლეობის საფუძველზე უნდა წარმართულიყო. როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ეს გარემოება აირეკლა კიდეც წერილობით წყაროებში. ამ წყაროთა ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ მესაქონლეობას ტომების ერთი ნაწილი ეწეოდა, ხოლო მელითონეობას ტომების სხვა ჯგუფი. აქ, ცხადია, საუბარია მეურნეობის წამყვან, წარმმართველ დარგზე, რაც არ გამორიცხავს სხვა დარგების არსებობასაც.

მოსახლეობის გათიშვა მესაქონლე და მელითონე ტომებად ქმნიდა წინაპირობებს მწვავე სოციალური ბრძოლისათვის, რომლის დროსაც წარმმართველ ძალად მელითონე ტომები გვევლინებიან. ლითონის მწარმოებელი ტომების მოსძლევრება მარტო იმით როდი უნდა აიხსნას, რომ მათ განკარგულებაში ლითონის მრისხანე იარაღი აღმოჩნდა; ამის მიზეზი უპირველეს ყოვლისა ისაა, რომ მათი კონსოლიდაცია უფრო სწრაფად მოხდა და უფრო მყარ საფუძველზე, რადგან მელითონეობა მოითხოვდა კოლექტიურ შრომას, რომელიც არა მარტო საწარმოო პროცესის გამო, არამედ დამზადებული ნაწარმის მოხმარების თვალსაზრისითაც გარკვეულ მიზანდასახულობას უნდა დამორჩილებოდა. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა რკინის წარმოებაზე გადასვლის შემდეგ, როცა საწარმოო პროცესი უფრო გართულდა ბრინჯაოს ხანასთან შედარებით და შეიქმნა აუცილებლობა მელითონე ტომებთან უფრო მტკიცე სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბებისა.

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის და საერთოდ მცირე აზიის მელითონეობის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ხალიბთა ტომებს, რომელთა კვალი, როგორც ზემოთ შევეცადეთ გვეჩვენებინა, მკაფიოდ შეიმჩნევა ვრცელ მიწა-წყალზე ჰოროხსა და ჰალისს შორის ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან ძველი წელთაღრიცხვის დასასრულამდე.

ახალი და ძველი წელთაღრიცხვების მიჯნაზე კი ვითარება თითქოს იცვლება. ამ დროიდან საისტორიო წყაროებში ხალიბთა სატომო სახელს სახელწოდება ხ ა ლ დ ი ენაცვლება. მაგალითად, სტრაბონი გადმოგვცემს, რომ ფარნაკიისა და ტრაპეზუნტის ზემოთ, ე. ი. სამხრეთით, მცირე არმენიამდე ტ ი ბ ა რ ე ნ ე ბ ი და ხ ა ლ დ ე ბ ი ბინადრობენ[55].

ეს ის მხარეა, სადაც ძვ. წ. V ს. დამლევს ქსენოფონტმა ნახა ხალიბთა ერთი, მოსინიკების შორჩილებაში მყოფი ნაწილი. კიდევ მეტი, სტრაბონის ცნობით, ხალდები ტიბარენების მეზობლები არიან მაშინ, როდესაც ცნობილია, რომ ყველა ანტიკური წყარო ხალიბებსა და ტიბარენებს ერთად ასახელებს. გარდა ამისა, სტრაბონი გადმოგვცემს, რომ ხალდების ძირითადი საქმიანობა რკინის მოპოვებაა, რადგან ისინი მთიანეთის ბინადარნი არიან და იქ

---

[54] St. P r z e w o r s k i. Die Metallindustrie Anatoliens, გვ. 91, რუკა 2; G o e t z e. Kleinasien. გვ. 79.

[55] Strab., XII, 3, 28.

შდიდარი საბადოებია ოკინისა. დასასრულ, სტრაბონი პირდაპირ აღნიშნავს: „ახლანდელი ხალდები ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ“[56]. შაშასადამე, ხ ა ლ ი ბ ი და ხ ა ლ დ ი — ორივე სახელი ერთი და იგივე ხალხს აღნიშნავს და სტრაბონის მიხედვით პირველ სახელს ენაცვლება მეორე. მაგრამ სახელთა ასეთ შენაცვლებას ყამთამსვლელობა როდი უდევს საფუძვლად, როგორც ეს სტრაბონს ეგონა. ხ ა ლ ი ბ სახელი უფრო გვიანაც თავს იჩენს სახელწოდებაში ა რ მ ე ნ ო ხ ა ლ ი ბ ი, რომელიც ნათლად ასახავს ელინისტურ ხანაში მომხდარ პოლიტიკურ ძვრებს. მეორე მხრივ, არც ის გამოდგა სწორი, თითქოს ხ ა ლ დ ი ფორმა გვიანაა გაჩენილი და მხოლოდ სტრაბონის შემდეგ შედის ხმარებაში. როგორც ცნობილია, ადილჯევაზის წარწერის Ḫalitu უცილობლად მიაჩნიათ პონტოსპირეთის ხალდებად, რომლებსაც სომხური ტექსტები Xalti-kh-ს უწოდებენ[57]. ამას ადასტურებს აგრეთვე ჰალიძონეების სახელი, რომელსაც უკვე კარგა ხანია Ḫalitu სახელს უკავშირებენ[58]. ამ ეთნონიმების შესატყვისობა ხ ა ლ დ სახელთან უდავოა. ერთ-ერთ ურარტულ წყაროში კი დაცულია ხ ა ლ დ ფორმა უცვლელად. მეფე მენუას იაზლიტაშის წარწერაში მოხსენიებულია დიაუხის ტერიტორიაზე საოლქო ცენტრი URU haldiriulḫi.[59] ირკვევა, რომ ამ დასახელებას კავშირი არა აქვს ურარტული ღმერთის სახელთან და ის უნდა უკავშირდებოდეს პონტოსპირელი ხალდების სახელს[60]. ანალოგიურ ტოპონიმებს (შდრ. ხ ა ლ დ ა რ ი ჩ, ხ ა ლ დ ო ძ ო რ) ამ მხარეში უფრო გვიანი წყაროებიც ასახელებენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ურარტული წარწერის Ḫalitu ანტიკური ტექსტების χαλυβοί, χαλύβες, χαλδαῖοι და სომხური ტექსტების xaltiq სახელებს ერთი საერთო ფუძე-სიტყვა აქვთ[61]. ეს hal ფუძე-სიტყვა უდევს საფუძვლად ჰომეროსთან დამოწმებულ Ἀλίζωνες, Ἀλυβη resp. Ἀλυβη, ხეთური ტექსტების Ḫaliwa სახელწოდებებს. განსხვავება მხოლოდ სუფიქსაციაშია: ერთ შემთხვევაში მაწარმოებელი სუფიქსია uβ, ხოლო ხეთურში მისი ბადალი ჩანს iw, მეორე შემთხვევაში კი გვაქვს t და მისი შესატყვისი d. T-ს გადაქცევა მეღერ δ-ად Χαλδαῖοι სახელში ახსნილია სამხრეთ შუამდინარეთის ქალდეველთა სახელის გავლენით[62]. მართლაც, ძველბერძნულ წყაროებში χαλδαῖοι სახელით აღინიშნებიან მესოპოტამიის ქალდეველებიც[63]. მაგრამ საძიებელი სიტყვა და-

---

[56] Strab., XII, 3, 19.

[57] И. М. Дьяконов, Заметки по урартской эпиграфике (пропонтийские халдайцы в урартской надписи), ЭВ, 1952, VI, стр. 112.

[58] САН III, 1929, გვ. 182 (ვიმოწმებ გ. მელიქიშვილის ქვემოთ მითითებული წერილის მიხედვით, ВДИ, 1962, № 1, გვ. 48). ამ ბოლო დროს წამოყენებულია ვარაუდი, რომ Ḫalitu სახელი, შეიძლება წარმოითქმოდა, როგორც Ḫalito, ხოლო ურარტული ტექსტების Uiteruhbi-ს დაკავშირების საფუძველზე ანტიკური წყაროების βύζερες-თან, — როგორც Haliz იმ ბოლოიდური ო-ს დამატებით, რომელიც ძველ წარწერებში არ გამოისახებოდა (Г. А. Меликишвили, К изучению древней восточно-малоазиатской этнонимики, ВДИ, 1962, № 1, გვ. 48, 49 შმდ).

[59] Г. А. Меликишвили, УКН, 36.

[60] Г. А. Меликишвили, УКН, გვ. 428—429.

[61] И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 111—112.

[62] იქვე, გვ. 111.

[63] Herod., I, 181, 183.

მოწმებულია საქართველოს ტოპონიმიაშიც და ყოველთვის დონიანი დაბოლოებით. მაგალითად, სომხური წყაროები ჭოროხის ხეობას (კლასიკური წყაროების მიხედვით ხალიბთა სამყოფელს). ხ ა ლ დ ო-ძ ო რ ს, ე. ი. ხალდის ხეობას უწოდებენ[64]. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ სომხურ საისტორიო წყაროებში ეს სახელწოდება მწიგნობრული გზითაა დამკვიდრებული, მაგრამ იგივე სომხურმა წყაროებმა შემოგვინახეს მეორე სახელიც ხ ა ლ დ ო-ა რ ი ჩ ი, რომელიც ეწოდებოდა ჭოროხის სათავეებთან დერჭანსა და კარინს შორის მდებარე ციხეს. ამ ადგილს დღესაც კ ა ლ დ ა რ ჩ ს ეტყვიან[65]. გარდა ამისა, როგორც ზემოთ დავინახეთ, დონიანი ვარიანტი სახელისა ურარტულ წყაროშიცაა დაცული.

აღნიშნული გარემოება თუ ერთი მხრივ ხ ა ლ დ და ხ ა ლ ი ბ სახელების ერთიერთშენაცვლებას ადასტურებს, მეორე მხრივ, იმის მაჩვენებელიცაა, რომ ბ ა ლ დ ფორმა ადგილობრივ ონომასტიკონს ეკუთვნის. ამიტომ ბიზანტიურ წყაროებში ხ ა ლ დ ფორმის ფიგურირება, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის პროვინციის სახელისა ფაქტიური ვითარების ასახვად უნდა მივიჩნიოთ და არა ანტიკური საისტორიო ტრადიციის გამოძახილად. ამაზე მეტყველებს ხ ა ლ დ სიტყვის შემცველი სახელების დღემდე ცოცხალი ნიმუშები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში: რიზეს მახლობლად არის მაგალითად, სოფელი ხ ა ლ დ ო ს ი[66].

ამ ტიპის სახელები შუაგულ საქართველოშიცაა დამოწმებული: ხ ა ლ დ ე ს ჭ ა ლ ა — მდინარე ლეჩხუმში[67], ხ ა ლ დ ე შ ი — სოფლები ლეჩხუმსა და სვანეთში[68] და სხვა. თუ აღნიშნულ ტოპონიმებს კავშირი აქვს ეთნიკურ ბ ა ლ დ სახელთან, რაც, როგორც პირველ თავში იყო ნაჩვენები, უცილობელია, მაშინ ხ ა ლ დ ფორმა ქართული ონომასტიკონისათვის კანონიერი ჩანს და ძნელი იქნება მტკიცება თითქოს შავიზღვისპირეთის ხალდების სახელი შუამდინარეთის ქალდეველთა სახელის გავლენით იყოს მიღებული. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ამ ტერმინში „დ“ ფორმანტი მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსია და თავისი ვარიანტებითურთ (ϑε//ϑα, te//ta) შეიძლება ქართველური ენობრივი მასალითაც აიხსნას[69].

ზემოთქმულის საფუძველზე ურარტული Ḫalitu, სომხური xaltiq და ძველბერძნული χαλδαῖοι მართლაც ერთი ეთნიკური სახელის კანონზომიერი ფორმები ჩანს; და თუ ამ სახელის ხ ა ლ დ ფორმა დღემდეა შემორჩენილი საქართველოს ტოპონიმიაში რიზედან ზემო სვანეთამდე, ადგილობრივ ტოპონიმებს შორის სხვა ფორმებსაც ვხვდებით. ი. ყიფშიძეს იგივე რიზეს მაზრაში დასახელებული აქვს სოფელი ხ ა ლ ი ტ ო ს ი[70]. თუ ამ ტოპონიმის დაკავშირებაც შესაძლებელია საძიებელ ეთნიკურ სახელთან, მაშინ იგი კანონიერ საფუძველზე აყენებს არა მარტო სომხურ წყაროებში დამოწმებულ xaltiq

---

[64] Н. А д о н ц, Армения в эпоху Юстиниана, СПБ., 1908, გვ. 63, შდრ. ჩვენი დასახ. წერილი, „მაცნე“ III, 1966, გვ. 135.

[65] Н. А д о н ц, იქვე, გვ. 52.

[66] ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, ჭანეთში მოგზაურობა, ენიმკის მოამბე, I, გვ. 160—161.

[67] Д. Д. П а г и р е в, Алфавитный указатель к пятиверстной карте кавказского края, записки КОИРГО, XXX, 1913, გვ. 259.

[68] იხ. მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, რაჭა-ლეჩხუმის ტოპონიმიკური მასალები გვ. 153.

[69] Н. Я. М а р р, Термин «Скиф», Избранные работы, V, 1935, стр. 29; ა. შ ა ნ ი ძ ე, ევ- კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, საქ. მეც. აკად. მოამბე, II, № 8, 1941, გვ. 761—763.

[70] ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 161.

ფორმას, არამედ უფრო დამაჯერებელს ხდის, ერთი მხრივ, ხალიტუს სახელის შესაძლებელ წაკითხვას Halito, ხოლო მეორე მხრივ, ამ სახელთან 'Αλίζων ფორმის დაკავშირებასაც.

რაც შეეხება ხ ა ლ ი ბ ფ ო რ მ ა ს, აქ „იბ" გააზრებულია, როგორც ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი მრავლობითი რიცხვის ნიშანი, ამასთან, მიუთითებენ ამ სუფიქსის iw პროტოტიპსაც, რომელსაც აკავშირებენ მრავლობითი რიცხვის აფხაზურ სუფიქსთან wa (შდრ. აფხაზურად a-qarϑ-wa—„ქართველები", a-gr-wa—„მეგრელები").[71] ნ. მარისათვის, როგორც ჩანს, არ იყო ცნობილი სახელწოდება Haliw, მაგრამ მრავლობითი რიცხვის ნიშანი iw მან გამოჰყო ლაზებისა და ჭანების ძველსომხურ დასახელებაში Laz-iw და Ṭan-iw.[72]

ამრიგად, ცხადი უნდა იყოს, რომ საქმე გვაქვს მრავალი საუკუნის მანძილზე ერთსა და იმავე ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთან, რომლის ეთნიკურ სახელს საფუძვლად უდევს ხ ა ლ ფუძე-სიტყვა, არა მარტო საისტორიო წყაროებში დადასტურებული, არამედ დღემდე ცოცხალი როგორც მოცემული მხარის, ისე ისტორიულად და ეთნოგრაფიულად მასთან დაკავშირებული პროვინციების ტოპონიმიაში[73], მაშასადამე, სახელწოდებანი Halitu, χαλύβες, χαλδαῖοι, χaltiq არსებითად, ერთსა და იმავე ხალხს გულისხმობს, ხოლო ამ სახელების სხვადასხვაგვარი სუფიქსაცია მიუთითებს სხვადასხვა გზებზე, რომლის მეშვეობითაც ამ ეთნოსის სახელის ესა თუ ის ვარიანტი შეთვისებული აქვს ამა თუ იმ საისტორიო წყაროს. ამიტომაა, რომ არც ერთი წყარო არ იცნობს საძიებელი ეთნიკური სახელის ორ სხვადასხვა ვარიანტს, და თუ ამ მხრივ სტრაბონი გამონაკლისია, ეს აიხსნება იმით, რომ სტრაბონი ობიექტურ ვითარებას კი არ აღწერს მხოლოდ, არამედ იძლევა წინამორბედ მწერლებთან ამ ხალხის შესახებ არსებული ცნობების შეჯერებასაც.

ᲮᲐᲚ — ფუძიანი სახელების წარმოება, როგორც დავინახეთ, ქართულ-ქართველურ ენობრივი მასალის საფუძველზე შეიძლება აიხსნას. მეორე მხრივ, ამ სახელწოდების განსაკუთრებული თავმოყრა იმ ტერიტორიაზე, სადაც

---

[71] Н Я. М а р р, Избранные работы, V, გვ. 26—28, შდ. და გვ. 139.

[72] იქვე, გვ. 28.

[73] ამ მხრივ ყურადღების ღირსია აჭარა-ჭანეთში გავრცელებული გვარსახელი ხ ა ლ ვ ა შ ი, რომელსაც ზანური წარმოების ძველი წარმოშობის გვარად (შდრ. ჯ ა შ ი, ტ უ ღ უ შ ი, ც ი ტ ა შ ი და სხვ.) მიიჩნევენ (იხ. გ. რ ო გ ა ვ ა, ზოგი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის, ქუთაისის პედინსტიტუტის შრ., XIII, 1955, გვ. 6). ამ გვარისახელში აშკარად შემორჩენილი ჩანს ხალიბთა ეთნიკური სახელი. საინტერესოა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მაშინაც კი, როცა სახელწოდებები ხ ა ლ ი ბ ი და ხ ა ლ დ ი აღარ იხმარება, საშუალო საუკუნეების ადგილობრივ ტოპონიმიაში თავს იჩენს ხ ა ლ ფუძესიტყვა. ბასილი სოფენელი ტრაპეზუნტის მიტროპოლიტისადმი დაქვემდებარებულ ლაზიკის ეპისკოპოსთა შორის ასახელებს ხ ა ლ ი ს ეპისკოპოსს; Ὁ (იგულისხმება ἐπίσκοπος) Χαλαίου (გეორგიკა, IV, გვ. 133; ს. ყაუხჩიშვილი ამ ადგილს თარგმნის: „ხალეების ეპისკოპოსი"); X ნოტიციაში გვაქვს: Χαλζαίου (ს. ყაუხჩიშვილი ხ ა ლ ხ ე ვ ა დ თარგმნის: გეორგიკა, IV, გვ. 146). ორივე ნოტიციაში ერთი და იგივე პუნქტი იგულისხმება, რაზეც ერთნაირი გარემოცვა მიუთითებს. III ნოტიციაში ჩამოთვლილია ხერიანის, ხამაჩურის, ხალის, პაიპერის ეპისკოპოსები, ხოლო X ნოტიციაში დასახელებულია კათედრები ხერიანთა, ხამაჩურისა, ხალხევისა, პაიპერისა, X ნოტიციაში ისევ ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს ეპისკოპოსთა ნუსხაში და კელა1 ისეთივე გარემოცვაში დასახელებულია ხალის ეპისკოპოსი, ოღონდ სახელწოდება ფუძისეული ფორმითაა მოცემული: Ὁ [ἐπίσκοπος] Χαλ (ეპისკოპოსი) ხალისა.

უძველესი დროიდან დღემდე ქართველი (მეგრულ-ჭანური) ტომები ბინადრობენ, რაც ნივთიერი კულტურის ზემოთ მიმოხილული თავისებურებებითაც დასტურდება, ასეთი ახსნის შესაძლებლობას საფუძვლიანს ხდის, რომ არაფერი ვთქვათ საისტორიო წყაროებში არსებულ პირდაპირ მითითებაზე — ხალიბები და ხალდები ერთი და იგივე ხალხია და ჭანები არიანო[74].

ამ თვალსაზრისით უურადღება უნდა მიექცეს მემდეგ გარემოებასაც. კლასიკურ წყაროებში, როგორც ნაჩვენები იყო, უფრო ხშირად დასახელებულია ხალიბთა ორი საცხოვრისი, ერთი ჰალისის და თერმოდონტის აუზებში, მეორე ჭოროხის აუზში. პლინიუსი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ხალიბებს ორივე მხარეში გვიმოწმებს. მის ცნობებში ამავე დროს აისახა სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ეთნიკურ რუკაზე საუკუნეთა მანძილზე მომხდარი ცვლილებებიც. ჭოროხის აუზში პლინიუსი ასახელებს არა ხალიბებს, არამედ ა რ მ ე ნ ო ხ ა ლ ი ბ ებ ს (gens Armenochalybes)[75], ხოლო დასავლეთით ხალიბები მას ეგულება მხოლოდ მდ. თერმოდონტის აღმოსავლეთით ვიწრო ზოლზე ქ. კოტიორასთან[76] და არა ვრცელ ტერიტორიაზე, სანაპიროზეც და შიდა ქვეყანაშიც, როგორც ეს უფრო ძველ მწერლებს ჰქონდათ წარმოდგენილი. უშუალოდ ხალიბებისა და ტიბარენების მეზობლად კი მათგან დასავლეთით, იქ, სადაც ადრე ხალიბები ბინადრობდნენ, პლინიუსი ასახელებს კლასიკურ წყაროებისათვის მანამდე უცნობ ტომებს კ ა ი ნ ებ ს (gens caenarum)[77]. ასევეა მდგომარეობაა ჭოროხის ხეობაშიც.

აქაური მოსახლეობის აღსანიშნავად ხ ა ლ ი ბ და ხ ა ლ დ სახელებს გარკვეული დროიდან ენაცვლება კ ა ი ნ ე ბ ი ს ა თუ კ ე ნ ე ბ ი ს სახელწოდება. პროკოპი კესარიელს ჭოროხის აუზში მოხსენიებული ჰყავს ო კ ე ნ ი ტ ს ჭ ა ნ ე ბ ი (Τζάνων τῶν Ὠχενίτων), რომლებსაც ეკავათ ღართი (=პროკოპისეულ χαρτων-ს), ღართის ველი და ხ ა ლ დ ო-ძ ო რ ი ანუ ხ ა ლ დ ი ს ხ ე ო ბ ა[78].

ტერმინში ო კ ე ნ ი „ო" თავსართს „სა" პრეფიქსის შესატყვისად მიიჩნევენ. შესაბამისად ო კ ე ნ ი ნიშნავს ს ა კ ე ნ ო ს, ე. ი. კ ე ნ ე ბ ი თ დასახლებულ მხარეს. კ ე ნ ა სახელს კი თვლიან ჭან//ჭენ ტერმინის უძველეს ფორმად. საიდანაც ჭ ა ნ კ-ს პალატალიზაციის შედეგადაა მიღებული[79]. ეს პალატალიზაცია ჭანურის ზოგიერთ კილოკავში მართლაც დასტურდება; ხშირია აგრეთვე კ-სა და ჭ-ს შენაცვლების ფაქტებიც[80]; ასე რომ კ ა ი ნ//კ ე ნ და ჭ ა ნ//ჭ ე ნ ტერმინთა ურთიერთშენაცვლება ჭანური ენის თავისებურებათა მიხედვით დასაშვები ჩანს. მაგრამ, თითქოს, არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ კ ა ი ნ სახელი და მისი ვარიანტები ჭ ა ნ სიტყვისა და მასთან დაკავშირებული ფორმების უცხოურ ტრანსლიტერაციას წარმოადგენდეს. კ-ს მეშვეობით აქ შეიძლება გადმოცემული იყოს თავკიდური აფრიკატი, რო-

---

[74] Strab., XII, 3, 19; Армянская география VII, по Р. Х. СПБ, 1877, გვ. 39.

[75] Plin., NH, VI. 12, 29.

[76] Plin., NH, VI, 11.

[77] Plin., NH, VI, 12, 19.

[78] გეორგიკა, II, 1934, გვ. 186; იქვე, შდრ. Н. А д о н ц, Армения в эпоху Юстиниана, გვ. 62, 63.

[79] Н. А д о н ц, დასახ. ნაშრომი, გვ. 63, 64.

[80] აინ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 15, 26; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, ენიმკის მოამბე, I, 1937, გვ. 208, შნშ. 3.

მელსაც უფრო გვიან, ჭანების შედარებით ახლოს გაცნობის შემდეგ, ბერძნული წყაროები tζ კომპლექსით გამოხატავენ. თუ Σαννοι ფორმას ჭ ა ნ სახელის ან მისი რომელიმე ვარიანტის, მაგალითად, წ ა ნ ფორმის (შდრ. პტოლემაიოსის Σαναραῖοι, რომელიც ქართულ წ ა ნ ა რ ე ბ ს უდრის[81]), გადმოცემის ცდად მივიჩნევთ[82], მაშინ იქნებ მართლაც საფუძვლიანი გამოდგეს ზემოთ წამოყენებული ვარაუდი. ამას მხარს დაუჭერდა μοσσύν სახელის ცნობილი განმარტება, რომლის მიხედვით μο წარმომავლობის მაჩვენებელი ქართველური პრეფიქსის ერთ-ერთი ვარიანტია, ხოლო σσυν ფუძე-სიტყვა, ჭ ა ნ სახელის ვარიანტი, რაზეც ბერძნულისათვის ორი სიგმის უჩვეულო ხმარება მიუთითებს[83]. მართლაც, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს უცხოურ წყაროებში მოცემული იყოს ცდები ჭ ა ნ სახელის თავკიდური აფრიკატის გადმოცემისა: ერთ შემთხვევაში k-ს და tz-ს მეშვეობით, სხვა დროს სიგმის, ორი სიგმის და სხვა საშუალებით. მაგრამ ფაქტიური ვითარება გვიდასტურებს, რომ რაკი ზ ა ნ ფორმა კანონიერია, რაც ტოპონიმიური მასალით მოწმდება (შდრ. ს ა-ზ ა ნ-ო, ზან-ათ-ი, ზან-ა ზან-ავ-ი), და, რაც მთავარია, ის დღესაც გამოყენებაშია როგორც ეთნონიმი (სვანები მეგრელებს ზ ა ნ ე ბ ს უწოდებენ[84]), ასევე კანონიერი უნდა იყოს Σαννοι ფორმაც, რომლის განვითარებადაა მიჩნეული ზ ა ნ ი[85]. ყოველ შემთხვევაში, ქართველურ ენებში „ს"-სა და „ზ"-ს ურთიერთშენაცვლების[86] საფუძველზე ს ა ნ და ზ ა ნ სახელები დიალექტურ ეკვივალენტებად შეიძლება განიხილოს. Σαννοι ფორმის კანონიერებაზე შესაძლოა მიუთითებდეს ქართული გვარსახელები ს ა ნ ა ძ ე, ს ა ნ ა ი ა, რომლებიც ჭანიშვილ-ჭანია-ჭანბას რიგის გვარსახელებად გვესახება. რაც შეეხება μο-σσύν-οι სახელს, შესაძლებელია ის Σαννοι ფორმის დიალექტური ვარიანტი იყოს. არ არის გამორიცხული შესაძლებლობაც, რომ ის, როგორც I თავში გვქონდა აღნიშნული, გადმოსცემდეს ს ვ ა ნ სახელს, ან თუ ორი სიგმა მართლაც უცხო ბგერის გამოხატვის ცდაა, ამ სახელის სვანურ ვარიანტს. ყოველ შემთხვევაში ქართველური წარმოება μο-σσύν-οι ტერმინისა აშკარაა.

ასევე კანონიერი და ამასთან ჭ ა ნ სახელის უძველესი ფორმაა, როგორც ირკვევა, კ ა ი ნ//კ ე ნ ტერმინიც, რომელიც საისტორიო წყაროებში დამოწმებულია ერთ შემთხვევაში, როგორც ჭანების ქვეყნის სახელწოდება ჭოროხის აუზში, ხოლო მეორე მხრივ იმ მხარის მოსახლეობის სახელი, რომელსაც თურქული ადმინისტრაციული ნომენკლატურის მიხედვით დღესაც ჯ ა ნ ი კ ი

---

[81] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, გვ. 206.

[82] ამ მხრივ აღსანიშნავია ევსტათე თესალონიკელის ცნობა, რომ მაკრონებს ახლა სანებს, მდაბიურად ტანებს ეეძახით, ხოლო სანების ქვეყანას იგივე მდაბიური გამოთქმით ტანიკე ეწოდებაო (ВДИ, 1948, № I, გვ. 255). საკითხავია, ევსტათეს „მდაბიური" „ადგილობრივის" ეკვივალენტი ხომ არ არის.

[83] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, 1913, I—II, გვ. 25., 26; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, თუბალ-თაბალი. . ., გვ. 208. Μοσσύνος ფორმა დამოწმებულია ფსევდო-სკილაქსთან, პლინიუსი კი ამ სახელის Massyni ვარიანტს იძლევა (NH, VI, 11), რაც ნათლად გვიჩვენებს, რომ საკვლევი სიტყვის ფუძე მართლაც უნდა იყოს σσυν ხოლო mo და ma პრეფიქსებია, რომლებიც ქართველურ წარმომავლობით პრეფიქსებს შეესაბამება.

[84] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, თუბალ-თაბალი. . ., გვ. 193.

[85] ი ქ ვ ე. გვ. 206.

[86] ამის მაგალითები იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 206.

ეწოდება[87] ამ პროვინციის ძირითადი მოსახლეობის — ჭანების გამო. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს პროკოპი კესარიელის უკვე ხსენებული კონტექსტიდან Τζάνων τῶν Ὀκενιτῶν, სადაც ჭან ფორმის, ან უკეთ. ამ უკანასკნელის ბერძნული შესატყვისის გვერდით გვაქვს უძველესი კენ ფორმაც. საძიებელი ტერმინის ცალკეული ვარიანტები ინით გახმოვანებული, დამკვიდრებულია აგრეთვე ადგილობრივ ტოპონიმიაში: პროკოპი კესარიელი როგორც ითქვა, ჭანების მიწა-წყალზე ასახელებს მხარეს, რომელსაც ოკენიტი ეწოდება, ხოლო ამ უკანასკნელში — სოფელ კენას (Κενά). არიანესთან დამოწმებულია მდინარე აკინასი (Ἀκινάσης), რომელსაც ახ. წ. V საუკუნის „პერიპლუსის" ანონიმი ავტორი კინასს (Κινάσης) უწოდებს. ეს მდინარეები დასახელებულია ჭანებით დასახლებულ მხარეში, რომელიც შესაძლოა. ოკენიტშიც შედიოდა[88]. სოფ. ჯაღრასთან ჩამოდის ღელე, რომელსაც კინასკური ეწოდება. იგი ერთვის ჭანის წყალს და ეს განსაკუთრებით ნიშანდობლივად გვეჩვენება. აქვეა სახნავი, რომელსაც აგრეთვე კინასკური ერქვა[89]. იქ კი, სადაც პლინიუსს კაენების ტომი ეგულება, წყაროებში დასახელებულია ამაზონური ქალაქი კინა[90]. არ არის გამორიცხული, რომ ხსენებული ქალაქის სახელწოდებაც კაინთა სატომო სახელს უკავშირდებოდეს.

ამრიგად, კაენ//კენ ფორმების კანონიერება ჭანურისათვის შემოწმდა როგორც საისტორიო წყაროებში არსებული ცნობებით, ისე იქვე დამოწმებული ტოპონიმიური მასალითაც. ნათელი გახდა ისიც, რომ გარკვეული დროიდან ხალიბ და ხალდ სახელებს ენაცვლება და ფარავს კაენი, რომელიც ანტიკურ საისტორიო წყაროებში ჭან სახელზე ადრეა დამკვიდრებული და ამდენად ამ უკანასკნელის უძველეს ფორმას წარმოადგენს. სატომო სახელების ასეთი შენაცვლება საისტორიო წყაროებში იშვიათი არ არის. სხვადასხვა საისტორიო ტექსტებში ხალიბ და ხალდ სახელებს ისევე ენაცვლება კაინ სახელი, როგორც, მაგალითად, ტიგლათფალასარ I წარწერებში — ქაშქა და აბეშლა სახელწოდებები[91]. ამ შენაცვლებათა ფონზე უფრო საფუძვლიანი გახდა სომხურ ისტორიოგრაფიაში მიღებული იგივეობა ხალიბ // ხალდებისა ჭანებთან, მაშასადამე — კაენებთან. მაგრამ ხალიბ და ხალდ ტერმინები (ხალივ, ხალიტ, ჰალიძონ ვარიანტებითურთ) გაცილებით უფრო ადრეულ წყაროებში გვხვდება, ხოლო, რაკი კაენ სახელი ასე მჭიდროდაა დაკავშირებული ხალიბ-ხალდებთან, არ შეიძლება ამ კავშირის კვალი ხსენებულ ადრეულ წყაროებშიც არ მოიძებნოს. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, გვაგონდება სახელი ბიბლიური თუბალკაინისა, რომელზეც ნათქვამია: „ესე იყო კვერით ხუროჲ მჭედელი რვალისა და რკინისა" (შესაქმე, IV, 22). თუბალკაინ სახელწოდების შესახებ ნ. მარი თა-

---

[87] Современная Турция, АН СССР, М., 1958, რუკა.

[88] გეორგიკა, III, 1934, გვ. 186; ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბ., 1961, გვ. 37; 85; შდრ. გეორგიკა, 1965, II, გვ. 3.

[89] ეს ტოპონიმები დაცული ა ვასული საუკუნის 70-იან წლებში შედგენილ სოფ. ჯაღრის მიწის ნაკვეთების გამიჯვნის დოკუმენტში, რომელიც არქიტ. ს. ბოლქვაძეს აქვს დაცული. მანვე მომაწოდა ზემოთ მოტანილი ცნობა და აღნიშნული დოკუმენტიც გამაცნო.

[90] Дж. Томсон, Исследования по истории древнегреческого общества, 1958, გვ. 178, შნშ. 156.

[91] ამ შენაცვლებათა შესახებ იხ. Г. А. Меликишвили, Найри-Урарту, стр. 75—76.

ვის დროზე აღნიშნავდა, რომ ეს ეთნიკური ტერმინი ჭ-ს მეშვეობით კ-ს ზუსტი შენაცვლების შედეგად დღემდეა დაცული ლაზების ქართულ დასახელებაში ჭ ა ნ ი (<ṭayn-ს. ჰაიური: ṭen, არქაული: ṭeyn და ა. შ.)[92]. ასეთივე გაგივება საფუძვლიანი ჩანს არა მარტო ენობრივი, არამედ ფაქტობრივი თვალსაზრისით.

ცნობილია, რომ „დაბადების" თ უ ბ ა ლ ი შეესაბამება ასურული ტექსტების ტ ა ბ ა ლ ს ა და ანტიკური წყაროების ტ ი ბ ა რ ე ნ ს[90]. დღეს მკვლევართ დიდი ნაწილი ამ იგივეობას იზიარებს[91], მაგრამ არიან ისეთებიც, ვინც სკეპტიკურად ეკიდება მას. მაგალითად, ი. დიაკონოვი უარყოფს ასურულ-ძველებრაული ტექსტების თაბალ-თუბალის კავშირს ბერძნული წყაროების ტიბარენებთან. მისი აზრით, ქვეყნის სახელი ტ ა ბ ა ლ ი რომ არ ემსგავსებოდეს სატომო სახელს ტ ი ბ ა რ ე ნ ი, არავის შეეპარებოდა ეჭვი ამ ქვეყანაში ლუვიური (ხეთურ-იეროგლიფური) ტომების ბინადრობაში, რაზეც თვალნათლივ მიუთითებს ლუვიურ ენაზე შესრულებული წარწერები და ტაბალის მეფეთა სახელებიო[95]. აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ იმის შესახებ, რომ მარტოოდენ ოფიციალური დოკუმენტების ენა და მეფეთა სახელები არ გამოდგება ყოველთვის ამა თუ იმ ბარის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის დასადგენად, ან, ყოველ შემთხვევაში, მოცემულ მხარეში ეთნიკურად (ენობრივად) ერთგვაროვანი მოსახლეობის დასადასტურებლად, არც იმაზე შევაჩერებთ ყურადღებას, რომ 24 სამეფოსაგან შემდგარი ტაბალის ქვეყანა არ შეიძლება ეთნიკურად ერთგვაროვანი ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ამ ქვეყნის მოსახლეობის ერთ და შესაძლოა, საგრძნობ ნაწილს ლუვიურად მოლაპარაკე ტომები შეადგენდნენ, მაგრამ ისინი, ცხადია, არ იყვნენ ტაბალ-ტიბარენები, ისინი მხოლოდ ამ უკანასკნელთა სახელით აირეკლნენ წყაროებში, რასაც ხშირად ჰქონდა ხოლმე ადგილი ძველად. ხოლო ის გარემოება, რომ ტ ა ბ ა ლ, ტ ი ბ ა რ ე ნ ტერმინები (თავისი ვარიანტებითურთ) სტრუქტურულადაც და ეტიმოლოგიურადაც არც ერთი ენის საფუძველზე არ აიხსნება ისე მწყობრად, როგორც ქართველური ენების მეშვეობით, არსებითად მეტყველებს ამ სახელის მატარებელთა ეთნიკურ ვინაობაზე[96].

მეორე მხრივ, ამ იდენტობის სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ძვ. წ. 51 წელს ციცერონი, პროკონსული კილიკიისა, რომელსაც თავის დროზე ემე-

---

[92] Н. Я. М а р р, Яфетические элементы в языках Армении, ИИАН 1911, № 2, 140, 141.

[93] გამახვილებულია ყურადღება ხსენებული ეთნიკური ტერმინებისა და აშკარად მათთან დაკავშირებული, დღემდე მოქმედი (მაგალითად, ტ ო პ ა დ ა), თუ საისტორიო წყაროებში დაცული (მაგალითად, პტოლემაოსთან (V, 4) Τόβαια პაფლაგონიაში) მცირეაზიური ტოპონიმების ქართული და ქართველური ენობრივი მასალის საფუძველზე გააზრების მიმართ (იხ. А. Ш а н и д з е, К этимологии названия «топада», ენიმკის მოამბე, 1, 1937, გვ. 79—86).

[94] O. M e r i g g i. Le inscrizioni in eteo georeglifico del Tabal (τιβαρηνα). Rivista degli studi orientali, vol., XXVIII, 1957, P. I, Roma, გვ. 225—239; Г. А. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 76, შმდ.; R. D. B a r h e t, Phrigia and the Peoples of Anatolia in the Iron Age, გვ. 7, 8 შმდ., ავტორი აღნიშნავს (გვ. 8), რომ ტაბალში, როგორც ჩანს, უნდა ვიგულისხმოთ ადრეული ლუვიური ელემენტები, მაგრამ იმაზეც მიუთითებს (გვ. 7), რომ ასურული წყაროების მუშქი და ტაბალი შეესაბამება იაფეტის ძეთ—მეშეხსა და თუბალს, რომლებიც „დაბადებაში" გვევლინებიან აზიური საწყისების სიმბოლოდ.

[95] И. М. Д ъ я к о н о в, Предыстория армянского народа, стр. 193, 194.

[96] შდრ. Г. А. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, стр. 76.

ზობლებოდა ქვეყანა ტაბალი, იქვე კილიკიასთან გვიდასტურებს ტიბარანთა ტომს, სპეციალისტების მიერ, სრულიად მართებულად, ტაბალელთა შესატყვისად მიჩნეულს[97]. ეს ტიბარანთა ტომი ნაწილი უნდა იყოს იმ დიდი ეთნიკური ჯგუფისა და ქვეყნისა, რომელთაგან პირველს სტრაბონი ტიბარანულ ტომებს (τιβαρανικὰ ἔθνη) უწოდებს (Strab., II, 5, 31), ხოლო მეორეს იგივე სტრაბონი (Strab., VII, 4, 3) ახ. წ. V ს. ანონიმთან ერთად — ტიბარანიას[98].

ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ კაინი, ხოლო უფრო გვიან ამ სახელის ჭან ფორმა, თანდათან ენაცვლება და ფარავს ხალიბ სახელს. კაინი ამავე დროს „დაბადებაში" მუდამ თუბალთან ან ამ უკანასკნელის შესატყვისთან აბელთან ერთად მოიხსენიება ისევე, როგორც ხალიბი — ტიბარენთან. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა „დაბადების" პირველი ქრისტიანი განმმარტებლების „გენეალოგიური ნუსხები. მაგალითად, Liber generationis, ახ. წ. IV ს. პირველი ნახევრის ძეგლი, იაფეტის შთამომავალთა შორის ერთად ასახელებს ტიბარენებს და ხალიბებს (გეორგიკა, 1, გვ. 13). ტიბარენები და ხალიბები აგრეთვე ერთად მოიხსენიებული ჰყავს იაფეტის შთამომავლებს შორის ახ. წ. IV ს. მწერალს ეპიფანე კვიპრელსაც (გეორგიკა, 1, გვ. 40). ტიბარენი ამ ცნობებში „დაბადების" თაბალ/თუბალს უდრის, ხოლო ხალიბს კაინის ადგილი უკავია. იბადება კითხვა — რა საფუძველზე უნდა მოიხსენიოს ამგვარი შენაცვლება? „დაბადებისათვის" უცნობი დარჩა ხალიბთა ტომი. მეორე მხრივ, „დაბადების" ზემოიხსენებული კომენტატორების ხანაში აღარც ეთნიკური ცნება ხალიბი არსებობდა. ის მწიგნობრული გზით თუა ხოლმე შესული ამ დროის წყაროებში. ამავე დროს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ჭანების სატომო სახელი ნთქავს დანარჩენ ეთნიკურ ცნებებს. ჭანებს უკვე იცნობს ამიანე მარცელინი (ახ. წ. IV ს.), და Tzanni, Tzaanni სახელით ახ. წ. V ს. სულ დასაწყისის (413 — 415 წწ.) წყარო Notitia dignitatum (იხ. გეორგიკა, 1, 173 შნშ. 2). მიუხედავად ამისა, ხალიბთა სახელი მაინც აირეკლა გენეალოგიურ ნუსხებში კაინთა ტომების ადგილას. საკითხავია, ხომ არ არის ეს შედეგი „დაბადების" ტექსტის მიღებული ინტერპრეტაციისა, რომლის მიხედვით თუბალს ტიბარენი შეესაბამება, ხოლო კაინს — ხალიბი.

თაბალ-თუბალთა და ტიბარენთა იგივეობასთან დაკავშირებით გვინდა შევაქციოთ ყურადღება შემდეგ გარემოებასაც: „დაბადებაში", როგორც ცნობილია, მოიხსენიებიან ლამეხის შვილები ჟაბალი და ჟუბალი, რომელნიც თუბალკაინის ძმები არიან[99]. ჟაბალ და ჟუბალ სახელები თუბალ სახელის პარალელურ ფორმებადაა მიჩნეული[100]. ამასთან

---

[97] ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, ენიმკის მოამბე, 1937, 1, გვ. 232; R. D. Barnet, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

[98] ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო (ნ. კეკელიძის გამოცემა) თბ., 1961, გვ. 91.

[99] „შესაქმე", IV, 19—22.

[100] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1913, გვ. 23, 24, 31, 32; ს. ჯანაშია ამის გამო სამართლიანად აღნიშნავდა: „საკმარისია მოვიგონოთ ასურული ცნობა ტაბალის 24 სამეფოს არსებობის შესახებ, პარალელური ფორმების ასეთი სიმდიდრე სავსებით ბუნებრივად, მივიჩნიოთ და სხვა დაკარგული ფორმებიც ვიეარაუდოთ" (იხ. მისი, თუბალ-თაბალი. . ., გვ. 240). საგულისხმოა აგრეთვე, რომ ევსტათი ანტიოქელი, ახ. წ. IV საუკუნის პირველი ნახევრის

დაკავშირებით უნდა მოვიგონოთ, რომ დაბადებაში" ᲐᲑᲔᲚᲘᲡ შესახებ ნათქვამია: „ესე იყო მამა მკვიდრთა კარვებისათა საცხოვრისა მზრდელთა" (შესაქმე, IV, 20). რადგან ზუსტად ასევეა განსაზღვრული კაინის ძმის აბელის საქმიანობა „შესაქმეს" მეოთხე თავის პირველივე სტრიქონებში: „და იქმნა აბელ მწყემსი ცხოვართა" (შესაქმე, VI, 2). უდავოა, რომ ორივე ცნობაში ერთსა და იმავე მეჯოგე ხალხზეა ლაპარაკი. ცხადია, ისიც, რომ ორივე ცნობა ფაქტიურად ერთი საისტორიო ტრადიციის ორი ვერსიაა, რაზეც მეტყველებს არა მარტო ამ ხალხების ტომობრივი საქმიანობის თანხვედრა და მათი ეთნარქოსების სახელთა პარალელური ფორმები, არამედ მათი სხვადასხვა ადგილიც ბიბლიის გენეალოგიურ სქემებში.

ზემოთ განხილულ ცნობებთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის ეპითეტი, რომლითაც კლასიკური წყაროები იხსენიებენ ტიბარენებს. ამ წყაროებში ტიბარენებს უწოდებენ πολύρρηνες[101], რაც ცხვრის ფარებით მდიდარ ხალხს ნიშნავს[102]. დაუდევრობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ აქ შემთხვევით დამთხვევასთან გვაქვს საქმე. ამგვარ დამთხვევებზე უარის თქმა საფუძველს გამოაცლიდა კვლევა-ძიებას. ამიტომ უფრო აზრიანი გვეჩვენება ვარაუდი, რომ ანტიკურ მწერლობაში ყრუდ აისახა რომელიღაც უძველესი საერთო საისტორიო ტრადიციის კიდევ ერთი ვერსია, სადაც ᲐᲑᲔᲚ//ᲓᲐᲑᲐᲚ//ᲗᲣᲑᲐᲚ სახელთა კიდევ ერთი ᲢᲘᲑᲐᲠ პარალელური ფორმა იყო დამოწმებული[103]. ამგვარიში უნდა გაეწიოს შემდეგ გარემოებასაც: ბიბლიურ ცნობათა განხილვამ დაგვარწმუნა, რომ ᲐᲑᲔᲚ და ᲓᲐᲑᲐᲚ სახელწოდებებში ერთი და იგივე ხალხი იგულისხმება. ამას ადასტურებს არა მარტო ზემოთ განხილული თანხვედრები, არამედ კიდევ ერთი არსებითი ხასიათის დეტალიც, რომელიც ორივე ვერსიაშია დაცული. როგორც დავინახეთ, დაბადებაში არსებული ერთი ვერსიის მიხედვით ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲗᲣᲑᲐᲚ-ᲙᲐᲘᲜᲘᲡ (sic) ძმაა, ხოლო მეორე ვერსიით მისი შესატყვისი ᲐᲑᲔᲚᲘ არის ძმა ᲙᲐᲘᲜᲘᲡᲐ (შესაქმე, IV, 2; IV, 20—22). მაშასადამე, ნათელია, რომ ᲓᲐᲑᲐᲚ და ᲐᲑᲔᲚ სახელწოდებანი ერთსა და იმავე ხალხს აღნიშნავს, ხოლო ᲗᲣᲑᲐᲚ-

---

საეკლესიო მწერალი, საძიებელი სახელს კიდევ ერთ პარალელურ ιβελ ფორმას გვიდასტურებს: ობელისგან „არიან თეობელები Θεοβέλους დღეს რომ იბერელები ეწოდებათო" (იხ. გეორგიკა, I, 1961 გვ. 34—35).

[101] SC, I, 2, გვ. 413; ВДИ, 1948, № 1, გვ. 241.

[102] πολύρρηνες უძველესი ტერმინია, ზემოაღნიშნული მნიშვნელობით მას ჯერ კიდევ ჰომეროსი ხმარობდა (შდრ. Il., IX, 154, 296).

[103] ᲢᲘᲑᲐᲠ ფორმის არსებობის შესაძლებლობა დასტურდება შემდეგი მასალით: ალიშარის წარწერებში (58:30) მოხსენებულია ადგილი Ti-bi-ra, რომელიც, ალიშარის წარწერების გამომცემლის ი. გელბის სიტყვით, სხვა წყაროებისათვის უცნობია. თუმც იგი აქვე სვამს საკითხს: „შეიძლება თუ არა შეესაბამებოდეს გეოგრაფიული სახელწოდება Tibira თუ Tabalum, ანდა ორივე ერთად, ნარამსინის Tibar-,ს ხეთური ტექსტების Tipalaš, ასურეთის მეფეთა წარწერების Tabal-ს, ბიბლიის Tubal-ს (სეპტუაგინტაში გვაქვს Θobel ან Θober) და ჰეროდოტეს τιβαρηνοί-ს". შემდეგ ავტორი დასძენს, და ეს ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რომ გეოგრაფიული სახელწოდება Tibira წარმოადგენს შუმერულ სიტყვას tibira, რომელიც აღნიშნავს URU-DU. NAGAR-ს, ე. ი. სპილენძს. აქედან მომდინარეობს, ავტორის აზრით, ასურული taberu, რომელიც თავდაპირველად აღნიშნავდა „სპილენძის ოსტატს", ხოლო უფრო გვიან გადაიქცა „მელითონეს" აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად (I. J. Gelb. Inscriptions from Alishar and Vicinity. Illinois, 1935, გვ. 11).

კაინ ტერმინის მეორე ნაწილი დამოუკიდებელი ეთნიკური სახელია[104], რომელიც მეორე ვერსიაში დამოწმებულ კაინ სახელს შეესაბამება. მაშასადამე, იმ ვერსიაში, რომელშიც კაინი დამოუკიდებლად იხსენიება, როგორც ძმა აბელისა, უფრო ძველი ამბავია აღწერილი. რაც შეეხება ტერმინს თუბალ-კაინი, იგი შემდგომ გაჩენილი ეთნიკური ცნებაა, რომლის წარმოშობა. ასგავსად პლინიუსის არმენო ზალიბისა, გარკვეულ მოვლენებთან უნდა იყოს დაკავშირებული. რა ისტორიულმა მოვლენებმა ჰპოვა თავისი ასახვა საძიებელ ტერმინში, ამის გარკვევა ძნელია, მაგრამ თუ დავუკვირდებით თუბალ-კაინის „ბიბლიაში" არსებულ დახასიათებას, საინტერესო დასკვნამდე შეიძლება მივიდეთ.

თუბალ-კაინზე „დაბადებაში" ნათქვამია: „ესე იყო კვერით ხუროდ მჭედელი რვალისა და რკინისა" (შესაქმე, IV, 22). მაშასადამე, თუბალ-კაინი მარტო რკინის მჭედელი კი არ ყოფილა, არამედ რვალისაც, რაც, როგორც ცნობილია, ბრინჯაოს ნიშნავს[105]. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით. რვალი „ესე არს: სპილენძთა და კალათა შერეულნ და შთამოასხამენ სარეკელ ზარად, ლინად ეეუანად ოხრის და ხმაყღერადობისათვის;

---

[104] R. Eisler-ი ცდილობს, კაინ სახელი ახსნას სემიტური მასალის საფუძველზე „მდნობელის", „მბერავის" (Bläser) ე. ი. საბერველის ოსტატისა და მჭედლის მნიშვნელობით (R. Eisler. Qeinzeichen und die Qeniter. Le Monde Oriental, XXII, Fasc., 1929, გვ. 61, შმდ.), მაგრამ ფაქტიური მასალით ასეთი ცდა არ დასტურდება. Kayn— სიტყვა მჭედლის მნიშვნელობით უცხოა სემიტურისათვის და კერძოდ ბიბლიისათვის. ამ ძირის სიტყვები სრულიად განსხვავებულ შინაარსს ატარებენ. ისინი უპირატესად აღნიშნავენ: „სიმღერას", „გოდებით სიმღერას" და ა. შ., რასაც მჭედლობასთან არავითარი კავშირი არა აქვს (W. Gesenius, Hebraiches und Aramäesches Handwörterbuch Über das Alte Testament, 1910; აგრეთვე R. Dozy. Suplement aux Diktionair arabes). ამიტომ რომელიმე სემიტური ენის მეტყველებაში ან შედარებით გვიან წყაროში მჭედლის მნიშვნელობით kayn სიტვის ხმარება უნდა მიუთითებდეს ამ ტერმინის სესხებაზე. ამასთან დაკავშირებით ნ. მარი აღნიშნავდა, რომ საძიებელი სიტყვის ფუძე kn ნასესხებია სემიტურის, კერძოდ არაბულის მიერ, სადაც kana ნიშნავს „ჭედავდა" და kayn „მჭედელს". «Однако,— дослѣдуя Н. Марра, — это заимствование в семитических языках из яфетических, повидимому более позднее и может восходить не к глаголу, а к имени, в частности к этническому названию «ковача предметов из железа», словом арабский, глагол может быть деноминативным, как это обычно и толкуется» (Н. Я. Марр, Яфетические элементы в языках Армении, ИИАК, 1911, № 2, VI серия, стр. 141). იქნებ აქვე დავუმატოთ კაინის, თუ შეიძლება ითქვას, ეთნიკური „მიდრეკილების" შესახებ, რომ მისი აღმოსავლეთით განდევნის შემდეგ იგი გვევლინება ჰენიოხთა ეთნარქოსის ენოხის მამად და საერთოდ ჰენიოხიის დამაარსებლად: „და იცნა კაინ ცოლი თვისი; და მიუდგა და შუა ენოხ და აღაშენა ქალაქი და უწოდა ქალაქსა სახელი ძისა თჳისისა: ენოხ" (შესაქმე, IV, 17). ჭანთა და ჰენიოხთა ურთიერთმიმართების თვალსაზრისით საინტერესოა, რომ პლინიუსი ტრაპეზუნტის მხარეში გვიდასტურებს სანების ჰენიოხების ტომს, gens sanorum Heniochorum (NH, VI, 12).

[105] „რვალ" სიტყვას ბერძნულ ტექსტებში შეესაბამება *zalxós* რაც ჩვეულებრივ სპილენძს აღნიშნავს ხოლმე. სიტყვა *zalxós* „დაბადების", კერძოდ, მოსეს წიგნების ქართული თარგმანის ზოგიერთ ნუსხაში ქართულად გადმოიცემოდა აგრეთვე, როგორც პილენძი (იხ. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928, გვ. 271, სიტყვა პილენძის განმარტება). ასეთივე ვითარებაა ახალი აღთქმის წიგნებშიც: მარკოზის სახარებაში, ერთსა და იმავე ადგილას (6_3) ჯიეჭისა და პარსლის ნუსხებში ბერძნული *zalxós*-ის შესატყვისად გვაქვს რვალი, ხოლო უძველეს, ადიშის ნუსხაში პილენძი (იხ. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდელი ხელნაწერის მიხედვით, აკ. შანიძის გამოცემა, 1945 წ.). როგორც ვხედავთ, პილენძიცა და რვალიც უძველესი ტერმინებია, რომლებიც ძველთაგან ერთდროულად იხმარება. უკანასკნელი გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ თითოეული ეს ტერმინი სხვადასხვა ლითონს აღნიშნავდა. „შესაქმეში" ერთგან რვალი სახელია ლითონისა, რომელიც

ვიეთთა ნაცულად სპილენძისა აღუწერიათ, გასწორება სჯობს»[106].

უნდა აღინიშნოს, რომ არც განათლებულ ბერძნებს და არც სხვა, ძველ ცივილიზებულ ხალხებს არ უჩანთ დიფერენცირებული ტერმინი ბრინჯაოს აღსანიშნავად მაშინ, როდესაც ქართულში უძველეს დროს გაჩენილა იგი. საფიქრებელია, რომ რვალ სიტყვის წარმოშობა ბრინჯაოს ინდუსტრიასთან უნდა იყოს დაკავშირებული და ქვემოთ მითითებულ სხვა ლითონების აღმნიშვნელ სახელებთან ერთად, ეს ტერმინიც უნდა ასახავდეს ქართველი ტომების მელითონეობის განვითარების გარკვეულ ეტაპს[107].

დავუბრუნდეთ ეთნიკურ სახელს თუბალ-კაინი. ამ ტერმინში აშკარად მოჩანს არა მარტო ორი სატომო სახელი, როგორც ეს ზემოთ იყო ნაჩვენები, არამედ. ჩვენი აზრით, მელითონეობის განვითარების გარკვეული ეტაპის ანარეკლიც. ეს ტერმინი უნდა ასახავდეს ხანას, როცა ლითონის წარმოება გადადის ახალი ლითონის. რკინის, დამუშავებაზე, მაგრამ ბრინჯაოსაც არა აქვს დაკარგული თავისი მნიშვნელობა. ამიტომაა თუბალ-კაინი რვალის მქედელიც და რკინისაც. თუბალ-კაინის ასეთი დახასიათება კი კარგად გამოხატავს აღნიშნული ხანის სპეციფიკას.

საქმე ისაა, რომ რკინის წარმოების ჩასაბვისას ამ ახალი ლითონის დამუშავება დაიწყეს ბრინჯაოს მეტალურგიაში მომუშავე მელითონეებმა, რომლე-

---

შეპირისპირებელია რკინასთან, სხვაგან კი იგივე რვალი აღნიშნავს სპილენძის ფულს და, როგორც ნაჩვენები იყო ასეთ შემთხვევაში მას სიტყვა პილენძი ენაცვლება. ძველ ქართველში ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ლითონის სახელწოდება ფულის სინონიმად გვევლინება და ეს არც პილენძან რვალ სახელებს შეეხება მხოლოდ. მაგალითად, საშუალო საუკუნეებში სიტყვა „რკინა“ ფულის მნიშვნელობითაც იხმარებოდა (იხ. ს. კაკაბაძის შენიშვნა, საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 256). ამრიგად, რვალი, მართალია, სპეციალური ტერმინია, მაგრამ ზოგადი შინაარსის გადმოცემის თვალსაზრისით, არ ქვს-ს დაპროლებას მისი პილენძ სიტყვით შენაცვლებისათვის.

[106] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, გვ. 280. ამიტომ, როცა მარკოზის სახარების ჯრუჭ-პარხლის ნუსხაში ლაპარაკია სპილენძის წვრილ ფულზე („ნუცა სარტყელსა რვალი“, 6ბ), უფრო მოსალოდნელი იყო „რვალის“ ნაცვლად ყოფილიყო „პილენძი“, როგორც ეს უძველეს ადიშის ნუსხაშია მოცემული.

[107] ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოთ შემდეგი, თითქმის უნიკალური მოვლენა: ქართულ ენაში კალის სახელწოდების გარდა ყველა ლითონის სახელი ქართული წარმოშობისაა (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1928, გვ. 20). მოვიგონოთ, მაგალითად, ნ. მარისეული ცნობილი ახსნა თანამედროვე სახელწოდებისა ბრინჯაო და მისი ევროპული შესატყვისებისა, რომლებიც მომდინარეობენ სპარსული ბირინჯ-ისაგან; ეს უკანასკნელი კი უკავშირდება ქართულში, ქართველურსა და სომხურში დამოწმებულ სახელებს პილენძი, სპილენძი, სპილენჯი, ფლინძ, რაც სპერის მადანს ნიშნავს (იხ. Н. Я. Марр, Яфтические элементы в языках Армении, გვ. 140, შდ: ს. კაკაბაძე, პატარა წერილები და შენიშვნები, საისტორიო მოამბე, 1, 1924, გვ. 256—258; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1928, გვ. 20). ამ ვარაუდს მხარს უჭერს ტერმინი „სპერმური“, რომელსაც ვხვდებით ქართულ საისტორიო წყაროებში. თამარის პირველი ისტორიკოსი მოგვითხრობს (იხ. ქართლ. ცხ., 1959, გვ. 27 და 70): „. . .ჯერეს სპერმურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილათა“, და „ჰკრეს სპერმურთა და სცეს ზარი“. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ სხვა ნუსხაში იგივე კონტექსტში მოცემულია ამ ტერმინის ვარიანტი სპერკური (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, 1929, II, გვ. 195); სულხან-საბა ორბელიანი (იგი იძლევა სპერმური ვარიანტს) ამ ტერმინს განმარტავს, როგორც სპილენძ-ჭური და ნაღარის მაგვარი ინსტრუმენტის სახელწოდებად მიიჩნევს („ქართული ლექსიკონი, 1928, გვ. 322). როგორც ვხედავთ, ამ ტერმინში შემონახულია „სპილენძ“ სიტყვის პირველადი ფორმა, რომელიც აშკარად უთითებს მის კავშირზე ქვეყნის სახელთან სპერ.

ბიც იმავე დროს აგრძელებენ სპილენძისა და ბრინჯაოს დამუშავებას. სხვასთან ერთად, ამიტომაცაა, რომ რკინის წარმოების გარიჟრაჟზე რკინის ნივთების დამზადებაში ბრინჯაოც იღებს მონაწილეობას. ასეთია რკინის უძველესი ნივთები — ბრინჯაოსტანიანი და რკინისპირიანი სატევრები, რომელთაც ძველაღმოსავლური წყაროები ახსენებენ და რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, ასეთია უძველესი ფოლადის ნივთი ქვემოქართლიდან, რომელსაც ბრინჯაოს ტარი აქვს და ფოლადის პირი[108]. რკინის ფართო ათვისების შემდეგ ვითარება იცვლება: ხდება სპილენძ-ბრინჯაოსა და რკინის მწარმოებელ მელითონეთა დიფერენციაცია, გამიჯვნა. ამ დროს უკვე აღარ შეიძლება მელითონე რვალის მქედელიც იყოს და რკინისაც.

განხილული ცნობების საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს არა მარტო ის ეპოქა, როცა უნდა გაჩენილიყო ეთნიკური ცნება თ უ ბ ალ-კ ა ი ნ ი, არამედ იმ ეთნოსის დაწინაურებაც, რომელიც რკინის წარმოების პირველ დამწყებად გვევლინება. მელითონე ტომები ბრძოლას პირველობისათვის რკინის შემოღებამდე ბევრად ადრე იწყებენ. ასეთი ადრეული ბრძოლის ანარეკლი უნდა იყოს ბიბლიური ლეგენდა ქვეყანაზე პირველი მკვლელობის შესახებ.

ამ ლეგენდის მიხედვით, კაინმა, რომელიც „იყო მშრომელ ქუეყანისა", მიართვა უფალს „ნაყოფთაგან ქუეყანისათა" მსხვერპლი, რომელიც უფალმა არ შეიწყნარა. კაინის ძმის აბელის მსხვერპლი კი „პირმშოთაგან ცხოვართა მისთასა და ცმელთაგან მათთასა" მიიღო (შესაქმე, IV, 2—5). ბიბლიის განმარტებით, ეს გახდა მიზეზი სისხლის ღვრისა, ამის გამო მოკლა კაინმა თავისი ძმა აბელი.

თუ ამ ლეგენდაში იმაზე მეტს არას ვიგულისხმებთ, რაც ასე ბუნწადაა ტექსტში გადმოცემული, ეს იმას ნიშნავს, რომ უარს ვიტყვით „დაბადებაზე", როგორც ისეთ საისტორიო წყაროზე, რომელიც ზოგ შემთხვევაში შეიძლება შეუცვლელიც იყოს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „დაბადებაში" ისტორიული მოვლენების აღწერა იდეოლოგიურ მიზანს ემორჩილება. წინასწარ შემუშავებული იდეოლოგიური დოგმები და სქემები განსაკუთრებით საგრძნობია მაშინ, როცა თხრობა ხალხთა გენეზისს ეხება. ამით აიხსნება ხშირ შემთხვევაში ბიბლიური ცნობების დაუსაბუთებლობა, ხოლო ფორმის მხრივ, მათი ნართაული და იგავური ხასიათი. ეს თვალნათლივ გამოჩნდება, თუ ღრმად ჩავუკვირდებით ზეპოხსენებულ ლეგენდას. უპირველეს ყოვლისა საინტერესოა, რომ მემატიანე არ ასახელებს მიზეზს, რატომ არ შეიწყნარა უფალმა სწორედ მიწის მუშის. კაინის შეწირულება, ხოლო მეჯოგე აბელისა მიიღო. მეორე მხრივ, საყურადღებოა ისიც, რომ კაინში, ვიდრე იგი მკვლელობას ჩაიდენდეს, ადამიანთა შორის პირველი მკვლელობის ცოდო პოტენციურადაა მოცემული. უფალი აფრთხილებს მას: შენს წინაშეა ცოდო, რომელიც შენსკენ მოილტვის, მაგრამ შენ უნდა სძლიო მას („და შენ მსთავრობდე მას", შესაქმე, IV, 7). ეს იმას ნიშნავს, რომ დადგება ჟამი, როცა კაინს გაუჩნდება საშუალება მასში პოტენციურად არსებული ცოდოს რეალიზაციისა, როცა იგი მოკლავს აბელს (რეალური მნიშვნელობით — დაიმორჩილებს), როცა კაინი გადაიქცევა — აბელ — (resp.) თ უ ბ ალ-კ ა ი ნ ა დ. აქ უნებლიედ ბადება კითხვა, კაინში პოტენციურად არ-

---

[108] იხ. რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, რკინის ათვისების საკითხებისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ. წ. XIV—VI სს.), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXVI-B, 1961, გვ. 356.

სებული ცოდოს არსი ის ხომ არ არის, რომ გარკვეულ ჟამს მის ხელთ აღმოჩნდება ლითონი (რკინა), რომელიც ძველთა წარმოდგენების თანახმად თავისთავად ბოროტების მატარებელია: აკი კაინი resp. თუბალ-კაინი სხვა ბიბლიური ვერსიის მიხედვით მჭედლობის მამამთავარია. მას შემდეგ, რაც ამ იარაღით მუშაკობს კაინი, მისი მეშვეობით მოჰყავს ნაყოფნი ქვეყნისანი, ეს უკანასკნელი მიუღებელია ღმერთისათვის, ბუნებრივი გამრავლების („დაბადების" თვალსაზრისით ღვთიური) გზით მიღებულ აბელის ზვარაკთან შედარებით[109]. სპეციალურ ლიტერატურაში შემჩნეულია, რომ „დაბადების" ებრაულ დედანში განსაზღვრა „მშრომელ ქუეყანისა" ისეთი ინტონაციითაა მოცემული, რომ აშკარად იგრძნობა ერთგვარი ზიზღი და აბუჩი დამოკიდებულება კაინში გაპიროვნებული მიწის მუშის მიმართ და დაუფარავი სიმპათიები აბელში გაპიროვნებული თავისუფლად მოხეტიალე მეჯოგე ნომადებისადმი[110]. მართლაც, „დაბადება", ეს უძველესი საისტორიო წიგნი, ძველი ებრაული თემის წიაღში ჩასახული და გვაროვნულ იდეოლოგიას ემსახურება. ჩვენს კერძო შემთხვევაში მისი მიზანია დაიცვას აბელის გვაროვნული თემი პროგრესისაგან, რომელიც მიწის მუშა კაინშია განსახიერებული და განადგურებას უქადის მას. ამ ამოცანასაა დამორჩილებული „დაბადების" მთელი თხრობა და ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, ისტორიული მოვლენები სიმბოლურადაა გადმოცემული და თხზულების დედააზრთანაც ლოგიკურ შეუსაბამობაშია ხოლმე ნოცემული: უფალმა კაინი შეაჩვენა, სიკვდილით კი არ დაუსჯია, პირიქით, კაინის მოკვლისათვის შვიდმაგი საზღაური განაწესა (შესაქმე, IV, 5), მაშინ როდესაც ბიბლიური სამართლის საფუძველს „შესაქმეს" მიხედვით შეადგენს: „რომელმან დასთხიოს სისხლი კაცისა, ნაცულად სისხლისა მისისა დაითხიოს სისხლი მისი: რამეთუ ხატად ღუთისა შეჰქმენ კაცი" (შესაქმე, IX, 6). კაინისათვის მკვლელობის პატიება, ხოლო მისი მოკვლისათვის ასეთი დიდი ვერგელღის დაწესება სპეციალურ ლიტერატურაში ახსნილია საზოგადოებაში მელითონეთა განსაკუთრებული მდგომარეობის დაკანონებით, რაც ეთნოგრაფიული ანალოგებითაც დასტურდება[111]. ეს, შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ განსაკუთრებული ცნობა. იმ მხრივ უფროა საინტერესო, რომ ის, ფაქტიურად, კაინში განსახიერებული ხალხის მიერ აბელ-ჰაბალ-თუბალ ტომების დამორჩილების ისტორიული პროცესის კონსტანტაციას წარმოადგენს. ამ ისტორიული პროცესის შედეგად (ისევე, როგორც უფრო გვიან არმენოხალიბი) უნდა წარმოქმნილიყო სწორედ ახალი ეთნიკური ცნება თუბალკაინი, რომელშიაც აისახა მოძალება კაინთა ტომებისა, მელითონეებისა და რკინის დამუშავების ამ პირველდამფუძნებთა, ძველბერძნულ სამყაროში ხალიბთა სახელით რომ არიან ცნობილი.

შეიძლება უფრო კონკრეტულადაც განისაზღვროს ამ მრავალმხრივ საინტერესო ეთნიკური ცნების გაჩენის დრო. როგორც ეს ზემოთაც ითქვა, თუბალკაინ სახელის წარმოშობა დაკავშირებული უნდა იყოს იმ ხანასთან, რომელიც აღინიშნა ბრინჯაოს მეტალურგიის უაღრესი განვითარებით და ლითონის წარმოებაში ახალი მასალის — რკინის შემოჭრით. აქ რკინის პირველ-

---

[109] კაინში რომ მეტალურგი ტომები იგულისხმება და „მშრომელ ქეეყნისა" და „ნაყოფნი ქეეყნისანი" შესაბამისად შეიძლება ნიშნავდეს მადნის მთხრელსა და მადანს, ამის შესახებ იხ. R. Eisler. Das Qeizeichen und die Qeniter, გვ. 62—66. იგივეს უნდა გვიდასტურებდეს „დაბადების" ერთი ადგილი: „რკინაჲ ქეეყნით იქმნების" (იობი, 28₂).

[110] R. Eisler. დასახ. ნაშრომი, გვ. 63, 64.

[111] R. Eisler, იქვე, გვ. 49 შდ.

ლი. შემთხვევითი გამოყენება კი არ იგულისხმება, არამედ თვისობრივად სრულიად ახალი ლითონის, ფოლადის დამკვიდრება წარმოებაში. თუბალკაინურ სანყაროში ამას ადგილი ჰქონდა უკვე ძვ. წ. XV საუკუნის მიწურულისათვის: დაახლოებით ამ დროიდან ძველაღმოსავლურ ტექსტებში მოიხსენიება ფოლადის ნივთები, თუ შეიძლება ითქვას, თუბალ-კაინური ტიპისა, ე. ი. ბრინჯაოსა და ფოლადისაგან დამზადებული საგნები, რომელთა დამზადებას, და არა მარტო დამზადებას, არამედ მასალის სახელწოდებასაც სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის მელითონე ტომებს უკავშირებენ[112].

ელ-ამარნას არქივში დაცულია ნუსხა საჩუქრებისა, რომელიც გაუგზავნა მითანნის მეფემ ტუშრატამ (ძვ. წ. XV ს. დასასრული) ეგვიპტის ფარაონს ამენჰოტეპ III, როცა მას თავისი ქალიშვილი ტატუხეპა მიათხოვა. ამ ნუსხაში პატიოსან თვლებსა და ოქროს ნივთებს შორის დასახელებულია: „(1) სატევარი, რომლის პირი habalkinu-სი"[113]. ამავე ნუსხაში, უფრო ქვემოთ, სხვა ძვირფას ნივთებთან ერთად კვლავ მოხსენიებულია ერთი სატევარი, რომელსაც habalkinu-ს პირი აქვს[114]. მესამედ, ისევ აღნიშნულ ნუსხაში, უკვე ამ მასალისაგან დამზადებულ ათ ნივთზეა ლაპარაკი[115].

ლ. კნუტძონს გერმანულ თარგმანში habalkinu-ს შესატყვისად სიტყვა „ფოლადი" აქვს ნახმარი[116]. ფოლადად თარგმნიდა ამ ტერმინს ელ-ამარნას ტექსტების გლოსარიუმის შემდგენელი ე. ებელინგიც, თუმცა თავის თარგმანს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა[117]. საძიებელი ტერმინის ამგვარ თარგმანს მართებულად თვლის რ. ფორბესი[118], ხოლო სხვებს მიაჩნიათ იგი ან საკამათოდ (მაგალითად, სტ. პრჟევორსკის)[119], ანდა საეჭვოდაც კი[120].

---

[112] ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ავლენენ კავშირს ისტორიულ მოვლენებსა და ბიბლიურ ცნობებს შორის. მაგალითად, ქალდეველთა ურიდან ჯერ ხარანში, აქედან კი ქანაანში ბიბლიური აბრამისა და მისი ოჯახის გადასვლაში (იხ. შესაქმე, I, II, 31) ცდილობენ დაინახონ იზრაელთა ტომების ქანაანში მოსვლის ანარეკლი. აბრამის ხანას ე. წ. „აბრამის საუკუნეს" გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში აქცევენ და შუაბრინჯაოს I პერიოდს აკუთვნებენ (N. Glueck. Rivers in the Desert, N. Y, 1959, გვ. 68, იქვე რუკა). აღსანიშნავია ბიბლიასა და მარის დოკუმენტებში მოხსენებული ონომასტიკონის დამთხვევაც, მაგრამ, ბიბლიური თხრობის მიხედვით, თუბალკაინი წინამორბედია აბრამისა და ასეთ შემთხვევაში ძნელია, ამ ცნებაში რკინის წარმოების ჩასახვის ანარეკლი ვეძებოთ. შეგვეძლო გვეკარაუდა ბიბლიაში მოვლენათა თანმიმდევრობის აღრევა, რაც საესებით დასაშვებია, და ხშირიც, მაგრამ საქმეც ისაა, რომ როგორც ცნებაში თუბალკაინი, ისე აბრამის შესახებ თხრობაში ასახული ჩანს გარკვეული პერიოდი ისტორიისა. საბჭოთა სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ხეთებთან აბრამის მოსვლისა და მათგან მიწის შესყიდვის ამბავში თავს იჩენს ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისა და ათასწლეულის დასაწყისისათვის დამახასიათებელი მიწის საკუთრების ფორმები, რასაც ადასტურებს მიწის ყიდვა-გაყიდვის უგარიტული და ბიბლიური ფორმულირების დამთხვევაც (იხ. И. Д. Амусин, «Народ земли», ВДИ, №2, 1955, გვ. 21, 22; И. Ш. Шафман, Земельные отношения в Палестине в первой половине I тыс. до н. э., ВДИ, № 4, 1965, გვ. 27—29). ასე რომ, ბიბლიაში მოცემული თანმიმდევრობა ხელს არ უნდა გვიშლიდეს, თუბალკაინის შესახებ ცნობაში რკინის წარმოების დასაწყისის ანარეკლი დავინახოთ.

[113] L. A. Knudtzon. Die El-Amarna-Tafeln. Vorderasiatische Bibliothek, Leipzig, 1907, II, გვ. 158 ᲛᲔ.

[114] იქვე, გვ. 168_7.

[115] იქვე, გვ. 172_{49}.

[116] იქვე, გვ. 159_{31}, 169_7, 173_9.

[117] Die El-Amarna -Tafeln. Vorderasialische Bibliothek, Leinzig, 1914, გვ. 1411.

[118] იხ. მისი, Metallurgy in Antiquity, Leiden, 1950, გვ. 453.

[119] St. Przeworski, Die Metallindustrie Anatoliens..., გვ. 153.

[120] იხ. E. Laroche. Etudes de vocabuleire VI. Revue Hittite et Asianique, XV fascikule, 1957, გვ. 9.

მას შემდეგ, რაც ამ რამდენიმე წლის წინ ე. ლაროშმა ამ საკითხს საგანგებო ნარკვევი უძღვნა, საკვლევი ტერმინის პირვანდელი გაგების სისწორე ეჭვს აღარ იწვევს.

ე. ლაროშმა, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება მიაქცია იმას, რომ იმავე ტუნარატას წერილში მოხსენიებულია ერთი სატევარი რკინის პირით და რომ რკინა AN. BAR იდეოგრამითაა გადმოცემული. მან სამართლიანად დაასკვნა: „ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ḫapalkinu/i AN. BAR იდეოგრამის ფონეტიკური წაკითხვაა". მანვე მოუნახა დასაბუთება ამ დაკვირვებას ხათურ-ხეთური ბილინგვის ხათური და ხეთური ტექსტების შეჯერების მეშვეობით: ყველა შემთხვევაში ხეთურ AN. BAR-ს, რაც რკინას აღნიშნავს, ხათურში შეესაბამება ḫapalki სიტყვა, რომელიც ხათურ შევედრების ტექსტებში ფიგურირებს, როგორც რკინის სახელწოდება[121].

ამრიგად გამოირკვა, რომ ამ ტერმინის უძველესი ფორმაა ḫapalki, რომ ის აღნიშნავს რკინას და გვხვდება არა მარტო ასურულში, არამედ ხათურში, ხეთურში და ხურიტულში. სხვადასხვა ენაში ტერმინის ასეთმა გავრცელებამ წინ წამოსწია მისი კუთვნილება-წარმომავლობისა და აღნიშნულ ენებში დამკვიდრების გზების საკითხი. ე. ლაროშის აზრით, ḫapalki არაინდოევროპული სიტყვაა და მას განცალკევებული ადგილი უჭირავს ხეთურ ლექსიკონში. ეს შეიძლება იყოს ხათური სიტყვა, ან შეიძლება მომდინარეობდეს ანატოლიური, კავკასიური (sic) ან სხვა უცნობი წარმოშობის წყაროდან. აღნიშნულ წყაროებში ამ ტერმინის დასესხების გზა, ასკვნის ავტორი, უნდა შეესაბამებოდეს იმ მიმართულებას, საიდანაც ხდება ტექნიკური ექსპანსია. უკანასკნელი ამოცანის გადასაწყვეტად ე. ლაროში მიმოიხილავს, ერთი მხრივ, მცირე აზიის არქეოლოგიურ მასალას, ხოლო მეორე მხრივ, მრავალ ტექსტს და ასკვნის, რომ რკინის გამოყენება უფრო გავრცელებული იყო ხეთების სამყაროში მისი თანადროული აღმოსავლეთის ქვეყნებთან შედარებით, რასაც კარგად ადასტურებს ბოღაზქოის მასალა: როგორც ირკვევა, რკინა ისე ღრმადაა შეჭრილი ხეთების ცხოვრებაში, რომ მას ხეთურ მეტყველებაში მეტაფორული და სიმბოლური მნიშვნელობა აქვს მოპოვებული და ღრმადაა დამკვიდრებული ხეთების რელიგიასა და შემეცნებაში. ყველა ტექსტი, სადაც რკინას ასეთი ადგილი უკავია, ავტორის აზრით, ეკუთვნის აშკარა ანატოლიური ნიშნებით აღბეჭდილ ლიტერატურას (a la litterature de marque anatolies striete), მომდინარეობს ხათის ჩრდილოეთი ქვეყნებიდან და ემყარება პრეინდოევროპელების რწმენასა და ტრადიციებს[122].

როგორც ვხედავთ, აღარაფერი რომ არა ვთქვათ ხსენებული ტერმინის კავკასიური წარმომავლობის შესაძლებლობაზე, ე. ლაროში პირდაპირ თვლის ḫapalki სიტყვას თუბალკაინური სამყაროს კუთვნილებად, ეს სამყარო არა მარტო ემიჯნებოდა ხეთებს, არამედ მისი ერთი ნაწილი მათ მიერ იყო დაკავებული. ეს ის ქვეყანაა, სადაც, როგორც აღნიშნული გვქონდა, ლითონის და განსაკუთრებით რკინის უმდიდრესი საბადოები მოიპოვება. ხოლო იქ მცხოვრები კაინ, თუბალკაინ, ჰალიძონ, ხალდ, ხალტიქ

---

[121] E. Laroche, გვ. 9, 10.

[122] იქვე, გვ. 10—15; შდრ. В. В. Иванов, Хетский язык, Москва, 1963, გ. 19.

და ჭან სახელით ცნობილი ტომები ის ხალხია, ვისაც უძველესი წყაროები საერთოდ მელითონეობის დაწყებას, კერძოდ კი, რკინის აღმოჩენას მიაწერენ. სწორედ ამიტომ ფიქრობენ, რომ ამ ქვეყნიდან შეიძლებოდა შეეღწია ხეთურ სამყაროში არა მარტო რკინის ნაწარმს, არამედ რკინის ცნების აბსტრაქირების ცდებს და იქნებ ამ ლითონის სახელწოდებასაც[123].

ამ თვალსაზრისით პილოსის წარწერებში ჩვენი ყურადღება მიიქცია ტერმინმა kyanos. ეს უკანასკნელი მხოლოდ ორ საინვენტარო ნუსხაშია მოხსენებული: 1) PY 239=Ta 642, სადაც ლაპარაკია ქვის მაგიდაზე, რომელიც ინკრუსტირებულია აქვამარინებით (?), kyanos-ით, ვერცხლითა და ოქროთი[124] და 2) PY — 244=Ta 714, სადაც იხსენიება kyanos-ით შემკული ორი საგანი: სკამი, რომლის ზურგი ინკრუსტირებულია kyanos-ით, ვერცხლითა და ოქროთი, და ფეხის დასადები მკირე მერხი, რომელიც ინკრუსტირებულია ისევ kyanos-ით, ვერცხლით, ოქროთი და შემკულია ოქროს ზოლებით[125]. აღნიშნულ წარწერათა კომენტარებში მ. ვენთრისი და ი. ჩადვიკი, მართალია, უთითებენ ვაისის მოსაზრებაზე, რომ kyanos-ი არის სევადა, შავ-ლურჯი ლითონის ამალგამა, რომელიც გამოყენებულია მიკენის სატევრის პირებისა და ვერცხლის ფიალების დეკორირებისათვის, მაგრამ მაინც საეჭვოდ ჩიიჩნევენ საკვლევი ტერმინის ასეთ გაგებას. კომენტატორები ამახვილებენ ყურადღებას იმ გარემოების მიმართ, რომ სევადა ლითონზე, კერძოდ ვერცხლსა და ოქროზე გავარვარების მეშვეობით დაიტანება. ისინი არ გამორიცხავენ შესაძლებლობას, რომ შეიძლებოდა ვერცხლისა და ოქროს ორნამენტების წინასწარი მოსევადება, მაგრამ, მათი აზრით, PY 244=Ta 714 აგვიწერს სკამს, როგორც ჩანს, ხისას, რომელიც ინკრუსტირებულია ოქროსა და kyanos-ის ფენიქსებით, ეს კი სავარაუდოს ხდის ისეთი მასალის გამოყენებას, რომლის მარტო-

[123] ლაროშის დაკვირვებით (დასახ. ნაშრომი, გვ. 13), ხეთების ფრაზეოლოგიაში არსებობს კავშირი „რკინა“ და „ცა“ ცნებებს შორის. შესაძლოა ასეთი დაკავშირება ძველ ხალხებში საერთო თვისებურებას შეადგენს და უნდა აიხსნას რკინის თავდაპირველი „ციური“ წარმომავლობით: მაგრამ ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული, რომ ქართველთა შემეცნებასა და ფრაზეოლოგიაში არა მარტო რკინა, არამედ, მზედღობა და მოკვდეის ცნებაც ცას უკავშირდება. ნ. მარის დაკვირვებით, ჭანურში რკინის აღმნიშვნელი სიტყვა ერკინა//ეკინა გამოთქმაში — ერკინახა//ეკინახა „ცას“ უნდა ნიშნავდეს. მანვე მიაქცია ყურადღება ქართულში ამ მხრივ საინტერესო გამოთქმებს: „ცა მოკვდა ვარსკვლავებით“ და სხვა (იხ. Н. Я. Марр, Яфетические элементы в языках Армении, გვ. 141, შნშ. 1, გვ. 142). ტერმინის კვლევის ისტორიის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ ე. ჰერცფელდი ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ამ მიმართულებით ყურადღება გაამახვილა. იმ ფაქტიური ვითარების საფუძველზე, რომ რკინის აღმნიშვნელი სიტყვების დიდი უმრავლესობა: ბერძნულ chalyps, სირიული — sbrqn (შდრ. ქართული „რკინა“), ავესტის — sprjia ahena წარმომავლობითი სახელწოდებებია, მან ასურული babalkinu ეთნიკურ სახელს დაუკავშირა. მისი აზრით, babalkinu, როგორც რკინის აღმნიშვნელი ტერმინი, მიუთითებს მის წარმოშობაზე ხალიბების ქვეყნიდან და შესაბამისად ამ ტერმინის თავდაპირველი, მართებული ფორმა balabkinu უნდა იყოს (E. Herzfeld. Zoroaster and his World, II, გვ. 784, 789). ჩვენ უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება, რომ ბგერათა ასეთი გადანაცვლების გარეშეც bapalki ტერმინში ტაბალ ტომების ეთნიკური სახელის კიდევ ერთი ვარიანტი დავინახოთ. აკი „დაბადებაში“ აბელ, ბაბალ სახელების სახით ამ ტერმინთან უფრო მიახლოებული ფორმებიც გვაქვს დადასტურებული. გავიხსენოთ, რომ წყაროები apalki ფორმასაც გვიმოწმებენ (E. Laroche, დასახ. ნაშრომი, გვ. 10). მეორე მხრივ, იქნებ კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ იმ შესაძლებლობას, რომლის მიმართ ზემოთ (იხ. შნშ. 105) ეამახვილებდით ყურადღებას, რომ ტაბალ ტომთა ეთნიკური სახელების ზოგი ვარიანტი აშკარად ამყარებს კავშირს სპილენძის, სპილენძზე მომუშავისა და, საერთოდ, მელითონეს აღმნიშვნელ სიტყვებთან შუმერულსა და ასურულში.

[124] M. Ventris and J. Chadwick. Dokumentes in Mycenaean Greek. Cambridge, 1956, გვ. 339.

[125] M. Ventris and J. Chadwick, იქვე, გვ. 344.

ოდენ ფორმირებაა შესაძლებელი. ასეთ მასალად, კომენტატორთა მიხედვით, მისაჩნევია ლურჯი მინა თუ მისი პასტა, რომელიც ფართოდ იყო გამოყენებული როგორც ეგვიპტეში საოჯახო ნივთების შესამკობად, ისე ტირინთის მეგარონის ბორდიურების სამკაულშიც[126].

აღსანიშნავია, რომ როგორც ვაისი მიუთითებდა, ლითონის სევადაც ფართოდ იყო გამოყენებული მიკენში სატევრის პირებისა და ვერცხლის ფიალების შესამკობად. მეორე მხრივ, ისიც უნდა ითქვას, რომ პილოსის მრავალრიცხოვან დოკუმენტებს შორის მხოლოდ ორად ორ დოკუმენტშია kyanos-ი მოხსენებული. ეს გარემოება აშკარად იმის მაჩვენებლია, რომ საკვლევი ტერმინით აღინიშნებოდა რაღაც უცხო და იშვიათი მასალა. ლურჯი მინა კი, როგორც თვით კომენტატორები აღნიშნავენ, იმ დროს ფართოდ იყო ცნობილი და გამოყენებული. არ გვეჩვენება დამაჯერებლად კომენტატორთა ის საბუთიც, თითქოს kyanos-ის მიჩნევა ლითონის სევადად არ არის მართებული, რადგან ლითონის სევადა გავარვარებით დაიტანება, წარწერაში მოხსენიებული kyanos-ით შემკული სკამი კი ხის იყო და მისი გავარვარება არ შეიძლებოდა.

kyanos-ი, როგორც დავინახეთ, მოხსენიებულია ორ დოკუმენტში სამჯერ: ერთ შემთხვევაში ის ეხსენიება ქვის მაგიდის სამკაულად, ხოლო სხვა შემთხვევებში სკამებისა. საბუთში სკამების მასალა მითითებული არ არის. გარდა ამისა, კონტექსტიდან (შდრ. PY 244 = Ta 714) არც ის ჩანს ნათლად, kyanos-ით უშუალოდ სკამის ზურგი იყო ინკრუსტირებული, თუ ამ ზურგზე დატანილი ოქროსა და ვერცხლის გამოსახულებანი. რაც შეეხება ფეხის დასადგამ მცირე მერხს, ის შეიძლება სულაც ლითონისა ყოფილიყო.

ამრიგად, ტექნიკურ მოსაზრებათა საფუძველზე უარყოფა იმისა, რომ kyanos-ი არ შეიძლება აღნიშნავდეს ლითონს ან ლითონის სევადას და მაინცა და მაინც ლურჯ მინას, თუ მის პასტას შეესაბამება, არ უნდა იყოს დამაჯერებელი. განხილული დოკუმენტები მხოლოდ ერთადერთი დასკვნის შესაძლებლობას იძლევა: kyanos ტერმინი აღნიშნავს მიკენური სამყაროსათვის უცხო, იშვიათ, ნაკლებ გავრცელებულ მასალას, რომელიც არ შეიძლება მინა იყოს და არც სხვა იმ დროს ცნობილი და ფართოდ გამოყენებული მინერალი, თუ ლითონი.

იმის გასაგებად, რას შეიძლება აღნიშნავდეს ან საიდან შეიძლება მომდინარეობდეს ეს ტერმინი, შევეხოთ მას უფრო დაწვრილებით.

როგორც გ. ვენთრისისა და ი. ჩადვიკის კომენტარებში, ისე ლექსიკონში, რომელიც დართული აქვს მათ მიერ გამოცემულ პილოსის დოკუმენტებს, აღნიშნულია, რომ ტერმინი kyanos შეესაბამება ჰომეროსთან დადასტურებულ სიტყვებს κύανος და κύανεος[127]. Κύανος და მისგან ნაწარმოები ზედსართავი სახელი κύανοεις ძველ ბერძნულში ნაკლებად გავრცელებული. ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს სიტყვა მიკენურიდანაა დამკვიდრებული ძველ ბერძნულში. Κύανος სიტყვა და მისგან შექმნილი კომპოზიტები შედარებით ფართო ხმარებაშია ჰომეროსის ეპოსში ძირითადად, მიკენურ ყოფით თავისებურებათა აღწერის დროს. მ. ვენთრისისა და ი. ჩადვიკის მიხედვით, ეს სიტყვა ჰო-

---

[126] M. Ventris and J. Chadwiek, დასახ. ნაშრომი, გვ. 340; შდრ. Studies in Mycenaean inscriptions and dialect 1953—1955, გვ. 22.

[127] ი ქ ვ ე, გვ. 340, იქვე ლექსიკონი.

მეროსთანაც ლაპის-ლაზურს თუ მის სინთეტურ შემცველს ლურჯ მინას აღნიშნავს[128]. სხვა მნიშვნელობებთან („ცისფერი", „ლურჯი", „სპილენძის ცისფერი კარბონატი" და სხვ.) ერთად ლურჯ მინად და მინის პასტად განმარტავს ამ სიტყვას ზოგიერთი ცნობილი ლექსიკოგრაფიც[129]. სრულიად განსხვავებული ახსნაა მოცემული ჰომეროსის სპეციალურ ლექსიკონში, სადაც κύανος და მისგან ნაწარმოები სიტყვები განმარტებულია ცალკეული კონტექსტების მიხედვით. ეს განმარტებებია: ფ ო ლ ა დ ი, ფ ო ლ ა დ ი ს ა, ც ი ს ფ ე რ ი ფ ო ლ ა დ ი, მ უ ქ ი[130]. ეს უკანასკნელი უფრო ხშირად კომპოზიტების ნაწილად გვევლინება. მაგალითად, κυανο-χαίτης — „მუქთმიანი" (ეპითეტი პოსეიდონისა), κυανο-πρῳρος — „მუქცხვირიანი" (ეპითეტი გემისა). როგორც ვხედავთ, ლაპის-ლაზურის, ლურჯი მინის, თუ ამ მინის პასტის ხსენებაც არ არის. დასასრულ, უახლეს ძველბერძნულ-რუსულ ლექსიკონში κύανος განმარტებულია, როგორც ფ ო ლ ა დ ი ს ს ე ვ ა დ ა (вороненная сталь, черновороненная сталь)[131]. მართალია, აღნიშნული ლექსიკონი საკვლევი სიტყვის სხვა მნიშვნელობებსაც გვიდასტურებს, მაგალითად, ლაჟვარდის ქვა (პლატონთან), მოშავო ლურჯი (ანაკრეტონთან, ლუკიანესთან), მაგრამ ეს საუკუნეთა მანძილზე მოცემული სიტყვის შინაარსის შეცვლაზე უფრო უნდა მეტყველებდეს, ვიდრე მისი თავდაპირველი მნიშვნელობის დაცვაზე.

საკითხის ნათელსაყოფად მივმართოთ ჰომეროსის ტექსტს. იმ ლიტერატურულ წყაროთაგან (ანაკრეონტი, პლატონი, თეოფრასტი, ლუკიანე) განსხვავებით, რომელსაც ემყარებიან ლექსიკოგრაფები κύανος სიტყვის ლურჯ მინად, მინის პასტად, თუ ლაპის-ლაზურად განმარტების დროს, ჰომეროსის ტექსტი დროითაც და შინაარსის მიხედვითაც მიკენურ სამყაროსთანაა დაკავშირებული. ტერმინი κύανος და მისგან ნაწარმოები სიტყვები ჰომეროსის ეპოსის უძველეს შრეებს განეკუთვნება. ის როგორც ძველი მიკენური თქმულებების შემადგენელი ნაწილი, ამ თქმულებებთან ერთად მოხვდა ეპოსში, ანდა დამკვიდრდა ჰომეროსის ენაში, როგორც აქეველთა მემკვიდრეობა.

ტერმინი κύανος უშუალოდ (და არა, როგორც ნაწილი რომელიმე კომპოზიტისა) მოხსენიებულია „ილიადაშიც" და „ოდისეაშიც". „ილიადაში" ამ ტერმინს ჰომეროსი იყენებს XI სიმღერაში აგამემნონის შეიარაღების აღწერის დროს. ჰომეროსი გადმოგვცემს, რომ აგამემნონის აბჯარს, რომელიც მას კვიპროსის მეფემ კანარისმა უბოძა, როცა გაიგო აქეველები ტროას წინააღმდეგ ილაშქრებენო, გასდევდა ათი ზოლი შავი κύανος-ისა (δέκα οἶμαι μέλανος κύανοιο)[132]. აქვეა აღწერილი აგამემნონის ვეება ფარი, რომელსაც შემოვლებული ჰქონდა ათი რიგი სპილენძის რკალებისა, შუა ნაწილი კი ფარისა ოქროდილი იყო კალის ოცი თეთრი ბალთით; მათ შორის შუა, სხვასთან შედარებით უფრო გამოზიდული ბალთა, κύανος-ისა იყო[133].

---

[128] M. V e n t r i s and J. C h a d w i c k, იქვე, გვ. 340 და ლექსიკონი.

[129] იხ. მაგალითად, E. B o i s a c q. Dictionaire etymologique de la Langue Greeque. Heidelberg — Paris, 1938, გვ. 527; I. B. H o f f m a n n. Etymologisches Worterbuch des Griechischen, 1 Teil, München, 1949, გვ. 163.

[130] G. A u t e n r i e t h, A Homeric Dictionary, translated by R. P. Keep, Revisend by Isaac Flagg. University of Oklahoma Press, 1958, გვ. 170.

[131] И. Х. Д в о р е ц к и й, Древнегреческо-русский словарь, I, 1948, стр. 991.

[132] Il. XI, 24.

[133] Il. XI, 35.

აგამემნონის საბრძოლო ფარის აღწერილობიდან ნათლად ჩანს, რომ ფარის შუა ნაწილი, რომელიც ყველაზე დიდ სიმაგრეს მოითხოვს, მოკუდილია არა იმ დროს ცნობილი სხვა ლითონებით (ეს უკანასკნელი ფარის დანარჩენი სივრცის გასამაგრებლადაა გამოყენებული), არამედ რაღაც ახალი, როგორც ჩანს, გაცილებით მაგარი მასალით — κύανος-ით. ასეთივე აზრამდე მივყავართ აგამემნონის აბჯარსაც, რომელიც, როგორც ჰომეროსის ტექსტიდან ირკვევა, სხვადასხვა ლითონის ზოლებისაგან იყო შედგენილი. აღსანიშნავია, რომ აბჯარში ოცი ზოლი კალისა იყო, თორმეტი — ოქროსი, ხოლო κύανος-ისა ყველაზე ნაკლები — მხოლოდ ათი ზოლი[134]. ბუნებრივია დაისვას კითხვა, ხომ არ შეიძლება ტერმინი κύανος აღნიშნავდეს ყველაზე მაგარ, მაგრამ ჯერ კიდევ იშვიათ ლითონს — ფოლადს, რომელსაც, როგორც ეს ძველაღმოსავლური წყაროებიდან ჩანს, ამ დროს სულ უფრო და უფრო იყენებენ ძველ სამყაროში. ტერმინის შინაარსის ასეთ განმარტებას მხარს უნდა უჭერდეს „ოდისეას“ ტექსტის ანალიზიც.

„ოდისეას“ VII სიმღერაში აღწერილია ოდისევსის მისვლა ფეაკების მეფის ალკინოეს სასახლეში. ოდისევსი განცვიფრებულია სასახლის დიდებულებით: სპილენძის კარიბჭეთი, კარიბჭედან სასახლემდე გაზიდული სპილენძის კედლებით, ამ კედლების κύανος-ის ქონგურებით (θριγκὸς κύανοιο) და სხვა.[135] არც ამ შემთხვევაში იქნებოდა მართებული, რომ ტერმინი κύανος ლურჯი მინის პასტის, ან მინის, ანდა ლაპის-ლაზურის აღმნიშვნელ სიტყვად მიგვეჩნია. მართალია, ალკინოეს სასახლის აღწერილობა დატვირთულია ჰიპერბოლებით: სპილენძის კარიბჭე, სპილენძის კედლები, ოქროს კარები, ვერცხლის კარის ჩარჩოები და სხვა[136], მაგრამ ყოველივე ეს არ სცილდება ლოგიკის ფარგლებს და არსად არ იგრძნობა შეუსაბამობა. ჰომეროსისათვის კი სწორედ შეუსაბამობის თავზე მოხვევა იქნება, თუ ზემოთ მოტანილ კონტექსტებში κύανος-ს არალითონთა აღმნიშვნელ სიტყვად ვიგულისხმებთ.

საკვლევი ტერმინის შინაარსის ნათელსაყოფად შევაჩეროთ ყურადღება ჰომეროსის მიერ გამოყენებულ ერთ განსაზღვრაზეც, რომლის შემადგენელ ნაწილს κύανος სიტყვაც შეადგენს. ეს განსაზღვრაა κυανόπεζα და ეხება მაგიდას, რომელზეც ჰეკამედა გაუმასპინძლდა ნესტორსა და მახაონს[137]. Κυανόπεζα ნიშნავს κύανος-ის ფეხებიანს. თუ ამ შემთხვევაში ტერმინში κύανος ზემოხსენებულ მკვლევართა მიერ შემოთავაზებულ შინაარსს ჩავდებთ, აბსურდამდე მივალთ: გამოვა, რომ ჰეკამედას მაგიდას მინის პასტის, მინის ან ლაპის-ლაზურის ფეხები ჰქონია. ჰომეროსის ტექსტის სპეციალურ ლექსიკონში აღნიშნული ტერმინი განმარტებულია, როგორც მოლურჯო-ფოლადისფერი ფეხებით (with stelblue feet).[138]

არ არის გამორიცხული, რომ ზემოთ განხილულ კონტექსტში κυανόπεζα „ფოლადის ფეხებიანს“ ნიშნავდეს. მით უმეტეს, რომ ლითონის მცირე ავეჯს

---

[134] Il, XI, 24—25. ამ კონტექსტში საკვლევი ადგილი ძველბერძნულ-რუსულ ლექსიკონშიც განმარტებულია ასე: «Десять полос черновороненой стали (на доспехах Агамемнона); იხ. И. Х. Дворецкий, დასახ. ნაშრომი.

[135] Od., VII, 87.

[136] Od., VII, 86—90.

[137] Il., XI, 629 და შემდ.

[138] G. Autenrith, დასახ. ლექსიკონი, გვ. 170.

სხვა ძველბერძნულ წყაროშიც ასახელებენ. მაგალითად, ჰეროდოტე გადმოგვცემს, რომ იაზონს არგოზე სპილენძის სამფეხი მოჰქონდა[139].

ტერმინის შედარებით იშვიათი გამოყენება ძველ ბერძნულ სალიტერატურო ენაში, დროთა ვითარებაში მისი პირვანდელი შინაარსის შეცვლა ახალი შინაარსით, ხოლო ადრინდელი მნიშვნელობის აღსანიშნავად, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ახალი სიტყვის სესხება, სავსებს ძველბერძნულში κύανος სიტყვის იმპორტირების საკითხს. ტერმინის შელწევა ამა თუ იმ სამყაროში დაკავშირებული უნდა იყოს იმ მასალის იმპორტთან, რომელსაც ეს ტერმინი აღნიშნავს.

ზოგიერთი ლექსიკოგრაფის აზრით, საკვლევი ტერმინის ეტიმოლოგია უცნობია და ძველბერძნულში იგი ნასესხები უნდა იყოს[140]. მ. ვენინრისი და ი. ჩადვიკი უფრო გარკვეულ დასკვნამდე მიდიან: ისინი ფიქრობენ, რომ როგორც პოლოსის წარწერების kyanos, ისე ძველბერძნული κύανος ნასესხები სიტყვაა არაინდოევროპული წარმოშობისა და შეიძლება უკავშირდებოდეს უგარიტულ ტერმინს iqnu, აქადურს uqnu, რომლებიც საორჭოფოდ, შეიძლება ლილაქვას, ან ლურჯ მინის პასტას აღნიშნავდნენ და უცნობი შინაარსის ხურიტულ ტერმინს Ku-wa-an-ṇas-e[141]. აღსანიშნავია ისიც, რომ ბერძნულ κύανος სიტყვას ამ ბოლო დროს აკავშირებენ ხეთურ ტერმინთან kunnan, რომელიც სპილენძის აღმნიშვნელი სიტყვის urudu სინონიმი ჩანს[142], შეტიც, სულ ახლახან გამოითქვა მოსაზრება, რომ ხეთური „კუნა“ და ბერძნული „კიანოს“ შეიძლება იგივე ტერმინია, რაც ქართული „რკინა“. მართალია, ღიადაა დატოვებული საკითხი ამ ტერმინის წარმომავლობის შესახებ—ქართველურიდანაა შესული იგი ხეთურსა და ეგეოსურ სამყაროში, თუ პირიქით, მაგრამ სამართლიანადაა აღნიშნული, რომ ეს შესატყვისობა მეტყველებს ქართველი ტომების მჭიდრო კონტაქტზე ხეთურ სამყაროსთან ძვ. წ. II-I ათასწლეულებში[143].

შემდგომ გ. მელიქიშვილმა რამდენადმე შეცვალა თავისი დამოკიდებულება საკითხისადმი და ა. გოეცეს იმ დებულებაზე დაყრდნობით, რომ თავდაპირველი ფორმა საძიებელი ხეთური ტერმინისა იყო kunannan, ხოლო უფრო გვიანდელი kunna და, რომ ქართული რ კ ი ნ ა // კ ი ნ ა სწორედ ამ უკანასკნელს უკავშირდება, შესაძლებლად მიიჩნია სიტყვა რ კ ი ნ ა //კ ი ნ ა მცირეაზიური სამყაროდან ქართულში შედარებით გვიან შეთვისებულ სიტყვად ეღიარებინა[144]. ავტორმა ამავე შრომაში გაამახვილა ყურადღება იმის მიმართაც, რომ ჩვენ საქმე გვაქვს მცირე აზიაში, კავკასიასა და ეგეოსურ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ ტერმინთან, რომელიც ხეთურ ეპოქაში სპილენძს შეესატყვისება, ხოლო ბერძნულ სამყაროში უკვე — ფოლადს.

---

139 H e r o d., VI, 179.

140 E. B o i s a c q, დასახ. ნაშრომი, გვ. 527; I. B. H o f f m a n, დასახ. ლექსიკონი, გვ. 163.

141 M. V e n t r i s and J. C h a d w i c k, დასახ. ნაშრომი, ლექსიკონი.

142 H. L i m m e t. Le travail du Metall au pays du Sumer au temps de la III dinastie d'Ur. Paris, 1960, გვ. 37; მაგრამ urudu ყოველთვის როდი უნდა ითარგმნებოდეს, როგორც სპილენძი, ხშირ შემთხვევაში იგი აღნიშნავს ზოგადად ლითონს (იხ. H. L i m m e t, იქვე, გვ. 33).

143 გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, გვ. 97—100.

144 Г. А. М е л и к и ш в и л и, О некоторых наименованиях металлов в древне-восточных и кавказских языках, ВДИ, № 4, 1968, стр. 125.

ამრიგად, სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ kyanos არაინდოევროპული სიტყვაა, ნასესხებია მიკენური ბერძნულის მიერ, ხოლო ჰომეროსის მეშვეობით შესულია ძველბერძნულშიც. ამ სიტყვის სამშენებლოდ მცირეაზიურ სამყაროს ასახელებენ. თუ მხედველობაში აღარ მივიღებთ kyanos სიტყვის ვენთრის-ჩადვიკისა და ზოგი ლექსიკოგრაფის ზემოთ განხილულ განმარტებებს, რომლებიც მათივე ავტორების მიერ არსებითად ჭოჭმანითაა წამოყენებული და, როგორც დავინახეთ, ფაქტიურ ვითარებას არ შეესაბამება, თავისთავად იბადება კითხვა, ხომ არ შეიძლებოდა ტერმინი kyanos — წარმოშობით მცირეაზიური სიტყვა, დავუკავშიროთ სწორედ მცირე აზიის უძველესი მოსახლეობის ჭანების სატომო სახელის უძველეს ფორმას კ ა ი ნ (ვარიანტები კ ე ნ// კ ი ნ). ეს არ უნდა იყოს ერთადერთი შემთხვევა ჭანების და, საერთოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მელითონე ტომების ეთნიკური სახელების ლითონის აღმნიშვნელ სიტყვებად დამკვიდრებისა. ამის შესახებ ჯერ კიდევ ნ. მარი ამახვილებდა ყურადღებას. იგი აღნიშნავდა, რომ ქართული სიტყვა რ კ ი ნ ა და მისი პარალელური ფორმა კ ი ნ ა, რომელიც კ ა ე ნ ანუ ჭანების სატომო სახელწოდებიდან მომდინარეობს, გავრცელებულია სემიტურ სამყაროშიც. მისივე აზრით, რ კ ი ნ ა მოისმის აგრეთვე შუბის აღმნიშვნელ სიტყვაში a-kin-ak, რომელიც ფაქტიურად რკინას ნიშნავს, და ბერძნულშიცაა დამკვიდრებული[145] (ჰეროდოტე, ქსენოფონტი). ასეთი მაგალითები ქართულშიც დასტურდება. ამ მხრივ საინტერესო მასალას გვაწვდის ნ. რეხვიაშვილი[146]. ირკვევა, რომ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მაგარი რკინის ანუ ფოლადის შემდეგი სახელები იყო ცნობილი: ტ ო ბ ა რ თ ი ნ ი, რომელშიც, როგორც ჩანს, დაცულია ტიბარენთა სახელი (შდრ. თობალ და სპეტუაგინტას — თ ო ბ ე რ), ჭ ა ნ ა რ ი, რომელიც აშკარად ჭანთა სახელიდან მომდინარეობს, და ხ ა ლ დ ი. უკანასკნელი სახელი, ერთი მხრივ, ნიშანდობლივად ეხმაურება ბერძნულში ფოლადის აღმნიშვნელ სიტყვად χάλυψ ეთნიკური ტერმინის დამკვიდრების ცნობილ ფაქტს[147], ხოლო მეორე მხრივ, ხაზს უსვამს ტ ო ბ ა რ თ ი ნ და ჭ ა ნ ა რ ტერმინთა ეთნონიმურ წარმომავლობას.

---

[145] Н. Я. Марр, Термин «скиф», Избранные работы, V, 1935, გვ. 37; აღსანიშნავია, რომ ა კ ი ნ ა კ ი „შუბად“, „ლახვრად“ განმარტებული აქვს საბასაც და, რომ იგი არ აღნიშნავს ამ სიტყვის უცხოურ წარმომავლობას, როგორც ეს მას სჩვევია (ქართული ლექსიკონი, 1928, გვ. 7). ბერძნული ენის სპეციალისტები ამ სიტყვას სპარსულიდან ნასესხებად მიიჩნევენ, თუმც აღნიშნავენ, რომ სპარსულში ამ სიტყვის ნამდვილი, უტყუარი ფორმა (Orginalform) ნაპოვნი არ არის (L. Meyer, Handbuch der griechischen Etymologie. Leipzig, 1901—1902).

[146] იხ. ნ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხალხური მეტალურგია, თბ., 1964, გვ. 25.

[147] ამ მხრივ სხვა საინტერესო შეხვედრაც შეიძლება აღინიშნოს ქართველურ ენებში. კვირის ერთ-ერთი დღის, სამშაბათის სახელწოდება შედგენილია რკინისა და დღის აღმნიშვნელი სიტყვებისაგან ე რ კ ი ნ ა ჩ ხ ა, ე კ ი ნ ი ჩ ხ ა, ი კ ი ნ ა ჩ ა, ი კ ი ნ ა შ ხ ა (Н. Я. Марр, Яфет. элементы в языках Армении, გვ. 142, 143; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, გვ. 187). სამშაბათს ეწოდება აგრეთვე თახაშხა და ტიკინაშხა, რომლებშიც, ივ ჯავახიშვილის მტკიცებით, დაცულია ხეთური ომის ღმერთის თარქუნის, თარხონის სახელი. ამ უკანასკნელს უკავშირებდა ავტორი აგრეთვე ტერმინს ტაროსი (შდრ. ჭანური ტარონი), რომელიც შეიძლება ტარხონისაგან მომდინარეობდესო (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, 1928, გვ. 124—128). მართლაც, ქართული წარმართული კალენდრის მიხედვით სამშაბათი ომის ღმერთის არესის დღეა. ამიტომ საგულისხმოა, რომ ხალიბებს ახ. წ. I ს. პოეტი-ეპიკოსი გაიუს ვალერი ფლაკი სეტინ ბალბი მარსის მოსახლეებს უწოდებს (ВДИ, 1949, № 2, გ. 343), ხოლო აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტთან დაცული ლეგენდის მიხედვით რკინის აღმომ-

შეუძლებელი არ უნდა იყოს ლითონის აღმნიშვნელ სიტყვად ტრანსფორმირებული ქართული სატომო სახელის ლითონის სახელწოდებად დამკვიდრება ქართველურ ენებშიც. ასეთ შესაძლებლობას ფაქტობრივად გვიდასტურებს ქართულ მეტყველებაში არსებობა ზემოხსენებული ფოლადის აღმნიშვნელი ტერმინებისა ტ ო ბ ა რ თ ი ნ ი, ჭ ა ნ ა რ ი, ზ ა ლ დ ი. ამის მაგალითია თურქეთში გავრცელებული ერთ-ერთი სახელი სიმინდისა ლ ა ზ უ ტ, რაც „ლაზურ ბალახს“ ნიშნავს, და ამ ტერმინის გავრცელება სიმინდის აღმნიშვნელ სიტყვად ლაზურში.

ამრიგად, ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ ტერმინი kyanos უცხოა ბერძნულისათვის, რომ აშკარაა მისი ლტოლვა მცირეაზიური სამყაროსაკენ. ყოველ შემთხვევაში kuppa სიტყვასთან მისი კავშირი სარწმუნო ჩანს, რომ შეიძლება გარკვეული საფეხურებით ის კავშირში იყოს ქართულ სიტყვასთან კ ი ნ ა // რ კ ი ნ ა, რომელსაც თავის მხრივ ჭანების სახელის უძველეს ფორმასთან აკავშირებენ, რომ ჭანური ტომების ეთნიკური სახელები რკინის აღმნიშვნელ და, საერთოდ, მელითონეობასთან დაკავშირებულ სიტყვებად დამკვიდრებულია ბერძნულშიც, სემიტურშიც, ქართულშიც.

ყოველივე ეს თითქოს გარკვეულ საფუძველს ქმნის kyanos ტერმინის დასაკავშირებლად ჭანთა ეთნიკური სახელის უძველეს ფორმასთან კ ა ი ნ //კ ე ნ. მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია, ყურადღება დავუთმოთ ჭანთა სატომო სახელის კიდევ ერთ უძველეს ფორმას: მხედველობაში მაქვს kyanos სახელი, რომელიც სავსებით ემთხვევა მიკენურ-ძველბერძნულ ტერმინს kyanos. ამ სახელწოდებით ბერძენი, რომაელი და ბიზანტიელი მწერლები (პტოლემაიოსი, პლინიუსი, სტეფანე ბიზანტიელი) აღნიშნავენ კოლხეთის ერთ-ერთ მდინარეს, რომელსაც უპირატესად მდ. ჰიპოსთან და ფასისთან კავშირში ახსენებენ ხოლმე[148]. ამჟამად ვერ შევეხებით მდ. კიანეოსის ლოკალიზაციის საკითხს, მას არცა აქვს ჩვენი მსჯელობისათვის არსებითი მნიშვნელობა, შევაჩერებთ ყურადღებას მხოლოდ არქანჯელო ლამბერტის ერთ ცნობაზე: „ხოფის შემდეგ რომ მდინარეა, — გადმოგვცემს ლამბერტი, — მკვიდრნი უწოდებენ მას ჭანისწყალად და რუკებზე კი იწერება Cianeo. ეს მდინარე შეერთვის ხოფს და ამასთან ერთად შეერთვის ზღვას. ჩვენი აზრით, ეს სახელი იმიტომ ეწოდება ამ მდინარეს, რომ მასთან მოდის სავაჭროდ თავისი პატარა ნავებით და ჩერდება ერთი მეზობელი ხალხი, რომელსაც ჰქვია ჭანი“[149]. აქ მთავარია არა ახსნა-განმარტება ავტორისა, არამედ ფაქტიური ხასიათის ცნობა, რომ Cianeo ჭ ა ნ ი ს წ ყ ა ლ ს აღნიშნავს და, მაშასადამე, ჭ ა ნ ეთნიკური სახელის შესაბამის ფორმადაა მი-

---

ჩენმა ხალიბებმა თავისი სატომო სახელი მიიღეს ხალიბისაგან, რომელიც ომის ღმერთის არესის შვილი იყო (ВДИ, 1947, №3, გვ. 288). აქ ორ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება: საბერძნეთში არესის კულტი არ იყო მაინც და მაინც გავრცელებული და წყაროებიც თითქმის არ ასახელებენ ადგილებს, სადაც მას თაყვანს სცემდნენ. პირიქით, ზოგიერთი წყაროს ცნობით (Paus. III, 24, 5) არესის კულტმა საბერძნეთში კოლხეთიდან შეაღწია (იხ. Г. А. Лордкипанидзе, Некоторые вопросы религии и культуры античной Колхиды, საქ., კავკ. და მახლ. აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 339). მეორე მხრივ, ტროას ომის დროს არესი ტროელთა მხარეზე იბრძვის და ათინას უპირისპირდება (იხ. Il., V, 29—38, 507 შმდ... 591 შმდ.), მხოლოდ მაშინ შესძლო ადამემნონმა დაემარცხებინა ჰალიძონების მეთაური ჰოდიოსი, როცა ათინამ გაიტყუა ბრძოლის ველიდან არესი (Il., V, 35—39). აქ მრავალი საკითხი იბადება, მაგრამ მათ ამჯერად, სამწუხაროდ, ვერ შევეხებით.

[148] Plin. NH, 13; ნ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშრომი გვ. 45; გეორგიკა, III, გვ. 274.

[149] ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 175.

საჩნევი. აკად. ს. ჯანაშიას გამოთქმული აქვს ვარაუდი, რომ არქანჯელო ლამბერტისთან ci ჯგუფი „ჭ“ აფრიკატს გადმოცემს და ლამბერტის რუკაზე არსებულ განმარტებაში — „Cianeus fl. incolis, Cianis“ უნდა იკითხებოდეს როგორც „ჩანის“, რაც „ჭანის“ უდრის[150]. აქედან გამოდის, რომ Cianis ჭ ა ნ სახელის იტალიური ტრანსლიტერაციაა. ჩვენი აზრით კი თუ ci ჯგუფს „ჩ“ ბგერის იტალიურ გადმოცემად მივიჩნევთ და არა უფრო ძველი ბერძნულ-ლათინური დაწერილობის განმეორებად, მაშინ Cianis ტერმინი უფრო იმას მოწმობს, რომ ჭ ა ნ ეთნიკური სახელწოდების იტალიურად გადმოცემის ასეთი შესაძლებლობაც არსებობს. თუ მივაქცევთ ყურადღებას იმას, რომ არქანჯელო ლამბერტის რუკაზე მოცემულ განმარტებაში მდ. ჭანისწყალის აღსანიშნავად ნახმარია Cianeus ფორმა, დავინახავთ, რომ ის აშკარად დამოკიდებულია პლინიუსთან დამოწმებულ იმავე მდინარის სახელწოდებაზე Cuaneos. ეს უკანასკნელი კი განმეორებაა ბერძნულ წყაროებში არსებული ფორმისა. κυάνεος, რომელიც კვლავ მდინარე Ἵππος-თან კავშირში შემონახული აქვთ პტოლემაიოსს და სტეფანე ბიზანტიელს[151]. ამაზე უნდა მიუთითებდეს სიტყვის საერთო აღნაგობა და გამოყენება y-სა, რომელიც ლათინურში, როგორც წესი, ბერძნული კონსტრუქციების გადმოსაცემად იხმარება. პლინიუსთან cy ჯგუფი რომ უნდა წაიკითხოს როგორც „კი“ და არა როგორც აფრიკატი, ამას ნათლად გვიჩვენებს შემდეგიც: პლინიუსი ახსენებს მოძრავ შავ კლდეებს კიანებს (Cyaneae)[152], რომლის სახელი შეესაბამება ბერძნულ —κυάνεαι და, როგორც ჩანს, ამ უკანასკნელისაგან მომდინარეობს (ეს კლდეები ასე მოხსენიებული აქვთ ჰეროდოტეს (IV, 85, 89), ძვ. წ. III ს. პოეტს თეოკრიტეს და სხვებს). მაშასადამე, Cyaneos ტერმინშიც, რომელიც ბერძნული წყაროების κυάνεος-ის შესატყვისია, თავკიდური c უნდა გადმოსცემდეს „კ“ — ბგერას და არა აფრიკატს.

ასეთია ის მონაცემები, რომელნიც ნათლად ავლენენ სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მელითონე ტომების კვალს მცირე აზიაში, არა მარტო მათი ტერიტორიული დანასახლების, არამედ კულტურულ-ტექნიკური გავლენის თვალსაზრისითაც, რაც მათი განსახლების ფარგლებს დიდად სცილდება. როგორც დავინახეთ, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისიდან ძველაღმოსავლურ ტექსტებში ჩნდება რკინის ნივთები უკვე როგორც წარმოების პროდუქტი და მათი აღმნიშვნელი ამ წყაროთათვის უცხო ტერმინები. როგორც ერთს, ისე მეორეს ნიადაგი არ ეძებნება ძველაღმოსავლური ქვეყნების წიაღში. ამიტომ სპეციალისტების უმრავლესობა მათ სათავეს ეძებს სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველეს მოსახლეობასთან, რომელიც ცნობილი იყო თავისი მელითონეობით. ასეთი ძიება, როგორც ჩანს, სწორ გზაზე დგომას ნიშნავს, რადგან, როგორც მცირე აზიის ძველ ქვეყნებში, ისე ეგეოსურ სამყაროში აშკარად შეიმჩნევა ჭანურ ტომებთან — ამ უძველეს მელითონეებთან უშუალო თუ მეშვეული ურთიერთობის კვალი. ამის მაგალითია მიკენურ-ძველბერძნულში შელწეუ-

---

150 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, თუბალ-თაბალი . . ., გვ. 197.

151 ნ. ლ ო მ ო უ რ ი, კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 45; ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, III, გვ. 274.

152 Plin., NH, VI, 32.

ლი ტერმინი kyanos[153], რომელიც ჭანების სატომო სახელს უკავშირდება და ასეთივე რიგის მოვლენასთან გვაქვს საქმე ძველბერძნულ ტერმინშიც χάλυψ, რომელიც ჭანური ტომების ხალიბ-ხალდების ეთნიკური სახელიდან მომდინარეობს. თუ პირველი მოვლენა განეკუთვნება რკინის ათვისების ადრეულ ხანას, რომელსაც პირობითად თუბალ-კაინური ვუწოდეთ, მეორე ეგეოსურ სამყაროსთან სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ურთიერთობის სრულიად ახალ ეტაპს ასახავს.

დასასრულ, თუ ზემოთ განხილულ ფაქტებს მცირე აზიის პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი ცნობილი მოვლენის სინათლეზე შევხედავთ, საინტერესო სურათს მივიღებთ. ის პერიოდი, რომელსაც ჩვენ თუბალ-კაინური ვუწოდეთ, როგორც ცნობილია, მცირე აზიაში დიდი ძვრებით აღინიშნა. ძვ. წ. XIII ს. შუახანებში ასურელებმა გაანადგურეს მითანის სამეფო, ხოლო ამავე საუკუნის დასასრულისათვის ბოლო ეღება ხეთების სახელმწიფოსაც. ამ ორი უძლიერესი პოლიტიკური ერთეულის დამხობაში გარდა ასურელებისა ერთი მხრივ და ე. წ. „ზღვის ხალხებისა" მეორე მხრივ, მონაწილეობა უნდა მიეღოთ ადგილობრივ ხალხებსაც. ეს გარემოება აისახა კიდეც საისტორიო წყაროებში: ამ დროის ასურული ტექსტების მიხედვით, ასურელებს უპირისპირდებიან სამხრეთით გაწეული ქაშქები და მუშქები[154]. აღსანიშნავია, რომ ხეთების სამეფოს განადგურების შემდეგ დაიშალა ქაშქების დიდი გაერთიანება და ქაშქებს ჩვენ ვხედავთ სამხრეთ-აღმოსავლეთით გაცილებით უფრო მოკრძალებულ მდგომარეობაში[155]. ადვილი შესაძლებელია, რომ ხეთების სამეფოს განადგურებაში და ქაშქების განდევნაშიც თავისი წვლილი გაიღეს უძველესმა აბორიგენმა მელითონე ტომებმა თუბალ-კაინებმა, რომლებიც ძირითადი შემწოდებლები იყვნენ მითანელებისა და ხეთებისათვის (უკანასკნელთა ძლიერების ხანაში) ბრინჯაოსა და რკინის მრისხანე იარაღისა. ამ იარაღისათვის ნედლეულის მოპოვებადამუშავება, შემდეგ თვით იარაღის დამზადება მასობრივი მოთხოვნილებისათვის გახდა საფუძველი მეტალურგიულ საქმიანობაში ჩაბმული ცალკეული ტომების გაერთიანებისა და მათი სატომო ორგანიზაციის გამტკიცებისა, ხოლო ლითონის იარაღი, განსაკუთრებით რკინისა, იქცა მრისხანე საშუალებად, რითაც მათ უნდა მოეხდინათ ჯერ მეზობელი მონათესავე ტომების კონსოლიდაცია, რაც კარგადაა ასახული ეთნიკურ ტერმინში თუბალ-კაინი, ხოლო შემდეგ მონაწილეობა მიეღოთ ხეთების განადგურებაში. ამიტომაა, რომ როცა ასურელები მიიწევენ დასავლეთით მათ წინააღმდეგ ამდგარ ძალად, ასურულ ტექსტებში ტაბალის დიდი გაერთიანება ირეკლება (ARAB, 1, 579).

---

[153] ეს ერთადერთი შემთხვევა არ არის მიკენურში, ხოლო შემდეგ ამ უკანასკნელის მეშვეობით ძველბერძნულში, აღმოსავლური სიტყვების დამკვიდრებისა. დადგენილია, რომ სემიტური წარმოშობისაა პილოსის წარწერებში ტერმინები ku-ru-so=*χρυσός*, ki-to=*χιτών*(*ν*) ავრეთვე pa-ra-ku=*βαρακυ*(*ς*), რომელიც მოდიხარეობს აქადური სიტყვიდან barāqtu— „ზურმუხტი". ეს კი იმას მოწმობს, რომ მიკენელებს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ წინააზიის ხალხებთან უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებიდან და იქნებ უფრო ადრეც (იხ. В. Георгиев, Исследования по сравнительно-историческому языковедению, М., 1958, стр. 63—64).

[154] И. М. Дьяконов, АВИИУ, 10, I, 62.

[155] Г. Г. Георгадзе, Из истории племен, проживавших к северу и северо-востоку от Хетского государства (кашки), автореферат кандидатской диссертации, Тб., 1956, стр. 16.

ტაბალის გაერთიანებაში, როგორც დავინახეთ, ლუვიური ელემენტების გარდა, საგულვებელია ადგილობრივი ქართული ეთნიკური სამყაროს კუთვნილი ტომებიც, რომელთაც ამ გაერთიანებაში წამყვანი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ. ყოველ შემთხვევაში, ისინი, როგორც ჩანს, მწვავე და ხანგრძლივ ბრძოლას აწარმოებდნენ პირველობისათვის. ეს ბრძოლა მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული დიდ საწარმოო ძვრებთან, რომელსაც ამ დროს ჰქონდა ადგილი ანატოლიაში. ძვ. წ. VIII—VII საუკუნეები, როგორც ცნობილია, მცირე აზიაში რკინის ფართო ათვისების ხანაა. ძვ. წ. 700 წლისათვის მთელ ანატოლიაში დასრულებულია ბრინჯაოს მეტალურგიიდან რკინის მეტალურგიაზე გადასვლა[156]. მაშასადამე, ძვ. წ. 700 წელს მთავრდება თუბალ-კაინური პერიოდი და ანატოლიის შელითონე ტომების ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება. ეს პროცესი, რა თქმა უნდა, ვერ ჩაივლიდა ეთნო-პოლიტიკური ძალების გადანაწილების გარეშე. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ გარემოებას, რომ სწორედ ამ დროიდან წყდება წყაროებში ტაბალის ხსენება და, რომ ერთ ურარტულ ტექსტში, რუსა II წარწერაში იქ, სადაც ხეთების და მუშქების სამეფოთა სწორად ტაბალის სამეფოს დასახელება იყო მოსალოდნელი, მოხსენიებულია შანამდე უცნობი პოლიტიკური ერთეული ხ ა ლ ი ტ უ[157]. უნდა გავიზიაროთ გ. მელიქიშვილის მოსაზრება, რომ ხ ა ლ ი ტ უ აღნიშნავდა იმ პოლიტიკურ ერთეულს, რომელსაც ასურული წყაროები ტ ა ბ ა ლ ს უწოდებდნენ[158]. ადრე დაწყებული ბრძოლა პირველობისათვის, რაც ასურულ წყაროებში თვალნათლივ აისახა, დასრულდა რკინის აღმავალი წარმოების საფუძველზე მომძლავრებული ხალიბთა ტომების გამარჯვებით, ტომებისა, რომელთა სახელი, მეწინავეობის გამო, მიენიჭა ტაბალის ყოფილ სამეფოს. ამის შემდეგ მკვიდრდება ძველბერძნულში, როგორც ჩანს, ხალიბთა ეთნიკური სახელი ფოლადის აღმნიშვნელ სიტყვად.

---

156 St. Przeworski, დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

157 Г. А. Меликишвили, УКН, 278.

158 Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, стр. 76.

თავი მეოთხე

კოლხეთის საზოგადოება ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში. საქართველოს ძველი ისტორიის პერიოდიზაციის საკითხი

ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხეთის საზოგადოებრივი წყობილების საკითხი დღემდე არ არის სათანადოდ გაშუქებული. აღნიშნული საკითხის კვლევა განცალკევებით არც წარმართულა და მუდამ დაკავშირებული იყო მოცემულ ხანაში მთელი საქართველოს საზოგადოებრივი წყობილების შესწავლასთან. ორმოციანი წლების დასაწყისიდან ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა აზრი, რომ საქართველოს ბარში წინაფეოდალურ ხანაში არსებობდნენ მონათმფლობელური სახელმწიფოები ე. წ. „ადრეკლასობრივი" თუ „ადრემონათმფლობელური" ტიპისა. არსებითად იგივე დებულება გაიზიარა 1954 წლის დისკუსიამაც[1]. რამდენადმე გვიან კი ეს კონცეფცია შეაესო ვ. ბარდაველიძემ. მან ციური იერარქიის შესახებ ქართველი ტომების უძველესი რელიგიური წარმოდგენების ანალიზისა და იმ უტყუარი ზოგადი დებულების საფუძველზე, რომ ადამიანთა წარმოდგენები ზეციურ ყოფაზე, ზეციურ იერარქიაზე რეალური სინამდვილის ანარეკლია, დაასაბუთა, რომ არ არის სწორი დებულება საქართველოს მთის მოსახლეობაში „მუდმივი გვაროვნული წყობილების" არსებობის შესახებ და რომ საქართველოს მთიელები საზოგადოების განვითარების ადრეკლასობრივ საფეხურზე იმყოფებოდნენ[2].

ცნებები „ადრემონათმფლობელური" და „თემურმონათმფლობელური" საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, როგორც ცნობილია, შემუშავდა იმ მწვავე დისკუსიების შედეგად, რომელიც თან ახლდა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური წყობილების შესწავლის ყოველ მორიგ ცდას. თვით ეს ცნებები ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებებისადმი საბჭოთა ისტორიოგრაფიის დამოკიდებულების ერთ ეტაპს ასახავს მხოლოდ.

სულ ახლახან 60-იანი წლების შუახანებში დაისვა საკითხი ძველ შეხედულებათა გადასინჯვისა. ამ მხრივ ინიციატივა ეკუთვნით უცხოელ მარქსისტ ისტორიკოსებს, რომლებმაც კვლავ წინა პლანზე წამოსწიეს წარმოების აზიუ-

---

[1] გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგ. და სახელმწ. წარმოქმნის საკითხისათვის, თბილისი, 1955, გვ. 185; მისივე, К истории Древней Грузии, стр. 396—478; მისივე, ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიკური წყობილების საკითხი, „მაცნე" I, 1966, გვ. 63.

[2] В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, стр. 240—242.

რი წესის პრობლემა[3]. ამან გამოიწვია დისკუსია საბჭოთა სამეცნიერო პერიოდიკაშიც და აღმოსავლეთმცოდნეთა III საკავშირო კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა მოსკოვში 1966 წლის 3—8 თებერვალს[4]. ამასთან აღსანიშნავია, რომ საბჭოთა სპეციალისტებს შორის თუ ერთნი, უპირატესად აღმოსავლეთმცოდნენი, წინააღმდეგნი არიან ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებრივი წყობილების მონათმფლობელური არსის აღიარებისა და ამ წყობილებას წარმოების აზიური წესის გამოვლინებად თვლიან, მეორენი, პირიქით, ფიქრობენ, რომ ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებები თავისი არსით მონათმფლობელურნი არიან და არ მიაჩნიათ მართებულად წარმოების აზიური წესის ცალკე ფორმაციად გამოყოფა[5].

ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში საქართველოს წინაფეოდალურ საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური შინაარსის შესახებ ძველი კონცეპციის გადასინჯვის საკითხიც დამდგარიყო. ამ საქმეში პირველობა გ. მელიქიშვილს ეკუთვნის.

განსხვავებით პირველი ცდისაგან, იგი ამჯერად საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ადრეულ ეტაპებს აღარ ეხება და საკითხის განხილვას იწყებს ელინისტური ხანიდან, როდესაც, მისი აზრით, ქართლში (იბერიაში) გაბატონებულია ადრეკლასობრივი საზოგადოების ერთ-ერთი სახეობა. სტრაბონის ცნობის ახლებურმა ანალიზმა გ. მელიქიშვილი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ადრეელინისტური ხანის იბერიაში საქმე გვაქვს კლასობრივ საზოგადოებასთან, რომელსაც ახლავს ძლიერი გადმონაშთები გვაროვნული წყობილებისა[6].

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, ავტორის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ მის შესახებ კიდევ უფრო მწირი ცნობები მოგვეპოვება, მაინც „ძნელია დავეჭვდეთ იმაში, რომ ანტიკური ხანის კოლხეთის დაწინაურებული საზოგადოებაც ადრეკლასობრივი (განუვითარებელი კლასობრივი) წყობილების საფეხურზე უნდა მდგარიყო ქართლის საზოგადოების მსგავსად"[7].

კოლხეთის საზოგადოებრივ წყობილებაზე, სამწუხაროდ, მეტი არაფერია ნათქვამი. არაფერია ნათქვამი აგრეთვე არც იმის შესახებ, თუ რა ეტაპზე ჩნდება საქართველოში ამ ე. წ. ადრეკლასობრივი საზოგადოების წარმოქმნის შესაძლებლობა. ზოგადთეორიული ნაწილი გ. მელიქიშვილის მსჯელობისა ამ მხრივ დიდ პერსპექტივებს სახავს.

---

[3] იხ. Я. А. Ленцман, Несколько предварительных замечаний, ВДИ, № 3, 1965, стр. 75—76; Н. В. Пигулевская, К вопросу об азиатском способе производства, ВДИ, № 3, 1965, стр. 83—89; А. И. Павловская, По поводу дискуссии об азиатском способе производства на страницах журналов «La Pensee» и «Eirene», ВДИ, № 3, 1965, стр. 89—96.

[4] იხ. „მაცნე", 1966, № 4, გვ. 285.

[5] იხ. გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 71 და იქვე სათანადო ლიტერატურა: Н. Б. Тер-Акопян, Развитие взглядов К. Маркса и Фр. Энгельса на азиатский способ производства и земледельческую общину, НАА, № 2, 1965, стр. 74—88; № 3, 1965 стр. 70—85; Ю. И. Семенов, Проблема становления классов и государства в странах древнего Востока, НАА, № 3, 1965, стр. 160—171; Я. А. Ленцман, დასახ. ნაშრომი, გვ. 81—82; В. Н. Пигулевская, დასახ. ნაშრომი, გვ. 86 შმდ.

[6] ეს თვალსაზრისი ავტორის მართებული შენიშვნით ადრევე იყო აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში. იხ. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 60, 88—89.

[7] გ. მელიქიშვილი, იქვე, გვ. 90.

საინტერესოა, რომ ოცდაათიან წლებში ს. ჯანაშია იგივე სტრაბონის ზემოხსენებული ცნობის ანალიზის საფუძველზე აღნიშნავდა.

„...ჩვენ წინაშე თავისებური კლასობრივი (რა თქმა უნდა, ჯერ ჩამოუყალიბებელი და განუვითარებელი) საზოგადოებაა წარმოდგენილი"[8] და კიდევ: „ეს არის გარდამავალი ტიპის საზოგადოება იმიტომ, რომ მას ჯერ კიდევ გარკვეული ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის სახე არ მიუღია. აქ წარმოების სხვადასხვა წესები ებრძვიან ერთმანეთს". იგულისხმება მონათმფლობელური, თემურ-გვაროვნული და ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი ფეოდალური წარმოების წესები[9]. მაშასადამე, ს. ჯანაშია იბერიის (ქართლის) მაგალითზე მივიდა, ფაქტიურად, იმ დასკვნამდე, რომელიც დღეს არსებითი ნაწილია კონცეპციისა წინაფეოდალური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურის შესახებ. ეს კონცეპცია შემუშავებულია უკვე არა ერთი და ორი შემთხვევის და არც საერთოდ ძველი მახლობელი აღმოსავლეთის საზოგადოებათა შესწავლის შედეგების განზოგადების საფუძველზე, არამედ გაცილებით უფრო ფართო მასშტაბის კვლევა-ძიების შედეგად აზიის, აფრიკის და ამერიკის ხალხების წინაფეოდალური, თუ წინაკაპიტალისტური სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის შესწავლის შედეგებზე დამყარებით.

ამრიგად, ახალი კონცეპციის თანახმად, კლასობრივ საზოგადოებას წინ უსწრებს, როგორც თითქმის საყოველთაო ფორმა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა, გარდამავალი ტიპის საზოგადოება, რომელიც ხასიათდება ერთი მხრივ გვაროვნული წყობილების ძლიერი გადმონაშთებით, ხოლო მეორე მხრივ კლასობრივ მონათმფლობელურ და ფეოდალურ ურთიერთობათა საწყისი, განუვითარებელი ფორმების თანაარსებობით. ეს გარდამავალი საზოგადოება შეიძლება დამყარებული იყოს მსხვილ საზოგადოებრივ სამეურნეოებზე და, შესაძლოა — არა, მაგრამ მიუხედავად ამისა როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში მისთვის დამახასიათებელია წარმოშობა მმართველი არისტოკრატიისა, რომელიც სახელმწიფოს მეშვეობით უზრუნველყოფს თავის ეკონომიურ არსებობას და ახორციელებს თავის ძალაუფლებას. რაკი ეს გარდამავალი საზოგადოება გამოირჩევა თემურ-გვაროვნული, განუვითარებელი მონათმფლობელური და პროტოფეოდალური წარმოების წესის თანაარსებობით და იგი გარდამავალია უკლასოდან კლასობრივ საზოგადოებრივ წყობაზე, მაშინ მასში მოცემული უნდა იყოს როგორც მონათმფლობელურში, ისე ფეოდალურ საზოგადოებაში გადაზრდის შესაძლებლობა[10].

გარდამავალი ტიპის, განუვითარებელი კლასობრივი საზოგადოების მონათმფლობელურ საზოგადოებაში გადაზრდა ისტორიული შესაძლებლობის მხოლოდ ერთი და ამიტომ გამონაკლისი მაგალითით (საბერძნეთი და რომი) აღინიშნა, მაშინ, როდესაც მისი ევოლუცია ფეოდალური წყობილებისაკენ თავისი სიმრავლის გამო ისტორიულ კანონზომიერებად იქცა.

---

[8] ს. ჯანაშია, ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში, შრომები, II, გვ. 147 (ხაზი ჩვენია).

[9] ს. ჯანაშია, ადრეული ფეოდალიზმი, შრომები, II, გვ. 173—174.

[10] ასეთ შესაძლებლობათა რეალიზაციად ასახელებენ ერთი მხრივ საბერძნეთს, მეორე მხრივ კი ფრანკების სამეფოებსა და სლავურ სახელმწიფოებს (იხ. А. И. Павловская, დასახ. ნაშრომი, გვ. 95).

ასეთი გარდამავალი ტიპის საზოგადოების დამოწმება საქართველოში მთელოდ ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებიდან და რამდენადმე შემდგომ (კოლხეთში V, ხოლო იბერიაში IV საუკუნიდან) არ უნდა იყოს სწორი. ჩვენს ამოცანას არ შეადგენს იბერიის საზოგადოებრივი წყობილების კვლევა, რაც შეეხება კოლხეთს, უნდა შევნიშნოთ, რომ თუ დავემყარებით გარდამავალი ტიპის განუვითარებელი კლასობრივი საზოგადოების არსებობის თეორიას, როგორღა უნდა შევაფასოთ ის სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურა, რომელიც გაბატონებული იყო კოლხეთში ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან. ადრე შიგვაჩნდა, რომ ეს არის ე. წ. „სამხედრო დემოკრატიის" ხანა, „სამხედრო დემოკრატიის განვითარებული ეტაპი[11]; თუმცა პირდაპირი საბუთი არც ამ დებულების სასარგებლოდ გაგვაჩნდა. მაგრამ დღეს თვლიან, რომ ცნება „სამხედრო დემოკრატია" უკლასო საზოგადოებიდან კლასობრივზე გადასვლის ეტაპების ამომწურავი გააზრების შესაძლებლობას არ იძლევა[12]. მკვლევართა წინაშე შეიძლება წამოიჭრას მრავალი საკითხი, რომელიც ამ ცნების საფუძველზე არ აიხსნება. მაგალითად, როგორ უნდა შეფასდეს საზოგადოება, რომელთანაც წყაროები გვიდასტურებენ სახელმწიფო ხელისუფლებას, მაგრამ საზოგადოების კლასობრივი წყობილების შესახებ არაფერს გვატყობინებენ. როგორი სახისაა საზოგადოება, რომელსაც აქვს სახელმწიფო ხელისუფლება, ჰყავს მონები, მაგრამ მათ ფაქტიურად, არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ წარმოებაში, ზედმეტ პროდუქტს კი მმართველი წრის მოთხოვნილებათა უზრუნველსაყოფად ქმნის მოსახლეობა, რომელსაც ასე თუ ისე შენარჩუნებული აქვს თემური ორგანიზაციის ფორმები. სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ამგვარი საკითხები წამოიჭრება არა მარტო ტროპიკული აზიის ისტორიის მკვლევართა წინაშე, არამედ იმ მეცნიერთა წინაშეც, ვინც იკვლევს ძველი საბერძნეთის, სახელდობრ, წინაკლასიკური ხანის — თესალიის, ელიდის ან სხვა მხარის ისტორიას, ვინც სწავლობს ფრანკთა საზოგადოებას, ან სლავების ძველი ისტორიის საკითხებს[13]. იგივე საკითხები დგება მთელი სიმწვავით საქართველოს ძველი პერიოდის, კერძოდ კი, კოლხეთის ისტორიის მკვლევარის წინაშეც.

მეორე მხრივ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ უკანასკნელი ხანის არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა აიძულეს მეცნიერები შეეცვალათ ზოგი ადრე შემუშავებული შეხედულება კაცობრიობის განვითარების შესახებ. რიგი არქეოლოგიური აღმოჩნის საფუძველზე მახლობელ აღმოსავლეთში დაისვა საკითხი ზოგი ისტორიული მოვლენის კაცობრიობის განვითარების უფრო ადრეულ ეპოქებში გადატანისა, ვიდრე აქამდე შეიძლებოდა გვეფიქრა[14]. ამიტომ აღნიშნავენ ხაზგასმით, რომ თვით ახალი ქვის ხანის საზოგადოებებიც კი აღარ გამოიყურებიან ისეთ ჩამორჩენილ საზოგადოებებად, როგორადაც მათ წარმოგვიდგენდნენ.

---

[11] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, გვ. 72—80 და შნშ.

[12] А. И. П а в л о в с к а я, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

[13] А. И. П а в л о в с к а я, იქვე, გვ. 95.

[14] იხ. K. M. K e n y o n. Jericho and its Setting In Near Eastern History. Antiquity. № 120, 1956, გვ. 184—195; F. E. Z e u n e r. The Radiocarbon Age of Jericho. Antiquity. № 120, 1956, გვ. 195—197. M. W h e e l e r. The First Town? Antiquity, № 119, 1956, გვ. 132, 136. უკანასკნელ ნაშრომს ვიმოწმებ ვ. მასონის ბიბლიოგრაფიული წერილის მიხედვით (იხ. В. М. М а с с о н, Докерамический Иерихон, СА, 1958, стр. 251).

ადრე[15]. ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით, საკითხის ამგვარად დასმა გაუმართლებელი არ უნდა იყოს. პირიქით, ასეთ ვითარებაში უფრო ლოგიკური ჩანს ის ცნობილი ფაქტი, რომ ძველი აღმოსავლეთის უდიდესი ცივილიზაციები აღმოცენდნენ ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის მიღწევათა შედეგად.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ უკვე ადრეულ ეპოქებში მთელი კაცობრიობა განვითარების ერთნაირ და ესოდენ მაღალ დონეზე იმყოფებოდა; განვითარების დონეთა ერთგვაროვნება დღესაც არ არის მიღწეული. მაგრამ, საინტერესოა, რომ იქ, სადაც ქართველი ტომების უძველესი საცხოვრისია საუძველებელი, სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიაში და მის მიმდგომ მხარეებში, ჩანს, ისეთივე პროცესები მიმდინარეობს, როგორც მახლობელი აღმოსავლეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. ყოველი ახალი აღმოჩენა სულ უფრო და უფრო ამკვიდრებს აზრს, რომ სამხრეთი ამიერკავკასია არ შეიძლება განიხილოს ძველი ცივილიზაციების შორეულ პერიფერიად, სადაც ამ ცივილიზაციის გამოძახილებს ვხვდებით მხოლოდ, და, რომელიც სამხრეთში მიმდინარე ისტორიული პროცესების მიღმა რჩება ან საგრძნობლად ჩამორჩება ამ პროცესების ტემპს. სამხრეთ კავკასიის ცალკეული კულტურების სინქრონულობა წინააზიის ანალოგიურ კულტურებთან, რაზეც ნაწილობრივ პირველ თავში მივუთითებდით, უნდა აბათილებდეს ასეთ ეჭვებს[16].

ამ თვალსაზრისით საგულისხმოა უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები სამხრეთ საქართველოში, ქვემო ქართლში. აქ, როგორც ცნობილია, უკვე ძვ. წ. V—III ათასწლეულებში საქმე გვაქვს დამჯდარ მიწათმოქმედთა დასახლებებთან, რომელნიც ისეთ ტექნიკურ, სამეურნეო და სოციალურ მიღწევათა საფუძველზე[17] არსებობენ, სულ ცოტა ხნის წინ რომ უფრო გვიანი ხანისათვის შეიძლებოდა გვეკარაუდნა.

მართალია, გვაროვნული საზოგადოების პირობებში სოციალური პროცესები შედარებით შენელებულად ვითარდებიან, მაგრამ ისეთ ძვრებს, როგორსაც ადგილი ჰქონდა ლითონის ინდუსტრიაში მომდევნო და განსაკუთრებით კი ლითონის წარმოების გვიან ეტაპებზე, რომელთანაც დაკავშირებული იყო ასევე დიდი ძვრები მიწათმოქმედებაში, არ შეიძლება არ გამოეწვია სოციალური გარდაქმნები. ამ მხრივ გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისი უნდა იყოს ის მიჯნა, საიდანაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში განუვითარებელი კლასობრივი ე. წ. ადრეკლასობრივი საზოგადოებისა და საქართველოში პირველი სახელმწიფოს ისტორია უნდა დავიწყოთ. მართალია, აღნიშნულის საილუსტრაციოდ ჯერჯერობით კვლავ იგრძნობა მასალის სიმცირე, მაგრამ ისიც კი, რაც გვაქვს, გვაძლევს ცალკეული საკითხის გაშუქების შესაძლებლობას. მითუმე-

---

[15] Я. Брюсов, К вопросу об индоевроп. проблеме, СА, № 3, 1958, стр. 19.

[16] შდრ. К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры южного Кавказа, Ленинград, 1970, стр. 171.

[17] ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1966 წწ). „მაცნე“, III, 1967, გვ. 297; ტ. ჩუბინიშვილი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის საველე მუშაობის ძირითადი შედეგები, XVI სამეც. სესია, მოკლე ანგარიში, თბ., 1967, გვ. 24, 25; აგრეთვე Т. Н. Чубинишвили, К. Х. Кушнарева, Новые материалы по энеолиту Южного Кавказа (V—IV тыс. до н. э.), „მაცნე“, VI, 1967, გვ. 352, 353, 357—358; К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 102—107 შდ.

ტეს, თუ მასალის ერთ ნაწილს ჩამოვაცლით შეუმოწმებელი უნდობლობის მძიმე ტვირთს, ხოლო მთლიანად მთელ მასალას იმ დასაშვებ და ისტორიულად შესაძლებელ საფუძველზე განვიხილავთ, რომელსაც განვითარების საერთო სურათი იძლევა.

უპირველეს ყოვლისა, კოლხური კულტურის ძეგლების იმ თავისებურებათა შესახებ, რომელიც თვით კულტურას კი არ განსაზღვრავს მხოლოდ, არამედ საზოგადოების ყოფის სოციალურ და შესაძლოა პოლიტიკურ შინაარსსაც უნდა ასახავდეს. ზემოთ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ კოლხური კულტურის ძირითადი, თავდაპირველი კერა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში უნდა ყოფილიყო; შემდეგ ეს კულტურა სწრაფად ვრცელდება და ედება მთელ დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ფართო გაგებით და მის მიმდგომ მხარეებს (ისტორიული შიდაქართლის დასავლეთი ნაწილი). ეს შეეხება არა მარტო ლითონს, რომელიც გასაგები მიზეზების გამო უფრო ადრე დიდ არიალზე იწყებს გავრცელებას, ამასთან უფრო სწრაფად და ინტენსიურად, არამედ კერამიკასაც — ამ, თუ შეიძლება ითქვას, მატერიალური კულტურის შედარებით უფრო კონსერვატულ ნაწილს. ყოველივე ეს ამ კულტურის შემქმნელთა და მატარებელთა გავრცელებას კი არ უნდა გულისხმობდეს მხოლოდ, არამედ მათი პოლიტიკური გავლენის გავრცობასაც. შედარებით ფართო ტერიტორიაზე ერთი მატერიალური კულტურის დანერგვა მეტყველებს არალის და საერთოდ სამეურნეო ყოფით საშუალებათა სტანდარტულობაზე, რასაც ერთი პოლიტიკური ორგანიზაციის ფარგლებში შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ეს სტანდარტები თანდათან ინერგება, მართალია, მონათესავე, მაგრამ მაინც სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ეთნიკურ კოლექტივებში.

ასეთივე თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს კოლხური კულტურის არქეოლოგიური მონაპოვრის. შინაარსი. კოლხური ლითონი საკვლევ მხარეში, თითქმის გამონაკლისის გარეშე, ან განძებადაა ნაპოვნი, ან განძის ნაწილებად. მართალია, განძები ნეოლითის ბოლოსა და ენეოლითშიც გვხვდება, რაც ზემოაღნიშნულთან ერთად ზოგი გვიანი სოციალური მოვლენის სათავეებს კიდევ ერთხელ გვიდასტურებს უფრო ადრეულ ეპოქებში, მაგრამ ისეთი ფართო გავრცელება და საყოველთაო ხასიათი, როგორიც ამ მოვლენამ მიიღო კოლხეთში ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, იშვიათია. ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა თავისთავად. თუ გავიხსენებთ იმას, რაოდენ დიდი მნიშვნელობა და ფასი ჰქონდა ამ დროს ბრინჯაოს, ნათელი გახდება კოლხეთში ბრინჯაოს განძებად შენახვის საფუძველი. ბრინჯაო ამ დროს ოქროსთან იყო გათანაბრებული. ამ მხრივ საგულისხმოა „ილიადას“ ის ადგილი, სადაც მომაკვდავი ჰექტორი ემუდარება აქილევსს, ოღონდ ნუ დამტოვებ მირმონდონელ ქოფაკთა საჯიჯგნად და ჩემი გვამი შინ დააბრუნე, რომ ტროელმა მამაკაცებმა და ქალებმა უკანასკნელი პატივი დამდონ, სამაგიეროდ რამდენიც გსურს იმდენ სპილენძსა (ე. ი. ბრინჯაოს) და ოქროს გამოვიგზავნიან ჩემი მშობლებისაგან[18].

სრულიად ნათელია, რომ ამ დროს ბრინჯაოცა და ოქროც ერთნაირად განასახიერებდა სიმდიდრეს. არ უნდა იყოს სწორი ბრინჯაოს ნივთებისა და განსაკუთრებით სპილენძის ზოდების განძების ტრადიციული მიჩნევა მელითო-

[18] Jl, XXII, 340—342.

ნეთა განძებად. სპილენძის ზოდები, როგორც ჩანს, ქონებას, სიმდიდრეს გამოხატავდა. ეს დასტურდება ფაქტებით კოლხეთის არქეოლოგიიდან. მაგალითად, ეშერის სამარხში სხვა ნივთებთან ერთად ჩატანებული იყო სპილენძის ზოდები, რასაც ბ. კუფტინი თვლის კოლხური კომპლექსების ტიპიურ ნივთებად და მართებულად მიუთითებს, რომ ეს ზოდები ქონებას, სიმდიდრეს გამოხატავს და არა მიცვალებულის მელითონეობას[19]. ამ მხრივ, კიდევ უფრო ნიშანდობლივია ნოსირის განძი, ამ განძის შედგენილობა — 200 ცალზე მეტი სარდიონის მძივი, ოქროს დახვეწილი ნივთები ოქრომჭედლობის მრავალფეროვანი ტექნიკით შესრულებული[20], სრულიად გამორიცხავს ამ განძის მელითონისადმი მიკუთვნების შესაძლებლობას, ხოლო მასში სპილენძის ზოდების არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ სპილენძის ფლობაც სიმდიდრეა და ქონების ფლობას ნიშნავდა.

ზემოთქმულის საფუძველზე საფიქრებელია, რომ კოლხური განძები ასახავენ სიმდიდრის დაგროვების, დაცვის და გადამალვის ტენდენციებს, რაც განსაკუთრებით ფართო ხასიათს გვიანბრინჯაოს ხანაში იღებს. განძებად ლითონის ნაკეთობათა შენახვის წესი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დასტურდება, ვიდრე ფულის გაჩენამდე; და საგულისხმო ისაა, რომ სიმდიდრის შენახვა განძებად, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ტენდენცია, შემდგომ ხანაშიც გრძელდება, როცა იცვლება შენახვის ობიექტი. ბრინჯაოს ნაკეთობებს ლითონის ფული, მოჭრილი მონეტა ცვლის, რაც კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკური წყობილების ახალ შინაარსს ასახავს. ნიშანდობლივია ისიც, რომ კოლხური თეთრების განძების აღმოჩენის ადგილები არსებითად ემთხვევა კოლხური ბრინჯაოს განძების აღმოჩენის ადგილებს, რაც პროცესის ადრეულ და მომდევნო ფაზებს ერთი ეთნო-კულტურული და, როგორც ჩანს, პოლიტიკური წრით ფარგლავს.

ამ მეტად საინტერესო მოვლენის ასეთ ინტერპრეტაციას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კიდევ ერთი საერთო ხასიათის მოსაზრება. ცნობილია, თუ რა დიდსა და გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ფ. ენგელსი რკინის აღმოჩენას, როგორც დიდი საზოგადოებრივი ძვრების საფუძველს[21]. ამიტომ საგულისხმოდ მოგვაჩნია ის გარემოება, რომ სამხრეთ საქართველო რკინის წარმოების უძველესი კერა ჩანს მახლობელ აღმოსავლეთში, რაც, როგორც ზემოთ საგანგებო ნაკვეთში გვქონდა ნაჩვენები, საისტორიო წყაროების ცნობათა და სხვა მრავალი საისტორიო რეალიების საფუძველზეც ნათელია და არქეოლოგიურადაცაა დადასტურებული. ნიშანდობლივია ისიც, რომ სწორედ კოლხური კულტურის ერთ-ერთ უძველეს კომპლექსში, უდეს განძში გვაქვს დამოწმებული რკინის გამოყენების ერთი ადრეული შემთხვევათაგანი. ამ არქეოლოგიურ ფაქტს ეხმაურება ცნობა ამ პერიოდის კოლხეთში რკინის სანნისის არსებობის შესახებ. აღნიშნულ ცნობას ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით.

თავისებურ იერს აძლევს გვიანბრინჯაოს ხანის კოლხეთს კოლხური ბრინჯაოს კომპლექსების შედგენილობაც. მხედველობაში მაქვს აღნიშნულ კომპლექსებში ისეთი სპეციფიკური სასოფლო-სამეურნეო იარაღის დადასტურება,

---

[19] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, I, გვ. 177.

[20] Б. А. Куфтин, იქვე, გვ. 170, 171.

[21] შდრ. ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 194 შმდ.

როგორიც წალდია და სამიწათმოქმედო იარაღის (თოხი, სეგმენტი) სიმრავლე, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა აღმოსავლეთ საქართველოს ამავე ხანის ბრინჯაოს კომპლექსების ფონზე. კოლხეთში მძიმე შეიარაღების უქონლობამ ბ. კუფტინს სამართლიანად ავარაუდებინა, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას გაცილებით უფრო სამხედრო-საბრძოლო იერი ჰქონდა, ვიდრე კოლხეთისას[22]. კოლხეთის დიდ სამიწათმოქმედო ტრადიციებზე მეტყველებს აგრეთვე მარცვლეული კულტურების ენდემური ჯიშების დადასტურება ჯერ კიდევ ბრინჯაოს ინდუსტრიის ადრეულ ეტაპებზე[23].

ზემოთ განხილულ არქეოლოგიურ ფაქტებში როგორღაც ირეკლება კოლხეთის საზოგადოების თავისებურება. ეს შთაბეჭდილება კოლხეთის საზოგადოებრივი ყოფის შესახებ I ათასწლეულის საწყისი საუკუნეების უწინარეს შეიძლება შეავსოს თქმულებამ არგონავტებზე, რომელიც ხშირად ძალიან იოლადაა უგულებელყოფილი მისი ჟანრული ხასიათის გამო[24].

საინტერესოა, რომ თქმულება არგონავტებზე კოლხთა სამეფოს წარმოგვიდგენს, როგორც მიწათმოქმედთა ქვეყანას. თვით სიმბოლიკა თქმულებისა — სპილენძისჩლიქიანი ხარები (οἱ χαλκόποδας ταύρους), სახნისი მაგარი რკინისა (στιβαρὸν ἀδάμαντος ἄροτρον)[25] ხალხის შემეცნებასა და მეურნეობაში მიწათმოქმედების მეწინავეობაზე მეტყველებს, ხოლო აიეტი, როგორც განსახიერება თავისი ხალხისა და მისი ძლიერებისა პირველ მიწათმოქმედად გვევლინება: მხოლოდ მას შეუძლია დაიმორჩილოს და დაადგას უღელი სპილენძისჩლიქიან, ცეცხლისმფრქვეველ ხარებს, გაავლოს სწორი ღრმა ხნული და დილიდან დაღამებამდე დათესოს და მომკას კიდეც[26].

---

[22] Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях..., გვ. 326; ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ მდ. ენგურის შუა წელზე ს. პალურში არქეოლოგების მ. ბარამიძისა და ნ. ოქროპირიძის მიერ გათხრილ სამაროვანზე რიგ სამარხებში, რომლებიც ძვ. წ. VII—VI საუკუნეებით თარიღდება, დამოწმებული იყო ბრინჯაოსა და რკინის სამიწათმოქმედო იარაღი (თოხები, სეგმენტები). ეს არის სრულიად იშვიათი მოვლენა, რომელიც ნათლად წარმოგვიდგენს ძველი კოლხეთის საზოგადოების თავისებურებას. მართალია, პალურის აღნიშნული სამარხები ძველი კოლხური პერიოდის მიწურულს განეკუთვნება, მაგრამ ეს მაინც არ უნდა ცვლიდეს ვითარებას, რადგან, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა გორდონ ჩაილდი, «Несмотря на то, что земледелие произвело переворот в жизни людей, сельскохозяйственные орудия, почти никогда не встречаются в могилах какого бы то ни было времени» (Гордон Чайлд, Прогресс и археология. М., 1949, стр. 148).

[23] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, стр. 251—252; В. Л. Менабде, Ботанико-систематические данные о хлебных злаках древней Колхиды. Сообщения Грузинского филиала АН СССР, I, № 4, 1940, стр. 648—668; Д ი ს ი ვ ე, К истории культуры пшеницы, VII междунар. конф. антроп. и этног. наук, М., 1964.

[24] ამასთან დაკავშირებით ჯ. ტომსონი მიუთითებს «. . . Я утверждаю, что древнегреческие предания, касающиеся этих древних народностей эгейского мира, не могут быть отброшены, как плод народного невежества или вымысла любителей древностей. Соединение фрагментов даст стройную картину, которая вполне гармонирует с рисунком возникающим в результате археологических и лингвистических изысканий» (Дж. Томсон, Исследования по истории древнегреческого общества, стр. 174).

[25] Аппполоний Родосский, Аргонавтика (перевод, введение и примечания Григория Филимоновича Церетели), Тбилиси, 1964, III, 230—232.

[26] პინდარე IV პითიური ოდა (იხ. ალ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, გვ. 244), შდრ; Аппполоний Родосский, Аргонавтика, III, 407—411, 417—418.

თქმულებაში არგონავტების შესახებ, ყოველ შემთხვევაში მის ვრცლად დაცულ ყველაზე ძველ ვერსიებში (პინდარეს IV პითიურ ოდაში, აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“) აშკარად გამოიყოფა ორი შრე: უძველესი და შედარებით ახალი. პირველი თავს იჩენს რეალიებშიც, რომლებიც ხსენებულ ვერსიათა შედგენის დროისათვის გარდასულ დროთა მემკვიდრეობას შეადგენდნენ. პინდარეს IV პითიურ ოდაში ლაპარაკია, მაგალითად, სპილენძისკბილებიან ლუზაზე, რომელსაც „არგოს“ ჰკიდებდნენ[27]. ანდა იგივე პინდარე გადმოგვცემს, რომ იაზონისა და პელიასის დროს მეომართა შეიარაღებას შეადგენდა კვლავ სპილენძის მახვილები და ლახვრები[28]. აპოლონიოსის „არგონავტიკაში“ ადრეული შრის მაჩვენებელია ცნობა იმის შესახებ, რომ პრომეთე კავკასიის მთების ერთ-ერთ კლდეზე სპილენძის ბორკილებითაა მიჯაჭვული[29]. სპილენძის ბორკილები „არგონავტიკაში“ კიდევ არა ერთხელ იხსენიება[30]. საერთოდ აპოლონიოსის „არგონავტიკაში“ აღწერილი კოლხეთის ყოფის ძირითადი ატრიბუტები მხოლოდ სპილენძის იარაღია. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ის ადგილი, სადაც აღწერილია იაზონისა და მისი თანმხლები არგონავტების მოსვლა აიეტის სასახლეში. სასახლეში ამ დროს ჩვეულებრივი ცხოვრება მიმდინარეობდა. სამეფო მსახურნი ცენ რას აკეთებდა და ვინ რას, მათ შორის ერთი სპილენძის ცულით ხეს შეკეთებს ჩეზდა[31]. სხვა ადგილიდან ირკვევა, რომ მიწის სათხრელი იარაღიც სპილენძისა იყო[32]. ყველა ეს რეალია, ცხადია, იმაზე მეტყველებს, რომ „არგონავტიკის“ ვრცელ, შედარებით გვიან ვერსიებში ისეთი საზოგადოების აღწერაა შემორჩენილი, რომლის საუარმოო საშუალებებს სპილენძის (ბრინჯაოს) იარაღი შეადგენდა.

იგივე უნდა ითქვას თქმულების შემეცნებით რეალიებზე: ფანტასტიკა და სიმბოლიკა თქმულებისა იმ შესაძლებლობათა ფარგლებითაა შემოზღუდული, რომელიც შეიძლება კონკრეტულ ეპოქას ახასიათებდეს. ესაა სპილენძის ეფერი და სპილენძისჩლიქებიანი ხარები, რომლებიც სიმბოლურად ასახავენ იმ დროს, როცა კოლხეთის მიწათმოქმედება სპილენძის (ბრინჯაოს) ინდუსტრიის საფუძველზე წარიმართება. მეტი, თქმულებაში ასახულია უფრო ნიშანდობლივი ნიუანსიც. პინდარესთანაც[33] და აპოლონიოსთანაც[34] მოხსენიებულია ადამანტის (ე. ი. რაღაც მაგარი ლითონის, შეიძლება მართლაც ფოლადის) სახნისი (ἀδάμαντος ἄροτρον). აქ შეიძლება ისეთივე მნიშვნელობის მოვლენასთან გვქონდეს საქმე, როგორიცაა ჰომეროსის ეპოსში რკინის (σίδηρος) მოხსენიება[35]. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ როგორც „არგონავტიკაში“, ისე „ილიადასა“ და „ოდისეაში“ აღწერილ საზოგადოების ყოფაში აშკარად იგრძნობა ბრინჯაოს ნივთების უპირატესობა რკინის ნივთებთან შედარებით. ეს გარემოება კი, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი ამოსავალი გახდა ჰომეროსის ეპოსის დათარიღებისათვის. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ აპოლონიოს როდო-

---

[27] იხ. აკ. ურუშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 204 (ტ. 24—27).
[28] აკ. ურუშაძე, იქვე, გვ. 209.
[29] Аполоний Родосский, Аргонавтика, II, 1249.
[30] იქვე, III, 62.
[31] იქვე, III, 272.
[32] იქვე, IV, 1532.
[33] აკ. ურუშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 214.
[34] Аргонавтика, III 1285.
[35] შდრ. Il., XVII, 224; XXII, 357; XXIV, 205; Od., XII, 280; XIX, 494.

სელი (მაშინ პინდარეც და ეს კიდევ უფრო ნაკლებ დასაჯერებელია) ხსენებულ რეალიათა შეგნებულ არქაიზაციას ეწევა წინამორბედი ეპოქის სულის გადმოსაცემად, მაგრამ ეს ხერხი უცნობი დარჩა ანტიკური მწერლობისათვის.

„არგონავტიკის“ ზემოთ ხსენებულ ვერსიებში შედარებით ახალი შრეებიც იგრძნობა. ესაა შავიზღვისპირეთის გეოგრაფიული და ეთნიკური გარემოს აღწერა, რომელიც, როგორც ჩანს, ძვ. წ. VIII—VII საუკუნეთა შემდგომ დაგროვილ ცოდნას ასახავს, და გაცილებით გვიანი დანაშრევია, ვიდრე თქმულების ძირითადი სიუჟეტური ბირთვი. თუმც უნდა აღინიშნოს, რომ გეოგრაფიული ნომენკლატურის ერთი ნაწილი თქმულების უძველესი ვერსიებიდანაა გადმოტანილი. ამით უნდა აიხსნას ისეთი არქაული სახელების ხმარება, როგორიცაა, მაგალითად, კ ე კ რ ო პ ი ა — ატიკისა და ათენის ნაცვლად. იგივე ითქმის კოლხეთის მიმართაც: აპოლონიოსი კოლხეთის აღსანიშნავად ხშირად ხმარობს მის უძველეს სახელწოდებას ა ი ა[36]. მან ამავე დროს იცის სახელწოდება კ ო ლ ხ ი დ ა[37] და შერწყმული სახელი ა ი ა-კ ო ლ ხ ი დ ა[38], რომელსაც ჰეროდოტესთანაც ვხვდებით[39]. სრულიად ნათელია, რომ სახელი ა ი ა უძველესი ვერსიებიდან მომდინარეობს, ხოლო ა ი ა-კ ო ლ ხ ი დ ა არა უგვიანეს ძვ. წ. VI—V სს. ვერსიებიდან, აპოლონიოსის თანადროული ფორმა კი კ ო ლ ხ ი დ ა სახელია.

ამგვარად, გეოგრაფიული გარემო, რომლის ფონზეც ვითარდება სიუჟეტური ქარგა არგონავტების თქმულებისა, ძვ. წ. VIII—VII საუკუნეთა შემდგომ ვერსიებში შედარებით რეალურ ელფერს იძენს, რაც „არგონავტიკის“ გვიან დანაშრევებადაა მისაჩნევი. ხოლო სიუჟეტის საზოგადოებრივ-ყოფითი ფონი და კოლხეთისა და ეგეოსური სამყაროს გეოგრაფიული ნომენკლატურის ერთი ნაწილი თქმულების უძველეს შრეს შეადგენს, იგი თავდაპირველი სახითაა დარჩენილი, ყოველ შემთხვევაში იმ სახით, როგორიც მას უნდა ჰქონოდა ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისათვის, როცა საფუძველი ეყრებოდა თქმულებას. ამიტომ ჩვენი მსჯელობისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თქმულების ეს უძველესი ფენა, რომელმაც შესაძლოა უფრო საინტერესო სურათი გადაგვიშალოს ძველი კოლხეთის საზოგადოებრივი ყოფისა, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ თვით სიმბოლიკა „არგონავტიკისა“ აიეტის სამეფოს წარმოგვიდგენს, როგორც განვითარებულ სამიწათმოქმედო ქვეყანას. კოლხთა რელიგიური შეხედულებაც მიწათმოქმედებასთანაა დაკავშირებული[40]; ბუნების კატეგორიებმა, როგორც წინა თავში იყო ნაჩვენები, თავისი ასახვა ჰპოვა კოლხურ წარმართულ კალენდარში. საგულისხმოა ისიც, რომ მიწათმოქმედების ამსახველ სიმბოლიკაში აირეკლა აგრეთვე კოლხების სამეურნეო ყოფის სხვა ასპექტებიც, სახელდობრ, მელითონეობის მოწინავეობაც, და, რაც მთავარია, ამ უკანასკნელის არქეოლოგიურად დადასტურებული თავისებურებანი. აქ მარტო იმას როდი უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, რომ ზღაპრული სპილენძისჩლიქიანი ხარები ან სპილენძის უღელი კოლხებთან მაღალი რანგის სა-

---

[36] Аргонавтика, II, 417,422, 1094, 1185 и т. д.
[37] Аргонавтика, I, 174, 422, 1094, 1185.
[38] Аргонавтика, II, 417.
[39] H e r o d, I, 2, 2.
[40] Аргонавтика, III, 714—716.

წარმოო იარაღის არსებობის ან მეფე აიეტის სიმდიდრის გადმოცემის ცდაა მითისათვის დამახასიათებელი სიმბოლური ხერხებით. აქ ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ თქმულებაში როგორღაც ასახულია რაღაც ძვრები ლითონის წარმოებაში, ახალი ლითონის ინდუსტრიის დასაწყისი, რაც კოლხებთან მაგარი ლითონის, ადვილი შესაძლებელია, ფოლადის სახნისის გაჩენით აღინიშნა. საგულისხმოა, რომ ამ ტერმინს (ἀδάμας) მაგარი ლითონის, სავარაუდოა, ფოლადის აღსანიშნავად ხმარობს ჰესიოდე. ჰომეროსისათვის ეს ტერმინი უცნობია. იგი, როგორც ჩანს, უნდა ასახავდეს ფოლადის აღმნიშვნელი ცნების ბერძნულად გადმოცემის კიდევ ერთ ცდას, ვიდრე მისი შინაარსის გადმოსაცემად ბერძნულში საბოლოოდ არ დამკვიდრდა ხალიბთა ეთნიკური სახელწოდება χάλυψ[41].

ამრიგად, თუ მართებულადაა გაგებული „არგონავტიკის" სიმბოლიკა, მაშინ ნათელია, რომ კოლხეთის სამეფოს საფუძველს შეადგენდა მიწათმოქმედება და მეტალურგია. პირველი ემყარებოდა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დიდ სამიწათმოქმედო ტრადიციებს, სახელდობრ, მარცვლეული კულტურების ენდემური, საუკუნეების მანძილზე აპრობირებული ჯიშების კულტივირებას და მელიორაციისა და სადრენაჟო სისტემების[42] ფართო გამოყენებას, ხოლო მეორე — ასევე დიდ მეტალურგიულ ტრადიციებს და მადნეულის მდიდარ ბაზას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.

აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში" განსაკუთრებით საყურადღებოა ის ადგილები, სადაც საუბარია კოლხეთის მეფის სასახლის ბინადართა შესახებ.

როგორც დავინახეთ, საზოგადოების სათავეში დგას მეფე, რომელიც შეიძლება უმაღლესი ქურუმიც იყო. ყოველ შემთხვევაში, ქურუმთა ფენას მეფის ოჯახის საგვარეულოს წევრები შეადგენდნენ. სხვა გაბატონებული ფენის შესახებ თქმულებაში, სამწუხაროდ, არავითარი ცნობები არ მოიპოვება. სამაგიეროდ „არგონავტიკაში" ფოგურირებენ თავისუფალი მეთემენი, რომლებიც მითში მოიხსენიებიან ან როგორც „კოლხები" (κόλχοι), ანდა, როგორც „ძენი კოლხებისანი" (κόλχων υἷες)[43]. ანდა პირდაპირ დემების წარმომადგენლებად თუ მეთემეებად (δημότεροι) იწოდებიან[44]. ესენი არიან, როგორც ჩანს, ძირითადი მწარმოებლები — მიწათმოქმედნი, მელითონენი, მეთუნენი, რომელთაც დოვლათის დაგროვების გარდა მეომრობაც ევალებოდათ: მედეასა და არგონავტებს თავისი მრისხანე მეფისა და უფლისწულის მეთაურობით სწორედ კოლხების ლაშქარი დაედევნა[45]. სწორედ ამ კოლხებს ამხედრებს გემებზე აიეტი და აგზავნის მედეას მდევრად დაუნდობელი ბრძანებით[46]. ეს კოლხები

---

[41] ეს ტერმინები სინონიმებადაა მიჩნეული ლექსიკოგრაფების მიერ (Δ. Δημητρακου. *Μεγα λεξικον της ἑλληνικης γλωσσης*. Ἀθηναι).

[42] ამ სისტემებს ძველ კოლხეთში გვაკარაუდებინებს ძველკოლხურ დასახლებებზე დაკვირვება და აგრეთვე ჰიპოკრატეს საინტერესო ცნობები (იხ. თ. ყაუხჩიშვილი, ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1965, გვ. 45) კოლხეთში არხების რთული სისტემის არსებობის შესახებ.

[43] Аргонавтика, III, 576; 245 და სხვ. უკანასკნელი გამოთქმა ისეთივე მნიშვნელობით იხმარება, როგორც ჰომეროსთან —υἷες Ἀχαιῶν („ძენი აქეველთანი", ე. ი. აქეველები).

[44] Аргонавтика, III, 606.

[45] Аргонавтика, III, 212—224.

[46] Аргонавтика, III, 230—235.

აიეტის სასახლის კარზე არ ჩანან, მკითხველი მათ ხედება, მაგალითად, საბალ-ხო კრებაზე, როგორც ამ კრების მონაწილეებს.

„არგონავტიკის“ მიხედვით აიეტის სასახლის ბინადარნი არიან მეფე-დედოფლის გარდა მათი შვილები, უფლისწულები: აფსირტე, ქალკიოპე და მედეა, რომელთაგან თითოეულს სასახლის გაჩკვეული ნაწილი უკავია. უფლისწულთა პალატებთან იყო მათი მსახურების ოთახებიც[47].

აქ ჩნდება „არგონავტიკაში“ პირველად ძალიან საინტერესო ცნობები სასახლის მსახურეულთა შესახებ.

აიეტის სასახლის მსახურთა აღსანიშნავად აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ ორი ტერმინი იხმარება: ἀμφίπολος (ὁ,ἡ) — „მსახური“, უპირატესად, „მსახური ქალი“ და ὀμώς, ὀμωή — „ტყვე, მონა“, ზოგჯერ „მსახური“ და შესაბამისად „ტყვე ქალი“, „მონა ქალი“ და იშვიათად „მსახური ქალი“[48]. მსახურეულთა აღსანიშნავად ორი ტერმინის ხმარება თავისთავად ნიშანდობლივი ფაქტია; ნათელია, რომ კოლხეთის სამეფო კარზე მსახურთა ორგვარი კატეგორია არსებობდა. ორივე ზემოაღნიშნულ ტერმინს ხმარობს ჰომეროსიც, ორივეს უპირატესად „ოდისეაში“[49]. Ἀμφίπολος ჰომეროსის მიხედვითაც უპირატესად მსახურ ქალს აღნიშნავს, ამასთან უმთავრესად მხლებელს. ასეთი მხლებელი რამდენიმე ახლდა ხოლმე წარჩინებულ ქალს[50]. ასეთი მსახური ქალები—მხლებლები ეხვეოდნ გარს, მაგალითად, ქალკიოპესა და მედეას[51]. ეს მსახური ქალები (ἀμφίπολοι), როგორც ჩანს, არ არიან მონები. მონათა აღსანიშნავად, როგორც ნაჩვენები იქნება, ჰომეროსის ეპოსშიც და „არგონავტიკაშიც“ სხვა ტერმინი იხმარება. როდესაც მედეა არგონავტებთან ერთად სტოვებდა ფეაკების სამეფოს, დედოფალმა არეტემ მას სხვათა შორის თორმეტი ქალი უბოძა მხლებლებად გზაში. მაგრამ ეს მსახური ქალები, რომელთა გასაჩუქრება ხდებოდა, პოემის ტექსტში აღინიშნებიან უკვე არა ტერმინით ἀμφίπολος, არამედ ტერმინით ὀμωαί[52].

ტერმინი (ὀμώς, ὀμωή) ნაზმნარი სახელია და ნიშნავს „დატყვევებულს“, „დამორჩილებულს“, „უღელდადგმულს“. ეს ტერმინი ქრონოლოგიურად კარგად ისაზღვრება: მას თითქმის მხოლოდ ჰომეროსთან და ჰესიოდესთან ვხვდებით და ამ ავტორებთან იგი აღნიშნავს „ტყვეს“ („ტყვე ქალს“), მონას[53]. კლასიკურ პერიოდში ტერმინი ὀμώς თითქმის არ იხმარება; სპეციალისტები მიუთითებენ, რომ კლასიკურ ხანაში მას ძალიან იშვიათად იყენებენ მხოლოდ პოეტები[54], მაგრამ ისინი არ აღნიშნავენ პოეტების რომელი ნაწარმოებები იგულისხმება ამ შემთხვევაში და რომელი ვითარების მიმართაა ნახმარი ეს ტერმინები ამ ნაწარმოებებში. ამის კი არსებითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონ-

---

[47] შდრ. Аргонавтика, III, 235—255.

[48] შდრ. Аргонавтика, III, 247, 272, 299, 870 და ა. შ.

[49] Od., I, 331; IV, 472; VI, 307 და ა. შ.

[50] G. Autenrith, დასახ. ლექსიკონი, გვ. 24.

[51] შდრ. Аргонавтика, III, 247—248; 838—844; 869—875.

[52] შდრ. Аргонавтика, IV, 1221—1223.

[53] Od., IV, 644; 307, XVI, 140, შდრ. G. Autenrith. დასახ. ლექსიკონი, გვ. 79; აგრეთვე Я. А. Ленцман, О древнегреческих терминах, обозначающих рабов, ВДИ, 1951, № 2, გვ. 51.

[54] Я. А. Ленцман, დასახ. ნაშრომი, გვ. 51, იქვე სათანადო ლიტერატურაც.

დეს, რადგან, როგორც ირკვევა, ასევე უძველესი ძეგლებიდან მომდინარეობს კლასიკურ ბერძნულში ტერმინი δοῦλος. მართალია, ეს უკანასკნელი ჰომეროსთან არ გვხვდება და მას ცვლის ტერმინი ὀμώς, მაგრამ ჰომეროსის დროს ეს ცნება, როგორც ჩანს, მაინც ფართოდ იყო გავრცელებული, ამაზე მიუთითებს ტერმინი δούλη (= „მონა ქალი"), რომელიც ჰომეროსთან მხოლოდ ორჯერ მოიხსენიება და მასთანვე დამოწმებული შესიტყვება δούλιον ἦμαρ (= „მონური დღე," მონური სვებედის მნიშვნელობით). ამასვე უნდა ადასტურებდეს δοῦλος ტერმინის თავდაპირველი ფორმის მიკენის წარწერებში დამოწმებაც[55]. სხვა საქმეა, რომ δοῦλος კონკრეტულ ცნებას არ გამოხატავს და ზოგადად მონას ნიშნავს, მონას ფართო გაგებით[56], მაშინ როდესაც ὀμώς სრულიად კონკრეტული შინაარსის გამომხატველი ტერმინია. ასეთ ვითარებაში δοῦλος ტერმინის შემორჩენა კლასიკური ხანის ლიტერატურაში გასაგებია. Ὀμώς ტერმინი კი ისეთ პოეტურ ნაწარმოებში, როგორიც აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაა", ამ პოემის თავდაპირველ არქაულ შრეს უნდა ეკუთვნოდეს.

ისტორიული თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორც აღვნიშნეთ, ὀμώς ტერმინის კონკრეტულ შინაარსს, რადგან ეს უკანასკნელი თვალნათლივ მიუთითებს იმ სოციალური ჯგუფის წარმომავლობაზე, რომელსაც ის აღნიშნავს. რაკი ეს ტერმინი „ტყვეს" ნიშნავს, საფუძველს გვიქმნის ვიფიქროთ, რომ „არგონავტიკის" უძველესი შრეები იმ ხანებისაა ანდა იმ ხანასა (და საზოგადოებას) ასახავს, როდესაც მონობის უმთავრესი წყარო ადამიანის დატყვევება იყო და როდესაც ტყვეცა და მონაც ერთი და იგივე სიტყვით აღნიშნებოდა[57]. ფიქრობენ, რომ ὀμώς ფაქრობა კლასიკური ხანის სამეტყველო ენიდან იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ეს ტერმინი აღნიშნავდა პატრიარქალური ტიპის მონას"[58].

არანაკლებ საინტერესოა ამ ტყვე-მონათა გამოყენების საკითხი. აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში" ამ მხრივ სავსებით მოსალოდნელი, ისტორიულად სავარაუდებელი სურათია აღწერილი. აიეტის სამეფო კარზე ეს ტყვე-მონები (ὀμώες) სასახლის მსახურთა მოვალეობას ასრულებდნენ: ზოგ მათგანს შეშის დაჩეხვა ევალებოდა, ზოგს — საჭმლის დამზადება, ზოგი ყასაბი იყო, ზოგი ცეცხლფარეში და ა. შ.[59]. მაშასადამე, არც ერთი მათგანი წარმოებაში არ იყო დასაქმებული, მაგრამ ეს მხარე ყოფისა შეიძლება არც ასახულიყო „არგონავტიკაში" მისი ჟანრული თავისებურების გამო. ამიტომ, თუ შემთხვევითი არ არის, ძალიან საინტერესოა, რომ მათი, ამ ტყვე-მონების (ὀμώης), მეფესთან დამოკიდებულება „არგონავტიკაში" გადმოცემულია ძალიან საინტერესო ზმნით ὑποδράω, რომელიც მისგან ნაწარმოებ სიტყვასთან (ὑποδρηστήρ — „მსახური".)

---

[55] С. Я. Лурье, Язык и культура Микенской Греции, გვ. 269—270.

[56] Я. А. Ленцман, დასახ. ნაშრომი, გვ. 62, 69.

[57] საგულისხმოა შემდეგი: რიგ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ სიტყვა ὀμώς მომდინარეობს ὀόμος (=„სახლი", „ოჯახი") სიტყვის ფუძიდან და ამრიგად ის ანალოგიურია ტერმინისა famulus(= „მონა", „მსახური", „ფარეში"), რომელიც უდავოდ მჭიდროდ უკავშირდება ტერმინს familia (იხ. Я. А. Ленцман, დასახ. ნაშრომი, გვ. 51, სათანადო ლიტერატურა).

[58] Я. А. Ленцман, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

[59] Аргонавтика, III, 271—274, 299.

ერთად მხოლოდ და მხოლოდ მომსახურეობის შინაარსს გადმოსცემს. ზმნაცა და ნაზმნარი სახელიც, ჩანს, არქაული ტერმინებია, ნაკლებ გავრცელებული კლასიკურ ბერძნულში. ყოველ შემთხვევაში, ლექსიკოგრაფები ამ ტერმინების გამოყენების წყაროდ, არსებითად, მხოლოდ ჰომეროსს მიუთითებენ[60].

მოყვანილი მასალის საფუძველზე ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს ტყვე-მონები შეადგენდნენ სოციალურად უუფლებო, დამორჩილებულ, მაგრამ არამწარმოებელ ფენას, რომელსაც უმთავრესად მომსახურება ეკისრება. ძირითადი მწარმოებელი კი, როგორც ჩანს, იყო კოლხეთის თავისუფალი მოსახლეობა, რომელიც „არგონავტიკაში" მოიხსენიება როგორც „კოლხები" ან „ძენი კოლხებისანი" (κόλχων υἷες), ანდა, როგორც „მეთემეები" (δημότεροι).

როგორც ვხედავთ, აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა" და ამ თქმულების უფრო ადრეული ვერსიები კოლხეთში ისეთივე საზოგადოებას გვიდასტურებენ, რომელიც ახასიათებს უკლასოდან კლასობრივ საზოგადოებაზე გარდამავალ საფეხურს რიგი გამსაზღვრელი ნიშნებით, როცა განსხვავება თავისუფლებსა და ტყვეებს შორის წარმოდგენილია, როგორც საზოგადოების ძირითადი სოციალური განფენება.

„არგონავტიკაში ერთგვარ განსხვავებას ვხედებით თავისუფალთა შორისაც: უმაღლესი არისტოკრატიის (მეფის საგვარეულოს) მსახურებად (ἀμφίπολοι) თავისუფლებიც გვეელინებიან.

გარდამავალი ტიპის საზოგადოებაში ტყვეებს რაიმე გარკვეული როლი წარმოებაში არა აქვთ. დაახლოებით ასეთივე ვითარებაა ამ მბრივ შემერში, ძველ ბაბილონეთში, ეგვიპტეში[61]. ამიტომაა, რომ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში მონობას არ ჰქონდა ის დამრღვევი მოქმედება, როგორიც ანტიკურ სამყაროში[62].

„არგონავტიკის" მიხედვითაც ეს ტყვე-მონები ასევე არამწარმოებელ ელემენტად, სასახლის მსახურებად გვეელინებიან. გაბატონებულ კლასს წარმოადგენს არისტოკრატია, რომელსაც სათავეში მეფე უდგას, დამორჩილებულ კლასს კი — თავისუფალი მეთემეები, ძირითადი მწარმოებლები. ესეც არანაკლებ ნათლადაა ასახული „არგონავტიკაში", სადაც გაბატონებული კლასის წარმომადგენლებად გვეელინება მეფე და მისი საგვარეულო, ხოლო მწარმოებელ მასად ისინი, ვინც თქმულებაში „კოლხებად", დემების წარმომადგენლებად თუ მეთემეებად (δημότεροι) იწოდებიან.

დასასრულ, კოლხეთის სამეფო ხელისუფლების კიდევ ერთი თავისებურების შესახებ. ანტიკურ წყაროებში არსებობს ტრადიცია კოლხეთში აიეტის შემდეგ ერთი გაბმული სამეფო დინასტიის მმართველობის შესახებ მრავალი საუკუნის მანძილზე. ასეთი შინაარსის ერთი ცნობა ქსენოფონტის „ანაბასისშიც" მოიპოვება. ამ ცნობაში მოხსენიებულია ფასიანთა ქვეყანა, სადაც „მაშინ აიეტის შვილიშვილი მეფობდა"[63]. ქსენოფონტის ცნობაში საგულისხმო ის არის, რომ ძვ. წ. V საუკუნის ბერძნულ სამყაროში მიჩნეულია, რომ კოლხეთს

---

[60] G. Autenrith, დასახ. ნაშრომი, გვ. 279; შდრ. И. Х. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, М., 1958, стр. 1688; Δ. Δημητρακου. Μεγα λεξικον της Ἑλληνικης γλωσσης. Αθηναι.

[61] იხ. А. И. Тюменев, Передний Восток и античность. «Вопросы истории», 1957, № 4, გვ. 59, 61—62, შდრ. გვ. 68.

[62] ი ბ ე ვ ე, გვ. 64.

[63] ანაბასისი, V, 6, 36.

კვლავ აიეტიდები განაგებენ. ამ მხრივ კიდევ უფრო საინტერესოა ცნობას გვაწვდის პლინიუსი. იგი გვაუწყებს, რომ კოლხეთში სესოსტრისის (აქ ალბათ რამზეს II) დროს (მაშასადამე, ძვ. წ. XIV ს. დასასრულსა და XIII ს. პირველ ნახევარში) მეფობდა აიეტის შთამომავალი ს ა ვ ლ ა კ ი და აგვიწერს ამ უკანასკნელის გაჯაოცარ სიმდიდრეს[64]. აქ უკვე საუბარია არა აიეტზე, არამედ მის შთამომავალზე და ეს არის განსაკუთრებით ნიშანდობლივი. ცხადია, პლინიუსი ამ შემთხვევაში რაღაც საისტორიო ტრადიციას ეყრდნობა. საგულისხმოა, რომ სავლაკი კოლხეთში დინასტიური სახელი ჩანს. ფიქრობენ, რომ მას ატარებდა კოლხეთის ერთ-ერთი მეფე ელინისტურ ხანაში, რაც ამ დროის კოლხური მონეტების წარწერებიდან გახდა ცნობილი[66]. თვით ანტიკური ტრადიციაც კოლხეთში აიეტიდების მმართველობის შესახებ წარმოადგენს, მართალია, მკრთალ, მაგრამ მაინც კოლხეთის სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი არსებობის ერთგვარ ანარეკლს.

ზემოთ ჩატარებულმა შეჯერებამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ „არგონავტიკაში" აღწერილი კოლხეთის საზოგადოება რიგი ნიშნების მიხედვით შეიძლება მივაკუთვნოთ ადრეკლასობრივ საზოგადოებებს, რომელიც არც გვაროვნულია, არც მონათმფლობელური და არც ფეოდალური, მაგრამ მეტ-ნაკლები სიმკვეთრით ყველა ამ სოციალურ-ეკონომიური სისტემის ელემენტებს შეიცავს და წარმოადგენს უკლასოდან კლასობრივ საზოგადოებაზე გარდამავალ საფეხურს, როდესაც საზოგადოების პოლიტიკური მმართველობის გაბატონებული ფორმაა მონარქიული სახელმწიფო. თუ დასაშვებია „არგონავტიკაში" აღწერილი კოლხეთის საზოგადოების ამგვარი ფასსაზღვრა, მაშინ ეს საზოგადოება საგულვებელია ძვ. წ. I ათასწლეულის საწყის საუკუნეებზე უფრო ადრე, ე. ი. უწინარეს ძვ. წ. VIII—V სს. წყაროებისა (ევმელოსის, „ნავპაქტური თქმულებებისა", ეპიმენიდესი, პინდარესი), რომლითაც მაქსიმალურად საზრდოობს აპოლონიოსი, ზოგჯერ მთელი ნაწყვეტების სიტყვა-სიტყვით გადატანის გზითაც[66]. ასეთ ვითარებაში უფრო მართებული ჩანს კოლხეთის სახელმწიფოებრიობის ისტორიის დაწყება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან მაინც და არა ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებიდან, როგორც ეს მიღებულია დღემდე, მხოლოდ იმის გამო, რომ ამ დროიდან ჩნდება მოჭრილი მონეტა კოლხური თეთრის სახით.

მოჭრილი მონეტის გაჩენა საყოველთაო მოვლენა იყო მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზებული ქვეყნებისათვის. ეს პერიოდი გაიარა ძველი აღმოსავლეთის მრავალმა ე. წ. ადრეკლასობრივმა სახელმწიფომ, რომელთა ისტორიაში ის აღინიშნა, როგორც მათი განვითარების ერთი ეტაპი. ასევე კოლხური თეთრის ხანა დასავლეთ საქართველოს ადრეკლასობრივი სახელმწიფოს ისტორიის ერთი ეტაპთაგანია და როგორც ძველი მახლობელი აღმოსავლეთის ნებისმიერი ქვეყნისათვის უმონეტობის ხანა არ გამოდგება სახელმწიფოებრიობის არსებობის უარსაყოფად, ისევე არ იქნებოდა სწორი დასავლეთ საქართველოში სახელმწიფოებრიობის ისტორიის დაწყება ძვ. წ. VI საუკუნიდან მხოლოდ იმის გამო, რომ ამ ხანიდან იწყება ლითონის მონეტის მოჭრა.

---

[64] P l i n, NH. XXXIII, 52.

[65] К. В. Г о л е н к о, О монетах приписываемых Савмаку, ВДИ, № 4, 1951, стр. 199—203; Д. Г. К а л а н д а д з е, Несколько добавочных замечаний по поводу статьи К. В. Голенко «О монетах приписываемых Савмаку», ВДИ, 1951, № 4, стр. 203—204.

[66] Т. К. М и к е л а д з е, К вопросу о периодизации истории древней Колхиды, Вопросы древней истории (Кавказско-ближневосточный сборник, IV); Тб., 1973, стр. 3, 4 შდ.

თანხვედრის სრულიად გარკვეული შესაძლებლობა გამოავლინა „არგონავტიკაში“ აღწერილი კოლხეთის ყოფის შედარებამაც დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ მონაცემებთან. მაგრამ, როცა გვინდა ამ დროის კოლხეთში გარდამავალი ტიპის საზოგადოებისა და შესაბამისი სახელმწიფოებრიობის დადასტურება, მარტოოდენ თანხვედრის შესაძლებლობა არ კმარა. უნდა ვეძებოთ ამ მხრივ სხვა ფაქტიური ხასიათის საფუძველი, რომელიც უფრო დამაჯერებელს გახდიდა მსჯელობას ზემოთ წამოყენებულ საკითხებზე.

წინამდებარე ნაშრომის მეორე თავში ჩვენ დავსვით „არგონავტიკის“ უძველესი ვერსიების აიეტის სამეფოსა და ძველალმოსავლურ წყაროებში აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოში დამოწმებულ სახელმწიფოთა იდენტობის საკითხი. სახელდობრ, წამოვაყენეთ შესაძლებლობა, რომ არგონავტების მითში ასახულია დაიაენი-დიაუხის სამეფო, რომელსაც იცნობენ ასურული წყაროები უკვე ძვ. წ. XII საუკუნიდან, ხოლო ურარტული IX საუკუნის დასასრულიდან და რომელიც ძვ. წ. VIII საუკუნის შუახანებიდან ურარტულ წყაროებში კულხას სახელით მოიხსენიება. განმეორებითაა აღსანიშნავი შემდეგი ნიშანდობლივი გარემოება: შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ „არგონავტიკის“ უძველესი ვერსიები, როგორც ნათქვამი იყო, არგონავტების ლაშქრობის ადგილს, ოქროს საწმისის ქვეყანას ა ი ა ს უწოდებენ. ეს აირეკლა შედარებით გვიან ვერსიებშიც; მაგალითად, აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაშიც“. იქ ნათქვამია, რომ როცა არგონავტები შეცურდნენ ფასისში, მათგან ხელმარცხნივ ალიმართა კავკასიონი და კუტაიდა — აიას ქალაქი (Κυταίδα τε πτολιν Αἴης)[67]. მაშასადამე, აპოლონიოსიც ოქროს საწმისის ქვეყანას ა ი ა ს უწოდებს. მაგრამ იგი ამ ქვეყნის აღსანიშნავად სახელწოდება კ ო ლ ხ ი დ ა ს ა ც ხმარობს იქვე, ზემოთ მითითებული ადგილის მიმდევნო ტაეპში[68]. ამრიგად, ერთი და იგივე ქვეყნის აღსანიშნავად აპოლონიოსი ორ სახელწოდებას ხმარობს — ა ი ა ს და კ ო ლ ხ ი დ ა ს. აიეტის ქვეყანას ა ი ა ს უწოდებს ლოგოგრაფოსი ფერეკიდეც (ძვ. წ. V ს.)[69]. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ „არგონავტიკის“ ძველ ვერსიებში ოქროს საწმისის სამეფოს ა ი ა ეწოდებოდა. ჰეროდოტესთან ეს ორი სახელწოდება, როგორც ზემოთ დავინახეთ, ერთადაა შერწყმული — ა ი ა-კ ო ლ ხ ი დ ა.

ამ მასალიდან ისეთი შთაბეჭდილება ოქმნება, რომ ა ი ა უძველესი სახელწოდებაა ქვეყნისა, ხოლო კ ო ლ ხ ი დ ა შემდეგდროინდელი. ამასთან, ეს უკანასკნელი არ აღნიშნავს, ან უფრო ზუსტად — ხოლოდ იმ ქვეყანას არ გულისხმობს, რომელსაც ტრადიციულად კოლხეთს უწოდებენ[70]. გარდა ამისა, ეს ორი სახელწოდება ფარავს ერთიმეორეს, რაც ამკარაა ჰეროდოტესთან დამოწმებული სახელიდან ა ი ა-კ ო ლ ხ ი დ ა. თუ დავუკვირდებით ფაქტიურ ვითარებას, რომელიც მოცემულია ასურულ და ურარტულ წყაროებში, ასეთი ვარაუდი დასაშვები ჩანს. მართლაც, ძვ. წ. XII საუკუნიდან ძვ. წ. IX საუკუნის დასასრულამდე ასურული წყაროები (ტიგლათფალასარ I ანალები, მისივე სხვა წარწერები, სალმანასარ III წარწერები და ნაწყვეტები მისი ანალებიდან) „ზ ე მ ო ზ ღ ვ ა ს თ ა ნ“, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ შავი

---

[67] Аргонавтика, II, 1266—1267.

[68] Аргонавтика, II, 1277.

[69] ა. ურ უ შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში, გვ. 259.

[70] იხ. Т. К. М и к е л а д з е, К вопросу о периодизации истории древней колхиды, გვ. 138.

ზღვა შეიძლება იყოს[71], ასახელებენ დიდ და ძლიერ სამეფოს დ ა ი ა ე ნ ს. იგივე სამეფო ძვ. წ. IX საუკუნის დასასრულიდან ძვ. წ. VIII საუკუნის შუახანებამდე მოხსენიებულია ურარტულ წყაროებში (მენუასა და მისი ძის არგიშთის წარწერებში) დ ი ა უ ე ხ ი ს სახელით[72], რომელიც აუცილებლად დ ა ი ა ე ნ ი ს. დ ა ი ა ხალხის აღმნიშვნელი სახელწოდების ურარტიზებული ფორმაა[73]. მაგრამ VIII საუკუნის შუახანებში სარდური II წარწერაში დიაუხის ადგილას ისეთივე გარემოცვაში თავს იჩენს კულხას სამეფო. რომელსაც სამართლიანად კოლხეთთან აიგივებენ[74]. ეს კარგად ჩანს იქიდან, რომ რიგი ერთეულები (მაგალითად, ქვეყანა ჰ უ შ ა ნ ი // უ შ ა ლ ხ ი), რომლებსაც უფრო ადრეულ წყაროებში დიაუხთან კავშირში ვხვდებით, კულხას გამოჩენის შემდეგ ამ უკანასკნელის შემადგენლობაში გვევლინება[75]. დ ი ა უ ხ ი და კ უ ლ ხ ა რომ ერთიმეორეს ენაცვლება და სხვადასხვა დროს ერთსა და იმავე პოლიტიკურ ერთეულს შეიძლება ასახავდეს, ამის სასარგებლოდ შემდეგი გარემოებაც უნდა მეტყველებდეს: ვიდრე სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეს უდიდესი სამეფო დ ა ი ა ე ნ ი ს ან დიაუხის სახელს ატარებდა, კ უ ლ ხ ა როგორც პოლიტიკური ერთეული არ უნდა არსებულიყო, რადგან არც ურარტუს წინააღმდეგ მიმართულ სამხრეთ-დასავლეთი ამიერკავკასიის ხალხებისა და ქვეყნების დიდ კოალიციაში და არც დიაუხში შემავალ ერთეულთა შორის კულხა არ იხსენიება[76]. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ კულხა შორს, ჩრდილოეთით არსებული პოლიტიკური ერთეული იყო და ამიტომ არ აირეკლა წყაროებში, მაგრამ იგივე ურარტული წყაროების მიხედვით მისი ცენტრი სატახტო ქალაქი ილდამუში იმდენად სამხრეთით მდებარეობდა, რომ ურარტელებმა შესძლეს მიეღწიათ მისთვის და გაენადგურებინათ[77]. გასაგებია, რომ სატახტო ქალაქი უშუალოდ ქვეყნის საზღვართან არ შეიძლება ყოფილიყო და ამის გამო კულხას ფარგლები კიდევ უფრო სამხრეთითაა საგულვებელი. ამიტომ უფრო დამაჯერებელი უნდა იყოს ვარაუდი, რომ დ ა ი ა ე ნ ი // დ ი ა უ ხ ი და კ უ ლ ხ ა ერთსა და იმავე სამეფოს აღნიშნავდა სხვადასხვა დროს. როგორც ჩანს, კულხა დიაუხის განუყოფელი ნაწილი იყო. მისი ერთ-ერთი პროვინცია და წყაროებში სამეფოს ძველი სახელის შეცვლა კ უ ლ ხ ა სახელით სამეფოს ცენტრის გადანაცვლებით უნდა აიხსნას. მართლაც, თუ ჩავუკვირდებით წყაროებს, დავინახავთ, რომ სამხრეთიდან ძლიერი მტრის მოწოლის შედეგად დიაუხის გაერთიანება იძულებული იყო არაერთხელ შეეცვალა ქვეყნის ცენტრი. მენუას მეფობის დროს (ძვ. წ. 810—781 წწ.) დიაუხის სატახტო ქალაქია შ ა შ ი ლ უ. მენუა თავის წარწერაში ამბობს, რომ მან დაიპყრო დიაუხის სატახტო ქალაქი შაშილუ, ქვეყანა გაანადგურა, შემდეგ მივიდა ქვეყანა შეშეთამდე, ქალაქ ზუაზდე[78], მაგრამ უკვე მისი შვილი არგიშტი I დროს (ძვ. წ. 781—760 წწ.) დიაუხის სატახტო ქალაქია ზ უ ა, რომელიც, როგორც მენუას წარწერიდან ირკვევა, შეშეთში (=ისტორიულ შავშეთს[79]) მდებარეობდა, შაშილუ კი მოხსენიე-

---

71 И. М. Дьяконов, АВИИУ, ВДИ, № 2, 1951 გვ. 273; 274; 277; 367, 278, 279, 280, 285, 297, 299, 300.

72 შდრ. Г. А. Меликишвили, УКН, 36, 127, I, 128, A, I, 128, 131.

73 შდრ. Г. А. Меликишвили, Найри-Урарту, Тб., 1954, გვ. 58.

74 იქვე, გვ. 62.

75 იქვე, გვ. 52.

76 იქვე, გვ. 63.

77 Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 63; მ ი ს ი ვ ე, УКН.

78 Г. А. Меликишвили, УКН, 36, შდრ., მ ი ს ი ვ ე, Наири-Урарту. 60.

79 Г. А. Меликишвили, Наири-Урарту.

ბულია, როგორც ერთ-ერთი პროვინციის ცენტრი: არგიშტი ამბობს, რომ სამი ქვეყანა წავართვი დიაუხს და მათ შორის ასახელებს „ქალაქ შაშილუს ქვეყანას“[80]. ეს არის დიაუხის უკანასკნელი მოხსენიება ურარტულ წყაროებში. უშუალოდ ამის შემდეგ სარდური II არგიშთის ძე სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიის დიდ და ძლიერ სამეფოდ ასახელებს კ უ ლ ხ ა ს[81], რომელსაც როგორც ზემოთ დავინახეთ, იგივე ქვეყანა უკავია, რაც დიაუხს, ოღონდ ზოგიერთი უკიდურესი სამხრეთი პროვინციის (მაგალითად, შაშილუს) გამოკლებით. სამეფოს სატახტო ქალაქად, როგორც ჩანს, უფრო ჩრდილოეთით მდებარე ქალაქი ი ლ დ ა მ უ შ ი იქცა.

აქ ნიშანდობლივად გვეჩვენება ის გარემოება, რომ სამხრეთ-დასავლეთი ამიერკავკასიის ეს ძლიერი სამეფო კ უ ლ ხ ა ს სახელით აირეკლა ურარტულ წყაროებში ძვ. წ. VIII საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში და იმავე ძვ. წ. VIII საუკუნის მეორე ნახევარში სახელი ქვეყნისა კ ო ლ ხ ი Kolχίς γῆ პირველად ირეკლება ძველბერძნულ წყაროებშიც, სახელდობრ ევმელოსის „კორინთიაკაში“[82], როგორც სახელწოდება აიეტის სამეფოსი, რომელიც ევმელოსამდე წყაროებში ა ი ა დ იხსენიებოდა. მაშასადამე, ის ვითარება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ძვ. II ათასწლეულის ბოლოს სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში, ხოლო შემდეგ ის ცვლილებები, რომლებიც მოხდა აქ ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში, ერთნაირადაა ასახული ძველბერძნულ ლიტერატურულ ძეგლებშიცა და ასურულ-ურარტულ ტექსტებშიც. სრულიად ცხადია, რომ ძველი ბერძნული ლიტერატურული ძეგლების ა ი ა შეესაბამება ძველი აღმოსავლური ტექსტების დ ა ი ა ე ნ ს, ხოლო ევმელოსის κολχίς γῆ — იმავე ხანის წყაროს, სარდური II წარწერათა qulha-ს. უკანასკნელ სახელწოდებათა იდენტობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ გარკვეული კავშირი არსებობდეს ა ი ა და დ ა ი ა ნ ი // დ ა ი ა ე ნ ი სახელებს შორისაც.

ასურულ-ურარტული წყაროები შესაძლებლობას გვიქმნიან კონკრეტულად მივუთითოთ ის პოლიტიკური ერთეულები, რომლებიც შეიძლება მითის საფუძველი გამხდარიყო. ამიტომ უფრო მართებულად მიგვაჩნია, რომ სწორედ ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია, და არა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული უძველესი სახელმწიფოებისა, დავიწყოთ ძვ. წ. XI საუკუნიდან მაინც, ძველბერძნული წყაროების აია-კოლხეთის სამეფოდან, ასურულ-ურარტულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში რომ დ ა ი ა ე ნ ი//დ ი ა უ ხ ი, კ უ ლ ხ ა ს სამეფოდაა დამოწმებული. ასურულ ტექსტებში მოხსენიებული „ზემო ზღვასთან“ მდებარე დაიაენის სამეფო, რომელიც საბოლოოდ მაინც ვერ დაიმორჩილეს ვერც ასურეთის ძლიერმა მეფეებმა ტიგლათფალასარ I და სალმანასარ III და ვერც ურარტუს მეფეებმა მენუამ და არგიშთი I, უძველეს ბერძნულ ლიტერატურაში აირეკლა როგორც მეფე აიეტის ძლიერი სამეფო ა ი ა[83]. ყოველ შემ-

---

[80] Г. А. Меликишвили, УКН. 128, 131.

[81] ი ქ ვ ე, 155, c დ ა დ.

[82] იხ. ა ა. ურ უ შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, გვ. 195 შმდ.

[83] ამ იდენტობის სასარგებლოდ საგულისხმოა ის გარემოება, რომ ურარტული წყაროების მიხედვით დიაუხი მრავალთაგან ქვეყნების იმ უმცირესობას ეკუთვნის, რომელნიც ურარტელებს ხარკად ოქროსაც აწვდიდნენ (იხ. И. М. Дьяконов. Предыстория армянского народа. стр. 137). ამასთან დაკავშირებით უადგილო არ იქნება კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ აია-კოლხეთი ოქროს საწმისის ქვეყანაა. ამავე თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ აიეტის ეპიტაფიაში,

თხვევაში შავი ზღვის სანაპიროზე ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს სხვა დიდი პოლიტიკური ერთეული არა ჩანს, რომელიც შეიძლება სათავედ დასდებოდა ბერძნულ თქმულებას ოქროს საწმისის ქვეყნის შესახებ.

ძვ. წ. VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ეს ქვეყანა, როგორც აღვნიშნეთ, სარდური II წარწერაში გვევლინება კ ო ლ ხ ა ს სახელწოდებით და თითქმის ზუსტად ამავე ხანიდან ასევე კ ო ლ ხ ი ს სახელით ოქროს საწმისის ქვეყანა ირეკლება ბერძნულ წყაროებში. ამის შემდეგ ჩვენი დაინტერესების სფეროში მოქცეულ შხარეთა მოსახლეობის შესახებ ცნობები, მცირე გამონაკლისის გარდა, უპირატესად ბერძნულ წყაროებში მოიპოვება. ცნობები ბერძნულ წყაროებში, თუ ისინი აიეტის ხანას არ შეეხებიან, ძვ. წ. VIII ს. შემდგომ თითქოს გარკვეულ ცვლილებებს გვიდასტურებენ, მაგრამ, ფაქტიურად, როგორც ეს წინა თავში იყო ნაჩვენები, აქ იმდენად დიდ ცვლილებებთან არ უნდა გვქონდეს საქმე, რამდენადაც შავიზღვისპირეთის, განსაკუთრებით კი სანაპირო ზოლის ბერძენთა მიერ უფრო გულდაგულ შესწავლის ანარეკლთან.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია, რომ კულხა — კოლხების ძველი სამეფო — გაანადგურეს კიმერიელებმა, რომლებიც ძვ. წ. VIII ს. დასასრულს შემოიჭრნენ ჩრდილოეთიდან[84]. საკითხავია, რა საფუძველზე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ კიმერიელების გზა კოლხეთზე გადიოდა. ერთადერთი, რაც ამ ზხრივ შეიძლება ხელჩასაჭიდი იყოს, ჰეროდოტეს ბუნდოვანი ცნობაა, რომელსაც აშკარად ეტყობა, რომ თვით ჰეროდოტე მაინცა და მაინც კარგად არ უნდა იყოს გარკვეული მის მიერვე მონათხრობ ამბებში. აღნიშნულ ცნობაში მოთხრობილია, რომ სკვითები კვალდაკვალ მისდევდნენ მათ მიერ დევნილ კიმერიელებს და ასე მივიდნენ მიდიელთა მიწა-წყალამდეო[85]. უშუალოდ ამის მომდევნო კონტექსტებში კი ლაპარაკია იმის შესახებ, თუ მეოტიდის ტბიდან მდინარე ფასისამდე და კოლხებამდე რამდენი ხნის სავალია ყოჩაღი, მსუბუქად ჩაცმული ქვეითისათვის, რომ კოლხეთიდან შორს აღარ არის მიდიამდე, რომ ამ ქვეყნებს შორის ცხოვრობს მხოლოდ ერთი ხალხი — სასპეირები, რომელთა შემდეგ მიდიაა. მაგრამ სკვითები, დასძენს ჰეროდოტე, ამ გზით არ შეკრილან კავკასიაში, მათ აირჩიეს გაცილებით უფრო შორეული, შემოვლითი გზაო[86]. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჰეროდოტე ამ ცნობაში არ ამბობს—კიმერიელებმა კოლხეთით ილაშქრესო. ხოლო თუ სკვითები არ წავიდნენ მეოტიდა-კოლხიდის გზით, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ გზით კიმერიელებმა ისარგებლეს. ამის შესახებ ჰეროდოტესთან ერთად არც რომელიმე სხვა წყარო მიუთითებს პირდაპირ. მეორე მხრივ, თუ სკვითები მათ მიერ დევნილ კიმერიელებს ფეხდაფეხ, თუ კვალდაკვალ მისდევდნენ ('ἐπισπόμενοι>'ἐπέπω), და მათ კი კოლხეთზე არ გაუვლიათ, მაშინ არც კიმერიელებს უნდა ევლოთ

რომელსაც არისტოტელეს აკუთვნებენ, თუმც კი დაცულია ძვ. წ. III—II სს. წყაროში, ნათქვამია „აიეტეს მიმართ, რომელიც განისვენებს კოლხიდაში. აიეტე ოქრომრავალი კოლხების მეუფე აქ გაპატიოსნა ღმერთების ყველაფრის დამთრგუნველმა ბედისწერამ". აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეპითეტი ო ქ რ ო მ რ ა ვ ა ლ ი (πολύχρυσος), რომელიც მწერლობაში საგანგებო ტერმინადაა დამკვიდრებული და, როგორც წესი, განეკუთვნება მიკენს, სარდეს, ბაბილონს, პიროვნებათაგან კიდევ — გიგესს და პრიამეს (იხ. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, არისტოტელეს ზოგიერთი ცნობისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, II, 1968, გვ. 20).

[84] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, 222, 293.

[85] Herod., I, 103.

[86] Herod., I, 104.

კოლხეთზე. ამ კონტექსტში შეიძლება ჰეროდოტეს ის ისტორიული ტრადიცია აქვს დამახინჯებული, რომლის მიხედვითაც იგულისხმებოდა, რომ სკვითებმაც იმავე გზით ილაშქრეს, რომლითაც კიმერიელებმა.

როგორც ვხედავთ, მოვლენათა დაკავშირების თვალსაზრისით ჰეროდოტეს ეს ცნობა ძალიან ბუნდოვანია, ხოლო მისი პირველი ნაწილი ეჭვის აღმძვრელიც. მეორე ნაწილი ცნობისა, სკვითების მარშრუტს რომ შეეხება, როგორც ფიქრობენ, მართებულ ტრადიციას ასახავს[87]. ამაზე იქნებ თვით ცნობის გარკვეული და ნათელი ხასიათი მიუთითებს.

ამგვარად, ჰეროდოტეს ცნობა არ უნდა იყოს საკმარისი იმისათვის, რომ ვამტკიცოთ კიმერიელთა ურდოების კოლხეთზე გადასვლა და მათ მიერ კოლხეთის ძველი სამეფოს წალეკვა. ამ მხრივ სანდო დასაყრდენს არც მატერიალური კულტურა იძლევა. მართებულადაა აღნიშნული ი. დიაკონოვის მიერ, რომ კიმერიელები და სკვითები, რომლებიც მცირე აზიას ძვ. წ. VIII ს. დასასრულსა და VII ს. დასაწყისში მოევლინენ, არქეოლოგიური თვალსაზრისით წინარესკვითურ კულტურებს განეკუთვნებიან, რადგან თვით ე. წ. „სკვითური" კულტურა ყალიბდება ძვ. წ. VII ს. შუახანების შემდეგ[88]. ასეთ ვითარებაში მეთოდურად არ იქნებოდა გამართლებული აპელირება იმ „სკვითური" მასალით, რომელიც საქართველოშია აღმოჩენილი და არსებითად ძვ. წ. VII ს. დასასრულითა და VI ს. თარიღდება[89]. ამავე დროს ამ „სკვითური" მასალის ყველაზე არსებითი ნაწილი ისრისპირები, რომლებიც საქართველოს „სკვითური" მონაპოვრის ძირითადი ინვენტარია, ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევრის შემდგომ ისე ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ აზიაში, კავკასიაში, სამხრეთ რუსეთის ველებზე, ბალკანეთსა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში, რომ ძნელია ამის გამო ყველა დასახელებულ მხარეში კიმერიელებისა და სკვითების კვალის ძიება. როგორც ცნობილია, ე. წ. სკვითურ ისრისპირებს სხვადასხვა ქვეყანაში ადგილობრივ ამზადებდნენ მაშინაც კი, როცა სკვითების ხსენებაც კი აღარ იყო[90]. ამიტომ და აგრეთვე ზემოთ წამოყენებულ ქრონოლოგიურ მოსაზრებათა გამო არც ეს ისრისპირები, არც აკინაკები და ზოგი რამ სხვა, რაც აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალურ კულტურაში შეიძლება სკვითური კულტურის ელემენტებად მივიჩნიოთ, ვერ ჩაითვლება კიმერიელებისა და სკვითების შემოსევათა ნაკვალევად. ამ თვალსაზრისით მათ აღმოჩენას ამა თუ იმ პუნქტში შეიძლება მარტოოდენ ის მნიშვნელობა ჰქონდეს, რომ ნათელი მოეფინოს მათი შემოღწევის გზებს, რომლებიც, არ არის გამორიცხული, დაემთხვეს მათ გავრცელებაზე ნახევარი საუკუნით ადრე განხორციელებულ კიმერიელებისა და სკვითების ლაშქრობათა მარშრუტებს.

კოლხეთში ამ მხრივაც განსხვავებული ვითარება გვაქვს, რადგან კოლხეთი ერთადერთი მხარეა, რომლის ნივთიერ ძეგლებს შორის ჯერჯერობით არ ჩანს

---

[87] И. М. Дьяконов, История Мидии, გვ. 230, შდ.

[88] იქვე, გვ. 228, 238.

[89] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, стр. 41—46; ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები სოფ. ოეორაში, თსუ-ს შრომები, ტ. 65, 1957, გვ. 182—208; ს. მაკალათია, დვანის ნეკროპოლის არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1948, გვ. 41; რ. აბრამიშვილი, სამთაოროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIX და XXI-B, 1957, გვ. 127—132.

[90] A. Snodgrass. Early Greek Armour and Weopons, გვ. 150; И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 318, შნშ. 2.

სკვითური კულტურის ზემოხსენებული ელემენტები. საერთოდ დასავლეთ საქართველოში ის მონაპოვარი, რომლის სკვითურ წარმომავლობაზე შეიძლება ვისაუბროთ, ქვეყნის შიგნით ენგურის შუა წელზე, ხოლო სანაპიროზე გაგრა—ახალი ათონის სამხრეთით არ ჩანს[91]. დასავლეთ საქართველოში ისეთი მასალის უქონლობა, რომელსაც შეიძლებოდა თუნდაც საორჭოფოდ მაინც მიეთითებინა კიმერიელებისა და სკვითების მიერ გამოყენებული გზები, სავსებით შეესაბამება ჰეროდოტეს ზემოთ განხილული ცნობის მეორე ნაწილს სკვითების ლაშქრობის მარშრუტის შესახებ.

ჰეროდოტე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სკვითებს კოლხეთზე არ გაუვლიათ. ნახსენ ცნობების თანახმად, მათი ლაშქრობა განხორციელდა ძალიან გრძელი, შემოვლითი გზით, ამასთან ისე, რომ კავკასიონის ქედი მსვლელობის დროს მათ მარჯვენა მხარეს ჰქონდათ მოქცეული (ἐν δεξιῇ ἔχοντες τὸ Καυκάσιον ὄρος)[92]. და თუ მართალია ჰეროდოტე, როცა გვაუწყებს — სკვითები კიმერიელებს ფეხდაფეხ მისდევდნენო, მაშინ, როგორც ჩანს, ეს გზა ადრევე იყო გამოყენებული.

საგულისხმოა, რომ ლეონტი მროველი კიმერიელებისა და სკვითების (იგი მათ ხაზარებს უწოდებს) შემოსევათა ისეთივე შემოვლით გზას მიუთითებს, როგორც ეს ჰეროდოტეს აქვს. თუმცა დასძენს, რომ დარუბანდის გარდა მათ არაგვის კარი, დარიალიც გამოიყენესო[93].

ჰეროდოტეს ტექსტის ВДИ-ს კომენტატორს მიაჩნია, რომ სკვითებმა დარუბანდის კართან გადალახეს კავკასიონი. იგივეს ფიქრობს ი. დიაკონოვიც[94]. ლეონტი მროველი, როგორც დავინახეთ, ჩრდილოეთ მომთაბარეთა გზად დარიალსაც მიუთითებს, ხოლო მათი ლაშქრობის ასპარეზად შიდა და ქვემო ქართლსაც. როგორც ჩანს, მას რაღაც საფუძველი ჰქონდა ასეთი ვარაუდისათვის. კიმერიელთა კვალზე ქვემო ქართლში შეიძლება მიუთითებდეს თრიალეთის სახელის სომხური ფორმის თ რ ე ლ ქ ი ს შესაძლებელი კავშირი კიმერიელი ტომების ტრერების სახელთან, ანდა ასევე სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მეორე პროვინციის სახელის გ ო გ ა რ ე ნ ე ს წარმომავლობა სკვითების ბიბლიური სახელიდან გ ო გ[95]. თუმც ამ სახელწოდებათა დალექვა სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში დასაშვებია იმ შემთხვევაშიც, თუ ჩრდილოელი ნომადები სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შეიჭრნენ სამხრეთ კავკასიაში.

ამრიგად, კოლხეთში ჩრდილოეთიდან წამოსულ მომთაბარეთა ლაშქრობის შესახებ, როგორც აღვნიშნეთ, არც წყაროები მიუთითებენ რაიმეს გარკვევით და არც მატერიალურ კულტურაშია ამ მხრივ რამე მიკვლეული. სხვა მხრივაც კოლხეთის გზა ნომადების დიდი მასებისა და მათი ვეება აღლის მოძრაობისათვის გამოუსადეგარი უნდა ყოფილიყო. გაუვალი ტყეები, ტყე-ჭაობები და ჭაობები გადაულახავ ბარიერს ქმნიდა მათი წინსვლისათვის.

---

[91] აფხაზეთში აღმოჩენილი სკვითური იარაღის შესახებ იხ. Е. И. К р у п н о в, О походах скифов через Кавказ, «Вопросы скифосарматской археологии», გვ. 192; М. Н. Т р а п ш, Памятники колхидской и скифской культур в селе Кулапирхва Абхазской АССР, 1962.

[92] H e r o d., I, 104.

[93] ქართლის ცხოვრება, I (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა), გვ. 11, 12 შმდ.

[94] ВДИ, 1947, № 2, გვ. 251, შნშ. 3; შდრ. И. М. Д ъ я к о н о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 245.

[95] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, გვ. 241; მ ი ს ი ვ ე, К истории древней Грузии, стр. 224.

ამ ბოლო დროს გამოითქვა მოსაზრება, რომელიც მართალია, მთლად არ უარყოფს მრავალი მკვლევრის (ი. მანანდიანის, ე. კრუპნოვის, ბ. პიოტროვსკის, გ. მელიქიშვილის) მიერ წამოყენებულ ვარაუდს კიმერიელთა მეოტიდა-კოლხიდის გზით შემოჭრის შესახებ, მაგრამ ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ კიმერიელთა გზა გადიოდა არა ხმელეთზე, არამედ ზღვაზე კოლხეთის სანაპიროს გასწვრივ[96]. ეს ვარაუდი თითქოს უფრო რეალური ჩანს, ვიდრე სახმელეთო გზის გამოყენების დაშვება, მაგრამ ეს ვერსიაც ძნელი შესათავსებელია იმ გარემოებასთან, რომ კიმერიელთა თავდაპირველი სამყოფელი საგულვებელია სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და რომ კიმერიელთა მოძრაობა დასავლეთ აზიაში დასაშვებია აღმოსავლეთიდან დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით და არა პირიქით[97].

ამრიგად, თითქოს მეტი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ კიმერიელებისა და სკვითების შემოსევები უშუალოდ არ უნდა შეხებოდნენ კოლხეთის სამეფოს. საფიქრებელია, რომ დაზარალდა კოლხეთის სამეფოს ბოლოდ სამხრეთი ნაწილი მომთაბარეთა აღმოსავლეთიდან დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით გადაადგილების დროს. თუმც ადვილი შესაძლებელია, რომ ცვლილებები (კოლხეთის სამეფოს ცენტრის რამდენადმე ჩრდილოეთით გადაადგილება, კოლხეთის სამხრეთით ვიტერუსი-ბიძერების გაჩენა, წინათ რომ უფრო აღმოსავლეთით ჩანდნენ და სხვა), რომლებიც აღნიშნულ შემოსევებს მიეწერება, შესაძლოა, რამდენადმე შემდგომ მომხდარი ძვრების შედეგიც იყოს.

საქმე ისაა, რომ კიმერიელებისა და სკვითების შემოსევამ სამხრეთ ამიერკავკასიის მეზობელი დიდი სახელმწიფოები ურარტუ და ასურეთი, მართალია, საგრძნობლად შეასუსტა, მაგრამ მაინც ვერ გაანადგურა[98]. მათი განადგურებისათვის საჭირო იყო რაღაც ჯალი ძალა, რომელიც მალე ჩნდება კიდეც მეზობელი აღმოსავლეთის ისტორიულ სარბიელზე. ეს იყო მიდიის სამეფო. მაგრამ მიდიასაც არ შესწევდა ძალა ასურეთის დასათრგუნავად. მან შეძლო დაერაზმა წინა აზიის ხალხები და ძვ. წ. 612 წელს, მიუხედავად იმისა, რომ ომი შემდგომ ოცამდე წლებშიც გაგრძელდა, ფაქტიურად დაამხო ასურეთის დესპოტია[99]. ძვ. წ. 610—590 წლებში ასურეთის საბოლოო განადგურებასთან ერთად მიდიის სამეფომ დაიმორჩილა მანას, სკვითებისა და ურარტუს სახელმწიფოები[100].

ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთზე კოლხეთის სამეფოში არსებული ვითარების შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, და უეცრად ჰეროდოტესთან ვხვდებით ცნობას, რომელსაც საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. ვგულისხმობ ჰეროდოტეს შრომის იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია, რომ მეწამულად წოდებული სამხრეთი ზღვიდან

---

[96] А. И. Лавров, О пути вторжения кимерийцев в Переднюю Азию, СА, 1965, № 3, ср. 223—225.

[97] И. М. Дьяконов, დასახელებული ნაშრომი, გვ. 235, 236, .237.

[98] არსებობს აზრი, რომ კიმერიელებსა და სკვითებს არც ერთი ქალაქი არ აუღიათ; მათ არ შეეძლოთ ქალაქების აღება. უარყოფენ სკვითების მიერ თეიშებაინის აღებასაც. სარდეს ორჯერ აღებას კიმერიელებისა და კიმერიული ტომების ტერერების მიერ ხსნიან მათთან მცირე აზიის აღგილობრივი მოსახლეობის თანამშრომლობით (იხ. И. М. Дьяконов, История Мидии, გვ. 318, იქვე, შნშ. 2).

[99] И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 306—316.

[100] იქვე, გვ. 316 შმდ.

ჩრდილოეთის ზღვამდე, ფასისი რომ ერთვის (ე. ი. შავ ზღვამდე), ცხოვრობს მხოლოდ ოთხი დიდი ხალხი — სპარსელები, მიდიელები, სასპეირები და კოლხებიო[101].

ჰეროდოტეს ეს მეტად მნიშვნელოვანი ცნობა ძვ. წ. VI ს. შუახანების ვითარებას უნდა გულისხმობდეს. მაშასადამე, ძვ. წ. VI ს. პირველ ნახევარში კოლხეთის სამეფო იმდენად სერიოზული პოლიტიკური ერთეულია, რომ იხსენიება მიდიისა და სპარსეთის დონეზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰეროდოტეს ცნობათა მიხედვით კოლხეთი ამ დროს ჯერ კიდევ არ უნდა იყოს ჩრდილოეთით გადანაცვლებული: კოლხები სასპეირების ჩრდილოეთით ბინადრობენ და აღწევენ (κατήκοντες) ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდინარე ფასისი[102]. აქ დაახლოებით ისეთივე განსაზღვრა გვაქვს კოლხეთის მდებარეობისა, როგორც დაიაენის სამყოფელისა ტიგლათფალასარ I წარწერებში „От Тумме до Дайаэни и Верхнего моря", ...„От Тумме до Даиани до Верхнего моря"[103] და ა. შ. ჰეროდოტეს ცნობიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ძვ. წ. VII ს. დასასრულსა და VI საუკუნის დასაწყისში კოლხეთის სამეფო ზღვასთან მდებარე ქვეყანა იყო და მისი ჩრდილოეთი საზღვარი მდ. ფასისს არ სცდებოდა. ასეთივე დასკვნის გამოტანა შეიძლება ჰეროდოტეს მეორე, არანაკლებ ცნობილი, ცნობიდანაც, რომ „მეოტის ტბიდან მდ. ფასისამდე და კოლხებამდე" და ა. შ.[104]. ამ ცნობის მიხედვითაც გამოდის, რომ ფასისი რაღაც მიჯნაა, რომლის ჩრდილოეთით კოლხები აღარ არიან. პირველი ცნობა (IV, 37) ჰეროდოტესი, როგორც შევნიშნეთ, ძვ. წ. VII ს. დასასრულს ან VI ს. დასაწყისს უნდა ეკუთვნოდეს, ხოლო მეორე უფრო ადრეულ ხანას — ძვ. წ. VII ს. სულ დასაწყისს, რადგან მასში აზიაში სკვითების შემოსევაზეა ლაპარაკი. მაშასადამე, ამ ცნობის მიხედვით სავარაუდოა, რომ ძვ. წ. VII საუკუნის დასაწყისშიც და ბოლოსაც, აგრეთვე ძვ. წ. VI ს. პირველ ნახევარში კოლხეთის სამეფოს დაახლოებით ის ტერიტორია ეკავა, რაც კულხას ურარტული წყაროების თანახმად. ეს დაკვირვება კი, ზემოაღნიშნულთან ერთად, კიდევ ერთი საბუთია იმ ვარაუდის სასარგებლოდ, რომ კიმერიელებისა და სკვითების ტალღები საგრძნობლად არ უნდა შეხებოდა კოლხეთის სამეფოს.

ვითარება, როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, რამდენადმე იცვლება დარიოს ჰისტასპის გამეფების შემდეგ. ეს აისახა დარიოსის ადმინისტრაციულ რეფორმებში, რომელთა მიხედვით კოლხების უშუალო მეზობლები სამხრეთიდან მატიანები, ალაროდიები და სასპეირები დამორჩილებული აღმოჩნდნენ აქემენიდების მიერ, ხოლო კოლხებმა ნებაყოფლობით იკისრეს ცნობილი ხარკი.

აქ ორი გარემოება იქცევს ყურადღებას. უპირველეს ყოვლისა, ის, რომ იმ დროს, როცა ჰეროდოტეს ზემოთ განხილული ცნობის მიხედვით ზღვიდან ზღვამდე ოთხი დიდი ხალხი ბინადრობდა, სასპეირების დიდი პოლიტიკური ერთეული, როგორც ჩანს, აერთიანებდა ურარტუსა და მითანის სამეფოთა მოსახლეობის ნაშთებს ალაროდიებისა და მატიანების სახით, რომელთაც თავი

---

[101] Herod., IV, 37.

[102] იხ. თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960, გვ. 82; შდრ. ВДИ, № 2, 1947, გვ. 265.

[103] იხ. АВИИУ, ВДИ, № 2, 1951, გვ. 279, 280.

[104] Herod., I, 104.

იჩინეს სასპეირთა დიდი ერთეულის დაშლისთანავე. ამრიგად, ეს ცნობა კიდევ ერთხელ ასაბუთებს იმ ვითარების დათარიღებას, რომელიც აღწერილია ჰეროდოტეს მეორე ცნობაში ზღვიდან ზღვამდე ოთხი დიდი ხალხის ბინადრობის შესახებ.

მეორე მხრივ აღსანიშნავია ის, რომ ისინი, ვინც შემდგომში კოლხეთის სამეფოს სამხრეთ ნაწილში თავს იჩენენ, როგორც დამოუკიდებელი ეთნიკური ერთეულები (მაგალითად, ბიძერები, ტაოხები, ხალიბები, მოსხები, ფასიანები), ჯერ კიდევ არ ჩანან, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ამ დროს კოლხეთის სამეფოს შენარჩუნებული აქვს თავისი პოზიციები სამხრეთით. ეს გარემოება და ისიც, რომ კოლხეთის სამეფო, ფაქტიურად, მხოლოდ აქემენიდების ნომინალურ მორჩილებაში აღმოჩნდა, წარმოგვიდგენს მას, როგორც ძლიერ სახელმწიფოებრივ ერთეულს.

ეს ხანა კოლხეთის სამეფოს ისტორიაში, ისევე როგორც მახლობელი აღმოსავლეთის მსგავსი საზოგადოებებისათვის, მიჯნა გახდა განვითარების ახალი ეტაპისა. საქმე ისაა, რომ კოლხეთში ამ დროს (ძვ. წ. VI ს.) ჩნდება პირველად ლითონის ფული, მოჭრილი მონეტა, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში კოლხურ თეთრს უწოდებენ.

კოლხური თეთრი, როგორც ცნობილია, წმინდა კოლხური მოვლენაა, მხოლოდ კოლხებისათვის დამახასიათებელი და კოლხეთის გარეთ ან აბსოლუტურად უცნობი, როგორც მიმოქცევის საშუალება, ანდა სრულიად იშვიათი გამონაკლისის სახით ერთეულ ეგზემპლიარად წარმოდგენილი[105]. კოლხური თეთრი, როგორც საშინაო აღებმიცემობისათვის საგანგებოდ მოჭრილი მონეტა, ასახავს არა მარტო ფულადი ურთიერთობის დამკვიდრებას, არამედ ქვეყნის შიგნით მტკიცე ეკონომიკური კავშირის არსებობასაც, რაც თავის მხრივ პოლიტიკური მთლიანობის მაჩვენებელია. იგი უველაზე არსებითი ნიშანია კოლხური სახელმწიფოებრიობის მეორე ეტაპისა, ან როგორც ჩვენ გვინდა მას ვუწოდოთ — კოლხეთის შუა სამეფო. ამავე თავისებურების გამო კოლხური თეთრების განძების აღმოჩენის ადგილები როგორღაც უნდა საზღვრავდეს კოლხეთის შუა სამეფოს ფარგლებს და იმ ძირითად არტერიებს, რომლითაც ხორციელდება ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება. საინტერესოა ამ მხრივ, რომ კოლხური თეთრების განძები აღმოჩენილია მდ. ჭოროხსა და მდ. ენგურს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე[106]. ფსევდო-სკილაქს კარიანდელი დიოსკურიდან აფსაროსამდე (ე. ი. მდ. ჭოროხამდე) მხოლოდ ერთ ხალხს — კოლხებს, ასახელებს[107]. ამ მხრივ კიდევ უფრო საინტერესოა ახ. წ. V საუკუნის ანონიმი ავტორის შემდეგი ცნობა: „დიოსკურიიდან ანუ სებასტოპოლისიდან მოკიდებული ვიდრე აფსაროსამდე ძველად ცხოვრობდა ხალხი, რომელიც კოლხებად იწოდებოდა, ხოლო შემდეგ ლაზებად“[108]. სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულადაა აღნიშნული, რომ კოლხეთის მოსახლეობის მრავალტომიანობის ვითარებაში, ზემოხსენებულ წყაროებში მხოლოდ ერთი ხალხის დასახელება მიუ-

---

[105] იხ. Д. Капанадзе и К. Голенко, К вопросу о происхождении колхидок, ВДИ, 1957, № 4, стр. 88—95.

[106] იქვე, გვ. 89, სურ. I.

[107] ნ. ლომოური, ბერძენი ლიტოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, გვ. 33—34.

[108] ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო (თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეკელიძისა), გვ. 88.

თითებს ქვეყნის პოლიტიკურ მთლიანობაზე და იმ ხალხის პოლიტიკურ ბატონობაზე, რომელიც აძლევდა სახელს მთელ ქვეყანას[109].

ამრიგად, ნათელია, რომ კოლხური თეთრების განძების გავრცელება ისეთივე საზღვრებს წარმოგვიდგენს კოლხეთის შუა სამეფოსი, როგორიც ეს წერილობით წყაროებშიცაა მოცემული.

საყურადღებოა შემდეგიც: ჯერჯერობით განსაკუთრებით მრავლად კოლხური თეთრების განძები დადასტურებულია მდ. რიონის აუზში[110]. ეს თითქოს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ მთავარი სავაჭრო-ეკონომიკური ძარღვი ქვეყნისა რიონის ხეობაზე გადიოდა შესართავიდან ვიდრე სათავეებამდე, რაც მკვეთრად იფარგლება ფოთისა და ონის განძებით. კოლხური თეთრების ინტენსიური მიმოქცევის ხანაში უნდა ვივარაუდოთ სწორედ, როგორც ჩანს, კოლხეთის სამეფოს ცენტრის გადმონაცვლება ჩრდილოეთით, რიონის ხეობაში.

კოლხური თეთრების განძებად შენახვის ფაქტი როგორღაც ეხმაურება კოლხური ბრინჯაოს განძებად დაკვის უფრო ადრეულ და ფართოდ გავრცელებულ ტრადიციას. როგორც ჩანს, კოლხური თეთრების განძებად გადანახვა ამ ძველი სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციის გამოვლენაა ახალ ვითარებაში. საინტერესოა, რომ კოლხური თეთრების განძების გავრცელება ჭოროხის აუზიდან ჩრდილოეთით რიონ-ენგურის აუზებში და ჩრდილო-აღმოსავლეთით რიონის ხეობით რაჭა-ლეჩხუმის მთებამდე, კარგად ემთხვევა კოლხური ბრინჯაოს განძებისა და მათთან დაკავშირებული კერამიკული ნაწარმის გავრცელების სფეროს, რაც ამ მხარეში ძველი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ტრადიციების უწყვეტობასა და მემკვიდრეობაზე მიუთითებს. ამგვარმა მემკვიდრეობითობამ და ტრადიციების უწყვეტობამ კოლხეთის ძველი და შუა სამეფოთა შორის თავისებური ასახვა ჰპოვა ბერძნულ ლიტერატურულ ძეგლებში, რაც თავის დროზე აღნიშნა კიდეც გ. მელიქიშვილმა[111].

კოლხური თეთრის განძების გავრცელებისა და მაშასადამე, მოქმედების სფერო მოქცეულია იმ მატერიალური კულტურის გავრცელების ფარგლებში, რომელიც თავს იჩენს ძვ. წ. VI ს. შუახანებიდან, ახალი ფორმების გაჩენით ხასიათდება და განსაკუთრებით მძლავრადაა წარმოდგენილი ჭოროხის, რიონის, ცხენისწყლის, ყვირილას, ენგურის აუზებში და ამ უკანასკნელის ჩრდილოეთითაც. ეს არის იმ სპეციფიკური კოლხური ქვევრების, პირდახვეული დერგების, პირგადმოკეცილი სამკუთხაბაკოიანი ლანგრების, ყურმილიანი ხელადების და ფეხგამოყვანილი სასმისების კულტურა, რომლის გაჩენით აღინიშნა კოლხეთის მეორე სამეფოს ისტორიის დაწყება. ეს ის ხანაა, რომელიც გამოირჩევა კოლხეთში ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების განსაკუთრებული განვითარებით, როგორც სანაპირო ზოლზე, ისე შიდა ქვეყანაში. ბერძნულ კოლონიზაციას როცა შევეხეთ, მივუთითებდით, რომ ბერძნული წყაროები კოლხეთში ორი კატეგორიის საქალაქო ცენტრებს ასახელებენ: არაელინურ ე. ი. ადგილობრივ ქალაქებს, რომელთაც ზოგჯერ ბარბაროსულ ქალაქსაც უწოდებენ (მაგალითად, ფსევდო-სკილაქს კარიანდელი; ფრ. 81), და ელინურ ქალაქებს, ე. ი. ისეთ საქალაქო ცენტრებს, რომლებშიც, როგორც ჩანს, შედარებით დიდი წონა ჰქონდა ელინურ ეთნიკურ ელემენტს. თუ ფსევდო-სკილაქს კარიანდელის

---

[109] ს. ჯ ო ნ ა შ ი ა, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის ისტორიიდან, შრ. II, გვ. 19; ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 35.

[110] Д. Капанадзе и К. Голенко, დასახ. ნაშრომი, გვ. 89, სურ. 1.

[111] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 236.

„პერიპლუსის“ მიხედვით ვიმსჯელებთ, „ელინურად“ მხოლოდ ზღვისპირა ქალაქები იხსენიებიან, ხოლო „ბარბაროსულად“ კი — მხოლოდ შიდა ქვეყნისა. რაც შეეხება „არაელინურ“ ქალაქებს, ისინიც მხოლოდ ზღვის სანაპიროზეა დასახელებული (შდრ. ფსევდო-სკილაქსი, ფრ. 81). ეს ძალიან მნიშვნელოვანი ცნობაა, რადგან ირკვევა, რომ ზღვის სანაპიროზე იყო ისეთი ქალაქებიც, სადაც ან სულ არ იყო ან საგრძნობი არ უნდა ყოფილიყო ელინური ელემენტი. მაგრამ ასეთ ქალაქად ფსევდო-სკილაქსი ასახელებს დიოსკურს და თუ ეს ცნობა მას ეკუთვნის ე. ი. ასახავს მისი „პერიპლუსის“ შედგენის ხანას (ძვ. წ. IV ს. ნახევარს) და არ მომდინარეობს მისი ძირითადი წყაროდან—ძვ. წ. VI ს. მწერლის სკილაქს კარიანდელის შრომიდან, მაშინ იგი ძნელი შესათავსებელია სოხუმის ცნობილ სტელასთან, რომელიც ძვ. წ. V ს. ბოლოთი თარიღდება და, რომელიც თვალნათლივ გვიდასტურებს დიოსკურში ბერძნული ელემენტის არსებობას.

შუა სამეფოს ხანის კოლხეთის ქალაქებიდან, რომლებიც არქეოლოგიური თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად შესწავლილია, ან ისწავლება, განსაკუთრებით ცნობილი იყო ქალაქი ქობულეთის ფიქვნართან, ფასისი, დიოსკური ზღვის სანაპიროზე, ხოლო შიდა ქვეყანაში — ვანი, ქუთაისი. ეს ქალაქები თავისი „ქვეყნებით“, ე. ი. იმ სასოფლო თემებით, რომელთა საფუძველზე ისინი აღმოცენდნენ და არსებობდნენ, კოლხეთის სამეფოს ეკონომიკურ საფუძველს შეადგენდნენ. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არავითარი უშუალო მონაცემები არ არსებობს კოლხეთის ქალაქების სტატუტის შესახებ. არა ვიცით რა ცენტრალურ ხელისუფლებასთან მათს დამოკიდებულებაზეც. ამ მხრივ შეიძლება მხოლოდ ძალიან ზოგადი სურათის წარმოდგენა.

კოლხეთის ძველი სამეფოები დაიაენი და კულხა, როგორც ეს ძალზე სქემატური ასურულ-ურარტული წყაროებიდანაც ჩანს, დაახლოებით იმ ტიპის სახელმწიფოს წარმოადგენდა, როგორსაც თვით ასურეთი და ურარტუ. სახელმწიფური სიმტკიცე კოლხეთის ძველი სამეფოსი, უპირველეს ყოვლისა, ცლინდება იმ ფაქტში, რომ ვერც ასურეთმა, ვერც ურარტუმ და ვერც მიდიამ და სპარსეთმა საბოლოოდ ვერ დაიმორჩილეს ეს ქვეყანა, რომელიც მათ გზას უღობავდა შავი ზღვისაკენ. ეს გარემოება მაჩვენებელია იმდენად არა ქვეყნის ეკონომიკური სიმძლავრისა, რამდენადაც პოლიტიკური სიმტკიცისა, რომელიც ძნელი წარმოსადგენია ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების გარეშე. ამ მხრივ სიმპტომატურად გვეჩვენება, რომ ასურულ-ურარტული ტექსტების მიხედვით დაიენისა და კულხას სამეფოთა სათავეში მ უ დ ა მ ე რ თ ი მ ე ფ ე გ ვ ე ვ ლ ი ნ ე ბ ა. ეს განსაკუთრებით ნიშანდობლივია ერთი მხრივ მუშქებისა და ტაბალების მრავალმეფიანობის შესახებ იგივე ასურული წყაროების ცნობათა ფონზე, ხოლო მეორე მხრივ კოლხეთის მოსახლეობის მრავალტომიანობის იმ ცნობილი ფაქტის სინათლეზეც, რომელიც თავს იჩენდა მხოლოდ კოლხეთის სახელმწიფოების რღვევის დროს და, რომელიც კოლხეთის ცალკეულ სამეფოთა სხვადასხვა წყაროებში დამოწმებულ სახელდებებშიც აისახა (შდრ. დ ა ი ა ე ნ ი, ა ი ა, კ უ ლ ხ ა, კ ო ლ ხ ი დ ა, ე გ რ ი ს ი, ლ ა ზ ი კ ა). ცხადია, რომ კოლხეთის სამეფოში დაახლოებით ძველი აღმოსავლეთის მეზობელ სახელმწიფოთა ტიპის მონარქია საგულვებელი: მათაც ჰყავდათ ისეთივე სამხედრო ძალა, რომელიც თავისი მეზობლების დონეზე იყო შეიარაღებული (ეს მატერიალურ კულტურაშიც კარგად ჩანს), და რომელიც მეზობელი სამხედრო

დეპპოტიების არმიათა მსგავსად, აღჭურვილი იყო იმ დროისათვის ძლევამოსილი საშუალებით — სპარძოლო ეტლით[112].

ასეთი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურა კოლხეთში ხანგრძლივი დროის მანძილზე გაგრძელდა. ეს აიხსნება თვით გარდამავალი ტიპის ადრეკლასობრივი საზოგადოების ბუნებით, საზოგადოებისა, რომელსაც განვითარების შენელებული ტემპი ახასიათებდა. მართალია, აღნიშნულ საზოგადოებასაც აქვს თავისი განვითარების ეტაპები: ფულადი ურთიერთობის წარმოშობა გარკვეული მიჯნაა მის განვითარებაში. ამ მიჯნას კოლხეთის სამეფო მიადგა დაახლოებით იმ ხანაში, რომელშიც მახლობელი აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოებიც, ე. ი. მათი განვითარების გზები და მიმართულება ამ მხრივაც ემთხვევა ერთიმეორეს.

აღნიშნული მიჯნის გადალახვის შემდეგაც ცენტრალური ხელისუფლება, როგორც ჩანს, ინარჩუნებს თავის პოზიციებს. ეს განსაკუთრებით ნათლად ცლინდება ფულის მოკრის პრეროგატივაში, რომელიც, თვით კოლხური თეთრის თავისებურებათაგან გამომდინარე ფიქრობენ, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას ეკუთვნოდა[113]. ხოლო, რაკი ქალაქები ამ ფულადი ურთიერთობისა და საერთოდ ქვეყნის ეკონომიკის ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ, იმის გავლენის სფეროში იქნებოდნენ მოქცეულნი, ვისაც ხელთ ჰქონდა ქვეყნის ეკონომიკისა და, მაშასადამე, პოლიტიკის სადაოებიც. მართებულად აღნიშნავს გ. მელიქიშვილი, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს ქალაქები მკვეთრად განსხვავდებოდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი შავიზღვისპირეთის ქალაქებისაგან. თუ ეს უკანასკნელნი გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ იმ მხარეთა პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელშიც ისინი მდებარეობდნენ, კოლხეთის სანაპირო ქალაქები კი „в политическом отношении, наоборот находились в зависимости от местной власти, являясь фактически, торговыми центрами местного политического образования"[114].

ამრიგად, ძვ. წ. XIII საუკუნის დასაწყისიდან მაინც, ე. ი. იმ ხანიდან, რომელშიც გულისხმობენ უძველესი წერილობითი წყაროები სამეფო ხელისუფლების არსებობას, კოლხეთი გვევლინება, როგორც ძლიერი სამეფო სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. უკვე ძვ. წ. XIII—XII საუკუნეებში, როგორც აღვნიშნეთ, მას თავს ესხმიან ეგეოსელი ზღვაოსნები, ასურეთი, შემდეგ ურარტუ, აქემენიდური სპარსეთი და ვერც ერთი მათგანი ამ ბრძოლაში არსებითი ხასიათის წარმატებას ვერ აღწევს. ასურელ და ურარტელ მეფეებს, როგორც ჩანს, უჭირდათ დაია-კულხაში ბრძოლით მოპოვებული წარმატებების შენარჩუნება და ამიტომ თითქმის ყოველ მომდევნო წელს იძულებულნი იყვნენ აღედგინათ დაკარგული პოზიციები. იგივე უნდა ითქვას ეგეოსელ კოლონისტებზეც. მათაც საუკუნეები დასჭირდათ საიმისოდ, რომ როგორმე ფეხი მოეკიდებინათ აია-კოლხეთის მიწა-წყალზე. მართალია, მათ ერთგვარი როლი შეასრულეს კოლხეთის ისტორიაში, მაგრამ მაინც ვერ შესძლეს იქ რამდენადმე ანგარიშგასაწევი მასშტაბით თავისი კულტურულ-პოლიტიკური გავლენის დამ-

---

[112] АВИИУ, ВДИ, № 2, 1951.

[113] შდრ. Д. Капанадзе, и К. Голенко, დასახ. ნაშრომი, გვ. 88 — 95; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 248, 249; ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, გვ. 637.

[114] Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 248.

კვიდრება მაშინ, როდესაც სხვაგან კოლონიზებულ მხარეთა სრულ ელინიზაციას ახდენდნენ. მაშასადამე, კოლხეთის სამეფომ უძველესი დროიდან შესძლო შეენარჩუნებინა პოლიტიკური თავისთავადობა და თავისი კულტურის თვითმყოფობაც, რაც ასე ნათლადაა არეკლილი მდგრად და გენეტიკურად მემკვიდრეობით ნივთიერ კულტურაში. აქ მხედველობაშია არა მარტო კერამიკული წარმოების ძირითადი თავისებურებების ცხოველმყოფელობა საუკუნეთა მანძილზე, არამედ წამყვანი საბრძოლო-საწარმოო და საწარმოო იარაღის ფორმათა შენარჩუნება, მიუხედავად ლითონის მასალის შეცვლისა. ვგულისხმობ, უპირველეს ყოვლისა, კოლხური ცულის, წალდისა და თიხის ფორმათა შენარჩუნებას რკინის წარმოებაზე გადასვლის შემდეგაც.

აქ უკვე უშუალოდ მივადექით საკითხს, რომელსაც ამოსავალი და მაშასადამე პრინციპული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით. იმის გამო, რომ აია-კოლხეთის (დაია-კულხას) სამეფო ქართველი ტომების პირველი სახელმწიფოა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ინარჩუნებს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და კულტურის თვითმყოფობას, რაც ერთი მხრივ მკვიდრი ფარი აღმოჩნდა კოლხეთის სამეფოში უცხო კულტურული ნაკადების ფართოდ დამკვიდრების წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრივ, პირიქით, ხელი შეუწყო ამ კულტურის ცალკეულ მონაპოვართა ფართო გავრცელებასა და სხვაგან მისი გავლენის დამკვიდრებას, არ იქნებოდა მართებული კოლხეთის სამეფოს ისტორიის პერიოდიზაცია დაგვექვემდებარებინა აქამდე ზოგადად მიჩნეული პერიოდიზაციისათვის. რაკი კოლხეთის სამეფომ განვითარების საკუთარი გზა განვლო, მეთოდურად გაუმართლებელია კოლხეთის ისტორიის გარკვეულ პერიოდს, რომელიც ორგანულად დაკავშირებულია წინამორბედ საფეხურთან და მისი განვითარების შემდგომი ეტაპია, ეწოდოს „ანტიკური". რა გინდ პირობითი შინაარსი არ უნდა მიენიჭოს ამ ტერმინს, თუნდაც მხოლოდ ქრონოლოგიური, მისი გამოყენება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციაში არ უნდა იყოს გამართლებული.

ტერმინი ა ნ ტ ი კ უ რ ი, როგორც ცნობილია, გულისხმობს სრულიად გარკვეულ და კონკრეტულ ხანასა და სფეროს, სახელდობრ საბერძნეთისა და რომის საზოგადოებებს და ცალკეულ ქვეყნებში (სიცილიაში, იონიაში, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში) ბერძენ კოლონისტთა მიერ დანერგილ საზოგადოებრივ წყობილებას, რომლის დროსაც ძირითადი მწარმოებელი მონაა, ხოლო საწარმოო ურთიერთობანი დამყარებულია საკუთრების ანტიკურ ფორმაზე, ე. ი ისეთ საკუთრებაზე, როცა მესაკუთრედ მონათმფლობელთა სამოქალაქო თემი გვევლინება. ეს იმას ნიშნავს, რომ ანტიკურ მონათმფლობელურ საზოგადოებაში ძირითად საწარმოო საშუალებათა (მაგალითად, მიწის) მესაკუთრედ შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ სრულუფლებიანი წევრი სამოქალაქო თემისა, ეს თემი კი, როგორც წესი, წარმოდგენილია როგორც პოლისი — ქალაქი-სახელმწიფო, რომლის თითქმის საყოველთაოდ გავრცელებული მმართველობის ფორმა დემოკრატიული მმართველობაა და სადაც თავისუფალი მოქალაქე-მიწათმფლობელნი უპირისპირდებიან მოსახლეობის უუფლებო ნაწილსა და მონათა მასებს. ამრიგად, ანტიკურობა სრულიად განსხვავებული სოციალ-ეკონომიკური წყობაა და არსებითად განსხვავდება იმ საზოგადოებისაგან, რომელთაც ადრეკლასობრივს უწოდებენ.

ანტიკური საზოგადოებრივი წყობა, როგორც ამას სხვა დროსაც აღვნიშნავ-

დით[115], რაკი მხოლოდ საბერძნეთსა და რომში ჩაისახა და განვითარდა, ხოლო სხვაგან მისი დადასტურება ამ საზოგადოების სხვა ნიადაგზე ხელოვნური გადანერგვით უნდა აიხსნას, ამასთან, რაკი იგი უცხო დარჩა ძველი ქვეყნების უდიდესი უმრავლესობისათვის, მაშინ ეს წყობა ძველი სამყაროს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სისტემაში გამონაკლისს შეადგენს. მეტიც, ანტიკური საზოგადოებრივი სტრუქტურა გამონაკლისია თვით ძველ საბერძნეთშიც კი და არა მარტო იმის გამო, რომ დასტურდება, დავუშვათ ატიკაში და არა გვაქვს თესალიაში, მაკედონიაში, კლასიკური ფორმით ლაკედემონშიც, არამედ იმიტომაც, რომ იგი არ არის წარმოდგენილი როგორც გაგრძელება განვითარების წინამორბედი ეტაპისა (იგულისხმება მიკენური საზოგადოება).

ამ ფაქტში აშკარად ვლინდება ის ისტორიული სინამდვილე, რომ ანტიკურობა არ შეიძლება წარმოადგენდეს განვითარების საფეხურს ძველი სამყაროს საზოგადოებათა უდიდესი ნაწილისათვის, რომელთაც გარდამავალი ტიპის ადრეკლასობრივ საზოგადოებებს ვუწოდებთ.

საინტერესოა, რომ ა. ტიუმენევი, მართალია, ძველაღმოსავლურ საზოგადოებებს მონათმფლობელურ საზოგადოებებად მიიჩნევდა[116], მაგრამ აღნიშნავდა: „...В истории древнейших и античных рабовладельческих обществ мы имеем не две последовательные стадии развития рабовладения, а два отличных один от другого типа рабовладельческих обществ".[117]

აღსანიშნავია ისიც, რომ არც ევროპის ქვეყნებში დამკვიდრებული ფეოდალური სისტემები შეიძლება ჩაითვალოს ანტიკურობის განვითარების შედეგად. თვით ანტიკურობა, როგორც მონურ შრომაზე დამყარებული საზოგადოებრივი სტრუქტურა, ვერ ქმნიდა ნიადაგს ფეოდალურ ურთიერთობათა ჩასახვისათვის და ამიტომ ის შემფერხებელ მოვლენად იქცა ფეოდალიზმის განვითარებისათვის[118].

მეორე მხრივ აღსანიშნავია, ისიც, რომ ანტიკურობა გამოირჩევა კულტურის გასაოცარი აყვავებით, ფეოდალიზმი კი თავის საწყის ეტაპებზე, აზროვნების, მეცნიერების, ხელოვნების, საერთოდ კულტურისა და ყოფის განვითარების მიხედვით ბევრად დაბლა იდგა ანტიკურობაზე. დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმმა განვითარების ხანგრძლივი გზა გაიარა, ვიდრე მიაღწევდა იმ დონეს, როდესაც გაუჩნდა ანტიკური კულტურის გაზიარების მოთხოვნილება, ხოლო შემდეგ სათანადო პირობები ამ კულტურის აღორძინებისა და შემოქმედებითი გადამუშავებისა. ანტიკურობა ამ მხრივაც საზოგადოების განვითარების საერთო მაგისტრალური მიმართულების მიღმა აღმოჩნდა, ამიტომ იგი ისტორიაში უნდა შევიდეს, როგორც ერთი კონკრეტული საზოგადოების — ბერძნულ-რომაული სამყაროს განუმეორებელი მიღწევა.

ზემოთქმულის საფუძველზე ცხადი უნდა იყოს, რომ ა ნ ტ ი კ უ რ ი პ ე რ ი ო დ ი შეიძლება მხოლოდ ანტიკურ საზოგადოებას ჰქონდეს, ხოლო სხვა საზოგადოებათა ისტორიის გარკვეული, თუნდაც ქრონოლოგიურად შესატყვისი ხა-

---

[115] იხ. „მაცნე", IV, 1966, გვ. 279—281.

[116] А. И. Тюменев, Передний Восток и античность, ВИ, № 6, 1957, 51.

[117] ი ქ ვ ე, გვ. 70 (ხაზი ჩვენია).

[118] ი ქ ვ ე. ВИ № 6, 1957, გვ. 70 და ВИ № 9, 1957, გვ. 54.

ნის აღსანიშნავად ეს ტერმინი შეუსაბამო და გაუმართლებელია. ამდენად, იგი მიუღებელია კოლხეთის ისტორიის თითქმის ათასწლოვანი მონაკვეთის აღსანიშნავადაც. კოლხეთი, როგორც აღნიშნული გვქონდა, ასცდა არსებითი ხასიათის აღმოსავლურ ზეგავლენებსაც და ელინიზაციასაც და მისი ისტორია შინაგანი განვითარების გზით წარიმართა. ამიტომ ბუნებრივია, რომ კოლხეთის ისტორიის პერიოდიზაცია აიგოს ისტორიულ წყაროებში შემჩნეული თუ არქეოლოგიურ მასალებში არეკლილი კოლხეთის შინაგანი განვითარების ეტაპების მიხედვით. ამ პრინციპის საფუძველზე კოლხეთის ისტორიის სამი პერიოდი უნდა გამოიყოს: ძ ვ ე ლ ი ს ა მ ე ფ ო ს პერიოდი, რომელიც იფარგლება ძვ. წ. XIII ს-დან VI ს. შუახანებამდე, შ უ ა ს ა მ ე ფ ო ს პერიოდი — ძვ. წ. VI ს. შუახანებიდან — ძვ. წ. I ს., და ა ხ ა ლ ი ს ა მ ე ფ ო ს პერიოდი — ახ. წ. პირველი საუკუნეებიდან — VI ს.

წარმოდგენილი პერიოდიზაცია, ცხადია, ნებისმიერი არ არის. იგი ემყარება იმ მასალასა და მსჯელობას, რომელიც წინამდებარე ნაშრომშია მოცემული: ამიტომ, ყოველი მიჯნა ცალკეული პერიოდისა ზუსტად ისაზღვრება ზემოთ განხილული მასალის საფუძველზე. უფრო მეტი, ეს მიჯნები არქეოლოგიურ მასალაშიცაა არეკლილი და ამის გამო ჩვენს მიერ შემუშავებული არქეოლოგიური პერიოდიზაცია ზოგადად ემთხვევა ისტორიულს.

ძველი კოლხური პერიოდის და, მაშასადამე, კოლხეთის გვიანბრინჯაოს ხანის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად ზემოთ მივიჩნიეთ ძვ. წ. XV საუკუნე და იქნებ XVI ს. დასასრულიც, ე. ი. ხანა, როდესაც კოლხური ბრინჯაოს ადრეული ფორმები უკვე ჩამოყალიბებულია და რომლითაც ისაზღვრება ძველი კოლხური პერიოდის პირველი ეტაპის კოლხური კერამიკა, ძველი სამეფოს პერიოდს კი ვიწყებთ ძვ. წ. XIII საუკუნით. ეს აიხსნება იმით, რომ იმ ქრონოლოგიის საფუძველზე, რომლითაც თარიღდება ტროას ომი და მასთან დაკავშირებული სხვა მოვლენები, უძველესი კოლხური დინასტიის მამამთავრის (ან იქნებ ეთნარქოსის) აიეტის ხანად წარმოგვიდგება ძვ. წ. XIII ს. პირველი ნახევარი. მეორე მხრივ ეს ის ხანაა, როცა საფუძველი ეყრება რკინის წარმოებას, რაც აიეტის შესახებ მითშიცაა ასახული და ჯერჯერობით ძველი წელთაღრიცხვის XIII ს. მეორე ნახევრიდან მაინც არქეოლოგიურადაა სავარაუდო.

ძველი სამეფოს პერიოდი თავის მხრივ ორ ეტაპად უნდა გაიყოს. პირველი ეტაპი, რომელიც ძვ. წ. XIII—VIII სს. ისაზღვრება, ის ხანაა, როცა კოლხეთის სამეფო ძველბერძნულ და ასურულ წყაროებში მოიხსენიება ა ი ა და დ ა ი ა ე ნ ი სახელით და როდესაც ეს სამეფო უფრო შორს განივრცობოდა სამხრეთით, ვიდრე შემდგომ. მეორე ეტაპი იწყება ძვ. წ. VIII ს. შუახანებში და მთავრდება ძვ. წ. VI ს. ამ ეტაპის დასაწყისიდან ძველბერძნულ წყაროებშიცა და ძველაღმოსავლურ (ურარტულ) ტექსტებშიც კოლხეთის სამეფო მოიხსენიება შესაბამისად, როგორც კ ო ლ ხ ი დ ა და კ უ ლ ხ ა.

კოლხეთის სამეფოს ისტორიის მეორე პერიოდი, რომელსაც ჩვენ შ უ ა ს ა მ ე ფ ო ს ხანას ვუწოდებთ, ძვ. წ. VI საუკუნის ნახევრიდან იწყება. ამ პერიოდის გამოყოფისა და მისი შუა სამეფოს ხანად სახელდების საფუძველია სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ის შინაარსობრივი ცვლილებები, რომელსაც განიცდის კოლხეთის საზოგადოება ძვ. წ. VI საუკუნიდან.

უპირველესად ყოვლისა, იმ სამეურნეო ცვლილებათა შესახებ, რომელთაც გამოიწვიეს მატერიალური კულტურის თითქმის სრული შეცვლა. ძვ. წ. VI საუკუნიდან კოლხეთში, როგორც აღნიშნული გვქონდა, საყოველთაოდ

ვრცელდება ქვევრები და სხვადასხვა ფორმის ფეხიანი სასმისები, რომლებიც განსაკუთრებული სიმრავლითა და ნაირსახეობით გამოირჩევიან. ქვევრებისა და სასმისების გაჩენა დაკავშირებულია კოლხეთში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებასთან, რამაც, როგორც ჩანს, დაკრძალვის წესშიც გამოიწვია ცვლილება. ყოველ შემთხვევაში, ქვევრებში დაკრძალვის შემოღება მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ, მართალია, შუა კოლხური პერიოდის კერამიკა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიცაა დადასტურებული, მაგრამ განსაკუთრებული სიმრავლითა და მრავალფეროვნებით მას ჩვენ რიონის ხეობაში ვხვდებით. ეს, რა თქმა უნდა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაკლები შესწავლილობითაც აიხსნება. მაგრამ იმ ცნობილ ფაქტთან ერთად, რომ ანტიკური მწერლობა ძვ. წ. VI ს. შემდგომ კოლხეთს გაანიხილავს, არსებითად, როგორც ფასის-რიონის ქვეყანას, შუა კოლხური კერამიკის სიმრავლე და განსაკუთრებული მრავალფეროვნება სწორედ რიონის ხეობაში ამ დროს კოლხეთის სამეფოს ცენტრს რიონის ხეობაში გვავარაუდებინებს. ამის სასარგებლოდ ისიც უნდა მეტყველებდეს, რომ ჯერჯერობით ცნობილი უმთავრესი საქალაქო ცენტრები (ფასისი, ვანი, ქუთაისი) კოლხეთის სამეფოსი რიონის ხეობაშია დადასტურებული.

შუა სამეფოს პერიოდის ერთი უმთავრესი, წინამორბედი პერიოდისაგან მკვეთრად განმასხვავებელი თავისებურება ის არის, რომ ხმარებაში შემოდის ფული, მოჭრილი ვერცხლის მონეტა, რომელიც კოლხეთში ფულად ურთიერთობათა წარმოშობას გვიმოწმებს.

ფულის მიმოქცევა, საქალაქო ცენტრების წარმოქმნა, ზღვისპირა ქალაქებში ბერძენთა სავაჭარო ფაქტორიების გაჩენა, ზემოხსენებული სამეურნეო ცვლილებები, სამეფოს ცენტრის რიონის აუზში გადანაცვლება, აი ის სიახლეები, რომელიც ახასიათებს კოლხეთის შუა სამეფოს და ასხვავებს მას ძველი სამეფოსაგან. მაგრამ აქ კიდევ ერთი მომენტი უნდა აღინიშნოს. შუა სამეფოს პერიოდის კოლხეთი, ისევე, როგორც წინა აზიის ქვეყნების უმრავლესობა, ვერ ასცდა იმ კულტურული ნაკადების მოქმედებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა „ელინისტურად“ წოდებულ ხანაში. მართლაც, ძვ. წ. III საუკუნიდან კოლხეთში ამ ნაკადების მოქმედება აშკარად იგრძნობა. ამ დროს ხდება იმპორტირება არა მარტო ბერძნული ნაწარმისა, არამედ ჭურჭლის ბერძნული ფორმებისაც, რომელიც ხშირად ადგილობრივ თავისებურებებსაც იძენს. ასეთი, კოლხურ ნიადაგზე გადმონერგილი ჭურჭელია, მაგალითად, ცნობილი კოლხური ამფორები, რომელთა განვითარება უკვე ახალი სამეფოს ეპოქაში ადგილობრივი ამფორის კიდევ ერთ სახესხვაობას გვაძლევს. ასეთივე ჭურჭელია ადგილობრივ დამზადებული სათევზე ლანგრები, ჯამები, კანთაროსის ფორმის ჭურჭელი და სხვა[119]. ელინისტური გავლენა კოლხეთში შუა სამეფოს პერიოდში ვლინდება კოლხეთის ქალაქთმშენებლობასა და არქიტექტურაშიც, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ ვანის ნაქალაქარზეა ჯერჯერობით გამომჟღავნებული[120]. თუკი ელინისტური ვანი კოლხეთის კუთვნილად შეიძლება ჩაითვალოს, თავის მხრით კოლხეთის ხელისუფალთა ტენდენცია (შესაძლოა ობიექტურად იძულებითი) კოლხეთის ელინისტურ სამყაროში ჩართვისა კარგად ჩანს საყოველ-

---

[119] ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 140.

[120] ი ქ ვ ე. გვ. 142 შმდ.

თაოდ გავრცელებული ელინისტური მონეტების ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმაქეს სტატერების მინაბაძების კოლხეთში მოკრის ფაქტში[121].

ამრიგად, ძვ. წ. IV ს. შემდგომ იმდენი სიახლე იგრძნობა კოლხეთში, რომ თითქოს საჭიროც კია შუა სამეფოს პერიოდის ორ ეტაპად დაყოფა. მაგრამ, მიუხედავად აღნიშნული სიახლეებისა, ამ ხანის კოლხეთში არ იგრძნობა ასე თუ ისე შესამჩნევი თვისობრივი გარდაქმნები, რომელიც ასეთ დაყოფას გამამართლებდა. სპეციალურ ლიტერატურაში მართებულად მიუთითებენ, რომ მცირე აზიის ადგილობრივი სამეფოები (კაპადოკია, პონტო, არმენია) მხოლოდ ზედაპირულ ელინიზაციას განიცდიან. მათ შენარჩუნებული აქვთ თავისი უძველესი „ფეოდალური" სისტემები და მათი მეფეები მიუხედავად იმისა, რომ თავიანთ სამეფო კარზე ბერძნულ ენას ხმარობენ, დიონისეს კულტს ნერგავენ, აგებენ ქალაქებს, რომლებიც სამეფო ქალაქებია მხოლოდ და ა. შ., თვით სამეფოები არსებითად მაინც აზიურ სამეფოებად რჩებიან[122].

თუ ეს ყოველივე შეეხება ელინისტური ხანის მცირე აზიის სამეფოებს, კოლხეთში კიდევ უფრო ზერელე ელინიზაციაა სავარაუდო, რადგან კოლხეთი, განსხვავებით წინა აზიის სამეფოთაგან, ასცდა ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობასაც და მისი შედეგების უშუალო ზემოქმედებასაც. და თუ მცირე აზიის ელინისტურ ქვეყნებში პრინციპული ხასიათის სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები არ მომხდარა, მაგალითად, მიწაზე საკუთრების ფორმები წინანდებური დარჩა, ძირითად მწარმოებლადაც კვლავ თავისუფალი მეთემენი გვევლინებიან და მათი ექსპლოატაციის ფორმები, რომელსაც განუვითარებელი ფეოდალური ექსპლოატაციის ფორმებად მიიჩნევენ, თითქოს არ შეცვლილა[123], კოლხეთში მეტის ალბათობითაა დასაშვები ერთგვარი სტაგნაცია სოციალურ-ეკონომიკური ვითარებისა.

კოლხეთის ისტორიის მესამე პერიოდი, რომელსაც ვუწოდებთ კოლხეთის ახალი სამეფოს ხანას, იწყება ახ. წ. პირველ საუკუნეებში ძველი კოლხეთის სამეფოთა მთლიანობის თანდათანობით აღორძინებით — იმ ეთნოპოლიტიკური დაქუცმაცებულობიდან, რომელიც მოჰყვა პონტოს სამეფოსა და შემდეგ რომაელთა დაპყრობებს. მოთავეობა ამ საქმეში ეკუთვნის ლაზიკის სამეფოს, რომელიც კოლხეთის ძველ სამეფოთა ფარგლების აღდგენას, როგორც ეს აკად. ს. ჯანაშიამ დამაჯერებლად დაადგინა მენანდრეს ცნობის ანალიზის საფუძველზე, რომის იმპერატორ თეოდოსი I (ახ. წ. 379—395 წწ.) მმართველობის დროს ამთავრებს[124]. ამ დროს ლაზიკის სამეფო კოლხეთის ძველ სამეფოთა (ყოველ შემთხვევაში შუა სამეფოს) მსგავსად მოიცავს ვრცელ ტერიტორიას ჭოროხის აუზიდან თანამედროვე სვანეთ-აფხაზეთის ჩათვლით.

ლაზიკის სამეფო რომ ერთი ეტაპია კოლხეთის სახელმწიფოებრიობის გენეზისისა, ეს კარგად ჩანს არა მარტო ძველ და ახალ სამეფოთა ტერიტორიულ თანხვედრასა და მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში, არამედ იმ გარემოებაშიც, და ეს არსებითაა, რომ თვით ლაზებს მიაჩნდათ თავი კოლხების შთამომავლებად, ხოლო თავისი სახელმწიფო — კოლხეთის ძველ სამეფოთა მემკვიდრედ. საგულისხმოა, რომ ასეთი იყო იმ დროის საერთაშორისო აზრიც.

---

[121] ამ მინაბაძების შესახებ იხ. Д. Г. Капанадзе, О древнейших золотых монетах Грузии, ВДИ, № 3, 1949, стр. 156—169.

[122] В. Тарн, Эллинистическая цивилизация, М., 1949, стр. 160.

[123] იხ. В. Тарн, დასახ. ნაშრომი, გვ. 135, 136 შდ.

[124] იხ. ს. ჯანაშია, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, შრ., II, გვ. 313, 314.

ამ მხრივ საინტერესოა ახ. წ. VI ს. მწერლის აგათიას ცნობა: „ლაზები ამაყობენ კოლხების ძველი სახელით და ზომაზე მეტად მოაქვთ თავი, შ ე ხ ა ძ ლ ო ა ა რ ც თ უ უ ს ა ფ უ ძ ვ ლ ო დ“[125]. ახ. წ. V საუკუნის ანონიმი კი გვაუწყებს: „დიოსკურიიდან ანუ სებასტოპოლისიდან მდინარე აფსაროსამდე წინათ ცხოვრობდა ხალხი კოლხებად წოდებული, ახლა ლაზებად სახელშეცვლილი“[126].

ეს შემკვიდრეობითობა ვლინდება აგრეთვე იმ პრინციპულ სიახლეში, რომელიც, როგორც ჩანს, არსებობდა კოლხეთის წინამორბედ და ახალ სამეფოთა სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაში. ს. ჯანაშია თავის დროზე აღნიშნავდა ლაზიკის სამეფოში სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ წესწყობილებათა (თემურ-გვაროვნულის, მონათმფლობელურის, ფეოდალურის) ელემენტების თანაარსებობას. მაგრამ განსხვავებით წინამორბედ სამეფოთაგან, კოლხეთის ახალ სამეფოში, ლაზიკაში აშკარად იგრძნობა, თუ როგორ ივარჯვებს სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სხვადასხვა საწყისებს შორის ერთ-ერთი, ფეოდალური ურთიერთობის საწყისი[127]. კოლხეთის ახალი სამეფოს ხანა არა მარტო ბოლო პერიოდია წინაფეოდალური კოლხეთის ისტორიისა, არამედ კოლხეთის დამოუკიდებელი ისტორიის დასასრულიც. ახ. წ. VI საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ბიზანტიამ გააუქმა ლაზიკაში მეფობა, კოლხეთი, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, წყვეტს თავის არსებობას.

---

[125] ს. ყ ა ვ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, III, გვ. 5 (ხაზი ჩვენია).
[126] ფ ლ ა ვ ი ე ს ა რ ი ა ნ ე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გვ. 88.
[127] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 312—313.

МИКЕЛАДЗЕ Т. К.

ИССЛЕДОВАНИЯ ПО ИСТОРИИ ДРЕВНЕЙШЕГО НАСЕЛЕНИЯ КОЛХИДЫ И ЮГО-ВОСТОЧНОГО ПРИЧЕРНОМОРЬЯ

(II—I тысячелетия до н. э.)

Резюме

Предлагаемая работа посвящается исследованию кардинальных проблем древнейшего населения Колхиды и юго-восточного Причерноморья. Изучение истории населения этих двух стран, конечно, не основано на принципе их географической близости. Подобный принцип исследования имел бы формальный характер и оправдать его, с научной точки зрения, было бы невозможно. В этом отношении решающее значение приобретает материал (лингвистический, археологический) указывающий на этническое единство населения Колхиды и юго-восточного Причерноморья.

С историко-археологической точки зрения Колхида привлекает внимание и тем, что в археологическом отношении она стоит обособленно от общекавказских культур. В Колхиде засвидетельствована совершенно своеобразная материальная культура, отличающаяся от соседних культур и сохраняющая на протяжении многих столетий принципиальную однородность. Это указывает на имманентное развитие археологических культур II—I тысячелетий до н. э. и тем самым на возможность существования в Колхиде, во всяком случае, с конца III тысячелетия до н. э. этнически однородного населения.

Таким образом, мы подходим к проблеме взаимосвязи археологической культуры и этнической общности, как лингвистического единства, т. е. к проблеме этногенеза, ибо последняя обычно сводится к указанной взаимосвязи, в которой именно и проявляется вся суть этой проблемы во всем своем многообразии.

В предлагаемой работе мы исходим из теоретической предпосылки, что в каждой археологической культуре дана возможность ее отождествления с конкретной этнической общностью. Археологическая культура является отражением тех хозяйственных, бытовых и духовных свойств общества на том или ином этапе развития, которыми данное общество отличается от другого. В этом и состоит основной смысл археологической культуры, историческая ценность ее содержания.

В грузинской научной литературе имеются попытки этнизации отдельных археологических культур Грузии. Однако ни в одном случае не чувствуется, что исследования взаимосвязи археологических культур и этноса основаны на определенных теоретических принципах. Поэтому все подобного рода попытки произвольны. А это означает, что проблема этнизации отдельных археологических культур Грузии еще не решена и поэтому каждая новая попытка в этом направлении может принести пользу историко-археологическим исследованиям.

*
* *

Вопросы археологии и этногонии Колхиды и юго-восточного Причерноморья в научной литературе рассматривались обычно, как часть проблемы археологических культур Грузии и соответствующих им этнических общностей, в то время, как проблема эта требует специального изучения.

На основании анализа лингвистического материала и исторической традиции, становится очевидным, что древнейшим населением Рионской долины были сванские племена. Когда они могли заселить Рионскую долину, точно трудно определить. Ведь сванские племена по вполне определенным данным — признаются древнейшим населением Малой Азии, соседствующим с хаттскими племенами, а быть может даже предшествующим им. Если учесть, что протохеттские элементы среди картвельских языков сохранились именно в сванском, то следует полагать, что во времена контактов сванских племен с протохеттами, т. е. в III тысячелетии до н. э. сванский язык был отделен от общекартвельского языка-основы. Во всяком случае окончательному отрыву от общекартвельской среды должен был способствовать и их приход в историческую Колхиду.

Сванские племена не являлись по-видимому, единственным этническим потоком с юга. Вслед за ними в Колхиде появляются собственно колхи — заноязычное население.

Окончательное обоснование в Западной Грузии заноязычной (колхской) этнической массы отражает, по-видимому, та компактная археологическая культура, которую называют колхидской. Постепенное отнесение сванских племен дальше к северу в горные ущелья следует считать результатом натиска носителей этой культуры, а начало данного процесса приурочить ко времени появления ее исходных форм.

Исходя из вышесказанного следует полагать, что дифференциация картвельской этнической массы была закончена к началу II тысячелетия до н. э. с предполагаемой в лингвистике последовательностью глотогонического процесса: отрыв сванского от общекартвельской массы, а затем распад картвело-занского единства на картскую и занскую общности. Вехи этого распада отмечаются сменой археологических культур, данными письменных источников, ономастики и рядом других исторических реалий.

В археологии Колхиды II—I тысячелетия до н. э. на основании анализа керамического материала следует выделить четыре периода: древнейший, древний, средний и поздний периоды. Керамику каждого из этих периодов соответственно обозначаем: протоколхской, древнеколхской, среднеколхской и позднеколхской керамикой.

Протоколхская керамика относится к эпохе средней бронзы. Она могла быть в употреблении только до начала XV в. до н. э., после чего в пределах расселения колхского населения распространяется уже новая керамика — древнеколхская.

Древний период развития керамики, так же как и средний, следует разделить на два этапа: первый этап древнеколхской керамики начинается с самого начала XV в., а исходя из определения абсолютной хронологии методом C_{14}, даже с конца XVI в. до н. э. Появление некоторых изменений и отдельных новых форм, надо полагать, начинается с первых веков первого тысячелетия до н. э.

Сфера распространения древнеколхской керамики почти полностью совпадает с пределами распространения колхидской бронзы, которая уже в XIV в. до н. э. носит вполне законченный характер как в формально- типологическом отношений, так и по составу. Однако нижним рубежом формирования колхской бронзы следует считать несколько более ранний период, т. к. уже в шестигранных топорах типа топоров Урекского клада даны почти все особенности одной из древнейших форм колхского топора. Поэтому, нам кажется более естественным включить Урекские и подобные им топоры в сферу колхской бронзы эпохи поздней бронзы и следовательно отнести начало последней к XV, если не к концу XVI в. до н. э.

С середины VI в. до н. э. в археологии Колхиды начинается среднеколхский период, в котором следует выделить два этапа.

На I этапе появляется совершенно новая как по своему назначению, так и по форме и орнаменту посуда, появление которой связано с развитием новых отраслей хозяйства, а именно культурного виноградарства и виноделия.

Второй этап среднеколхского периода начинается со второй половины IV в. до н. э. Характерной особенностью второго этапа является внедрение в местное керамическое производство импортных форм глиняной посуды.

Сам факт существования в исторической Колхиде и в прилегающем к ней юго-восточном Причерноморье с начала II тысячелетия до середины I тысячелетия до н. э. однородных, генетически связанных между собой археологических культур говорит за то, что в течение данного времени население указанных областей являлось этнически однородным.

Естественно думать, что памятники вещественной культуры, предшествующие и отчасти сосуществующие с протоколхской культурой (I слой Дихагудзуба I, текстильная керамика из нижнего слоя Даблагоми, из II слоя Дихагудзуба I, из древнейших слоев Очамчирэ), принадлежат свано-гениохским племенам. Все это говорит о том, что к началу II тысячелетия до н. э. грузинско-занское единство следует считать распавшим, что ясно отразилось в обособленности колхской (занской) общности, выраженной в отличной от других, и территориально явно соответствующей их расселению, археологической культуре. В этой связи привлекает внимание и полное совпадение пределов распространения занской ономастики с пределами распространения вышеуказанных культур.

Занская топонимия, по-видимому, возникает вслед за отрывом от картвело-занского единства, занской этнической общности, формировавшейся в юго-западной Грузии и юго-восточном Причерноморье. Если судить по этнонимам, засвидетельствованным в исторических источниках, то имена западно-грузинских племен фигурируют в юго-западной Грузии и в юго-восточном Причерноморье со II половины II тысячелетия до н. э., т. е. с того времени, когда в указанных областях появляются древнейшие предметы колхской бронзы и отдельные образцы соответствующей им древнеколхской керамики. Важное, в этом отношении, значение имеет лингвистический факт, на который обратил внимание языковед Г. В. Топурия: в юго-западной Грузии засвидетельствованы географические названия с корнем čob, закономерным соответствием которого является грузинский корень çab.

Эти слова-корни и в занском и в грузинском языках являются корнями слова «каштан». Однако, в занском корень слова «каштан»

трансформировался в форму čub. Превращение «о» в «u» в определенных позициях также является закономерным и, следовательно, вторичным явлением.

Здесь особое внимание следует уделить следующему факту: юго-западная Грузия (в частности, ее восточные районы), которая раньше других колхидских областей становится грузино-язычным краем, сохранила топонимы с первичной формой корня čob, в бассейнах же рр. Хоби, Энгури, в районах Гали и Сухуми, т. е. на территории несколько последующего расселения занского этнического массива, где в обиходе по сей день употребляется занская (мегрельская) речь, исследуемый термин встречается со вторичным, видоизмененным корнем čub.

Как отмечалось выше, юго-западная Грузия является единственной областью, в которой представлены все компоненты колхской бронзы и керамики. И наличие первичной формы вышеуказанного термина наряду с многочисленной топонимикой занского происхождения именно в этом крае говорит за то, что рассмотренные археологические культуры II—I тысячелетий принадлежат к колхской (западногрузинской) этнической общности, являющейся заноязычным (западногрузинским) единством.

*
* *

В древнегреческой литературе первые сведения относительно юго-восточного Причерноморья и Колхиды сохранились в поэмах Гомера. В «Илиаде» находят свое отражение соприкосновения эгейского мира с населением южного и юго-восточного Причерноморья во время Троянской войны, а в «Одиссее» — более ранний этап этих взаимоотношений. На раннее общение эгейского мира с грузинским указывает также и миф о Прометее.

Данные сохранившиеся в древнегреческих сказаниях, хорошо увязываются с данными письменных источников и археологии, освещающими выход ахейцев на широкое историческое поприще и их поиски путей к новым странам и рынкам. Ахейцы на южных берегах Черного моря появляются задолго до Троянской войны. Однако, с открытием для ахейцев путей к Причерноморью в особенности после взятия ими Трои к концу Трои VII А (1300—1200 гг) они были разгромлены киммерийцами.

В Субмикенский период эгейские мореходы, по-видимому, вновь достигают южных и восточных берегов Черного моря. Об этом свидетельствуют дугообразные субмикенские фибулы, совершенно чуждые М. Азии, появление которых в Колхиде нельзя объяснить без учета морских путей Черного моря.

На этом заканчивается первый этап сношений эгейского и колхского миров. В это время активной силой являются ахейцы, поэтому указанный этап эгейско-колхских взаимоотношений мы называем условно ахейским периодом. Непосредственным результатом соприкосновения двух названных миров является создание целого эпоса о Колхиде, появление первых, правда, несколько смутных, исторических сведений о населении юго-восточного Причерноморья.

Морские путешествия ахейцев и сказания об этих путешествиях создают определенные предпосылки для начала нового этапа взаимоотношений между колхским и древнегреческим мирами. Основные же

факторы, создающие необходимость вынужденной эмиграции, что по словом К. Маркса, принимало форму периодического основания колонии и было постоянно действующим звеном в цепи развития общества, продолжали действовать с новой силой.

На втором этапе активной силой, завязывающей новые контакты, остаются опять-таки егейские мореходы, но уже в лице эллинов; поэтому данный этап взаимоотношений можно назвать эллинским периодом. Указанный период соприкосновения этих двух миров обуславливается колонизационным движением эллинов.

Развитие колонизационного движения древних греков на восточном побережьи Понта не пошло дальше образования торговых факторий, да и то уже в существующих местных городах. Греки обосновываются в пределах этих городов, надо полагать, в виде одной из торговых общин данного города. Эта особенность проявилась, по-видимому, и в социальном составе греческого населения. Жителями греческих факторий в колхских городах, по всей вероятности, были купцы, а не ремесленники. На это указывает то обстоятельство, что со времени первого появления греческой продукции, т. е. с VI в. до н. э. до середины IV в. до н. э. не обнаружено ни одного образца греческих изделий, изготовленного на месте.

Обычным путем греческая колонизация протекала в юго-восточном Причерноморье.

От высоких дат заселения греками Синопы, Котиоры, Керасунта и Трапезунта пока приходится отказываться, т. к. исследования отдельных авторов (Е. Акургала, Ю. Боисала, Дж. Хайнда) показали, что археологический материал, который мог бы свидетельствовать о наличии греческого населения в Синопе относится только к началу VI в. до н. э., а найденный в Трапезунте античный материал нельзя отнести к более раннему периоду, чем III—II вв. до н. э. Тем не менее на основании более достоверных сведений Ксенофонта, следует признать, что, по крайней мере, к концу V в. до н. э. и Трапезунт и Керасунт и Котиора были колониями Синопы, с которой они наподобие абсолютного большинства метрополий и колоний имели не обычные номинальные, а реально зависимые отношения.

Сравнительно трудно установить когда именно начала функционировать греческая фактория в г. Фасисе, основание которой исторической традицией, приписывается Милету. Милет мог вывести факторию в Фасисе либо до 494 г. до н. э., либо в конце V в. до н. э. Следует полагать, что в г. Фасисе греческая фактория могла появиться только лишь на рубеже V—IV вв. до н. э.

В этой связи привлекает особый интерес колхидский город, называемый по традиции Диоскурией. Согласно сообщению Псевдо-Скилакса — г. Диоскур (Διοσκουρίς πόλις) не называется эллинским городом, а упомянутый вместе с ним г. Гиен причисляется к категории эллинских (γυηνός πόλις 'ελληνίς). Примечательна и сама форма названия, употребляемая Псевдо-Скилаксом — Διοσκουρίς, в которой следует выделить слово дио, означающее в картвельских языках «мать», «женщину», материнское начало, и топонимический термин «скур», широко распространенный в топонимии Западной Грузии.

Судя по археологическому материалу, в Диоскуре так же как и в других местах исторической Колхиды, абсолютное большинство нахо-

док представлено местной продукцией. Греческий же импорт появляется здесь, в отдельных случаях с VI в. до н. э., однако, в обычном с местной продукцией соотношении.

Таким образом, взаимоотношения между эгейским и колхским мирами устанавливаются к концу середины II тысячелетия до н. э., но более последовательными, регулярными и интенсивными они становятся лишь спустя почти тысячу лет, т. е. к концу середины I тысячелетия до н. э. Именно с этого времени сообщения греческих писателей носят более обстоятельный и достоверный характер. Однако значение их заключается и в том, что они, в основном, подтверждают схематичные, а в некоторых случаях, обросшие легендами, сведения, накопленные в ахейском периоде.

Греческие источники классической эпохи зачинателями металлургии и кузнечества единогласно считают халибов. Чаще же всего халибам приписывается изобретение стали, что находит свое отражение и в лингвистических фактах: как известно, в древнегреческом языке имя халибов Χάλυψ превращается в слово, обозначающее сталь, а в сирийских переводах древнегреческих сочинений, как сообщает Е. Герцфельд, этническое χάλυβες переведено, как sbvrqny — «железо».

На основании сопоставительного анализа сведений античных источников становится очевидным, что халибские племена, засвидетельствованные еще в документах хеттской эпохи, занимали обширные территории, по-видимому, не только в бассейнах Галиси и Чорохи, но и между ними, а также южней Керасунта, в горах Понтийского Тавра, где их застает Ксенофонт. Поэтому вряд ли следует считать простой поэтической гиперболой то, что в «Аргонавтике» Аполлония Родосского (I. 1321, 1323) страна халибов называется беспредельной.

Таким образом, халибские племена были расселены в пределах хеттского царства и в северных периферия Митани. По-видимому, этим и следует объяснить более раннее, по сравнению с другими странами применение и распространение железа именно в Митаннийском и Хеттском царствах.

Халибы в исторических источниках называются также халдами и урартско-армянскими вариантами данного термина халиту и халтик. Эти этнические названия с основой хал можно объяснить на основании картвельского языкового материала, не говоря уже о прямом указание о тождестве халибов с халдами в древнегреческих источниках и халдов с чанами в древнеармянских.

В источниках засвидетельствованы и другие, более древние варианты этнического названия чанов каин и кен.

Как известно, по мнению большинства ученых Тубал «Библии» и табал ассирийских текстов соответствуют тибарену античных источников. Имеются и другие соответствия, подтверждающие возможность идентификации табалийцев и тибаренов.

В ранних христианских редакциях генеологических списков книги «Бытия» наблюдаются некоторые изменения. Например, в Liber generationis памятнике первой половины IV в. н. э. среди потомков Яфета вместе называются тибарены и халибы.

Таким образом, остается только полагать, что существовала твердая историческая традиция, согласно которой тубалу соответствовал тибарен, а каину — халиб.

В мире, окружающем тубал-каинские племена внедрение железа в металлургию, как качественно нового материала, засвидетельствова-

но с конца XV в. до н. э. Примерно, с этого же времени в Тель-Амарнских текстах упоминаются предметы, изготовленные из hapalki, стали.

В этой связи привлекает внимание сохранившийся в пилосских надписях термин kyanos, относительно значения которого большинство исследователей приходит к заключению, что этот термин обозначает «сталь». Анализ гомеровского текста, да и вышеуказанных пилосских надписей, подтверждает правильность такой интерпретации.

В науке принято также, что kyanos не индоевропейское слово, заимствованное микенским, а посредством Гомера проникшее в древнегреческий язык. Родиной же данного термина называют Анатолию; во всяком случае, не следует оставлять без внимания связь этого термина с хеттским термином к и н н а. Не исключена возможность связи kyanos через определенные ступени и с картвельскими формами к и н а//р к и н а — «железо». Примечательно, что этнические наименования чанов становятся словами, обозначающими в разных языках (в семитских, в древнегреческом, даже в грузинском) ж е л е з о и связанные с металлургией понятия.

Все это дает основание предполагать наличие непосредственной связи термина kyanos с древнейшими формами этнического названич чанов, ковачей бронзы и железа, к а и н//к е н, вариант к и а н-е о с, последний из которых в греко-римских и византийских источниках сохранился в качестве названия одной из рек Колхиды — Ч а н и с-ц к а л и, что в русском переводе означает «Река чанов». Об этом имеется и прямое указание Арканджелло Ламберти.

Если рассмотреть вышеизложенные данные на фоне некоторых известных событий политической истории Малой Азии, мы станем свидетелями любопытной картины.

В низвержении Митани и Хеттов помимо внешних сил определенную роль сыграли и тубалканские племена. Именно поэтому в начале I тысячелетия до н. э. путь продвинувшимся к западу ассирийцам был прегражден крупным объединением табалов.

Надо полагать, что в Табале, наряду с лувийскими элементами, наличествовали и племена, относящиеся к картвельскому этническому миру, которые в данном объединении вели, по-видимому, длительную и ожесточенную борьбу за преобладание. Борьба эта должна была быть тесно связана с развивающимися в Анатолии производственными сдвигами, в частности с освоением железа. Процесс этот не мог не повлечь за собой перераспределения этно-политических сил. Поэтому особое значение следует придать тому факту, что именно с этого времени, когда название Табал перестает фигурировать в письменных источниках, в надписи урартского царя Русы II на одном уровне с царствами хеттов и мушков, на месте Табала, упоминается неизвестная дотоле политическая единица — Х а л и т у.

Начавшаяся в Табале задолго до этого борьба за преобладание, довольно ясно отразившаяся в отмеченной в ассирийских текстах частой смене правителей данного объединения, завершилась победой усилившихся на основании восходящего производства железа халибо-халдских племен, имя которых ввиду их первенствующего положения распространяется на бывшее царство Табала.

*

* *

Относительно общественного строя Колхиды конца II и начала I тысячелетия до н. э.* можно создать вполне определенное представление на основании анализа сведений, сохранившихся в «Аргонавтике» Аполлония Родосского.

В этой поэме различаются два разновременных пласта, к древнейшему из которых относятся описания общественно-бытового фона. В отношении этих описаний «Аргонавтика» Аполлония не отличается от древнейших версий сказания об аргонавтах, отражающих особенности быта конца II тысячелетия до н. э.

Вся символика поэмы говорит о ведущей роли земледелия в хозяйстве древней Колхиды; а сам Аиэт, как олицетворение своего народа, предстает перед нами первым земледельцем. Земледельческой страной представляет Колхиду и археологический материал.

Символика «Аргонавтики», наряду с высокоразвитым земледелием отражает также и высокий уровень металлургии, в частности внедрение железа (ἀδάμας) в производстве, что перекликается с археологически засвидетельствованным фактом применения железных изделий в Колхиде уже с конца XIII в. до н. э.

Во главе колхидского общества согласно «Аргонавтике» стоял царь. Во всех известных версиях сказания царем Колхиды называется Аиэт, имя которого по сообщению Страбона является колхским именем. Традиция о правлении в Колхиде царского рода Аиэтидов отражается и в сведениях Ксенофонта и Плиния.

Основной частью колхидского общества являются свободные общинники, которые в «Аргонавтике» упоминаются, как колхи или как «Колхов сыны» (κόλχων υἷες ср. у. Гомера υἷες Ἀχαιῶν) или же как общинники, представители демов (δημότεροι). В «Аргонавтике упоминаются также дворцовые слуги, для обозначения которых употребляются термины: ἀμφίπολος — слуга, чаще — служанка, и δμώς δμωή —пленник, пленница, раб, рабыня. Хронологически этот термин более или менее определяется: как живое слово он употребляется почти только у Гомера и Гесиода для обозначения раба (рабыни) и в «Аргонавтике» Аполлония, его следует отнести к архаическим ее прослойкам.

При дворе колхидского царя по «Аргонавтике» Аполлония эти рабы фигурируют в качестве дровосеков, поваров, мясников, кочегаров, т. е. дворцовых слуг, обязанности которых переданы глаголом ὑποδράω (прислуживать), засвидетельствованным у Гомера и редко употребляемым в классическом греческом.

На основании сопоставления древнейших версий «Аргонавтики» с «Аргонавтикой» Аполлония становится очевидным, что Аиа древнейшее название страны золотого руна, а Колхида несколько позднее. Нет сомнений, что засвидетельствованное с XII в. до н. э в ассирийских надписях «у Верхнего Моря» царство Даиаени в памятниках древнегреческой литературы отражается, как могущественное царство Аиэта Аиа или Аиаиа.

---

* Детально эта проблема рассматривается в специальной работе, см. Т. К. Микеладзе. К вопросу о периодизации истории древней Колхиды. Вопросы древней истории (Кавказско-ближневосточный сборник, IV), Тбилиси, 1973, стр. 126—155.

С начала второй половины VIII в. до н. э. эта страна в надписях урартского царя Сардури II упоминается под именем Кулха и одновременно во второй же половине того же VIII в. до н. э. это название и отражается в древнегреческих источниках. Стало быть, и фактическое положение конца II тысячелетия и изменения, происшедшие в начале I тысячелетия до н. э. одинаково отразились в независящих друг от друга древневосточных и древнегреческих источниках.

Даиаени // Диаухи, Кулха являются первыми раннеклассовыми государственными образованиями Грузии, с которых и следует начинать историю грузинской государственности.

Проследить историю Колхидского царства со второй половины VII в. до н. э. несколько затруднительно. Следует полагать, что нашествия киммерийцев и скифов Колхидского Царства непосредственно не коснулись. После этого Колхида всплывает в сведениях Геродота, где она вместе с объединением саспеиров упоминается на одном уровне с Мидией и Персией. Сообщение это относится к середине VI в. до н. э. и указывает на то, что Колхидское царство со второй половины VIII в. до середины VI в. до н. э. занимает прежние рубежи.

VI в. до н. э. является новой вехой в истории Колхиды: появляется чеканная серебряная монета, которую в научной литературе называют колхидкой. Указанная веха в Колхиде наблюдается, примерно, одновременно с наступлением ее в большинстве государств Ближнего Востока.

Наибольшее количество кладов колхидок засвидетельствовано пока в бассейне р. Риони (древнего Фасиса). Это как бы указывает на то, что главная экономическая артерия пролегала в Рионском ущельи, с районов устья до самых истоков, что явно акцентируется кладами, найденными в Поти и в Они. Именно в период интенсивного обращения колхидок и произошло, как видно, перемещение центра Колхидского государства с юга в Рионский бассейн.

Колхидские царства были, по-видимому, довольно сильными государственными образованиями. Ни Ассирии, ни Урарту, ни Мидии, ни Персии не удалось окончательно покорить эту страну. Все это говорит скорее о политической твердости страны и, следовательно, о наличии в ней сильной центральной власти. Симптоматично, что и по ассирийским и урартским источникам и по сведениям античных авторов, во главе Древнеколхидского царства всегда стоит один царь. Это обстоятельство приобретает особое значение с одной стороны на фоне сведений тех же ассирийских надписей о наличии множества царей у мушков и табалов а, с другой—многоплеменности населения Колхиды, которая наглядно проявляется во времена распада Колхидского государства и хорошо отражается и в разных названиях колхидских царств (Аиа//Даиаени, Кулха//Колхида, Эгриси, Лазика).

Все сказанное выше говорит о том, что Колхида с древнейших времен сохраняет свою политическую независимость и самобытность культуры. Не поддаваясь по существу ни эллинизации, ни влиянию своих древневосточных соседей, она сохраняет собственные пути развития. Естественно потому, что периодизация истории Колхиды должна определяться этапами его собственного развития. Исходя из этого принципа в истории древней Колхиды следует выделить три периода: период древнего царства — XII — середина VI вв. до н. э., период среднего царства — середина VI—I вв. до н. э. и период нового царства — I—VI вв. н. э.

T. MIKELADZE

INVESTIGATIONS IN THE HISTORY OF THE ANCIENT POPULATION OF COLCHIS AND OF THE SOUTH-WEST BLACK SEA LITTORAL

Summary

The present book comprises an Introduction and four chapters.

The problem of the interconnection between an archaeological culture and an ethnic community as a linguistic community is dealt with n the introduction, proceeding from the premise that any archaeological culture can be indentified with a certain ethnic community.

Chapter I is devoted to the archaeology and ethnogony of Colchis and of the South-West littoral of the Black Sea. An analysis of archaeological material, linguistic data and historical tradition seems to prove that Svanian tribes were the autochtonous population of the Rioni (Phasis) valley. Penetrating into historical Colchis, they were finally severed from the general-Kartvelian milieu; this process must have begun in the third millenium B, C., when Svanian tribes were in direct contact with the pre-Hittites, which is attested by pre-Hitite elements preserved in the Svanian language.

Colchians proper, a Tzanic-speaking people, had appeared in Colchis by the end of the third millenium B. C., i. e. somewhat later than the Svans did. The Colchians, penetrating into the lands along the lower course of the Rioni, spread throughout Western Georgia, which is evidenced by Tzanic toponyms, as well as by landmarks in the development of material culture in Colchis; four periods may be distinguished: proto-Colchian (end of the third millenium B. C. to the midle of the second millenium); ancient Colchian (fifteenth to fourth century B. C.); middle Colchian (sixth century B. C. to the first century B. C.), and late Colchian (the first centuries A. D.). About the same time, according to linguistic hypotheses, the glottogonic process proceeded as follows: Svanian branched off from the common Old Kartvelian, while' the Kartvelo-Tzanic tongue subsequently split, producing Kartvelian and Tzanic.

Chapter II is devoted to the genesis of relations between the Colchian and the Aegean worlds. Homer's epics and the myth of prometheus contain some information on the early contacts of the latter with Georgia. This warrants the conjecture that contacts between the Aegean and Colchian worlds must have been established in the middle of the second millenium B. C.

These contacts resulted in the creation of the Argonautica, an epic about Colchis, and in the appearance of the fistr historical information concering the population of the south-west coast of the Black Sea.

After the middle of the first millenium B. C. contacts between the Aegean world and Colchis became more regular and developed intensively, being conditioned by the spread of Hellenic colonization. On the eastern littoral of the Pontus this process went no further than the establishment of Greek trading centres in Colchian towns where Greeks settled as just one merchant community among others; Greeks were, therefore, only merchants, not craftsmen. These trading centres arose at the junction of the fifth and fourth centuries B. C., and since then Greek authors provide more detailed and reliable information concerning Colchis. It is noteworthy that they corroborate, in the main, the fragmentary and legendary data that have come down to us from the Achaean period.

Chaper III contains an analysis of historical, linguistic and archaeological data concerning the ancient Kartvelian tribes that dwelt in Anatolia. Ancient sources are unanimous in ascribing the invention of metallurgy and forging to the Chalybean tribes which occupied large ferritories not only in the Halys and Chorokhi basins, but also between them, south of Kerasunt. The ethnic names of Chalybean tribes became names of metals in several languages.

The derivation of these names containing the stem „chal-" finds explanationo of the basis of Kartvelian linguistic material. This is corroborated by the concentration of such names in territories where a people of Georgian stock, the Laz (Chan) are known to have lived since ancient times and are still living at present; to say nothing of ancient sources indentifying the Chalybes with the Chaldees and Chans.

There are several more ancient variants of the ethnic name of the Chans, manely, Cain, Caen (in the Bible, as well as in antique and Byzan tine sources), and Kyanos (in the pylosian inscriptions); subsequntly these names developed into words denoting forgers of metal, smiths, iron, steel, etc, According to historical tradition, antique and early Christian sources identify the biblical Tubal with the Tibareni, and Cain (cf. Tubal-Cain) with the Chalybes. The same should be said of the term „Cyanos", which finds exact correspondence in the ancient form of the ethnic name of the ethnic name of the Chans still preserved in West-Georgian toponyms.

Thus, the Chalybean tribes inhabiting the Hittite kingdom and the northern borders of Mittani introduced the use of metal in those countries. At the end of the eighth century B. C., owing to the increased production of iron, the Chalybes founded Chalyta, a powerful political unit mentioned in sources on a par with the Hittite and Mushki kingdoms.

Chapter IV is devoted to the social organization of Colchis in the latter half of the second millenium B. C. and in the first half of the first millenium; the problem of periodization of Georgia's history is also dwelt upon. Proceeding from a comparative analysis of archaeological material and

taking into account Assyrian, Urartian and antique sources, Aea-Colchis of antique sources is identified with Daiaeni-Qulha near the Upper Sea; these should be regarded as the first Georgian tribal states which succeeded in preserving their independence since those ancient times and in avoiding extraneous influences. The periods in the history of ancient Colchis are determined by the stages in the development of that state, Thus, the three periods are as follows: the period of the ancient kingdom, from the thirteenth century B. C. to the middle of the sixth century B. C.; the period of the middle kingdom, from the middle of the sixth century to the first century B. C.; and the new kingdom, from the first to the sixth century A. D.

ტაბულების აღწერილობა

I: 1 — ცული თეფე-გავრას VI ფენიდან (ე. შპაიზერის მიხედვით).
2 — ცული ქიულ-თეფეს ქვედა ფენიდან (კ. შეფერის მიხედვით).
3 — ცული ქიულ-თეფეს ზედა ფენის № 10 სამარხიდან (თ. ოზგიუჩის მიხედვით).

II· 1 — შამშადინის ცული (ა. მარტიროსიანის მიხედვით).
2 — ლენინაკანის მუზეუმის ცული (ა. მარტიროსიანის მიხედვით).
3 — კიროვაკანის ყორღანის ცული (ა. მარტიროსიანის მიხედვით).
4 — ცული კეპრი-კეოიას (ერზერუმის მახლობლად) სამაროვნიდან (ა. მარტიროსიანის მიხედვით).
5 — 10 — ცულები ურეკიდან, ერგედან, მახუნცეთიდან, გაგრიდან, ბიჭვინტიდან, პილენკოვოდან (დ. ქორიძის მიხედვით).

III: 1 — ორდუს განძის ცული (სტ. პრეეევორსკის მიხედვით).
2 — 3 ცული ღვედიდან და ლაილაშიდან (დ. ქორიძის მიხედვით).
3 — ცული ბოლასქოიდან (კ. ბიტელისა და ჰ. გიუტერბოკის მიხედვით).

IV: 1 — 5 — მხრებიანი ბრტყელი ცულები ციხისძირიდან, ვაკიჯვრიდან, შრომიდან (დ. ქორიძის მიხედვით), ორდუდან (სტ. პრეეევორსკის მიხედვით), მერსინიდან (ი. გარსტანგის მიხედვით)·

V — კერამიკული მასალა სოფ. ქვემო ჭალადიდის ბორცვ „ზურგას“ ქვედა და შუა ფენებიდან (ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვარი).

VI — ძვკ II კერამიკა (ფოთის, ენგურის და სსმ-ის ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციების მონაპოვარი).

VII — ქვევრები ბორცვ „სიმაგრედან“ (სოფ. საქორქიო, ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვარი).

VIII — ქვევრებისა და დერგის ფრაგმენტები ბორცვ „სიმაგრედან“ (ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვარი).

IX — სუფრის ჭურჭელი ბორცვ „სიმაგრედან“ (ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვარი).

X — კერამიკული მასალა ბორცვ „სიმაგრედან“ (ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვარი).

XI — თიხის ჭურჭლის ყურები ბორცვ „სიმაგრედან“, II ფენა (ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვარი)

XII — შკ II კერამიკის სამკაულის ნიმუშები ბორცვ „სიმაგრეზე“ მოპოვებული მასალის მიხედვით.

XIII. — იმპორტული კერამიკის ნიმუშები: I — არქაული ამფორა წითელი საღებავით შეღებილი, 2 — ვარდულებიანი ჯამის ნატეხი, 3 — მას-

რიანი ჭრაქი, 4 — მცირე ფიგურული სტილის კილიკის ფრაგმენტი (ფოთისა და კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციების მონაპოვარი ბორცვ „სიმაგრეზე").

XIV — მეხჩის ციხის განძი (ბ. კუფტინის მიხედვით)

XV: — ორდუს განძი (სტ. პრჟევორსკის მიხედვით).

XVI: — 1—2 ნამგლის ჩასართები კაეისა, 4—ყალიბი, 6—ორნამენტის დასატანი შტამპი (ბორცვ ზურგას ქვედა და შუა ფენიდან), 3 — კოლხური მინიატურული ცულის ყალიბი და 5 — მეტალურგიული ქურის მილი ჭალადიდის ძკ II პერიოდის ნამოსახლარიდან (ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვარი).

XVII — შკ II პერიოდის კერამიკული მასალა (ვანისა და კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციების მონაპოვარი).

XVIII: — კერამიკული მასალა სსმ-ის ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვარიდან.

XIX: — ძკ I პერიოდის კერამიკის ნიმუშები (ფოთისა და ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციების მონაპოვარი).

XX — ქვის თოხი და ცული (სსმ-ის ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვარიდან).

XXI — XXIII ს. პროტოკოლხური და ძველი კოლხური კერამიკა ქობულეთის ნამჭედურიდან (დ. ხახუტაიშვილის მონაპოვარი).

XXIV — კერამიკული მასალისა და ლითონის და ქვის იარაღის სინქრონული ტაბულა.

შემოკლებათა განმარტება

ენიმკის მოამბე — ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე.

იკე— იბერულ-კავკასიური ენათმეცნიერება

თსუ შრომები — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები

სსმმ — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე

სსმაე — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები

АВИИУ — И. М. Дъяконов, Ассиро-вавилонские источники по истории Урарту, Вестник Древней Истории, 1951, № 2, 3, 4

ВДИ — Вестник Древней истории

ВИ — Вопросы Истории

ВЯ — Вопросы Языкознания

ЖМНП — Журнал Министерства Народного Просвещения

ЗВОРАО — Записки Восточного Отделения Русского Археологического Общества

ЗКОИРГО — Записки Кавказского Отделения императорского Русского Географического Общества

ИАК — Известия Археологической Комиссии

ИАН — Известия Академии наук

ИИАН — Известия Императорской Академии Наук

ИГАИМК — Известия Государственной Академии Истории Материальной Культуры.

ИКОИРГО — Известия Кавказского Отделения Императорского Русского Географического Общества
ИРГО — Известия Русского Географического Общества
КСИИМК — Краткие сообщения Института истории Материальной Культуры
МАК — Материалы по археологии Кавказа
МИА — Материалы и исследования по археологии СССР
НАА — Народы Азии и Африки
СА — Советская Археология
СИЭ — Советская Историческая Энциклопедия
СМОМПК — Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа
СЭ — Советская Этнография
УЗЛГ СИН — Ученые записки Ленинградского Государственного Университета, серия исторических наук
УКН — Г. А. Меликишвили, Урартские клинообразные надписи, М., 1960
ЭВ — Эпиграфика Востока
ЭСКЯ — Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964
AJA — The American Journal of Archaeology
AO — Archiv Orientalini
ARAB — D. D. Luckenbill, Ancient Record of Assyria and Babylonia
BK — Bedl Kharthlisa
CAH — The Cambriedge Ancient History
EAZ — Ethnographisch—Archaologische Zeitschrift
ESA — Eurasia Septentrionalis Antiqua
FHG — Fragmenta Historicorum Grecorum
JA — Journal Asiatique
JAI — Jahrbuch des Deutschen Archäolcgischen Instituts
JHS — Journal of Hellenic Studies
SC — Ccythica et Caucasica

საძიებელი

საკუთარი სახელები

აბრამი 138
აბრამიშვილი რ. 38, 53, 58, 59, 136, 189
აგათია 182
აგამემნონი 142, 143
ადონცი ნ. 26. 121, 126
ავტოლიკე 100
აზო 88
ათინა 89, 146
აიეტი 79, 80. 82, 84—86, 91, 92, 157, 159, 160—162. 164, 167, 168, 179
აკერგალი ე. 100, 101
ალავიძე მ. 10, 11, 13, 75, 105. 126
ალენი ე. 19
ალექსანდრე მაკედონელი 21, 181
ალექსანდრე პოლიპისტორი 109
ალექსანდრე პრიამის ძე 82, 111
ალკინოე 143
ამენხოტეპ III 138
ამიანე მარცელინი 132
ამირანაშვილი შ. 10, 94
ამირანი 89
ამუსინი ი. 138
ანაკრეონტი 142
ანიტა 20
ანტიოქ დიდი 121
აპოლოდორე მითოლოგი 91
აპოლონი 104
აპოლონიოს როდოსელი 20 84, 86, 91, 123, 145. 157—162. 165
არგიშტი 166. 167
არგოსი 91, 92
არესი 145, 146
არეტე 161
არიანე (ფლავიეს არიანე) 17, 18, 109, 132. 173
არიანე ნიკომედიელი 115
არისტოტელე 14—16, 20, 168
არტაქსია 121, 122
არტემიდორე დალდისელი 17
არტემიდორე ეფესელი 17, 21
არქანჯელო ლამბერტი 48, 146, 147
აპსირტე 86, 91, 161
აქილევსი 155
ბარამიძე მ. 157
ბარდაველიძე ვ. 150
ბარნეტი რ. 131, 132
ბასილი სოფენელი 127
ბენდუქიძე ნ. 12
ბერარდი ლ. 80
ბილაბელი ფ. 90, 120, 122
ბიტელი კ. 44—46, 91, 100
ბლავატსკი ე. 63, 65
ბოისალი იუს. 100, 101
ბოლქვაძე ს. 130
ბორუხოვიჩი მ. 90.
ბოხოჩაძე ა. 62
ბეანია ვ. 70
ბრიუსოვი ი. 154
ბუაზაკი ე. 142, 144
ბუდე 100, 101
ბურკულაძე ა. 52, 65
გაიუს ვალერიუს ფლაკუს სეტინ ბალბი 92, 145
გამრეკელი-თორელი 122
გამყრელიძე ა. 99
გამყრელიძე თ. 10, 19, 23, 29
გარსტანგი ჯ. 44, 45, 90
გეზენიუსი ვ. 134
გეორგიევი ვ. 148
გეტერბოკი ჰ. 46, 88
გიგესი 168
გიორგაძე გრ. 122, 148
გიორგი კედრენე 25
გიორგი მერჩულე 18, 25, 105
გობეჯიშვილი გ. 37
გოგაძე ე. 50, 64, 68, 69
გოეცე ა. 12, 56, 122, 144
გოზალიშვილი გ. 119
გოლენკო კ. 164, 173, 174, 176
გოროდეცოვი ვ. 57
დავით აღმაშენებელი 121
დარიოს ჰისტასპი 83, 172

ლეეტერსი გ. 19. 23
ლეილეონტე 100
ლეორეცკი ი. 142. 143
ლიკონოვი ი. 19, 72, 77, 78, 87, 90, 100, 125, 131, 148. 166, 169, 171
ლიოდორე სიცილიელი 118
ლიონ კასიოსი 18
ლიონისე 181
ლიუსო რ. 12, 45, 81, 90, 91, 94. 95, 115, 116
ლოვატური ა. 14, 16
ლუმბერგი კ. 104
ლბელინგი ე. 138
ევმელოს კორინთელი 83, 84, 164, 167
ევსევი 99, 100, 101
ევსტათე ანტიოქელი 132
ევსტათე თესალონიკელი 129
ეისლერი რ. 134, 137
ელენე 82, 111
ენგელსი ფ. 96, 151, 156
ეპიმენიდე 161,
ეპისტროფოსი 77
ეპიფანე კვიპრელი 132
ერატოსთენე 80, 82, 84
ესქილე 116
ეფორე 119, 120, 123
ექვთიმე მთაწმინდელი 85
ვაიდნერი ე. 122
ვირხოვი რ. 57
ზარიადრი 121, 122
ზეესტი ი. 63, 65
ზევსი 89, 91
თარქუნი 145
თარხონი 145
თეზეოსი 77, 90
თემისტაგორე მილეტელი 102
თეოდოსი I 181
თეოკრიტე 82, 102, 147
თეოფრასტი 142
თოფურია ვ. 22
თოფურია გ. 28, 29
თუთმოს II 90
თუთმოს III 90
თუთხალია IV 90
ილუკიდე 76
იაზონი 25, 77, 79, 82, 83, 86—88, 91, 92, 94, 100, 105, 144. 158
იანი მ. 42
იაფეტი 131, 132
ივანოვი ი. 139
იესენი ა. 32, 33, 38. 41, 50, 95, 97, 115
ინაძე მ. 3, 15. 16, 18, 21, 22, 106
ინგოროყვა პ. 11, 18, 105
იოსებ ფლავიუსი 25
იუსტინი 88
კალანდაძე ა. 110, 164
კალიგული ნ. 31
კაკაბაძე ს. 135
კამარი (ყამარი) 89
კაპანაძე დ. 173, 174, 176, 181
კასტორი 105
კახიძე ა. 63, 99
კეხიონი კ. 153
კვეტაღმაძე ნ. 17, 132
კიდელ. 109
კირკე 79, 82
კიტისორე 91
კიტოროსი 91
კლიმოვი გ. 13, 23, 29
კნაბე გ. 6
კნუტძონი ლ. 138
კობილინა მ. 103, 104
კონსტანტინე პორფიროგენეტი 24
კრეჩნერი პ. 93
კრეპნოვი ე. 32, 38, 57, 170, 171
კუმარბი 88
კუფტინი ბ. 3, 7, 12, 31. 35, 39, 41. 43, 44—58, 62, 64, 65, 69, 71, 96, 109, 156, 157, 169
კუშნარიოვა ვ. 154
ლავროვი ა. 171
ლამეხი 132
ლაროში ე. 138, 139, 140
ლატიშევი ვ. 78, 79, 82, 83, 86, 103, 106, 109, 115
ლენკმანი ი. 151, 161, 162
ლეონტი მროველი 91, 170
ლიკოფრონი 79, 86, 119
ლიმე ჰ. 144
ლინი ჰ. 115
ლისიმაქე 181
ლომოური ნ. 116, 146, 147, 173
ლორთქიფანიძე გ. 146
ლორთქიფანიძე ოთ. 3, 53, 66, 91 97, 105, 110, 174, 180
ლუკიანე 142
ლერიე ს. 77, 87, 95, 162
მათიავაზა 122
მაკალათია ს. 169
მანანდიანი ი. 171
მარი ნ. 66, 11, 13, 22. 29, 85, 108, 115, 126, 127, 130, 131, 134, 135, 138, 140, 145
მარკოვინი ვ. 7, 70
მარკოზი 134
მარტიროსიანი ა. 34, 35, 36, 38
მარქსი კ. 91, 151
მარჩენკო ი. 63
მასონი ე. 153
მაქსიმოვა მ. 3, 41, 99—101. 115
მაკპაარიანი გ. 7, 10, 19, 23, 29

მედეა 20, 82. 86, 91, 106, 111, 160, 161
მეიერი ლ. 145
მელასი 91
მელიქიშვილი გ. 7, 9, 11, 12, 14, 16, 17, 20, 24, 41. 59. 60, 73. 83. 85, 87, 89, 97, 98, 116, 123, 125, 130. 131, 144, 149, 151, 153, 166. 167, 168, 170, 171, 174, 178
მელიქსეთ-ბეკი ლ. 28
მემნონი 17
მენანდრე 181
მენუა 125. 166, 167
მერიჯი ო. 131
მითრიდატე პონტოელი 21, 22
მინეპტაპი 80, 81
მინოსი 77
მიულერი კ. 14, 85, 115
მიქელ ფსელოსი 25
მიქელაძე თ. 47, 48, 68, 84, 85, 101, 119, 121, 164, 165
მოდესტოვი ვ. 53
მონტელიუსი ო. 63
მუვატალი 81, 90
მურშილ II 81
ნიკოლოზ დამასკელი 17
ნიორაძე გ. 42, 50
ნორაკიძე ნ. 28
ოდიოსი 77
ოდისევსი 79, 82, 143
ოვიდიუსი 92
ოზგიუნი ტ. 35
ოკეანე 116
ორბელი ი. 16, 105, 107
ორბელიანი სულხან-საბა 134, 135, 145
ოქროპირიძე ნ. 157
პაგირევი დ. 87, 108, 126
პაულოვსკაია ა. 151, 152, 153
პალეფატე აბიდოსელი 21, 22
პაპასკირი 99
პელევსი 82, 158
პელოპი 93
პენდლბერი ჯ. 90, 94
პიგულევსკაია ნ. 151
პილემენიოსი 77
პინდარე 91, 157, 159, 164
პიოტროვსკი ბ. 77, 171
პლატონი 142,
პლინიუსი 17, 18, 22, 88, 115, 121, 128, 129, 130, 134, 147, 164
პოლიუქსი 105
პოლიფემე 123
პომპეუს ტროგოსი 88
პომპონიუს მელა 16, 17, 18, 99, 102, 119
პრიამი 82, 111, 168
პრისციანე 84
პროკოპი კესარიელი 9, 22, 128, 130
პრომეთე 88, 89, 116, 158
პრეტორსკი სტ. 40, 42, 43, 44, 46, 124, 138, 149
პტოლემაოსი 131, 147
ჟებელიოვი ს. 103
ჟუკოვსკი პ. 123
რამსეს II 81
რამსეს III 95
რახმერი 90
რეა 109
რეხვიაშვილი ნ. 114, 145
როგავა გ. 127
რუსა II 149
საბა (იხ. ორბელიანი, სულხან-საბა)
საბინინი 85
საველაკი 164
სალე ა. 164
სალმანასარ III 165, 167
სანაია 129
სანაძე 129
სანიკიძე ლ. 119
სარგონი 33
სარგინ II 87
სარდური II, 83, 84, 166, 167
სახაროვა ლ. 75
სემიონოვი ი. 151
სენუსერტ III 20
სერაპიონ ზარზმელი 27
სესოსტრისი 20, 164
სვანიძე ა. 13
სიზოვი ვ. 105
სინოპე 99
სიხარულიძე ი. 87
სკილაქს კარიანდელი 15, 78, 102, 116
სკუდნოვა ვ. 64
სნოდგრასი ა. 53, 169
სოლინი 22
სოლოვიოვი ლ. 71, 109
სოფაინეტე სტიმაფალიოსელი 118
სტაბლინკსი ფ. 91
სტრაბონი 17, 21, 25, 77, 78, 80, 84. 87, 94, 118, 119, 121, 124, 125, 127, 128, 132, 151, 152
სტეფანე ბიზანტიონელი 21, 24, 109, 116, 146, 147
სუმბატი 25
სუპილულიუმა 81, 122
ტავაგალავა 90
ტალგრენი 58
ტარნი კ. 181
ტატიშვილი თ. 35, 59
ტატუხეპა 138
ტაციტუსი 88
ტელემონი 82
ტელეფინუში 12

ტერ-აკოფიანი ნ. 151
ტიგლათფალასარ I, 85, 130, 165, 167, 172
ტიგლათფალასარ III 87
ტიმესითეოსი 109, 112, 113
ტიუმენევი ა. 163, 178
ტომსონი ჯ. 76, 77, 92, 93, 130, 157
ტრაპში ბ. 110. 170
ტრენჩენი — ვალდაფელი ი. 88
ტუღუში 127
ტუშრატა 138
უვაროვა 32, 57
ურუშაძე აკ. 84, 91, 116, 157, 158, 165, 167
უსლარი პ. 106
უშაკოვი ბ. 18
ფარნაკაზი 73
ფასიანე 109
ფერეკიდე 165
ფილოსტრატე უმცროსი 82
ფლავიუს არიანე (იხ. არიანე)
ფლოგიოსი 100
ფადუსთ 20
ფოგტი ჰ. 11
ფორბესი რ. 138
ფორერი ე. 88
ფორმოზოვი ა. 70
ფორსდაიკი ე. 92, 93
ფრიქსე 25, 86, 87, 91, 92, 94
ფრონტისი 91
ფსევდო-არიტოტელე 114, 115
ფსევდო-სკილაქს კარიანდელი 15, 21. 106. 107, 117, 118, 129, 173—175
ფსევდო-სკიმნოსი 99, 100
ფსევდო-ჰერაკლიდე პონტოელი 102
ფუთურიძე რ. 66
ქალდანი ბ. 11
ქალკიოპე 86. 91, 161
ქორიძე დ. 32 — 39, 41—44, 46, 50, 56, 59, 61, 64, 68, 69
ქსენოფონტი 48, 84, 85, 101, 102, 109, 112, 117, 118, 121, 124, 145, 163
ღამბაშიძე ო. 35, 59, 67
ღაფანციანი გრ. 93, 121
ღლონტი ლ. 10.
ყაუხჩიშვილი თ. 14, 15. 18. 20—22. 25, 26, 83, 86, 116, 119, 151, 160, 168, 172
ყაუხჩიშვილი ს. 10, 24, 25, 73, 77, 78, 80, 86, 109, 111, 116, 121, 127, 147, 170
ყიფშიძე ი. 99, 107, 126
შანიძე ა. 27, 131
შანტრი ე. 57
შაფმანი ი. 138
შენგელია ი. 89, 105
შეფერი კ. 44, 80
შმიდტი რ. 65
შპიზერი ე. 34
ჩაილდი, გორდონ 6, 70, 157
ჩართოლანი შ. 75
ჩიტაია გ. 85, 94, 114
ჩიქობავა არნ. 19, 20, 23, 28. 29. 99. 129
ჩიქოვანი მ. 89
ჩუბინაშვილი გ. 94
ჩუბინიშვილი ტ. 35, 38, 59, 154
ციტაში 127
ციცერონი 131
წულეისკირი 99
ჭანბა 129
ჭანია 129
ჭანიშვილი 129
ხალვაში 127
ხატეპინუში ბ. 12
ხაჩატრიანი ტ. 46, 53
ხახუტაიშვილი დ. 67
ხოშტარია ნ. 47, 70
ჯავახიშვილი ალ. 10, 59, 154.
ჯავახიშვილი ივ. 6, 10. 11, 17. 18, 25. 26, 89, 98, 109, 115, 129, 132, 135. 145.
ჯანაშია ს. 7. 11, 18, 19, 23. 35, 33. 107, 129, 132, 147, 152, 174, 181, 182
ჯაფარიძე ო. 4, 7, 32, 36, 41. 43. 53. 71. 154, 169
ჯაში 127
ჯიქია ს. 27. 28
ჯუანშერი 25
ჰაინდი ჯ. 101. 102
ჰამანი რ. 46. 60
ჰანჩარი ფ. 32, 33, 58
ჰეკამედა 143
ჰეკატე მილეტელი 15, 24, 102, 103. 116. 117, 118
ჰეკატონიმე 112, 113
ჰელანიკე მიტილენელი 15, 21. 22
ჰელე 91, 92
ჰერაკლე 77
ჰერაკლიდე პონტოელი 14. 15. 16. 20. 25
ჰეროდოტე 20. 21, 76—79. 82—86. 92. 103, 111, 118, 126, 133, 144, 147. 159, 165. 168—172
ჰერციფელდი ფ. 115, 140
ჰესიოდე 83, 88, 89, 160, 161
ჰესიხე ალექსანდრიელი 17
ჰექტორი 155
ჰიპოკრატე 160
ჰოდიოსი 146
ჰომეროსი 76, 77, 83, 86, 88, 90, 111, 119. 120, 123, 125, 141, 142, 143. 145. 159, 160—163
ჰოფმანი ი. 142, 144

Albright W. F. 76, 79, 95
Auterrieth G. 142, 143, 161, 163
Barnet N. D. 131, 132
Campbell Roebuck, Mary 65
Chadwick J. 140, 141, 142, 144, 145
Dozy R. 134
Forsdyke E. J. 92, 93
Glueck N. 138
Haurtley W. A. 92, 93
Jacoby E. 116
Stronach D. 96
Ventris M. 140, 141, 142, 144, 145
Wace A. J. B. 81
Weinberg S. 65
Wheeler M. 3, 153
Zeuner F. E. 153

სატომო და ეთნარქოსების სახელები

აბელი 132, 133, 136, 137, 140
აბეშლა 130
ალაროდიელები (ალაროდები) 172
ალბანელები 14
ალიძონები (იხ. ჰალიძონები)
არმენიელები 26, 116, 117
არმენიოსი (არმენი) 87, 88
არმენო-ხალიბები 18, 121, 128, 137
ასურელები 148
აქეველები 15, 22, 77, 80, 81, 90, 91, 94, 95, 96, 100, 111, 112, 142, 160
ბერძნები 77, 81, 90, 91, 88, 110, 111, 112, 121, 135
ბიზერები (ვიტერიუსი-ბიძერები) 171, 173
ბითვინიელები 119
დორიები 109
დრილები 48
ეგვიპტელები 95
ეკექირიელები 106
ელინები 100, 102, 111
ენეტები 77, 78, 86
ენოხი 18, 134
ზანები (ზანურენოვანი ტომები), 20, 24, 29, 30, 72, 75, 129
ზიგები 22
ზღვის ხალხები 81, 148
თაბალი 133, 137
თეობელები 133
თესალიელები 100
თუბალი 131, 132, 137
თუბალკაინი 130, 132, 135, 137—139, 148
იბერები (იბერიელები, ჰიბერები) 9, 14, 17, 24, 25, 26, 123, 133
იზრაელთა ტომები 138
იშერები 25
იონელები 111
კაინები 47, 128, 129, 130
კაინი 130—134, 136, 137
კარიელები 119
კენები 128
კერკეტები 21, 22
კილიკიელები 119
კიმერიელები 74, 100, 168, 169, 172
კოლხები 4, 16, 17, 20, 22, 24, 26, 72, 77, 85, 106, 111, 112, 157—160, 161, 172, 173, 181, 182
კორაქსები 21
კრეტელები 95
ლაზები 9, 17, 94, 127, 131, 173, 181, 182
ლიკიელები 119
მაკრონები 129
მარგალები 91
მარგები 26
მარიანდინები 118, 119
მატიენები 172
მეგრელები 74, 128
მესხები (მესხური ტომები) 9, 10, 22, 24, 30
მეშეხი 131
მიდიელები 18, 168, 172
მითანელები 148
მიკენელები 81, 148
მილეტელები 14, 15, 16, 85, 100
მილიები 119
მინიები 92
მისიანები (მისიმიანები) 14
მისიელები 119, 120
მოსინები (მასინები მოსინიკები, მოსვინიკები) 13, 14, 15, 17, 18, 48, 109, 112, 115, 117, 124
მოსინიკები (იხ. მოსინები)
მოსხები 21, 22, 24, 26, 75, 173
მუშვანი 14
მუშუნი 14, 17
მუშკები 131, 148, 149, 175
პამფილიელები 119
პაფლაგონელები 77, 81, 112, 118, 119, 120
პელაზგები 92, 93
პისიდიელები 119
რომაელები 181
ხანები 129
სანები — ჰენიოხები 18, 134
სანიგები (სანიხები) 17, 18
სასპეირი (სასპეირები) 13, 17, 168, 172, 173
სასპერი (სასპერები) 13
სვანები (სვანი ტომები) 9, 12—14, 16, 19—22, 72

სკვითები 74, 83, 168, 172
სკვითინები 121
სლავები 153
სომხები 93
სპარსელები 103, 172
სპარტელები 83
სპერები 17
ტაბალები 47, 132, 133, 140, 148, 149, 175
ტაოხები 173
ტიბარანული ტომები (ტიბარანთა ტომი) 132
ტაბარენები 45, 86, 112, 116—118, 124, 128, 132, 133
ტრერები 170, 171
ტროელები 77, 111, 112, 119, 146, 155
ურარტელები 58, 166, 167
ფასიანები 85, 168, 173
ფასისელები 14
ფეაკები 143, 161
ფრანკები 152, 153
ფრიგიელები 119, 120
ქალდეველები 125, 138
ქართველები 140
ქართველი ტომები 78, 82, 88, 98, 111, 116, 154, 177
ქართები 9, 10, 24—26, 30, 74, 75
ქაშქები 45, 98, 122, 123, 130, 148
ქარიმატები 21
წანარები 129
წანები 129
ჭანები 74. 98. 127. 128, 129, 130, 132, 134, 139, 145, 146, 148
ჭანიკ 17
ხაზარები 74, 170
ხალდები 13, 45, 124. 125, 127, 128, 130, 145, 148
ხალიბები 45, 47. 77—79. 81, 98, 112. 114, 115—121, 123—125, 127, 128, 130, 132, 137, 145, 146, 148, 149, 160, 173
ხალიკ 130
ხალიტ 130
ხალტიკ 17. 139
ხალიტუ 149
ხურიტები 88
ჰალიძონები 77—79, 81, 86, 112, 120, 123, 130, 139, 146
ჰენიოხები 14—19, 21, 22, 24, 72, 85, 105, 134
ჰესპერი (ჰესპერები) 13
ჰესპერიტები 17

გეოგრაფიული სახელები

ადიგენი 27
ადილჯევაზი 125
ადიში 134
ადლერი 69, 70
აზია 111, 152, 172
ათენი 103, 158
აია 19, 79, 80, 83, 84, 85, 91, 165, 167. 175. 179
აია-კოლხეთი (აია-კოლხიდა) 82, 83, 86, 87, 88, 91, 111, 159, 165, 167. 176. 177
აკარნანია 109
აკილისენე 87
აკინასი 130
ალაროდია 172
ალიბე 77—78, 79, 120
ალიშარი 44, 45
ამერიკა 152
ამიერკავკასია 14, 15, 38, 43
ამისოსი 119
ანაკლია 48, 51, 52, 67, 68, 69, 70
ანატოლია 34, 35, 44, 53, 92, 93, 114, 123, 149
ანდრიაწმინდა 28
ანკარა 100
არაგვი 170
არაქსი 34, 83, 84, 85, 121
არგეთი 20
არგი 91
არგოსი 92
არზრუმი (იხ. ერზერუმი)
ართვინი 45. 67
არიან ქართლი 88
არმაზი 9
არმენია 84. 87, 88. 181
არტანიშ ღუჯი 27. 30
არტანუჯი 27, 30
არტიკი 53
ასპინძა 27. 28. 29
ასურეთი 90, 96. 167. 171. 175, 176
ატიკა 103, 159, 178
აფრიკა 152
აფსარი (აფსაროსი) 86, 88, 173. 182
აფხაზეთი 12, 15, 16, 17, 65, 108, 181
აქაია 92
აღმოსავლეთი ამიერკავკასია 35
აღმოსავლეთი საქართველო 58, 59, 157, 169
აღმოსავლეთი შავისზღვისპირეთი 97, 98, 99, 104, 111, 113
აჭარა 26, 40, 49. 63, 64, 67, 73, 107, 127
აჭარის წყალი 87
ახალი ათონი 170
ახალქალაქი 42
ახალციხე 29, 35
ახიავა 90
ბაბილონეთი 163
ბაბილონი 88. 90. 168
ბათუმი 41, 62, 108

ბანისხევი 35
ბანოჯა 53
ბეოტია 86, 91, 92
ბიზანტია 182
ბიკვინტა 37, 39, 67, 94
ბობოყვათი 67
ბოდორნა 34
ბოლნისი 94
ბორჯომი 29
ბოსფორი 65, 82
ბოღასქოი 33, 44, 45, 46, 60, 136
გალი 29, 74
გაგრა 33, 35, 36, 37, 39, 67, 170
განთიადი (იხ. პილენკოეო)
გენეტეს კონცხი 78, 116, 117, 118
გვიენოსი 104, 107
გოგარენე 170
გომნა 35
გონიო 86
გოსტიბე 59
გუმბათი 34
გურია 40, 67, 73, 107, 108
გურიანთა 94
დაბლაგომი 50, 52, 53, 56, 64, 71
დადეში 28, 30
დაიაენი (დიაუხი) 85, 125, 165, 166, 167, 172, 175, 177, 179
დარიალი 170
დარუბანდი 170
დასავლეთი აზია 169, 171
დასავლეთი ევროპა 169
დასავლეთი საქართველო 11, 12, 19, 32, 33, 40, 41, 43, 56, 60, 64, 66, 67, 72, 74, 75, 87, 107, 151, 155, 164, 155, 170
დელოსი 103
დერჭანი 126
დიაუხი (იხ. დაიაენი)
დიმნა 73
დიოსკური (დიოსკურია, დიოსკურისი) 16, 17, 98, 104—107, 110, 173, 175, 182
დრანდა 94
ეგეოსის ზღვა 119
ეგეოსის სამყარო 76, 89, 90, 94
ეგვიპტე 53, 81, 90, 138, 141, 163
ეგრეს — სუ 26
ეგრის წყალი 26, 30
ეგრი 26, 30
ეგრისი 30, 175
ევბეა 119
ევროპა 178
ელ-ამარნა 138
ელადა 93, 94, 96, 111, 153
ელიდა 153
ენგური 12, 20, 67, 71, 72, 74, 75, 157, 170, 173, 174
ერგე 36, 37, 39, 56, 67
ერევანი 93
ერზერუმი 34, 35, 36, 38, 39, 44, 121, 122
ერზინჯანი 122
ეფესო 84
ეფრატი 121, 122
ეშერი 110, 156
ვაკიჯვარი 44, 45, 67
ვანი 175
ზანავი 24, 27, 30, 129
ზანათი 129
ზემო ზღვა 165, 168, 172
ზემო იმერეთი 11, 56, 74, 75
ზენითი 37, 67
ზუა 166
ზუბოვსკის ხუტორი 98, 104
ზუგდიდი 26, 44, 108
ზუმი 29
თაბალი 129, 131
თასოსი 103
თბილისი 33, 157
თეიშებაინი 171
თელოვანი 30
თემისკირა (თემისკური) 99
თეოსი 79
თერმოდონტი 78, 99, 117, 119, 123
თესალია 87, 92, 109, 153, 178
თეფე-გავრა 34, 35, 39
თლი 35, 44
თოფრახ კალე 35, 38
თრაკია 103
თრელქი 170
თრიალეთი 10, 34, 70
თურმითა 122
თურქეთი 101, 121
იაზილიკაი 45
იაზლიტაში 125
იაზონ-ბურნუ (იაზონის კონცხი) 117, 118
იაზონია 116, 117
იბერია 9, 25, 87, 88, 91, 151, 152, 153
იგანიეხი 18
იდესა 91
ითხვისი 56
ილდამუში 166, 167
იმერეთი 87, 108
ინდოეთი 91
იონია 99, 177
ირისი 117
ისავრია 120
ისკერია (კონცხი) 108
ისპანი 49, 72
ისტრია 65
იტალია 53, 63, 79
იუმუქ-თეფე 44
იშუვა 122

კავკასია 39, 41, 88, 92, 93, 96, 144. 158. 168, 169
კავკასიის მთები 9, 22, 41, 170
კავკასიონი 89, 165
კაისარი 44
კალდარიჩი 126
კაპადოკია 181
კარენიტი 121, 122
კარინი 121, 126
კარნა 122
კარნუ-ქალაქი 121, 122
კასპიის ზღვა 18, 33
კაცხი 11, 12
კეკროპია 159
კენა 130
კეოპრი-კეოი 34, 36, 38, 39
კერასუნტი 85, 94. 101, 102, 112
კვიტამერე 87
კვიტაუერა 87
კვიტაური 87
კვიტიეთი 87
კვიტისოროსი 86
კიანეოსი 146, 147
კილიკია 131
კინა 130
კინასი 130
კინასკური 130
კინტრიში 107
კიოსი 123
კიროვაკანი 34—36
კისათიბი 28
კიტორონი 91
კიტოროსი 118
კლარჯეთი 26, 27
კლისურა (კლასურა) 26
კნოსი 90
კოლა 28
კოლხეთი (კოლხიდა) 3, 4, 15, 23, 25, 26, 43, 48, 61, 63—65, 70, 76, 79, 80, 83—87, 91, 96—99. 103, 106, 109, 110 146, 150, 151; 153, 155—161, 163—166, 168—177; 179—182
კორინთა 94
კოტიორა 86, 101, 102, 117, 128, 112
კოჩანეთი 28, 30
კოჯორი 10
კრეტა 87, 90, 94, 95
კულა 67
კულხა 85, 165—168, 172, 175, 177
კუმა 119
კუტა 87
კუტაია 86, 87, 79, 165
კუტაიიო 87
კუტაიდა 165
კუტასიიო 87
კუტატია 87
კუტატიიო 87
კუტატო 87
კუტეიო 87
კუტუ 87
ლაზიკა 127, 175, 181, 182
ლაილაში 46, 60
ლაკედემონი 178
ლარილარი 75
ლევანტი 91
ლენინაკანი 34, 36
ლესბოსი 103
ლეშკეღა 11
ლედეშტო 11
ლეჩხუში 11, 13, 20, 21, 56, 75
ლიგისტიკეს კუტაია 78, 86
ლიდია 109
ლიკაონია 120
ლიმნე 106, 107
ლიხნი 37, 39, 67
ლურისტანი 37
მაზანათი 28, 30
მაკედონია 92, 93, 178
მალაქლუ 58
მანა 171
მარგი (მარგის მერე, მარგისტან) 26. 27, 30
მაპარა 70
მაპახელა 107
მახარია 44
მახლობელი აღმოსავლეთი 96, 152, 153, 156, 164. 171, 173
მახუნცეთი 33, 35, 36, 37, 39, 46
მეკალესკირითი 99
მელესკური 107, 108
მელექედური 37, 43, 57
მეოტიდა 168, 172
მერსინი 44, 45, 90
მესოპოტამია 125
მესტია 11
მესხების მთები 22
მესხეთ-ჯავახეთი 35, 73
მესხეთი 9, 27, 30
მეტროპოლისი 109
მეკესკირი 99
მეხჩის ციხე 41, 42
მეწამული ზღვა 172
მიდია 83, 84, 87, 168, 171, 175
მიზია 123
მითანი 138, 148, 172
მიკენი 76, 80, 87, 90, 91, 93, 94, 95, 96, 140, 141, 162, 168
მილეტი 102—105
მოლითი 67
მოსხეკე 26
მტკვარი 27, 28, 30, 40, 121

მცირე აზია 43, 44, 45, 47, 53, 60. 76, 79, 84, 90. 91. 93, 96. 109, 115, 120, 123. 124, 139, 144. 145, 147, 148, 169, 171. 181
მცირე არმენია 124
მცხეთა 9, 10, 21, 24, 88
მცხეთამ 10, 13. 21, 22
მხერცის მთა 34
ნაირი 87
ნამეედური 51, 67, 68
ნაოხვამუ 49, 50—52, 56, 69, 70
ნაპერეალას ბორცვი 63
ნასპერი 13, 75
ნატანები 108
ნაური 34
ნაქსოსი 103
ნაჩერქეზევი 71
ნაციხვარი 71
ნიმფეუმი 64
ნოსირი 50, 56, 64, 68, 71. 156
ოდეინიოსი 106, 107
ოდუნდა 28
ოკენიტი 130
ოკრიბა 20
ოლორი 28
ონი 44, 174
ორალი 29
ორდუ 33, 41, 43, 45, 46, 72, 118, 121
ორფოლა 28
ორქომენი 92
ოღასკური 108
ოყერეში 44
ომკი 27
ოჩამჩირე 70, 71
ოცხე 30
ოძრხე 30
ოქუბერე 29
ოხვიმიში 28
ოხომა 28. 30
ოჯორჯალი 28
პაიპერი 127
პალერი 51, 67, 157
პანტიკაპეონი 63, 65
პართენიოსი 21, 78, 86, 117
პაროსი 80
პარხალი 134
პაფლაგონია 79, 91, 119, 131
პელასგური არგოსი 92
პელოპონესი 92
პერეეი 42
პილენკოვო (განთიადი) 33, 35, 36, 37, 67
პილოსი 77, 87, 140 144, 148
პისიდია 120
პონტო 17, 22, 109, 118, 181
პონტოსპირეთი 125
რას-შამრა 36, 80
რაკა 74, 114
რაკა-ლეჩხუმი 9, 22, 44
რიზე 107, 108, 126
რიონი (რიონის აუზი, რიონის ხეობა) 10, 11, 12, 14, 19, 20, 22, 41, 47, 48, 51, 64, 67. 71, 72, 74, 75, 84, 86, 174, 180
რომი 152, 177, 178
საბერძნეთი 87, 90, 92, 93, 94, 96, 100, 109, 111, 146, 152, 153, 172, 178
საზანო 129
სამეგრელო 28, 43, 87, 108
სამთავრო 35
სამი წყალი 27
სამსუნი 118
სამცხე 28, 29, 74, 122
სამწყარი 27, 30
სამწყრის წყალი 27
სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი 3, 18, 24, 40, 48, 72, 75, 74, 76, 81, 86, 88, 91, 95, 96, 97, 99, 100, 101, 102, 107, 109, 111. 124, 126, 128, 132, 138, 145, 147, 166, 176
სამხრეთ-აღმოსავლეთი ამიერკავკასია 171
სამხრეთ-დასავლეთი კავკასია 167
სამხრეთ-დასავლეთი საქართველო 15, 33, 35, 38, 40, 43, 44, 47, 59, 67, 72, 73, 74, 84, 87, 154, 155, 160, 165, 180
სამხრეთ-დასავლეთი ამიერკავკასია 154, 166, 167
სამხრეთი კავკასია 49, 53, 170
სამხრეთი ოსეთი 44
სამხრეთი რუსეთი 169
სამხრეთი საქართველო 28. 30, 85, 154, 156
სამხრეთი ამიერკავკასია 154, 171
სარდე 168
სასირეთი 59
საქართველო 10, 25, 33, 45, 48, 53, 57, 58, 60, 68, 73, 74, 76, 88, 95, 96, 109, 126, 150, 151, 153, 154, 167, 169, 171, 177
საქორქიო 65
სებასტოპოლისი 17, 173, 182
სენაკი 108
სვანეთი 10, 11, 12, 13, 21, 44, 75, 126, 181
სივასი 35, 38, 121, 122
სიმონეთი 43
სინოპი (სინოპე) 98—102, 111, 119
სირია 45
სისპირიტისი 87
სიცილია 99, 177
სიხრუჯი 27
სკვითია 109
სკურდა 107
სკურდიბი 107, 108
სკურდიდი 107
სკურდუბი 108

სკურდულა 108
სკური 108
სკურჩა 108
სკურჩალი 108
სკურჩე 108
სკურჩელა 108
სომხეთი 34, 35, 38, 53
სოკი 17, 69, 70
სოხუმი 11, 17, 29, 67, 74, 98, 104, 108, 175
სოხუმის მთა 110
სპარსეთი 175, 176
სპარტა 84
სპერი 13, 136
სტამენეგა (სტამენე) 116, 117, 118
სტრიმონი 103
სურამი 59
სურმეში 44
ტაბალი 131, 132, 149
ტავრი 40
ტავრის მთები 121
ტამანი 79
ტანძოთი 30, 35
ტელეფისი 9, 10
ტერამარები 53, 63
ტეხურის ფლატე 53, 56
ტვიში 11
ტიბირა 133
ტიბარანია 132
ტიპალა 133
ტირენია 79
ტირინთი 141
ტობა 28, 30
ტოკატი 122
ტოლები 10
ტოლოში 28, 30
ტოპადა 31
ტოპრახკალე (იხ. თოფრახკალე)
ტრაბზონი (იხ. ტრაპეზუნტი)
ტრაპეზუნტი 85, 94, 101, 102, 112, 124, 127, 134
ტროა (ტროადა) 76, 78, 80, 81, 83, 88, 91, 92, 93, 95, 142, 146, 179
ტროპიკული აზია 153
ტუმე 172
უგარიტი 35, 80
უდე 30, 56, 156
ურავლის ხეობა 28
ურარტუ 58, 87, 126, 167, 171, 172. 175, 176
ურეკი 34, 38, 40, 44, 46, 60, 67
ური 138
ფარნაკია 124
ფასიდი (ფაშდ) 11, 16
ფასისი (ფდ.) 10, 11, 16, 20, 22, 102, 106, 109, 146, 168, 172
ფასისი (ქ.) 14, 15, 16, 83, 84. 86, 98. 102, 103, 104, 165, 180
ფინიკია 96
ფიქვნარი 98, 104, 175
ფოთი 174
ფორტინადერე 107
ფოცხო 28
ფოცხოვი 28
ფრიგია 109
ფრიქსოპოლისი 91
ქსოუ 70
ქანაანი 138
ქართლი 9, 24, 25, 71, 73, 88, 151,
ქერჩი 43
ქვაბლიანის ხეობა 27
ქვალონი 67
ქვემოქართლი 4, 136, 154, 170
ქვემო ჭალადიდი 49, 50, 53, 56, 57. 64, 67
ქვაცხელა 10
ქვიშარი 44
ქიოსი 103
ქიულ-თეფე 34, 35, 38, 39,
ქობულეთი 37, 39, 51, 67, 68, 72, 175
ქოირადესი 102
ქუთათისი 87
ქუთაისი 75. 86, 87, 108, 175
ქუთაური 87
ქუთურეთი 87
ღარი 44
ღვედი 46, 60
ყარადერე 67
ყარსი 41, 42
ყვირილას აუზი 71, 174
ყობანი 32, 33, 43
ყუბანისპირეთი 104
ყულევი 51, 67, 68
შავი ზღვა 32, 50, 82, 84, 91, 94, 95, 102, 107, 117, 118, 119, 123, 165, 168, 172, 175. 176
შავიზღვისპირეთი 94, 95, 96, 104, 111, 112. 126, 168
შავშეთი 27, 166
შამშადინი 34, 36
შაშილე 166, 167
შეშეთი 166
შიდა ქართლი 9, 10, 71, 94, 155. 170
შორაპანი 73
შრომა 44, 45, 67
შუამდინარეთი 125, 126
შუმერი 88, 163
ჩალტი-ბურნუ 118
ჩივა-ბურნუ 118
ჩიხორიში (ციხორიში) 27
ჩორჩანი 27

ჩრდილო-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი 22, 69, 70, 72
ჩრდილო-დასავლეთი ამიერკავკასია 18, 21, 24
ჩრდილო-დასავლეთი საქართველო 18, 19, 22, 39, 75
ჩრდილოეთი კავკასია 32, 33, 39, 98
ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი 63, 95, 99, 177
ჩრდილოეთის ზღვა 172
ჩხოროონკა 27
ჩხორონკუა 27
ჩხორონწყუ 27, 29
ჩხუმი 11, 105
ცაგერი 42, 44
ციხისძირი 44, 45, 67,
ცხაკაია 108
ცხეთა 21, 56, 75
ცენისწყალი 12, 41, 75, 174
ცხინვალი 42
ცხროკა 27, 30
ცხუმი 11, 12, 105
ცხუმური 11
წალენჯიხა 28
წაღვერი 30
წინააზია 88, 154, 171, 180
წიფორა 28, 30
წუნდა 67
ჭალადიდი 51
ჭანეთი 107, 127
ჭანისწყალი 146, 147
ჭანკეთი 28, 30
ჭაღრა 130
ჭითახევი 28, 30
ჭითაწყარო 28
ჭობა 29
ჭობარეთი 29
ჭობაურა 29
ჭობაური 29
ჭობისხევი (ჭობიხევი) 29, 35
ჭობური 29
ჭოროხი 34, 37, 39, 40, 41, 67, 72, 84—88, 108, 121—125, 126, 128, 129, 173, 174, 181
ჭუბიში 29
ჭუბურ-ხინჯი 29
ჭყოიში 11
ხალასკური 108
ხალდარიჩ 125
ხალდე 75
ხალდეს-ჭალა 126
ხალდეში 13, 126
ხალდის ხეობა 126, 128
ხალდიო-არიჩი 126
ხალდოსი 126
ხალდოძორ 125, 126, 128
ხალიკა 122
ხალიტოსი 126
ხალკიდიკა 92
ხალხევი 127
ხამასკური 108
ხამაჩური 127
ხანეტ-კალესი 78, 118
ხანის წყალი 41
ხარანი 138
ხარფუთი 122
ხატუსასი 20, 60, 123
ხეთა 88
ხვალიშა 27, 30
ხერიანი 127
ხიზაბაერა 29
ხმელთაშუა ზღვა 119
ხობი 74, 75, 108
ხონა 28
ხოფი 146
ხულაიში (Ḫulaija; მდ.) 120, 122
ხულაიში (ქვეყანა) 120, 122
ჯავახეთი 122
ჯანიკი 129
ჯინჯიგორა 28
ჯრუჭი 134
ჰაიასა (ჰაიასა-აზი) 19
ჰალიეა 122, 125
ჰალისი (ჰალისის აუზი) 46, 78, 79, 81, 117—124, 128
ჰელესპონტო 81, 91
ჰენიოხია 134
ჰერაკლეა 117
ჰერაკლეს კონცხი 118
ჰიპოსი 146
ჰუშანი (უშალხი) 166

ტ ა ბ უ ლ ე ბ ი



1.



2.



3.



1.



2.



3.



4.

5

6.

8.

9.

10.

ტაბ. III



1.

2.

3.



4.

1



2



3.



4.

5


1.
2.
3.
4.
5.
6.
7.
8.
9.
10.


1.

2.

3.


4.


5.

6.


7.

8.

9.

10.

11.

12.

13.

14.

15.

16.

17.

18

19.

20.



1.



2.



1.



2.



5.

3.



4.


1.
2.
3.
4.
5.
6.
7
8.
9.
10.
11.
12
13.
14.
15.
16.
17.


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22

1.

2.

3.


1.
2.
3.
4.
5.
6.
7.
8.
9.
10.
11.
12.
13.
14.
15.
16.
17.
18.
19.
20.
21.
22.
23.
24.
25.
26
27
28.
29.
30.
31.
32
33.
34.
35.
36.
37.
38.



1



2



3

4















1



2



3

4



5



6


1.


2.


3.


6.


4.


5.


7

8.


9.


10.





1.

2.



3.



1.



2.











1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
36
37
38
39
40
41
42
43
44
45
46
47
48
49
50
51
52
53
54
55
56
57
58
59
60
61
62
63
64

შინაარსი

შესავალი 3

თავი პირველი

კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ეთნოგონიისა და არქეოლოგიის ზოგიერთი საკითხი . . 9

თავი მეორე

კოლხეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი უძველეს წერილობით ძეგლებში და კოლხურ-ეგეოსურ სამყაროთა ურთიერთობის გენეზისი 76

თავი მესამე

ანატოლიის ქართველური მოსახლეობა და ტექნიკური პროგრესი . . . 114

თავი მეოთხე

კოლხეთის საზოგადოებანი ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში საქართველოს ძველი ისტორიის პერიოდიზაციის საკითხი . 150

რეზიუმე რუსულ ენაზე . . 183

რეზიუმე ინგლისურ ენაზე 192

ტაბულების აღწერილობა 195

შემოკლებათა განმარტება 196

საძიებელი 198

ტაბულები . 209

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

•

გამომცემლობის რედაქტორი რ. ფეიქრიშვილი
ტექრედაქტორი ლ. ჯვებენავა
კორექტორი ელ. მაისურაძე
მხატვარი გ. ნადირაძე

გადაეცა წარმოებას ;ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.VII. 1974:
ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 18.2;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17.8;
უე 00981; ტირაჟი 1300; შეკვეთა № 1047
ფასი 1 მან. 79 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Тип. АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19